

# მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

## საქართველოს დედაეკლესია

უკ (UDC) O 87.5:947.22

№ 272

წმ. ამბროსი ხელაიას სიტყვით ერისათვის უფლის მიერ მინიჭებული ყველაზე დიდი საბოძვარი თავისუფლებაა.

თავისუფლების ძიებისას სასურველია ხალხის სულის გამოღვივება გმირული წარსულის განდიდებით. საყოველთაო მშვიდობისა და სიწყნარის დამყარების ჟამს კი გათავისუფლებული ერის ახალგაზრდა თაობას სჯობს მოუთხროთ ამბოხებათა და ძმათამკვლელი შინაომების დამღუპველ შედეგებზე. ამჟამად, როცა გათავისუფლებულ სამშობლოს ჩამოგლეჯილი აქვს ძირძველი მხარეები (აფხაზეთი, სამაჩაბლო და სხვ.), გმირული წარსულის გაცოცხლებასთან ერთად კარგია ქვეყნის დაშლა-დანაწევრებისას ურთიერთგანადგურებაზეც ვესაუბროთ. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე ამ კუთხით მიუღდა თავის წიგნში ერისა და ეკლესიის ისტორიას.

რედაქტორი ნათელა ჯოლოხავა

რედაქტორ-გამომცემელი აკაკი ბრეგაძე

საგამომცემლო ჯგუფი: ნაზი ჯანანაშვილი, თათა საბანაძე, ნინო ანჩაბაძე, დავით ბრეგაძე, გიორგი ბრეგაძე, კონსტანტინე ბრეგაძე

მხატვარ-დიზაინერი კახაბერ მაისურაძე

ოპერატორი ნათელა ტალახაძე

იბეჭდება რედაქტორის ხარჯით

“ციცინათელა“ 2006 წ.

ISBN 99940-801-0-5 (მრავალტომეული)

ISBN 99940-801-8-0 (XII ტ.)

მეუფე ანანია

მეუფე ანანია ჯაფარიძე (თენგიზ ანატოლის ძე ჯაფარიძე) გახლავთ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმ. სინოდის წევრი, მიტროპოლიტი, მანგლის-წალკის ეპარქიის მმართველი, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი, დაიბადა 1949 წ. 20 აგვისტოს ქ. ტყიბულში, 1966 წ. დაამთავრა ქ. ტყიბულის საშუალო სკოლა, 1974 წ. - საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ამჟამინდელი ტექნიკური უნივერსიტეტი) “კავშირგაბმულობის ავტომატური საშუალებების“ განხრით და მუშაობდა ინჟინრად. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მოწოდების შესაბამისად შეუდგა საეკლესიო დეაქოსს. სწავლა დაიწყო მცხეთის სასულიერო სემინარიაში. სწავლის პერიოდში ბერად აღიკვეცა ანანიას სახელდებით. 1979 წ. 4 აპრილს ხელდასხმულ იქნა დიაკვნად, 1979 წ. 27 სექტემბერს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ აკურთხა მღვდლად. 1979 წლიდან თბილისის წმ. სამების (ძველი წმ. სამების) ეკლესიის წინამძღვარია, 1980 წლიდან - ალავერდის მონასტრის იღუმენი, 1981 წ. მარტიდან - არქიმანდრიტი. კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ხელდასხმით და წმ. სინოდის გადაწყვეტილებით გახდა ნიკორწმინდის კათედრის ეპისკოპოსი (1981 წ. 15 მარტი), 1981 წ. 29 აპრილიდან 1992 წ. 25 დეკემბრამდე ახალციხისა და მესხეთ-ჯავახეთის ეპისკოპოსია, 1992 წ. დეკემბრიდან 1995 წ. 17 ივნისამდე - მანგლისის არქიეპისკოპოსი, 1995 წ. ივლისიდან - მანგლის-წალკის ეპარქიის მმართველი მთავარეპისკოპოსი.

მეუფე ანანიას მღვდელმთავრობის დროს ათეისტური რეჟიმის 70-წლიანი უქმობის შემდეგ მისი ზრუნვით და ინიციატივით ღვთისმსახურება განახლდა ზარზმის, ვარძიის, საფარის მონასტრებში, აღსდგა ივლიტას, ხვალიშის, ახალდაბის, სადგერის ეკლესიები, ახალი ეკლესიები გაიხსნა აბასთუმანში, ბორჯომში, ალგეთში, კოდაში და სხვაგან. მისი ძალისხმევით ქ

ახალციხეში დაარსდა სასულიერო სასწავლებელი, რომლის რექტორიც თავად იყო 1992 წლამდე.

მეუფე ანანია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის სრულ კურსს კითხულობს საქართველოს სასულიერო აკადემიაში, 2002 წლიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში განაგებს თეოლოგიის კათედრას, 2003 წ. 11 აპრილს მიენიჭა პროფესორის წოდება. 2002 წ. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მიტროპოლიტის ხარისხი მიანიჭა. გახლავთ საქართველოს საპატრიარქოს ქართული ენისა და კულტურის შემსწავლელი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (2005 წ. 1 ნოემბრიდან).

მეუფე ანანია დაჯილდოებულია ალექსანდრიის საპატრიარქოს წმ. მარკოზის ორდენით, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ჯილდოებით. 2000 წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა, მწერალთა გაერთიანებამ (“ეროვნული ცნობიერების ანალიტიკური ცენტრი“) პრემია - “თვალსაჩინო საეკლესიო და საზოგადო მოღვაწეობისათვის“. მიღებული აქვს აგრეთვე გ. შერვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს მეუფე ანანიას სამეცნიერო მოღვაწეობა. იგი ავტორია მრავალი მონოგრაფიის, გამოკვლევისა და პუბლიცისტური წერილისა. მეუფეს ეკუთვნის ოთხტომიანი ფუნდამენტური ნაშრომი “საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“ (1996-2003), ასევე ფუნდამენტური ნაშრომი “საქართველოს საეკლესიო კრებები“ სამ წიგნად (2003), მონოგრაფია “ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიდან იესომდე“ (1994), “მესხეთი - ქართველთა გამაჰმადიანება“ (1998), “საინგილო - ქართველთა გალექება“ (1998), “ლაზეთ-თრიალეთი - ქართველთა გაბერძნება“ (1999), “ქართლ-კახეთი - ქართველთა გასომხება“ (1999), “აფხაზეთი - ქართველთა გააფხაზება“ (2001), “რეგიონალიზმი შეაფერხებს ეროვნულ კონსოლიდაციას“ (2002), “პეტრე იბერი მართლმადიდებელი ეპისკოპოსი“ (2002), “ქართული საეკლესიო (სალიტერატურო) ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის“ (2002) და მრავალი სხვა.

როგორც ცნობილია, საქართველოში რუსეთის იმპერიის ბატონობის უამს სასტიკად იღვენებოდა საქართველოს ეკლესია. XIX ს-ში გააუქმეს მისი ავტოკეფალია - ქართველი ერის საუკეთესო შვილთა ათასწლოვანი მონაპოვარი, ხოლო XX ს-ში ათეისტების ბატონობის დროს არა მხოლოდ საეკლესიო ნაგებობებს ანგრევდნენ და ღვთისმსახურებს ხოცავდნენ, არამედ გეგმაზომიერად და მიზანმიმართულად ამახინჯებდნენ ქართველი ერისა და საქართველოს ეკლესიის ისტორიას. საბჭოთა ისტორიკოსებმა მთელ თაობებს ჩაუნერგეს, თითქოსდა ქართველი ერი (ე.ი. სამწესო საქართველოს ეკლესიისა) მხოლოდ IX-X ს-ის შემდეგ ჩამოყალიბდა საქართველოს ცალკეული მხარეების ე.წ. “ქართიზაცია - გაქართველების“ შედეგად, საქართველო თითქოსდა XI ს-ის დამდეგს გაერთიანდა, ხოლო მისი პირველი მეფე ბაგრატ III იყო, უმართებულოდ განმარტავდნენ წმ. მოციქულების, წმ. ნინოს, ასურელი მამებისა და სხვათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკითხებს, “მეცნიერულად“ იყო უარყოფილი მოციქულების ქადაგება საქართველოში, წმ. ნინო არა ისტორიულ, არამედ ლეგენდარულ პიროვნებად მიიჩნეოდა, ასურელი მამები კი - მონოფიზიტ მოღვაწეებად, თითქოსდა “ლეგენდა ნინოს შესახებ IX ს-ში“ ჩამოყალიბდა და ა.შ. ერთი სიტყვით საგანგებოდ უარყოფდნენ ძველი ქართველი მემკვიდრეების თვალსაზრისს, გამოთქმულს საისტორიო წყაროებში.

მიტროპოლიტი ანანია გამოწველილვით მიმოიხილავს ყველა შესაბამის საისტორიო ლიტერატურას, მათი ურთიერთშეჯერებითა და წყაროთა ანალიზით ასკვნის, რომ თითქმის ყოველთვის მართლდება ძველ მემკვიდრეთა და ეკლესიის ისტორიკოსთა თვალსაზრისი. ამ მხრივ ეს ნაშრომი სიახლეს მოიცავს და ხელს უწყობს საბჭოთა ანუ დამპყრობელთა ისტორიოგრაფიის მიერ ჩვენთვის თავს მოხვეულ უმართებულო შეხედულებათა გაბათილებას.

ნაშრომი გახლავთ 1996-2003 წლებში მიტროპოლიტ ანანიას გამოცემული “საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის“ ოთხტომეულის შემოკლებული ვარიანტი. ამიტომ მკითხველს შეუძლია წყაროები დაწვრილებით ამ ოთხტომეულში მოიძიოს.

სამაგალითოა მეუფე ანანიას მსახურება ეკლესიისათვის, ერისა და ქვეყნისათვის.

ჩვენ ჩვენის მხრივ უადრეს მაღლიერებას გამოვხატავთ მეუფე ანანიასადმი, რამეთუ იგი მხარში უდგას საბავშვო გაზეთ “ციცინათელას“ მისი დაარსების დღიდან და უანგაროდ ემსახურება მოსწავლე-ახალგაზრდობის მამულიშვილურად აღზრდის საქმეს. მეუფის შესანიშნავი წერილები, რომლებიც ამ გაზეთში დაიბეჭდა და იბეჭდება, საკეთილოდ წაადგება პატარა ქართველების სულიერად და ზნეობრივად ამაღლებას, ისევე როგორც მისი ნაშრომები - ქართველ ხალხს. ამ მხრივაც დაუფასებელია მეუფის ღვაწლი.

აკაკი ბრეგვაძე

## შესავალი

ქრისტესმიერ საყვარელო შვილებო, ყოველი ჩვენი სიტყვით და საქმით უნდა ვადილოთ უფალი ღმერთი, რამეთუ მან დაგვბადა ჩვენ, შექმნა ცა და დედამიწა, კაცობრიობა, ერები და ხალხები.

წმიდა წერილის მიხედვით, თავდაპირველად კაცობრიობა ერთი ხალხი, ერთი ეთნოსი იყო, ერთი სალაპარაკო ენა ჰქონდა - “ერთპირი იყო მთელი ქვეყანა და ერთ ენაზე მეტყველი” (დაბ. 11.1), ბაბილონის გოლოლის დანგრევის შემდეგ კი უფალმა ღმერთმა იხება, რომ დედამიწაზე ეცხოვრა არა ერთ, არამედ მრავალ ერს, ყოფილიყო მრავალი ენა. წმიდა ბიბლიის მიხედვით, ასე ჩამოყალიბდნენ დედამიწის პირველი ხალხები. თითოეულ ერს მიეცა თავისი საპატრონო ნაწილი დედამიწისა, რომელსაც სამშობლო ეწოდება. ამასთანავე ადამიანებს დაეკისრათ მოვალეობა მისი მოვლა-პატრონობისა, მტრისგან დაცვისა, ჩამოყალიბდა პირველი სახელმწიფოები, იქ მცხოვრებნი ერთმანეთისათვის თანამემამულენი (ძველქართულად ნათესავნი), მოყვასნი და მეგობარნი იყვნენ. ერისათვის თავდადება, მისთვის თავის გაწირვა უფალს სათნო საქმედ მიანდა, რადგანაც ნაყოფი იყო სიყვარულისა, ღმერთი კი სიყვარულია. ბრძანებს კიდევ წმიდა წერილი: “იმაზე დიდი სიყვარული არ არსებობს, როცა ვინმე თავის სულს სწირავს თავისი მეგობრისათვის“ (იოანე 15.13).

სამშობლოს სიყვარულით და ერთმანეთისათვის თავდადებით ძველთაგანვე გამოირჩეოდნენ ჩვენი სულკურთხეული წინაპრები, ძველი ქართველები. მათ შესახებ კაცობრიობის უპირველესი წიგნი - წმიდა ბიბლიაც გვაწვდის ცნობებს. როგორც ცნობილია, მსოფლიო წარდგნას მხოლოდ ერთი კაცის, ნოეს ოჯახი გადაურჩა და მთელ კაცობრიობას ნოეს ძეებმა - სემმა, ქამმა და იაფეტმა - დაუდეს სათავე. იაფეტის ძეებს შორის იხსენებიან ქართველთა წინაპრებიც: თობელი, მოსოქი და ასევე თოგარმა (ძველი ავტორები, მათი კომენტატორები და თანამედროვე მთარგმნელები, ქართველთა წინაპრების, მაგალითად, იაფეტის ძეების, თუბალისა და მეშექის სახელებს სხვადასხვა ტრანსკრიპციით გადმოცემენ, თობელი, მეშიხი, მეშექი, მოსოხი და სხვ.). ბიბლიის დიდ კომენტატორთა - იოსებ ფლავიუსისა და სხვათა განმარტებების მიხედვით იაფეტის შთამომავლობა ასეთია: “იაფეტის ძენი: გომერი, მაგოგი, მადაი, იავანი, თუბალი, მეშექი და თირასი“ (დაბ. 10. 2-3), ქართველთა ეთნარქების - თუბალის და მეშექის (მოსოხის) შესახებ ასევე მრავალ საგულისხმო ცნობას გვაწვდიან დიდი წინასწარმეტყველები - იერემია და ეზეკიელი.

აკადემიკოს ს. ჯანაშიას კონცეფცია ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთია: “დაახლოებით ექვსი ათასი წლის წინ, წინა აზიის უზარმაზარ მიწა-წყალზე და სამხრეთ ევროპაშიც (ბალკანეთი, აპენინისა და პირინეის ნახევარკუნძულები) ერთი მოდგმის ხალხები ცხოვრობდნენ. შემდგომ ამ მოდგმის ხალხთა ადგილსამყოფელი თანდათან იზღუდებოდა - ესენი ქართველთა წინაპრები იყვნენ“.

ამ დროს ქართველები მეტყველებდნენ ერთ საერთო ენაზე, ქართველობა ერთიანი გახლდათ და არ იყო დაყოფილი იმ ჯგუფებად, რომელთაც ამჟამად კახელებს, იმერლებს, მეგრელებს, სვანებს, გურულებს, ხევსურებს და სხვ. ვუწოდებთ. ძველი ქართველები ქრისტეშობამდე ორი ათასი წლის წინ კავკასიის გარდა ასევე ცხოვრობდნენ მცირე აზიასა და შუამდინარეთის ჩრდილო ნაწილშიც და მათ მრავალი სახელოვანი სახელმწიფო შექმნეს. ძველ ქართულ ქვეყანათა შორის განსაკუთრებული სიდიადით ბრწყინავდა კოლხეთი. ჰომეროსი და ძველი მსოფლიოს მრავალი პოეტი ამკობდა მის დიდებას, მაგრამ ისტორია ცვალებადია. ქრისტეშობამდე 800 წლით ადრე კოლხეთს შემოესივნენ კიმერიელები, ძალზე ძლიერი ხალხი, ჩრდილო კავკასიის იქითა სტეპების ტომები. მათ ჯერ კოლხეთის სამეფო გაანადგურეს, შემდეგ კი სამხრეთის მრავალი ქვეყანაც დაიპყრეს ვიდრე ისრაელამდე.

გამარჯვებულ კიმერიელებს აუყრიათ კოლხეთისა და სხვა დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის დიდი ნაწილი და აუქულებიათ ელაშქრათ სამხრეთში სხვა ხალხების დასამორჩილებლად. ეს ელაშქრობა ყოფილა ხალხთა დიდი გადასახლება ჩრდილოეთიდან ისრაელამდე. ეს მოვლენა წმიდა ბიბლიაშიც აისახა. ბრძანებდა უფალი წინასწარმეტყველის პირით: “აჰა, მოვუხმობ ჩრდილოეთის ყველა ტომს, ამბობს უფალი, და ავამხედრებ ამ ქვეყანაზე, მის მცხოვრებლებზე და ირგვლივ ყველა ხალხზე“ (იერემია 25. 9). ჩრდილოეთის ხალხების დიდი ელაშქრობა ისრაელისაკენ უფლის ნება ყოფილა. ამ ხალხთა შორის, ბიბლიის კომენტატორების განმარტებით, იყვნენ “მოსოხისა და თუბალის“ ხალხები (ქართველები), რომელნიც თურმე აიძულა გოგის (კიმერიელთა) ხალხმა მათთან ერთად ელაშქრათ სამხრეთში, ისრაელის მთებამდეც კი მიუღწევიათ. აქ გაუმარჯვნიათ და ერთხანს კიდევ გაბატონებულან, ეს იწინასწარმეტყველა კიდევ მეფე დავითმა და ფსალმუნებშიც აისახა: “ვაიმე, ხიზანი ვარ მეშექისა, ვბინადრობ კედარის კარებთან“ (ფს. 119 (120). 5; ბიბ. 1989, გვ. 555). ვინ იყვნენ მოსოხები (მეშექები), რომელთა ხიზნად ქცეულა წმიდა მიწის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნები?

იერემია და ეზეკიელ წინასწარმეტყველების ეპოქის, ქრისტეშობამდე VI ს-ის, ავტორი ჰეკატოს მილეტელი წერს: “მოსოხი კოლხური ტომია“ (ნარკვ. I, გვ. 395). მაშასადამე, ეს მოსოხები ის კოლხები არიან, რომელნიც კიმერიელთა იძულებით ჩრდილოეთიდან სამხრეთში ელაშქრობდნენ. კოლხეთიდან გამოძევებული ქართველების სამხედრო არისტოკრატიას სამხრეთში დაუარსე-

ბია ახალი სახელმწიფო, რომელსაც უძველესი ქართული წყარო, “მოქცევაი ქართლისაი“, უწოდებს “არიან-ქართლს“. უცხოელები მას ასევე ძველ იბერიას უწოდებდნენ. მალევე უფალ ღმერთს უნებებია, როგორც წმიდა წერილი გადმოგვცემს, სამხრეთში გადმოსახლებული ქართველები კვლავ უკან კავკასიაში დაბრუნებულიყვნენ. ეხეიელი ასხენებს კიდევ უფლის სიტყვებს, ჩრდილოეთის კიდებებიდან მოსულ ხალხთა მიმართ ნათქვამს - “მოგატრიალებ“, “გაგაბრუნებ“! უფალი ბრძანებს: - “აჰა, შენზე ვარ, გოგ, რომის, მეშქის და თუბალის მთავარო! გაგაბრუნებ... თოგარმას სახლს ჩრდილოეთის კიდებებიდან მთელი თავისი ურდლოთი, ურიცხვი ხალხითურთ შენთან ერთად“ (ეხეიელი 38. 3-6).

წმიდა წერილის მიხედვით ჩრდილოეთის ხალხების სამხრეთში გადმოსახლება და შემდეგ მათი უკან დაბრუნება ღვთის დიადი გეგმის ნაწილი იყო, რათა ჩრდილოეთის ხალხებს ეცნოთ ჭეშმარიტი ღმერთი, რომელსაც ნებაგდა არა ხალხების სიკვდილი და გაქრობა, არამედ გაწვრთნა - “მიხედებიან ხალხები, რომ მე უფალი ვარ, რომ წმიდა ვარ ისრაელში“ (ეხეიელი 39.7), ანდა - “წამოვიყვან ჩემი ქვეყნის წინააღმდეგ, რომ მიცნონ ხალხებმა, როცა გამოვაჩენ ჩემს სიწმიდეს შენში, გოგ, მათ თვალწინ“ (ეხეიელი 38. 16). ბიბლიის კომენტატორები, მათ შორის, ეკლესიის ისტორიის მამად წოდებული ევსევი კესარიელი და წმ. იოანე ოქროპირის საუკეთესო მოწაფე თეოდორიტე კვირელი ეხეიელის აღნიშნული მუხლების განმარტებისას წერენ, რომ ქართველი ტომების უკან დაბრუნება უფალმა ინება ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის ხელით: “ნაბუქოდონოსორმა, რომელიც ჰერაკლეზე უფრო ძლიერი იყო, საომარი ჯარი შეკრიბა, მიაღწია იბერთა ქვეყანაში, აჯობა მათ, გააცამტვერა და დაიმორჩილა. მათგან ერთი ნაწილი გადაასახლა მან პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეზე და იქ დაასახლა“ (გეორგიკა I, 1961, გვ. 30).

ევსევი კესარიელი ამ ცნობის გადმოცემისას ეყრდნობოდა ძვ.წ. IV-III საუკუნეთა ისტორიკოს მეგასთენეს. მაშასადამე, სადაც სამხრეთში ძვ.წ. VI-IV სს-ში არსებობდა ქართველთა ქვეყანა - ძველი იბერია (ივერია), რომლის ხალხის ერთი ნაწილი გადმოუსახლებიათ უკან თავიანთ სამშობლოში, ისტორიულ კოლხეთში, კერძოდ კი, “პონტოს (შავი ზღვის) აღმოსავლეთ მხარეს“ ანუ თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც, ცხადია, მანამდეც ცხოვრობდა მკვიდრი ქართველობა, მაგრამ ახლა უკვე პოლიტიკური ცენტრების უკან, ჩრდილოეთში გადმოტანის შემდგომ გაძლიერებულია და კავკასიაში შეუქმნია პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო. ამ სამეფოს დამფუძნებელი “ქართლის ცხოვრების“ მიხედვით იყო მეფე ფარნავაზი, მოსახლეობა ერთი ეთნოსი იყო, ერთი სახელმწიფოსა და ენის მქონე. ამ ქვეყნის მკვიდრი ეგრისელები (მეგრელები), გურულები, სვანები, მარგველები (შემდგომდროინდელი იმერლები), ჰერ-კახნი, ქართლები და სხვები - ერთი ხალხი იყო. ძველი სომეხი ისტორიკოსი უხტანესი მათ შესახებ წერს: პონტოს ზღვის პირას დაბინავებული (ძველი “ივერიიდან“ ჩრდილოეთში გადმოსახლებულები) გამრავლდნენ და გახდა ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ივერიას უწოდებდნენ, აქ კი ქართველნი ეწოდათ... გამრავლდა ზღვის პირას, მოედო იმ მხარეს და გაერცვლდა სომეხთა და ალბანთა საზღვრამდე და შეიქმნა ფრიად დიდ ხალხი“ (უხტანესი, “განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“, გვ. 67). ქრისტეშობამდე 400-300 წლით ადრე ეგრისის ერისთავ ქუჯის თანადგომით შექმნილ ფარნავაზის სამეფოში შედიოდა რვა საერისთავო: ეგრისი, არგვეთი, კახეთი, ხუნანი, სამშვილდე, წუნდა, ოძრხე და კლარჯეთი. საქართველოს სახელმწიფო აერთიანებდა ქვეყნის ორივე გეოგრაფიულ ნაწილს - აღმოსავლეთს და დასავლეთს, მას “ქართლის სამეფო“ ერქვა. ფარნავაზმა “განაერცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“ (“ქართლის ცხოვრება“, I. გვ. 26).

უფლის ამალღების შემდეგ სულიწმიდის მოფენისას მოციქულებს მიეცათ იმ ხალხთა ენების ცოდნა, რომელთა ქვეყნებშიც უნდა ექადაგათ მათ. წმ. ანდრია პირველწოდებულს მიეცა ქართული ენის ცოდნა. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა ის თავის წილხვედრ ივერიაში ანუ საქართველოში გამოგზავნა.

ქართული ენის ცოდნა სულიწმიდის მიერ მიეცათ მსოფლიო ეკლესიის იმ მამებსაც, რომელნიც ქართველთა შორის მოღვაწეობდნენ. ასურელი მამების მეთაურის შესახებ მის ცხოვრებაში ნათქვამია: “ნეტარმან იოვანეცა წამსა შინა ისწავა ენა ქართველთა სულისა მიერ წმიდისა“. მასზე და სხვა მამებზე გადმოსული მადლით უცხოეთშივე (ასურეთშივე) შეისწავლეს ამ მამებმა ქართული ენა მოციქულების მსგავსად. ასევე შეისწავლა შიო მღვიმელმაც, რომელმაც წმ. იოვანესთან ერთად “მოციქულებრივი ქადაგება აღასრულა, რომელთა ღმერთმან მისცა ენაი ქართულად მეტყველი“, ასევე შეისწავლეს ქართული ენა სხვა მამებმაც. როგორ იყო უფლის მიერ “შემკული და კურთხეული“ ქართული ენა, ამის შესახებ კარგად იცოდნენ ქართველმა ბერებმა VII-IX სს-ში და უფალს ამისათვის მადლობას სწირავდნენ საგალობლით “ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“. წმ. მამები თავიანთი თვალთ ხედავდნენ და თავიანთი ყურით უსმენდნენ მათ წინ გამოცხადებულ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, რომელიც მათ ქართული ენით ესაუბრებოდა და ქართული ენის მნიშვნელობას განუმარტავდა საუკუნეთა მანძილზე.

IX ს-ში საბერძნეთში ოლიმპოს (ულუმბოს) წმინდა მთის მონასტერში იღვწოდნენ ქართველი ბერები და უფალ ღმერთს ქართული ენით აღიდებდნენ, მაგრამ ბერძნებმა ქართველებს აუკრძალეს ქართული ენით ლოცვა. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა მონასტრის

ბერძენ წინამძღვარს და უბრძანა: “რომელნი მათ არა შეიწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან“. ქართული ენა ღვთისმშობლისათვის სათნო ენა იყო (“ილარიონ ქართველის ცხოვრება“, ქრესტომათია 1946, გვ. 172).

ასევე X ს-ის ბოლოს ყოველადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა ემაწვილ მომაკვდავ ექვთიმე ათონელს, მოხედა მის სწეულებას და უთხრა: “აღსდევ, ნუ გეშინინ და ქართულად ხსნილად უბნობდი“. ამის შემდეგ ქართული სიტყვა მისგან “ვითარცა წყარო ამოდიოდა უწმინდეს ყოველთა ქართველთა“. ყოველადწმიდა ღვთისმშობლის მეოხებით წმ. ანდრია პირველწოდებულის მიერ საქართველოში ღვთისმსახურებისათვის დანერგილი ქართული ენით ადიდებს უფალ ღმერთს მთელი ქართველი ერი ათასწლეულთა მანძილზე.

### ქართველი ხალხის მომზადება მაცხოვრის მისაღებად

ეხეკიელი და იმჟამინდელი სხვა წინასწარმეტყველები ქრისტეშობამდე VII-VI ს-ში როგორც რჩულ (ებრაელებს), ასევე სხვა ერებსაც ღვთისაგან მოწვეულ მიძიმე სასჯელთა შესახებ უწინასწარმეტყველებდნენ.

უფალმა, მისი სახელი რომ ეცნოთ, ჩრდილოეთის ხალხები და მათ შორის ქართველთა წინაპრებიც, როგორც აღვნიშნეთ, ისრაელის ქვეყნის წინააღმდეგ წაიყვანა და მათში თავისი სიწმიდე გამოავლინა. წინასწარმეტყველი ეხეკიელი თუბალსა და მეშექს ახსენებს სხვა ჩრდილოელ ხალხებთან ერთად, რომელნიც ისრაელზე გალაშქრების გამო დაისაჯნენ. ეხეკიელზე ადრე ისრაელის მეზობლად მცხოვრებ დიდ ხალხთა დასჯის შესახებ იერემია წინასწარმეტყველიც წერდა. საქმე ის იყო, რომ წინასწარმეტყველებანი უშუალოდ შეეხებოდა ისრაელს, უფლის ერს, რომელიც აღთქმულ მიწაზე დასახლებას ეღირსა, მაგრამ ცოდვების გამრავლებით უფლისთვის მიცემული აღთქმა დაარღვია. ამიტომ გადასახლებითა და სხვა ერის მონობაში ყოფნით უნდა დასჯილიყო.

იერემია ქადაგებდა: “აჰა მოვისევ ხალხს შორიდან, ისრაელის სახლო, ამბობს უფალი, მაგარ ხალხს, ძველისძველ ხალხს, ხალხს, რომლის ენა არ გეცოდინება და ვერ გაიგებ, რას ღაპარაკობს... ძლიერი ვაჟკაცები არიან ყველანი“ (იერემია, 5:15-16). “რას დააკლებს რკინა ჩრდილოეთის რკინას და სპილენძს? შენს დოვლათს და განძეულობას... დავატაცებინებ ყველა შენი ცოდვის გამო“ (იერემია, 15:12-13). “აჰა, მოგუხმობ ჩრდილოეთის ყველა ტომს, ამბობს უფალი, და ავაძხვდრებ ამ ქვეყანაზე, მის მცხოვრებლებზე და ირგვლივ ყველა ხალხზე“ (იერემია, 25:9).

წინასწარმეტყველების მიხედვით ისრაელიანებს ქალდეველთა მეფე ნაბუქოდონოსორი ბაბილონში გადაასახლებდა და უფალი ამით ქალდეველებსაც და სხვა ჩრდილოელ ხალხებსაც დასჯიდა. ეს დასჯა, როგორც აღვნიშნა, შემდეგ მიზანს ემსახურებოდა: როგორც ღვთისგან რჩეულ, ისე სხვა ერებს, რომელთაც მასთან ურთიერთობა ჰქონდათ, ჭეშმარიტი ღმერთი უნდა ეცნოთ, ხსნის არსს უნდა ჩასწვდომოდნენ და გასჩენოდათ სასოება უფლისმიერ გადარჩენისა, მანამდე კი ხალხების ჭეშმარიტი ღმერთისაკენ მოქცევა იყო საჭირო. უფალი ბრძანებდა: “ერთ წამს გავიფიქრებ რომელიმე ხალხის ან სამეფოს ამოძირკვას, გაცამტვერებასა და განადგურებას, მაგრამ მოიქცევა ეს ხალხი ბოროტებისაგან, რომლის გამო ვაშინებდი მას, და მეც გადავთქვამ ბოროტს, რასაც ვუპირებდი“ (იერემია, 18:7-8).

ცხადია, უნდა აღსრულებულიყო ქართველთა წინაპრების მიმართაც გამოთქმული წინასწარმეტყველება.

ქართველი ხალხის ყველაზე გამოჩენილი ტომები დაამარცხა და მათი ერთი ნაწილი უკან, უფრო ჩრდილოეთით, კავკასიაში, გადაასახლა ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა. ამრიგად, უფალი ნაბუქოდონოსორის ხელით არა მხოლოდ ებრაელებს, არამედ იბერიელებსაც შეხებია, როგორც ამას იერემია წინასწარმეტყველებდა

როგორც ითქვა, ამ საკითხს მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის მამად წოდებულმა ევსევი კესარიელმაც მიაქცია ყურადღება და თავის “ქრონიკებში“ ჩართო ცნობა ნაბუქოდონოსორის მიერ იბერიელთა დამარცხების, დატყვევებისა და გადასახლების შესახებ. (გეორგიკა, I, 1961, გვ. 30).

ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია ცნობა ევსევი კესარიელისა, ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის მეცნიერულად შესწავლის ფუძემდებლისა. იგი ეყრდნობოდა ძველ ავტორს, ძვ.წ. IV-III სს-თა ისტორიკოს მეგასთენეს.

ევსევი კესარიელი დაახლოებული პირი იყო მოციქულთა სწორ იმპერატორ კონსტანტინესთან. აღსანიშნავია, რომ ეკლესიის ძველი დროის მეორე ცნობილი ისტორიკოსი, ასევე ეპისკოპოსი, თეოდორიტე კვირელი იმავეს წერს ქართველთა წინაპრების შესახებ. კერძოდ, იგი ქართველთა წინაპრებს ეხება წინასწარმეტყველ ეხეკიელის ტექსტის განმარტებისას, სადაც ამბობს: “გოგ და მაგოგ სკვითური ტომებია, ხოლო მოსოხ, ამბობენ კაბადოკიელები არიანო, თობელ კი იბერებიო... სახლი თოგარმისა (ვარიანტი: თორგამასი) ის ამბობს, რომ ესენი ფრიგიელები არიანო... ფრიგიელები და გალატები, იბერები და სპარსელები და ეთიოპიელები, ამბობს წინასწარმეტყვე-

ლი, სკვიტებთან ერთად ლაშქრობდნენ... იძულებული გახადეს მონაწილეობა მიეღოთ ომში“ (გეორგიკა, I, გვ. 223).

უზუკიელი ნაბუქოდონოსორის ეპოქაში თობელისა და მოსოქის დასჯის შესახებ წერს, ძველი ბერძნული წყაროები და ქრისტიანი ისტორიკოსები ნაბუქოდონოსორის მიერ იბერების დამარცხების შესახებ გვაუწყებენ, ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი აღწერენ ერთსა და იმავე ამბავს, რომელიც ქართველთა წინაპრებს შეეხება. არსებობს სხვა, თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მონაცემებიც, რომლებიც ამასვე ადასტურებენ.

მეშექისა და თუბალის ძველი დიდების მოსპობა და მათი უმნიშვნელო ტომებად ქცევა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ისტორიკოსებს. პირველქართველთა დიდებულება, მათი სახელმწიფოები, ქალაქები, კულტურის ბრწყინვალეობა ანრდილად იქცა. ქრისტეშობამდე ხუთი-ოთხი საუკუნით ადრე ქართველთა დაცემის შესახებ ივანე ჯავახიშვილი წერს: “თუმცა ასურულ წყაროებში ჩვენი ერის მაშინდელი მდგომარეობა დაწვრილებით არ არის აღწერილი, მაგრამ IV ს-ის ქართველი ტომების ყოფა-ცხოვრებას თუ იმდროინდელ მდგომარეობას შევადარებთ, შეუძლებელია, მაინც არ შევამჩნიოთ, რომ ჩრდილოეთისაკენ წაწეულ ქართველებს ცხადი დაქვეითება ეტყობათ... სადღა იყო წინანდელი სიმდიდრე, სასახლეები, აურაცხელი განძი და ქონება, რომლის ხელში ჩაგდებას თავის დროზე ასურეთის ბატონები კვებულობდნენ ხოლმე. წინათ მათ ქალაქები ჰქონდათ, IV ს-ში კი სალაპარაკოდაც არ ღირდა... წინათ ქართველები ძლიერ და მდიდარ ერად ითვლებოდნენ, ადგილ-მიცემობისათვის შორეულ ქვეყნებში მიდიოდნენ და ყველგან სახელი ჰქონდათ გავარდნილი. IV ს-ში კი ისინი პატარ-პატარა ტომებად იყვნენ დანაწილებულნი, მამაცობის პატივი მეზობლებშიდა ჰქონდათ შერჩენილი, მსოფლიოში კი მათი სახელი აღარ ისმოდა“ (ივ. ჯავახიშვილი, ტ. I, გვ. 70). ს. ჯანაშიას სიტყვით რომ ვთქვათ, ერთ დროს ვრცელ მიწა-წყალზე მცირე აზიასა, სამხრეთ ევროპასა, კავკასიასა და ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროზე მცხოვრები ქართული გვარტომობის ხალხები, ძვ.წ. IV ს-ისათვის მხოლოდ კავკასიაში შეეკუმშულ ტომებად იქცნენ, მაგრამ უფალ ღმერთს ისინი არათუ დაუვიწყებია, არამედ მიანიჭა მაღლი და მისცა ძალა, რათა ჩამოეყალიბებინათ ერთიანი, “ქართლის სამეფოდ“ ცნობილი სახელმწიფო. ამით უფალმა დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ერთიან ერად შეკრა.

უფალმა ქართველ ერს მისცა სხვა, ჭეშმარიტი დიდებაც - გადაუხსნა გული და მასში ჩაუნერგა სიყვარული ყოველად წმიდა სამებისა, შეცნობა უფლის სახელისა, საბოლოოდ კი მის შვილებს ასწავლა გზა სულის ცხოვრებისა ანუ სულიერი გადარჩენისა, საუკუნო სიცოცხლის მოპოვებისა. კერძოდ, I ს-ში ქრისტეს აღდგომის შემდეგ, დედა ღვთისას მიეცა აღთქმა ქართველი ერის ღვთისაგან “არაუგულებელყოფის“ შესახებ. ჩვენმა მაცხოვარმა იესო ქრისტემ ყოველადწმიდა ღვთისმშობელს მისი წილხედომილი ერის შესახებ უბრძანა: “ჰოი, დედაო, ჩემო, არა უგულუბელყოფო ერი იგი სახეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებით შენითა მათთვის“ (“ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 38). ღვთისმშობლისადმი მიცემული ამ აღთქმით ქართველი ერი ყველა ქრისტესმოყვარე ერის მსგავსად უფლის რჩეულ ერად იქცა. ამ სიყვარულის ნიშნად პირველ საუკუნეშივე ქართველმა ერმა მიიღო ზეცით ქსოვილი კვართი უფლისა, ერთიანი, მთლიანი და დაუნაწევრებელი, ნიშნად იმისა, რომ “სახეპურო ქართველი ერი“ მის წიაღში შენახული კვართის მსგავსად მთლიანი და დაუნაწევრებელი დარჩებოდა, თუკი ქრისტიანობას დაიცავდა.

ელოდნენ თუ არა საქართველოში მესიის მოსვლას, ჰქონდათ თუ არა ქართველთა წინაპრებს ცოდნა მხსნელის შესახებ ანდა მისი მოლოდინი?

როგორც ძველ ქართველ საეკლესიო მწერალთა თხზულებებიდან ჩანს, როგორც I, ასევე III-IV სს-ში ჩვენში არამარტო ასეთი სახის ცოდნა, არამედ მისი სარწმუნოებრივი განცდაც არსებობდა. ამაზე I ს-ში ელიოზის დედის, ხოლო შემდეგში პირველი ქრისტიანი მეფის, მოციქულთასწორ მირიანის მაგალითიც მეტყველებს.

როგორც ცნობილია, უფლის ჯვარცმას საქართველოდან ებრაელები ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი დაესწრნენ. იერუსალიმში უფლის ჯვარზე მიმსჭვალვა, წერს ჩვენი მემატიანე, მცხეთაში ელიოზის დედამ განიცადა და ხმამაღალი მოთქმით წარმოთქვა სიტყვები, რომლებიდანაც ჩანს, რომ მხსნელის მოლოდინი იმაშინდელ საქართველოშიც ჰქონდათ: “მშვიდობით, მეფობაო ისრაელისაო, რამეთუ უგუნურებით მოკალით უფალი და მაცხოვარი ყოველთა და იქმენით ბოროტად მკვლელ შემოქმედისა თქუენისა“ (“ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 37). მხსნელის განცდა ჰქონია არა მხოლოდ ელიოზის დედას, არამედ მის დას, მთელ მის ოჯახსა და საერთოდ საქართველოში ძველი აღთქმის მიმდევარ მთელ საზოგადოებას. ისე ძლიერი ყოფილა ეს განცდა, რომ ელიოზ მცხეთელის მიერ მცხეთაში ჩამოსვენებული უფლის კვართი მისმა დამკერდში ჩაიკრა და სული განუტევა - “მეყვსეულად სულნი წარხდეს ნეტარსა მას დედაკაცსა სამ-სახეთა მათ მიზეზთათვის: პირველ უკუე უფლისა სიკუდილისა და ვნებისა მისისათვის, მეორედ რამეთუ ეზიარა ძმა იგი მისი სისხლსა უფლისასა, ხოლო მესამე, ვინაითგან მოეხსენა დედისაცა თვისისა სიკუდილი“ (იქვე, გვ. 37).

მცხეთაში და საერთოდ საქართველოში, სადაც ინახებოდა ძველი აღთქმის უდიდესი სიწმიდე - ილია წინასწარმეტყველის ხალენი და სადაც იყო დიდი კოლონია ებრაელებისა, ცხადია უნდა არსებებოდა ცოდნა მესიის შესახებ და მისი მოლოდინი.

გარდა ამისა, საქართველოში გარკვეულწილად გავრცელებული ყოფილა ცეცხლთაყვანისმცემლობა ანუ ზოროასტრიზმი და მისი განშტოება მითრიაზმი. ეს იყო მსოფლიოში ერთადერთი რელიგია, რომელიც იცნობდა მესიანიზმს (იგულისხმება ბიბლიის გარე სამყარო). ისრაელის წინასწარმეტყველთა გარდა მხოლოდ მაზდეანობას სწამდა მომავალი სუფევა უფლისა და მოელოდა ამქვეყნად მსოფლიოს მსხნელის მოსვლას. ამიტომაც მიიჩნევა, რომ “სულიწმიდა, რომელიც ჰქრის იქ, სადაც სურს“, ბიბლიისგარე სამყაროშიც ამზადებდა ხალხებს მაცხოვრის მისაღებად. მართლაც, ამქვეყნად ჩვენი მაცხოვრის მოვლინების შემდეგ ზარატუშტრას მოძღვრებამ მისია ამოწურა და რამდენიმე საუკუნის მანძილზე მხოლოდ ინერციით არსებობდა, საქართველოში მან ადგილი ქრისტიანობას დაუთმო. მსხნელის მოლოდინის გამო ზარატუშტრას ქურუმები - მოგვები - მივიდნენ პირველნი ჩვენი მაცხოვრის იესოს შობისას მის თაყვანსაცემად.

ყოველივე ზემოთქმული საინტერესოა “ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილის განსამარტებლად, საიდანაც ჩანს, რომ მეფე მირიანი და, ცხადია, ქართული სამყარო III-IV სს-ში მესიის მოსვლის შესახებ განსაკუთრებულ ცოდნას ფლობდნენ.

წმიდა ნინოს ქადაგებათა და სასწაულთა აღსრულების შემდეგ “მირიან მეფე განკვირდა და იწყო გამოძიებად სჯულისა ქრისტესისა და მრავალგზის ჰკითხავნ ჰურიაყოფილსა მას აბიათარს ძუელთა და ახალთა წიგნთასა და იგი აუწყებდა ყოველსა. და წიგნიცა, რომელი ჰქონდა მირიან მეფესა ნებროთისი, მას წიგნსა შინა პოვა წერილი ესრეთ: “...უკანასკნელთა ჟამთა მოვიდეს მეუფე იგი ცისა... მან გიხილოს ჭირსა შინა და გისხნეს შენ“ (“ქართლის ცხოვრება“. I, გვ. 105). “ჰურია-ყოფილი“ ეწოდება აბიათარს, რომელიც წმიდა ნინოს მიერ გაქრისტიანებულია და იუდაური სარწმუნოება დაუტოვებია. მას, როგორც ძველი აღთქმის მღვდელს, ცოდნია ძველი აღთქმის წიგნები, მაგრამ გაქრისტიანების შემდეგ ახალი აღთქმის იმ დროს არსებულ წიგნებსაც გასცნობია. ამიტომაც მეფემ მისგან მრავალჯერ გამოიკითხა ცნობები “ძუელთა და ახალთა წიგნთასა“. მეფე მირიანს, რომელიც მანამდე ცეცხლთაყვანისმცემელი ყოფილა, “ნებროთის წიგნიც“ ჰქონია. ეს უნდა ყოფილიყო არა ძველი აღთქმის აპოკრიფი, არამედ სწორედ ზოროასტრიზმის სულიერი ცოდნის შემცველი “სპარსების წმიდა წიგნი“ ავესტა, რომელსაც ზოგჯერ ირანულ ბიბლიასაც უწოდებენ. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ “ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლისეულ ვარიანტში ქართველთა ცხოვრების აღმწერელ თხზულებას წინ უძღვის მსოფლიო ისტორიისადმი მიძღვნილი ნაკვეთი, რომელშიც ნებროთი ცეცხლთაყვანისმცემლად და მის ერთ-ერთ მოძღვრადაა გამოყვანილი.

მაშასადამე, წმიდა ნინოს სასწაულთა შემდგომ მეფე მირიანი საგანგებოდ გაეცნო ძველი და ახალი აღთქმის უმთავრეს იდეას და ცეცხლთაყვანისმცემლური სარწმუნოების ძირითად თვალსაზრისთან შეადარა. ამის შემდგომ, წერს მემბტიანე, “გულისხმა ყო მეფემან მირიან, რამეთუ ძუელნი წიგნი და ახალნი ეწამებოდეს და ნებროთის წიგნიცა დაამტკიცებდა და შეექმნა სურვილი ქრისტეს ჯულისა“ (“ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 105).

რას “ეწამებოდნენ“ ანუ ამტკიცებდნენ “ძუელნი და ახალნი წიგნი“? რა თქმა უნდა, წინასწარმეტყველებას მესიის მოსვლის შესახებ, რომელსაც “დაამტკიცებდა“ ანუ ეთანხმებოდა “ნებროთის წიგნი“. ამან სულიერად შეძრა მეფე მირიანი და ხელი შეუწყო მის გაქრისტიანებას.

სამეფო ოჯახში “ნებროთის წიგნის“ არსებობის შესახებ მოგვითხრობს არა მხოლოდ ლეონტი, მროველი ეპისკოპოსი, არამედ სხვა ისტორიკოსიც - ჯუანშერიც, რომელიც ვახტანგ გორგასლის მატანეში მეფე ვახტანგს ათქმევინებს - “მამათა ჩვენთა ფარულად ეპყრა წიგნი ესე“. უნდა დავასკვნათ, რომ III-IV სს-ში ქართველი ერის საუკეთესო ნაწილს გაგებულნი ჰქონდა მესიის მოსალოდნელი მოსვლის შესახებ.

ესაიას წინასწარმეტყველებაში ვკითხულობთ: “გუმღერებ ჩემს შეყვარებულს სიყვარულის სიმღერას მის ვენახზე: ჰქონდა ვენახი ნაყოფიერ გორაკზე ჩემს შეყვარებულს, დაბარა, ქვები მოაცალა, ჩაყარა წითელი ვაზი, ჩადგა კოშკი მის შუაგულში, საწნახელიც ამოკვეთა იქ და დაელოდა ვიდრე სავსე მტევნებს გამოიღებდა“ (ესაია, 5:1-2).

ვაზის “სავსე მტევნებში“ ის იგულისხმება, რომ უფლის ამქვეყნად მობრძანების ჟამს იგი მის ერს ვითარცა ღმერთი და მესია უნდა მიეღო, მაგრამ “სავსე მტევნების“ გამოიმღებნი ქართველი და სხვა ქრისტიანი ერები აღმოჩნდნენ, რომელთაც შეიყვარეს ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე, და დაიცვეს სარწმუნოება საუკუნეთა მანძილზე.

თავი I. I-III საუკუნეები

სახელწოდება და მიმართულება ქართული ეკლესიისა

ქართულ ეკლესიას უწოდებენ “საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას“, მაგრამ მას უბევლესი დროიდან XVIII ს-ის ჩათვლით “საქართველოს სამოციქულო ეკლესია“ ერქვა. ამის დამამტკიცებელი მაგალითების მოყვანამდე უნდა ითქვას, რომ საქართველოს სამოციქულო ეკ-

ლესია თავისი არსებობის პირველი დღიდან მართლმადიდებლურია. წმიდა მეფის დავით აღმაშენებლის დროს მოწვეულმა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ (1103 წ.), რომელმაც ერთგვარად შეაჯამა ჩვენი ეკლესიის ცხოვრება, აღნიშნა, რომ კრება ქართველთა სარწმუნოებაში შეჭრილი რაიმე ბიწისათვის კი არ იყო მოწვეული, არამედ საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად.

ბიზანტიის იმპერატორს კონსტანტინე დუკისს (1059-1067) სურდა, შეეტყო გიორგი მთაწმინდელისაგან, მსოფლიოს რომელი ეკლესია იყო ჭეშმარიტად მართლმადიდებლური. მსოფლიო ეკლესიის მნათობმა გიორგი მთაწმინდელმა ერთმანეთს შეუდარა ქართული, ბერძნული, რომისა და სომხური ეკლესიები და იმპერატორს უპასუხა, რომ მსოფლიოს ეკლესიათა შორის ქართული ეკლესია ყველაზე მართლმადიდებლური იყო, რადგანაც უბიწოდ დაიცვა მოციქულთა სწავლება, არასოდეს შეუბღალავს წინათ, და ამჟამადაც იცავს: “რაჟამს ერთგვის გვიცნობიეს, არღარა მიდრეკილი ვართ მარცხულ, გინა მარჯულ და არცა მივიდრიკებით, თუ ღმერთსა უნდეს.”

ბიზანტიის იმპერიის დაცემამ ბერძნული ეკლესია დაასუსტა. მიუხედავად ამისა, ამ ეკლესიამ თავისი სარწმუნოებრივი უპირატესობა “რომის კათოლიკე” ეკლესიის წინაშე იმით გამოხატა, რომ ოფიციალურად თავის თავს უწოდა “ორთოდოქსული” ანუ სწორი, მართლმადიდებლური ეკლესია. ამის შემდეგ XI-XIV სს-დან ბერძნული ორიენტაციის ყველა ახლად დაარსებული ადგილობრივი ავტოკეფალური ეკლესია თავის თავს ორთოდოქსულს, ანუ “მართლმადიდებელურს” უწოდებდა. XX ს-ში “რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის” სახელწოდების მსგავსად ქართულ ეკლესიასაც “საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია” ეწოდა, თუმცა ქართული ეკლესია არის არა ახალი, არამედ მოციქულთა მიერ დაარსებული უძველესი ეკლესია, რომელიც თავისი არსით ყოველთვის მართლმადიდებლური იყო.

ჩვენამდე მოღწეული საბუთებით ქართულ ეკლესიას ან “საქართველოს კათოლიკე სამოციქულო ეკლესია”, “მცხეთის კათოლიკე სამოციქულო ეკლესია”, ანდა სიმარტივისათვის ზოგჯერ “სვეტიცხოვლის კათოლიკე სამოციქულო ეკლესია” ეწოდებოდა. აქვე განვმარტავთ, რომ “კათოლიკე” - ბერძნული სიტყვაა და საყოველთაოს ნიშნავს.

## საქართველო მოციქულთა დროს

ჩვენს ქვეყანაში წმ. ანდრიასა და სხვა მოციქულების მოღვაწეობა და ქადაგება ძველად უეჭველ ჭეშმარიტებად იყო აღიარებული.

ახალ დროში, განსაკუთრებით XX ს-ის დამდეგს, წმიდა ანდრიას საქართველოში ქადაგება ლეგენდად გამოცხადდა. ამის ერთ-ერთ არგუმენტად ის მიიჩნდათ, რომ იბერია უმნიშვნელო ქვეყანა იყო, რომელსაც მოციქულთა ყურადღების მიპყრობა არ შეეძლო. სინამდვილეში, I ს-ის 30-იანი წლებიდან II ს-ის 60-იანი წლების ჩათვლით, ესე იგი მოციქულთა ეპოქაში, იბერია ძლიერი სახელმწიფო იყო, რომელიც ფაქტიურად მთელ ამიერკავკასიას მოიცავდა.

I-II სს-ის საქართველოს სიდიადითა და სიძლიერით მხოლოდ დავით აღმაშენებლისა და თამარის დროინდელი საქართველო თუ შეედრება. ამიტომაც რომელიც ისტორიკოსები ტაციტუსი (დაახლოებით 55-116 წწ.), დიონ კასიუსი (დაახლოებით 153-235 წწ.) და სხვები სიამოვნებით უთმობდნენ თავიანთ თხზულებებში ადგილს იბერიის სისხლსავე ცხოვრების აღწერას, ხოლო შუა საუკუნეთა ევროპელები ანტიკური დროის იბერიას უკეთ იცნობდნენ, ვიდრე თავიანთი დროის საქართველოს.

I-II სს-ში სამი სახელმწიფო - რომი, იბერია და პართია (სპარსეთი) ერთმანეთს ეცილებოდნენ, ვრცელ ტერიტორიას ამიერკავკასიის სამხრეთით. იბერია ისე გაძლიერებული იყო, რომ შეეძლო რომაელთა დახმარების გარეშე დაემარცხებინა პართიის სახელმწიფო. რამდენჯერმე ასეც მოხდა. ამიტომ რომს იბერიის მეტისმეტი გაძლიერების ეშინოდა.

იმპერატორმა ავგუსტუსმა (ძვ.წ. 43 - ახ. წ. 14), რომლის დროსაც წმიდა სახარების მიხედვით, იშვა ჩვენი უფალი და მაცხოვარი იესო ქრისტე, საფუძველი დაუდო მეგობრულ ურთიერთობას რომის იმპერიასა და იბერიის სამეფოს შორის. მეგობრობამ, რომელიც I-II სს-თა მანძილზე გრძელდებოდა, გააძლიერა და განაღვიდა იბერია.

ძველ ისტორიკოსთა ცნობებს იბერიის შესახებ ადასტურებენ არქეოლოგები, რომლებიც რწმუნდებიან, რომ ქართველ ერს, თუ თამარის ეპოქას არ ვიგულისხმებთ, ასეთი მდიდარი და ბრწყინვალე სახელმწიფო არასოდეს ჰქონია.

I-II სს-ში იბერიის საზღვრები იცვლებოდა, მაგრამ ძირითადად დასავლეთით იგი შავ ზღვამდე აღწევდა, ხოლო აღმოსავლეთით ალბანეთი და ასევე სომხეთიც მისი გავლენის სფეროში შედიოდა. რაც შეეხება კავკასიის გადაღმა მოსახლე ალანებსა და სარმატებს, იბერია მათ საგარეო ომებში თავისი საჭიროებისამებრ იყენებდა.

არქეოლოგიური შესწავლა საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და ბეჭითებით ადასტურებს, რომ დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მოციქულთა ეპოქაში ერთიანი კულტურა ჰქონდა და რომ საქართველო მოციქულთა ეპოქამდე განვითარებული ქვეყანა ყოფილა, რომელიც შემდეგ საუკუნეებში კიდევ უფრო გაძლიერდა.

ცნობილია, რომ რომის იმპერატორმა ანტონინუს პიუსმა (133-161) იბერიის მეფე ფარსმან II რომში მიიწვია. დედაქალაქში მას სახეიმო შეხვედრა მოუწვეს. დიონ კასიუსის მიხედვით იმპე-



რატორს “გაუფართოვებია მისი სამფლობელო. საპატიო ქართველ სტუმარს ნება დართეს, მსხვერპლი შეეწირა კაპიტოლიუმში. იმპერატორი დასწრებია ფარსმანის, მისი ძისა და სხვა ქართველი დიდებულების სამხედრო ვარჯიშს. რომში დაიდგა ფარსმანის ცხენოსანი ქანდაკება. ანტონიუს პიუსის ბიოგრაფის იულიუს კაპიტოლინის მიხედვით ფარსმანის რომში ჩასვლა იმპერატორის პატივისცემად იქნა მიხნეული“.

როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტიდან ჩანს, საქართველო მოციქულთა ეპოქაში, I-II სს-ში მტკიცე და ძლიერი ქვეყანა იყო. ჰქონდა გაფართოებული საზღვრები, გახლდათ სიმდიდრით სახელგანთქმული, ეკონომიკური ცხოვრებით, მაღალგანვითარებული საზოგადოებრივი ურთიერთობით დაწინაურებული. საქართველოზე საერთაშორისო სავაჭრო გზები გადიოდა. ქართლის დედაქალაქი მცხეთა არა მარტო დიდი სტრატეგიული გზების, არამედ სავაჭრო გზების გადაკვეთაზეც მდებარეობდა.

რომაული საგზაო რუკა “ტაბულა პეუტენგერიანი“ IV ს-შია შედგენილი, მაგრამ იგი I-II სს-ის მასალებს ეყრდნობა. როგორც ამ რუკიდან და “ქართლის ცხოვრებიდან“ ჩანს, ანდრია პირველწოდებული საქართველოში შემოსულა იმ გზით, რომელიც ოძრხედან (აბასთუმანი) მიდიოდა შიდა საქართველოში და სებასტოპოლისში (სოხუმში) მთავრდებოდა. ოძრხედან ეს გზა არა მარტო კლარჯეთსა, შიდა ქართლსა და ტაოში მიემართებოდა, არამედ უერთდებოდა ტრაპეზუნტსაც, საიდანაც პირველი მოგზაურობის დროს შემოვიდა მოციქული ანდრია, ხოლო სხვა მოგზაურობის დროს მას ტაოს გზითაც უსარგებლდა.

მოციქულთა ეპოქის საქართველოს ბრწყინვალეობა და სიდიადე არ ასახა “ქართლის ცხოვრებამ“, რადგან მისი ერთი ნაწილი VI-VII სს-ში, იმ დროსაა რედაქტირებული, როცა საქართველოს თავისუფლება დაკარგული ჰქონდა, სახელმწიფოებრიობა გაუქმებული იყო და ქვეყანაში სპარსეთი ბატონობდა, რომელიც მონოფიზიტებს უჭერდა მხარს.

#### წმ. ანდრიასა და სხვა მოციქულების ქადაგება საქართველოში

უფალმა იესო ქრისტემ თავისი ამქვეყნიური მოღვაწეობის დროს ისრაელის სიწმიდით რჩეული პირები დაიმოწაფა. მათ შორის პირველად გამოარჩია ანდრია, რომელსაც მოუწოდა ანუ მოუხმო მისი მოწაფე ყოფილიყო. ანდრიამ შემდგომ თავის ძმას პეტრეს უამბო ქრისტეს ღვაწლის შესახებ და პეტრეც იესო ქრისტეს მოწაფე გახდა. მოწაფეთა შორის პირველმა პეტრემ შეიცნო, რომ მისი მოძღვარი იესო იყო სწორედ ის “მაცხოვარი“, რომელსაც ელოდა მთელი იმუჰამინდელი პალესტინა და აღმოსავლეთი, და რომელსაც უნდა ეხსნა კაცობრიობა, კერძოდ შეერიგებინა უფალი დემეტრი და კაცთა მოდგმა. ადამის ცოდვის გამო ხომ კაცობრიობამ, ცოდვებში მცხოვრებმა, განარისხა უფალი. ამიტომ დაუძღვევლი კედელი აღიმართა ღვთის მადლსა და კაცობრიობას შორის და კაცობრიობას ისევ ღვთისაგან ესაჭიროებოდა შემწეობა, გამოსხნა პირველი ცოდვის ანუ ეშმაკის ბორკილისგან. ამიტომაც ინება ყოველადწმიდა სამების მეორე წვერმა განკაცება და ეს იყო იესო ქრისტე, რაც პირველად ამოიცნო პეტრე მოციქულმა.

წმიდა ანდრია მოციქულმა არა მარტო გააქრისტიანა ქართველები, არამედ პირველი ქართული საეპისკოპოსოც დააარსა ქალაქ აწყურში. იქ დანიშნა ეპისკოპოსი და დატოვა რამდენიმე მღვდელი და დიაკონი. ფაქტიურად ეს იყო შექმნა ქართული ეკლესიისა თავისი იერარქიით.

ანდრია მოციქულმა შემდეგი მოგზაურობის დროს, I სს-ის 30-იან წლებში, საქართველოში სხვა მოციქულებიც ჩამოიყვანა, კერძოდ, მესამე მოგზაურობისას მას მოციქულები სვიმონ კანანელი და მატათა ჩამოუყვანია. ამის შესახებ ცნობას ეპიფანე კონსტანტინოპოლელი (VIII ს.) იძლევა. ამ ორი მოციქულის ორის საფლავი ახლაც საქართველოშია: სვიმეონ კანანელისა - ახალ ათონში და მატათასი - ბათუმთან ახლოს, გონიოს ციხესიმაგრეში.

გარდა ზემოთ დასახელებული მოციქულებისა, საქართველოში სხვა მოციქულებსაც უმოდ-ვაწიათ. ეფრემ მცირე ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით წერდა, რომ ჩვენს ქვეყანაში იქადაგა მოციქულმა ბართლომემ. ამ აზრს იცავს არქანჯელო ლამბერტიც. ხოლო XVI ს-ის ერთი სლავური წყარო ქართულ ეკლესიას თომა მოციქულის მიერ დაარსებულად მიიჩნევს.

მოციქულების მიერ დაარსებული ყველა ეკლესია, სადაც უნდა ყოფილიყო ის, ავტოკეფალური (დამოუკიდებელი) იყო. ამიტომ ქართული ეკლესიაც დაარსებიდან ავტოკეფალურია.

#### წმ. ანდრიას მიმოსვლა საქართველოში

უფალმა იესო ქრისტემ ზეცად ამაღლების დროს თავის მოწაფეებს უბრძანა: “წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი“. ე.ი. მისი მოწაფენი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უნდა წასულიყვნენ და ქრისტიანული სარწმუნოება ექადაგათ. ამიტომ ისინი ქრისტეს წარგზავნილებად ანუ “მოციქულებად“ იწოდნენ. ხოლო რადგანაც არ იცოდნენ, სახელდობრ რომელ კონკრეტულ ქვეყანაში უნდა წასულიყვნენ, წილი ყარეს. ფურცლებზე ანუ “ქარტაზე“ დაწერეს სხვადასხვა ქვეყნის სახელი და, ვისაც რომელი ქვეყანა შეხვდებოდა, იქ გაემგზავრებოდა საქადაგებლად. წილისყრაში მონაწილეობდა ყოველადწმიდა ღვთისმშობელი მარიამიც. მას წილად ხვდა ქარტა, რომელზეც ეწერა “ივერია“. მოემზადა კიდევ საქართველოში გამოსამგზავ-

რებლად, მაგრამ გამოეცხადა იესო ქრისტე და უთხრა, შენი მიძინების უამმა (ე.ი. ზეცად ამდღების დრომ) მოაწია (მოახლოვდა), ამიტომ საქართველოში შენს ნაცვლად ანდრია პირველწოდებული გაგზავნე, ქართველ ერს კი მე ვუპატრონებ საუკუნეთა დასასრულამდე, ხოლო ივერია ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად იწოდებაო.

ამიტომ ქომაგობდა ღვთისმშობელი ქართველ ერს, ქართულ ენას და საქართველოს ეკლესიას.

ანდრია მოციქული პირველად ქალაქ ტრაპიზონში მოვიდა. “ქართლის ცხოვრება“ ამ ქალაქის სანახებს მეგრულთა ქვეყანას უწოდებს. შემდეგ ანდრია მოციქული შევიდა დიდაჭარაში და დაიწყო სახარების ქადაგება. მრავალი ჭირი და განსაცდელი შეხვდა მას. იქ, სადაც წმინდა ხატი დაასვენა, წყარომ გამოჩქევა. იქაურმა ქართველებმა ღმრთისმშობლის სახელზე ეკლესია ააშენეს, რომელშიც ღმრთისმშობლის ხატის პირი იქნა დაბრძანებული (იმ ადგილას ახლა მღებარეობს სოფელი “დიდაჭარა“).

ამის შემდეგ ანდრიამ გამოვლო მთა, რომელსაც რკინის ჯვარი ეწოდება, ჩაიარა მდ. ოძრხის ხევი (ამჟამინდელი აბასთუმნის რაიონი) და სოფელ ზადენ-გორაში მივიდა, სადაც ლოცვის ძალით კერპები დაამხო. ამის შემდეგ ჩავიდა სოფელ აწყვერში, რომელსაც სოსანიგეთი ეწოდებოდა. აქ ქვრივ დედაკაცს - სამიფარს ერთადერთი მკვდარი ვაჟი გაუცოცხლა. ამ სასწაულის შედეგად მთელი მხარე ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოიქცა და სიხარულით მოინათლა. ანდრიამ მათ ეპისკოპოსი, მღვდლები და დიაკვნები დაუდგინა და დიდი თხოვნის შემდეგ ღმრთისმშობლის ხელთუქმნელი ხატიც დაუტოვა. ამის შემდეგ საქართველოს სხვა კუთხეებშიც მოიარა, ქადაგებით ჩავიდა ტაოში, მდინარე ჭოროხამდე, აქედან კი შიდა ქართლში გაემგზავრა და შემდეგ ეგრისის გზით სვანეთს ჩავიდა. მოციქული მატათა სხვა მოწაფეებთან ერთად ამ მხარეებში დარჩა, ხოლო ანდრია სვიმონ კანანელთან ერთად აღანიში გაემგზავრა, სადაც მათ მრავალი მოაქციეს. აქედან ისინი უკან დაბრუნდნენ და აფხაზეთში შევიდნენ, მივიდნენ სებასტოპოლში, რომელსაც ცხუმი ეწოდება. აქ ნეტარმა ანდრიამ დატოვა სვიმონ კანანელი სხვა მოწაფეებთან ერთად და თავად ჯიქეთში გადავიდა. ჯიქეთში მისი არ შეისმინეს, ამიტომ დატოვა ეს მხარე და წავიდა.

სხვადასხვა დროის ისტორიკოსთა ცნობები გვიდასტურებს, რომ საქართველოში უქადაგიათ მოციქულებს: ანდრიას, სვიმონს, მატათას, ბართლომეს, თომასა და თადეოსს.

თორმეტ მოციქულთაგან ექვსი მოციქულის საქართველოში ქადაგება გასაოცრად არ მოგვეჩვენება, თუ გავისხენებთ, რომ იბერიის სახელმწიფო მოციქულთა დროს მოიცავდა მთელ კავკასიას - ალბანეთს, სომხეთს და მცირე აზიის პროვინციებს პართიამდე. მის ხელში იყო არა მარტო ჩრდილო კავკასია და სარმატიისაკენ მიმავალი გზები, არამედ პართიისაკენ მიმავალი გზაც. გარდა ამისა, მცირე აზიის ის მხარე, რომელთაც შემდგომ პონტოს დიოცეზი ეწოდა, ქართველებით იყო დასახლებული.

#### მოციქულთა მიერ დაარსებული პირველი ავტოკეფალური ეკლესიები

ქართული ეკლესიის მღვდელმთავრები დიდი ჩამოლოცვის, პურის კურთხევის, ან სხვა მსგავსი ლოცვის დროს ვალდებულნი არიან, მოისხენონ ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი, ბართლომე და თადეოზი, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩამოთვლლ მოციქულებს საუკუნეთა მაძინლზე ქართული ეკლესია საქართველოს განმანათლებლებად მიიჩნევდა. საქართველოში არა მარტო 12 მოციქულთაგან, არამედ 70 მოციქულთაგანაც ყოფილან და უქადაგიათ

ლათინ ისტორიკოსთა ცნობით II-III სს-შიც საქართველო სამისიონერო ასპარეზი ყოფილა და მსოფლიო ქრისტიანული ცენტრები ყურადღებას არ აკლებდნენ მას.

პირველი ქართული ეკლესია, რომელიც თვით მოციქულებმა დააარსეს, უწყვეტად არსებობდა, თუმცა ქრისტიანობა I-III სს-ში არ იქცა იბერიის სახელმწიფო სარწმუნოებად, ისევე როგორც რომის იმპერიაში, რადგანაც წარმართული სარწმუნოება კვლავ ძლიერი იყო.

ქართული ეკლესია სამოციქულოა, მოციქულთა მიერ დაარსებული, მაგრამ ეს არ აძლევს მას, როგორც სხვა სამოციქულო ეკლესიებს, რაიმე უპირატესობას სხვა ადგილობრივ ეკლესიებთან შედარებით. მართლმადიდებელი ეკლესია, მიუხედავად იმისა, რომ დაყოფილია რამდენიმე თავისთავად ანუ ავტოკეფალურ ეკლესიად, შეადგენს ერთ წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიას. I-III სს-ში მოციქულთა მიერ დაარსებული ეკლესიები საერთო მიწიერ ცენტრს არ ექვემდებარებოდნენ და ყოველ ეკლესიას თავისი საეპისკოპოსო მმართველობა ჰქონდა. მთელ დედამიწაზე გაბნეულმა მოციქულებმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად (მაგრამ ერთობის სახელით) დააარსეს ეკლესიები, რომელნიც სამართავად ეპისკოპოსებს გადასცეს და ისინიც ისევე დამოუკიდებლად მოქმედებდნენ ეკლესიის შიგნით, როგორც მოციქულები.

ამ პირველ, სხვადასხვა ნაციონალურ ეკლესიას შეეხება მოციქულთა 34-ე კანონი, რომლის მიხედვით ადგილობრივი ეკლესიის ყოველი საქმე წყდება მის ეპისკოპოსთა კრების მიერ, ე.ი. არ არსებობს ეკლესიათა საერთო მიწიერი ცენტრი, რომელსაც უნდა დაექვემდებაროს ყველა ეკლესია. მოციქულებმა არა მარტ დააარსეს ეკლესიები, არამედ მათი ავტოკეფალურობის დაცვაზეც

იზრუნეს. ამიტომაც დაიცვა III მსოფლიო კრებამ (431 წ. ეფესოში) პატარა კვიპროსის ეკლესიის ავტოკეფალია, როცა დიდი ანტიოქიის ეკლესიას მისი დაქვემდებარება სურდა.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენში ქრისტიანული ეკლესია და მრევლი I ს-იდან უწყვეტად არსებობდა, რასაც არქეოლოგიური მასალებიც ადასტურებს. მაგალითად, არქეოლოგების მიერ მიკვლეულია ჯერ კიდევ წმ. ნინომდე ქრისტიანული მოსახლეობის არსებობის დამადასტურებელი კვალი - II-III სს-თა ქრისტიანული სამარხნი (მცხეთის მიდამოებში, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში), ქრისტიანული ეკლესიის ნაშთი (ნასტაკისში IV საუკუნემდე). მაშასადამე, ქრისტიანული საეკლესიო ორგანიზაცია საქართველოში წმიდა ნინოს მოსვლამდე არსებობდა.

### ქართული ეკლესიის სამწყსო

“ქართლის ცხოვრება“ და სხვა ისტორიული ქრონიკები ამტკიცებენ, რომ სამწყსო ქართული ეკლესიისა I-IV სს-ში ერთიანი ქართველი ერი იყო.

ერი არის მატერიალური და სულიერი კავშირის მქონე მკვიდრი მოსახლეობა, რომლის წევრებიც გარდა ხორციელ-სულიერი ერთობისა, ერთმანეთთან შეკავშირებულნი არიან ისტორიითაც (იგულისხმება ანტიკური და ფეოდალური ეპოქები).

ისმება კითხვა, არსებობდა თუ არა ქართველი ერი, ქართული ეკლესიის მომავალი სამწყსო, ერთიანი ქართული სახელმწიფოს - ქართლის სამეფოს შექმნის ეპოქაში (ქრისტემდე IV-III სს-ში)? ამისათვის უნდა განვსაზღვროთ, ჰქონდათ თუ არა იმდროინდელ ქართულ ტომებს ერისათვის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტები: საერთო ენა, საერთო ტერიტორია, საერთო კულტი - ერთმორწმუნეობა, რაც ფსიქიკური წყობის ერთობასა და სულიერი კულტურის ერთიანობას ნიშნავს, საერთო კულტურა, საერთო ეთნიკური წარმოშობა, განუწყვეტელი ისტორიული კავშირი და საერთო ეკონომიკური კავშირი.

### საერთო ქართული - კონე ენა

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ანუ წმიდა მოციქულების ქადაგებათა დროს, ორი ათასწლეულის მიჯნაზე, I-II საუკუნეებში, ქართველებს ჯერ კიდევ აერთიანებდათ ფუძე ქართული ენა, ცნობილი ენათმეცნიერის გ. მაჭავარიანის კვლევის მიხედვით საერთო ფუძე ქართული ენის დიფერენციაცია ახალი დაწყებული იყო, “ქართულ-ზანური ერთიანი ენის დიფერენციაცია ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე დაიწყო“ (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, 1965, გვ. 17). მაშასადამე, ძველ საქართველოში, მთელ ქვეყანაში მოციქულების მოღვაწეობის დროს ბუნებრივად არსებობდა საერთო ანუ კონე ენა.

როგორც ცნობილია, ყველა ქართულ ტომს თავდაპირველად ჰქონდა ერთი ფუძე ანუ საერთო ენა. მისი დაშლა-დანაწევრება დიალექტებად, ე.ი. სვანურის, ზანურისა (მეგრულ-ლაზურისა) და სალიტერატურო ქართულის ერთმანეთისაგან გამოყოფა მოხდა თანდათანობით, საუკუნეთა მანძილზე. ფუძე ენიდან სვანურის გამოკვეთის შემდეგ ჩამოყალიბებულია ახალი საერთო ენა ე.წ. “ქართულ-ზანური“ ანუ “ზანურ-ქართული“. ეს ერთიანი ენაც შემდეგ დიალექტებად დაშლილა. როგორც ვთქვით გ. მაჭავარიანს ზანურ-ქართული ენობრივი ერთობის დაშლის დასაწყისად I-II საუკუნეები მიაჩნია, გ. კლიმოვს - ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნე (Г. Климов, О глотохронологическом методе датировки распада прязыка, ВЯ, г. М. 1959, стр. 121).

ქრისტიანობა “მწიგნობრული“ სარწმუნოება იყო. წმიდა წიგნების (ძველი და ახალი აღთქმის წიგნების) შინაარსის ცოდნა სავალდებულო გახლდათ მორწმუნეებისათვის, გარდა ამისა პირველი მქადაგებლები, შემდეგ კი საეკლესიო მოღვაწეები ვალდებულნი იყვნენ ხალხისათვის გასაგებ ენაზე წაკითხათ ადგილები წმიდა წიგნებიდან, ხოლო შემდეგ განემარტათ ისინი, ესაუბრათ სარწმუნოებრივ და მორალურ საკითხებზე.

როგორც ვთქვით, მოციქულების ქადაგებათა დროს ჯერ კიდევ მთლიანი გახლდათ საერთო ე.წ. “ზანურ-ქართული ენა“ (ის ჯერ კიდევ არ იყო დაშლილი), საერთოდ კი საერთო ქართული ფუძე ენის დიფერენციაცია ახალი დაწყებული იყო. მაშასადამე, მოციქულებს საქართველოში დახვდათ ენა, რომელიც საერთო იყო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობისათვის. ეს საერთო ენა მათ გადაუქცევიათ საეკლესიო ენად, რომელსაც ამჟამად ეწოდება “ძველი ქართული ენა“. მაშასადამე, ძველი ქართული ენა იყო არა რომელიმე ტომის ენა, არამედ საერთო ფუძე ქართულ ენაზე დაფუძნებული საერთო-სახალხო ენა (აღსანიშნავია, რომ რუსეთის იმპერიასა და საბჭოთა ეპოქაში ქართველი ერის დაშლა-დანაწევრების მიზნით შემუშავებული იქნა თეორია, თითქოსდა ძველი ქართული ენა იყო მხოლოდ შიდა ქართლის მოსახლეობის, ე.წ. ქართის ტომის ენა, რომელიც თითქოსდა შემდგომ გავრცელდა სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში).

ძველი ქართველი მემკვიდრეების მიხედვით ძველი ქართული ენა იმთავითვე, მოციქულთა ეპოქიდანვე იყო ყველა ქართული ტომისათვის საღვთისმსახურო ენა, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. ამიტომაც IV ს-დან XIX-XX საუკუნეებამდე ქრისტიანობის სა-

ხელმწიფო სარწმუნოებად აღიარებიდან, ვიდრე ავტოკეფალიის გაუქმებამდე როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხეში, მათ შორის აფხაზეთსა, სვანეთსა და სამეგრელოში საეკლესიო და სალიტერატურო საჭიროებისათვის მხოლოდ ძველი ქართული ენა გამოიყენებოდა. არც ერთი ადგილობრივი ენაკავი თუ დიალექტი საღვთისმეტყველო მიზნით გამოყენებული არ ყოფილა.

ძველი ქართული საეკლესიო ენა, რომელიც, ამავე დროს, საერთო-სახალხო, სალიტერატურო ენა გახლდათ, ხასიათდებოდა ზოგადეროვნული მთლიანობით, მიუხედავად ქვეყნის დაქსაქსვა-დაყოფისა, არ ამჟღავნებდა ტომობრივ-გეოგრაფიულ მიკერძობებას, არც ენობრივ-სტილისტურად, არც იდეურ-პოლიტიკური თვალსაზრისით, ამიტომ არ არსებობდა აღმოსავლურქართული, სამხრეთქართული და დასავლურქართული ლიტერატურული მიმართულებანი. მთელი ქართული სასულიერო თუ საერო ლიტერატურა (მწერლობა) არსებითად იყო ერთიანი ქართული, საქართველოს რომელ კუთხეშიც არ უნდა შექმნილიყო ესა თუ ის ნაწარმოები და რომელი ქართული ტომის წარმომადგენელიც არ უნდა ყოფილიყო მისი ავტორი. “ეს მოვლენა ლიტერატურის ისტორიაში საყოველთაო ხასიათისა არ არის, ვინაიდან მსოფლიოს ბევრი მოწინავე ლიტერატურის ისტორია ტომობრივ-კუთხური მიმართულებით ვითარდებოდა და ეს მიმართულებანი ღრმა კვალს ტოვებდნენ საერთო-ეროვნული ლიტერატურის განვითარებაზე“ (მ. რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო, 1989, გვ. 472).

ისმის კითხვა: რატომ არ წარმოიქმნა ძველ საქართველოში ლიტერატურის კუთხურ-ტომობრივი მიმართულებანი მაშინ, როცა იშვიათი გამონაკლისის გარდა, ჩვენი ქვეყანა იყო არა ერთიანი სახელმწიფო, არამედ შიდაფეოდალური ომებით მოცული ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული წარმონაქმნები, უფრო მეტად განაწილებულნი უცხო სახელმწიფოთა შორის (იგულისხმება VI-XVIII საუკუნეები)?

ეს კითხვა ძალზე მნიშვნელოვანია. როგორც ითქვა, მსოფლიოს მაღალგანვითარებულმა მრავალმა ერმა თავი ვერ აარიდა კუთხური ლიტერატურის შექმნას. უნდა გაირკვეს, რა იყო მიზეზი იმისა, რომ საქართველოს ნებისმიერ კუთხეში შექმნილი ქართული მწერლობის ძველი საერთო ქართული იყო ენობრივი თვალსაზრისით.

სწორედ ამ საკითხის რკვევას ქრისტიანული არქეოლოგიის მონაცემებზე დაყრდნობით შეეხება ჩვენი თემა. წინასწარ კი უნდა განვაცხადოთ, რომ საქართველოში ქართული საეკლესიო-სალიტერატურო ენის ზოგადეროვნულობა, ერთადერთობა და ყოველისმომცველობა გამოწვეული იყო ქართველი ერის ენობრივი მთლიანობით

საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის დაშლამდე, ე.ი. XV-XVI სს-მდე, მართალია, არსებობდნენ დიალექტები, მაგრამ ისინი ძალზე ახლოს იდგნენ ერთმანეთთან, რითაც ქმნიდნენ ენობრივ მთლიანობას. XVI-XVIII სს-ში კუთხური სახელმწიფოებრივი ერთეულების - ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოების, სხვა სამთავროების წარმოქმნის კვალდაკვალ წარმოიქმნა შესაბამისი დიალექტები. ჩანს, ქართლური, კახური, იმერული და სხვა დიალექტები არიან არა უძველეს დროს წარმოქმნილნი, არამედ ერთიანი საქართველოს დაშლისა და კუთხური სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბების შემდეგ ჩამოყალიბებულნი, ასევე, როგორც ითქვა, კუთხური ქართველური ენებიც შედარებით ახალი წარმონაქმნია. იგულისხმება, რომ საერთო-ქართული ფუძე ენის დაშლა დიალექტურ დონეზე და მისგან ზანურის გამოყოფა მოხდა არა უძველეს დროს ქრისტეშობამდე ათასწლეულებით ადრე, არამედ ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე, მაშინ როცა საფუძველი ეყრებოდა ერთიანი ქართული საეკლესიო-საღვთისმამისაგან ენის შექმნას. ამის შესახებ მიუთითებდა ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილი. იგი წერდა: “ქართულ ერს თავისი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი სამწერლობო ენა ჰქონდა და აქვს, რომელიც მეგრელებისა და სვანებისათვისაც ერთადერთი სამწერლობო და კულტურის ენა იყო და არის ახლაც, რომლის შექმნა-შემუშავებაშიც მეგრელებსა და სვანებსაც თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 1, 1979, გვ. 154).

მაშასადამე, ივ. ჯავახიშვილის მტკიცებით, ქართული სალიტერატურო ენის შექმნა-შემუშავებაში მეგრელებსა და სვანებს თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი, მაგრამ რომელი ხანა იგულისხმება? ცხადია, IV-V საუკუნეები, როდესაც მიმდინარეობდა წმიდა წერილის თარგმნა-გადმოღება ქართულ ენაზე.

შეეძლოთ თუ არა მეგრელებსა და სვანებს IV-V საუკუნეებში ქართული სამწერლობო ენის შექმნა-შემუშავებაში მონაწილეობის მიღება? ამ კითხვასაც პასუხი გაცა ივანე ჯავახიშვილმა. მან დაამტკიცა, რომ ჯერ კიდევ წარმართობის დროს, ანუ IV საუკუნემდე გაცილებით ადრე, ყველა ქართული ტომის მიერ, მათ შორის სამეგრელოსა და სვანეთში წარმართული კერპთმსახურება, ანუ წარმართული ლოცვა-რიტუალი ქართულ ენაზე აღესრულებოდა. ივანე ჯავახიშვილი წერდა: “არამცთუ საზოგადო ქართული, ყველა ქართული ტომისათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც, საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ რომ ამ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონია“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. 1, 1979, გვ. 156).

ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგებამდე ყველა ქართულ ტომს ჰქონდა საერთო სარწმუნოება (წარმართული), საერთო ქართული ენითა და საერთო ტერმინოლოგიით. ამიტომაც უნდა

ვიფიქროთ, რომ ქრისტიანობის პირველი მქადაგებლები საქართველოში ისარგებლებდნენ უკვე არსებული საერთო ქართული საკულტო ენით.

საეკლესიო ლიტურგიკული ენის საფუძვლების ძიების დროს ჩვენ უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ ქრისტიანობის ქადაგების პირველ საუკუნეთა საშუალებანი, რადგანაც არქეოლოგიური მონაპოვრები მიუთითებს, რომ საქართველოში ქრისტიანების რაღაც რაოდენობა უკვე II-III საუკუნეებში ცხოვრობდა. ამაზე წერილობითი წყაროებიც მეტყველებს.

რომის იმპერიასა და სხვაგან არსებული ქრისტიანული თემების ცხოვრებას შეეხება უძველესი ძეგლი “სწავლა თორმეტი მოციქულისა” ანუ დიდაქე. იგი ასახავს II-III საუკუნეთა ყოფას, თუმცა თვითონ ამ ძეგლს IV ს-ის დამდგეით ათარიღებდნენ. ეს ძეგლი ჩვენ გამოგვაღებია II-III საუკუნეთა საქართველოში ქრისტიანული თემების საეკლესიო ენის საკითხების რკვევისას. დიდაქეს ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქრისტიანულ თემში ჟამით-ჟამად უცხო მხრიდან მოდიოდნენ ხოლმე მოსიარულე მოციქულები, წინასწარმეტყველები და მოძღვრები. მათ თემში სამ დღეზე მეტი ხნით დარჩენის უფლება არ ჰქონდათ. მოციქულები ქრისტიანული თემის წევრებს ასე არიგებდნენ მომსვლელთა შესახებ: “ვინც თქვენთან მოვა და გასწავლით... მიიღეთ იგი... თუ მოძღვარი თვითონ მიიქცევა სხვა სწავლებისკენ... არ ისმინოთ მისი” (დიდაქე, XI, 1,2). მოძღვრის მოვალეობა იყო ხალხისათვის სწავლებინა ზეპირი სიტყვით - “სიმართლე და ცოდნა უფალზე”. მრევლის მოვალეობა იყო “მოესმინა მოძღვრის სიტყვა. აქედან ჩანს, რომ პირველქრისტიანთა შორის მოსული მოძღვრები ზეპირი სიტყვის მეშვეობით და არა წერილობითი სახით ქრისტიანებს გადასცემდნენ საქრისტიანო ცოდნას. ეს განსაკუთრებით ითქმის წინასწარმეტყველთა შესახებ, რომელთაც ევალებოდათ ხმამაღალი ქადაგება ცოცხალი სიტყვით. წინასწარმეტყველები “მეტყველებენ”. კერძოდ ესაა, “სულის მიერ მეტყველება” (დიდაქე, XI, 8), ამის გარდა იგი “ასწავლის ჭეშმარიტებას”, ანდა “ასწავლის იმას, რასაც თავად იქმს” (დიდაქე, XI, 11).

რომელი ენით უნდა ექადაგათ საქართველოში ქრისტიან წინასწარმეტყველებს, მოძღვრებსა და მოსიარულე მოციქულებს?

ქრისტიანობის უპირველესი წესით მოციქულებს ყოველ ხალხში ადგილობრივი ენით უნდა ექადაგათ. ეს იყო არა მოციქულთა პირადი სურვილი, არამედ საღმრთო ნება სულიწმიდის მიერ გაცხადებული. ცხადია, II-III საუკუნეებში საქართველოში მცხოვრებ ქრისტიანთა შორის “მოსიარულე მოციქულებს, მოძღვრებსა და წინასწარმეტყველებს” უნდა ექადაგათ ხალხის ენით. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ შეუძლებელია, საქართველოს კუთხიდან კუთხეში, ხევიდან ხევიში მოსიარულე მქადაგებლებს ორ-სამ დღეში შეეთვისებინათ თემის, კუთხის თუ ხევის დიალექტი (ენა), ამიტომ, ცხადია, მქადაგებელთა წინაშე საქართველოში თავიდანვე უნდა დასმულიყო საკითხი, თუ როგორ მოეგვარებინათ ენობრივი პრობლემა ისე, რომ მათი ნათქვამი და ნალოცი სიტყვა ხალხისათვის გასაგები ყოფილიყო. ამიტომაც მქადაგებლებს უნდა გამოეკვლიათ, ჰქონდა თუ არა ამ ხალხს საერთო კოინე ენა ანდა საერთო წმიდა - საღვთისმსახურო ენა, რომელიც ყველას ესმოდა. ასევე მოიქცნენ ისინი ბერძნებთანაც. მათ ბერძნულ დიალექტთა შორის უპირატესობა მიანიჭეს საერთო კოინე ენას, გასაგებს ყველა დიალექტის მქონე ბერძენისათვის და ამ ენაზე არა მხოლოდ გადასცეს სიტყვა, არამედ ჩაწერეს კიდევ წმიდა სახარება.

არსებობდა თუ არა ქართული საერთო წმიდა ენა, ანუ ენა, რომლითაც წარმართულ კულტმსახურებას აღასრულებდნენ ქართველები? როგორც ზემოთ ითქვა, ასეთი ენა არსებობდა და სამეგრელოსა და სვანეთშიც წარმართული საკულტო ცერემონიალი ძველ ქართულ (ანუ საერთო) ენაზე აღესრულებოდა წმიდა ნინოს შემოსვლამდე დიდი ხნით ადრე. სწორედ ეს საერთო საღვთისმეტყველო ქართული ენა უნდა გამოეყენებინათ II-III საუკუნეთა მოსიარულე მოციქულებს, წინასწარმეტყველებსა და მოძღვრებს საქართველოში.

ენათმეცნიერებმა ზოგიერთი ქართული სიტყვის ლინგვისტური ანალიზით გამოარკვეეს, რომ ქრისტიანული სწავლება ჩვენში ვრცელდებოდა ზეპირი გზით. “უძველესი ბერძნული ნასესხობები ქართულში ისტორიულად უშორეს პერიოდთანაა დაკავშირებული... სიტყვები: - ეკლესია, კერუნი, მონაზონი, გუტერი და სხვა ქრისტიანული ეკლესიის უპირველეს წმიდანთა და ანგელოზთა სახელებთან ერთად ის სიტყვებია, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ზეპირი გზითაა გავრცელებული ჩვენში, და, რომელთაც შემდეგ ქრისტიანული ლიტურატურის თარგმანებშიც უცვლელად შეინარჩუნეს ზეპირი გავრცელების ზოგიერთი ნიშანი. პირველ რიგში, ეს ითქმის იმ საკუთარ სახელებზე, რომლებიც ბერძნული წოდებითი ბრუნვის ფორმითაა გადმოცემული ქართულში: იესუ ქრისტე, პავლე, დამიანე და სხვა მრავალი” (ნელი მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის საკითხები, 1978, გვ. 58).

მაშასადამე, ქრისტიანობის ზეპირი გზით გავრცელებისას, I-III საუკუნეებში, ჩამოყალიბდა შესაბამისი ქართული ტერმინოლოგია, ამიტომაც ქრისტიანული ლიტურატურის ქართულ ენაზე თარგმნა, IV-V საუკუნეებში შედარებით გააღვივდა, ამასთანავე ეს ტერმინოლოგია საერთო ფუძე - ქართულ ენასთან დაახლოებული იყო რადგანაც, ჩამოყალიბდა იმ დროს, როდესაც ის-ის იყო იწყებოდა დიფერენციაცია საერთო ზანურ-ქართული ენისა.

საბოლოოდ დავასკვნით, რომ დასავლელ და აღმოსავლელ ქართველთა აქტიური ურთიერთთანამშრომლობის შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყო ის საოცარი ძველი ქართული საეკლესიო-ლიტურგიკული და ამასთანავე სალიტურატურო ენა, რომელიც მოიცავდა სრულიად საქართვე-

ლოში არსებულ დიალექტებს (მათ შორის მეგრულსა და სვანურს) და იქვემდებარებდა მათ. საქართველოში იმ დროისათვის, თითქმის 1600 წლის წინ არსებული დიალექტები ძალზე ახლოს უნდა ყოფილიყვნენ ერთმანეთთან, როგორც ეს მრავალჯერ აღინიშნა, და ერთმანეთისაგან უფრო ნაკლებად დაშორებულნი, ვიდრე ამჟამად არიან. როგორც ცნობილია, ერთ დროს ქართველთა, მეგრელებისა და სვანების ენები ერთ ენობრივ მთლიანობას ქმნიდა და მხოლოდ შემდგომ ათასწლეულთა მანძილზე დაშორდნენ ისინი ერთმანეთს. ფარნავაზის მიერ ერთიანი, დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მომცველი სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ და ახ. წ. II-III საუკუნეებში ქრისტიანობის ქადაგებათა ჟამს, ჩანს, მთელ საქართველოში ჯერ კიდევ ესმოდათ ის ერთიანი ენა, რომელიც საფუძვლად დასდებია წარმართულ კულტურისა და სწავლების ენას, შემდგომ კი ქრისტიანულ ღვთისმსახურებას, ქადაგებას. იმავედ ჯერ კიდევ არსებული ენობრივი ერთობა დაედებოდა საფუძვლად IV ს-ის ბოლოსა და V ს-ის დამდეგს პირველ მთარგმნელთა საქმიანობას. ამ პროცესში, როგორც იოანე ლაზისა და პეტრე იბერიის ურთიერთთანამშრომლობის მაგალითი გვიჩვენებს, მონაწილეობას იღებდა მთელი ქართველი ერის ინტელექტუალური ზედაფენა. სწორედ ასე უნდა გავიგოთ ჩვენ ივანე ჯავახიშვილის ნათქვამი, რომ ქართული სალიტერატურო ენის შექმნა-შემუშავებაში თავიანთი წვლილი შეუტანიათ მეგრელებსა და სვანებს, ე.ი. დასავლეთ საქართველოს ქართველობას. მხოლოდ ამის შედეგი იყო ის, რომ “მეგრელებისა და სვანებისათვის ერთადერთი სამწერლო და კულტურის ენა იყო და არის დღესაც ძველი ქართული ენა“ (ივ. ჯავახიშვილი). ამის შედეგი იყო ისიც, რომ როგორც აღინიშნა, საქართველოში არასოდეს შექმნილა რაიმე თხზულება ანდა უბრალო წარწერებიც კი რომელიმე კუთხურ დიალექტზე. ძველი ქართული სალიტერატურო ენა სინამდვილეში იყო საქართველოს ყველა კუთხის მკვიდრთათვის მშობლიური, უმთავრესი ანუ დედა ენა.

### საერთო ტერიტორია და საერთო სახელმწიფო

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს (“ქართლის სამეფოს”) შექმნამდე ქართული ტომები ცხოვრობდნენ კავკასიაში. ისინი ცხოვრობდნენ მჭიდროდ ერთმანეთის გვერდით, ერთმანეთის მეზობლად. ქართველთა ანუ მესხების, კოლხების (მეგრელებსა და სვანებს), ჰერების, კახელებისა და სხვ. გარდა ამიერკავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ ტერიტორიებზე არც ერთი არაქართული ტომი არ ცხოვრობდა. ქართველი ტომები ტერიტორიულად გაყოფილნი, ერთმანეთისგან დაშორებულ-დაცილებულნი არ ყოფილან არც გეოგრაფიული დაბრკოლებით და არც უცხო არაქართული ტომებით. მათ საერთო წარმოშობისა და სისხლის-მიერი ნათესაობის გარდა აერთიანებდათ საერთო ქართული ენა, საერთო სარწმუნოება. კავკასიაშივე და არა სხვაგან მომხდარა მათი საერთო ფუძე ენის დაშლა, რომელიც მიმდინარეობდა თანდათანობით მრავალი საუკუნის მანძილზე. საერთო ფუძე ენის დაშლამდე შექმნილა ერთიანი სახელმწიფო - “ქართლის სამეფო“. ამ სახელმწიფოში შედიოდნენ როგორც ქართველი, ასევე მეგრელები და სვანები. თუმცა ამ დროს ეს ტომები ახლად იწყებდნენ ერთმანეთისგან გათიშვას. ადრე მათ აერთიანებდათ საერთო ფუძე ენა, საერთო წარმოშობა, ხოლო სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგ მათ, საერთო ტერიტორიაზე მოსახლე ამ ტომებს, აერთიანებდათ საერთო სახელმწიფო.

ძველ ქართული მატრიანებისა (“ქართლის ცხოვრება“, “მოქცევაი ქართლისაი) და ეკლესიის მამათა მიერ გადმოცემული ცნობების მიხედვით მეფე ფარნავაზის ეპოქიდან, ვიდრე XIX საუკუნემდე არსებული საქართველოს სახელმწიფო (და მისი ერთეულები) იმთავითვე იყო შემოქმედი ქართველთა ისტორიისა, როგორც გაქრისტიანებამდე, ისე მის შემდეგ. საქართველოს მმართველთა სახელმწიფოებრივი პოლიტიკა იყო ისტორია ჩვენი ქვეყნისა. ქართველთა გაქრისტიანების შემდეგ ერის მმართველთა წრეს სახელმწიფო და საეკლესიო იერარქები შეადგენდნენ.

საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსები საგანგებოდ ჩქმალავდნენ ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს არსებობას მეფე ფარნავაზის ეპოქიდან და ისინი ფარნავაზს მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მმართველად მიიჩნევდნენ. მათი თვალსაზრისით ერთიანი საქართველოს სახელმწიფო თითქოსდა მხოლოდ XI ს-ის შემდეგ ჩამოყალიბდა, რაც ძველ ქართველ მემკვიდრეთა ცნობების სრული უარყოფა, მათ მიერ გადმოცემული ისტორიის დამახინჯებაა.

ცნობილია, რომ ქართლის ანუ იბერიის სამეფო საკმაოდ მდგრადი პოლიტიკური ერთეული იყო და ის აერთიანებდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს როგორც ქრისტეს შობამდე, ასევე მის შემდეგაც. ამის შესახებ დაუინებით მიგვითითებს როგორც “ქართლის ცხოვრება“ და ძველი ქართული წყაროები, ასევე უცხოური წყაროებიც და არქეოლოგიური მასალაც. რა თქმა უნდა, არსებობდა გამონაკლისი ზოგიერთ საუკუნესა თუ ათწლეულში, მაგრამ ყოველთვის იბერიის სამეფო კვლავ იერთებდა დაკარგულ ნაწილებს. არსებითი და ნიშნული იყო ის, რომ იბერია თითქმის ყოველ საუკუნეში, ქრისტეშობამდე III ს-იდან, ვიდრე ქრისტეს შემდეგ VIII ს-მდე ახერხებდა როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის გაერთიანებას. ამიტომაც დასავლეთი საქართველო, ისევე როგორც აღმოსავლეთი, პოლიტიკურად განიხილებოდა როგორც იბერია. უცხოელი ისტორიკოსები დასავლეთ საქართველოს (ისევე, როგორც აღმოსავლეთს) უწყვეტად

VI-VIII სს-მდე უწოდებდნენ იბერიას. უცხოურ წყაროთა მიხედვით, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას იბერებს უწოდებდნენ. ამას განაპირობებდა ის, რომ ეს ტომები პოლიტიკურად იბერები იყვნენ, ეთნიკურადაც იბერებისაგან (აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობისაგან) არ განსხვავდებოდნენ: საერთო ჰქონდათ ენა, კულტურა, სარწმუნოება, საერთო წარმოშობა - სისხლით ნათესაობა. ამიტომაც დასავლეთი საქართველოც იბერიაა, ხოლო მცხოვრებნი - იბერები.

დასავლეთ საქართველო ანუ “პონტოს ზღვის მარჯვენა მხარე“ იბერებით სახელდებული ქართული ტომებით რომ იყო დასახლებული (კოლხებით, მესხებით და სხვ.), ამას მიუთითებს უძველესი წყაროები. დასამტკიცებლად შეიძლება მოვიყვანოთ ძველი ცნობები:

ევსევი კესარიელი წერს - “მეგასთენე (ძვ.წ. III ს.) ამბობს, რომ ნაბუქოდონოსორმა... მიაღწია... იბერთა ქვეყანაში, აჯობა მათ... ერთი ნაწილი მათგანი გადააადგილა მან პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეზე, იქ დაასახლა“<sup>1</sup> \*1 გეორგიკა, I, 1961, გვ. 30.\*

ბერძნები ანტიკურ პერიოდში შავი ზღვის სანაპიროების აქტიურ კოლონიზაციას ეწოდნენ, ამიტომაც ძველმა სამყარომ ძალზე კარგად იცოდა, რას ეწოდებოდა შავიზღვისპირეთი, კავკასიის სიღრმე, სომხეთის ჩრდილოეთი და კასპიის ზღვა, საერთოდ, ამიერკავკასიის გეოგრაფია. ევსევი კესარიელის ცნობით, ანტიკურ სამყაროში გაერცვლებული ყოფილა თვალსაზრისი, რომ შავი ზღვის მარჯვენა მხარე, ე.ი. კოლხეთი ქრისტემდე III ს-ში დასახლებულია იბერებით, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ აქ მცხოვრებ კოლხებს (მეგრულ-ჭანებსა და სვანებს) ეწოდებოდათ იბერები. “ქართლის ცხოვრებითაც“ ამ დროს დასავლეთი საქართველო ქართლის სამეფოში შედის.

“ძვ.წ. II საუკუნიდან, როდესაც ქართლის სამეფომ სამხრეთით ბევრი ოლქი დაკარგა, დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში, როგორც ჩანს, მისი ძალაუფლება კვლავ ძალაშია“<sup>2</sup>. \*2 ნარკვევები, I, გვ. 473

თუკი ქრისტემდე II ს-ში ძლიერ დასუსტებულ იბერიას დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი არ დაუკარგავს, ცხადია, წინა საუკუნეებში მისი სიძლიერის დროს მთელ დასავლეთ საქართველოზე ექნებოდა ძალაუფლება.

“მარ-აბას-კატინა (I საუკუნე ქრისტემდე)... გადმოგვცემს აბიდენის სიტყვებს: ნაბუქოდონოსორი... შეესია იბერებს... და მათი ნაწილი დაასახლა პონტოს ზღვის მარჯვენა ნაპირებზე“<sup>3</sup>. \*3 შ. ძიძიგური, ბასკები და ქართველები, გვ. 72-73.

ე.ი. I ს-ში ქრისტემდე, ისევე როგორც ადრე, ანტიკურ სამყაროში კვლავ გაერცვლებულია აზრი, რომ იბერები შავი ზღვისპირეთში, ე.ი. კოლხეთში ცხოვრობენ.

I ს-ში სტრაბონი მიუთითებდა, რომ ისტორიკოსთა და მკვლევართა ნაწილი “სვანებს - იბერებს უწოდებდა“, თვით სტრაბონი სვანების ქვეყანას “იბერიას“ უწოდებდა (სტრაბონი, XI, 2,19).

“ახ.წ. I-II საუკუნეებში ქართლი გადაიქცა ძლიერ სახელმწიფოდ, რომელიც ამიერკავკასიისა და მეზობელ მხარეებში პოლიტიკურ ჰეგემონობას ღამობდა“<sup>4</sup>. \*4 ნარკვევები, I, გვ. 570.\* “II ს. აქ... შავი ზღვის სანაპიროზე იბერიას ჰქონდა ფეხი მოკიდებული“<sup>5</sup>. \*5 იქვე, გვ. 555.

მოყვანილი ამონაწერებიდან ჩანს, რომ ქრისტემდე IV ს-ში შექმნილ ქართველთა სამეფოში შედის დასავლეთი საქართველო. ქრისტემდე III ს-ში ეს სამეფო კიდევ უფრო ძლიერდება, მასში, ბუნებრივია, შედის დასავლეთი საქართველო. II ს-ში ქრისტემდე ეს სამეფო სუსტდება და კარგავს თავის სამხრეთ პროვინციებს.

მიუხედავად ამისა, ამ სამეფოში კვლავ შედის დასავლეთი საქართველო. I-II სს-ში ქრისტეს შემდეგ ქართველთა სამეფო ისე ძლიერდება, რომ ჰეგემონობას ცდილობს მთელ ამიერკავკასიაში. ამ დროსაც, ბუნებრივია, მის შემადგენლობაში შედის დასავლეთი საქართველო.

ევსევი კესარიელი (260-340 წწ.) იბერთა საცხოვრის შავი ზღვისკიდეთში განსაზღვრავს.

სოკრატე სქოლასტიკოსი (IV-V ს.) წერს: “...იბერები ცხოვრობენ ევქსინის პონტოსთან“<sup>1</sup> \*1 გეორგიკა, I, გვ. 230.

გელასი კესარიელი (IV ს.) ... მოგვითხრობს: “იმავე ხანებში ღმრთის მცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა...“<sup>2</sup> \*2 იქვე, გვ. 186.

რუფინუსის (გარდ. 410 წ.) თხზულებაში ნათქვამია: “ამავე ხანებში იბერთა ტომმაც, რომელიც ცხოვრობს პონტოს მხარეში, მიიღო ღმრთის მცნების კანონები და ტყვე ქალი...“<sup>3</sup> \*3 იქვე, გვ. 201.

“სამივე ავტორის მიხედვით, იბერები შავი ზღვის სანაპირო არეალში არიან მოქცეულნი“<sup>4</sup> \*4 შ. ძიძიგური, ბასკები და ქართველები, გვ. 20

პროფესორი რობერტ ბლაიხშტაინერი წერს: “დასავლეთ საქართველოს რომაულ ხანაში ეწოდება იბერია“<sup>5</sup>. \*5 იქვე, გვ. 19.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ცნობა ევაგრე პონტოელის შესახებ: “IV საუკუნის ცნობილი მოაზროვნისა და მწერლის ევაგრე პონტოელის ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ევაგრე წარმოშობით პონტოელია - იბერთა ქალაქის მცხოვრები, პალადის შემდგომ V საუკუნის ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ევაგრე ტომით იბერია“<sup>6</sup>. \*6 იქვე, გვ. 18.

იმ დროს პონტოში ცხოვრობდნენ მეგრულ-ლაზური ტომები. სწორედ ამ ლაზ-მეგრელების ზოგადი სახელია იბერები (ქართებთან ერთად). ქართველი და მეგრელები ისეთ გასაოცარ იგივე-

ბას, ერთგვაროვნებას, ეროვნულ ერთობას ამჟღავნებდნენ იმ დროს, რომ თანამედროვე ისტორიკოსები ვარდებიან გამოუვალ, უხერხულ მდგომარეობაში და ვარაუდობენ: "...ეგრები თავდაპირველად შეიძლება დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში, არგვეთსა და მიმდგომ მხარეებში დამკვიდრებულ ქართ-მესხური ტომები იყვნენ". "... "ეგრისი" და "მეგრელი" ("მარგალი") სახელები... არამეგრულ ნაწილს უნდა რქმეოდან". \*7 ნარკვევები, I, გვ. 424.

სინამდვილეში ეგრისელები და მეგრელები, ცხადია, თავიდანვე მეგრელებს ერქვა, მაგრამ ისინი ეთნიკურად ისე ახლოს იყვნენ ე.წ. ქართველთან, რომ ეთნიკურად ერთ მთლიანობას - ერთ ეროვნებას ქმნიდნენ.

დასკვნა: ყველა ქართულ ტომს - ქართველ ხალხს აქვს საერთო ტერიტორია. ფარნავაზ მეფის ეპოქაში გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ მათ ამ საერთო სამშობლოს ეწოდა ქართლი - იბერია. ქართლი ერქვა ქვეყნის როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ ნაწილს. იბერები არიან ამ ქვეყნის მცხოვრებნი, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში, იბერები კი ქართველები არიან.

## უსიქიკური წყობის ერთობა

### 1. საერთო კულტი - ერთმორწმუნეობა

ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია, რომ უძველეს დროს ქრისტიანობის მიღებამდე დიდი ხნით ადრე ქართველებს (ე.წ. ქართვეს, მეგრელებსა და სვანებს) ჰქონიათ საერთო სარწმუნოება - არსებულა საერთო წარმართობა - ერთი სარწმუნოება. ამასთანავე მათი სარწმუნოება ყოფილა ძალზე დახვეწილი და დამუშავებული, შექმნილი ყოფილა საერთო საკულტო ტერმინოლოგია. კულტმსახურებისთვის არსებობდა საერთო ენა. კულტმსახურება ერთ ენაზე სრულდებოდა ქართველთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხესა და თემში.

ქართული მითოლოგია დამუშავებული და დახვეწილი ყოფილა. ამის შესახებ წერს შ. ნუცუბიძე - წყლის "ღმერთი იგრისი" თავდაპირველად მხოლოდ ადგილობრივი კოლხიდელი ღმერთი იყო და მხოლოდ შემდეგ, ქართული მითოლოგიის მთლიანი დამუშავების შედეგად, საერთო-ქართულ პანთეონში შევიდა. \*1 ნარკვევები, I, გვ. 680.

"ქართველი ტომების უძველეს რწმენათა მიმოხილვისას გაირკვა, რომ ...ქართველებშიაც სხვადასხვა ტომთათვის დამახასიათებელ სურათს ეხვედებით. როგორც ირკვევა, "თავისი წილი ღმერთები" ჰყავდათ ცალკე თემებსა და საგვარეულოებს... ამასთანავე, ხალხური გადმოცემები და მდიდარი ეთნოგრაფიული მასალები გვიჩვენებენ, რომ ქართველებს ჰყავდათ საერთო, "დიდი (უფროსი) ღმერთებიცა და სატომო ან სატომთაშორისი ღვთაებებიც"... ახლა, შეიძლება ითქვას, კარგად არის გამორკვეული, რომ იმ დროს ქართულ ასტრალურ პანთეონს სამეფო მეთაურობდა. პირველი მათგანი უფროსად მიჩნეული "უზენაესი ღმერთი" იყო, მეორე - ქალღმერთი მზე ან მზექალი, ხოლო მესამე - კვირია... \*2 \*2 იქვე, გვ. 661.

გარკვეულია არა მარტო საერთო წარმართული პანთეონის "ღმერთები", იერარქიის მაღალ საფეხურზე მდგომნი, არამედ მომდევნო საფეხურზე მდგომი "ღმერთები": "უკვე ამ დროისათვის ქართველთა ყველა ღვთაება ანთროპომორფულ არსებად არის წარმოდგენილი, ამასთანავე, ირკვევა, რომ "უზენაესი ღმერთი - მთვარე ღმერთია, ე.ი. მამა ღმერთია"... კარგად არის გამორკვეული, რომ ოდესღაც ქართულ ტომებს სათავისო "სათემო ღვთაების" გარდა ყველასათვის საერთო რწმენა ჰქონიათ და საერთო ქართული წარმართობაც ყოფილა. ...კვირიას თაყვანისცემასთან დაკავშირებულ სვანურ წესებს წმინდა ქართული წარმართული რწმენის ანარეკლი აქვთ დაცული და თვით სათანადო ფერხულის სიტყვებს მეფერხულე სვანები ქართულად წარმოთქვამდნენ ამ წესების ძველქართულ სახელებთან ერთად. ფერხულის ქართულად წარმოთქმის ჩვეულება, უეჭველია, თავდაპირველი, საერთო ქართული წესის ნაშთი უნდა იყოს ...მეგრელი მეკველე თავის წარმოსათქმელ სიტყვებს მეგრულად კი არა, სწორედ ქართულად ამბობს ხოლმე". მითითებული და კიდევ ბევრი სხვა მონაცემი საფუძველს აძლევდა ივ. ჯავახიშვილს დაესკვნა შემდეგი: "ცხადი ხდება, რომ არამც თუ საზოგადო ქართული, ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ, რომ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონდა". \*1 ნარკვევები, I, გვ. 662.

ანტიკური ხანისთვის ქართველური ტომები კი არ დაშორებიან ერთმანეთს, პირიქით, ქართველთა კონსოლიდაცია გაძლიერებულა. ამის მიზეზი სხვებთან ერთად, იქნებოდა საერთო ქართული სახელმწიფოს არსებობა, საერთო სარწმუნოებისა და აგრეთვე საერთო სალიტერატურო, სახელმწიფო და კულტმსახურების ენის არსებობა.

"ანტიკური ხანისათვის, როდესაც ქართველთა კონსოლიდაციის შემდგომი გაძლიერება შეინიშნებოდა, არ არსებობს საფუძველი რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება ვიგულისხმობ ქართულ წარმართულ პანთეონში". \*2. 2. იქვე, გვ. 662.

ცხადი ხდება, ქართველების მიერ ქრისტიანობის მიღებამდე ქართველებს ჰქონიათ საერთო - ყველა ქართული ტომისათვის ერთი და იგივე სარწმუნოება - საერთო წარმართობა.



ქრისტიანობაც ერთდროულად მიიღეს, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში.

ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში.

წმიდა ნინოსაც მოუქცევია როგორც აღმოსავლეთი, ასევე დასავლეთი საქართველო. ამის შესახებ დაბეჭდვით მიუთითებენ ბერძენ-რომაელი ისტორიკოსები. გელასი კესარიელი წერს - "...იმავე ხანებში ღმრთის მცნება მიიღეს ...იბერებმა და ლაზებმა... ამ უდიდესი სიკეთის მიზეზი გახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან იყო ტყვედ"1. \*1 გეორგიკა, I, გვ. 186.

რუფინუსის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს გამაქრისტიანებელი წმიდა ნინოა. ის წერს: "ამავე ხანებში იბერთა ტომმაც, რომელიც ცხოვრობს პონტოს მხარეში, მიიღო ღვთის მცნების კანონები და ტყვე-ქალი"2. \*2 იქვე, 201

"ქართლის ცხოვრების" მიხედვითაც ასევეა - მირიან მეფე ქრისტიანობას სახელმწიფო სარწმუნოებად აცხადებს მთელ იბერიაში ანუ როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში: "...გარდაიცვალა მირიან მეფე... რომელმან ნათელ-სცა ყოველთა ივერიელთა"3 \*3 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 94.

დასკვნა: ქრისტემდე, IV-III სს-მდე, ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნამდე უკვე არსებულა ყველა ქართული ტომისთვის საერთო სარწმუნოება - საერთო ქართული წარმართობა (სხვათა შორის, ჩანს, ამან ასახვა ჰპოვა "მოქცევაი ქართლისაიში", რომელშიც აღწერილია, რომ ქართველთა სამხრეთ სამშობლოდან "არიან-ქართლიდან" ჩრდილო სამშობლოში გადაადგილებულმა სამეფო არისტოკრატებმა და ქართველთა მეფემ თან წამოიყვანეს თავიანთი "ღმერთები").

## 2. ქართული ტომების საერთო კულტურა

ქართველ ტომთა საერთო კულტურის არსებობა ყოველთვის უეჭველი იყო. ეს იყო ერთიანი ეთნოსის, ერთი ხალხის კულტურა. ჯერ კიდევ საერთო ქართული სახელმწიფოს - იბერიის ანუ ქართლის სამეფოს წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე არსებული ცნობილი კოლხური კულტურაც კი საერთო ქართული კულტურა იყო:

"კოლხური კულტურა" წარმოადგენდა ჯერ კიდევ სუსტად დიფერენცირებული ქართველი ტომების კულტურას"1. \*1. ნარკვევები, I, გვ. 356.\* საერთო-ქართული (კოლხური) კულტურის მემკვიდრე იყო ანტიკური ხანის კულტურა. ამავე დროს ჩამოყალიბდა ერთიანი ქართული სახელმწიფო.

ანტიკურ ხანაში არა თუ შესუსტდა ქართული ეთნოსის ერთიანობა, პირიქით - "ანტიკური ხანისათვის...ქართველთა კონსოლიდაციის შემდგომი გაძლიერება შეინიშნება"2 \*2 იქვე, გვ. 662.

მართლაც, "ქართლის ცხოვრებისა" და სხვა ძველი ქართული წყაროების მიხედვით, ამ დროს, ანტიკურობის პერიოდშივე მემატრიანეთა ცნობით საქართველოს მოსახლეობას ეწოდება "ნათესავით ქართველი". ე.ი. ერთ, გვარ-ტომობით ქართველი. "ქართლის სამეფოს" ყველა მკვიდრი, ადგილობრივი მცხოვრები, იმ დროს "ქართველი" იყო, მიუხედავად იმისა, ქვეყნის აღმოსავლეთ თუ დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდა.

დასკვნა: ანტიკურ ხანაში "ქართველთა კონსოლიდაციის" დროს, ცხადია, კულტურაც საერთოა, ამასვე უჩვენებს დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური შესწავლა.

## 3. ეკონომიკური კავშირი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის

ანტიკურ ეპოქაში, როცა ერთიანი ქართული სახელმწიფო ჩამოყალიბდა, ბერძნები შავი ზღვის სანაპიროების აქტიურ კოლონიზაციას ეწეოდნენ. მათ მრავალი სავაჭრო ქალაქი - პოლისი ჰქონდათ. საქართველოს შავი ზღვისპირეთის ანტიკური ქალაქები ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის ქალაქებია. ვანის და არქეოპოლისის გათხრები მიუთითებს, რა ძლიერ განვითარებული სავაჭრო ქალაქები იყო დასავლეთ საქართველოს ქალაქები. აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური შესწავლა გვიჩვენებს, რომ არა მარტო მცხეთა, არამედ სხვა ძველი ქართული ქალაქებიც ძლიერ განვითარებული ანტიკური ქალაქები ყოფილა. ამის შესახებ სტრაბონიც წერდა.

მცხეთა საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე სავაჭრო გზაჯვარედინზე მდებარეობდა. საერთაშორისო სავაჭრო გზა მცხეთასა და მტკვრის ხეობას უკავშირებდა რიონსა და შავ ზღვას. თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელ საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიურ გზას, იქიდანაც ჩანს, რომ იმ დროს მდინარე ფაზისზე, სტრაბონის მიხედვით 120 ხიდი ყოფილა გადებული. ხიდების ასეთი კოლოსალური რაოდენობა მიუთითებს გზების სიმრავლეზე, ე.ი. ვაჭრობისა და ეკონომიკის განვითარებაზე. მტკვარსა და რიონზე გამავალი საერთაშორისო გზა ეკონომიკურად აკავშირებდა საქართველოს კუთხეებს ერთმანეთთან. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მჭიდრო ეკონომიური ურთიერთკავშირი ჰქონდა (იმ დროის შესაბამისად).

#### 4. ქართველების საერთო წარმოშობა, სისხლით ნათესაობა

დაბადებაში მოხსენიებულია ქართველთა საერთო წინაპარი - “ესე შობანი ძეთა ნოესნი: სემ, ჯამ და იაფეთ და იყვნეს მათდა ძენი შემდგომად წყლით რღვნისა.

ძენი იაფეთისნი... თობაღ და მოსოქ“ (დაბადება 10, 1-2).

I საუკუნის განთქმული ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი, ევსტათე ანტიოქიელი (IV ს.), თეოდორე კვირელი ეპისკოპოსი (IV ს.), ლეონ გრამატიკოსი (XI ს.) წერენ, რომ თუბალ-თობელებს მათ დროს იბერები ეწოდებოდათ. ფლავიუსი მეშუხ, მოსოხს კაპადოკიელთა წინაპრად მიიჩნევდა. ძველი ქრისტიანი ავტორები ხშირად ასახელებენ იბერთა წინაპრებს, ეს არ არის შემთხვევითი. საქმე ის არის, რომ ამ ქრისტიან ავტორთა დაბეჯითებული მტკიცებით შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ცხოვრობენ იბერები. დასავლეთ საქართველოს რომაულ ხანაში (I-IV სს.) იბერია ეწოდება, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ დასავლეთი საქართველო - ეგრისია, ხოლო მოსახლეობა მეგრელები. სწორედ მათ, მეგრელებს ეწოდებენ ძველი ავტორები იბერებს, აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან ერთად და სწორედ ამიტომ არ ასახელებენ განცალკევებით ეგრისელთა წინაპრს. მიანიათ, რომ დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ხალხს ეწოდება იბერები და ამ ერთ ხალხს ერთი წინაპარი ჰყავს - ბიბლიაში მოხსენიებული თობალი. ამ მოსახურებას ამტკიცებს სტრაბონის ცნობა, რომლიდანაც ჩანს, რომ მისთვის ზღვისპირა საქართველო იბერიაა. სტრაბონი გვაუწყებს, რატომ ეწოდა ამ ქვეყანას იბერია. იგი წერს: “დასავლეთის იბერიაში“ (ესპანეთში) მთის მდინარეებს ჩამოაქვთ ოქროს ქვიშა, რომელსაც ტყავგადაკრული ფაცვრებით აგროვებენ, მსგავსადვე პონტოს ზღვის პირა მთის მდინარეებსაც ჩამოაქვთ ოქრო, რომელსაც სვანების ტომი ხსენებული წესით აგროვებს, ამიტომაც აქაურ ქვეყანასაც იბერია ეწოდა “დასავლეთის იბერიის“ ე.ი. ესპანეთის მსგავსად (სტრაბონი XI, 2,19).

სტრაბონი ამ ცნობას გვაწვდის სვანების ტომის აღწერისას. მისი სიტყვით “ზოგიერთები სვანებს იბერებს ეწოდებენ“, ეს იბერებად სახელდებული სვანები კი სტრაბონისავე ცნობით ცხოვრობდნენ დიოსკურიასთან (შემდეგდროინდელ აფხაზეთში). სტრაბონი წერს - “მათ ქვეყანაში, მთის მდინარეებს ჩამოაქვთ ოქრო, ბარბაროსები მას იჭერენ ფაცვრებით და ბეწვიანი ტყავით, აქედან, როგორც ამბობენ წარმოდგა მითი ოქროს საწმისის შესახებ. ზოგიერთები მათ აგრეთვე ეწოდებენ იბერებს, დასავლეთის მსგავსად - იმ ოქროს მარცვლების გამო რომელიც ორივე ქვეყანაში მოიპოვება“ (სტრაბონი, XI, 2,19). აქედან ჩანს, რომ დასავლეთი საქართველო იბერიად იწოდება ესპანეთის იბერიის მსგავსად, რადგანაც აღმოსავლეთ საქართველოში მთის მდინარეებს ოქროს მარცვლები არ ჩამოჰქონდა და არც აგროვებდნენ მას ხსენებული წესით. ოქროს საწმისის მითი, სტრაბონის ცნობით ამ იბერიას შეეხება. ე.ი. კოლხეთი სტრაბონისათვის - იბერიაა.

“იბერიის“ ხალხი ე.ი. ეგრისელები, სვანები, აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან ერთად ერთი ხალხი იყო და იბერებად იწოდებოდა - ამიტომაც მას ჰყავდა საერთო წინაპარი - თობელი.

თობელისაგან წარმოიშვნენ იბერები - ე.წ. “ქართვები“, “ეგრისელები“ და “სვანები“ ანუ ქართველები. იმ დროს ეგრისელები ისეთივე იბერები არიან, როგორც “ქართვები“. ლინგვისტების აზრითაც, “იბერ“ ფუძიდანაა ნაწარმოები “ეგრ“ ფუძე, აქედან “ეგრისი“.

იბერ ფუძის“ ძველი სახეობა უნდა ყოფილიყო ჰბერ (შეადარე, რომელიც მწერლების თხზულებაში დადასტურებული ჰბერ)... ჰბერ ფუძის დუბლიკატებია - ჰვერ, ჰმერ (იბერ-ივერ-იმერ), ამთგან - ჰვერ - ნაირსახეობამ ერთ-ერთ დიალექტიკურ რეგიონში სხვა ფონეტიკური განვითარება განიცადა - ჰ გადავიდა გ-ში (მოხდა ე.წ. აწვევა) და მივიღეთ გვერ... გერ... გურ... ერთი მხრივ, პრეფიქსის დართვით გამოიშვა ეგერ/ეგრ-ის-ი, მეგრ-ელი (მეორე მხრივ- გურია)\*1. \*1 შ. ძიძიგური, ბასკები და ქართველები, გვ. 38.

XVIII ს-ის ბოლოს, 1790 წელს, საქართველოს განსაკუთრებული დაშლილობის დროს შედგა დოკუმენტი “ივერიელთა ერთობის ტრაქტატი“, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: - “ვინაიდან ყოველთავე ივერიელთა მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთმორწმუნეობა, არიან შვილნი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ გავასხელობითიცა სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა შორის. ამისათვის ჩვენ ზემოხსენებულ ქვეყანათა ივერიისა... აღვსქთვამთ მტკიცესა ამას ეთრობასა...“2. \*2 ქართული სამართლის ძეგლები, II, 1966, გვ. 501.\*

აქ საინტერესოა, რომ ქართული საუკუნოვანი ტრადიციული კონცეფციით, რომელმაც ასახვა ჰპოვა ამ დოკუმენტში - ივერია ეწოდება არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ, უეჭველად, დასავლეთ საქართველოსაც, ერთიან საქართველოს - ყოველი ივერია ეწოდება, მოსახლეობას - ყოველნი ივერიელნი, სხვადასხვა პროვინციას - ივერიის ქვეყნები. განსაკუთრებით საზგასამეღია, რომ ძველი ქართული თვალსაზრისით, ივერიელები ანუ სამეგრელოს, გურიის, იმერეთის, კახეთისა და ქართლის მოსახლეობა (მსახლობელნი) არიან სისხლით ნათესავნი, ე.ი. გენეტიკურად ერთიანი, ერთი ეთნიკური წარმოშობის ერი. სისხლით ნათესაობის გამო ივერიელები ანუ მეგრელები, გურულები, იმერლები, კახელები და ქართლები “ურთიერთთან

შეკრულ-შეკავშირებულნი არიან მოყვრობით“ ანუ “ნათესაური“, ეროვნული ერთობა აქვთ. გარდა ამისა, ივერიელებს ერთმანეთთან ამ დოკუმენტის ხელისმომწერთა თვალსაზრისით, აერთიანებთ საერთო ენა - ივერიელები არიან “ერთისა ენისა მქონებულნი“ - იგულისხმება ქართული ენა. ივერიელებს აქვთ საერთო ტერიტორია - “ყოველი ივერია“; ივერიელებს დოკუმენტის მიხედვით, აქვთ ფსიქიკური წყობის ერთობა - ერთმორწმუნეობა, ერთი ეკლესია.

ვინაიდან ამ დოკუმენტის ერთ-ერთი ხელისმომწერი იყო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ანტონ I, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეკლესიაში მიღებული თვალსაზრისით, ერი ეწოდებოდა (თანამედროვე სიტყვებით რომ ვთქვათ) ერთი ეთნიკური კავშირის მქონე ანუ სისხლით მონათესავე მოსახლეობას, რომელსაც ჰქონდა აგრეთვე საერთო ენა - ენობრივი ერთობა, საერთო ტერიტორია, ფსიქიკური წყობის ერთობა - საერთო სარწმუნოება. ქართული ეკლესიის და საერო ხელისუფლების თვალსაზრისით, ივერიელებს ანუ ქართველებს ჰქონდათ ჩამოთვლილი ნიშან-თვისებები ანუ ქმნიდნენ ეროვნულ ერთობას. ამიტომაც მათ უნდა ჰქონოდათ სახელმწიფოებრივი ერთობაც.

მეგრელები, გურულები, იმერლები, კახელები და ქართლები სისხლით ნათესავებად მიიჩნეოდნენ და მიიჩნევიან.

ე.წ. ქართვეს, ზანებსა და სვანებს ქართული ეკლესიის ჩამოყალიბების დროს (I-IV ს-ში) უფრო მეტი ეროვნული ერთობა ჰქონდათ, ვიდრე გვიან შუა საუკუნეებში. ამიტომაც თავიდანვე ქართული ეკლესიის სამწყსო გახლდათ ერთიანი ქართველი ხალხი, რომლის ეთნიკური განსახლების საზღვრები მოქცეული იყო შავი ზღვიდან და მდინარე ეგისწყლიდან (კლისურიდან) ვიდრე სომხეთ-ალბანეთამდე (VIII ს-მდე, ხოლო შემდეგ ეს საზღვრები კიდევ უფრო გავრცელდა).

ისმის მეორე კითხვა - რამდენად შესაძლებელია ქართველი ხალხი ჩამოყალიბებული ყოფილიყო I-IV სს-ში წმიდა ანდრიასა და წმიდა ნინოს ქადაგებების დროს? ქართული წყაროებით, ქართველი ხალხი უკვე ჩამოყალიბებული იყო პირველი ქართული სახელმწიფოს დაარსების დროს, ქრისტეშობამდე IV-III სს-ში.

საბჭოთა ისტორიოგრაფია კრემლის მოთხოვნით, ქართველი ერის დაშლა-დანაწილების მიზნით, ძველი ქართული წყაროების საპირისპიროდ ამტკიცებდა, თითქოსდა ქართველი ეროვნება (народность) ჩამოყალიბდა მხოლოდ IX-X საუკუნეების შემდეგ, დასავლეთ საქართველოს, ტაო-კლარჯეთსა და ჰერეთის “ქართიზაციის“ შედეგად. წყაროთა ანალიზი კი ადასტურებს ძველ ქართულ თვალსაზრისს, რომ მეფე ფარნავაზის ეპოქაში ქართველი ერის ეთნო-პოლიტიკური მთლიანობა რეალური ფაქტი იყო. აღსანიშნავია, რომ “ქართიზაციის“ უმართებულო და ყალბი თეორია რუსულ სამეცნიერო წრეებში ჩამოყალიბდა.

ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები

ადგილობრივი ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების განსაზღვრა ძნელი არ არის. IV მსოფლიო კრებამ დააკანონა, რომ საეკლესიო საზღვრები სახელმწიფოს საზღვრებს უნდა დამთხვეოდეს. ცნობილია, რომ მსოფლიო საეკლესიო კრებები იღებდნენ და აფუძნებდნენ არა ახალ წესებს, არამედ ამტკიცებდნენ იმ კანონებს, რომელნიც უკვე არსებობდნენ საეკლესიო პრაქტიკაში და წინა დროის მამათა მიერ იყვნენ ჩამოყალიბებულნი.

#### 1. “ქართლის“ საზღვრები და ქართველთა ვინაობა ლეონტი მროველის მიხედვით

ლეონტი მროველის მიხედვით ქართლის სახელმწიფოში როგორც აღმოსავლეთი, ასევე დასავლეთი საქართველო შედიოდა.

“ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ, რომ ალექსანდრე მაკედონელმა “დაიპყრა... ყოველი ქართლი“. მან ქართლის ერისთავად დატოვა აზონ. იგი იყო “კაცი ძნელი და მესისხლე“. ნაპოვნი განძით დაიმედებულმა ფარნავაზმა ეგრისის მთავარს ქუჯის მისწერა წერილი, სადაც ის მოუხმობდა მას აზონის წინააღმდეგ სალაშქროდ. გახარებულმა ქუჯიმ მიიღო ფარნავაზის წინადადება და, როცა ფარნავაზი მასთან მივიდა, უთხრა: “შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლოსთა და შენ გმართებს უფლობა ჩემი“. აქედან ჩანს, რომ “ყოველ ქართლში“ როგორც აღმოსავლეთი, ასევე დასავლეთ საქართველო იგულისხმებოდა.

ალექსანდრე მაკედონელს ქართლის დაპყრობისას უცხოელები გაუუღელტია - “მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა“. მაშასადამე, ფარნავაზის მიერ ეროვნული სახელმწიფოს შექმნის დროს უცხოელები ქართლში აღარ ცხოვრობდნენ. ფარნავაზს ამის გამოც გაუადვილებოდა ერთიანი სახელმწიფო ენის შემოღება.

ქართლის სამეფოს საზღვრები მტკიცედ იყო დადგენილი და განსაზღვრული, ქართველ მეფეთა მთავარი მოვალეობა კი გახლდათ ქართლის საზღვრების მტკიცედ დაცვა, ხოლო საზღვრების დარღვევისას “საზღვრის ძიება“.

ჯუანშერის მიხედვითაც ეგრისი “ქართლში“ შემავალი ქვეყანა იყო. ჯუანშერი აღწერს ვახტანგ გორგასლის ცხოვრებას და გვეუბნება, რომ ვახტანგის სამეფოში ეგრისიც შედიოდა: როცა დაობლებული, ათი წლის ვახტანგის სამეფოში ჩრდილო კავკასიიდან ოსი დამპყრობლები შემოიჭრნენ, მათ მოარბიეს ცენტრალური ქართლი, ხოლო “დარჩეს წარუტყვევებულად ხევნი

ქართლისანი: კახეთი, კლარჯეთი და ეგრისი“ (“ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 145). მემკვიდრე ჩანს “ოსებად“ მოიხსენებდა ჩრდილოკავკასიის სტეპებში მცხოვრებ ჰუნებს.

აღექსანდრე მაკედონელიდან და ფარნავაზიდან მოყოლებული ქართლისა და საბერძნეთის საზღვარი მდინარე ეგრისწყალზე გადიოდა. ვახტანგ გორგასლის ცოლს, რომელიც კეისრის ასული იყო, მზითვად აფხაზეთის ტერიტორია მდ. ეგრისწყლიდან ვიდრე მდინარე კლისურამდე (კელასურამდე) ერგო. ამის შემდეგ საუკუნეთა მანძილზე (V-VIII სს-ში) საზღვარი ქართლის სამეფოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის მდ. კლისურაზე გადიოდა, ხოლო ამ მდინარის ზევით (მის მარჯვნივ სანაპიროზე კავკასიის მთებამდე) აფხაზეთი საბერძნეთის სახელმწიფოში შედიოდა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ვახტანგ მეფის მემკვიდრე ერისს “ქართლის დასავლეთს“ უწოდებს. მემკვიდრის აზრით, ეგრისი, ისევე როგორც კახეთი და კლარჯეთი, ქართლის ერთ-ერთი “ხევი“ ანუ ერთ-ერთი პროვინციაა.

VII ს. ძეგლის “მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვითაც ქართველი ერის გაერთიანებულ სამეფოში დასავლეთი საქართველო ფარნავაზამდე - მეფე აზონის დროსაც შედიოდა. აღექსანდრე მაკედონელმა - “საზღვარი დაუდგა მას ჰერეთი და ეგრისწყალი“... (ძეგლ. I, 1964, გვ. 81).

## 2. ქართული ეკლესიის იურისდიქციის დასავლეთის საზღვრები ვახუშტის მიხედვით

ვახუშტის მიხედვით, ქართლის სამეფო როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს არა მარტო ვახტანგის დროს, არამედ წინა საუკუნეებშიც მოიცავდა. ვახუშტი ერისს განიხილავს, როგორც ქართლში შემავალ ტერიტორიას, ისევე როგორც ჯუანშერი და ლეონტი მროველი. მას მიაჩნია, რომ სამეგრელო საქართველოს შემადგენლობაში ფარნავაზ მეფის დროიდანვე შედიოდა. ამიტომ მოულოდნელი არ არის ქართველების წუხილი ვახტანგ გორგასლის დროს ივერიის ზღვისპირა ტერიტორიების ბიზანტიელთა მიერ ანექსიის გამო.

ვახტანგის ეპოქაში ქართლის საკათალიკოსოს იურისდიქცია მთელ ქართლის სამეფოზე, პოლიტიკურ ქართლზე, ე.ი. როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა.

ზოგიერთი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსის მიხედვით “კოლხეთი“ “იბერიაში“ შემავალი ქვეყანაა

ძვ.წ. III ს-ის დამდეგს მეგასტენე (ძვ.წ. IV-III სს.) პირდაპირ ამბობს, რომ იბერები “პონტოს მარჯვენა ნაპირზე“ ცხოვრობდნენ. ქსენოფონტეს (ძვ.წ. VI ს.) დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა იბერიის სახელმწიფო, მაგრამ ჩანს, რომ ქართველები ტრაპიზონის მხარესა და დასავლეთ საქართველოშიც მოსახლეობდნენ, ხოლო არიანეს დროს (ახ. წ. II ს.) უკვე ქართლის სახელმწიფო არსებობდა, რომლის საზღვრებიც დასავლეთ საქართველოში შავ ზღვამდე აღწევდა. იოსებ ფლავიუსი (I ს-ის 70 წ.) წერს, რომ ნოეს შვილს იაფეტს ჰყავდა 7 ვაჟი, რომელთაგან ერთ-ერთმა - თობელოსმა თობელები დააფუძნა, რომელთაც ამჟამად იბერები ჰქვიათ, ხოლო მესხოსმა დააფუძნა მესხები, რომელთაც ახლა კაპადოკიელები ეწოდებათ. იგი არ ასახელებს ცალკე კოლხებს. მიაჩნია, რომ იბერიის ყველა ტომს, მათ შორის კოლხებს (ზანებს), ერთი ეთნარქი ჰყავთ - თობოლოსი. ასევე ერთად მოიხსენიებს, ქართველ ტომებს ანტიკური ეპოქის ისტორიკოსი ჰეროდოტეც (ძვ.წ. V ს.).

გელასი კესარიელი (IV-V სს.) იბერიელებს შავი ზღვის პირას მცხოვრებლებად ასახელებს. ასევე წერენ რუფინუსი (IV-V ს.), სოკრატე (ძვ.წ. V ს.), გელასი კვიზიკელი (IV-V სს.). მათთვის ზღვისპირას მცხოვრები ლაზები იგივე იბერიელებია, მათი ერთ-ერთი ტომია.

აღსანიშნავია, რომ უცხოელები დასავლეთ საქართველოსა და შავი ზღვისპირეთში მცხოვრებ იბერებს “ქვემო იბერებს“ უწოდებდნენ, რათა ისინი “ხელო იბერებისაგან“ განესხვავებინათ, რომელნიც აღმოსავლეთ საქართველოში, ანუ როგორც ისინი უწოდებენ “კასპიის ზღვისკენ“ ცხოვრობდნენ.

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას რომ იბერიელებს უწოდებენ, კარგად ჩანს ევავრე პონტოელის - იბერიელის (345-399) მაგალითზეც. მიუხედავად იმისა, რომ იგი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ქალაქში დაიბადა, მას მაინც იბერიელს უწოდებდნენ.

არქანჯელო ლამბერტი (XVII ს.), რომელიც დასავლეთ საქართველოში ცხოვრობდა და კარგად იცნობდა ძველ საქართველოსა და ბერძენ და რომაელ ისტორიკოსთა ცნობებს იბერიის შესახებ, იბერიაში შემავალ კუთხეებად იმერეთს, კოლხეთს, გურიას ე.ი. მთელ დასავლეთ საქართველოს მიიჩნევდა, თანაც არა მარტო შუა საუკუნეებში, არამედ წმინდა ნინოს დროსაც.

ოდიშის ცნობილი მთავარი ლევან II დადიანი თავის თავს “იბერიის ხელმწიფეს“ უწოდებდა. XVIII ს-ის “ერთობის ტრაქტატში სამეგრელოსა და გურიას “ქვემო იბერია“ ეწოდება იმერეთთან ერთად.

“ქართლის ცხოვრების“ სიმართლე

“ქართლის ცხოვრების“ თვალსაზრისს, რომ ერთიანი ქართველი ხალხი ქრისტემდე III ს-ში, იბერიის სახელმწიფოს შექმნის დროსაც არსებობდა, არაპირდაპირ, მაგრამ მაინც ამტკიცებენ XIX-XX ს-ის ისტორიკოსთა გამოკვლევები.

იბერიისა და ქართველთა შესახებ ოთხ უდიდეს მეცნიერს ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული თვალსაზრისი აქვს. მაგალითად, ნ. მარს მიაჩნია, რომ იბერია - სამეგრელოა, ს. კაკაბაძის მიხედვით, იბერია ჰერეთია, ივ. ჯავახიშვილის მიხედვით იბერია - აღმოსავლეთ საქართველოა, ხოლო კ. კეკელიძის მიხედვით იბერია საქართველოს ჩრდილო ნაწილია ჰერეთთან ერთად

ამ ოთხი მეცნიერის თვალსაზრისს აერთიანებს “ქართლის ცხოვრება“, რომლის მიხედვითაც იბერია ანუ ქართლი ეწოდება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო “ქართველნი“ ეწოდებათ როგორც მეგრელებს, ასევე ე.წ. ქართვეს. ქართველი ერი ერთიანია, ქართველთა სამშობლოს ქართლი ანუ იბერია ჰქვია, რომელზეც თავის იურისდიქციას ქართული ეკლესია წარმოქმნისთანავე ახორციელებდა. ქართლის სამეფოს სახელმწიფო საზღვრები კი დასავლეთით მდინარე ეგრისწყალსა და შავ ზღვაზე, ხოლო აღმოსავლეთით - ალბანეთთან გადიოდა.

ქართველი ერი ქრისტიანობამდე რომ კულტურულად ერთიანი ყოფილა, ეს გამორკვეული აქვს ივ. ჯავახიშვილს. მისი დასკვნები სრულებით ეთანხმება “ქართლის ცხოვრების“ შესაბამის მონაცემებს და “ქართლის ცხოვრების“ სიმართლეს ადასტურებს.

ამჟამად მიჩნეულია, თითქოს ქართული ენა დასავლეთ საქართველოში წირვა-ლოცვის ენად მიღებული იქნა არა IV ს-ში ამ მხარის გაქრისტიანების დროს, არამედ IX-X საუკუნეებში. ეს დასკვნა დაფუძნებულია ნ. მარის მიერ “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოთავსებული ერთი ქარაგმის (“ა-სა“) არასწორად გახსნის შედეგზე. ცნობა ეხება მირონის კურთხევის უფლებას. ქარაგმა “ა-სა“ გახსნილი იქნა არა როგორც “აფხაზეთისა“, როგორც მოითხოვდა კონტექსტი, არამედ როგორც “აღმოსავლისა“. გიორგი მერჩულე წერს, რომ თავდაპირველად აფხაზეთის საკათალიკოსოს შექმნის შემდგომ (ე.ი. VIII ს-დან) აფხაზეთის კათალიკოსებს მირონი მოჰქონდათ იერუსალიმიდან. გრიგოლ ხანძთელის მოწაფის დიდი ეფრემის მეცადინეობით იერუსალიმის საპატრიარქომ გადაწყვიტა აფხაზეთის საკათალიკოსოს მირონი მიეღო არა იერუსალიმის საპატრიარქოდან, არამედ ქართლის საკათალიკოსოდან იმ მიზეზით, რომ დასავლეთი საქართველო, ანუ აფხაზეთი თვითონაც ქართლი იყო, რადგანაც აქ ღვთისმსახურების ენა ქართული ენა იყო.

გიორგი მერჩულე წერს: “პირველად ა-სა (აფხაზეთისა ა.ჯ.) კათალიკოსთა მიჰრონი იერუსალიმით მიჰყვანდა, ხოლო ეფრემ ქრისტეს მიერთა ბრძანებითა მიჰრონისა კურთხევა ქართლს განაწესა იერუსალიმისა პატრიარქისა განწესებითა და წამებითა სიხარულითა, არამედ ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“. მერჩულეს ეს ცნობა კიდევ ერთხელ ადასტურებს “ქართლის ცხოვრების“ სიმართლეს და თავის მხრივ არავითარ სიახლეს არ შეიცავს. მკვლევარებმა კი სწორედ ამ ცნობაში მოთავსებული ქარაგმის “ა-სა“-ს არასწორი გახსნით მიიღეს ეკლესიის ისტორიისათვის ისეთი კარდინალური დასკვნები, რომელნიც სავსებით უარყოფენ ბერძენ-რომაელ-სომეხ ისტორიკოსთა ცნობებს იბერიის (ქართლის) გეოგრაფიის შესახებ, ასევე ქართლის ცხოვრებისა და სხვა ქრონიკების მონაცემებს, კერძოდ, თითქოსდა დასავლეთ საქართველოს პირველად გრიგოლ ხანძთელის ეპოქაში ეწოდა ქართლი.

მაშასადამე, “ქართლი“ ერქვა არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ დასავლეთ საქართველოსაც ფარნავაზიდან მოყოლებული ვიდრე VIII ს-ის შუა წლებამდე. ამიტომაც თარგმნისას ტერმინ ქართლს აღნიშნულ პერიოდში ძირითადად შეესაბამება არა ტერმინი “Карли“, არამედ “Иберия“, ანუ “Грузия“. ეს საკითხი სწორედ ასე ესმოდათ აქამდე უცხოელ მეცნიერებს და “ქართლს“ თარგმნიდნენ როგორც Грузия (Иберия), ან ეორგია, მაგრამ ჩვენი თანამედროვე საბჭოთა ქართველი ისტორიკოსების დაუინებელი ჩარევის შემდეგ ისინი ასე აღარ თარგმნიან ამ ტერმინებს და ამის გამო მათ თხზულებებში “Грузия“-ს ნაცვლად ყველგან გვხვდება სიტყვა “Карли“, რაც ყოველად შეუწყნარებელია, ჭეშმარიტებას არ ასახავს და მკითხველს აბნევს.

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით ტერმინი “ქალდე“ (ქართ.) ყველა ქართული ტომის სახელი იყო და დიდხანს იწოდებოდნენ ისინი ასე. მაგალითად, მეგრულ-ლაზური შტოს უძველეს ნაწილს ჭანებს ეძახდნენ, ქალდეებს, ხოლო ვრცელ ქვეყანას, მათ ისტორიულ სამშობლოს, რომელსაც შემდეგ “ტრაპიზონის მხარე - ლაზიკა“ ეწოდა, ამასთანავე “ქალდეაც“ ერქვა. ჭანეთს დიდი ხნის მანძილზე, შეიძლება ითქვას, მთელ ისტორიულ ეპოქაში ერქვა “ქალდეა“. ამიტომ “ქალდე“ ივ. ჯავახიშვილს მეგრულ-ლაზთა მეორე სახელადაც მიაჩნდა. იგი ასევე აღნიშნავდა, რომ სვანეთის “ხალდე“ სვანური თემის სახელი “ქალდე“, ამავე სახელით სვანეთში ცნობილი სამლოცველო ადგილები, ე.წ. კლდეები მიუთითებს, რომ სვანეთშიც დიდხანს იყო დაცული ეს სახელი. “ქალდე“ დაცულია ქართველთა თვითსახელწოდებაში - “ქართუელი“. ივ. ჯავახიშვილის აზრით ეს იყო ყველა ქართული ტომის სახელი და თავდაპირველად სამხრეთში არსებობდა მათი საერთო

სამშობლო ქალღ (კარდუ), ჩანს, ჭანეთ-ტრაპიზონის სანახებში, შესაძლოა იქ იყო “არიან-ქართლი“, მოქცევაი ქართლისაის ცნობით ქართველთა ერთიანი ძველი სახელმწიფოებრივი ერთეული. იგულისხმება ჭანეთ-ტრაპიზონისა და პონტო-კაპადოკიის რეგიონი.

## თავი II. IV საუკუნე

### საქართველო IV საუკუნეში

III საუკუნეში საქართველოს გარემოცვა მნიშვნელოვნად შეიცვალა. აქამდე ჩვენი ქვეყნის მეზობელი პართია შედარებით სუსტი, ფაქტიურად ნახევრად დამოუკიდებელი ქვეყნების გაერთიანება იყო.

224-226 წლებში სპარსეთში დიდი ცვლილებები მოხდა, დაემხო არშაკიდების დინასტია და მისი ადგილი სასანიდების სპარსულმა საგვარეულომ დაიკავა. სასანიდებმა მახდენობა აღადგინეს და ყოველნაირად ცდილობდნენ მის გაერცვლებას. სპარსეთი თავისი ძველისძველი მტრის, რომის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა და დიდ წარმატებებსაც მიაღწია.

298 წელს ნიზიბინში (მესოპოტამია) 40-წლიანი ზავი დაიდო ირანსა (სპარსეთსა) და რომს შორის, რომლითაც საქართველო და სომხეთი რომის გავლენის სფეროში მოექცნენ. ს. ჯანაშიას აზრით, ქართველი ერის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა - სახელმწიფოს მიერ ქრისტიანობის აღიარება უთოუდ ზავის დროს - 298-338 წლებში მოხდა, რადგან 338 წელს შაჰმა შაბურ II-მ კვლავ შეუტია რომს.

40-წლიანი ზავის დარღვევის შემდეგ საქართველოში ქრისტიანობის გაერცვლება ძალზე გაძნელებოდა იმიტომ, რომ სპარსეთი, პოლიტიკური მოსახრებებით, ქრისტიანობას მხარს მაშინ უჭერდა, როცა ის რომის იმპერიაში აკრძალული იყო, ხოლო იმის შემდეგ, რაც იქ სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა (313-326 წწ.), სპარსელებმა დევნა დაუწყეს. ამიტომ 338 წლის შემდეგ ქართველთა მეფეს ქრისტიანობის აღიარება სპარსელთა შიშით გაუჭირდებოდა. მაშასადამე, იმ დროს, როცა სპარსეთი ქრისტიანობას მფარველობდა და იბერია ირანის გავლენის სფეროში შედიოდა (280 წლამდე), გაცილებით უფრო ადვილი იყო ქრისტიანობის მიღება. მართლაც დიუბუა დე მონპერე ქართლის მოქცევის თარიღად 276 წელს მიიჩნევს. ქართული წყაროები კი საქართველოს საყოველთაო გაქრისტიანების თარიღად 317-326 წლებს მიიჩნევენ.

### გზა ქრისტიანობისა I საუკუნიდან წმიდა ნინომდე

ქართველთა განმანათლებელი არის ღირსი დედა ნინო, რომელმაც ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოაქცია მთელი ერი. მის დროსვე ქართული სახელმწიფოს მზრუნველობითა და შემწევობით დაარსდა ერთიანი ქართული ეკლესია.

შეიძლება დაისვას კითხვა: თუ ქართველი ხალხი მოაქციეს და გააქრისტიანეს თვით წმიდა მოციქულებმა, რაღა საჭირო იყო წმიდა ნინოს ქადაგება? ამ კითხვის პასუხი ძველთაგანვე არსებობდა და რუის-ურბნისის კრების (1103 წ.) ძეგლისწერაშიც აისახა. ძეგლისწერიდან ჩანს, რომ წმ. ნინოს მიერ მთელი საქართველოსა და მისი მეფის გაქრისტიანება ძალზე მჭიდროდაა დაკავშირებული რომის იმპერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებასთან. მართალია, წერენ ქართველი მამები, ჩვენში ქრისტიანობა იქადაგეს მოციქულებმა და უამრავი ადამიანი გააქრისტიანეს, მაგრამ დრომ და პირობებმა ხალხი კვლავ კერპთაყვანისცემას დაუბრუნა და, როცა დარჩენილ ქრისტიანებს შორის მოწამენი გამოჩნდებოდნენ, მათ ისეთივე წამებით კლავდნენ, როგორც ქრისტეს; მას შემდეგ კი, რაც რომის იმპერატორი კონსტანტინე გახდა, მეფეთა შორის პირველი ქრისტიანი მქადაგებელი და მოციქულთა სწორი, ჩვენც მოგვხვდა ღმერთმა და ჩვენთან ტყვე ქალი ნინო წარმოგზავნაო.

აღსანიშნავია, რომ ეს წყარო წმ. ნინომდე ქართველ ქრისტიანთა არსებობას არ უარყოფს.

XI ს-ის ქართველი ფილოსოფოსის და მოღვაწის ეფრემ მცირეს თქმით არა მარტო საქართველოში, არამედ თვით საბერძნეთში (იმპერიაში) მოციქულთა ქადაგების შემდეგ კვლავ კერპთაყვანისმცემლობა აღორძინებულა, მაგრამ ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმპერიაში ქრისტიანული თემები და საეპისკოპოსოები აღარ არსებობდნენ.

რომის იმპერიასა და საქართველოში მოციქულთა შემდეგ ქრისტიანობა არა მარტო არსებობდა, არამედ დიდ გავლენასაც ახდენდა საზოგადოებაზე. III ს-ის დამდეგს ქართველთა მეფე რეე მართალი ქრისტეს სახარებას იცნობდა და მისი მცნებების შესაბამისად მოქმედებდა კიდევ. სწორედ მან აკრძალა კერპებისათვის ჩვილი ბავშვების შეწირვა. ამ რეფორმას ხალხმა მხარი დაუჭირა. მაშასადამე, ქრისტიანულ სარწმუნოებას ხალხი საამისოდ შემზადებული ჰყოლია. აღიარებულია, რომ ქრისტიანობა პირველ რიგში დაბალ ფენებში, ხოლო შემდეგ მაღალ ფენებში ვრცელდებოდა.

ძალზე მნიშვნელოვანია ერთი რამ: არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებენ ქართულ და უცხოურ წყაროთა ცნობებს იმის თაობაზე, რომ მოციქულთა საქართველოში ქადაგებას უნაყოფოდ არ ჩაუვლია, რის შედეგადაც ქვეყანაში ქრისტიანული თემები არსებობდნენ.

ცხადია, ქრისტიანებს, რომლებიც II-III სს-ში საქართველოში ცხოვრობდნენ, სამღვდელთა დასჭირდებოდა, რადგან ნათლობის, ზიარებისა და სხვა ქრისტიანული წესების აღსრულება სამღვდელოების გარეშე შეუძლებელია.

როგორც ვიცით, II-III სს-ში სვეტიცხოვლის, სამთავროსა და სხვა სამაროვნებში ქრისტიანები დაუკრძალავთ, მათ შორის ბავშვებიც. ცხადია, ისინი მონათლულნი იყვნენ. ამიტომაც ამ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში სამღვდელოება და ქრისტიანული მრევლი უეჭველად არსებობდა, რაც იმასაც ნიშნავს, რომ II-III სს-ებში ეკლესიაც არსებობდა.

საინტერესოა, როგორი პრინციპით იყო მოწყობილი ეს ეკლესია? პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ქალაქში, თუ ქალაქის უბნებში არსებული ქრისტიანული თემები ერთმანეთს არ ეკვემდებარებოდნენ. არ არსებობდა ერთიანი, მთელი ქვეყნის მომცველი ქრისტიანული ეკლესია, რომელსაც ერთიანი ცენტრი და ერთიანი მმართველობა ექნებოდა, თუმცა იყვნენ ეპისკოპოსები. “ქართლის ცხოვრება“ წერს, რომ ანდრია მოციქულმა აწყურის ქრისტიანულ მრევლს თავისი ეპისკოპოსი მიუჩინა. ცხადია, ქრისტიანობა და მისი სამღვდელთა, რომელიც დევნილი იყო, ამ დროისათვის ფარულად არსებობდა, ამიტომაც სუსტი იყო. აღსანიშნავია, რომ მოციქულთა ეპოქაში და მის შემდგომაც მღვდელმთქმედებას ეპისკოპოსი ასრულებდა და მღვდელს ეპისკოპოსს უწოდებდნენ.

ცნობილია, რომ ბიჭვინთის ეპისკოპოსი - სტრატოფილე მონაწილეობას იღებდა 325 წელს ნიკეაში გამართულ I მსოფლიო საეკლესიო კრებაში. იგი რომ გავლენიანი და სახელგანთქმული პიროვნება არ ყოფილიყო, ნიკეის მსოფლიო კრებაზე, სადაც ძალზე ავტორიტეტული, დიდი მნიშვნელობისა და წონის მღვდელთმთავრები იყვნენ შეკრებილნი, არ მიიწვევდნენ.

სომეხი ისტორიკოსის აგათანგელოზის (V ს.) ცნობით თავისი ეპისკოპოსები აღმოსავლეთ საქართველოსაც ჰყავდა: მისივე ცნობით, ნიკეის კრების წინ სრულიად იბერიის მიტროპოლიტს იბირზხუა რქმევია, დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსს - სოფრონიუსი, ხოლო სამხრეთ საქართველოსას (ბასიანისას) - ევლათიუსი.

წმ. ნინოს გაუჭირდებოდა მთელი ქართველი ხალხის გაქრისტიანება, წმ. მოციქულებს შემზადებული რომ არ ჰყოლოდათ ერი ქრისტიანობის საჯარო აღიარებისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში მოციქულთა მიერ დათესილი სახარების მარცვალს საუკუნეთა მანძილზე ხალხი შეუმზადებია, საჯაროდ მონათლულიყო.

რომელ წელს შემოვიდა წმ. ნინო საქართველოში და გააქრისტიანა თუ არა მან მთელი ქართველი ხალხი? ეს საინტერესო საკითხი ძალზე დამაჯერებლად გაარკვია ისტორიკოსმა ვახტანგ გოილაძემ. მისი მსჯელობით წმ. ნინო საქართველოში 303 წელს შემოვიდა. 318-318 წლებში ქართლის სამეფო კარმა ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარა, ხოლო 324 წელს ხალხი მასიურად მონათლდა.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ისტორიის უდიდესი მეკლევარი, ქართლის მოქცევას 317 წლით ათარიღებდა. დიდი ილია ჭავჭავაძის ეპოქის ისტორიოგრაფები - დ. ბაქრაძე და ივ. გვარამაძე ვახუშტისულ თვალსაზრისს იზიარებდნენ და ქართლის მოქცევას მსგავსადვე ათარიღებდნენ. ქართლის მოქცევის თარიღად 318 წელი მიანდათ პ. იოსელიანს, გ. საბინინს და რ. ცამცივესაც.

ქართული ეკლესიის მეთაურის - ეპისკოპოს იოანეს ხელდასხმის წლად ვ. გოილაძეს 324 წელი მიანჩნია. იგი ფიქრობს, რომ ქართული ეკლესია არა ანტიოქიური, არამედ კაპადოკიური (პონტოს დიოცეზი) წარმოშობისა უნდა იყოს. ქართველ მემკვიდრეთა თვალსაზრისით კი საქართველოს ეკლესია თავისთავადი წარმოშობისაა, ანუ მას თვით მოციქულებმა ადგილზე - საქართველოშივე დაუდეს საფუძველი.

სასურველია აღდგეს ვახუშტი ბაგრატიონის მიერ გამორკვეული თარიღი და ქართლის მოქცევა 317-318 წლებით დათარიღდეს, ხოლო ქართული ეკლესიის ორგანიზაცია და ხალხის ნათვლა 324-26 წლებით.

### საქართველოს წმიდა ეკლესიის მეთაურები I-II სს. (წმ. ნინომდე)

- I. წმიდა მოციქულები:
  - 1. ანდრია პირველწოდებული (საქართველოში იქადაგა 30-35 წლებში)
  - 2. სიმონ კანანელი
  - 3. მოციქული მატათა
  - 4. მოციქული ბართლომე
  - 5. მოციქული თადეოზი

### II. საქართველოს პირველი ქრისტიანული საეპისკოპოსოების მეთაურები (ერთმანეთისაგან ურთიერთდამოუკიდებელი იყვნენ)

1. პირველი მაწვევერელი ეპისკოპოსი, ნაკურთხი ანდრია მოციქულის მიერ (I ს.)
2. პალმოსი პონტოელი ეპისკოპოსი (II ს-ის დამდეგი)
3. მარკიონი ფასისელი ეპისკოპოსი (138 წ-მდე)
4. სოფრონიუსი - ლაზიკის ეპისკოპოსი (დაახლ. 302-325 წ-მდე)
5. იბირბზხუა (ირენარხე) იბერიის ეპისკოპოსი (დაახლ. 302-325 წ-მდე)
6. ეგლათიუსი, ბასიანის ეპისკოპოსი (302-325)
7. სტრატოფილე ბიჭვინთელი (325 წლისთვის)
8. დომნუსი ტრაპეზუნტელი (325 წლისთვის)

წმიდა ნინოს ცხოვრება “ქართლის ცხოვრების“ მიხედვით

აღსასრულის წინ თავისი ცხოვრების შესახებ თვით ნეტარმა ნინომ მოუთხრო მირიან მეფის ძის ცოლს - სალომე უჯარმელს. აი მისი მონათხრობის შინაარსი:

წმ. გიორგის წამების ჟამს კაპადოკიაში ცხოვრობდა დიდებული კაცი ზაბულონი. იგი ქალაქ რომში წავიდა, რათა იმპერატორის კარზე ემსახურა. იმხანად რომაელებს ფრანგები ებრძოდნენ. ღმერთმა დიდი ძალა მისცა ზაბულონს, დაამარცხა ფრანგები, შეიპყრო მათი მეფე და მთავრებთან ერთად იმპერატორს მიჰგვარა. იმპერატორმა ტყვეებს სიკვდილის განაჩენი გამოუტანა. ფრანგებმა ითხოვეს, სიკვდილის წინ მათთვის ქრისტეს სჯული მიეცათ. ზაბულონი იმპერატორის ნებართვით მონათლა ისინი და სიცოცხლეც შეუნარჩუნა. ამის შემდეგ ზაბულონი ფრანგთა ქვეყანაში წავიდა და მოაქცია ისინი, დაუტოვა მათ მღვდელი და ქრისტიანობის ყოველი წესი დაუდგინა. შემდეგ დიდძალი სიმდიდრით ჩავიდა იერუსალიმს და თავისი მონაგები გლახაკებს გაუყო. იმ დროს იერუსალიმში პატრიარქად იყო იობენალი, რომელსაც ჰყავდა და - სოსანა. ზაბულონი შეერთო სოსანა და კაპადოკიაში დაბრუნდა. მათ შეეძინათ შვილი - ნინო.

როცა ნინო 12 წლისა გახდა, მშობლებმა გაიყიდეს ყოველივე, იერუსალიმში წავიდნენ და თავიანთი ქონება გლახაკებს დაურიგეს. შემდეგ ზაბულონი მეუღაბნოე კაცებთან წავიდა, ხოლო დედა - პატრიარქის ნებით გლახაკი და უძღური ქალების მსახურად დადგა.

წმ. ნინო დვინელ სომეხ ნიაფორთან მსახურობდა, რომლისგანაც ქრისტეს ცხოვრებისა და ჯვარცმის ამბავი შეიტყო. მისგანვე გაიგო, რომ უფლის კვართი ქალაქ მცხეთაში, ქართლის ქვეყანაში იყო, სადაც წარმართები ცხოვრობდნენ. იმ დღეებში შეიტყო ნიაფორმა, რომ ელენე დედოფალს სურვილი ჰქონდა ქრისტეს სჯულის მიღებისა და ნათლისღებისა. ნეტარმა ნინომ სთხოვა ნიაფორს, რომ წარეგზავნა ელენე დედოფალთან. ნიაფორმა ნინოს წადილი აუწყა პატრიარქს, რომელმაც გზა დაულოცა წმ. ნინოს. ქალაქ რომში ნინომ გაიცნო მეფეთა ნათესავი დედოფალი რიფსიმე და მისი დედამამუქე - გაიანე, რომლებიც თავიანთ სახლეულთან ერთად წმ. ნინოს ხელით მონათლნენ.

იმ დღეებში კეისარმა თავისთვის ღამაზი საცოლის ძებნა დაიწყო. მძებნელებმა ქალწულთა მონასტერში იხილეს რიფსიმე, დახატეს იგი ფიცარზე და გაუგზავნეს კეისარს. კეისარს ძალიან მოეწონა რიფსიმე და ბრძანა ქორწილი, მაგრამ რიფსიმემ, გაიანემ და მათთან ერთად 53-მა ასულმა ფარულად დატოვეს ქვეყანა და სომხეთში წავიდნენ, სადაც მარანში დაიმალნენ და თავს ხელსაქმით ირჩენდნენ. კეისარი აღივსო მწუხარებით და ყველგან დაგზავნა კაცები მათ მოსაძებნად. კეისრის კაცები თრდატ სომეხთა მეფესთანაც მივიდნენ. თრდატი ლტოლვილების ძებნას შეუდგა და მალე მიაგნო მათ. რიფსიმეს ხილვისას თრდატი გულისთქმით აღივსო და მისი ცოლად შერთვა განიზრახა, რაზეც რიფსიმემ უარი უთხრა. მაშინ თრდატმა რიფსიმე, გაიანე და მათი თანმხლებნი აწამა.

ამ დროს წმ. ნინო ვარდის ბუჩქებში დაიმალა. აქ იხილა წმ. სტეფანეს მსგავსი დიაკონი, რომელსაც სასაკმეველე ეჭირა. დიაკონმა უბრძანა, წასულიყო ჩრდილოეთით, სადაც “სამკალი ფრიადაა და მუშაკი არ არის“. და წავიდა წმ. ნინო და მივიდა საქართველოს საზღვართან. აქ დაიზამთრა, მრავალი გასაჭირი გადაიტანა. მეოთხე თვეს, ივნისში მიადწია ჯავახეთს, კერძოდ, გამდინარე დიდ ტბას - ფარავანს. აქ გაიცნო მეთევზეები, რომელთაც მცხეთის გზა მისწავლეს. ფარავანის ტბასთან ნინომ დაიძინა და ეჩვენა ნათლით მოსილი კაცი, რომელმაც გადასცა წერილი. წერილში 10 სიტყვა ეწერა წმიდა სახარებიდან. ჩვენების შემდეგ წმ. ნინომ მადლობა შესწირა ღმერთს და გზას გაუდგა - გაჰყვა ფარავანის ტბიდან გამდინარე წყალს, მიადწია ურბნისს. აქ ებრაელები გაიცნო. ერთი თვე დაჰყო ამ ქალაქში, ეცნობოდა უცხო ხალხს და ქვეყანას. ერთ დღეს დიდძალი ხალხი დაიდრა მცხეთისაკენ საგაჭროდ და არმაზის კერპისათვის მსვხერპლის შესაწირად. ნინოც წაჰყვა მათ. ქალწული ტიროდა, როცა ამ გზააბნეულსა და შემცდარ ხალხს უყურებდა.

მეორე დღეს გაისმა საყვირის ხმა. მოვიდნენ ნანა დედოფალი და მირიან მეფე კერპების თაყვანსაცემად. წმ. ნინომ მათ არმაზის ციხეში შეასწრო და კერპების მახლობლად დადგა. არმაზის კერპი სპილენძის იყო, ტანს ოქროს ჯაჭვი ემოსა, ზურმუხტისა და ბივრილის თვალები ესხა. ხელთ ხმალი ეკურა, ვითარცა ელვა, და ვინც მას შეეხებოდა, სასიკვდილოდ იწირებოდა.



კერპის მარჯვნივ ოქროს კაცი იდგა - გაცი, ხოლო მარცხნივ ვერცხლისა - გაიმ, რომელიც ქართველ ერს ღმერთებად მიაჩნდა.

წმ. ნინომ თვალი ზეცად აღაპყრო და ლოცვა დაიწყო; როგორც კი ვედრება დაასრულა, დასავლეთის ქარი ამოვარდა საშინელი ქუხილით და წამოვიდა დიდი სეტყვა. ხალხი გაიქცა. სეტყვამ სულ დაამსხვრია კერპები. ნინო კი იდგა თავის ადგილზე მშვიდად. მეორე დღეს გამოვიდა მირიან მეფე და ყოველი ერი და იხილეს დამსხვრეული კერპები.

ამის შემდეგ წმ. ნინო დასახლდა მეფის ბაღის მცველის ოჯახში, რომელიც უშვილო იყო. წმ. ნინოს ლოცვით მათ შვილი შეეძინათ. მაშინ ცოლ-ქმარმა აღიარეს ქრისტე და ნინოს ფარულად დაემოწაფნენ. წმ. ნინომ ქალაქის ზღუდის გარეთ იპოვა მაცვლის ბუჩქი და იქ აღმართა ვახის ნასხლაისგან შეკრული ჯვარი. იგი დღე და ღამე დაუცხრომლად ლოცულობდა. მცხეთაში იმ დროს აბიათარ იუდეველთა მღვდელი ცხოვრობდა წმ. ნინომ მას და მის ქალიშვილს - სიდონიას ქრისტეს სახარება უქადაგა. მათ ირწმუნეს ნინოსი და დაემოწაფნენ მას. აბიათარს თავისი წინაპრებისაგან გაგონილი ჰქონდა ქრისტეს ცხოვრებისა და წამების ამბავი, რადგან ელიოზი, რომელმაც მცხეთაში უფლის კვართი ჩამოიტანა, მისი მამათა მამა იყო.

წმ. ნინო მრავალ სასწაულს ახდენდა და მრავალს კურნავდა, მაგრამ მირიან მეფე და ნანა დედოფალი მაინც წარმართებად რჩებოდნენ. და აი, ნანა დედოფალი დასნეულდა და აუწყეს, რომ მრავალნი განკურნა "ტყვე ქალმა" ლოცვით. მაშინ დედოფალმა ბრძანა, წმ. ნინო მასთან მიეყვანათ, მაგრამ ნინომ შეუთვალა, არ მაქვს უფლება მოსვლისაო. ამიტომ თვით ნანა დედოფალი მიუყვანეს საწოლითურთ. წმ. ნინომ დაიწყო ლოცვა, დედოფალს სხეულზე ჯვრით ჯვარი გადასახა და დედოფალიც მაშინვე განიკურნა. ამის შემდეგ დედოფალმა დაიხლოვა ნინო და ქრისტეს სარწმუნოება აღიარა. მირიან მეფეს დედოფლის განკურნება ძალიან ეამა. მან გამოიძია ძველი და ახალი აღთქმა, მაგრამ ქრისტეს აღიარებისაგან თავს დიდხანს იკავებდა.

ზაფხულის ერთ დღეს - 20 ივლისს, შაბათს, მეფე მუხრანისაკენ გავიდა სანადიროდ. ამ დროს ეშმაკმა გულში კერპებისა და ცეცხლის სიყვარული აღუძრა და მეფემ დაიქაძნა, რომ მახვილით ამოწვევდა ყველა ქრისტიანს, მოკლავდა თვით ნანა დედოფალსაც, თუ ის ქრისტეს არ უარყოფდა. შემდეგ ავიდა თხოთის მთაზე, რათა კასპი და უფლისციხე მოეხილა. შუა სამხრობისას დაბნელდა მზე და მთაზე იქმნა, როგორც ღამე, ირგვლივ ბნელი და უკუნი ჩამოწვა. მეფე მარტო დარჩა, ვერაფერს ხედავდა და შეშინებული უხმობდა ყველა კერპს, მაგრამ მათ ვერაფერი უშველეს. მაშინ ნინოს ღმერთს შეჰქადაგა, რომ ეხსნა იგი, სანაცვლოდ ჯვრის თაყვანისცემას, სამლოცველო სახლის აგებას და ნინოს მორჩილებას შეჰპირდა. მეყვსეულად განათდა და გამობრწყინდა მზე. მეფე ჩამოვიდა ცხენიდან და თაყვანი სცა აღმოსავლეთ მხარეს, როგორც ამას ქრისტიანული წესი მოითხოვდა. შემდეგ დაიმახსოვრა ეს ადგილი და ამალასთან ერთად მცხეთაში დაბრუნდა.

მეფეს მცხეთაში შეეგებნენ ნანა დედოფალი და ყოველი ერი. ნინო კი ჩვეულებისამებრ ლოცულობდა მაცვლოვანში. მიეახლა მას მეფე და მთელი ღაშქარი. ნინომ ასწავლა მეფეს აღმოსავლეთით ეცა თაყვანი და ელიარებინა ქრისტე ძე ღმრთისა. მთელი ერი ტიროდა, როცა ატირებულ მეფესა და დედოფალს ხედავდა. მეორე დღეს მეფემ მოციქული წარავლინა საბერძნეთში კონსტანტინე ბერძენთა მეფესას და ელენე დედოფალთან გაატანა წიგნი წმ. ნინოსი და ნათლისღებისათვის მღვდლები მოითხოვა. ხოლო წმ. ნინო და მისი მოწაფეები ერს დღე და ღამე დაუცხრომლად უქადაგებდნენ და ჭეშმარიტ გზას უჩვენებდნენ.

მირიან მეფემ გადაწყვიტა, მღვდლების ჩამოსვლამდე სამეფო ბაღში ეკლესია აეშენებინა. სასწრაფოდ მოიყვანეს ხუროები, მოკვეთეს ლიბანის ნაძვი, რომელიც იდგა სიდონიას საფლავთან, სადაც იგი უფლის კვართთან ერთად იყო დაკრძალული, შვიდი სვეტი გამოთაღეს, ექვსი აღმართეს, ხოლო მეშვიდე, უდიდესი სვეტის აღმართვა ვერ შეძლეს. ეს აცნობეს მეფეს. მანაც დიდძალი ხალხი მოიყვანა, მაგრამ სვეტს ვერაფერი მოუხერხეს. როცა მოსაღამოვდა, წავიდა მეფე სასახლეში ძლიერ შეწუხებული, ხოლო წმ. ნინო და მისი მოწაფენი სალოცავად სვეტთან დადგნენ. შუადამისას ისინი საოცარი ხილვის მომსწრენი გახდნენ: განთიადისას, როცა წმ. ნინო ხელაღპყრობით ლოცულობდა, მოვიდა ვინმე ჭაბუკი, სრულიად ნათლით მოსილი, აიღო სვეტი, აღმართა და წაიღო მადლა.

შემდეგ კი ყველამ იხილა ეს სვეტი, ცეცხლის სახით ჩამომავალი, როგორ მიუახლოვდა თავის ხარისხს - მოკვეთილი ნაძვის ძირს.

გარიჟრაჟზე ადგა მეფე დარდიანი და იხილა ნათელი, როგორც ელვა, აღწეული ცაში. მისი ხილვით მთელი მცხეთა შიშითა და სიხარულით აღივსო. დიდი სასწაულები მოახდინა სვეტმა, მრავალნი განკურნა. მეფემ ეკლესია სასწრაფოდ დაასრულა.

მირიან მეფის მოციქულებმა ბერძენთა მეფეს - კონსტანტინეს მოუთხრეს ყოველი. გაიხარეს კონსტანტინემ და მისმა დედამ - ელენემ. მათ გამოგზავნეს იოვანე ეპისკოპოსად, 2 მღვდელი და 3 დიაკონი, რომელთაც მაცხოვრის ხატი და დიდი სიმდიდრე გამოატანეს, ხოლო ელენე დედოფალმა ქებისა და ნუგეშისცემის წიგნიც მოიწერა.

მირიან მეფემ იოვანე ეპისკოპოსისა და მღვდლების მოსვლით დიდად გაიხარა, შეკრიბა ყველა ერისთავი, მეფემ ნათელი იღო წმ. ნინოს ხელით, ხოლო დედოფალმა და მისმა შვილებმა - მღვდლებისა და დიაკონების ხელით. შემდეგ აკურთხეს მდ. მტკვარი. ეპისკოპოსმა შეამზადა

ერთი ადგილი მოგვთა ხიდთან, სადაც ელიოზ მღვდლის სახლი იდგა, და იქ ნათელს სცემდა წარჩინებულთ; ამიტომაც ეწეოდა ამ ადგილს მთავართა სანათლო. მდინარისვე პირზე ორგან ორი მღვდელი და დიაკვნები ხალხს სცემდნენ ნათელს. ასეთი სახით ნათელი იღო მთელმა ხალხმა, არ მოინათლნენ მხოლოდ მთიელები და მცხეთელი ებრაელები. ასევე არ მოინათლა მირიან მეფის სიძე - ფეროზი.

ამის შემდეგ მირიანმა იოვანე ეპისკოპოსი საბერძნეთში კონსტანტინე მეფესთან წარგზავნა და ცხოველსმყოფელი ჯვრის ნაწილი ითხოვა, რომელიც იმჟამად ელენე დედოფალმა აღმოაჩინა. ასევე მან ყოველი ქართველის მოსანათლად მრავალი მღვდელი, ხოლო ეკლესიების ასაშენებლად ქვითხურონი ითხოვა. კონსტანტინემ სიხარულით უბოძა ცხოველსმყოფელი ჯვრის ნაწილი და ფიცარი, რომელზეც დამსჭვალული იყო უფლის ფეხები, აგრეთვე სამსჭვალნი, რომლითაც ხელები ჰქონდა მიმსჭვალული, მღვდელნიცა და ხურონიც წარმოგზავნა, ხოლო ეპისკოპოს იოვანეს დიდძალი განძი უბოძა. ეპისკოპოსმა უფლის სამსჭვალნი და განძი ერუშეთში დატოვა და წამოვიდა. წუნდაშიც ხუროები და განძი დატოვა, ასევე უფლის ფიცარი დატოვა მანგლისში, სადაც ეკლესიის შენება დაიწყო.

მეფემ და მთელმა ქალაქმა მტკიცედ იწამა ქრისტიანობა. ხუროებმა წმ. ნინოს მაცველოვანში ეკლესიის აშენება დაიწყეს, სადაც ახლა საეპისკოპოსო ეკლესიაა.

ქართლის მოქცევის დროს კლდოვან ბორცვზე ერთი ხე იდგა. უკეთუ მის ფოთოლს ან თესლს დაჭრილი ნადირი შეჭამდა, აღარ მოკვდებოდა, თუნდაც სასიკვდილოდ დაწყლულებული ყოფილიყო. აუწყეს ეპისკოპოს იოვანეს ამ ხის ამბავი. ეპისკოპოსმა კი მისგან ჯვრის შექმნა განიზრახა და წავიდნენ რვეი, ძე მეფისა, ეპისკოპოსი და მრავალი ადამიანი, მოკვეთეს ხე და რტოებიანად წამოიღეს. ხე მოკვეთილი იდგა 37 დღე და მისმა ფოთლებმა ფერიც არ შეიცვალა. 1 მაისს შექმნეს ჯვარი, რომელიც 7 მაისს აღმართეს.

ამ ჯვარმა განკურნა რვეის სნეული ყმაწვილი. რვემა აღთქმისამებრ ააშენა ლუსკუმა. ჯვარმა კიდევ მრავალი სასწაული ჰყო.

მეფემ მთიულების მოქცევა იძულებით ისურვა, მაგრამ მას უპასუხეს, რომ არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილის აღება... “სახარებითა და პატიოსანი ჯვრით უნდა ვუჩვენოთ ჭეშმარიტი გზაო“, და წავიდნენ წმ. ნინო, ეპისკოპოსი იოვანე და ერთი ერისთავი, უქალაქეს მთიულებს ქრისტეს რჯული, მაგრამ მათ არ ინებეს ნათლისღება. მაშინ მეფის ერისთავმა მცირედ წარმართა მახვილი მთიულებზე და ძლევიტ შემუსრა მათი კერპები.

ხოლო წმ. ნინო წავიდა რანისაკენ, მივიდა კუხეთში დაბა ბოდში და დაჰყო იქ რამდენიმე ხანი, მასთან მრავალი მოდიოდა. იქ დასნეულდა. მასთან მივიდნენ სალომე უჯარმელო (მეფის რძალი) და პეროჟავრა სივნიელი, რომელთაც ჩაიწერეს წმ. ნინოს ცხოვრება. ნეტარი ნინო მისი ქართლში მოსვლიდან მეთოთხმეტე წელს გარდაიცვალა და თავისი სურვილისამებრ დაკრძალეს ბოდში (ბოდბეში).

## ქართლის მოქცევის წყაროები

უძველესი ქართული წყარო, რომელიც ქართლის მოქცევის შესახებ მოგვითხრობს, არის “მოქცევაი ქართლისაი“. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში გადმოცემულია ისტორიული ქრონიკა, მეორე ნაწილი კი წმიდა ნინოს ცხოვრების საეკლესიო საკითხავია. “მოქცევის“ I ნაწილი - ისტორიული ქრონიკები - სხვადასხვა დროსაა დაწერილი. წმ. ნინოს ცხოვრება კი, წინა ნაწილისაგან დამოუკიდებლად უნდა იყოს დაწერილი. ამ რედაქციიდან ჩანს, რომ ნინოს ნაამბობი დაბა ბოდში ჩაუწერიათ სალომე უჯარმელსა და პეროჟავრა სივნიელს. თუმცა სამი დიდი მეცნიერი (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე) ამ თხზულებას IX ს-ით ათარიღებს. ჩვენ არავითარი საბაბი არა გვაქვს არ დავუჯეროთ წყაროს ამ მოსაზრებას ერთი საინტერესო ფაქტიც ადასტურებს.

IV ს-ის II ნახევარში ბიზანტიაში იმყოფებოდა სალომესა და რვეის შვილიშვილი, ჯერ კიდევ უფლისწული ბაკური, თრდატის ძე. მან ცნობილ ბიზანტიელ ისტორიკოსებს - გელასი კესარიელსა და რუფინუსს უამბო ქართველთა გაქრისტიანების ისტორია. ეს მონათხრობი “წმ. ნინოს ცხოვრების“ თავისებური შემოკლებული ვარიანტია.

გელასი კესარიელს თავის “საეკლესიო ისტორიაში“ აღუწერია ქართლის მოქცევის ამბავი. სამწუხაროდ, ეს თხზულება დღესდღეობით დაკარგულადაა მიჩნეული, მაგრამ ცნობები მასზე მერმინდელ ავტორებს შემოუნახავთ თავიანთ შრომებში. ამ ავტორთა შორის უძველესია რომაელი საეკლესიო ისტორიკოსი - რუფინუსი (გარდ. 410 წ.), რომელსაც უთარგმნია და თავის თხზულებაში შეუტანია გელასი კესარიელის ცნობა ქართველთა გაქრისტიანების შესახებ. რუფინუსზე დაყრდნობით ეს ისტორია მოთხრობილი აქვს V ს-ის ბერძენ ისტორიკოსს - სოკრატესაც (დაბ. 380 წ.) თავის “საეკლესიო ისტორიაში“. ამავე სათაურის მქონე ნაწარმოებში მოგვითხრობს იბერთა გაქრისტიანების ამბავს V ს-ის მეორე ბერძენი ისტორიკოსი თეოდორიტე კვირელი (დაბ. 390 წ.). ქართლის მოქცევის ამბავი აგრეთვე გადმოცემული აქვს კიდევ ერთ ბერძენ საეკლესიო ისტორიკოსს - სოზომენს. მას უშუალოდ რუფინუსით უსარგებლია. V ს-ის ბერძენი ისტორიკოსი გელასი კვიზიკელიც გელასი კესარიელის “ისტორიით“ სარგებლობდა.

გელასი კესარიელის ისტორია, რომლითაც სარგებლობდნენ შემდეგში ბერძენ-რომაელი ისტორიკოსები, IV ს-ის ბოლოს ქართლის გაქრისტიანებიდან სულ რაღაც ნახევარი საუკუნის შემდეგ დაიწერა. უადრესად საყურადღებოა გელასი კესარიელის ცნობა იმის თაობაზე, რომ მას ქართველთა გაქრისტიანების ამბავი იბერთა სამეფო სახლის ერთ-ერთი წარმომადგენლის - ბაკურისაგან გაუგია.

მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ უძველესი ქართული წყარო, რომელიც ქართველთა გაქრისტიანებას მოგვითხრობს IV ს-შია დაწერილი ხალხმე უჯარმელის მიერ.

### ქართული ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობა

“მოქცევაი ქართლისაის“ ქრონიკებში (I ნაწილში) დაცულია ცნობები ქართული ეკლესიის მეთაურების შესახებ IV-IX საუკუნეებში.

ქართული ეკლესიის მეთაური წმ. ნინოს დროს იყო იოვანე მთავარეპისკოპოსი.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, თუ ვის ექვემდებარებოდა ქართული ეკლესია შექმნის შემდეგ. მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ქართული ეკლესია IV ს-ის დამდეგს ანტიოქიის იურისდიქციაში შევიდა. მეორე, ამჟამად მიღებული აზრით კი კონსტანტინოპოლს დაექვემდებარა. მაგრამ 325 წლის ნიკეის კრების დადგენილების მიხედვით ეკლესიათა დაქვემდებარება აკრძალული იყო. ზოგიერთი მეცნიერის აზრით ამ კრებამ მსოფლიო სამ კათედრას გაუნაწილა. მაგრამ ეს ასე არ არის. იმპერიის დიდი ქალაქების ეპისკოპოსებს თავიანთი ძალაუფლება უკვე თავიანთ გარშემო არსებულ რამდენიმე პროვინციაზე ჰქონდათ განაწილებული. კრებამ მათ ეს პროვინციები კი არ ჩამოართვა, არამედ უკვე არსებული ფაქტი იურიდიულად სცნო. იმ დროს მსოფლიოს საეკლესიო განაწილების პრობლემა არც არსებობდა. ეს პრობლემა მას შემდეგ გაჩნდა, რაც იმპერიის დედაქალაქების ეკლესიები საპატრიარქოებად იქცნენ. ეს VI საუკუნეში - იუსტინიანეს ეპოქაში მოხდა.

მაინც რომელი ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა ქართული ეკლესია IV ს-ში, ანტიოქიის, იერუსალიმის თუ კონსტანტინოპოლისა?

ცნობილი კანონისტი ბალსამონი (XI ს.) წერს, რომ რომის იმპერიაში IV ს-ში ყველა პროვინციის ეკლესია ავტოკეფალური იყო. იმპერია იყოფოდა 100-ზე მეტ პროვინციად.

საქართველო რომის პროვინცია არ ყოფილა. ამიტომ რადგანაც იმპერიის პროვინციებში IV ს-ის დამდეგს ყველა ეკლესია ავტოკეფალური იყო, ეს მით უფრო საქართველოს შესახებ ითქმის. ე.ი. მით უმეტეს საქართველოს ეკლესია იყო ავტოკეფალური.

ეკლესიის მეთაური საქართველოშივე რომ აერჩიათ, საჭირო იყო ეპისკოპოსთა კრების გადაწყვეტილება, ე.ი. საქართველოს ორზე მეტი ეპისკოპოსი მაინც უნდა ჰყოლოდა.

ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის რეფორმამდე, რომლის შესახებაც “მოქცევაი ქართლისაი“ გვამცნობს, საქართველოში მრავალი ეპისკოპოსი იყო. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქართული ეკლესიის მეთაურს “მთავარეპისკოპოსის“ ტიტული ჰქონდა. ჩვენში რამდენიმე ეპისკოპოსის არსებობაზე მიუთითებს “წმ. ნინოს ცხოვრებაც“ (სადაც წერია: “მეფე მირიანმა დაავედრა ეპისკოპოსთ... ადიდეთ წმ. ნინოს საფლავი“), “შუშანიკის წამებაც“ (რომელშიც მოხსენებულია ეპისკოპოსნი სამოელი, აფოცი და იოანე) და “ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაც“ (“წარმოვიდა მეფე ვახტანგ და მიეგებნენ... და მათ თანა ეპისკოპოსნი“) და ა.შ. მაშასადამე, მატიანეთა მიხედვით, კათალიკოსობის დაწესებამდე IV-V სს-ში ქართულ ეკლესიას მრავალი ეპისკოპოსი ჰყავდა. უპირველესი ეპისკოპოსის მთავარეპისკოპოსის კათედრა დედაქალაქში - მცხეთაში იყო. არსებული წესით, ტახტზე ეპისკოპოსი სამოქალაქო მთავრობის ნებით უნდა “დამჯდარიყო“.

შეიძლება დაისვას კითხვა: თუ ქართული ეკლესია IV ს-ში ისევე ავტოკეფალური იყო, როგორც რომის იმპერიის პროვინციათა ეკლესიები, მაშინ რატომ გამოგზავნა ქართული ეკლესიის პირველი ეპისკოპოსი რომის იმპერატორმა კონსტანტინემ?

“ქართლის ცხოვრებისა“ და “მოქცევაი ქართლისაის“ ცნობებით ქართული ეკლესიის ჩამოყალიბებისას, ხალხის მოსახათლად და დასამოძღვრად საჭირო იყო უცხოელი სამღვდელოების დახმარება, მაგრამ ეკლესიის დაარსების შემდეგ ქართული ეკლესია, ცხადია, ისევე უნდა მოწყობილიყო, როგორც მაშინდელ რომის იმპერიაში სხვა ეკლესიები. იმპერიაში კი, ყოველი პროვინციის ეკლესია ავტოკეფალური იყო და მათ მეთაურს პროვინციის ეპისკოპოსთა კრება ირჩევდა

საგულისხმოა, რომ როცა V ს-ის დამდეგს ანტიოქიის დიდი ეკლესია შეეცადა დაექვემდებარებინა კვიპროსის პატარა ეკლესია, ეფესოს III მსოფლიო კრებამ (431 წ.) ასეთი ცდა დაახასიათა როგორც “საქმე, რომელიც ეწინააღმდეგება ეკლესიისა და მოციქულთა კანონებს“.

რომის იმპერიაში IV ს-ის დამდეგს ავტოკეფალურ ეკლესიათა რიცხვი 100-მდე აღწევდა. შემდგომ დაიწყო მათი რაოდენობის შემცირება ეკლესიათა შერწყმა-გაერთიანების გამო. ამის შედეგად რომის იმპერიაში 381 წ. 14 ავტოკეფალური ეკლესია აღმოჩნდა, აქედან VI ს-ში 6 ავტოკეფალური ეკლესია დარჩა. ავტოკეფალია დაკარგეს მოციქულთა მიერ დაარსებულმა ეკლესიებმაც კი. მაგალითად, იერუსალიმის ეკლესია კესარია-პალესტინის ეპისკოპოსის

ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ მან იბრძოლა და ქალკედონის IV მსოფლიო კრებამ (451 წ.) ავტოკეფალია აღუდგინა.

ამრიგად, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას საფრთხე ემუქრებოდა არა IV ს-ში, არამედ V, VI, VII სს-ში, მაგრამ რადგანაც საქართველო რომის იმპერიაში შემავალი პროვინცია კი არ იყო, არამედ იმპერიის გარეთ არსებული სახელმწიფო, ამიტომ იმპერიაში პროვინციათა ეკლესიების შერწყმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდა.

მოციქულთასწორ წმ. ნინოს დროს გაერთიანებული (ორგანიზებული) საქართველოს ერთიანი ეკლესიის მეთაურები (მათ რუის-ურბნისის კრება “ეპისკოპოს-კათოლიკოსებს“ უწოდებდნენ):

1. იოანე ქართლის მთავარეპისკოპოსი (326-363)
  2. იაკობი მთავარეპისკოპოსი (363-375)
  3. იობი (375-390)
  4. ელია I (390-400)
  5. სვიმეონ I (400-410)
  6. მოსე (410-425)
  7. იონა (425-429)
  8. იერემია (429-433)
  9. გრიგოლ I (433-434)
  10. ბასილი I (434-436)
  11. მობიდანის (436-443)
  12. იოველ I (443-458)
  13. გლონოქორი (V ს-ის 40-იანი წლები)
  14. მიქაელ I (452-467)
- თავი III. ქართული ეკლესია V ს-ში  
ქვეყნის ზოგადი მდგომარეობა V ს-ში

V ს-ის დამდეგს საქართველო სპარსელთა მიერ უკვე დახარკული ქვეყანა იყო. სპარსელებმა, მართალია, ვერ შეძლეს ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება, მაგრამ ქართველების ასიმილაციას დაუფარავად ცდილობდნენ. პირველ რიგში სურდათ, ქართველებს სპარსული სარწმუნოება - ცეცხლთაყვანისმცემლობა მიეღოთ. ისინი ებრძოდნენ და კრძალავდნენ ქართულ ეროვნულ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს. ქრისტიანობა იმ დროს უკვე ქართულ ეროვნულ სარწმუნოებად იყო ქცეული და ამიტომაც ქართველებს ქრისტიანული წეს-ჩვეულებები ჰქონდათ. ქრისტიანობის მოშლით სპარსელები იმედოვნებდნენ, რომ ქართველებს ეროვნულ სახეს დაუკარგავდნენ.

ამავე დროს სპარსელები ძირს უთხრიდნენ ქართულ სახელმწიფოებრიობას, ანუ მეფობას. მათ სომხეთსა და ალბანეთში V ს-ში შეძლეს მეფობის გაუქმება. საქართველოში კი ეს მოახერხეს VI ს-ის დამდეგს, მხოლოდ მთავრებისა და დიდი აზნაურების მეოხებით რომელთაც წყალობას არ აკლებდნენ, დიდ თანამდებობებსა და ჯილდოებს ურიგებდნენ.

სპარსელები ცბიერებითა და ვერაგობით ცდილობდნენ ქართველთა გატეხას. ბიზანტიის, ანუ “ბერძნების“ დამოკიდებულება საქართველოს მიმართ კი სულ სხვაგვარი იყო. ბიზანტიამ IV ს-ის ბოლოს ქართულ სახელმწიფოს სამხრეთის ტერიტორიების დიდი ნაწილი ჩამოართვა და უშუალოდ შეიერთა, ხოლო V ს-ის პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილიც მიიტაცა.

მიუხედავად ამისა, საქართველოს დიდი და უმთავრესი ნაწილი მაინც სპარსთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და მთავარი საფრთხე სწორედ მათგან იყო მოსალოდნელი. ამიტომ ვახტანგ გორგასალი ბერძნულ ორიენტაციას უჭერდა მხარს, სიკვდილის წინ ანდერძიც კი დატოვა, რომ ქართველებს “ბერძენთა სიყვარული“ არ მიეტოვებინათ, თუმცა “ბერძნებს“ შეებრძოლა კიდევ და საქართველოს მათ მიერ მიტაცებული ტერიტორიები დაუბრუნა.

აღსანიშნავია, რომ V ს-ში ქრისტიანობაში ორი განსხვავებული მიმართულება არსებობდა. ერთს ბიზანტია მფარველობდა და აღიარებდა, ხოლო მეორეს - სპარსეთი.

როცა სპარსელები მიხვდნენ, რომ მაზდეანობის გაგრძელება არცთუ ადვილი იყო და ქრისტიანი ხალხები თავიანთ სარწმუნოებას არ დათმობდნენ, სარწმუნოებრივი პოლიტიკა შეცვალეს, რათა სპარსეთში მცხოვრები ქრისტიანები ბიზანტიის გავლენისაგან განთავისუფლებულიყვნენ. სპარსეთს ერჩივნა, ისინი სპარსოფილურად განწყობილი ქრისტიანული ეკლესიების გავლენისა და კონტროლის სფეროში მოქცეულიყვნენ. ასეთი ეკლესიები კი გახლდათ ანტიბიზანტიურად განწყობილი სირიული და სპარსული ეკლესიები.

ყოველივე ამის შედეგად სპარსეთის ქრისტიანებმა 410 წლის კრებაზე თავიანთი კათალიკოსის მეთაურობით ავტოკეფალია გამოაცხადეს. V ს-ის ბოლოს სპარსოფილურ ეკლესიას სომხური ეკლესიაც შეუერთდა.

ცხადია, ასეთი მდგომარეობა თავის ზემოქმედებას მოახდენდა სპარსეთის გავლენის სფეროში მოქცეულ საქართველოზეც. საქართველოში V ს-ში უთუოდ არსებობდნენ როგორც ელინოფილური (ბერძნული) ასევე სპარსოფილური ქრისტიანული საეკლესიო დაჯგუფებანი. ამიტომ საქართველოს მეფე საგანგებო და დაძაბულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ქართველი მეფეები, “ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ერთდროულად ან ორივე დამპყრობელს - სპარსეთსა და საბერძნეთს - ებრძოდნენ, ანდა ბრძნულად იყენებდნენ წინააღმდეგობას ამ სახელმწიფოთა შორის და ხან ბერძნებს ებრძოდნენ სპარსელთა ძალით, ხან კი სპარსელებს ბერძენთა ძალით.

V ს-ის 40-იანი წლებიდან სპარსეთმა ახალი მეტად აქტიური და აგრესიული პოლიტიკის განხორციელება დაიწყო. მიზნად ისახავდა მოესპო ქართლის შინაგანი დამოუკიდებლობა და თავის პროვინციად გადაექცია. ამიტომ ქართლის (და ამიერკავკასიის) ბერძნულ-რომაული სამყაროსაგან იზოლაცია გადაწყვიტა, რისთვისაც სარგებლობდა მეფესა და ფეოდალებს შორის არსებული დაპირისპირებით.

ქართველ დიდაზნაურ ერისთავებს ბერძნებიც ემხრობოდნენ ქართველ მეფეთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი ერისთავებს სახელოებს (თანამდებობებს) და მამულებს ურიგებდნენ მემკვიდრეობის უფლებით. კათალიკოსის თანამდებობაც მემკვიდრეობითი გახდა. მცხეთაში VI ს-ში ორ ოჯახს კათალიკოსის თანამდებობა მემკვიდრეობით მიუღია.

V ს-ის 40-იანი წლებში შაჰმა აღწერა ჩაატარა და გადაამხდელთა კატეგორიაში ქრისტიანული ეკლესიაც შეიყვანა. იგი კვლავ შეეცადა ამიერკავკასიაში მაზდენობა გაეგრძელებინა. ამ მიზნით ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის თავკაცები თავისთან დაიბარა. V ს-ის სომეხი ისტორიკოსის ლაზარე ფარაბეის თქმით “ქართველთა ქვეყნიდან (წავიდნენ) ბღესში არშუმა და ქვეყნის სხვა ტანუტერები“. შაჰმა მათ კატეგორიულად მოსთხოვა მაზდენობის მიღება. სხვა გამოსავალი რომ არ ჩანდა, სამივე ქვეყნის თავკაცებმა გადაწყვიტეს, დათანხმებულიყვნენ, მაგრამ სამშობლოში დაბრუნებისთანავე ისევ ქრისტიანობა მიეღოთ. ამიერკავკასიელ დიდებულებს სპარსელებმა თან გამოაყოლეს მოგვები. მოგვების მოქმედებამ 450 წელს საერთო-სახალხო აჯანყება გამოიწვია. მართალია, 451 წელს სპარსელებმა ჩაახშვეს აჯანყება, მაგრამ იძულებულნი გახდნენ, გარკვეულ დათმობებზე წასულიყვნენ. უთუოდ ამის შემდეგ ქართველებმა ქართული ეკლესიის მეთაურად საბერძნეთიდან მღვდელი ჩამოიყვანეს და მთავარეპისკოპოსად დასვეს (იგულისხმება ვახტანგ გორგასლის დედის - საგდუხტის მიერ ჩამოყვანილი - მიქაელი).

443 წელს სპარსელებმა ალბანელები დაამარცხეს და ალბანეთში მეფობა გააუქმეს. V ს-ის 60-იანი წლების შუა ხანებში კავკასიონის ქედი ჰუნებმა გადმოლახეს და ქართლი და სომხეთი დაარბიეს. ჯუანშერი მათ ოსებს უწოდებს. მათ მოიტაცეს ვახტანგ მეფის და - მირანდუხტი. სპარსელთა გამოთხოვილი პოლიტიკის წყალობით ზოგიერთი უმაღლესი დიდებული სრულებით არ ეპუებოდა მეფეს, მაგალითად, ვარსკენ პიტიახში.

თავისი საქმიანობა ვახტანგმა ქვეყნის შინაგანი სიმტკიცისათვის ბრძოლით დაიწყო. პირველ რიგში ეკლესიას მიხედა და მიზნად მისი განმტკიცება დაისახა. ამ საქმეში მარტო არ ყოფილა, როგორც ჩანს, ეროვნულად განწყობილი სამხედრო წრეც მხარში ედგა.

ს. ჯანაშიას აზრით, ქართულ ეკლესიაში კათალიკოსობის დაწესებამდე მრავალი საეპისკოპოსო ყოფილა, რომელთა ზოგიერთი მეთაურიც ვახტანგს კათალიკოსობის დაწესების დროს შეუცვლია. ეს V ს-ის 70-იან წლებში უნდა მომხდარიყო.

484 წელს ვახტანგმა ვარსკენი მოაკვლევინა, რითაც სპარსოფილი აზნაურები უმეთაუროდ დატოვა. იმავე წელს ომი დაიწყო სპარსელთა წინააღმდეგ. მანამდე კი ახალი ქალაქები და ციხესიმაგრეები ააშენა, ზოგიერთიც განაახლა. ხელთ იგდო კავკასიონის გადასასვლელი და გაამაგრა. ჰუნებთანაც გამართა მოლაპარაკება, რათა სპარსელებთან ომის დროს ჯარი მიეშველებინათ მისთვის.

ეს ამბავი სომხებსაც გაუხარდათ, მაგრამ ერთმა სომეხმა ვახტანგის გეგმა სპარსეთის მარზპანს შეატყობინა, რის შედეგადაც სპარსელებმა ქვეყანაში ორი დიდი ლაშქარი გამოგზავნეს. ქართველებს ჰუნების მაშველი ჯარი არ მოუვიდა, სომხებს შორისაც არ იყო ერთიანობა. სპარსელთა სარდალმა ბრძანება მიიღო, რომ ქართლის მეფე ვახტანგი შეეპყრო, ან მოეკლა, ანდა ქვეყნიდან განედევნა. ვახტანგმა თავისი სამეფოს დასავლეთ ნაწილს, ეგრისს შეაფარა თავი.

ამ დროს სპარსეთიდან პეროზისა და სპარსელთა ჯარის დადუპვის ამბავი მოვიდა. სპარსელები, უადრესად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ და იძულებულნი გახდნენ, მთელ რიგ მნიშვნელოვან დათმობაზე წასულიყვნენ. მათ მთელ ამიერკავკასიაში შეწყვიტეს ქრისტიანთა დევნა. ქართველ მეფეთა ტახტი განმტკიცდა. ალბანეთში მეფობა აღდგა. 485 წელს აჯანყებულთა მეთაური ვაჰან მამიკონიანი სომხეთის მარზპანად დანიშნეს.

ეს იყო ვახტანგ გორგასლის გამარჯვება. მას მხარში ედგა ერთგული “სპა“.

ვახტანგმა რეფორმების ჩატარება ეკლესიაშიც შეძლო, ახალი ეპისკოპოსები დანიშნა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ საქართველო გააერთიანა.

სპარსული ორიენტაციის საეკლესიო დაჯგუფებანი

IV ს-ის ბოლოდან V ს-ის 70-იან წლებამდე, ვახტანგ გორგასლის რეფორმამდე, უცხოურ წყაროებში ქართული ეკლესიის შესახებ ცნობები არ არის, ქართული წყაროები კი იმდროინდელი ქართული ეკლესიის მდგომარეობას და კრიტიკულად აფასებენ. აღსანიშნავია, რომ ხალხიც უარყოფითად აფასებდა ქართული ეკლესიის შინაგან მდგომარეობას. “არა კეთილად ვიპყართ სჯული ქრისტიანთა”...

ქართული ეკლესიის პირველი მეთაური - იოვანე საბერძნეთიდან გამოგზავნეს. იგი ანტიოქიის პატრიარქ ევსტათის მიერ იყო ხელდასმული და, ცხადია, ქართლში ნიკეის რწმენას დანერგავდა. ამიტომაც ქართული ეკლესია დაარსებისთანავე სწორ სარწმუნოებრივ გზას ადგა. შემდეგ საუკუნეებშიც არასოდეს შეუცვლია რწმენა, მაგრამ, როგორც ჩანს, 380-იანი წლებიდან 430-იან წლებამდე საბერძნეთთან კავშირი არ ჰქონია. მართლაც 380-იანი წლების შემდეგ პოლიტიკური მიზეზების გამო შეუძლებელი იყო, ქართულ ეკლესიას პრობერძნული ორიენტაცია დაეცვა. ამ დროს ქართლი, სომხეთი და ამიერკავკასიის ძირითადი ნაწილი სპარსეთის მოხარკე ქვეყნები იყვნენ, სპარსეთი კი - პრობერძნულ, როგორც საეკლესიო, ასევე პოლიტიკურ ორიენტაციას სასტიკად ღვენიდა.

თავის მხრივ ბიზანტიაც იპყრობდა საქართველოს კუთხეებს. ვახტანგ გორგასლის ბავშვობაში ის შემოტრიდა ჩვენში და სამეფოსათვის დასავლეთ საქართველოს ნაწილი, უფრო ადრე კი სამხრეთ საქართველოს ნაწილი ჩამოუშორებია და უშუალოდ შეუერთებია.

### საქართველოს საკათალიკოსოს დაარსება

ცნობილია, რომ რომის იმპერიაში იმპერატორ კონსტანტინემდე ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია არ ყოფილა. ამიტომაც ქრისტიანული თემები თავისუფლებით სარგებლობდნენ იმ თვალსაზრისით, რომ სახელმწიფო არ კარნახობდა ქრისტიანულ ეკლესიას, რა სახის უნდა ყოფილიყო მისი ადმინისტრაციული სტრუქტურა. ამის გამო IV ს-მდე ქრისტიანული თემი მოციქულთა 34-ე კანონით ამ თემის მთავარეპისკოპოსს უნდა დაქვემდებარებოდა. თემების მთავარეპისკოპოსები კი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი იყვნენ.

მთავარეპისკოპოსს ირჩევდა თემის (“ნათესავის”) სამღვდელთა კრება. ამიტომაც ყოველი საეკლესიო თემი და საეპისკოპოსო თავისუფალი და “ავტოკეფალური” იყო.

სრულებით შეიცვალა მდგომარეობა რომის მიერ ქრისტიანობის აღიარების ანუ რელიგიის გასახელმწიფოებრიობის შემდეგ. ამ დროისათვის (IV ს-ის დამდეგს), როგორც ცნობილია, რომის იმპერიაში დაწესდა “ტეტრარხია” - “ოთხის მმართველობა“. ადმინისტრაციული მმართველობის თვალსაზრისით იმპერია ცალკეულ ნაწილებად დაიყო. მას მართავდა ორი იმპერატორი და ორი კეისარი. იმპერიაში არსებობდა უდიდესი ქალაქები: რომი, ანტიოქია, ალექსანდრია, აგრეთვე სხვა ქალაქები, სადაც მხარეთა და პროვინციათა მმართველები იხსდნენ. ამ მდგომარეობას დიდ ქალაქებში მსხდომი ეპისკოპოსების გაძლიერება, გამდიდრება, მათი ავტორიტეტისა და გავლენის ზრდა მოჰყვა. დედაქალაქების ეპისკოპოსები ქალაქის საერო მმართველთან შეთანხმებით მოქმედებდნენ. საერო მმართველი კი დაინტერესებული იყო მის ქალაქში მჯდომი ეპისკოპოსის ავტორიტეტისა და გავლენის გაზრდით. ამის გამო უკვე IV ს-ის დამდეგიდანვე მიმდინარეობს პროცესი, რომელსაც შეიძლება დავარქვათ მცირე, თვითმყოფად ეკლესიათა გაუქმებისა და დიდი ეკლესიების გავლენის სფეროების გაზრდის პროცესი. უკვე IV ს-ში მოწვეული მსოფლიო კრებები, მართალია, ადასტურებენ პატარა ეკლესიების ავტოკეფალიას, მაგრამ ასევე ადასტურებენ მთავარი ქალაქების ეპისკოპოსების გავლენის სფეროების გაფართოებას. ეს პროცესი მთელი IV ს-ის განმავლობაში გრძელდებოდა და საბოლოოდ 451 წელს დასრულდა.

IV ს-ის დამდეგს 330 წელს დაარსებულ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს ნორმალური სიდიდის ეპარქიაც კი არ გააჩნდა, ხოლო ანტიოქიისა და ალექსანდრიის ეპისკოპოსები თავიანთი გავლენის სფეროში აქცევდნენ მათ გარშემო მდებარე ტერიტორიებს. ამ მდგომარეობას დედაქალაქის (კონსტანტინოპოლის) ეპისკოპოსები ვერ ურიგდებოდნენ.

კონსტანტინოპოლის გარშემო არსებობდა ძლიერი ავტოკეფალური ეკლესიები - პონტოს, ასიისა და თრაკიის დიოცეზებისა. მათი ავტოკეფალია ჯერ კიდევ II მსოფლიო კრებამ დაადასტურა.

აღსანიშნავია, რომ რომის იმპერია დაყოფილი იყო ადმინისტრაციულ-სამმართველო ერთეულებად - პროვინციებად და დიოცეზებად. დიოცეზი რამდენიმე პროვინციას აერთიანებდა. იმპერიაში 100-ზე მეტი პროვინცია იყო, IV ს-ში იმპერიაში ყველა პროვინციის ეკლესია ავტოკეფალური იყო, ე.ი. იმპერიაში 100-ზე მეტი ავტოკეფალური ეკლესია არსებობდა, მაგრამ ამავე დროს მიმდინარეობდა პროვინციების ავტოკეფალური ეკლესიების შერწყმა-შეერთების პროცესი დიოცეზის ეკლესიებში. 451 წელს ქალკედონის IV მსოფლიო კრებამ 20-ე კანონით შერწყმის ფაქტი დაადასტურა.

საერთოდ V ს. იყო თავისთავადი საეპისკოპოსოების დიდ საპატრიარქოებსა და საკათალიკოსოებში გაერთიანების საუკუნე. 451 წლის კრებამ დააარსა ახალი საპატრიარქო იერუსალიმი-სა, რომელშიც პალესტინის თავისთავადი საეპისკოპოსოები შევიდნენ.

საქართველოს საკათალიკოსოს ჩამოყალიბებაც ამავე დროს, V ს-ში მოხდა მსგავსი გზით. საქართველოში V ს-ის ბოლოს 30-ზე მეტი ეპისკოპოსი მოღვაწეობდა. ცნობილია, რომ იქ, სადაც ქრისტიანობამ ფეხი მოიკიდა, თითოეულ ქალაქს ეპისკოპოსი განაგებდა.

საქართველოს სამეფოში საერისთავო ან საპიტიახშო დაახლოებით ისეთივე ადმინისტრაციული ერთეული იყო, როგორც რომის იმპერიაში - პროვინცია (ძველი ქართული “სამთავრო”). ქართული ეკლესიის მეთაურს კათალიკოსობის დაწესებამდე ჰქონდა ტიტული “მთავარეპისკოპოსისა” და ეპისკოპოსთა თავი იყო იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ქართველი მეფე განაგებდა.

იმის შემდეგ, რაც ვახტანგმა საქართველო გააერთიანა, შემოუერთა უზარმაზარი ტერიტორიები - კლარჯეთისა და ზღვისპირეთისა, რეფორმის ჩატარება ეკლესიაშიც იწეოდა. ამ საქმეში მისთვის მაგალითი როგორც ბიზანტიის, ასევე აღმოსავლეთის ეკლესიები გახლდათ.

სპარსეთში არსებული სხვადასხვა ქრისტიანული ეკლესიის მეთაურებს თვით შაჰი ნიშნავდა (მაგალითად, სომხეთისას V ს-ში), ხოლო რომის (ბიზანტიის) იმპერიაში საეკლესიო კანონმდებელი ორგანო - მსოფლიო კრებაც კი იმპერატორების აქტიური ჩარევით იმართებოდა.

საქართველოში ვახტანგს მძიმე მდგომარეობა შეექმნა. ეკლესია არა თუ ექვემდებარებოდა ქართველ ხელმწიფეს, არამედ ქართული ეკლესიის მეთაურმა მიქაელმა სამთხვევად მისულ მეფეს ფეხი ჰკრა და კბილი ჩაუმტვრია.

“ვერცხლისმოყვარე ხარ შენ, - უთხრა ამის შემდეგ ვახტანგმა მიქაელს, - და მეგვადრუცე ქრისტესი“ (ე.ი. ეკლესია გამდიდრებისა და პირადი გამორჩენისათვის გნებავსო).

ეტყობა, მიქაელის თავხედობის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ეშინოდა, სიმდიდრე არ დაეკარგა (ამიტომაც იყო “ვერცხლისმოყვარე“, “მეგვადრუცე“ - მოღარე).

მიქაელის მიერ სიმდიდრის დაგროვება მეფის ნების საწინააღმდეგოდ მეფესა და ეკლესიის მეთაურთა შორის წინააღმდეგობის ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ.

თუ მიქაელს მეფე შეურაცხყოფისთვის სამაგიერო სასჯელს დაადებდა, ამით ქრისტიანულ მოსახლეობასა და მიქაელის მომხრე ეპისკოპოსებს აიძულებდა. ასეთ სიტუაციაში ქრისტიანობის მტრად გამოცხადდებოდა.

ვახტანგმა გაითვალისწინა საეკლესიო კანონები, შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობაც გამოიყენა და უმტკივნეულოდ მოიშორა მიქაელი, იგი განსასჯელად გაგზავნა კონსტანტინოპოლში. ამრიგად, ქრისტიანული მოსახლეობა არ გაუღიზიანებია.

ბიზანტიიდან თორმეტი ეპისკოპოსი გამოგზავნეს ქართლში. ეტყობა, ვახტანგმა შეცვალა პროსპარსული ორიენტაციის ეპისკოპოსები და მათ ადგილზე ბერძნული ორიენტაციისანი დასვა. ასევე შეცვალა ის ეპისკოპოსები, რომელნიც თავიანთი სიმდიდრისა და გავლენის გამო მეფის ხელისუფლებას არ ემორჩილებოდნენ. “ქართლის ცხოვრებაში“ ჩამოთვლილია, სად დასვა ვახტანგმა ანტიოქიიდან გამოგზავნილი ახალი ეპისკოპოსები:

“და დასვა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა ახიზისასა, ერთი არტანს, ერუშეთს; ერთი ჯავახეთს, წუნდას; ერთი მანგლისს, ერთი ბოლნისს, ერთი რუსთავს, ერთი ნინოწმიდას, უჯარმის კარსა, რომელი გორგასალსა აღეშენა, ერთი ჭერემს, მისსავე აღშენებულსა... ერთი ჩელეთს... ერთი ხორნაბუჯს და ერთი აგარაკს, რომელ არს ხუნან... შემდგომად მისსა აღაშენა ეკლესია ნიქოზის საგზებელსა თანა ცეცხლისა და დასვა ეპისკოპოსი“. ეს ეპისკოპოსები ახლად შემოერთებულ კლარჯეთსა და მანამდე სპარსეთის გავლენის ქვეშ მყოფ მხარეებში დასვა. ხსენებულ საეპისკოპოსოთა გარდა საქართველოში სხვა საეპისკოპოსოებიც უნდა ყოფილიყო, რომელთა მეთაურებს შეცვლა არ ესაჭიროებოდათ მეფისადმი ერთგულებისა და ბერძნული ორიენტაციის გამო.

ვახტანგ გორგასალის მიერ საქართველოს საკათალიკოსოს დაარსებასთან დაკავშირებით უნდა დავასკვნათ:

V ს-ში ქართული ეკლესიის იურისდიქციაში არსებული ტერიტორიები გაიზარდა. ეს შედეგი იყო იმისა, რომ ვახტანგ გორგასალის დროს ბიზანტიამ საქართველოს მიტაცებული კლარჯეთი (სამხრეთ საქართველო) და ზღვისპირეთი (ციხელოვანი კლისურამდე) დაუბრუნა.

ცნობილია, რომ V ს-ში ქალკედონის კრების დროისათვის გამსხვილდა ზოგიერთი ეკლესია, მაგალითად, შეიქმნა იერუსალიმის საპატრიარქო, ხოლო პონტოს, ასიისა და თრაკიის დიოცეზები კონსტანტინოპოლის პატრიარქის იურისდიქციაში შევიდა. სწორედ ამ ეპოქაში ვახტანგ გორგასალმა იწეოდა, ქართული ეკლესია მოწოდებულიყო, როგორც ერთიანი ცენტრალიზებული სამამთავრო ეკლესია. ე.ი. დედაქალაქის (მცხეთის) ეპისკოპოსი საქართველოს ეკლესიისათვის საყოველთაო ეპისკოპოსი, ანუ კათალიკოსი (ბერძნული სიტყვიდან “კათოლოს“ - საყოველთაო) გახდა. ამ ეპოქის თითქმის თანადროულ საისტორიო ქრონიკაში (“მოქცევაი ქართლისაი“) პირველ კათალიკოს პეტრეს მამამთავარი ეწოდება: “აქათვან იწყეს კათალიკოსთა მამამთავრობად“.

თავი IV. ქართული ეკლესია VI საუკუნეში  
ზოგადი მიმოხილვა

VI ს-ის დამდევს სპარსეთმა საქართველო დაიმორჩილა, რის შედეგადაც ქართლში მეფობა გაუქმდა. როგორც ქართულ, ასევე ზოგიერთი ბერძნული წყარო მეფობის გაუქმებას სხვადასხვაგვარად გადმოსცემს. მაგალითად, “მოქცევაი ქართლისაის“ წყაროს ცნობით საქართველოში VI ს-ის დამდევს მეფობა გაუქმდა და ქართველებს მეფე აღარ ჰყავდათ; სხვა წყაროები კი, მაგალითად, “ქართლის ცხოვრება“, არ მიუთითებს, რომ VI ს-ის I ნახევარში მეფობა გაუქმებული იყო. ასევე ბერძნულ წყაროებშიც, მაგალითად, პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს, რომ გურგენ მეფის აჯანყების შემდეგ ქართველებს ნება აღარ მისცეს, საკუთარი მეფე ჰყოლოდათ, და მეფობა გააუქმეს. გურგენი ლაზიკიდან თავისი სახლობითა და ამალით 523 წელს წავიდა ბიზანტიაში. 532 წელს სპარსეთსა და ბიზანტიას შორის დაიდო “საუკუნო ზავი“ და თითქოსდა ამის შემდეგ ქართველებს VI ს-ში საკუთარი მეფე აღარ ჰყავდათ, მაგრამ ბიზანტიელი მემბტინები მაღალა და თეოფანე ახსენებენ ქართველთა მეფეს (ძამანარზოს), დედოფალსა და დიდებულებს, რომელნიც 535 წელს კონსტანტინოპოლში ჩასულან იუსტინიანე კეისართან მოსალაპარაკებლად.

შესაძლებელია დამპყრობლებმა (სპარსელებმა) საქართველოს შეზღუდული ავტონომიის მაგვარი რაღაც სტატუსი მისცეს, რომლის სათავეშიც გორგასლიან-ფარნავაზიანთა ძველი დინასტია ყოფილა. ალბათ ქართველთა გარკვეული პოლიტიკური წრეები მეფობის გაუქმებას არ სცნობდნენ და დაპყრობილი ქვეყნის მეთაურს კვლავ მეფეს უწოდებდნენ. ასეა თუ ისე, უდავოა, რომ ქვეყანაში VI ს-ის 70-90-იან წლებამდე სპარსელები ბატონობდნენ და ქართულ ეროვნულ ინსტიტუტებს, მათ შორის ქართულ ქალკედონურ ეკლესიას, ძლიერ დევნიდნენ: ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისით, მეფობის გაუქმება 532 წლის საზავო ხელშეკრულებამ დააკანონა. “მოქცევაი ქართლისაის“ მემბტინანე წერს, რომ “ამის ბაკურის ზვეე დაესრულა მეფობაი ქართლისაი“.

აღმოსავლეთ საქართველოს სრული დაპყრობის შემდეგ სპარსელები ბერძენთა განდევნას ცდილობდნენ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთიდან. 542 წელს სპარსთა მეფე ხოსრო დიდალი დაშქრით აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოში გადასულა და ბიზანტიელების ციხე-ქალაქი პეტრა აუღია. დასავლეთ საქართველოს სრული დაპყრობის შემდეგ კი გადაუწყვეტია, ქართული მოსახლეობა სპარსეთში გადაესახლებინა, ხოლო ლაზიკაში სხვა ტომის ხალხი ჩაესახლებინა. ქართველები აჯანყდნენ და 549 წელს სპარსელები ლაზიკიდან განდევნეს. 550 წელს სპარსელები კვლავ შევიდნენ ლაზიკაში და მუხურისის ხეობაში გამართულ ომში სასტიკად დამარცხდნენ. სპარსეთსა და ბიზანტიას შორის ლაზიკისათვის ომი დასრულდა 563 წლის ზავით. ლაზიკა ბიზანტიელებს დარჩათ. ამ ზავით საქართველო ერთმანეთში ბიზანტიელებმა და სპარსელებმა გაიყვეს. ბიზანტიელებს დარჩათ ლაზიკა, ხოლო სპარსელებს - დანარჩენი იბერია. ამ ზავით სვანეთიც ბიზანტიას უნდა დარჩენოდა, რადგანაც იგი ლაზიკის ქვეშევრდომი იყო.

590-იან წლებში სპარსელებს დანარჩენი იბერიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუკარგავთ. 591 წელს სპარსელებმა და ბიზანტიელებმა ერთმანეთს შორის გაიყვეს აღმოსავლეთ საქართველოც.

VI ს-ში სპარსელებისათვის მისაღები სარწმუნოება მონოფიზიტობა იყო, რის გამოც ისინი სომხურ ეკლესიას მფარველობდნენ. როცა სპარსეთი იძულებული გახდა, უარი ეთქვა მაზდეანობის გავრცელებაზე ამიერკავკასიაში, მონოფიზიტური სარწმუნოების მფარველად იქცა. მან საეკლესიო მწერლობას დაავალა მონოფიზიტური იდეები და სპარსეთთან განუყრელი კავშირის აუცილებლობა ექადაგა. ამ მიზნით სპარსეთის მეფის აგენტებმა შეთხზეს ლეგენდები, თითქოს ქრისტიანობა სომხეთსა, ქართლსა და ალბანეთში ერთმა პირმა გაავრცელა, თითქოს ქართული, სომხური და ალბანური ანბანები ასევე ერთმა პირმა შექმნა და თითქოს ეს “განმანათლებელი“ ამავე დროს თითქოს სპარსეთთან იყვნენ დაკავშირებული.

### ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები VI საუკუნეში

ივ. ჯავახიშვილი წერს: “ქართული ეკლესიის საზღვრები ვრცლად ყოფილა გადაჭიმული: იგი კლარჯეთსაც შეიცავდა და საზღვრად აქ ტაოს საეპისკოპოსო ყოფილა“.

სამხრეთ-დასავლეთით ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრებში შედიოდა კლარჯეთი ვიდრე ტაომდე, დასავლეთით ქართული ეკლესიის საზღვრები წინანდებურად ეგრისს მოიცავდა, შავ ზღვამდე მიდიოდა. სომეხთა ისტორიკოსის იოანე კათალიკოსის ცნობით კირიონი, წინანდელი წესის შესაბამისად ქართველთა, გუგარელთა და მეგრელთა არქიეპისკოპოსად იქნა ხელდასმული. გუგარელთა შესახებ ცნობა გასაკვირი არ არის, რადგან გუგარეთი კარგა ხანია საქართველოს დაბრუნებული ჰქონდა და ქართლის კათალიკოსის სამწყსოს ეკუთვნოდა, მაგრამ მისი მეგრელთა კათალიკოსად აღნიშვნა, მნიშვნელოვანი ცნობაა. ცხადია, იოანე კათალიკოსს ეს ცნობა რომელიმე წერილობითი წყაროდან ექნებოდა აღებული. ამჟამად იოანე კათალიკოსის ცნობის ჭეშმარიტება დამტკიცებულია იმით, რომ ატენის სიონის ფრესკულ წარწერებში აღმოჩნდა იდენტური ცნობა, კერძოდ, მოხსენებულია სტეფანოზი “მეგრელთა ერისთავთა უფალი“. მკვლევარის აზრით, სტეფანოზი ქართლისა და ეგრისის მმართველია. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს “ქართლის ცხოვრების“ სიმართლეს, რომ საქართველოს პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ



ორბიტაში არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველო, არამედ დასავლეთ საქართველოც იყო მოქცეული.

იოანე კათალიკოსის ცნობით, კირიონი წინანდელი წესით ქართველთა, გუგარელთა და მეგრელთა კათალიკოსად VI ს-ის ბოლოს დაუსვამთ, ე.ი. ქართული ეკლესიის იურისდიქცია დასავლეთ საქართველოზე არა მხოლოდ VI ს-ში, არამედ უფრო ადრეც ვრცელდებოდა.

ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, V ს-ის შუა წლებისა და II ნახევრისათვის საქართველოში 24 საეპისკოპოსო ყოფილა, ხოლო ცნობილი ასურელი მონოფიზიტი მოღვაწე სიმეონ ბეთ-არ-შამელი ქართლის 33 ეპისკოპოსს იხსენიებს. 607 წელს დაწერილ ეპისტოლეში კი კირიონ ქართლის კათალიკოსი აბრაამ სომეხთა კათალიკოსს წერდა, რომ საქართველოს საკათალიკოსოში სულ 35 საეპისკოპოსო შედიოდა. როგორც ვხედავთ, ერთი საუკუნის განმავლობაში ქართულ ეკლესიას ორი საეპისკოპოსო მომატებია. ეს გარემოება ქრისტიანობის წარმატებული წინსვლით უნდა აიხსნას.

საეკლესიო ენები ალბანეთში, ჰერეთში, გუგარქსა და დასავლეთ საქართველოში VI-VII საუკუნეებში

## 1. საეკლესიო ენა ალბანეთში

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ალბანეთის საეკლესიო ენა სომხური იყო და არა მშობლიური. ალბანეთი ამიერკავკასიის უდიდესი ქვეყანა გახლდათ, გადაჭიმული სევანის ტბის მიმდებარე ტერიტორიებიდან ვიდრე კასპიის ზღვამდე. ალბანელები იბერიულ-კავკასიური მოდგმისანი იყვნენ. ამიტომაც ალბანური ენა ახლოს იდგა ქართველურ ენებთან და სრულიად განსხვავდებოდა სომხურისაგან. გარდა ამისა, ალბანეთის ეკლესია სამოციქულო თავისთავადი ეკლესია იყო, რომელსაც თავისი კათალიკოსი, საეკლესიო იერარქია და მრავალი ეპისკოპოსი ჰყავდა. მიუხედავად ამისა, VII ს-დან ალბანეთის ეკლესიაში წირვა-ლოცვა და მღვდელთმსახურება არა მშობლიურ ენაზე, არამედ სომხურად სრულდებოდა. ალბანელი სამღვდელოება სომხურ წიგნებსა და სომხურ ანბანს თავისი საჭიროებისათვის იყენებდა. ამიტომაც თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ალბანეთის ეკლესია წმ. გრიგორისა და წმ. მაშტოცის შრომასა და ღვაწლს იყენებდა თავისი საჭიროებისათვის, უფრო მეტიც, VII ს-ის ბოლოდან მიიხნეოდა, რომ ალბანური ეკლესია წმ. გრიგორის ეკლესიის (ე.ი. სომხური ეკლესიის) ნაწილი იყო.

არსებობს სხვადასხვა მოსაზრება, თუ რატომ იყენებდა ალბანეთის ხალხი საეკლესიო საჭიროებისათვის არა ალბანურ ენას, არამედ სომხურ ენას. ერთ-ერთი მოსაზრებით ალბანეთი მრავალეროვანი ქვეყანა ყოფილა და სამწუხაროდ, ვერ შეძლო ერთიანი, საყოველთაო კონინგ ალბანური ენის შექმნა, თუმცა ამის მცდელობა იყო.

ალბანეთი ნაწილობრივ არმენიზებული - გასომხებული ჯერ კიდევ IV-V საუკუნეებში ყოფილა. მიუხედავად ამისა, ალბანეთში V ს-ში შეიქმნა ეროვნული ანბანი, მწერლობა და ალბანური ისტორიოგრაფიაც კი. როგორც ჩანს, ალბანელებს მოკლე დროის განმავლობაში ჰყავდათ თავიანთი ისტორიკოსები.

არის სხვა თვალსაზრისიც ალბანელთა მიერ საეკლესიო ენად სომხური ენის გამოყენების შესახებ. როგორც აღინიშნა, ალბანელმა ხალხმა V ს-ში შექმნა საკუთარი ეროვნული დამწერლობა, შექმნილია ალბანური ლიტერატურის ორიგინალური ძეგლები, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ. V ს-ში ალბანეთის ეკლესიებში საეკლესიო ენად ალბანური ენა გამოიყენებოდა, თუ მთელ ალბანეთში არა, მის ზოგიერთ კუთხეში მაინც, მაგრამ ამასთანავე ცნობილია, რომ უკვე VII ს-ის ალბანელი ისტორიკოსი მოსე კალანკატუელი თავის თხზულებას წერს არა ალბანურ, არამედ სომხურ ენაზე. ჩანს, ამ ორი საუკუნის შუაში, სახელდობრ VI ს-ში, ალბანურ ეკლესიაში მოხდა რაღაც ცვლილება, კერძოდ, ალბანურენოვანი წირვა-ლოცვა სომხურენოვანით შეიცვალა.

მართლაც, VI ს-ში ძალზე დიდი ძვრები ხდება ამიერკავკასიის ეკლესიებში. სპარსეთის მიერ დაპყრობილ ამიერკავკასიის ქვეყნებში ეკლესიებზე ზედამხედველობა სომხეთის ეკლესიამ მოიპოვა. ამის ნება მას სპარსეთმა მისცა. ამიტომ სომხეთთან მოსაზღვრე მხარეების ეკლესიებში სომხურენოვანი ღმრთისმსახურება დაინერგა. ალბანეთი ადრევე IV-V ს-ში არმენიზებული ქვეყანა იყო და იქ VI ს-ში სომხურენოვანი ღმრთისმსახურების საყოველთაო გავრცელება ძნელი არ იქნებოდა. ამიტომაც შეცვალა სომხურმა საეკლესიო ენამ ალბანური საეკლესიო ენა. ამის შემდეგ ალბანური წიგნები და დამწერლობა არც ერთ საუკუნეში აღარ გამოყენებიათ. ალბანელი ხალხიც გადაგვარდა.

## 2. საეკლესიო ენა ჰერეთში

VI-VII სს-ში ჯერ სპარსთა, შემდეგ კი არაბთა მიერ დაპყრობილი ჰერეთი მომხდურებმა ალბანეთის ტერიტორიას მიუერთეს. ამიტომ ამ პერიოდში მისი საეკლესიო ენაც სომხური იყო, ისევე როგორც მთელს ალბანეთში.

V ს-ში ჰერეთი არა აღბანეთის, არამედ ქართლის (იბერიის) სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ამას “შუშანიკის წამებაც“ ადასტურებს, სადაც ჰერეთს პირდაპირ ქართლი ეწოდება.

“ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ჰერეთი არა მარტო V ს-ში შედიოდა ქართლის სამეფო-ში, არამედ ქართული ეროვნული სახელმწიფოს შექმნისთანავე, ე.ი. ქრისტემდე IV-III საუკუნეებში.

ამავე წყაროს მიხედვით ეთნიკურად ჰერები ქართველთა “თვისნი“ - ქართველები არიან.

წმ. ნინოს მიერ ქართული ეროვნული ეკლესიის დაარსების დროს IV ს-ში ჰერეთი ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. წმ. ნინომ თვითონ მოაქცია ჰერეთი ქრისტიანულ რჯულზე. ამის შესახებ ცნობები არა მარტო ქართულ წყაროებში, არამედ სომხურშიც გვაქვს. კერძოდ, მოსე ხორენაცი წმ. ნინოს შესახებ წერს, მან მოაქცია ქართველი ერი კლარჯეთიდან ვიდრე კასპიის კარამდე და მასქუთების ქვეყანამდე (მასქუთები კასპიის ზღვასთან ცხოვრობდნენ).

აღსანიშნავია, რომ მოსე ხორენაცი წმ. ნინოს “ქართველთა მომაქცევებს“ უწოდებს. ამიტომაც წმ. ნინოს მიერ მოქცეული მოსახლეობა “კლარჯეთიდან ვიდრე კასპიის კარამდე“, ხორენაცს ქართველებად მიაჩნია.

V ს-ში ჰერეთის საეკლესიო ენა ქართული იყო იმის გამო, რომ IV ს-დანვე აქ ქართული ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდებოდა.

სომხურ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, თითქოსდა ჰერეთის ტერიტორიაზე სომხური მოსახლეობა ცხოვრობდა.

არსებობს ორი მოსაზრება: ერთის, ანუ ოფიციალური თვალსაზრისის მიხედვით ჰერეთში აღბანურ-სომხური მოსახლეობა ცხოვრობდა და XI ს-ის შემდეგ ეს ხალხი გაქართველდა, მეორე აზრით კი ჰერები ქართულენოვანი ხალხი იყო, რომელიც VI-X სს-ში, სომხური ეკლესიის იურისდიქციაში მოექცა აღბანეთის სხვა კუთხეთა მსგავსად და ნაწილობრივი არმენიზაცია განიცადა, ხოლო XI ს-დან ჰერეთი კვლავ დაუბრუნდა დედა-ქართულ ეკლესიას, ქალკედონიტური მხარე გახდა და ამიტომაც აქ ეკლესიებში წირვა-ლოცვის ენად მშობლიური ქართული ენა აღდგა.

ანუ ჰერეთი უძველესი დროიდან ქართლის სამეფოს ნაწილი იყო, VI-IX სს-ში დაპყრობათა დროს იგი მონოფიზიტური იყო, X ს-ში კი იქ ქალკედონიტობა აღადგინა ანუ “მოაქცია დინარა დედოფალმა“ და ჰერეთის საეკლესიო ენა კვლავ ქართული გახდა.

ჰერეთის დასავლეთით მდებარეობდა განთქმული დავითგარეჯის ლავრა. ისმის კითხვა, თუ ჰერეთი VI-IX სს-ში აღბანეთის მსგავსად მონოფიზიტური იყო, რა სარწმუნოებრივი მიმართულება ჰქონდა ამ ლავრას?

ასურელ მამათა ცხოვრებიდან ჩანს, რომ ეს მამები ქართულ ენაზე ლაპარაკს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. “ქართლის ცხოვრებაში“ აღნიშნულია, რომ მათ მისაგებებლად გამოსულ კათალიკოსს ასურელი მამები ქართულ ენაზე პასუხობენ. ქართულ ენაზე ლაპარაკს კი იმ დროს პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ამ პერიოდში სპარსთა მიერ დაპყრობილ მხარეებში სომხურენოვანი ღმრთისმსახურება ინერგებოდა სპარსელთა ნებით.

სრულებით უეჭველია, რომ დავითგარეჯის ლავრა VI-X სს-ში ქართულენოვანი მონასტრებისაგან შედგებოდა, რაც თავისთავად პასუხია ამ ლავრის სარწმუნოებრივი მიმართულების შესახებაც. იგი მონოფიზიტური რომ ყოფილიყო, იქ დანერგილი იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ სომხურენოვანი წირვა-ლოცვა და არავითარ შემთხვევაში - ქართულენოვანი, მაგრამ ეს ასე არ ყოფილა. მაშასადამე, ცხადია, ეს ლავრა ქალკედონიტური იყო.

ამკარაა, დავითგარეჯის მონასტრები ჰერეთის დასავლეთი ნაწილის არმენიზაციას აფერხებდნენ და ხელს უწყობდნენ ჰერეთში ქალკედონიტური მრწამსის აღდგენას. ამიტომ ეს ნაწილი ქალკედონიტური იყო, მაგრამ ჰერეთის ძირითადი ნაწილი დინარა დედოფალამდე მონოფიზიტური ყოფილა, რასაც თავისებური გავლენა მოსახლეობაზეც მოუხდენია.

X ს-ში, როცა მთელი ჰერეთი გაქალკედონიტდა, დავითგარეჯის მონასტერში, მათ შორის საბერეებშიც, ჰერეთის სხვა კუთხეებიდან მოსულან ბერები, რომელთაც წირვა-ლოცვის ქართული ენა კი გაეგებოდათ, მაგრამ წერა-კითხვა (რომელიც ადრევე - სიემაწვილეში შეისწავლეს) მხოლოდ სომხურად იცოდნენ. ამიტომ მონასტრის წინამძღვრებმა მათთვის კედლებზე საგანგებოდ სომხურენოვანი განმარტებითი წარწერები გააკეთებინეს, რათა მათ თავისუფლად შეძლებოდათ გაგება, თუ რა იყო, ან ვინ იყვნენ გამოსატყულნი ეკლესიის კედლებზე.

უნდა დაგვასკვნათ, რომ ჰერეთი IV-V სს-ში ქართული ეკლესიის ნაწილი იყო. VI-X საუკუნეებში მისი დიდი ნაწილი მონოფიზიტურ-სომხურმა ეკლესიამ მიიტაცა, X საუკუნეში კი იგი დედაქართულ ეკლესიას დაუბრუნდა. შესაბამისად, IV-V საუკუნეებში ჰერეთის საეკლესიო ენა იყო ქართული, VI-IX სს-ში სომხური, X ს-დან კი - კვლავ ქართული.

### 3. საეკლესიო ენა გუგარქში ანუ ქვემო ქართლში

სომხური ისტორიოგრაფიის მიხედვით, სომხეთის ჩრდილოეთით მოქცეული ვრცელი ქვეყნის - გუგარქის ცენტრი ქალაქი ცურტავი იყო. გუგარქი ქართლის ქვეყანაა. ცურტავი

დღევანდელ რუსთავთან ახლოს მდებარეობდა. ესაა ქვემო ქართლი. აქაურ ეკლესიებსა და სხვა მატერიალური ძეგლების ნაშთებზე V ს-ით დათარიღებული მრავალი ქართული წარწერა არსებობს, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ გუგარქში საეკლესიო ენა, ანუ წირვა-ლოცვის ენა IV-V სს-ში ქართული იყო. ამავე დროს ჩვენამდე მოღწეულია პირველხარისხოვანი საისტორიო წყარო - "ეპისტოლეთა წიგნი" VI-VII სს-ისა, საიდანაც სრულიად აშკარად ჩანს, რომ საერთოდ გუგარქში და კერძოდ ცურტავში, "სომხურენოვანი" მოსახლეობის საკმაო რაოდენობა ცხოვრობდა.

ამჟამად ქართულ ისტორიოგრაფიაში არის მცდელობა, რომ ეს სომხურენოვანი მოსახლეობა ძალზე მცირერიცხოვანი თემად გამოცხადდეს, რომელიც ცურტავში სახლობდა, მაგრამ ასეთ მოსაზრებას სრულებით ეწინააღმდეგება "ეპისტოლეთა წიგნი", სადაც გარკვევით წერია, რომ სომხურენოვანი მოსახლეობა ძალზე მრავალრიცხოვანია და გუგარქში აქვს "ქვეყნები", სოფლები, დაბები, ჰყავთ აზნაურები და გლეხები...

ზოგიერთი ფიქრობს, რომ "სომხურენოვანება" ნიშნავს ეთნიკურ სომხობას, რაც არასწორია. სომხური ენა სპარსელთა მიერ დაპყრობის დროიდან VI ს-დან, აქაური მოსახლეობის საეკლესიო ენა გახდა, რადგანაც სპარსელები დევნიდნენ ქართულ ეკლესიას და მხარს უჭერდნენ სომხურს. ეთნიკურად კი ეს ხალხი ქართველები იყვნენ. ასეთი მტკიცების საფუძველს იძლევა თვით "ეპისტოლეთა წიგნი", სადაც სრულებით გარკვევით წერია, რომ ცურტაველი ეპისკოპოსი მოსე "ქართველთა" ეპისკოპოსი იყო: "...მოსე ქართველთა მართლმადიდებელი ეპისკოპოსისა".

სომხები მართლმადიდებელს უწოდებდნენ მონოფიზიტს. მოსე, რომელსაც სომხური წყაროები ქართველთა ეპისკოპოსს უწოდებენ, მონოფიზიტი იყო და მხურვალე მომხრე სომხური ეკლესიის იურიდიქციის განვრცობისა.

გუგარქის მოსახლეობა რომ ეთნიკურად ქართული იყო, ეს კარგად იცოდნენ ძველმა სომეხმა ისტორიკოსებმაც. ამის შესახებ პირდაპირ წერს უხტანესი. იგი აღნიშნავს, რომ ცურტავსა და გუგარქში მცხოვრები ქართველები სომხური ეკლესიისა და სომხური ქრისტიანობის ზეგავლენის ქვეშ იყვნენ და ისინი სომეხთაგან კირიონმა განაშორაო.

კირიონის რეფორმის შედეგად გუგარქ-ცურტავში ქართულენოვანი ღმრთისმსახურება აღდგა, რასაც სომხეთის ეკლესიამ დვინში დიდი წინააღმდეგობა გაუწია.

ჩვენში არის მცდელობა ქართული ეკლესიის ანდა რომელიმე კუთხის სომხური ეკლესიის გაგვლენის ქვეშ ყოფნა უარყონ და შესაბამისი ცნობები ტენდენციურად გამოაცხადონ, მაგრამ ამის შესახებ უცხოელი ისტორიკოსების სპეციალურ ლიტერატურაშიცაა ცნობილი. ის, რაც მსოფლიო მეცნიერებაშია ცნობილი, არც ჩვენში უნდა იქნას უარყოფილი. კერძოდ, ძლიერ სომხურ ეკლესიას თავისი ანტიქალკედონური ანუ ანტიბიზანტიური მიმართულების გამო სპარსეთი V-VI სს-ში და არაბობა VII-IX სს-ში აძლიერებდნენ და კარგად ეპყრობოდნენ. თავის მხრივ, ბიზანტიის სახელმწიფოც ცდილობდა, თავის მხარეზე გადაებირებინა ძლიერი სომხური ეკლესია დაყვავებით, მოფერებით, დათმობით და ყოველგვარი ხელშეწყობით.

ამის გამო სომხურმა ეკლესიამ შეძლო თავისი გაგვლენის სფეროში მოექცია სომხეთის უშუალო მეზობლად მდებარე არასომხური პროვინციები, როგორც ალბანეთისა, ასევე საქართველოსი. რის შედეგადაც მკვიდრი ქართული მოსახლეობა საეკლესიო თვალსაზრისით "სომხურენოვანი" ხდებოდა, ხოლო ქართულ ეკლესიებსა და წმ. წიგნებში სომხური მინაწერები ჩნდებოდა.

საინტერესოა გუგარქის შემდგომი ბედი ეკლესიური თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, გუგარქში ჩვენმა დიდმა კათალიკოსმა კირიონმა ღმრთისმსახურებისას სომხურენოვანი წირვა-ლოცვის გვერდით ქართულენოვანი წირვა-ლოცვის დანერგვაც შეძლო. ეს სრულიად მიუღებელი გახდა სომხური ეკლესიისათვის, რომელმაც კირიონის სასტიკად დასჯა გადაწყვიტა, რაც იმ დროს სომხეთის პროსპარსული ორიენტაციის მქონე მიმართულება სუმბატმა ვერ შეძლო. მაგრამ მალე სპარსთა მეფემ ხოსრომ შეუტია ბიზანტიას, დაამარცხა და იერუსალიმი აიღო. 614 წელს მან საეკლესიო კრება მოიწვია, რომელზეც სპარსეთის იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანები დაავალდებულა "მიეღოთ სომხური ქრისტიანობა". ამის გამო კირიონი იძულებული გახდა, ლაზიკაში გადასულიყო.

მალე სპარსეთი ჰერაკლე კეისარმა დაამარცხა და სომხურ ეკლესიასთან მეგობრული კავშირი "უწია" შეკრა. ამის გამო სომხური ეკლესიის მიერ მიტაცებული ქართული მხარეების ხალხები კვლავ "სომხურენოვანია" საეკლესიო თვალსაზრისით. X ს-ის ბოლოს ქვემო ქართლში დაარსდა ტაშირ-ძორაგეტის კვირიკიანების სამეფო. ეს სამეფო განსაკუთრებით 989-1048 წწ-ში, გაძლიერდა. იგი შემდეგ ანისის სამეფომ შეიერთა, შემდეგ კი ბაგრატ IV-მ. ამის შემდეგ მას მაინც სომხური წარმოშობის მეპატრონენი გამოუჩნდნენ (მაგალითად, 1185 წლიდან ქართლის ეს ნაწილი სამართავად მხარგრძელებს გადაეცათ). მიუხედავად ამისა, ამ მხარის ქართველობამ თავისი ეროვნების შენარჩუნება მაინც შეძლო, თუმცა ნაწილობრივ სომხური ეკლესიის სამწყსოდ იქცა.

ქვემო ქართლში შემდგომაც ახალი დაპყრობის შემდეგაც მტერი სასტიკად ებრძოდა მართლმადიდებლობას და ქართველებზე აბატონებდა სომხურ ეკლესიას XVI-XVIII სს-ში. ყოველივე ამას სპარსეთი უწყობდა ხელს.

#### 4. საეკლესიო ენა დასავლეთ საქართველოში

დასავლეთ საქართველოში IV-V-VI და აგრეთვე VII ს-ის დამდეგს საეკლესიო ენა იყო ქართული და არა ბერძნული, როგორც მიხნეულია ამჟამად. ბერძნული ენა დასავლეთ საქართველოს ერთ ნაწილში საეკლესიო ენად ოფიციალურად იქცა მხოლოდ VII ს-ის 30-იანი წლებიდან. ამის მიზეზი იყო ის, რომ ამ წლებში ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლემ დასავლეთ საქართველოს ერთი ნაწილი - “ზღვისპირეთი“ უშუალოდ შეუერთა ბიზანტიის სახელმწიფოს, რის გამოც დასავლეთ საქართველოს ამ ნაწილზე საეკლესიო იურისდიქცია განახორციელა კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ. აქ დაარსდა ლაზიკის ბერძნულენოვანი სამიტროპოლიტო, რომელშიც შედიოდა რამდენიმე ბერძნულენოვანი საეპისკოპოსო. ყველა ეს საეპისკოპოსო ზღვის სიახლოვეს მდებარეობდა, უმეტესად მდინარე ჭოროხის ხეობაში და მდ. რიონის დასავლეთ სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიაზე.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქცია არ მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს, ვერისისა და არგვეთის პროვინციაზე იურისდიქციას მცხეთის საკათალიკოსო ახორციელებდა. ერთიანი ქართული ეკლესია დაარსების დროს, IV ს-ის დამდეგს, მოიცავდა არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ დასავლეთ საქართველოსაც. წმ. ნინოს მიერ დაარსებული ეკლესიის ენა იყო ქართული ენა. V ს-ში დასავლეთ საქართველო ვახტანგ გორგასალის სამეფოში შედიოდა. ცხადია, იმ დროსაც დასავლეთ საქართველოში საეკლესიო ენა იყო ქართული. მიუხედავად იმისა, რომ VI ს-ში დამპყრობელთა შორის ცხარე ბრძოლები იმართებოდა დასავლეთ საქართველოს ხელში ჩასაგდებად, მაინც ეს ტერიტორია ქართული სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად მიიჩნევა, რადგანაც როცა ჰერაკლე კეისარმა უშუალოდ შეიყვანა ბიზანტიის იმპერიაში დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი, იმდროინდელმა ქართლის მმართველმა - მეფემ გამოთქვა უკმაყოფილება და კეისარს თხოვნა გაუგზავნა ეროვნული ტერიტორიების უკან დასაბრუნებლად.

VII ს-მდე არც ერთ ბერძნულ წყაროსა, ცნობასა თუ ნოტაციაში არ მოიძებნება მინიშნებაც კი იმისა, რომ VI, ანდა უფრო ადრე IV-V სს-ში აღნიშნულ მიწებზე (იგულისხმება “ეგრისწყლის“ აქეთ მდებარე ქვეყანა) ბერძნული საეპისკოპოსოები არსებობდნენ. პირიქით, არსებობს როგორც ქართული, ასევე სომხური წყაროები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დასავლეთ საქართველოში და მის ზღვისპირეთში V-VI სს-ში და VII ს-ის დამდეგსაც თავის იურისდიქციას ახორციელებდა არა ბერძნული, არამედ ქართული ეკლესია, კერძოდ, მცხეთის საკათალიკოსო.

უნდა დავასკვნათ, რომ დასავლეთ საქართველოში საეკლესიო ენა IV საუკუნიდანვე იყო ქართული.

## 5. საეკლესიო ენა ტაო-კლარჯეთში

სპარსელები ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ, როგორც ითქვა, სასტიკად დევნიდნენ საქართველოს წმიდა ეკლესიას, ვითარცა ბიზანტიური ორიენტაციის მქონეს (ქალკედონურ-მართლმადიდებლურს), სამაგიეროდ გააძლიერეს სომხური ეკლესია, ვითარცა ანტიბიზანტიური (მონოფიზიტური) ორიენტაციის მქონე. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ VI საუკუნეში სომხური ეკლესია ორად გაიყო, დასავლეთ სომხეთში, ბიზანტიის იმპერიის მომიჯნავე მხარეებში ჩამოყალიბდა სომხური ქალკედონური ანუ მართლმადიდებლური ეკლესია სომხურენოვანი წირვა-ლოცვითა და ღვთისმსახურებით. ამ ეკლესიას, ე.ი. სომხურ-ქალკედონიტურს, ბიზანტია უჭერდა მხარს და მისი დახმარებით ცდილობდა მთელი სომხეთის თავის მხარეზე გადმობირებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხი იყო კონსტანტინოპოლისათვის. ასეთ ვითარებაში, როცა სპარსეთის და ბიზანტიის იმპერიები მხარს უჭერდნენ სომხურ ეკლესიას, ძლიერ დაზარალდა სომხეთის მეზობლად მდებარე საქართველოს კუთხეები, განსაკუთრებით ტაო, შედარებით ნაკლებად კლარჯეთი. საქმე ის იყო, რომ ქართული ცენტრალური ხელისუფლების არარსებობის გამო, შემდეგ კი არაბების შემოსევების გამო (რომელნიც ასევე აძლიერებდნენ სომხურ ეკლესიას) ტაო ძირითად, ხოლო კლარჯეთი ნაწილობრივ (VI-VII საუკუნეებში) აღმოჩნდა სომხური ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ. ეს მხარეები მხოლოდ ქართველებით იყო დასახლებული, თუმცა მათი არმენიზაციის პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობდა. ტაო-კლარჯეთში ერთხანს, კერძოდ კი VII საუკუნეში, სომხური ქალკედონური საკათალიკოსო ცენტრიც კი დაარსდა ნერსე იშხნელი კათალიკოსის (VII ს.) დროს. ამ ნერსე კათალიკოსს, სომეხი ქალკედონიტების მამამთავარს “ნეტარსაც“ კი უწოდებს გიორგი მერჩულე. საფიქრებელია, რომ ნერსე ეთნიკურად ქართველი იყო მთელი ამ მხარის მოსახლეობის მსგავსად, თუმცა სომხური ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა და სომხურენოვანი წირვა-ლოცვა ჰქონდა. შედარებისათვის მოვიყვანოთ მაგალითს: თბილისის და მთელი საქართველოს მკვიდრი მართლმადიდებლები, პოლიტიკური ვითარების გამო XIX ს-ში იყვნენ რუსული ეკლესიის იურისდიქციაში, რუსულენოვანი წირვა-ლოცვით, თუმცა ეთნიკურად ქართველები გახლდნენ. საბედნიეროდ, საქართველოს გაძლიერების კვალდაკვალ ტაო-კლარჯეთი დაუბრუნდა ქართულ სახელმწიფოებრივ წიაღს VIII-IX საუკუნეებიდან და აქ კვლავ აღსდგა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა.

თვით ქართველი მემკვიდრეები ქართველ ერს უწოდებდნენ “ლიტონსა (უბრალოსა) და მარტივს“. ამ “სიმარტივის“ გამო, მართალია, გვიან, მაგრამ თანდათანობით ქართველები მიხვდნენ, რომ სომხური ეკლესია მწვალებლური იყო და ისწავლეს თავდაცვა მონოფიზიტობისაგან, მკვეთრად გაემიჯნენ მათ, თუმცა დიდხანს ვერაფრით მიხვდნენ სომხური ეკლესიის მეორე ფრთის, სომხური ქალკედონიტკური იერარქიისა და სასულიეროთა მისწრაფებას, როგორც თავიანთ მრევლად გადაექციათ ქართველობა VI-VII სს-ში.

ამ მიუხევედრელობისა და, ცხადია, ასევე სხვა მნიშვნელოვანი მიზეზების გამო, სომხურ ქალკედონიტკური ანუ სომხურ მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში, როგორც აღნიშნა, მოექცა ძირითადად ტაოსა და ნაწილობრივ კლარჯეთის ქართველობა.

ქართულ ისტორიოგრაფიას ამჟამადაც კი არა აქვს გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ VII-X სს-ში არსებობდა ძალზე ძლიერი სომხურ-ქალკედონიტკური ეკლესია, თანაც ისე ძლიერი, რომ თითქმის 60-მდე საეპისკოპოსო ჰქონდა ბიზანტიის აღმოსავლეთში, ერაყიდან - ვიდრე კლარჯეთამდე, ჰქონდა დიდი საღვთისმეტყველო ლიტერატურა, სომხურ ენაზე შესანიშნავად ნათარგმნი წმიდა წერილი, დოგმატიკური ლიტურგიკული სკოლები. ამ ძლიერმა სომხურ-ქალკედონიტკურმა ეკლესიამ შეძლო არაბთა შემოსევების წინა ეპოქიდანვე, როგორც ითქვა, თავის იურისდიქციაში მოექცია ტაოსა და კლარჯეთის ქართველობა, ისიც კი მოახერხა, საქართველოს ამ კუთხეებში საეპისკოპოსოები და მონასტრები დაეარსებინა. იშინის სომხური საკათალიკოსო ცენტრი VII ს-ში, რომელიც, როგორც წყაროთა ანალიზიდან ჩანს, არა მხოლოდ ქართველთა ქვეყანაში არსებობდა, არამედ მისი იერარქიაც ქართული სასულიერო პირებისაგან შედგებოდა. ეს მოვლენა იმ დროისთვის ნიშნული იყო. მაგალითად, ქართველი კირიონი სწავლობდა სომხეთში, შემდეგ იყო სომხეთის ცენტრალური პროვინციის - არარატის ეპისკოპოსი და შემდეგ გახდა კათალიკოსი ქართლისა. იმის გამო, რომ სომხურ-ქალკედონური ეკლესია დაღადავდა ერთობას ბერძნულ ეკლესიასთან და მტკიცედ იცავდა მართლმადიდებლობას, იგი მისაღები იყო ტაოსა და კლარჯეთის ქართველებისათვის. საბედნიეროდ ტაო-კლარჯეთის ქართველობა მალევე მიხვდა, რომ უდავოდ დედა-ქართულ ეკლესიას უნდა დაბრუნებოდა, რადგანაც სომხური - ქალკედონური საეპისკოპოსოები 726 წ. მანასკერტის კრების შემდეგ შეუერთდნენ სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას. უარყოფდნენ მართლმადიდებლობას და ზედიზედ უერთდებოდნენ სომხურ-მონოფიზიტურ ეკლესიას. ამის გამო ტაოსა და კლარჯეთში უარყოფილი იქნა სომხური ეკლესია და ხალხი დაუბრუნდა დედა-ქართულენოვან, მართლმადიდებელ ეკლესიას.

#### არსენ საფარელის თხზულება “განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“

საინტერესოა თხზულების ავტორის იდეოლოგიური პოზიცია - არა ქართლი და ქართველები გაშორდნენ სომხებს, არამედ პირიქით, სომხები განშორდნენ მართლმადიდებლობას. ქართლი მართლმადიდებელი იყო და მართლმადიდებლადვე დარჩა, რწმენა არ შეუცვლია, ხოლო სომხები განშორდნენ მას, ე.ი. ისინი არამართლმადიდებლები გახდნენ.

თხზულების მოკლე შინაარსი ასეთია:

აღმოსავლეთ რომის იმპერიის (ბიზანტიის) იმპერატორის არკადი კეისრის (395-408) დროს სომხეთი ამ იმპერიაში შედიოდა, რჯულიც ბერძნული ჰქონდა. სომხებს სპარსთა მხრიდან მუდმივი თავდასხმა ემუქრებოდათ. მათ ბერძნები ეშველებოდნენ, მაგრამ შემდგომ სპარსეთმა სომხეთი დაიპყრო. სომხები თხოვდნენ საბერძნეთს, დახმარებოდა მათ, მაგრამ არკადი კეისარმა არ შეისმინა მათი თხოვნა. მაშინ სომხები შეუთანხმდნენ სპარსეთს, რომ მისი მოხარკე გახდებოდნენ, დაარწმუნეს სპარსთა მეფე დიდი ფიცით, კავშირს გაეწყვიტათ ბერძნებთან. რამდენიმე ხანს ისინი მშვიდად ცხოვრობდნენ მართალი სარწმუნოებით, ანუ ბერძნული რჯულით, მაგრამ შემდეგ ნესტორიანელებმა დიდძალი ქრთამის საფასურად სთხოვეს სპარსთა მეფეს, მათთვის მიეცა ნება, სომხეთი ნესტორიანულ რჯულზე მოექციათ. პეროზ მეფემაც (457-484) აიძულა სომხები მიეღოთ ნესტორიანული რჯული, მაგრამ სომხებმა უარყვეს მეფის ეს განზრახვა და მის მოციქულს განუცხადეს: ჩვენ ჩვენი სარწმუნოება არა მარტო ჩვენს ქვეყანას, არამედ ჩვენს თავსა და შვილებსაც გვირჩევენიაო.

მაგრამ სომხეთის მარზაპანის - ვაჰან მამიკონიანის სიკვდილის შემდეგ ეს თანამდებობა (მარზაპანობა) სპარსელებმა მიიღეს. მათ შეურაცხვეს საქრისტიანო წესი. სომეხ აზნაურთა ხელისუფლება დაეცა და კათალიკოსები და ეპისკოპოსები სიმართლისაგან განიდრიკნენ. ზოგიერთმა კათალიკოსმა და ეპისკოპოსმა სპარსეთის მეფეები იშვილეს და ამით იმას მიადწიეს, რომ სამთავრო მსაჯულება და სიმდიდრე მიიტაცეს.

სპარსთა მეფემ სომხებს უბრძანა, ან ასურელთა სარწმუნოება, ე.ი. მონოფიზიტობა მიეღოთ, ანდა დაეტოვებინათ ქვეყანა. სომხები ძლიერ შეწუხდნენ, მაგრამ ნერსე კათალიკოსმა (548-567), რომელსაც მიჯინი ერქვა, სული ხორცს დაუმონა და სარწმუნოების შეცვლა გადაწყვიტა. მწუხარებით ამცნეს სპარსთა მეფეს სომხებმა, რომ მიიღებდნენ იაკობიტთა სჯულს (მონოფიზიტური რწმენა, რომელიც უფრო ახლოს იდგა ბერძნულთან, ვიდრე სხვა სექტები). ასე განრყვენეს სომხეთი, ნამოდვაწარი წმ. გრიგოლის ცრემლითა და შრომით.

და მოაწვევს კრება ქ. დვინში, მიიღეს ხაჩეცარი (მონოფიზიტობა). ბოროტი ბოროტს დაუმატეს, არ ეზიარნენ ქალკედონის კრებას და ღვთის პირიდან გადავარდნენ.

ამის გამო, ყოველი ქართლი და სომხეთის მეოთხედი განეყვნენ სომეხთაგან მღვდლობის ხელდასხმას, ხოლო ჰერნი და სივნიელნი, მართალია, ერთ პერიოდში განშორდნენ, მაგრამ შემდეგ კვლავ შეუერთდნენ სომხურ ეკლესიას.

სომხეთში მრავალი მწვალებლობა გავრცელდა: საბელიანოსთა, იაკობიტთა და ტიმოთე კერნისა, რომელიც მანიქეველთა სენით იყო შეპყრობილი. ამათ მკვდარი ალკარნელი ეპისკოპოსის ივლიანეს ხელი დაიდევს და ამ გზით ახალი ეპისკოპოსი აკურთხეს, რადგანაც ორი ეპისკოპოსი ჰყავდათ (წმ. მამების სწავლებით ახალი ეპისკოპოსის კურთხევისათვის სამი ეპისკოპოსია საჭირო). ამის გამო დღემდე მათ “ხელ-ნამკვდრევენი“ ეწოდებათ.

სომეხთა კათალიკოსმა ნერსე II-მ და ეპისკოპოსებმა დვინში მეორე დიდი კრება ჩაატარეს (553-54 წლებში). ამ კრებაზე შეაჩვენეს ქალკედონის კრება, უწოდეს მას ნესტორიანული, მიიღეს ქრისტეს ერთბუნებიანობა და იგი უკვდავი ბუნებით ჯვარცმულად ცნეს.

ამის შემდგომ სომეხთა კათალიკოსმა იოანემ (გაბელენელმა. 557-74) სხვა კრება მოიწვია მანასკერტში. მან წმ. საიდუმლოს განაშორა წყლის დართვა და პურის აფუება. ამის შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდა დავა ქართველთა და სომეხთა შორის.

ქართველთა კათალიკოსმა კირიონმა (591-615) განდევნა თავისი ეპარქიიდან მოსე ცურტაველი ეპისკოპოსი, რომლის სამღვდელმთავრო კათედრა წმ. შუშანიკის საფლავზე აშენებულ ეკლესიაში იყო. ეს სომეხთა კათალიკოს აბრაამის დროს მოხდა.

აბრაამის შემდგომ კათალიკოსად დაჯდა კომიტოსი (607-629), რომელიც ძალზე მდიდარი იყო. მას სძულდა ქალკედონის კრება, მისცა შვიდი საეპისკოპოსო ჰერთა კათალიკოსს და შეიერთა ის, სივნიეთის ეპისკოპოსს ჯვრის ტარების პატივი დასდო და ამ ხერხით სომხეთი ქალკედონის კრების საწინააღმდეგოდ გააერთიანა. გამოძებნა ვინმე დაწვევლილი იოანე მაირაგომელი, აღჭურვა ქალკედონის სწავლების საწინააღმდეგო წიგნებით და თავისი სიკვდილის შემდეგ საკათალიკოსო ტახტი აღუთქვა. მან ათარგმნინა მონოფიზიტთა და სხვა ერეტიკოსთა წიგნები, გაავრცელა ისინი და ამ ტყუილით მთელი სომხეთის ქვეყანა დააჯერა. ამ დროს დაიშალა ძველი და ახალი ვერ დაინერგა. ამის გამო სომხეთში დღემდე ყოველი კაცი მის მიერ გამოგონილ კანონებს იყენებს. კომიტოსის შემდეგ საკათალიკოსო ტახტზე ქრისტეფორე დაჯდა (628-630), რომელიც მაირაგომელის მტერი იყო, ხოლო მცირე ხნის შემდეგ - ეზრა (630-641).

ამ დროს უკვე აღსრულდა წმ. გრიგორის ჩვენება, რომელიც მას სულიწმიდამ აუწყა, რომ ცხვრები მგლებად იქცევიან, სხვა ცხვრებს შეუტყვენ და უწყალოდ დაკბენენ.

გავიდა ხანი. მოვიდა ჰერაკლე კეისარი (610-640) სომხეთში, იხილა სომეხთა წვალება და ფრიად შეწუხდა. მან ბრძანა დიდი კრების მოწვევა მთელი სომხეთის ეპისკოპოსებისა და მოძღვრებისა. მოვიდნენ ერთობით მეფესთან. გამოწვლილვით გამოიძიეს მრავალი ძიებით და მართალი დაამტკიცეს. აღიარეს ამ კრებაზე ქალკედონიტობა (632 წ.), მაგრამ როგორც კი დვინში დაბრუნდნენ, მაშინვე წარმწყმედელი ვნებისაკენ მიიქცნენ. მწვალებელ ბერებს იგივე მაირაგომელი აღძრავდა.

ეზრას შემდეგ საკათალიკოსო ტახტზე ავიდა ნერსე იშხნელი, კაცი ღირსი და მართლმორწმუნე, რომელმაც გააძევა იოანე მაირაგომელი, როგორც მაცდური. მაირაგომელი კავკასიის მთიანეთში წაიდა, მაგრამ მალევე უკან დაბრუნდა, კამბეჩანში გადმოვიდა და მცირე ხევში დამკვიდრდა. მან მრავალნი დაიმოწაფა თავისი უწესო მოძღვრებით, მრავალი აღკვეცა ბერად და ქვეყანა მწვალებლობის ღვარძლით აავსო.

ნერსე კათალიკოსის სიკვდილის შემდეგ კათალიკოსი გახდა ანასტასი (661-667). მის დროს არარატში მივიდა მაირაგომელი თავისი მოწაფეებით, ხოლო ანასტასის სიკვდილის შემდეგ სომხეთში შევიდა და იქ მოკვდა 133 წლისა. მისი მოწაფეები ისრავლ კათალიკოსისა (667-677) და გრიგოლ ერისთავის მიერ განიდევნენ და განიბნენ სომხეთის ქალაქებსა და სოფლებში ადამიანთა საცდუნებლად ვიდრე დღემდე და აქამდე.

ასეთია არსენ საფარელის თხზულების მოკლე შინაარსი.

ასურელი მამები მონოფიზიტობის წინააღმდეგ

V საუკუნეში ქართული სახელმწიფო ეკლესია, როგორც წმ. რაქდენის წამებიდან ჩანს, პრობერძნული აღმსარებლობისა ყოფილა.

VI ს-ის შუა წლებში საქართველოში ჩამოდიან ასურელი მამები, იწყებენ აქტიურ მოღვაწეობას და საქართველოშივე აღესრულებიან VI ს-ის დამლევსა და VII ს-ის დამდევს. თუ შევადარებთ ერთმანეთს იმ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფებოდა ქართული ეკლესია ასურელი მამების ჩამოსვლისას, იმ მდგომარეობასთან, რომელშიც იმყოფებოდა მათი მოღვაწეობის დასასრულს, დავრწმუნდებით, რომ ისინი მონოფიზიტურ მიმდინარეობას ებრძოდნენ და გაიმარჯვეს კიდევ მასზე.

მართლაც, სპარსთა მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ VI ს-ის 30-40-იან წლებში, როგორც მეცნიერები ამბობენ, ჩვენში მივინვარებდა მონოფიზიტობა, ხოლო ამავე ს-ის 70-90-იან

წლებში და VII ს-ის დამდეგს საქართველო სრულებით ქალკედონური მიმართულებისა იყო, რაც პოლიტიკურ მიზეზებთან ერთად ასურელი მამების დვაწლმაც განაპირობა.

რომელ წლებში ჩამოვიდნენ ასურელი მამები საქართველოში, როგორი სარწმუნოებრივი მიმართულებისა იყო ქართული ეკლესია ამ დროს და როგორი მდგომარეობა შეიქმნა მათი მოღვაწეობის დასასრულს? აი კითხვები, რომლებიც პასუხის გაცემას მოითხოვენ.

ასურელი მამები საქართველოში ჩამოვიდნენ ფარსმან მეფის (542-557) და კათალიკოს ევლავის (533-544) დროს - 540-იან წლებში. ეს წლები მონოფიზიტობის ბატონობის ხანადაა მიჩნეული.

ამ თარიღს მხარს უჭერენ ივ. ჯავახიშვილი, თ. ჟორდანიას, კ. კეკელიძე.

ქართლის ცხოვრება ჩამოთვლის ასურელი მამების სახელებს: ესენი გახლავთ - იოვანე ზედახელი, დავით გარეჯელი, სტეფანე ხირსელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, ანტონ მარტომყოფელი, ისე წილქელი, თათე სტეფანწმიდელი, შიო მღვიმელი, ისიდორე სამთავნელი, აბიბოს ნეკრესელი, მიქაელ ულუმბოელი, პიროს ბრეთელი და ელია დიაკონი.

თუ ქართულ ეკლესიაში შექმნილ მდგომარეობას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ 540-იან წლებში, ასურელი მამების საქართველოში ჩამოსვლის დროს, სპარსთა მხარდაჭერით ჩვენში მონოფიზიტობას მტკიცე პოზიციები ჰქონდა. ათი წლის შემდეგ, ასურელი მამების მოღვაწეობის წყალობით ჩვენში ქალკედონიტობის პოზიციები უფრო ძლიერია, ვიდრე მონოფიზიტობისა, რაც 551 წელს კათალიკოს მიჯინის დროს დვინში მოწვეულ კრებაზეც გამოჩნდა. ამ კრებამ აშკარად და გადაჭრით მიიღო მონოფიზიტობა, რის გამოც სომხურ ელკესიას ქართული და ალბანური ეკლესიები ჩამოსცილებია, ოცი წლის შემდეგ კი - 574 წელს ქართულ ეკლესიაში ქალკედონიტობა გამარჯვებულია.

ასურელმა მამებმა 30 წელიწადში გაწეული ღვაწლის წყალობით შეძლეს არა მარტო ქალკედონიზმის სრული გამარჯვებისათვის მიეღწიათ, არამედ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ქალკედონიზმის გამარჯვებამ თეორიული საფუძველი შექმნა ქართული და სომხური ეკლესიების ურთიერთდაშორებისათვის, სომხური ეკლესია კი თავისი ენისა და კულტურის გაგრძელებას ცდილობდა მთელს ირანულ ამიერკავკასიაში. ასე რომ ასურელი მამების მოღვაწეობამ განამტკიცა ქართული კულტურის ეროვნული საფუძველი და ჩვენს ხალხს ეროვნულ-კულტურული გადაგვარების აშკარა საფრთხე ააშორა.

ასურელ მამათა ეროვნების შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ ისინი ქართველები იყვნენ. ფაქტია, მათ წინა პლანზე ქართული ენა ჰქონდათ წამოწეული და განსაკუთრებულ ყურადღებას ქართულად საუბარს, წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე ჩატარებას აქცევდნენ, რადგან ეს ენა ქალკედონიზმის ენად იყო მიჩნეული იმის გამო, რომ ქალკედონიტობა ეროვნულ სარწმუნოებად უკვე VI ს-ის საქართველოში ქცეულა.

ძველი ქართველი მოღვაწენი არ მალავდნენ და არ აფერადებდნენ ეკლესიის მდგომარეობას სხენებულ პერიოდში. მაგალითად, გიორგი მცირე, რომელსაც თავის თხზულებაში გიორგი მთაწმიდელის სიტყვები მოჰყავს - “რა ჟამს ერთგვის გვიცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხულ, გინა მარჯულ“, არც იმას მალავს, რომ “ქვეყანა ჩვენი შორს იყო ქუეყანისგან საბერძნეთისა და ვითარცა ღვარძლიანი რაიმე, დათესული იყუნეს ქვეყანასა ჩვენსა ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი“.

გიორგი მცირე გულისხმობს VI ს-ისა და VII ს-ის გარკვეულ პერიოდებში სომხური მწვალებლობის, ანუ სომხური ეკლესიის მომძლავრებას ქართულ ეკლესიაზე. მისი აზრით, “პირველითგანვე გვაქენდეს წვრილნიცა და სარწმუნოებაი ჭეშმარიტი და მართალი“, რომელიც შემდგომ მონოფიზიტური მწვალებლობის მომძლავრებით ამღვრეულა ქართლში და IV-V სს-ში ბერძნული ენიდან მართლად თარგმნილი წმ. წიგნები მონოფიზიტთა გამო VI-VII სს-ში სომხურიდან ხელახლა უთარგმნიათ, ანდა მათთვის რედაქტირება გაუკეთებიათ.

ასურელი მამების დვაწლიც ის ყოფილა, რომ მათ ქართული ეკლესიისათვის თავიდან აუცილებელია დიდი საფრთხე მონოფიზიტობისა, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ, სომხური სარწმუნოების აღიარებისა.

თავი V. ქართული ეკლესია VII საუკუნეში  
ქვეყნის ზოგადი მდგომარეობა VII საუკუნეში

591 წელს იბერია ორ ნაწილად გაიყო. ერთი, კ. თბილისამდე, ეჭირათ ბიზანტიელებს, ხოლო ქვემო ქართლი და სხვა კუთხეები კვლავ სპარსელებს დარჩათ. ამას ეკლესიის სარწმუნოებრივი ორიენტაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. “ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, სპარსელებმა და ბიზანტიელებმა მოლაპარაკება გამართეს ქართული ეკლესიის მდგომარეობაზე. ბიზანტია საყვედურობდა სპარსელებს, რომ ქართულ ეკლესიას ჩაგრაგდა. შედეგად 591 წლიდან 604 წლამდე საქართველოს უმეტესი ნაწილი და ქართული ეკლესია სპარსთა ბატონობისაგან გათავისუფლდა. აღნიშნულმა პოლიტიკურმა ვითარებამ გახადა შესაძლებელი, ქართულ ეკლესიას აშკარად გაემჟღავნებინა თავის ქალკედონიტური მიმართულება. კირიონის ცნობილ მოძრაობას, სომეხი ისტორიკოსის ცნობით, მხარს უჭერდა უშუალოდ იმპერატორი ბიზანტიისა - მაკრიკე.

პოლიტიკური ვითარება მალე კვლავ შეიცვალა, კერძოდ მას შემდეგ, რაც მავრიკე კეისარი მისმა მხედართმთავარმა მოკლა, ხოლო სპარსეთის მეფე ბიზანტიაში შეიჭრა და 604 წლიდან 620 წლამდე ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გაბატონდა. სპარსეთი, მართალია, 604 წლიდან 614 წლამდე ქართულ ეკლესიას არ უკრძალავდა, ამკარად ელიარებიან თავისი სარწმუნოებრივი (ქალკედონიტური) მიმართულება, მაგრამ 614 წლის შემდეგ პოზიცია შეცვალა. თუ იერუსალიმის აღებად ანუ “წარტყევენამდე” (613-614) შაჰი თავის იმპერიაში მოქცეულ ქრისტიანულ ეკლესიებს სარწმუნოებრივ თავისუფლებას აძლევდა, შემდეგ ყველა ეკლესიას მოსთხოვა, ანტი-ბიზანტიური სარწმუნოება ანუ სომხური აღმსარებლობა მიეღო. 614 წელს სპარსეთში მოწვეული იმპერიის საეკლესიო კრების დადგენილების საფუძველზე ხოსრო II-მ ასეთი ბრძანება გამოსცა - “ყველა ჩემმა ქვეშევრდომმა ქრისტიანმა უნდა მიიღოს სომხური სარწმუნოება“. ბრძანებამ უკიდურესად შეცვალა ქართული ეკლესიის ბედი.

ხოსრო II-მ კიდევ უფრო გააძლიერა სომხური ეკლესია. VI და VII სს-ში სწორედ ის ხანაა, რომელსაც ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი ე.წ. “სომეხთა გაქართველების, ანუ გაქალკედონიტების“ საუკუნეებად მიიჩნევენ, მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, სპარსთაგან დასუსტებულ ქართულ ეკლესიას, რომელიც სომხური ეკლესიის პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, არ შესწევდა უნარი სომეხთა “გაქართველებისა“. პირიქით, - ქართველების არცთუ უმნიშვნელო რაოდენობა და მთელი კუთხებიც კი (ქვემო ქართლი, ტაო-კლარჯეთი და სხვა) - სომხური ეკლესიის სამრევლოდ იქცა.

623-27 წლებში სპარსეთში ლაშქრობათა შემდეგ ჰერაკლე კეისარმა სომხური ეკლესია კი არ დასაჯა, პირიქით, მასთან შეკრა კავშირი, ე.წ. “უნია“, ვინაიდან სურდა, თავის ქვეყანაში მიეღწია სარწმუნოებრივი ერთობისათვის, ანუ მიემხრო აღმოსავლეთში მცხოვრები მონოფიზიტი ხალხები. ეს კი შეუძლებელი იყო სომხური ეკლესიის გარეშე. სწორედ ამიტომ 630 წელს შეიკრა “უნია“ - სომხურ და ბიზანტიურ ეკლესიათა შორის.

ამის შემდეგ (726 წლის მანსკერტის კრებამდე) სომხური ეკლესია ბიზანტიელთა თანამორწმუნე ანუ ქალკედონიტურ ეკლესიად იქცა. ბიზანტიელებმაც, როგორც ადრე სპარსელებმა, ცნეს მისი უზენაესობა, ღიადრობა ამიერკავკასიაში. ცხადია, სომხური ეკლესია ახლა კვლავ ცდილობდა, ქართულ ეკლესიაზე ძველი ზეგავლენა მოეპოვებინა. როგორც ჩანს, ქართული ეკლესია ამ დროს იძულებული გახდა, ანტიოქიისა და სხვა საპატრიარქოებისათვის ეთხოვა, მათ მისი ავტოკეფალია დაედასტურებინათ. “ქართლის ცხოვრების“ დანართები მოწმობენ, რომ ანტიოქიის საპატრიარქომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია დაადასტურა.

აღსანიშნავია, რომ სომხურმა ეკლესიამ ასევე დიდ წარმატებას მიაღწია VII ს-ში ამიერკავკასიაში შემოჭრილ არაბებთან მოლაპარაკების დროსაც. არაბებმაც აღიარეს სომხური ეკლესიის ღიადრობა. სამაგიეროდ ბიზანტიამ 680-681 წლის კონსტანტინოპოლის VI მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, “ქართლის ცხოვრების“ მიხედვით<sup>9</sup> ქართული ეკლესიის ავტოკეფალია დაადასტურა და მას იურისდიქციის საზღვრები დაუდგინა.

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქცია VII საუკუნეში წმ. მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების მიხედვით

უფლის ნებითა და მოწყალებით ქრისტიანული სარწმუნოების სიწმიდის შეუპოვარმა დამცველმა ქართველმა ერმა შეძლო მართლმადიდებლობა უმწიკვლოდ მოეტანა უძველესი ხანიდან დღემდე. ჯერ კიდევ ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი VI ს-ში წერდა - “იბერები ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველა იმათზე უკეთ იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ“ (გეორგიკა II, 1965, გვ. 48), პროკოფი კი იცნობდა აზიის, აფრიკისა და ევროპის მრავალ ქვეყანასა და ხალხს.

ამასვე ამტკიცებენ ძველი ქართული წყაროებიც. მათი მიხედვით ქართველი ხალხი “მიერთგან აღსასრულამდე ჰკიეს შეუძვრელად მართალსა სარწმუნოებასა ზედა“ (მიტრ. ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები, ტ. II, 2003, გვ. 102).

ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია და ღირებული ის ცნობები ქართველთა მტკიცე მართლმადიდებლობის შესახებ, რომლებიც წმ. მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებაშია დაცული. წმ. მაქსიმე 662 წელს გამოაძევეს ბიზანტიიდან და თავის ორ მოწაფესთან - ანასტასი აპოკრისარისთან და ანასტასი მონაზონთან ერთად ჩვენს ქვეყანაში, დასავლეთ საქართველოში გადმოასახლეს (წმ.მაქსიმეს ერთ-ერთმა მოწაფემ აღწერა კიდევ თვალით ხილული ცხოვრება თავისი მოძღვრისა).

VII ს-ის დამდეგს, ჰერაკლე კეისრის შემდგომ, ჯერ სპარსთა ბატონობის, შემდეგ კი სპარსეთში ჰერაკლე კეისრის ლაშქრობის გამო საქართველოს ერთიანი სახელმწიფოებრიობა მოშლილი იყო და დასავლეთ საქართველოშიც რამდენიმე ცალკეული ქვეყანა არსებობდა ბიზანტიელთა ხელქვეით, მათ შორის: ლაზეთი, აფხაზეთი, აფშილეთი, სვანეთი, თაკვერი და სხვა. აი, როგორ ახასიათებს წმიდა მართლმადიდებლობის დამცველი და მისი სიწმიდის შეურყევლობისათვის დევნილი წმიდა მაქსიმე აღმსარებლის მოწაფე ანასტასი აპოკრისარი ქართველთა იმჟამინდელ ქვეყნებს: ლაზეთს უწოდებს - “ქრისტეს მოყვარე ლაზთა ქვეყანას“



(გეორგიკა, IV, 2, გვ. 41), აფხაზეთს - “ქრისტესმოყვარე აბაზგების ქვეყანას“ (იქვე, გვ. 45), ამ ქვეყანათა მეთაურებს კი “ღვთისმოყვარე მთავრებს“ (იქვე, გვ. 45), “იბერიის ღირსსაქებ პატრიკოსსა და პრეტორს“ (იქვე, გვ. 48).

საქმე ისაა, რომ ცხოვრება წმიდა მაქსიმე აღმსარებლისა მისმა მოწაფემ წმ. ანასტასიმ დაწერა VII ს-ის 60-იან წლებში, მაშინ, როცა მთელ ბიზანტიაში ბობოქრობდა გამარჯვებული მონოთეელიტობა, შესაბამისად იღვევებოდა მართლმადიდებლობა, აღარ დარჩა მთავარი და ეპისკოპოსიც კი წმიდა მართლმადიდებლობის დამცველი. ასეთ დროს, ასეთ ეპოქასა და გარემოში დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ხალხი და მთავრები ყოფილან “ქრისტესმოყვარენი“ ანუ მართლმადიდებლობის მტკიცე დამცველნი. ასე რომ არ ყოფილიყო, ცხადია, მათ “ქრისტესმოყვარეთ“ არ უწოდებდა ანასტასი აპოკრიფარი, კაცი, რომელმაც არ იკადრა სიცრუე და, რომელსაც სიმართლის, წმიდა სარწმუნოების დაცვის გამო თავის მოძღვართან და მეგობართან ერთად მოკვეთეს ენა და მკლავები. მოძღვრის ცხოვრება მას მკლავმოჭრილს დაუწერია. ხელის მტევანი და თითები აღარ ჰქონია, მაგრამ შერჩენილ ხელის ნაწილზე ორი წვრილი ჯოხი მიუმაგრებია და ასე დაუწერია მოძღვრის ცხოვრება, - წერს მოგონებებში VII ს-ის მოღვაწე თეოდოსი განგრელი.

დასავლეთი საქართველო ძველი ქართული მატინანების, ასევე რუის-ურბნისის “მეგლისწერის“ ცნობით IV საუკუნიდანვე მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციაში იმყოფებოდა. ანდრია მოციქულმა იქადაგა “ყოველსა ქვეყანასა საქართველოსასა“, ხოლო წმიდა ნინომ მოაქცია “ყოველნი ქართველნი“, - წერდნენ რუის-ურბნისის წმიდა კრების მამები. ეს იყო საფუძველი დასავლეთ საქართველოში მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციის განვრცობისა.

მოციქულთა კანონების 34-ე მუხლის მიხედვით IV ს-ში ორგანიზებული საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები უნდა დამთხვეოდა სახელმწიფო ადმინისტრაციულს. ძველი მატინანების დაბეჯითებული ცნობით კი იმჟამინდელი საქართველოს ანუ ქართლის სამეფოს დასავლეთი საზღვარი გადიოდა შავი ზღვის პირსა და მდინარე ეგრისწყალზე. მდ. ეგრისწყალი (შემდგომდროინდელი დალიტა) ერთმანეთისაგან ყოფდა ქართლის სამეფოსა და ბიზანტიის იმპერიას. ეგრისწყლის იქით აფხაზეთი ანუ აბაზგია - ბიზანტიის ხელღებული ქვეყანა მდებარეობდა. ასე ყოფილა მეფე აზონისა და მეფე ფარნავაზის დროს და მათ შემდეგ მეფე მირიანის ეპოქაშიც.

წყაროების მიხედვით მეფე მირიანის გამგებლობაში აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად იყო ეგრისიც. შესაბამისად მის დროს IV ს-ის დამდეგს ორგანიზებულმა საქართველოს ეკლესიამ თავის იურისდიქციაში მოაქცია აღმოსავლეთთან ერთად დასავლეთ საქართველო მდ. ეგრისწყალამდე. მეფე ვახტანგ გორგასლის დროს საქართველოს დაუბრუნდა კლარჯეთი და აგრეთვე აფხაზეთის ტერიტორია მდ. ეგრისწყლიდან მდ. კლისურამდე (კელასურამდე), მაშასადამე, V ს-დან საზღვარი ქართლის სამეფოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის გადიოდა მდ. კელასურზე. ამ მდინარემდე ახორციელებდა ქართლის კათალიკოსი თავის საეკლესიო ძალაუფლებას. ამიტომაც გვამცნობენ სომხური წყაროები, რომ VI ს-ის დამდეგსა და VII ს-ის დამდეგს კირიონ კათალიკოსი იყო “არქიეპისკოპოსი ეგრისისა“. სომხური წყაროების გარდა, რომელნიც მიუთითებენ, რომ VI ს-ის დამდეგს დასავლეთი საქართველო მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციაში იმყოფებოდა, ვახუშტი ბატონიშვილიც ბრძანებდა: დასავლეთ საქართველოში ტერიტორია, ე.წ. “ვაკე“ ანუ მიწა-წყალი ქუთაისსა და მდ. ცხენისწყალს შორის, “საეკლესიო ერთობის“ დროს ანუ VIII ს-მდე, აფხაზეთის საკათალიკოსოს წარმოშობამდე, “მცხეთის არქიეპისკოპოსის“ იურისდიქციაში იმყოფებოდა. ვახუშტისავე ცნობით რაჭის დიდი ნაწილი ნიქოზის ეპისკოპოსის სამწყსო იყო.

ვითარება შეიცვალა პერაკლე კეისრის დაშქრობის შემდეგ. VII ს-ის 20-30-იან წლებში პერაკლე კეისარმა ქართლის სამეფოს ჩამოაჭრა შავი ზღვისპირეთის ვრცელი ტერიტორიები და ისინი ბიზანტიას დაუქვემდებარა. იბერიის ანუ ქართლის ნაცვლად აქ ბიზანტიელთა ხელქვეშ ჩამოყალიბდა ლაზიკის, აბაზგიისა და სხვა სამთავროები.

მიუხედავად პოლიტიკური ცვლილებებისა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა მაინც მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციაში იმყოფებოდა. პროკოფი კესარიელი მიუთითებდა კიდევ, რომ VI ს-ში დასავლეთ საქართველოს ქრისტიანები “კათალიკოსის“ იურისდიქციაში იმყოფებოდნენ. კათალიკოსი კი იმჟამად მცხეთაში იჯდა.

ქართული წყაროების დაბეჯითებული მტკიცებით დასავლეთი საქართველო მუდამ ქართული ეკლესიის განუყოფელი ნაწილი იყო. ასეთი მოსაზრება არსებობდა უძველესი ხანიდან XX ს-ის 30-იან წლებამდე. XIX ს-ის 30-იან წლებში კი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებულ საეპისკოპოსოთა ნუსხების გაცნობის შემდეგ ჩვენში გაჩნდა ახალი შეხედულება, თითქოსდა დასავლეთ საქართველოში არსებობდა კონსტანტინოპოლისადმი დაქვემდებარებული ლაზიკის სამიტროპოლიტო (ფაზისში) და ოთხი საეპისკოპოსო კათედრა (ზიგანასი, საისინისა, პეტრასი და როდოპოლისისა). ამავე ნუსხების შესწავლის შემდგომ ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორის, მსოფლიო მნიშვნელობის ბიზანტიოლოგ ნიკოლოზ გიორგის ძე აღონცის (1871-1942) მოსაზრებით ზემოთ ხსენებული ბიზანტიური საეპისკოპოსოები ზიგანა - ზიგინებისა, როდოპოლისისა და საისინისა, სინამდვილეში მდებარეობდა არა დასავლეთ საქართველოში,

არამედ ქართველი ხალხის უძველეს ქვეყანაში “ლაზიკაში” ანუ ტრაპიზონის ოლქში. აღონცი წერდა, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ნუსხებში მოხსენებული ზიგანას საეპისკოპოსო ცენტრი მდებარეობდა ტრაპიზონის ახლოს, რომ იქვე იყო სხვა ადგილებიც, მსგავსი სახელის მქონენი (მაგ.: “ზიგანას მთა“ და სხვა). მახლობლად იყო როდოპოლისისა და საისინის კათედრებიც. მაშასადამე, როდოპოლისს აღონცი არ უკავშირებდა ვარციხეს და მისი აზრით, ვარციხის არავითარი ბერძნული საეპისკოპოსო არ ყოფილა, არც საისინი - იყო ცაიშის კათედრა, ხოლო ზიგანა არ იყო ზიგინევი ანუ გუდაყვა, დასავლეთ საქართველოში არ არსებობდნენ ბერძნული საეპისკოპოსოები.

ამასვე დაბეჯითებით მიუთითებს ქართული წყაროებიც. არც ერთი ქართული წყარო არ იცნობს დასავლეთ საქართველოში ბერძნულ საეპისკოპოსოებს - ვარციხეს, გუდაყვასა და ცაიშს. იმავეს გვაუწყებს წმ. მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებაც. დასავლეთ საქართველოში მის დროს ბერძნული საეპისკოპოსოები რომ ყოფილიყვნენ, ცხადია, ამ საეპისკოპოსოთა მრევლი ისეთივე მონოთელიტი იქნებოდა, როგორც მრევლი საერთოდ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოებისა აღნიშნულ ეპოქაში. მაშასადამე, დასავლეთ საქართველოს ხალხიც და მისი მთავრებიც არ იქნებოდნენ მართლმადიდებლები და ისინი კონსტანტინოპოლურ საეპისკოპოსოთა მსგავსად მონოთელიტობის ანუ მწვალებლობისადმი იქნებოდნენ მიდრეკილნი. წმ. მაქსიმე აღმსარებლის მოწაფის წმ. ანასტასი აპოკრისარის სიტყვით კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასავლეთ საქართველოს ხალხი მტკიცედ იცავდა მართლმადიდებლობას უმძიმეს ეპოქაში, მსოფლიო ეკლესიაში მონოთელიტების ბატონობის დროს. შესაბამისად უნდა დავასკვნათ, რომ საფუძველი გვაქვს კიდევ ერთხელ ვნდოთ საეკლესიო ეროვნულ წყაროებს, რომ დასავლეთი საქართველო IV-VIII ს-ში, მიუხედავად მძიმე პოლიტიკური ვითარებისა, იმყოფებოდა მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციაში და იცავდა მართლმადიდებლობის სიმტკიცეს აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის მსგავსად.

დასავლეთი საქართველო მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციაში რომ იმყოფებოდა წმ. მაქსიმე აღმსარებლის ეპოქაში, VII ს-ში, ამაზე მეტყველებს VII ს-ის I ნახევარში აგებული მარტვილის ანუ ჭყონდიდის შესანიშნავი ტაძარი: წმ. ანდრია მოციქულის მიერ აღმართული ჯვრის ადგილას აზიდული ეს სასულიერო კერა, მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის სამლოცველო, აგებულია მცხეთის ჯვრის ტაძრის ანალოგიურად. ხუროთმოძღვარი კი ეგრიისის ცენტრში, საეკლესიო კანონების მიხედვით, ვერავითარ შემთხვევაში ვერ ააშენებდა მცხეთის ჯვრის ტიპის ტაძარს, რომ არ ჰქონოდა საეკლესიო იერარქის შესაბამისი კურთხევა და ნებართვა.

მცხეთის ჯვრის ტაძრის მსგავსი ტაძრის აგება დასავლეთ საქართველოს ცენტრში კიდევ ერთხელ ადასტურებს ძველი ქართული წყაროების დაბეჯითებულ თვალსაზრისს, რომ ეს მხარეები იმყოფებოდნენ მცხეთელი კათალიკოსის იურისდიქციაში და არა კონსტანტინოპოლის პატრიარქისა. ამიტომ IV, V, VI და VII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში წირვა-ლოცვის ენა იყო ის ძველი ქართული ლიტურგიკული (სალიტერატურო) ენა, რომლის შექმნა-შემუშავებასა და დახვეწას ჩვენი გამოკვლევით დავაწი დადეს პეტრე იბერის აღმზრდელმა იოანე ლაზმა და დასავლეთ საქართველოს სხვა მოღვაწეებმა. ამიტომაც აღმოჩნდა პალესტინის უძველესი ქართული წარწერები V ს-ის იერუსალიმის უდაბნოს ე.წ. “ლაზთა მონასტერში“.

საეკლესიო არქიტექტურა საზოგადოდ ასახავდა ლიტურგიკულ ვითარებას და იგებოდა წირვა-ლოცვის საჭიროებისათვის. მაშასადამე, იგი შეესაბამებოდა ლიტურგიკულ ტიპიკონს. მცხეთის ჯვარი გულისხმობდა, რომ ამ არეალში, სადაც მცხეთის ჯვრის ტიპის ტაძრები იყო განლაგებული, ერთი მსგავსი ტიპიკონით ტარდებოდა წირვა-ლოცვა. მცხეთის ჯვარში კი წირვა-ლოცვა ტარდებოდა ქართულ ენაზე და მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციაში შემაჯავალ ეკლესიებში ერთი სახის ლიტურგიკული წესი აღესრულებოდა. ამ არეალში მოქცეული ყოფილა მარტვილისა და ეგრისის მრევლიც. რუის-ურბნისის კრების “ძეგლისწერის“ დადგენილებაში მინიშნებული ცნობით წმიდა ნინოს დროიდანვე დასავლეთი საქართველო მცხეთელი კათალიკოსის იურისდიქციაში იმყოფებოდა და აქ იმთავითვე წირვა-ლოცვის ენა იყო ქართული ენა და არა ბერძნული.

ბოლოს უნდა დავასკვნათ: 1) წმ. მაქსიმე აღმსარებლის ეპოქაში დასავლეთ საქართველოს ქრისტიანები იყვნენ მტკიცე მართლმადიდებლები და 2) დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა წმიდა ნინოს დროიდანვე იმყოფებოდა მცხეთის და არა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, მიუხედავად VI ს-დან შექმნილი პოლიტიკური ვითარებისა.

წმიდა მართლმადიდებლობა იმ ეპოქაში საფუძველი იყო ქართველთა თვითმყოფადობისა და ეროვნული მოძრაობისა ისევე, როგორც შემდგომ საუკუნეებში.

#### განყოფა და შემდგომი ურთიერთობა ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის

სომხურ ეკლესიას, რომელი სარწმუნოებრივი მიმართულებისაც უნდა ყოფილიყო ის, ქალკედონური თუ მონოფიზიტური, ძალა შესწევდა, თავის გავლენის სფეროში მოექცია სომხეთის მოსაზღვრე საქართველოს ზოგიერთი კუთხე იქ მცხოვრები ქართველი მოსახლეობითურთ, რაც,

ცხადია, იწვევდა (იგულისხმება VI-VIII საუკუნეები) ქართველთა დენაციონალიზაციას ანუ ეროვნულ-კულტურულ-სარწმუნოებრივ გადაგვარებას. ეს მხარეები, კერძოდ ქვემო ქართლი (გუგარქი), ჰერეთი, ტაო და კლარჯეთის ერთი ნაწილი იდგა აშკარა ეროვნული საფრთხის წინაშე. სწორედ ეს იყო კირიონ კათალიკოსისა და, საერთოდ, ქართული ეკლესიის თავგამოდებისა და, შეიძლება ითქვას, თავდადების მიზეზი. კირიონს თავისი ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის დროს მხარი დაუჭირა საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენამ. ასევე ქართველმა მონოფიზიტებმაც. ამის შემდეგ კირიონმა შეძლო “განყოფილა“ სომხურ ეკლესიას. “განყოფა“ ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის (დაწყებული ასურელი მამების მიერ) კირიონმა დააგვირგვინა 607-609 წლებში. განყოფა აგრეთვე შედეგი იყო იმდროინდელი საერთაშორისო სიტუაციისა, მაგრამ, ეს სიტუაცია შეიცვალა 613-614 წლების შემდეგ. სპარსეთმა მოითხოვა ყველა ქრისტიანისგან, მათ შორის ქართველებისგანაც, ან მიეღოთ “სომხური სარწმუნოება“, ან განშორებოდნენ თავიანთ ქვეყანას. კირიონი, როგორც ჩანს, მორიდებია სპარსთა მუქარას და გადასულა დასავლეთ საქართველოში, რომელიც მის იურისდიქციაში შედიოდა. იგი, როგორც ფიქრობენ, ჰერაკლე კეისრის ლაშქრობისას ფაზისის არქიეპისკოპოსი ყოფილა.

### ქართული ეკლესიის საპატრიარქო ეკლესიად გამოცხადება VII საუკუნეში

მსოფლიოში არსებობს მრავალი ადგილობრივი ეკლესია, რომელთაგან განსაკუთრებული ღირსების მქონეთ, მათ შორის ქართულ ეკლესიას, უფლება აქვთ, საპატრიარქოდ იწოდებოდნენ. ქართული წყაროებით, ჩვენი ეკლესიის მეთაურს პატრიარქის წოდება მიუღია VII ს-ში, მაგრამ ასევე ცნობილია, რომ საქართველოს პირველ პატრიარქად მიხნეულია მელქისედეკ I. ამიტომაც, ცხადია, ისმის კითხვა: მაინც როდის მიენიჭა პატრიარქის წოდება ქართული ეკლესიის მეთაურს: XI ს-ში თუ VII ს-ში? იქნებ ქართულ წყაროთა მითითება, რომელიც VII ს-ს ეხება, უმართებულოა? “ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე ჩანართი დაბეჯითებით მიუთითებს, რომ VII ს-ში არსებობდა საქართველოში საპატრიარქო და მის მეთაურს ჰქონდა პატრიარქის წოდება. მაგალითად, ერთ-ერთი ჩანართი ეხება VI მსოფლიო კრების (681 წ.) გადაწყვეტილებას: “ამის კრებისა მიერ ბრძანეს წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათვის, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივთა, ვითარცა წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი, საპატრიარქონი... პირველთაგან ანტიოქიის კრებისა მიერ განაპატოსნებული იყო, და ამ კრებისა მიერ დაგვიმტკიცებია პატრიარქად... ოდესცა ენებოს შემზადება და კურთხევა მირონისა, აკურთხოს თვისსა ეკლესიასა“ (“ქართლის ცხოვრება“, I, 232).

საქართველოს მეზობელი ეკლესიების (ალბანეთის და სომხეთის) მეთაურების ტიტულატურიდან ჩანს, რომ როგორც ალბანელ, ისე სომეხ კათალიკოსებს VII ს-ში ჰქონდათ წოდება “პატრიარქისა“ (მოსე კალანკატუელის “აღვანთა ქვეყნის ისტორია“ და “ეპისტოლეთა წიგნი“).

“პატრიარქად“ წოდების უფლება არაბიზანტიური ეკლესიების ნაწილს მიუღია VI ს-ის ბოლოდან. ამიერკავკასიის ღირსებით სამ თანაბარ ეკლესიათა შორის თუ ალბანურსა და სომხურს ჰქონდათ უფლება მირონის კურთხევისა და მეთაურის პატრიარქად წოდებისა, მაშინ იგივე უფლებები ჰქონდა ქართულ ეკლესიასაც. ქართული მასალები გვიჩვენებს, რომ ჩვენს ეკლესიას საპატრიარქო ეკლესია ეწოდებოდა VII ს-ში. VIII ს-იდან შეცვლილმა ვითარებამ ცვლილებები გამოიწვია ეკლესიის მეთაურის ტიტულატურაშიც, კერძოდ, წარმოიქმნა ახალი ქართული სახელმწიფოები (მათ შორის “აფხაზეთა სამეფო“, სამეფოები ტაო-კლარჯეთისა და კახეთ-ჰერეთისა და სხვები). ამის გამო დასავლეთ საქართველოში მანამდე ქართლის საკათალიკოსოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა “აფხაზეთის საკათალიკოსო“. ქართულ ეკლესიაში ამის შემდეგ ორ იერარქს ეწოდებოდა “კათალიკოსი“ (აფხაზეთისა და ქართლისა). ამ დროს ერთგვარად ჩრდილში მოექცა ტიტული “პატრიარქი“, მაგრამ X ს-ის დამლევსა და XI ს-ის დამდეგს საქართველოს გაერთიანებამ კვლავ გააერთიანა ქართული ეკლესია, სრულიად საქართველოს ეკლესიის მეთაურს XI ს-ში კვლავ აღუდგა ტიტული “პატრიარქისა“.

მოსე კალანკატუელის მიერ აღწერილი ზოგიერთი ამბავი, დაკავშირებული ქართული ეკლესიის ისტორიასთან

მოსე კალანკატუელი გადმოგვცემს VII ს-ის ზოგიერთ ამბავს, რომლებიდანაც კარგად ჩანს, როგორ ეხმარებოდნენ სომხური ეკლესიის მეთაურებს ჯერ სპარსელები, შემდეგ კი არაბები პოლიტიკური და სამხედრო ძალით ალბანეთის ეკლესიის დამორჩილებაში. ეს დამპყრობლები ასევე იქცეოდნენ ქართული ეკლესიის მიმართაც. ნაშრომში საუბარია ეკლესიათა “განყოფისა“ და ცხრა საეკლესიო დასის შესახებ, რასაც უშუალო კავშირი აქვს ქართული ეკლესიის ისტორიასთან. ნაჩვენებია, როგორ სჯიდა სომხური ეკლესია ალბანეთში ქალკედონიტურ მიმართულებას არაბთა შემწეობით, როგორ აიძულეს არაბებმა ალბანელები, თავიანთი კათალიკოსი სომხეთში ეკურთხებინათ. ყოველივე ეს საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ამიერკავკასიაში შემოჭრის შემდეგ არაბები შეეცადნენ კავკასიის ეკლესიები კვლავ სომხური ეკლესიის გავლენის სფეროში მოექციათ, რამაც მრავალი დაბრკოლება შეუქმნა ქართულ ეკლესიას.

თავი VI. ქართული ეკლესია VIII-X საუკუნეებში  
“ქართლის“ ისტორიული გეოგრაფია VIII საუკუნისათვის

X ს-ის საეკლესიო მოღვაწე გიორგი მერჩულე “ქართლის“ ცნებას ასე განმარტავს - “ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“. ამ დროისათვის ქართული ენით “ჟამი შეიწირვოდა“ ანუ წირვა-ლოცვა აღესრულებოდა არა მხოლოდ აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ საქართველოშიც. ამის მიხედვით მიხნეულია, რომ დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მომცველ ერთობას პირველად X ს-ში ეწოდა “ქართლი“.

საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება წარმოაჩენს მრავალ მოუგვარებელ პრობლემას, რომელთა ახსნა ადვილად შეიძლება საკითხისადმი ძველქართული მიდგომით. მაგალითად, ძველ საისტორიო წყაროთა მტკიცებით, “ქართლი“, ჯერ კიდევ ფარნავაზის დროიდან ვიდრე VIII ს-მდე, ეწოდებოდა არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს ერთად და “ქართლის“ სახელმწიფოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი გადიოდა არა ლიხის მთაზე, არამედ მდინარე “ეგრისწყალზე“ (V ს-მდე), მას შემდეგ კი მდინარე “კლისურაზე“ (ცხუმთან).

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს უკიდურეს პროვინცია “ჰერეთს“, იგი V ს-ის ავტორის იაკობ ხუცესის მიხედვით “ქართლის“ საზღვრების შიგნით იყო მოქცეული.

ქართულ წყაროთა (ლეონტი მროველის, ჯუანშერისა და “მოქცევაი ქართლისაის“ ავტორის) შესაბამისად “ქართლსა“ (ანუ ქართლის სახელმწიფოსა) და საბერძნეთს (ბიზანტიას) შორის საზღვარი V-VIII სს-ში გადიოდა მდინარე კლისურაზე. საზღვარი ბიზანტიასა და ქართლის სამეფოს შორის საყოველთაოდ ყოფილა ცნობილი და აღიარებული. მაგალითად, ვახტანგ გორგასლის დროს “გამოიკითხა კეისარმან საზღვარი საბერძნეთისა და ქვეყანა ზღვისპირისა, რომელ არს აფხაზეთი და ჰრქუა: ეგრისის წყლითგან ვიდრე მდინარემდე მცირისა საზარეთისა ესე საზღვარი არს საბერძნეთისა აღექსანდრობითგან“. აქედან ჩანს, რომ ბიზანტიელებს თავიანთ იმპერიაში შემაჯავალ ტერიტორიად აღექსანდრე მაკედონელის დროიდან V ს-მდე მიანდათ “ქვეყანა ზღვისპირისა“ მდინარე ეგრისწყლიდან ვიდრე მდინარე ყუბანამდე (“მცირისა საზარეთისა“), ხოლო მდ. ეგრისწყალს აქეთ - ქართლის სამეფოა, V ს-ში, ვახტანგ გორგასლის შემდეგ კი საზღვარი დადებულია მდინარე კლისურაზე. ასე ყოფილა VIII ს-ის შუა წლებამდე (მაგალითად, ვახუშტის მიხედვით მთელი დასავლეთი საქართველო (კლისურამდე) შედიოდა ქართლის სამეფოში ვახტანგის ძის, დახის დროს, მეფე ფარსმანის (დაახლოებით 528-542), შემდგომი სხვა მეფე ფარსმანის (დაახლოებით 542-557), მეფე ბაკურის, გუარამ კურაპალატის (დაახლოებით 575-600) და სხვათა დროს.

წმ. მეფე არჩილის (VIII ს-ის I ნახევარი) ეპოქაში, ძველი, თითქმის თანადროული მებისტორიის მიხედვით, არჩილი ფლობდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს.

“ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, რომ მეფეები მირისა და არჩილისა სამართავი ქვეყანა, ანუ “ქართლი“ VIII ს-ში იყო დასავლეთი საქართველო აღმოსავლეთთან ერთად. უფრო მეტიც, არაბების მიერ თბილისის დაპყრობის გამო მათ სცადეს, ქართლის დედაქალაქი გადაეტანათ ქუთაისსა და ციხე-გოჯში. ამისათვის ამ ქალაქებში დადეს სამეფო ინსიგნიები - სამეფო გვირგვინები (მეფე მირიანისა და ვახტანგისა).

ასე რომ, VIII ს-ის 50-70-იან წლებამდე სიტყვა “ქართლში“ იგულისხმებოდა მთელი საქართველო (კლისურამდე). ამ ცნების ასეთი სახით გაგების შეცვლა დაიწყო სწორედ VIII ს-ში. დასავლეთ საქართველოს იმ ტერიტორიაზე, რომელსაც მანამდე “ქართლი“ ეწოდებოდა, ჩამოყალიბდა ახალი ქართული სახელმწიფოებრივი ერთეული “აფხაზეთა სამეფო“. სწორედ VIII ს-იდან დასავლეთ საქართველოს უკვე აღარ ეწოდებოდა “ქართლი“, თუმცა ეკლესიურ-კულტურულ-ეთნიკური თვალსაზრისით, როგორც ამას გიორგი მერჩულეს განმარტება მიუთითებს, დასავლეთ საქართველო X ს-შიც, ისევე, როგორც ადრევე ძველებურადვე “ქართლად“ განიხილებოდა. ამრიგად, არა X ს-ში ეწოდა დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ერთობას “პირველად ქართლი“, არამედ ქრისტეშობამდე IV-III სს-ში აზონისა და ფარნავაზის დროს და ამას გულისხმობდა გიორგი მერჩულე.

საქართველოს ზოგადი მდგომარეობა VIII-X საუკუნეებში

მემატიანე ჯუანშერი იმეორებს ძველ ქართულ წყაროთა თვალსაზრისს, რომ VIII ს-ის დამდეგს ცნება “ქართლში“ მოიაზრებოდა დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ერთობა. ამ თვალსაზრისის გაუთვალისწინებლად ჯუანშერის მონათხრობი, რომ არაბთა შემოსევებით დაუძლურებული ქართლის მეფე სტეფანოზი სამეფო ოჯახითა და საგანძურით გადავიდა თავისი სამეფოს შედარებით დაცულ ნაწილში - დასავლეთ საქართველოში - ჩვენთვის ლეგენდა იქნებოდა.

ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ცენტრი, თბილისის დაპყრობისა და მცხეთის დანგრევის გამო, გახდა ქუთაისი (“საწამებლად” ანუ დასამტკიცებლად იმისა, რომ ქართლის სამეფო დინასტიის “სამკვიდრო” ქალაქად იქცა ქუთაისი, იქ დაკრძალეს მეფე სტეფანოზი).

დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური გადანაწილების საკითხს ეხება აგრეთვე სტეფანოზის მემკვიდრე მირის ანდერძი, რომლის მიხედვით მთელი დასავლეთი საქართველო, როგორც მეფის საგვარეულო საუფლისწულო მიწა-წყალი, მთლიანად ერგო მეფის ძმა არჩილს “საუხუცესოდ”, ხოლო საქართველოს დიდებულებს უფლება მიეცათ, შეერთოთ მეფე მირის ქალიშვილები. მეფეს მემკვიდრე ძე (ვაჟი) არ ჰყავდა. ანდერძით მეფის ქალიშვილები მხოლოდ ქართლის სამეფოს ერისთავებს უნდა შეერთოთ. არჩილმა შეასრულა ეს ანდერძი. სიძეებს “განუყო ქვეყანანი ქართლისანი“, მეფის ერთი ქალიშვილის ხელი კი უთხოვია აფხაზეთის ერისთავს - ლეონს. ლეონი ფლობდა ქართლის სამეფოს საზღვრის გარეთ მდებარე და ბიზანტიის სამეფოში შემავალ ტერიტორიას (ბიზანტია-საქართველოს სასაზღვრო მდინარე კლისურის იქით) და, ცხადია, ამის გამო მისი სამფლობელო საერისთავო არ შედიოდა “ქართლის სამეფოს” შემადგენლობაში, შესაბამისად, იგი არ იყო “ერისთავი ქართლისა“, მაშასადამე, უფლება არ ჰქონდა შეერთო მეფის ქალიშვილი. ამის გამო, წერს მემკვიდრე, ლეონმა გადაწყვიტა შეეყვანა თავისი საერისთავო ქართლის სამეფოს შემადგენლობაში, ანუ შეერთებინა ქართლის სამეფოსთან აფხაზეთის საერისთავო. ამით ლეონი გახდებოდა “ქართლის ერისთავი“ და უფლება მიეცემოდა, შეერთო მეფის ქალიშვილი. მას “ქართლის მეფე“ არჩილისათვის განუცხადებია: ჩემი ეს საერისთავო შემომიყვანია შენს სამეფოში, “ჩემიცა ესე კლისურითგან მდინარემდე მცირისა ხაზარეთისა შენადვე იყოს“, “შემტოვე მეცა მონათა შენთა თანა“.

ბიზანტიის დაუძღვრების გამო აფხაზეთის საერისთავო მეფე არჩილმა შეიყვანა თავისი სამეფოს შემადგენლობაში. ამით ლეონი გახდა “ქართლის ერისთავი“ და შერთეს კიდევ მეფის ქალიშვილი გურანდუხტი. ლეონი წმ. მეფე არჩილმა აქცია “თავის შვილად და ძმად“. არჩილს კანონიერად ეკუთვნოდა “საუხუცესოდ“ მთელი დასავლეთი საქართველო, ანუ “ეგრისი“. ამიტომაც ლეონს, აფხაზეთა ერისთავს, მიეცა უფლება განეგო დასავლეთი საქართველო. ასე შეერთდა ეგრის-აფხაზეთი. ასე მოგვიტხრობს ჯუანშერი.

ივანე ჯავახიშვილს სჯეროდა ჯუანშერის გადმოცემა VII-VIII საუკუნეთა ამბების შესახებ და წერდა: ჯუანშერს “VII-VIII საუკუნეთა შესახებ უფრო საყურადღებო ცნობები მოეპოვება“.

ლეგენდაა ჯუანშერის მონათხრობი, თუ სინამდვილე, ფაქტია ის, რომ ქართული (საერო და საეკლესიო) წრეები VIII ს-ის დამდეგს დასავლეთ საქართველოს მიიხსენებდა “ქართლის“ ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად. გარდა ამისა, კარგადაა ახსნილი, რომ ეგრის-აფხაზეთი გაერთიანდა არა აფხაზეთა მიერ დასავლეთ საქართველოს დაპყრობით, სამხედრო ძალის შემწეობით, არამედ დინასტიური გზით. აფხაზეთის ერისთავებს “მეფედ“ წოდების ლეგიტიმური უფლება მიენიჭათ მეფე მირის ქალიშვილის გადედოფლებით.

მეფეს მირის ქალიშვილის გურანდუხტის მეუღლის ლეონ I-ის მემკვიდრემ ლეონ II-მ მიიღო “აფხაზეთა მეფის“ ტიტული (ამ სამეფოს ცენტრი იყო ქუთაისში).

ლეონ I და აფხაზეთა ერისთავები ეთნიკური ქართველები იყვნენ. ამაზე მეტყველებს არა მარტო ის, რომ მათ დროს ჩამოყალიბებული აფხაზეთა სამეფოს სახელმწიფო და კულტურის ენა ქართული იყო, არამედ ბერძნული და რომაული წყაროების დაბეჭდითებული ცნობები. მაგალითად, სტრაბონი I ს-ში პირდაპირ წერდა, ტერიტორია სებასტოპოლისიდან (ცხუმთან) პიტიუნტამდე (ბიჭვინთამდე) დასახლებული იყო მოსხებით (მესხებით) და სხვა ქართველი ტომებით, ხოლო ამ ზღვისპირა ნაწილის უკან მთებში ცხოვრობდნენ სვანები, რომლებიც იმუშად ბატონობდნენ ყველა სხვა ტომზე, შექმლეთ 200 000 მეომარი გამოეყვანათ და ჰყავდათ 300 კაციანი მმართველი საბჭო. სტრაბონის დროს, მისივე ცნობით, მკვლევარების ერთი ნაწილი სვანებს პირდაპირ უწოდებდა იბერებს, ხოლო მთელ ამ უვრცელეს ტერიტორიას (იგულისხმება ტერიტორია შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე) “ეწოდა იბერია, რადგანაც აქაც დასავლეთის იბერიის მსგავსად“, ოქროს მოიპოვებდნენ მდინარეში ჩაგდებული მატყლდაფარებული ფაცურით. სტრაბონს იბერები და იბერია აგონდება სვანეთისა და პიტიუნტის, ე.ი. შემდეგდროინდელი აფხაზეთის აღწერის დროს.

VIII ს-ის ბოლოსვე ჩამოყალიბდა კახეთის სამთავრო და ჰერეთის სამეფო. აღმოსავლეთ საქართველოშიც გამოუჩნდა მემკვიდრე ძველ ქართულ სამეფო დინასტიას. ეს უკანასკნელი შეცვალა ბაგრატიონთა დინასტიამ. არტანუჯიდან აშოტ კურაპალატმა გააერთიანა სამხრეთ საქართველოს მიწები. მისმა შთამომავალმა ადარნასე ბაგრატიონმა მიიღო “ქართველთა მეფის“ ტიტული. ქართული ხელისუფლების გაძლიერება ტაო-კლარჯეთში ბიზანტიელთა მხარდაჭერით მოხდა. ამის შედეგად ტაო-კლარჯეთში მცხოვრები ეთნიკური წარმოშობით ქართული მოსახლეობა, რომელიც მანამდე სომხური ეკლესიის გავლენის სფეროში იმყოფებოდა, ნელ-ნელა დაუბრუნდა დედა ქართულ ეკლესიას. საუკუნეთა მანძილზე პოლიტიკურ ვითარებათა გამო სომხურ საეკლესიო იურისდიქციაში მოქცევის გამო ამ ერთ ნაწილს ეთნიკურად ქართულ მოსახლეობისას ეწოდა “სარწმუნოებით სომეხნი“. სწორედ ისინი და არა ეთნიკური სომეხები უბრუნდებოდნენ მშობლიურ საეკლესიო წიადს. ტაო-კლარჯეთი დაუბრუნდა მცხეთის საკათალიკოსოს იურისდიქციას. მცხეთის საკათალიკოსოს მეთაურს ამ დროს კვლავინდებურად ჰქონდა

წოდება “ქართლის კათალიკოსისა“. იგი ძველებურადვე მთელი ქართველი ხალხისა და ერთიანი ქართული ეკლესიის სასულიერო მეთაურად მიიჩნეოდა, ამიტომაც აფხაზთა სამეფოში აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსების შემდეგაც მცხეთელი მამამთავარი “უხუცესად“, ხოლო ბიჭვინთელი “უმრწამესად“ იწოდებოდა, რამეთუ დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა “ქართველობა“ იყო. მართალია, დასავლეთ საქართველოს “აფხაზთა სამეფო“ ეწოდა, მაგრამ მისი მოსახლენი ეთნიკური ქართველნი იყვნენ, ქართული ენითა და ეკლესიით.

#### აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსება

ქალკედონის IV მსოფლიო კრების მე-17 კანონის შესაბამისად სახელმწიფოს შიგნით შეიძლება არსებობდეს თავისუფალი ეკლესია. VIII ს-ში დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს “აფხაზთა სამეფოს“ დაარსებამ საფუძველი დაუდო ამ სახელმწიფოს შიგნით საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულის - აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებას.

XVII ს-ის იერუსალიმელი და ანტიოქიელი ისტორიკოსები და პატრიარქები (დოსითეოსი, ხრისანფი და მაკარიოსი) წერენ აფხაზეთის საკათალიკოსოს შესახებ. მას პირველი ორი ისტორიკოსი (დოსითეოსი და ხრისანფი) უწოდებდა “ქვემო იბერიის“ ეკლესიას. “ქვემო იბერიის“ ეკლესია (ანუ აფხაზეთის საკათალიკოსო), მათი აზრით, წარმოქმნილა VIII ს-ის 20-იან წლებში ბიზანტიის იმპერატორ ლევ ისაეროსის დროს. აღსანიშნავია, რომ ქართული წყაროებიც (“ქართლის ცხოვრება“, განსაკუთრებით კი ვახუშტი) აფხაზეთის საკათალიკოსოს წარმოქმნის თარიღად 720 წელს ასახელებენ.

უცხოელი ავტორები აფხაზეთის საკათალიკოსოს “ქვემო იბერიის“ ეკლესიას უწოდებდნენ ჩვენ მიერ განხილული ძველქართული თვალსაზრისის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ქართული VIII ს-ის დამდეგს ეწოდებოდა არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ დასავლეთ საქართველოსაც მდინარე კლისურამდე და შავ ზღვამდე. “ქართლი“ იგივე იბერიაა, ამიტომ, როცა მის ერთ ნაწილში შეიქმნა ახალი ეკლესია, მას უწოდეს ეკლესია “ქვემო იბერიისა“, რათა განესხვავებინათ იგი მეორე (აღმოსავლეთ) ნაწილში მყოფი “ზემო იბერიის“ საკათალიკოსოსაგან.

პატრიარქი მაკარიოსი წერს, როგორ მიანიჭა ახლად შექმნილ აფხაზეთის საკათალიკოსოს ანტიოქიის საპატრიარქომ ავტოკეფალია VIII ს-ის შუა წლებში. იგივე ცნობა დაცული აქვს ეფრემ მცირეს, მაგრამ იგი არ ახსენებს სიტყვა “აფხაზეთს“, მის მაგიერ წერს “ქართლს“ და “ქართველებს“. ჩანს, ეფრემის წყაროში “ანტიოქიურ ქრონოგრაფში“ აფხაზეთის მაგიერ ეწერა მისი სინონიმი “იბერია“ ან “ქვემო იბერია“. ეფრემმა კი იბერიის ნაცვლად დაწერა “ქართლი“. გვოილაძეს მიაჩნია, რომ ეფრემ მცირეს თხრობა ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მიღების შესახებ (VIII ს-ის 50-იან წლებში) შეეხება არა მცხეთის საკათალიკოსოს, არამედ აფხაზეთის საკათალიკოსოს. მაშასადამე, აფხაზეთის საკათალიკოსო, ვითარცა “ქვემო იბერიის“ ადმინისტრაციულად დამოუკიდებელი საეკლესიო ერთეული უცვნიან ანტიოქიის ეკლესიას VIII ს-ის 50-იან წლებში, ხოლო 830 წელს მის მეთაურს ქართველმა მეფეებმა მიანიჭეს “კათალიკოსის“ წოდება.

#### მირონის კურთხევის შესახებ

მირონის კურთხევის უფლება აქვს მხოლოდ და მხოლოდ ავტოკეფალურ ეკლესიებს. ქართულ ეკლესიას რომელი საუკუნიდან მიენიჭა ეს უფლება, კვლევა-ძიების საგანია, რადგან საბჭოთა პერიოდის ქართველ მკვლევართა თვალსაზრისით ჩვენმა ეკლესიამ მირონის კურთხევის უფლება მიიღო IX ს-დან. ძველქართული თვალსაზრისით კი მას ეს უფლება უკვე V ს-იდან ჰქონია მინიჭებული. ამ ბოლო თვალსაზრისს განამტკიცებს ჩვენს მეზობელ სომხურ და ალბანურ ეკლესიებში VI-VII სს-ში არსებული მდგომარეობა.

სომხურ და ალბანურ წყაროებზე დაყრდნობით გამოკვლეულია, რომ სომხური და ალბანური ეკლესიები VI-VII ს-ში მირონს აკურთხებდნენ თავიანთ ეკლესიებში (კალანკატუელი, უხტანესი, “ეპისტოლეთა წიგნი“ და სხვა). მაშასადამე, თუ VI-VII სს-ში სომხეთსა და ალბანეთში მირონს აკურთხებდნენ, მაშინ მათი თანაფარდი, მათთან საეკლესიო ურთიერთკავშირში მყოფი ქართული ეკლესიაც აკურთხებდა მირონს, თორემ თუ თანაბარი ღირსების სამი ავტოკეფალური ეკლესიიდან ორი მირონს აკურთხებდა და მესამე არა, ეს მესამე ეკლესია ნაკლები ღირსებისა და პატივისა იქნებოდა და არც არავითარი პატივ-ღირსება ექნებოდა ალბანურ ეკლესიასთან შედარებით. უხტანესისა და სხვა წყაროთა ცნობით, აღნიშნულ საუკუნეებში ქართული მხარე თავისი ეკლესიის პატივსა და ღირსებას უტოლებდა სომხური ეკლესიისას და უპირატესობის მოპოვებას ცდილობდა ალბანურთან შედარებით. ცხადია, თუ ქართულ ეკლესიას ამ დროს მირონის კურთხევის ნებაც კი არ ჰქონდა, იგი თავის ღირსებას ვერ გაუტოლებდა ალბანური ეკლესიისას, სადაც სხვადასხვა წყაროს მიხედვით მირონს VI ს-ში უკვე აკურთხებდნენ.

ამ თვალსაზრისის ამტკიცებს ეფრემ მცირეს ცნობა იმის შესახებ, რომ ქალკედონის კრების შემდეგ (V ს.) სხვადასხვა ეკლესიას მიეცა ადგილზე მირონის კურთხევის უფლება. ეფრემის

ცნობით, ეს უფლება მირონის ადგილზე კურთხევისა გამოუყენებია ქართულ ეკლესიას V ს-დან-ვე. საქართველოში ძველი დროიდანვე მირონის ადგილობრივ კურთხევაზე უნდა მიგვითითებდეს წყაროებში დაცული ცნობა, რომ სვეტიცხოვლის ხის გადანაჭრიდან (IV ს.) გადმოედინებოდა მირონი, რომელსაც იყენებდნენ დანიშნულებისამებრ.

“ქართლის ცხოვრების“ ცნობით, VII ს-ში მოწვეულ VI მსოფლიო კრებას დაუდასტურებია, რომ ქართულ ეკლესიას უფლება აქვს, “ოდესცა ენებოს შემზადება და კურთხევა მირონისა, აკურთხოს თვისსა ეკლესიასა“.

მაშასადამე, ძველქართული თვალსაზრისით, ქართულ ეკლესიაში უკვე V-VI ს-ში აკურთხებდნენ მირონს. ამ მოსაზრებას თითქოსდა ეწინააღმდეგება “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ არსებული ერთი ცნობა, რომლის ანალიზის შედეგად ასკვნია, რომ ქართულმა ეკლესიამ მხოლოდ IX ს-ის 40-იანი წლებიდან მიიღო მირონის დამზადების უფლება იერუსალიმის პატრიარქისაგან მაწვევრელ ეპისკოპოს ეფრემის მეცადინეობით. “რამეთუ პირველად აღმოსავლისა კათალიკოსთა მიპრონი იერუსალიმით მიჰყვანდა, ხოლო ეფრემ ქრისტესმთავრისა ბრძანებითა მიპრონის კურთხევა ქართლს განეწესა, იერუსალიმის პატრიარქისა განწესებითა და წამებითა სიხარულითა, არამედ ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“. გიორგი მერჩულეს ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს დასავლეთი საქართველო, ანუ აფხაზეთი, რომლის ეკლესიამონასტრებში იმ დროისათვის მართლაც უკვე ქართულ ენაზე იყო გაწვდილი წირვა-ლოცვა. ამიტომაც მერჩულე დასავლეთ საქართველოსაც ქართლის ქვეყანათა წილში მყოფად გვისახავს, მაგრამ დასავლეთ საქართველოს იმ დროისათვის უკვე “აფხაზეთი“ ეწოდებოდა, რამეთუ იქ არსებობდა “აფხაზეთა სამეფო“ და აფხაზეთის საკათალიკოსო. რადგანაც გიორგი მერჩულე “ქართლის“ ქვეყანათა წილში არსებულად გვიხატავს დასავლეთ საქართველოს და იგი ამ შემთხვევაში საუბრობს კონკრეტულად აფხაზეთის საკათალიკოსოსა და მის კათალიკოსზე და არა ზოგადად “აღმოსავლეთის“ ქვეყნების კათალიკოსებზე, ამიტომ სავარაუდოა, რომ თავდაპირველ ხელნაწერში ეწერა არა სიტყვა “აღმოსავლისა“, არამედ “აფხაზეთისა“ - შესაბამისი ქარაგმით “ა-სა“. ამ შემთხვევაში აზრი ნათელი, კონკრეტული იქნება. ასეთი ვარაუდის უფლებას იძლევა არა მხოლოდ კონტექსტი, არამედ ის გარემოებაც, რომ ჩვენამდე მოღწეულია არა გიორგი მერჩულის ხელიდან გამოსული ხელნაწერი, არამედ შემდეგ საუკუნეში გადაწერილი ერთადერთი ეგზეგეტიკური. შესაძლოა, შემდეგი დროის გადამწერმა დაქარაგმებული სავარაუდო სიტყვა “აფხაზეთისა“ გაიგო როგორც “აღმოსავლისა“ (იმავე ქარაგმით “ა-სა“). გეოგრაფიულ სახელებს რომ ძველ დროს აქარაგმებდნენ, მიუთითებს “მოქცევაი ქართლისაის“ ხელნაწერები, სადაც თითქმის ყველგან სიტყვა “იერუსალიმი“ დაქარაგმებულია (“ი-ელი“).

მეორე მხრივ, თუ წინადადებაში თავის ადგილზე დავტოვებთ სიტყვას - “აღმოსავლისა“, აზრი არასწორი და ბუნდოვანი რჩება. “რამეთუ პირველად აღმოსავლისა კათალიკოსთა მიპრონი იერუსალიმით მიჰყვანდა, ხოლო ეფრემ ქრისტესმთავრითა...“ ისე ჩანს, თითქოს IX ს-მდე (ეფრემამდე) აღმოსავლეთის ქვეყნების ეკლესიებს (“კათალიკოსებს“) მირონი მიჰქონდათ იერუსალიმიდან. ეს აზრი, ცხადია, არასწორია. როგორც ზემოთ ვთქვით, თვითონ კავკასიის ქვეყნებშიც კი აღბანეთსა და სომხეთში მირონს ადგილზე აკურთხებდნენ VI-VII ს-ში. მით უმეტეს, აღმოსავლეთის ისეთ ეკლესიებში, როგორც იყო ანტიოქია, სირია და სხვები, მირონს ადგილზე აკურთხებდნენ და, ცხადია, არ მიჰქონდათ იერუსალიმიდან.

საქმე ის იყო, რომ იერუსალიმი, რომელიც I ს-ში დაანგრეს რომაელებმა, თითქმის IV ს-მდე აღარ ასრულებდა საქრისტიანო ცენტრის მოვალეობას (ასეთი ცენტრი აღმოსავლეთში ანტიოქია იყო). თავისი დამცრობილი მნიშვნელობის გამო V ს-მდე (ქალკედონის კრებამდე) იერუსალიმის ეკლესია ექვემდებარებოდა ხან ანტიოქიის ეპისკოპოსს, ხან კიდევ კესარი-პალესტინის ეპისკოპოსს. ასე რომ, აღმოსავლეთის ეკლესიების კათალიკოსებს მირონი იერუსალიმიდან არ “მიჰყვანდათ“. VIII ს-დან კი შექმნილი ვითარების (კონსტანტინოპოლში ხატმებრძოლური ერესის) გამო იერუსალიმი მართლაც შეიძლება გადაქცეულიყო ე.წ. “დედაეკლესიად“ ახლად დაარსებული აფხაზეთის საკათალიკოსოსათვის და თავისი დაარსების შემდეგ (VIII ს.) მირონი ეფრემ მაწვევრელამდე (IX ს.) მართლაც მიეღო იერუსალიმის საპატრიარქოდან. თუ ასე ვივარაუდებთ და სიტყვა “აღმოსავლისას“ ნაცვლად ვიგულისხმებთ სიტყვა “აფხაზეთს“, ტექსტი ასეთი სახით წარმოგიდგება:

- “რამეთუ პირველად აფხაზეთისა კათალიკოსთა მიპრონი იერუსალიმით მიჰყვანდა, ხოლო ეფრემ ქრისტესმთავრითა ბრძანებითა მიპრონის კურთხევა ქართლს განაწესა იერუსალიმის პატრიარქის განწესებითა და წამებითა სიხარულითა, არამედ ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“. ამ შემთხვევაში წინადადების აზრი ასეთი იქნება: თავდაპირველად აფხაზეთის საკათალიკოსოს მირონი ეძლეოდა იერუსალიმის საპატრიარქოდან, მაგრამ ეფრემის ინიციატივითა და საქმის მოგვარებით დაწესდა, რომ აფხაზეთის საკათალიკოსომ მირონი უნდა მიეღოს ქართლიდან (ე.ი. მცხეთიდან); მიზეზი ამისა ისაა, რომ აფხაზეთიც ქართლია, რამეთუ ქართლი ის ქვეყანაა, რომელშიც წირვა და ლოცვა ქართულ ენაზე სრულდება. აფხაზეთში (ე.ი. დასავლეთ საქართველოში) წირვა-ლოცვის ენა ქართულია, ე.ი. თუ მანამდე (VIII-IX სს.) დასავლეთ

საქართველოს მდ. კლისურას იქით ისტორიული “აბაზგიის“ ეკლესია იერარქიულად და ეკლესიურად ექვემდებარებოდა ბერძნულ საპატრიარქოს, ამის შემდგომ იგი დაექვემდებარა ქართულ საკათალიკოსოს. დადგინდა, რომ აფხაზეთის საკათალიკოსოში, რომელშიც შევიდა ტერიტორია ლიხის მთიდან კლისურამდე, და ასევე კლისურის იქით ისტორიულ აბაზგიის ტერიტორია, მირონი ადგილზევე ეკურთხებინათ.

ასეთი მსჯელობის შემდეგ შეიძლება დაისვას კითხვა: ექვემდებარებოდა კი აფხაზეთის ახლად შექმნილი საკათალიკოსო იერუსალიმს და თუ ექვემდებარებოდა, რატომ დათმო ეს დაქვემდებარება იერუსალიმმა მცხეთის სასარგებლოდ?

ცნობილია, რომ აფხაზეთის საკათალიკოსოს სამწყსოს შეადგენდა ლიხის მთიდან მდ. კლისურამდე მდებარე ტერიტორია და აბაზგიის ეკლესია, ეს პირველი საეკლესიო ერთეული აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებამდე ექვემდებარებოდა მცხეთას, მეორე კი “აბაზგია“ - კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს. აბაზგიის ეკლესია ეკლესიური თვალსაზრისით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ჩამოშორდა ბიზანტიაში გაჩენილი ხატმებრძოლური ერესის გამო, რომელმაც დედაქალაქში გაიმარჯვა. ამ დროს, შესაძლოა, კონსტანტინოპოლისაგან ჩამოშორებული აბაზგიის ეკლესია ეკლესიური თვალსაზრისით დაექვემდებარა იერუსალიმის საპატრიარქოს იმ მხრივ, რომ მისგან იღებდა მირონს და არა კონსტანტინოპოლისაგან.

ცნობილია, რომ ქართული ეკლესია ხატების წინააღმდეგ გაჩაღებულ მწვალებლობას იერუსალიმის საპატრიარქოსთან ერთად ებრძოდა (ანტიოქია ამ დროს მხარს უჭერდა კონსტანტინოპოლს). ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული იერუსალიმისა და მცხეთის ეკლესიათა შორის მჭიდრო კავშირი.

მსგავსადვე VIII ს-ში ხატმებრძოლური ერესის გამო გუთეთის ეკლესია ჩამოშორდა კონსტანტინოპოლს. გუთელი ეპისკოპოსი იერუსალიმში ჩავიდა კურთხევის მისაღებად, მაგრამ იგი აქ სამი წელი არ აკურთხეს, შემდეგ კი იბერიის ეკლესიაში გამოგზავნეს, სადაც მიიღო კურთხევა. ე.ი. კონსტანტინოპოლისგან ჩამოშორებული გუთეთის ეკლესია რაღაც ხარისხით იერუსალიმმა დაუქვემდებარა იმ დროისათვის მართლმადიდებლობის აღიარებულ ბურჯს იბერიის, ანუ ქართლის ეკლესიას. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამავე ეპოქაში კონსტანტინოპოლისაგან ჩამოშორებული აბაზგიის ეკლესია იერუსალიმმა დაუქვემდებარა იბერიის, ანუ ქართლის ეკლესიას, მით უმეტეს, რომ პოლიტიკური აფხაზეთის უმთავრესი ნაწილი (ლიხის მთიდან მდ. კლისურამდე) ისტორიული ქართლი (ქვემო ქართლი) გახლდათ, ხოლო აბაზგია - ეთნიკური ქართველების, ქართულენოვანი ხალხის ქვეყანა იყო.

ამრიგად, “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ცნობა ეფრემის მიერ მირონის კურთხევის შესახებ უნდა გულისხმობდეს არა მცხეთის მიერ მირონის IX ს-ში კურთხევის ნებართვას, არამედ IX ს-ში აფხაზეთის საკათალიკოსოს მიერ მირონის ადგილზევე, ანუ ქართლში (ქვემო იბერიაში) კურთხევის უფლებას.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალია IX საუკუნის ჯავახეთში შემდგარი კრების მიხედვით

საეკლესიო კანონების ცნობილი მცოდნე პროფ. ტროიცკი ავტოკეფალიის საკითხებზე მსჯელობისას განმარტავდა, რომ ეკლესია ავტოკეფალურია, თუ ამ ეკლესიის ეპისკოპოსებს აკურთხებენ არა უცხო ეკლესიის იერარქები, არამედ თავისივე ეკლესიის ეპისკოპოსები. ეს გულისხმობს იმას, რომ ეკლესიის მეთაურსაც (რომელიც აგრეთვე ეპისკოპოსია) ირჩევს ამა თუ იმ ეკლესიის ეპისკოპოსთა ერთობა (ანუ კრება). ამ განმარტების დასადასტურებლად პროფ. ტროიცკის მოჰყავს V ს-ის დამდეგს გამართული III მსოფლიოს საეკლესიო კრების მე-8 კანონი, რომელიც კვიპროსის ეკლესიის ავტოკეფალიას ეხება. საქმე ისაა, რომ IV ს-ის ბოლოდან გაძლიერებულმა ანტიოქიის ეკლესიამ ისურვა, თავისი ძალაუფლება გაეფრცვლებინა კვიპროსის ავტოკეფალურ ეკლესიაზე. კვიპროსმა საჩივარი შეიტანა III მსოფლიო საეკლესიო კრებაზე. კრებამ დაადასტურა ამ ეკლესიის ავტოკეფალია, რაც თავისივე ეპისკოპოსების მიერ ახალი ეპისკოპოსის ხელდასმას გულისხმობს. გარდა ამისა, პროფ. ტროიცკის განმარტებით, ეკლესიათა ავტოკეფალიას ეხება II მსოფლიო კრების II კანონიც, რომლითაც ავტოკეფალური ეკლესიის მეთაურს თვითონვე ადგენს ამა თუ იმ ეკლესიის ეპისკოპოსთა კრება.

ჩვენში დავობდნენ, რომელი საუკუნიდან მიეჩნიათ ქართული ეკლესია ავტოკეფალურად. სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით ასახელებდნენ V, VIII, XI საუკუნეებს. საბედნიეროდ, ჩვენამდე მოაღწია წერილობითმა ცნობამ, რომ IX ს-ში ჩატარებულ საეკლესიო კრებაზე არჩეულ იქნა ქართლის კათალიკოსი (გიორგი მერჩულე, “შრომა და მოღვაწეობა გრიგოლ არქიმანდრიტისა ხანძთელისა“).

IX ს-ის დამდეგს აშოტ კურაპალატის ძის გუარამ მამფალის ინიციატივით ჯავახეთში მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, რომელსაც უნდა გამოეჩნია მეთაური ქართული ეკლესიისა. კრებამ კათალიკოსად დაადგინა პირი, ვინც ეპისკოპოსთა უმრავლესობის ხმა მიიღო. ქართული ეკლესიის მეთაურის გამორჩევასა და კურთხევაში არ მონაწილეობდა არც ერთი უცხოური ეკლესია და მათი წარმომადგენელი. აქედან ჩანს, რომ IX ს-ში ქართული ეკლესია ავტოკეფალური იყო II მსოფლიო კრების II კანონის შესაბამისად.



ასეთივე მდგომარეობა იყო VIII ს-შიც, როცა ქართველმა კათალიკოსმა ხელი დაასხა უცხო ქვეყნის (გუთეთის) ეკლესიის მეთაურს (VIII ს-ის 50-იან წლებში). ქართული ეკლესია VIII-IX ს-ში (ასევე წინა საუკუნეებშიც) ავტოკეფალური ეკლესია იყო და შედგებოდა ორი - ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებისაგან (მსგავსადევა მოწყობილი ზოგიერთი სხვა ეკლესიაც. მაგალითად, ბერძნულ ეკლესიას დღესდღეობით აქვს რამდენიმე საპატრიარქო და ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო, სომხურ ეკლესიას - კი ორი საპატრიარქო და ორი საკათალიკოსო). ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოები ერთი ეკლესია იყო და ჰქონდა ერთი “სჯულისკანონი“, ანუ საეკლესიო სამართალი, სადაც ერთ - ქართულ ენაზე მიმდინარეობდა ღვთისმსახურება და საერთო მირონი იკურთხებოდა.

### აბო თბილელის “ქართველობის“ შესახებ

შესაბამის საეკლესიო საგალობლებში მიქაელ მოდრეკილი და სტეფანე ჭყონდიდელი აბო თბილელს “ქართველს“ უწოდებენ თუმცა იცინ მისი ეთნიკური წარმომავლობა. ამასთან დაკავშირებით, საბჭოთა ისტორიკოსებმა დანერგეს თვალსაზრისი, რომ აბო თბილელი ქართული ქალკედონური ქრისტიანობის მიღების შემდეგ “გაქართველდა“, არაბი ქართველი გახდა. არსებობს მოსაზრებანი, თითქოს აღნიშნულ ხანაში “ქართველი“ ნიშნავდა არა ეთნიკურად ქართველს, არამედ ნებისმიერი ეთნიკური წარმომავლობის ადამიანს, ოღონდ თანახიარს “ქართული ფეოდალური კულტურისას“.

აბო თბილელისათვის “ქართველის“ წოდება უნდა უკავშირდებოდეს არა მის თითქოსდა “გაქართველებას“, არამედ დაკავშირებული უნდა იყოს იმ სარწმუნოებრივ ომთან, რომელიც VIII-IX საუკუნეებში მიმდინარეობდა თბილისში. სომხურმა ეკლესიამ 726 წლის მანასკერტის კრების შემდეგ მტკიცედ მიიღო მონოფიზიტური სარწმუნოება. ამიტომ ქართულმა ეკლესიამ საბოლოოდ გაწვეტა მასთან ურთიერთობა, ვითარცა მართლმადიდებლობის ერთგულმა დამცველმა. მეორე მხრივ, არაბები აძლიერებდნენ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში (მათ შორის ქართლშიც) მონოფიზიტობას. ამის შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის საამიროსა და ტაშირის სამეფოში გაძლიერდა სომხური ეკლესია, გაჩნდნენ ქართველი მონოფიზიტები და საკმაოდ მტკიცე პოზიციებიც დაიჭირეს არაბთა წყალობით. ქართული ეკლესია იძულებული გახდა, მოესპო მონოფიზიტური ქართულენოვანი ლიტურატურა. ამ დროს, ჩანს, ურთიერთგარჩევის მიზნით უკვე ეროვნულად ქცეულ ქართულ ქალკედონურ ლიტურატურას “ქართულს“ აწერდნენ და ასევე ამ ეკლესიის წმიდანს “ქართველს“ უწოდებდნენ, ხოლო ქართულენოვან მონოფიზიტურ ლიტურატურას “სომხურს“ უწოდებდნენ და სპობდნენ მათ. ასეთი ვითარების გამო, შესაძლოა, აბო თბილელის საგალობელზე წარწერილი სიტყვა “ქართველი“ აღნიშნავს ამ წმიდანის ქართული ეკლესიისადმი კუთვნილებას, ანუ აღნიშნავს იმას, რომ აბო თბილელი იყო წმიდანი ქართული (ქალკედონური) ეკლესიისა და არა სომხური (მონოფიზიტური) ეკლესიისა. მაშასადამე, აქ “ქართველი“ აღნიშნავს ეკლესიისადმი კუთვნილებას და არა მის ეთნიკურ მეტამორფოზას.

### სომხური ეკლესიის ზეგავლენის დაძლევის მნიშვნელობა ქართველი ერისათვის

726 წლის მანასკერტის საეკლესიო კრებაზე სომხურმა ეკლესიამ გადაჭრით მიიღო მონოფიზიტური სარწმუნოება და დაგმო ქალკედონიტობა. ამის გამო ქართულმა ეკლესიამ საბოლოოდ გაწვეტა ურთიერთკავშირი მასთან. ტაოს, კლარჯეთისა და ჰერეთის დიდ ნაწილში ქართულმა მოსახლეობამ გადაიგდო სომხური საეკლესიო იურისდიქციის უღელი. დადებითმა შედეგებმაც არ დააყოვნა. უკვე VIII ს-ის ბოლოდანვე გამოიღვიძა და IX-X საუკუნეებში არნახულად გაიფურჩქნა ქართული საეკლესიო მწერლობა. იმ დროის ნინოს ერთ-ერთი ჰიმნოგრაფი წერდა: “დღეს დიდებისმეტყველებს ენა ქართველთა“ (ე.ი. ქართული ენა აღარ იყო “დამარხული, მძინარე, მდაბალი და დაწუნებული“ საქართველოს ამ ნაწილებში, როგორც ამის შესახებ ადრე წერდა იოანე ზოსიმე, ავტორი ლოცვისა “ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“). წმიდა ნინოსადმი სიყვარულმა უფრო და უფრო იმატა, უკვე VIII ს-ის ბოლოდანვე იწერება მისდამი მიძღვნილი ჰიმნები და საგალობლები და ამის შემდეგ წმიდა ნინომ თავისი ღირსეული ადგილი დაიჭირა.

იგივე შეიძლება ითქვას ასურელი მამების მიმართაც. ისინი, ქალკედონიტი მოღვაწეები იყვნენ და ხელი შეუწვევენ ქართველი ხალხისა და ეკლესიის მობრუნებას მართლმადიდებლობისაკენ. ამის გამო სპარს-არაბთა შეწვევით ამიერკავკასიის ეკლესიებზე სომხური ეკლესიის გაბატონების დროს (VI-VIII სს.) ასურელი მამების ღვაწლი, ისევე როგორც წმ. ნინოსი, მიჩქმალეს. ამიტომაც ამ საუკუნეებში წყაროები ასურელ მამებს ნაკლებად ახსენებენ, მაგრამ IX-X სს-ში მათაც უკვე ეძღვნება ჰიმნები, მათაც დაიჭირეს თავიანთი კუთვნილი ადგილი ეკლესიის წმიდათა შორის.

მონოფიზიტობა, როგორც ერთ-ერთი უძველესი ფრთა ქრისტიანობისა, საუკუნეთა მანძილზე განმტკიცდა მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის აღმოსავლურ-ბიზანტიურ ნაწილში. V, VI და

VII ს-ში მონოფიზიტობას ძლიერი პოზიციები ჰქონდა. მონოფიზიტები საეკლესიო ხელისუფლებასაც კი იგდებდნენ ხელთ და მათ ადრე იმპერატორებიც უჭერდნენ მხარს. ზოგჯერ იმპერიაში მონოფიზიტთა სიმრავლისა და ძლიერების გამო იმპერატორები იძულებული იყვნენ, ყოველი დონისიძიება ეხმარათ ქალკედონიტთა და მონოფიზიტთა შესარიგებლად (ზენონის “ჰენოტიკონი“, პერაკლე კეისრის “მონოთელიტობა“).

V-VII სს-ში კავკასიაშიც იგივე პროცესი მიმდინარეობდა, როგორც, საერთოდ, მსოფლიო ეკლესიაში. მონოფიზიტობის მთავარი საყრდენი ამიერკავკასიაში იყო სომხური ეკლესია. მაშასადამე, საქართველოს მონოფიზიტებს სომხური ეკლესია უჭერდა მხარს და აძლიერებდა.

საქართველოში მცხოვრები მონოფიზიტები ეროვნებით ქართველები იყვნენ. სომხური ეკლესიის სიახლოვემ ისინი სომხური ეკლესიის სამწყსოდ აქცია. 726 წელს მანასკერტის კრების შემდეგ საქართველოში უკვე მკვეთრად გაიმიჯნა ერთმანეთისაგან ეს ორი აღმსარებლობა. სომხეთში საბოლოოდ უარყვეს ქალკედონიტობა - მართლმადიდებლობა. ამის გამო ბიზანტიის საზღვრის ახლოს მყოფი ათეულობით სომხურ-ქალკედონური საეპისკოპოსო შეუერთდა სომხურ-მონოფიზიტურს და ტაო-კლარჯეთის ქართველობა მიხვდა, რომ სომხური ეკლესიის წიაღში მათი ყოფნა უკვე ქალკედონიტობის უარყოფას ნიშნავდა, რაც მათთვის მიუღებელი იყო. საქართველოში კიდევ უფრო განმტკიცდა უკვე ეროვნული სარწმუნოება - ქალკედონიტობა. ქვეყანა გაიწმინდა უკვე ერესად მიჩნეულ სომხური აღმსარებლობისაგან. სომხური ეკლესიის წევრი ქართველები დაუბრუნდნენ ქართულ ეკლესიას. ამას ტაო-კლარჯეთში განსაკუთრებულად შეუწყო ხელი ქართველ მეფეთა სამეფო სახლის გადასვლამ მცხეთიდან არტანუჯში და იქ ქართული სახელმწიფოს გაძლიერებამ. არაბთა მიერ დაპყრობილ საქართველოს სხვა კუთხეებში კი ქალკედონიტებს კვლავ უჭრდათ, განსაკუთრებით ჰერეთში (XI ს-მდე).

თავი VII. ქართული ეკლესია XI ს-ში

საქართველოს საპატრიარქოს დაარსების პოლიტიკური საფუძველი XI საუკუნეში

XI ს-ის დამდეგს ბაგრატ III-ის მიერ გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფომ, სუმბატ დავითის ძის ცნობით, მოიცვა “ყოველი კავკასია თვითმპყრობელობით ჯიქეთიდან ვიდრე გურგანამდე“. გაერთიანებული საქართველოს მეფე თავისი სიძლიერის გამო ბიზანტიის იმპერატორებისათვის საშიში გამხდარა: “ბერძენთა მეფეთა შიში აქენდა ამისი ყოვლადმე“. გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს შიგნით აღნიშნული დროისათვის არსებობდა ორი ხსენებული საკათალიკოსო (ქართლისა და აფხაზეთისა), სახელმწიფოს გაერთიანებამ საფუძველი დაუდო საქართველოს საპატრიარქოს წარმოჩენასა და გაძლიერებას (მისი უმთავრესი საეკლესიო ერთეულები ხსენებული საკათალიკოსოები იყვნენ).

საპატრიარქო ეკლესიად რომელიმე ადგილობრივი ეკლესიის გამოცხადება მოითხოვს საერთაშორისო აღიარებას მსოფლიოს საეკლესიო და საერო ხელისუფალთა მიერ. ეკლესიის ისტორიის მკვლევარის ბ. ლომინაძის აზრით, საქართველოს საპატრიარქოს შექმნა “არ იყო უცხო და საპრეტენზიო ბიზანტიის იმპერატორებისა და პატრიარქებისათვის“. იგულისხმება გაერთიანებული ქვეყნის პირველი პატრიარქი მელქისედეკ I და მის დროს საქართველოს ეკლესიისადმი ბიზანტიელი იმპერატორების კარგი დამოკიდებულება. მემატინანეს ცნობით, კონსტანტინოპოლში ქართველი მეფე ჩავიდა სვეტიცხოვლის სამოციქულო ეკლესიის საკითხთა მოსაგვარებლად (საქართველოს ეკლესიას ასევე ეწოდებოდა: “წმიდა მცხეთა“ და “კათოლიკე სამოციქულო ეკლესია სვეტიცხოველი“). ეტყობა, საქმე ეხებოდა არა მხოლოდ საეკლესიო შენობის საკითხს, არამედ მთლიანად ქართულ ეკლესიას. XI ს-ის დამდეგს ბაგრატ III-ისა და მელქისედეკ I-ის მეოხებით ბიზანტიის იმპერიაში დადებითად გადაიჭრა საქართველოს საპატრიარქო ეკლესიის საკითხები (იგულისხმება დრო გიორგი I-ის გამეფებამდე).

ქართული ეკლესიის დევნა 1021-1054 წლებში ბიზანტია-საქართველოს ომის დროს

ბაგრატ III-ის გარდაცვალების შემდეგ ბიზანტიელმა მეფეებმა ომი წამოიწყეს საქართველოს წინააღმდეგ. ომი დაიწყო 1021 წელს და გარკვეული წყვეტილებით გაგრძელდა 1054 წლამდე.

მემატინანეს აზრით, ბიზანტიის იმპერია შეაშფოთა იმან, რომ მის მეზობლად წარმოიქმნა საქართველოს ერთიანი სახელმწიფო, რომელიც თითქმის მთელ კავკასიაზე ახდენდა ზეგავლენას. ომის ძირითადი მიზეზიც ეს იყო. თვითონ იმპერატორი ბასილი II ბულგართმმუსერელი და შემდეგ კონსტანტინე VII უშუალოდ მხედართმთავრობდნენ საქართველოში შემოჭრილ ბიზანტიელთა ლაშქარს.

იმდროინდელი ქართული მოსახლეობის ერთი ნაწილის აზრით, ბასილი II-ის გამარჯვება და ქართველთა ჯარის დამარცხება ღვთის ნება იყო, რამეთუ იმდროინდელი შეხედულებით, ბიზანტიელი იმპერატორები თითქოსდა დედამიწაზე ღვთის ნების აღმასრულებელნი იყვნენ. ალბათ, ამის გამო ბიზანტიელთა მიერ (ამ ომის დროს) დაპყრობილ სამხრეთ საქართველოში მტრის მხარეს გადასულა ქართული მოსახლეობის ერთი ნაწილი, მაგრამ ეს პროცესი არ გადრ-

მაგებულა და ქართველობა მალე გამოფხიზლებულა ქართული ეკლესიისა და ქართველი საეკლესიო მოღვაწეების ძალისხმევით. ქართველი ეპისკოპოსები ხალხს უხსნიდნენ, რომ ბიზანტიელები დამპყრობლები იყვნენ. უფრო მეტიც, ქართული ლაშქრის დამარცხების შემდეგ ბიზანტიელების წინააღმდეგ ომს სამხრეთ საქართველოში სათავეში ჩაუდგნენ ქართველი ეპისკოპოსები, მაგალითად, სება მტბევარი და ეზრა ანჩელი. ტბეთის ეპისკოპოსმა ააგო ციხესიმაგრე, სადაც გამაგრდნენ ბიზანტიელებთან მებრძოლი ეპისკოპოსები. მათ გვერდში ამოუდგნენ “შაგშეთისა აზნაურნი” და მოსახლეობა. მტრის ურიცხვი ლაშქარი შემოადგა ციხესიმაგრეს, მაგრამ ეპისკოპოსები “თავთა თვისთა სიკვილიად განსწირვიდეს და სისხლთა დასთხვედეს სიტყვისებრ მოციქულთასა”.

ეკლესიის მეთაურთა თავდადება და მაგალითმა გამოაფხიზლა ქართველი ერი. ამის გამო მტერმა ვერ შეძლო ქართველთა მეფის დამარცხება. საქართველო არ დაიშალა, პირიქით, გაძლიერდა. ბიზანტიას ახლა გამარჯვება მხოლოდ ქართული ეკლესიის გადაბირებით ან მოსახლეობის თვალში ქართული ეკლესიის ავტორიტეტის შებღალავით შეეძლო.

ბიზანტიელებმა ვერ შეძლეს ქართული ეკლესიის გადაბირება, რის შემდეგ სცადეს სახელი გაეტეხათ მისთვის და იგი მწვალებლურ ეკლესიად გამოაცხადეს, ჭკვი შეიტანეს ქართველთა მართლმადიდებლობაში, დაიწყეს ქართული სასულიერო ცენტრებისა და მოქალაქეების დევნა მთელ ბიზანტიაში. ქართველ ბერებს უმოწყალოდ დევნიდნენ არა მარტო ივერონის მონასტერში, არამედ ანტიოქიასა და სხვაგანაც, საერთოდ იმპერიაში.

ქართველი ბერებისა და მონასტრების მდგომარეობა დამოკიდებული იყო ბიზანტიისა და საქართველოს ურთიერთობაზე. მაგალითად, მათ შორის დადებული დროებითი ზავის დროს, 1028-1032 წლებში, ივერონის მონასტრის დევნა შეწყდა, მაგრამ ომის განახლების შემდეგ ქართველებს ბიზანტიელებმა უკვე მწვალებლობა - ერეტიკოსობა, ანუ არამართლმადიდებლობა დასწამეს და უწყალოდ ავიწროებდნენ, რის შესახებაც 1041-1042 წლებში ივერთა და ათონის წმიდა მთის ქართველ მამებს თვითონვე დაუწერიათ თავიანთ თხზულებაში - “მოსახსენებელი ჟამსა სვიმეონ მამისათა”. მასში აღნიშნულია, რომ ბიზანტიელები ქართველ ბერებს დევნიდნენ არა მხოლოდ მთაწმინდასა და ივერონის მონასტერში, არამედ მთელს ბიზანტიის იმპერიაში.

ქართული ეკლესია უძველესი დროიდანვე მართლმადიდებლურია, ქართველთა მართლმადიდებლობაზე წერდნენ პროკოფი კესარიელი VI ს-ში და სხვები. ამიტომაც არამართლმადიდებლებად ქართველთა გამოცხადება არც თუ ადვილი იყო, მაგრამ ბიზანტიელებმა საბაბად გამოიყენეს ზემოთ აღნიშნული ურთიერთობა, რომელიც თავის დროზე არსებობდა სამხრეთ საქართველოში ქართველ მრევლზე სომხური ეკლესიის ბატონობის დროს. ქართველებს მწვალებლობა დასწამეს. აღსანიშნავია, რომ თვით იმდროინდელ ქართველ მამათა აზრით, ამ ურთიერთობის შემდეგ დათესილა ჩვენში სომხური, ანუ მწვალებლური “დვარძლი”: “დალიცა თუ პირველთაგანვე გეჰქონდეს წერილნიცა და სარწმუნოება ჭეშმარიტი და მართალი, გარნა ქვეყანა ჩვენი შორს იყო ქვეყნისაგან საბერძნეთისა და ვითარცა თესლნი არა წმინდანი შორის ჩვენისა დათესულ იყვნეს ბოროტის - იგი თესლნი სომეხთანი, გულარძინი და მანქანანი და ამის მიერ ფრიად გვევნებოდა, რამეთუ ნათესავი ჩვენი წრფელი იყო და უმანკო, ხოლო იგინი რეცა მიზეზითა წესიერებისათა, რეცა ცთუნებად გვაზმნობდეს და რომელნიმე წიგნიცა გვაქენდის მათგან თარგმნილნი”, - წერს გიორგი მცირე. მისი აზრით, რომელიც უთუოდ იმდროინდელ საეკლესიო თვალსაზრისს გამოხატავს, ქართულ ეკლესიას საჭიროდ მიუჩნევია სომხურ ეკლესიასთან ურთიერთობის შედგად შერყვნილი სასულიერო წიგნების ხელახლა თარგმნა-რედაქტირება და დაახლოება ბერძნულ დედნებთან. ეს იმხრიავე იყო საჭირო, რომ ბიზანტიურ მხარეს აღარ მისცემოდა საბაბი ქართველთა სარწმუნოებაში ეჭვის შეტანისა და მათი არამართლმადიდებლებად გამოცხადებისა.

ბიზანტიელთა დაეჭვებას იწვევდა აგრეთვე ქართული ეკლესიის ეროვნული ქრისტიანული კულტურა. ვერ ეუუებოდნენ, რომ გეჰქონდა ბიზანტიური ეკლესიისათვის იმ დროისათვის უცნობი, წმინდა ქართული დღესასწაულები არა მხოლოდ ეროვნული წმიდანებისა, არამედ მსოფლიო ეკლესიის წმიდანებისა (მაგ., წმიდა გიორგისა, წმინდა ჯვრისა, სატფურება იერუსალიმის ტაძრისა და სხვა), საკუთარი ქართული წესი და განკება სახარების საკითხავებისა - ბერძნულისაგან განსხვავებული, ქართული საეკლესიო წელთაღრიცხვა, ქართული ლიტურგიკული წესები (საკუთრივ ქართული ოქტიოხოსი, იადგარი, მარხვანი და ზადიკი).

ყოველივე ზემოთქმული ბიზანტიელებმა საბაბად გამოიყენეს, რომ ქართული ეკლესიის დევნა გაემძაფრებინათ. ეს დევნა ზავის დადებადვე გაგრძელდა.

ქართული ეკლესიის უფლებათა (საპატრიარქო ღირსებისა და სხვ.) აღიარება 1054-1057 წლებში

XI ს-ის 50-იან წლებში ბიზანტიის იმპერიამ მკვეთრად შეცვალა თავისი დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოსადმი, რაც გამოიწვია თურქული ტომების გამოჩენის შედეგად საერთაშორისო ვითარების შეცვლამ. თურქულმა ტომებმა ამ დროისათვის დაიპყრეს ირანი, სომხეთის დიდი ნაწილი. 1074 წლის ხელშეკრულებით ბიზანტიელებმა თურქსელჯუეებს დაუთმეს

ადმოსავლეთის ქვეყნების უდიდესი ნაწილი. ამიტომაც უკვე XI ს-ის შუა წლებში ბიზანტიისათვის უკვე სასურველი იყო არა საქართველოს დანაწევრება, არამედ გაძლიერება და განმტკიცება, რათა ჩვენს ქვეყანას ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მისთვის მტერი მოეგერიებინა. ამის გამო დახმარება შეუწყვიტეს ერისთავ ლიპარიტს (რომელიც 10 წელზე მეტხანს ებრძოდა საქართველოს მეფეს), რამაც მისი ბედი გადაწყვიტა. 1045 წელს საქართველოს ანისი, ხოლო 1046 წელს დროებით თბილისიც შეუერთდა. საქართველოს მეფემ ბაგრატ IV-მ გადაწყვიტა, ბიზანტიასთან შესარიგებლად და მოსალაპარაკებლად თვითვე ჩასულიყო კონსტანტინოპოლში. 1045 წელს მას თან ახლდა დედამისი მარიამი - სახელოვანი დიპლომატი. ბაგრატ IV-მ სამი წელი დაჰყო იქ “დიდსა დიდებისა და პატივსა შინა“. 1054-1057 წლებში მოლაპარაკება მიმდინარეობდა სამშვიდობო ზავისათვის და 1021 წელს დაწვებული ომი ბიზანტია-საქართველოს შორის დასრულდა შერიგებით, რაც შემდგომ აღარასოდეს დარღვეულა საუკუნეთა მანძილზე.

როგორც გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებიდან ჩანს, გიორგი მთაწმინდელი კონსტანტინოპოლში ქართველ მეფესთან და დედოფალთან ჩასულა და იქ ივერონის მონასტრის საქმეებიც მოუგვარებია. ქართული ეკლესიის საქმეების დადებითად გადაჭრა მნიშვნელოვანი რამ იყო და მიუთითებდა იმას, რომ მოლაპარაკებები მანამდე გადაუჭრელ საეკლესიო საკითხებსაც შეეხებოდა. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ კონსტანტინოპოლიდან გიორგი მთაწმინდელი მარიამ დედოფალთან ერთად ანტიოქიაში გაემგზავრა, სადაც ისინი შეხვდნენ ანტიოქიის პატრიარქს. შემდგომ გიორგი მთაწმინდელი იერუსალიმსაც ეწვია.

აღსანიშნავია, რომ ქართველი მეფის დედისა (მარიამ დედოფლისა) და გიორგი მთაწმინდელის ანტიოქია-იერუსალიმში მგზავრობაზე თვით ბიზანტიის იმპერატორი ზრუნავდა.

ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III-ს დედოფალმა მარიამმა იმპერატორის საგანგებო მითითება აუწყა: მას “აქვნდა ბრძანება სამეფო თავადისა თანა და პატრიარქსა ანტიოქიისა“. თუ გავითვალისწინებთ ქართული ეკლესიის დევნას ამ ვიზიტის წინა წლებში, აგრეთვე გიორგი მთაწმინდელის ცნობილ საუბრებსა და კამათს ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III-სთან, უნდა ვიფიქროთ, რომ მოლაპარაკება ქართული ეკლესიის ვითარებას შეეხებოდა.

მკვლევარ კოროლევსკის აზრით, პეტრე III-ის დროს ქართული ეკლესიის უფლებათა განსაზღვრა საჭირო გახდა იმიტომ, რომ “საქართველოს ერთ-ერთმა კათალიკოსმა თვითნებურად მიიკუთვნა პატრიარქის პატივი“. მოლაპარაკება საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ღირსების აღიარებას შეეხებოდა. ცნობილი ბერძენი კანონისტის - ბალსამონის თვალსაზრისით, პეტრეს დროს გადაწყდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. რაც “ანტიოქიის პატრიარქად იყო უფალი პეტრე, გამოტანილი იქნა კრების დადგენილება, რომ იქნეს თავისუფალი და ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა, რომელიც მაშინ ექვემდებარებოდა ანტიოქიის პატრიარქს“.

კანონისტ პროფესორ ტროიცკის შრომებზე დაყრდნობით გამოგვაქვს დასკვნა, რომ პეტრე III-ს დროს კი არ მიუნიჭებიათ ავტოკეფალია ქართული ეკლესიისათვის (რამეთუ იგი, გიორგი მთაწმინდელის ცნობით, მოციქულთა დროიდანვე ავტოკეფალური იყო), არამედ ანტიოქიის საპატრიარქოს კრებამ აღიარა საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ეკლესიად გამოცხადების უფლება. გიორგი მთაწმინდელმა პეტრე III-ის გარდაცვალების შემდეგ 1057 წ. მოლაპარაკება გამართა ახალ პატრიარქ თეოდორესთან და თეოდორე დარწმუნდა ქართველთა მართლმადიდებლობაში (მას შეაგონეს, თითქოსდა ქართველთა ერთი ნაწილი “სომხურ სარწმუნოებას“ აღიარებდა). თეოდორემ საეკლესიო კანონების შესაბამისად დასაჯა ცილისმწამებლები. ამის შემდეგ ქართული ეკლესიის დევნა ბიზანტიის იმპერიაში შეწყდა. ამიტომაც 1054-1057 წლებში ბიზანტია-საქართველოს მოლაპარაკებანი ქართულ ეკლესიასაც შეეხებოდა და მისი საკითხების მოგვარებას ისახავდა მიზნად.

#### საქართველოს საპატრიარქოს სტრუქტურა და იურისდიქციის საზღვრები

საისტორიო წყაროებიდან ჩანს, რომ საქართველოს საპატრიარქოში მისი დაარსების შემდგომ შედიოდა რამდენიმე საეკლესიო ერთეული (აფხაზეთის საკათალიკოსო, ქართლის საკათალიკოსო, სომხეთის სამიტროპოლიტო, ხუნძეთის საკათალიკოსო) და საქართველოს პატრიარქი იყო მათი გამაერთიანებელი უმაღლესი საეკლესიო ხელისუფალი. თავის მხრივ, საკათალიკოსოში შედიოდნენ საეპისკოპოსოები, რომელნიც უშუალოდ ემორჩილებოდნენ ადგილობრივ კათალიკოსებს.

მრავალი ქართული წყაროს ურთიერთშეჯერებით დგინდება, რომ საქართველოს ეკლესიის მეთაურის სრული ტიტული ასეთი იყო: “ყოვლისა საქართველოსა პატრიარქი, ქართლისა კათალიკოსი“. ასევე სხვადასხვა წყაროს ურთიერთშეჯერებით დადგენილია, რომ საქართველოს ეკლესიის მეთაური აერთიანებდა ორ ტახტს. იგი იყო არა მხოლოდ სრულიად საქართველოს პატრიარქი, არამედ ქართლის საკათალიკოსოს მეთაურიც (ამ დროს ქართლის საკათალიკოსო მოიცავდა აღმოსავლეთ საქართველოს. დასავლეთი საქართველო შედიოდა აფხაზეთის საკათალიკოსოში). აფხაზეთის კათალიკოსს ეწოდებოდა “უმრწემესი“, ხოლო ქართლის კათალიკოსს (რომელიც იმავე დროს საქართველოს პატრიარქი იყო) “უხუცესი“, ზოგჯერ კი “მამა“.

საქართველოს საპატრიარქოს დაარსების იდეოლოგიური საფუძველი გახლდათ წმ. მამების მტკიცებანი იმის შესახებ, რომ ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს მოწაფეებმა (მოციქულებმა) ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და სხვებმა მოაქციეს არა მხოლოდ დასავლეთი, ანდა სამხრეთი საქართველო ქრისტეს სარწმუნოებაზე, არამედ სრულიად საქართველო. შესაბამისად სრულიად საქართველოს პატრიარქი იჯდა ანდრია პირველწოდებულის ტახტზე და მისი სულიერი მემკვიდრე ბრძანდებოდა. საქართველოს ეწოდებოდა “ნაწილი იგი ანდრია მოციქულისა და სიმონ კანანელისა“, ის იყო ერთი ერი, ერთი ქვეყანა, ერთი სახელმწიფო და ჰქონდა ერთი საპატრიარქო.

საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციის საზღვრები ემთხვეოდა საქართველოს სამეფოს საზღვრებს. ვინაიდან საქართველოს საზღვრები ნელ-ნელა ფართოვდებოდა, საქართველოს ეკლესიის საზღვრებიც იზრდებოდა მის შესაბამისად. ზოგჯერ კი (უმეტეს შემთხვევაში) საპატრიარქო თავის იურისდიქციის ქვეშ იქცეოდა მთელ ჩრდილოეთ კავკასიას იმდროინდელი რუსეთის საზღვრამდე. მაგალითად, ბიჭვინთის იადგარის მიხედვით XVI ს-ის დამდეგს აფხაზეთის საკათალიკოსოს ჩრდილოეთ საზღვრად დასახელებულია “რუსეთის საზღვარი“, ხოლო ჩრდილოდასავლეთის საზღვრად - პუნქტი კაფა, რომელიც მდებარეობდა ხერსონესის ახლოს, ყირიმში.

საქართველოს საპატრიარქოს ჩრდილოეთის საზღვარი, “ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მოიცავდა ოსეთსა და ჩერქეზეთს “პონტოს ზღვიდან დარუბანდის ზღვამდე“. XVIII ს-ში კი აფხაზეთის საკათალიკოსოს თავის საწმყოსდ მიანდა პონტოს ზღვის ჩრდილოეთით მდებარე მიწები - “პონტო ჩრდილოეთი“.

XI ს-ში საქართველოს საპატრიარქოში შედიოდა ჩეჩნეთი, ოსეთი და ინგუშეთი და მთლიანი დაღესტანი. ამას ადასტურებს როგორც იქ მდებარე ქართული ნაშთების წარწერები, ასევე საისტორიო წყაროები. აქ, ამ კუთხეებში, გავრცელებული იყო ქართული დამწერლობა და ქართული დვთისმსახურება. წერილობითი წყაროებით ცნობილია რამდენიმე ეპარქია: ხუნძახისა, ანწუხისა და წახურისა (ამაზე მიუთითებს 1310 წელი მაღალაშვილისეული სახარების მინაწერი), ხოლო სინას მთის ქართული მონასტრის XV ს-ის სააღაპე წიგნში მოხსენიებულია ხუნძელი კათალიკოსი ოქროპირი, რომელსაც კორნელი კეკელიძე მიტროპოლიტთან აიგივებდა.

საქართველოს საპატრიარქოს აღმოსავლეთ საზღვარში, “ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მოქცეული იყო “შაქი, შინვანი და მიდგმით - წარმოვლით მთისა ადგილნი“.

1310 წლის წერილობითი ცნობით საქართველოს პატრიარქმა ექვთიმემ მოიხილა თავისი სამწესო კაკელისენში, ბელაქანში, ფიფინეთსა და მოგაკანში. “მოგაკანი“ ერქვა თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიას ქ. შირვანამდე ეს არის ის მიწა-წყალი, რომელიც ძველთაგანვე შედიოდა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში. ამის შესახებ მოსე ხორენელი წერს: წმინდა ნინომ იქადაგა “მასქუთების“ ქვეყნამდე, ანუ კასპის ზღვის პირამდე (შემდგომ ეს ქვეყნები შევიდნენ ალბანეთის ეკლესიის იურისდიქციაში). საქართველოს საპატრიარქოს შექმნის შემდეგ ეს ტერიტორიები ამ საპატრიარქოში დაბრუნდნენ.

საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციის სამხრეთი საზღვარი გადიოდა მდინარე არაქსსა და ეფვრატზე. ჯერ კიდევ კონსტანტინე პორფიროგენეტი, იმპერატორი ბიზანტიისა, წერდა: არაქსის მარცხენა მხარე იბერიელებითაა დასახლებულიო. საერთოდ, მდინარეების არაქსისა და ეფვრატის სათავეების ჩრდილოეთით მოქცეული ქვეყნები ქართველთა ისტორიული საცხოვრისი იყო და იქ მკვიდრობდნენ ქართველი ტომები. მართალია, შემდგომ საუკუნეებში ამ მხარეებმა პოლიტიკურ ვითარებათა გამო არმენიზაცია განიცადეს და მკვიდრი ქართული მოსახლეობა თითქმის VIII ს-მდე სომხური ეკლესიის ზეწოლას განიცდიდა, მაგრამ ტაო-კლარჯეთის “ქართველთა სამეფოს“ წარმოქმნის შემდგომ ეთნიკური წარმომავლობით მკვიდრი ქართული მოსახლეობა კვლავ დაუბრუნდა ქართულ ეკლესიას. ზემოთ აღნიშნულ მიზეზთა გამო სომხეთის ქვეყანაში ცხოვრობდა მრავალი მართლმადიდებელი, ეთნიკური წარმომავლობით ქართველი და ამ ქართველი მრევლისათვის შექმნილი იყო ვალაშკერტის, ყარსის, ანისის, არზრუმის და სხვა საეპისკოპოსოები. თვით XVII ს-შიც კი არზრუმში ქართველი ეპისკოპოსი იჯდა.

ქართულ ეკლესიაში მიღებული თვალსაზრისი საქართველოს საპატრიარქოს დაარსების კანონიკური უფლებების შესახებ

ქართულ ეკლესიას მიანდა, რომ საპატრიარქო ეკლესიად წოდების უფლება ჩვენს ეკლესიას მიენიჭა 681 წელს მოწვეული VI მსოფლიო კრების დადგენილებით. ცნობას ამის შესახებ გვაწვდის არა მხოლოდ “ქართლის ცხოვრება“, არამედ ე.წ. “მარტვილური ხელნაწერი“. “მარტვილური ხელნაწერი“ თავის წყაროდ ასახელებს “კონსტანტინოპოლის ტახტიკონს“. VII ს-ში დაარსებული საქართველოს საპატრიარქო დაახლოებით 720 წლისათვის დაყოფილა ორად - აფხაზეთისა და ქართლის საკათალიკოსოდ. XI ს-ში საქართველოს გაერთიანების კვალდაკვალ ეს ორი საკათალიკოსო ერთ საპატრიარქოდ გაერთიანდა.

## 1. დიპტიქის შესახებ

დიპტიკი არის რიგითობა, რომლითაც დაცული უნდა იყოს მსოფლიოს ეკლესიათა მეთაურების მოხსენება ღვთისმსახურების დროს. მოციქულთა 34-ე კანონით დიპტიკი არ არსებობდა პირველ საუკუნეებში და ჩამოყალიბდა ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გადაქცევის შემდეგ. თავიდან დიპტიკი ჰქონდათ მხოლოდ რომის იმპერიის აღმოსავლეთ ეკლესიებს. დიპტიკი საჭირო გახდა აღმოსავლეთ რომის იმპერიაში თავისთავად ეკლესიათა სიჭარბის გამო, აქ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს გვერდით არსებობდა სხვადასხვა საპატრიარქო და ეკლესია. ამასთანავე ამ ადგილობრივ ეკლესიათა მეთაურებს სახელმწიფოში ეჭირათ დიდი თანამდებობები, ამიტომაც საჭირო იყო, მტკიცედ განსაზღვრულიყო პატივის ხარისხი ეკლესიის მღვდელმთავართა შორის.

ბიზანტიის იმპერიის გაქრობის შემდეგ მსოფლიოში წარმოიქმნა მრავალი ახალი მართლმადიდებელი ეკლესია. დიპტიკში ამ ეკლესიათა მოხსენება ამჟამად განიხილება, როგორც საკითხი მათი ღირსებისა და პატივისა. ამიტომ დიპტიკში ეკლესიათა სათანადო ადგილს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამაზე მეტყველებს ის, რომ დიპტიკის საკითხი მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის ჯერაც არ არის საბოლოოდ გადაჭრილი. მაგალითად, რუსული ეკლესია და სლავურენოვანი მართლმადიდებლური ეკლესიების უმრავლესობა აღიარებს ერთი სახის დიპტიკს, ხოლო კონსტანტინოპოლისა და სხვა საპატრიარქოები სხვა სახისას. აქ იგულისხმება დიპტიკის რიგში ეკლესიათა სხვადასხვაგვარი ნუმერაცია. მაგალითად, ქართული ეკლესია მიიჩნევს, რომ საქართველოს საპატრიარქოს მართლმადიდებლურ დიპტიკში უნდა ეჭიროს მეექვსე ადგილი. რუსეთის ეკლესიაში გასული საუკუნის ორმოციანი წლებიდან მიღებულია დიპტიკი, რომელშიც საქართველოს საპატრიარქოს მსოფლიო ეკლესიათა შორის უჭირავს მეექვსე ადგილი, მაგრამ ასეთი სახის დიპტიკი მიუღებელია ზოგიერთი სხვა ეკლესიისათვის და მიანჩიათ, რომ ქართულ ეკლესიას დიპტიკში ადგილი უნდა ეჭიროს ბულგარეთის საპატრიარქოს შემდგომ, ე.ი. მეცხრე ადგილი. არსებობს სხვა მოსაზრებანიც.

შექმნილი ვითარების გამო გადაწყდა, დიპტიკის საკითხი განეხილა მომავალ მსოფლიო საეკლესიო კრებას. უკვე განსაზღვრულია კრების განსახილველი საკითხები (სულ განიხილება ათი თემა), მათ შორისაა დიპტიკის საკითხი. ამ საკითხის გარკვევას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

## 2. საქართველოს საპატრიარქოს ადგილი მართლმადიდებლურ დიპტიკში

XI ს-ის შემდეგ საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციის საზღვრები თანდათანობით იზრდებოდა სახელმწიფოს საზღვრების გაფართოებასთან ერთად, რამაც ქართული ეკლესიის მიმართ მტრულად განაწყო ბიზანტიის ეკლესია, კერძოდ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო. ჯერ ტაო-კლარჯეთის მეფეებმა, შემდეგ კი საქართველოს სახელმწიფომ, პრეტენზიები განაცხადეს არაქსისა და ეფრატის ზემო ნაწილში მდებარე მიწებზე (ვანის ტბამდე), რომლებზედაც უძველესი დროიდანვე ცხოვრობდა არმენიზებული ქართული მოსახლეობა

XI ს-ის შუა წლებში მოგვარდა სადავო საკითხები ორ ეკლესიას შორის და კიდევ განისაზღვრა ქართული ეკლესიის ადგილი მართლმადიდებლურ დიპტიკში. ამაზე მიუთითებს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის XIII ს-ის სიგელი, რომელშიც იგი თავის თავს მოიხსენიებს მსოფლიოს მეხუთე პატრიარქის შემდეგ მეექვსე ადგილზე: “შემდგომად ხუთთა პატრიარქთა სვეტიცხოვლის მეექვსისა პატრიარქისა და ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზი ნიკოლოზი ვამტკიცებ“. მსოფლიოს ხუთი პატრიარქის შემდეგ რომ აყენებდა ქართული ეკლესიის მეთაური თავის თავს (უკვე XI საუკუნიდან), ჩანს ჩვენამდე მოღწეულ საბუთებიდან. კერძოდ, ბაგრატ IV-ის შემოწირულების სიგელს 1057 წელს პატრიარქი ამტკიცებდა ფორმულით, რომ ამ სიგელის დამრღვენი “კრულმცა არიან ხუთთა პატრიარქთა ჯვართა და ჩემ გლახაკითა ჯვართა“. ასევეა 1245-1250, 1259 წლების საბუთებშიც, ე.ი. მეთაურები ქართული ეკლესიისა თავიანთ თავს ხუთი პატრიარქის შემდეგ მოიხსენიებდნენ. ქართული დიპტიკი შედგენილი, II მსოფლიო კრების მესამე, ქალკედონის 28-ე და ტრულის 36-ე კანონების გათვალისწინებით, ასეთი იყო:

1. რომის საყდარი
2. კონსტანტინოპოლის საყდარი
3. ალექსანდრიის საყდარი
4. ანტიოქიის საყდარი
5. იერუსალიმის საყდარი
6. მცხეთის (სვეტიცხოვლის) საყდარი

ეს დიპტიკი და მასში რომის საყდრის, ანუ რომის პირველიერარქის კათედრის მოხსენება მიუთითებს იმაზე, რომ ქართული დიპტიკი შედგენილია 1054 წლამდე, ანუ მსოფლიო ეკლესიის ორად გაყოფამდე. როგორც ცნობილია, მსოფლიო ეკლესიის გაყოფის შემდეგ მართლმადიდებლური დიპტიკიდან ამოღებული იქნა რომის პაპის მოხსენიება, მანამდე კი, ზემოაღნიშნულ კრებათა დადგენილებით, “მეველი რომის ეკლესიის მეთაურს“ დიპტიკში პირველი ადგილი განეკუთვნებოდა, რაც ასახული იყო ქართულ დიპტიკში გარკვეულ დრომდე. ქართული ეკლესიის

მეექვსე ადგილი აღიარეს მსოფლიო ეკლესიებმა, რაზეც მიუთითებს ფერარა-ფლორენციის კრებაზე მისი VI ადგილი.

### 3. ქართული ეკლესიის VI ადგილი ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე

ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, საქართველოს პატრიარქს დიპტიქში ეჭირა VI ადგილი მსოფლიოს სხვა ეკლესიის მეთაურთა შორის, მაგრამ ცნობდნენ თუ არა უცხო ქვეყნებში ქართული ეკლესიის ამ ადგილს? როგორც ფერარა-ფლორენციაში ჩატარებული ე.წ. “მსოფლიო” საეკლესიო კრების მასალები მიუთითებს, დიპტიქში ქართული ეკლესიის აღნიშნული ადგილი აღიარებული იყო სხვა საპატრიარქოთა და ეკლესიათა მიერაც.

მართლმადიდებლობა აღიარებს მხოლოდ შვიდ საეკლესიო კრებას, მაგრამ კათოლიკურ და, საერთოდ, დასავლურ საეკლესიო სამყაროში საუკუნეთა მანძილზე ტარდებოდა კრებები, რომელთაც უწოდებდნენ “მსოფლიო საეკლესიო კრებებს”. ერთი ასეთი ფსევდო “მსოფლიო საეკლესიო კრება” თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღების წინ იქნა მოწვეული იტალიაში. კრება მუშაობდა ფერარასა და ფლორენციაში 1438-45 წლებში. კრებას ესწრებოდნენ არა მხოლოდ კათოლიკური ქვეყნების წარმომადგენლები, არამედ მთელი მართლმადიდებლური მსოფლიოს დელეგატები, მათ შორის კონსტანტინოპოლისა და ყველა ბერძნული საპატრიარქოს, რუსეთის, საქართველოსა და სხვა ეკლესიების დელეგატებიც. კრების აქტებს ხელი მოაწერეს ყველაზე მნიშვნელოვანი ეკლესიების წარგზავნილებმა, მათ შორის კონსტანტინოპოლის დელეგატებმაც.

კონსტანტინოპოლის აღების წინა პერიოდში, მას შემდეგ, რაც თურქებმა დაიპყრეს სერბია (1389), ბულგარეთი (1393) და 1430 წელს სულთანმა მურად II-მ თესალონიკიც დაიკავა, ბიზანტიის იმპერია მხოლოდ კონსტანტინოპოლს მოიცავდა. იმპერიის დღეები დათვლილი იყო. ბიზანტიის იმპერატორები რომის ეკლესიისაგან ელოდნენ დახმარებას, მაგრამ კათოლიკები მოითხოვდნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიათა გაერთიანებას. ბიზანტიის იმპერატორები ამაზე დათანხმდნენ. იმპერატორებმა მანუელ II-მ და იოანე VIII-მ რომის პაპს შესთავაზეს კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიები შეერთებულიყო. მოწვეული იქნა საგანგებო, “საეკლესიო” კრება. გადაწყდა კრება ყოფილიყო წარმომადგენლობითი, ანუ მასში მონაწილეობა მიეღო ყველა მართლმადიდებლური ქვეყნისა და ეკლესიის წარმომადგენლებს. ბიზანტიის იმპერატორის მიწვევით საქართველოს მეფემ კრებაზე ორი ეპისკოპოსი და საერო პირები გაგზავნა.

1437-1439 წლების ფერარა-ფლორენციის კრების აქტები მოღწეულია ორი რედაქციის სახით. ერთია კათოლიკური, მეორე კი - პროლათინურად განწყობილი ბერძენთა დელეგაციისა. არსებობს აგრეთვე კონსტანტინოპოლის პატრიარქის თანხლები დიდი ეკლესიარხის - სიროპულოსის მემუარები, რომლებშიც ასახულია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს თვალსაზრისი. სიროპულოსი თავის შრომაში ქართულ ეკლესიას უწოდებს “საპატრიარქოს”, მის მეთაურს კი “პატრიარქს” (ამ მაღალ წოდებას, ცხადია, შემთხვევით არ მიაკუთვნებდნენ ჩვენი ეკლესიის მეთაურს). ქართული ეკლესია კრებაზე მონაწილეობდა, ვითარცა საპატრიარქო ეკლესია. ამიტომაც ჩვენი ეკლესიის წარმომადგენელს კრების მართლმადიდებელ მღვდელმთავართა რიგში ეჭირა მეხუთე ადგილი, საერთოდ კი - VI ადგილი, თუ ამ რიგში არ გამოვრიცხავთ რომის პაპს.

კრებაზე მონაწილენი ორად იყვნენ გაყოფილნი: ერთ მხარეს ისხდნენ ლათინი მღვდელმთავრები, მეორე მხარეს - მართლმადიდებლები. მართლმადიდებელთა მხარეს გამოცალკევებული იყო ხუთი სავარძელი. პირველად იდგა კონსტანტინოპოლის პატრიარქისა, შემდეგ განლაგებულნი იყვნენ ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის საპატრიარქოთა და იბერიის მეფის წარმომადგენელი მიტროპოლიტის სავარძლები, შემდეგ სკამებზე ისხდნენ ტრაპიზონის, რიზეს, ნიკეისა და სხვა ეკლესიათა წარმომადგენლები, დიპტიქის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ კრებამ განსაკუთრებული დადგენილებაც კი მიიღო დიპტიქის შესახებ.

ფერარა-ფლორენციის კრებაზე ქართული ეკლესიის ადგილი იერუსალიმის საპატრიარქოს შემდეგ მიუთითებს იმაზე, რომ ქართული ეკლესიის ამ ადგილს აღიარებდნენ არა მხოლოდ კონსტანტინოპოლისა და სხვა საპატრიარქოები, არამედ ყველა წარმოდგენილი მართლმადიდებელი ეკლესია, აგრეთვე რომის ეკლესიაც.

აღსანიშნავია, რომ კრების გადაწყვეტილებას ეკლესიათა შეერთების შესახებ ყველა მართლმადიდებელმა ეკლესიამ (მათ შორის კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ) მოაწერა ხელი ქართული ეკლესიის დელეგატების გარდა. რომის პაპმა საგანგებოდ მიიწვია სათათბიროდ იბერიის ელჩი, მაგრამ ხელმოწერაზე ვერ დაითანხმა. ქართულმა დელეგაციამ უარყო უნიის მიღება, რამაც გაანაწყენა პროლათინურად განწყობილი ბერძნული დელეგაცია. ამიტომ ბერძნების აქტებში ქართული ეკლესიის როლი დაკნინებულია, სამაგიეროდ ე.წ. “აკტა ლათინა” სინამდვილით გადმოგვცემს დიპტიქში ქართული ეკლესიის ადგილს.

### 4. ქართული ეკლესიის შინაგანი დიპტიქი

ლიბტიქს ძველქართულად ეწოდებოდა “სამღვდელოთა დასთა წყობილება“ ან “წესდება და გარიგება“, ზოგჯერ კი მას “ზევით და ქვევით დგომის წესი“ ერქვა. ამის შესაბამისად, ეპისკოპოსები დარბაზობისა თუ წირვა-ლოცვის დროს ისხდნენ საეპისკოპოსოთა ღირსების მიხედვით. ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს არსებობის დროს ქართლის საკათალიკოსოში არსებობდა შემდეგი სახის ლიბტიქი: “ეფისკოპოზნი ამ წესით დასხდნენ 1. ბრძანოს ქართლის კათალიკოზ-მან და დაჯდეს მარჯვენით მეფისა. 2. შემოვიდეს ჭყონდიდელი და დაჯდეს მარცხენით მეფისა, 3. შემოვიდეს დიდისა სომხეთისა მიტროპოლიტი და დაჯდეს კათალიკოზისა ქვემოთ, 4. შემოვიდეს ეპისკოპოზი და დაჯდეს მიტროპოლიტის ქვემოთ, 5. შემოვიდეს მაწვევერელი და დაჯდეს მიტროპოლიტისა ქვემოთ, 6. შემოვიდეს აბა ალავერდელი და დაჯდეს ჭყონდიდელის ქვემოთ და ა.შ.“ ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს არსებობის დროს აფხაზეთის საკათალიკოსოში შემდეგი სახის ლიბტიქი არსებობდა: 1. აფხაზეთის კათალიკოსი, 2. ჭყონდიდელი, 3. ქუთათელი, 4. ბედიელი, 5. ციხე-გოჯელი და ა.შ.

ჭყონდიდელი ეპისკოპოსი როგორც ქართლის, ასევე აფხაზეთის საკათალიკოსოთა, დარბაზობა-შეკრებებში მონაწილეობდა და იგი მეფის მარცხნივ ჯდებოდა. ორივე საკათალიკოსოს კათალიკოსთა შეკრების დროს მეფის მარჯვნივ ქართლის, ხოლო მარცხნივ აფხაზეთის კათალიკოსები სხდებოდნენ. მათ წინ (და არა უკან) ეპისკოპოსები უკვე ადღეენილი წესით სხდებოდნენ, ეპისკოპოსთა წინ კი სამღვდელო დასი შესაბამისი წესის მიხედვით განლაგდებოდა: “მოდგნენ ყოველთა მონასტერთა მოძღვარნი და წინამძღვარნი და მათითა წესითა წინამოსხდნენ ეპისკოპოსთა“.

ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოში ლიბტიქი ასეთი სახისა იყო - 1. კათალიკოს-პატრიარქი, 2. აბა-ალავერდელი, 3. ქიზიყელი, 4. თბილელი, 5. ნინოწმინდელი, 6. მანგლელი, 7. რუსთაველი და ა.შ.

#### დიდი მთარგმნელები

ენათმეცნიერი კ. დანელია თავის წიგნში “ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები“ მიუთითებს, რომ მრავალი ქართველი თუ უცხოელი მეკლევარის თვალსაზრისით ბიბლიური წიგნების ზოგიერთი ძველი ქართული თარგმანი შესწორებულია სომხური რედაქციების მიხედვით, და არმენიზმები XI საუკუნემდე თარგმანებში განეკუთვნებიან უძველეს ტექსტობრივ ფენებს. ქართულ თარგმანებში არმენიზმების არსებობის შესახებ მიუთითებდა გიორგი მცირეც.

კ. დანელია გიორგი მცირის ცნობის კრიტიკული განხილვის შედეგად ასკვნის: 1. “ქართველებს ქრისტიანობის მიღებისთანავე ჰქონიათ ძველ მთარგმნელთა მიერ გადმოღებული ბიბლიური წიგნები, 2. შემდგომ, რადგან საბერძნეთი ტერიტორიულად შორის იყო საქართველოსაგან, სომხებს ქართველებისათვის “მიზეზთა წესიერებისათა“, ე.ი. თარგმნის სისწორის დაცვის მოტივით შეუთავაზებიათ ბიბლიური წიგნების სომხური თარგმანით სარგებლობა, 3. ამის შედეგად ქართულ ენაზე სომხურიდან გადმოუღიათ ზოგიერთი ბიბლიური წიგნი“. ეს, მეკლევარის აზრით, მომხდარა VI-VII საუკუნეებში, ე.ი. IV-V საუკუნეებში არსებული ტექსტები “პირველთაგან წმიდად და კეთილად თარგმნილნი“ შეუჯერებიათ VI-VII საუკუნეებში სომხურ თარგმანებთან და მათ მიხედვით ურედაქტირებიათ ისინი, ე.ი. არმენიზმების არსებობა

ქართულ წმიდა წერილში მითითებული გიორგი მცირეს მიერ დადასტურდა მეცნიერული კვლევებითაც. ქართულ წმიდა წერილში არმენიზმების არსებობის ფაქტი შეუმჩნეველი არ დარჩენილა XI საუკუნეშივე ბერძნული ეკლესიის მიერ და სწორედ ბერძენ საეკლესიო პირთა მკაცრად გამოთქმული შენიშვნების გამო ქართველმა წმიდა მამებმა (ექვთიმე, გიორგი მთაწმიდელმა და სხვებმა) დიდად იღვაწეს და ქართული ტექსტები გაასწორეს ბერძნული დენების მიხედვით XI ს-ის I ნახევარში. კ. დანელიას შეხედულებით გიორგი მთაწმინდელი არის არა მთარგმნელი, ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით, არამედ რედაქტორი: “გიორგი რომ ბიბლიურ წიგნებს ხელახლა არ თარგმნის, ეს ფაქტია, რომელსაც მხოლოდ დანახვა უნდა და არა მტკიცება... გიორგის რედაქციული კალამი არსებითად შეეხო ძველი რედაქციის არა გრამატიკულ, არამედ შინაარსობრივ-სტილისტურ მხარეს“. ასევე ევროპე მცირემ ახალი რედაქციები კიდევ უფრო დაუახლოვა ბერძნულ წყაროს სტილის თვალსაზრისითაც კი. “მაგრამ ეს ხდება ქართული ენის ბუნების საწინააღმდეგოდ“.

XI ს-ის I ნახევარში სამჯერ მოახდინეს ქართული წმიდა წერილის რედაქტირება ბერძნულის შესაბამისად, რაც გამოწვეული ყოფილა “არა წმიდა ლიტერატურული ინტერესებით, არამედ მწვავე პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი გარემოებით“. საქმე ის იყო, რომ საქართველოს სახელმწიფოს გაერთიანების შემდეგ დაწყებულმა ომმა ბიზანტიის იმპერიასთან, რომელიც ათეული წლობით გაგრძელდა, საეკლესიო წრეები ბიზანტიურ საპატრიარქოებში მტრულად განაწყო ქართული ეკლესიის მიმართ. გამოჩნდნენ “მაყვედრებელნი“, რომლენიც ცილს სწამებდნენ საზოგადოდ ქართულ ეკლესიას, თითქოსდა მას ჰქონდა რაღაც “სომხური“ ბიწი და ამის ერთ-ერთ დამადასტურებელ ფაქტად მიიჩნევდნენ არმენიზმების არსებობას ქართულ წმიდა წერილში. მთარგმნელებმა ბეჯითი შრომით ქართული ტექსტები შეასწორეს, რითაც ქართული ეკლესიის ავტორიტეტი განამტკიცეს.



არმენიზებული, ანუ სომხური რედაქციების მიხედვით შესწორებული ქართული თარგმანები ჩვენს დრომდე მცირე რაოდენობითაა მოღწეული, მაგრამ მათი რიცხვი XI ს-ის დამდეგს მცირე რომ ყოფილიყო, ცხადია, არც მთარგმნელთა თაობების შრომა იქნებოდა საჭირო. უმნიშვნელო ტექსტების რედაქტირება-თარგმანებს არ შეაღვედნენ თავიანთ შრომას მთელი სიცოცხლის მანძილზე ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად.

ისმის კითხვა: სინამდვილეში რამ გამოიწვია “სომხური ელემენტების“ გაჩენა ქართულ ტექსტებში, ანუ რატომ გაუკეთეს რედაქცია VI-VII საუკუნეებში “პირველითგან წმიდად და კეთილად“ თარგმნილ ქართულ ტექსტებს? VI-VII სს-ში ქართული ტექსტების რედაქტირება, კ. დანელიას აზრით, მომხდარა ტაოს თემში, ე.ი. მას ლოკალური და არა ზოგად ქართული მნიშვნელობა ჰქონია. ეს თვალსაზრისი სწორად არ ასახავს რეალურ ვითარებას.

სინამდვილეში კი, რადგანაც სპარსთა მიერ დაპყრობილ ამიერკავკასიაში დამპყრობლებმა დიდი უპირატესობანი მიანიჭეს სომხურ ეკლესიას და გადააქციეს იგი ამიერკავკასიის ეკლესიათა “ზედამხედველად“, ამიტომ ანტიბერძნულად განწყობილი სომხური ეკლესიის ზეგავლენით VI ს-დანვე უნდა დაწყებულიყო ქართული წმიდა წერილის სომხურის მიხედვით რედაქტირება საზოგადოდ და არა მხოლოდ ტაოს თემში. პროცესი გაგრძელდა VII და მომდევნო საუკუნეებშიც, XI ს-მდე, რამეთუ ახალი დამპყრობლები, არაბებიც, სპარსელთა მსგავსად ანტიბიზანტიურად იყვნენ განწყობილნი და თავიანთი საეკლესიო პოლიტიკის საყრდენად სომხურ ეკლესიას მიიჩნევდნენ ამიერკავკასიის მასშტაბით, რაც სომხურ ეკლესიას, მათ შორის სომხურ-ქალკელონიტურ საეპისკოპოსოებსაც VII-X სს-ში საშუალებას აძლევდა, გიორგი მცირეს სიტყვებით რომ ვთქვათ, “წესურების“ მომიზეზებით ერედაქტირებინა ქართული ტექსტების ერთი ნაწილი. სომხური ეკლესიის გავლენის ნაკვალევი საბოლოოდ აღმოფხვრეს დიდმა მთარგმნელებმა თავიანთი თავდაუზოგავი მოღვაწეობით, ქართული ეკლესიის ეროვნული სახე დიდად განამტკიცეს და მასში მართლმადიდებლური სული კიდევ უფრო გააძლიერეს იოანე და ექვთიმე მთაწმინდელებმა, ჩვენი ეკლესიის მამა გიორგი ათონელმა (მთაწმინდელმა), და მთაწმინდისა და იმჟამინდელი სხვა ქართულ ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე დიდმა მამებმა.

თავი VIII. ქართული ეკლესია XII საუკუნეში  
მეფე დავით აღმაშენებელი - მორჩილი ბერისა

არსენ იყალთოელი - მოძღვარი და სულიერი მამა დავით აღმაშენებლისა ენათა მცოდნე, ღმრთისმეტყველი, ფილოსოფოსი, საეკლესიო წიგნების მთარგმნელი და მართლმადიდებლობის ბურჯი ყოფილა, მისი დროის ქართველები დიდად აფასებდნენ. ეფრემ მცირეს უთქვამს: ადამიანთაგან შეუძლებელი არსენისათვის შესაძლებელია ღმრთისა და მისი წმიდანების მეოხებით.

არსენი თავდაპირველად კონსტანტინოპოლის მანგანის აკადემიაში სწავლობდა, შემდეგ შავ მთაზე (ანტიოქიაში) მოღვაწეობდა, 1103 წელს სამშობლოში - შიომღვიმის მონასტერში დაბრუნებულია.

თითქმის 25 წლის განმავლობაში არსენი მეფეს ეღვა გვერდით და მისი ხელშეწყობით ეწეოდა საეკლესიო-საზოგადოებრივსა და სამწერლო-სამონასტრო საქმიანობას. დავითმა კი არსენის რჩევით პოლიტიკური და კულტურული რეფორმები ჩაატარა.

“მორჩილი“ საეკლესიო ტერმინია და ეწოდება ერისკაცს, რომელსაც ევალება თავისი სულიერი მოძღვრის ყოველი ნება აღასრულოს. ცხადია, მორჩილების საბოლოო მიზანი ადამიანის სულიერი ამაღლებაა. დავით მეფეს თავისი სულიერი მოძღვრის დიდი მორჩილება ჰქონია და თვითონ არსენიც მეფისათვის დიდად სანდო პირი ყოფილა.

დავით აღმაშენებლის მოძღვრები - ბერები გიორგი ჭყონდიდელი, არსენ იყალთოელი თუ იოანე კათალიკოსი მეფისათვის იყო სახე ეროვნული ეკლესიისა. ქართულ ეკლესიაში იგი საქართველოს ჭეშმარიტი გამაერთიანებელის ძალას ხედავდა, რომელსაც უნარი შესწევდა უფალი ღმერთის შემწეობით განეახლებინა და გაეცხოველებინა ქართული საზოგადოება და სულიერების ახალ საფეხურზე აეყვანა.

შემდგომ ეს მართლაც ასე მოხდა, ქართველი ერის ოქროს ხანა - ეპოქა დავითისა და თამარისა სწორედ სახელმწიფოსა და ქართული ეკლესიის სიმბიოზის, ძალზე ღრმა ურთიერთთანამშრომლობის შედეგად შეიქმნა. საქართველოს სახელმწიფო ძლიერი იყო მანამ, სანამ ქართულ ეროვნულ ეკლესიას ეყრდნობოდა. როგორც კი საქართველოს სახელმწიფო შეეცადა მონოფიზიტი სახელმწიფო მოხელეების მთავრობაში შეყვანით მონოფიზიტური ეკლესიის მხარდაჭერა მოეპოვებინა, პოლიტიკური კრიზისი დაიწყო, რასაც მტრის პირველი შემოსევისთანავე საქართველოს დამარცხება მოჰყვა (იგულისხმება მხარგრძელების აღზევება და ჯალალედინთან დამარცხება).

დავით აღმაშენებელი საეკლესიო მოღვაწეების საშუალებით მართავდა სახელმწიფოს. კერძოდ, მან შექმნა მთავრობა, რომლის უმთავრესი თანამდებობები სამღვდელთა ხელში იყო მოქცეული. უფრო მეტიც, მთავრობის მეთაური მწიგნობართუხუცესი გიორგი ჭყონდიდელი - ეპისკოპოსი მეფის მამად და სახელმწიფოს პირველ ვაზირად მიიჩნეოდა. იგი გახლდათ ქალკელონიზმის, ანუ როგორც იმჟამად იყო მიღებული - ქართული ქრისტიანობის სიმბოლო. სწორედ გიორგი ჭყონდიდელის უშუალო ხელმძღვანელობით აიღეს ქართველებმა ციხე-ქალაქი

სამშვილდე 1110 წელს, რასაც ქვემო ქართლის მთავარ ციხეთა განთავისუფლებაც მოჰყვა. ეს ციხეები მაშინ თურქებს ეჭირათ, სულ რამდენიმე ათეული წლით ადრე კი სამშვილდე მონოფიზიტური სახელმწიფოს ცენტრი და ლორე-ტაშირის კვირიკიანთა სამეფოს დედაქალაქი იყო. ამ ჭეშმარიტად ქართულ ქვეყანაში, რომლის მოქალაქეთა აბსოლუტურ უმრავლესობას ქართველობა შეადგენდა, არაბმა დამპყრობლებმა მონოფიზიტური ეკლესია ხელოვნურად გააბატონეს.

ქვემო ქართლი გიორგი ჭყონდიდელის მიერ მისი განთავისუფლების შემდეგ უწყვეტად თითქმის XVIII ს-მდე ქართული ეკლესიის სამოღვაწეო ასპარეზი იყო.

გიორგი ჭყონდიდელმა მტერს რუსთავიც წაართვა - ეს მოხდა 1115 წელს.

1118 წელს ყივჩაღების საქართველოში ჩამოსახლების საქმეც დაითმა გიორგი ჭყონდიდელთან ერთად მოაგვარა.

მეფის ყოველი გამარჯვება ქრისტიანობას უკავშირდებოდა, ქრისტიანობის მტრების დათრგუნვას მოასწავებდა. ჯვაროსანთა ომის დაწყებისას დავით მეფე ყოველმხრივ ეხმარებოდა მათ.

მეფე ყოველ დიდ საქმეს რომელიმე მღვდელმთავრის წინამძღოლობით ახორციელებდა. ამიტომ საქართველოში ხშირად გაისმოდა ყიჟინა - “მეფე და მღვდელმთავარი“.

“ხელმწიფის კარის გარიგება“ მოიხსენიებს ოთხ ბერს, რომელთაც საქართველოს მთავრობაში უპირველესი ადგილი ეჭირათ. ესენი იყვნენ 1. საქართველოს პატრიარქი; 2. აფხაზეთის კათალიკოსი; 3. მწიგნობართუხუცესი; 4. მოძღვართმოდღვარი. ოთხ ბერს იხსენიებს აგრეთვე რუის-ურბნისის კრების “ძეგლისწერა“: 1) იოანე კათალიკოს-პატრიარქს, 2) გიორგი მონაზონ-მწიგნობართუხუცესს (ჭყონდიდელს), 3) ვესტათი მონაზონს (იგი აფხაზეთის კათალიკოსი უნდა ყოფილიყო), 4) არსენ მონაზონს - იყალთოელს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ოთხი ბერი ამავე დროს ქართული ეკლესიის მუდმივი სინოდიც იყო.

მეფე მუდამ ბერების წრეში ტრიალებდა. დრმა საეკლესიო საღვთისმეტყველო განათლება ჰქონია მიღებული. ამიტომაც მისი “გალობანი სინანულისანი“ დაწერილია სასულიერო ლიტერატურის ზედმიწევნითი ცოდნით.

საფიქრებელია, რომ ქართველი მღვდელმთავრები მორჩილებდნენ ქართველ მეფეს სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტისას. სამაგიეროდ მეფე ემორჩილებოდა მათ სასულიერო საკითხებში. ასეთი ჰარმონია, დამყარებული “დარბაზის კარზე“, საფუძველი გახდა საქართველოს “ოქროს ხანისა“.

#### ეკლესია - ქართული ქვეყნების გამაერთიანებელი

“საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ ვკითხულობთ: “საზღვარი კახეთსა და საქართველოს სამეფოს შორის ამ დროს მდ. ქსანზე გადიოდა“ (იგულისხმება X-XI ს-თა მიჯნა). საკითხის ასე დასმა მიუღებელია. ამ ეპოქის მემბტიანეები წერენ არა “საქართველოს სამეფოსა“ და “კახეთის“, არამედ აფხაზეთ-ტაო-კლარჯეთის გაერთიანებული სამეფოსა და კახეთის სამეფოს შორის საზღვარზე. საქართველო არა მხოლოდ აფხაზეთ-ტაო-კლარჯეთის გაერთიანებულ სამეფოს ეწოდებოდა, არამედ ქართველთა ყოფილ სახელმწიფოს, იმ დროს არსებულს. ამაზე თვით სიტყვა საქართველო მიგვანიშნებს. კახეთი - ქართველთა ერთ-ერთი ქვეყნის გეოგრაფიული სახელი იყო. მაგალითად, ილარიონ ქართველი წარმოშობით კახეთიდან იყო, მაგრამ მას “ქართველს“ უწოდებდნენ, როგორც უცხოეთში, ისე საქართველოშიც.

ქართველთა ქვეყნები იყვნენ, როგორც კახეთისა და ჰერეთის სამეფოები, ისე თბილისის საამირო და ქვემო ქართლში მდებარე კვირიკიანთა სამეფოც, თუმცა თბილისს მაჰმადიანი, ხოლო ქვემო ქართლს გრიგორიანი მმართველები მართავდნენ.

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება გამოიწვია ზემოთ აღნიშნული ქვეყნების ეთნიკურმა ერთობამ - ქართველობამ. თუმცა თბილისი თითქმის 400 წლის მანძილზე მაჰმადიანური საამიროს ცენტრი იყო, მის მცხოვრებთა უმრავლესობას ქართველი ქრისტიანები შეადგენდნენ. ასევე ითქმის ქვემო ქართლში მდებარე ე.წ. “სომეხთა“ ანუ ტაშირ-ძორაკერტის სამეფოს შესახებაც. თვით დიდი სომხეთის ცენტრებშიც კი, ანისში, ვალაშკერტსა და დადაშენში თუ სხვაგან ქართველი მრევლიც ცხოვრობდა და იქაურ ეკლესიებში ქართველ ეპისკოპოსებს ტახტები ედგათ. ასევე ითქმის ჰერეთის შესახებაც. ჰერეთი ვრცლად გადაჭიმული ქართული ქვეყანა იყო. VI-IX სს-ში იგი სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის გავლენის სფეროში მოექცა, ჯერ სპარსელების, შემდეგ არაბების ნებით. X ს-ში ჰერეთის მმართველის დინარა დედოფლის წყალობით ჰერეთი დედა ეკლესიას დაუბრუნდა, აქ ქართული სული სრულყოფილად აღდგა.

ტაო-კლარჯეთისა და აფხაზეთა სამეფო, კახეთის საქორეპისკოპოსო, ჰერეთის სამეფო, თბილისის საამირო და ქვემო ქართლი საქართველოს გაერთიანებამდე ურთიერთდამოუკიდებლად არსებობდნენ, მაგრამ ქართული ეკლესია ფაქტიურად ყველა ამ ქვეყანას აერთიანებდა.

ივანე ჯავახიშვილს დადგენილი აქვს, რომ საქართველოს ეკლესიას სახელმწიფო ცხოვრებასა და წეს-წყობილებაში განსაკუთრებული უპირატესობა ჰქონდა მოპოვებული და მინიჭებული, რის წყალობითაც მას მარტო წმინდა საეკლესიო დაწესებულების ხასიათი კი არ ჰქონდა, არამედ სახელმწიფოებრივი სხეულისა და ერთეულის თავისებებიც მოეპოვებოდა“. ამ

მოსაზრებას ადასტურებს ისეთი ფაქტები, როგორცაა: ომებში სასულიერო პირთა, მათ შორის თვით ეპისკოპოსთა, უშუალო მონაწილეობა, გაერთიანებული საქართველოს მეფის კარზე მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობის შექმნა, თანამდებობისა, რომლის მფლობელი სახელმწიფოს პირველი ვეზირი იყო და არა მარტო სასულიერო, არამედ საერო საქმესაც განაგებდა; საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, კერძოდ კი კახეთის სამეფოში ქორეპისკოპოსთა ინსტიტუტის არსებობა, რის შედეგად სასულიერო პირები საქართველოს ამ მხარის მთელი სამხედრო ლაშქრის სარდლები იყვნენ; საქართველოს მთის რაიონებში ხევისბერთა ინსტიტუტების არსებობა და მრავალი სხვა. ქართული ეკლესიის დიდ გავლენას და სახელმწიფო საქმეში მის აქტიურ მონაწილეობას მოწმობს ის ფაქტიც, რომ თითქმის ყველა დიდ ეკლესიასა და მონასტერს ჰყავდა თავისი საკუთარი კარგად გაწვრთნილი ლაშქარი, რომელიც საჭიროების დროს მეფის სადროშოს უერთდებოდა და მასთან ერთად ებრძოდა საქართველოს მტრებს.

იგივე ითქმის საქართველოს სხვა კუთხეთა შესახებაც. მაგალითად, ბაღვაშების საგვარეულო თუმცა საუკუნეთა მანძილზე ებრძოდა საქართველოს გამაერთიანებელ მეფეებს, ქართული ეკლესიის ერთგული თავყვანისმცემელი იყო. ლიპარიტ ბაღვაში, ათონის ივერთა მონასტრის ერთერთ მშენებელადაცაა მიჩნეული.

მაშასადამე, საქართველოს გაერთიანებამდე სხვადასხვა ქართულ პოლიტიკურ ერთეულებს ფაქტიურად ქართული ეკლესია აერთიანებდა.

როგორც ითქვა, ქვემო ქართლში, გრიგორიანი კვირიკიანების მეფობის დროსაც კი უამრავი ქართული ეკლესია მოქმედებდა.

არაბთა ბატონობისას თბილისის საამიროში ქრისტიანული ეკლესია დიდი ძალა იყო. “თითქმის ყველა საზღვარგარეთულ ქართულ სავანეს თბილისში თავისი მეტოქე (ფილიალი) ჰქონდა. გიორგი მთაწმინდელი, რომელიც ათონის ივერიის მონასტრის წინამძღვარი იყო, ამავდროს თბილისის მთაწმინდის მონასტრის წინამძღვრად და სულიერ მამადაც ითვლებოდა”, - წერს პ. რატიანი.

როგორც აღინიშნა, აფხაზთა სამეფოს, ტაო-კლარჯეთის (ანუ ქართველთა) სამეფოს, ჰერთა (ანუ რანთა) სამეფოს, კახეთის სამეფოსა და სომეხთა (ანუ ტაშირის) სამეფოს ძირითადი მკვიდრი მოსახლეობა ქართველი ხალხი იყო. ამ სამეფოების გაერთიანებამდე მათ ქართული ეკლესია აერთიანებდა

ცნობილია, რომ ტაო-კლარჯეთის სამეფოს ქართველთა სამეფო ერქვა. მას მართავდა სამეფო დინასტია, რომლის ოფიციალური ტიტული იყო “ქართველთა მეფე”. ეს ტიტული ტაო-კლარჯელ მეფეებს ძველი ქართლის სამეფოს ფარნავაზიან-გორგასლიანი მეფეებისაგან ჰქონდათ გადაღებული. ამით ტაო-კლარჯელი მეფეები ამტკიცებდნენ, რომ ისინი ფარნავაზიანი მეფეების პოლიტიკური მემკვიდრეები იყვნენ. ამიტომაც სრული პოლიტიკური სიუზერენული უფლება ჰქონდათ მთელ ქართველ ხალხსა და სრულიად საქართველოზე. ძველი ტრადიციით ფარნავაზიანი მეფეების სამფლობელო ანუ ძველი “ქართლის სამეფო” მთელ დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავდა. ანუ მათი უფლებები იმდროინდელ აფხაზთა, ჰერ-კახთა და სომეხთა სამეფოზეც ვრცელდებოდა. მაშასადამე, ეს ტიტული მოიცავდა პოლიტიკურ შინაარსს და არა კუთხურს.

თავის მხრივ აფხაზთა მეფეებიც ამტკიცებდნენ, რომ მათ მთელ ქართველ ხალხზე და ყველა ზემოთ მოხსენიებულ სახელმწიფოებრივ ერთეულებზე ჰქონდათ უფლებამოსილება, რადგან ფარნავაზიან მეფეთა ლეგიტიმურ მემკვიდრეებად მიაჩნდათ თავი.

აფხაზეთი, ტაო-კლარჯეთი, თბილისის საამირო, კახეთი თუ ჰერეთი, ქართველთა ყველა ქვეყანა სულიერ მთლიანობას ქმნიდნენ იმით, რომ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდნენ. ამ ეკლესიურმა ერთიანობამ კი ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება განაპირობა. სწორედ ამიტომ წმიდა მეფე დავით აღმაშენებელმა უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა ქართული ეკლესიის თანადგომას და გადასცა მას სახელმწიფოებრივი მმართველობის ბერკეტები, მრავალი სახელმწიფოებრივი ფუნქცია, მიაკუთვნა უპირატესობანი სახელმწიფო ცხოვრებასა და წეს-წყობილებაში.

#### ყივჩაღთა ჩამოსახლება

გარკვევა იმისა, თუ სად ჩაასახლეს ყივჩაღები, მნიშვნელოვანი საქმეა. გავრცელებული აზრით ჩამოსახლებული 200 000-ზე მეტი ყივჩაღი და დამხვედური ქართველობა ურთიერთს შერევიან. ძნელია მტკიცება, რომ ეს სინამდვილეს შეეფერება. ასეთი ჰიპოთეზა თანამედროვე ქართულის ფსიქიკასა და თვითშეგნებაზე უარყოფითად მოქმედებს.

დავითის ისტორიკოსი ვრცლად მსჯელობს საკითხზე, თუ რატომ ჩამოსახლდა დავით აღმაშენებელმა ყივჩაღები. იგი ჯერ დავით აღმაშენებლის ძლევაშემდეგ მომენტს, გამარჯვებებს, საქართველოსა და მისი მომიჯნავე სანაპირო ქვეყნების თურქებისაგან თითქმის მთლიანად განთავისუფლებას აღწერს, ხოლო შემდეგ მის მიერ ყივჩაღების გადმოყვანის მიზეზებს ასახელებს. საქმე ისაა, რომ დავითი ლაშქრობდა საქართველოს საზღვრებს გარეთ, იღებდა ციხეებს,

მაგრამ შემდეგ ტოვებდა მათ, რადგანაც არ ჰყავდა ხალხი, რომლის საშუალებითაც ციხეებს სამუდამოდ დაიკავებდა.

არა მარტო დავითს, არამედ მის წინაპრებსაც დიდად აკლდათ ციხეთა დამტკერი, ციხეებში ჩასაყენებელი მოლაშქრენი. აი, როგორ ხსნის ყიფნალების ჩამოყვანას ნ. ბერძენიშვილი:

“ყიფნალების მოწვევის ერთ-ერთი მიზეზი უჭკველად იყო... ქართველების სიმცირე ახალი ადგილების დაჭერისა და მუდმივი მოლაშქრეობისათვის...” (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IX, 1979, გვ. 92).

მაშასადამე, მეფემ ყიფნალები ახალი ადგილების დასაჭერად მოიწვია. “ახალ ადგილებში” საქართველოს მოსახლურე ქვეყნები იგულისხმება.

ყიფნალები ქართველ მეფეებს საზღვრების დასაცავად და უცხოეთში სალაშქროდ ესაჭიროებოდათ. ამიტომაც დავითის შემდგომ, თამარისა და მისი მემკვიდრეების მეფობის დროს, როცა საქართველოს საზღვრები სცილდებოდა ქართველი ხალხის ეთნიკურ საზღვრებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ყიფნალებს აქედან შორს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სამხრეთით - იმჟამინდელი დიდი საქართველოს სასაზღვრო მხარეებში გადაიყვანდნენ.

უთუოდ ამის გამო თანამედროვე საქართველოში არ გვხვდება არც ერთი ტოპონიმი, თუ სახელი, რომელიც ყიფნალებს უკავშირდებოდეს, მაშინ როცა ჩვენს ტოპონიმოლოგიას თვით ქრისტემდე მცხოვრები ტომების ტოპონიმებიც კი აქვს შემონახული (“ასურეთი”, “ხეთა” და სხვ.).

სხვა მდგომარეობაა ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებში. სომხეთში შემონახულია ტოპონიმები ყიფნალებთან დაკავშირებული, ხოლო აზერბაიჯანისა და საქართველოს სამხრეთით მდებარე ქვეყნებში შუა საუკუნეებშიც კი ცხოვრობდნენ ყიფნალები ტომები, იქაური მაჰმადიანების ერთ მცირე ნაწილს ყიფნალებს უწოდებდნენ.

შ. მესხია, რომელიც იზიარებს ყიფნალებს “გაქართველების” თეორიას, ამ პროცესს იმით ასაბუთებს, რომ თითქოსდა ძველ საქართველოში “სწრაფად მიმდინარეობდა თვით სომეხთა რელიგიური “ქართველიზაცია”, “გაქართველება” (იქვე, გვ. 30).

ჯერ ერთი, არასწორია თეორია, რომელიც გაბატონდა ქართველ ისტორიოგრაფიაში - თეორია “სომეხთა გაქართველებისა” (ეს თეორია შეთხზა პ. პატკანოვმა, არმენოლოგიის პროფესორმა პეტერბურგის უნივერსიტეტში, და აიტაცეს მისმა მოწაფეებმა და მოწაფეთა მოწაფეებმა). მეორეც, უფრო სარწმუნო ის შეხედულება უნდა იყოს, რომ ყიფნალები ქართველებს არ შერწყმიან.

#### რუის-ურბნისის კრება

ქართული ეკლესია დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საქართველოს ყოველ კუთხეში, იმ დროსაც კი, როცა საქართველო გაერთიანებული არ იყო და მისი სახელმწიფოებრივი ერთეულები ერთმანეთს ებრძოდნენ.

ვახტანგ გორგასლის მიერ აღდგენილი ქართველთა ერთიანი ქვეყანა VI სს-ში დაიშალა. X ს-ის ბოლოსა და XI ს-ის დამდეგს, ქართული ქვეყნების გაერთიანების შედეგად ფაქტიურად ახალი სახელმწიფო შეიქმნა. ამიტომაც კვლავ დაისვა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის საკითხი.

საეკლესიო სამართლის წყაროების მიხედვით ქართული უმაღლესი საეკლესიო მთავრობის 4 წევრი იმავდროულად იქცა საერო მთავრობის უმაღლეს წევრებადაც.

დავით აღმაშენებლის დროს “სახელმწიფოს მმართველობის სისტემას” სათავეში ჩაუდგათ მონაზონი. ანუ “ოთხი ბერი”, რომლებიც დარბაზის უმაღლესი წევრები იყვნენ: მოძღვართ-მოძღვარი, ქართლის კათალიკოსი, აფხაზეთის კათალიკოსი და ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი.

დავით აღმაშენებელმა ძირითადი უწყებანი (საშინაო, ფინანსთა, სამხედრო) სხვა დარგებისაგან გამოყო და ისინი უშუალოდ მეფის ვეზირს - მწიგნობართუხუცესს - გიორგი ჭყონდიდელს დაუქვემდებარა. ჭყონდიდელსვე ექვემდებარებოდა სამეფო სპაც. იგი მეფესთან ერთად წყვეტდა ომის დაწყება-არდაწყების საკითხს და ზოგჯერ ომშიც მიდიოდა.

შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ რუის-ურბნისის კრებაზევე ეკლესიამ მეფეს კახეთ-ჰერეთი გადასცა. ამიტომაც უწოდებს ამ კრების “ძეგლისწერა” მას “რანთა და კახთა” მეფეს.

მაგრამ ჰარმონიის მიღწევა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ადვილი არ გახლდათ. დავითის დროს ყოფილან ქვეყნის ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგე ძალები, რომელიც მეფის მოწინააღმდეგე დიდგვაროვნებს უჭერდნენ მხარს. ისინი ძირითადად ეკლესიის მაღალი ფენის წარმომადგენელი ეპისკოპოსები იყვნენ, ეკლესიაში თავიანთი მაღალი წარმომადგენლისა და სიმდიდრის წყალობით მოხვედრილნი. მათ “ძეგლისწერა” “უღირსებს” უწოდებს.

როგორც ივანე ჯავახიშვილი, ისე ზოგიერთი სხვა მეცნიერი მიიჩნევს, რომ დავით აღმაშენებლის ინიციატივით მოწვეულმა რუის-ურბნისის კრებამ მიზნად დაისახა ქართული ეკლესიის განახლება იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებიც გიორგი მთაწმინდელმა წამოაყენა.

რუის-ურბნისის კრების I მუხლის გადაწყვეტილებით განკვეთილი ეპისკოპოსების მაგიერ, რომელნიც მეფის მოწინააღმდეგე იყვნენ, ახლები დააყენეს.

II მუხლი შეეხება ასაკს. აქ ნათქვამია, რომ ეპისკოპოსად კურთხევა არ შეიძლებოდა 35 წლამდე, მღვდლისა - 30-მდე, დიაკონისა 25 წლამდე, წიგნის მკითხველისა 8 წლამდე.

III მუხლით აიკრძალა ერთსა და იმავე დღეს ხელდასხმა ერთი ადამიანისა წიგნისმკითხველად, იპოდიაკვნად, დიაკვნად, მღვდლად და ეპისკოპოსად.

ივანე ჯავახიშვილი წერს “მაშინდელი შეხედულებით ხალხი ორ მთავარ ნაწილად იყოფოდა, რომელთაგან ერთს, “მოწესენი“, სამღვდელეობა და ბერ-მონაზვნები, მეორე ნაწილს “ერისკაცნი“ შეადგენდნენ... ეკლესია ორ უმთავრეს ნაწილად იყოფოდა: საეროდ და სამონასტროდ... საერო ეკლესიას მრავალრიცხოვანი მსახურნი ჰყავდა: 1) წიგნისმკითხველნი, 2) კერძო დიაკონნი, 3) დიაკონნი, 4) დელათდიაკონნი, 5) ხუცესნი ანუ მღვდელნი, 6) ქორეპისკოპოსნი, 7) ეპისკოპოსნი, 8) მთავარეპისკოპოსნი და კათალიკოზი. იყო აგრეთვე “ქადაგი“. საეკლესიო მსახურის თანამდებობას “პატივი“ ერქვა. ეკლესიის მსახურთა შორის განსაკუთრებული და საპატიო ადგილი ხუცესს, ანუ მღვდელს ეკუთვნოდა იმიტომ, რომ გრიგოლ ხანძთელის სიტყვით, “მღვდელობა უფროსი არს ყოველთა დიდებთა სულიერთა და ხორციელთა, რამეთუ ქრისტეს ნაცვლობა არს“... მღვდელს მაშინდელი შეხედულებით იმდენი სიწმინდე უნდა ჰქონოდა, რომ “დასდვას ხელი სნეულთა ზედა და განიკურნენო“ (ტ. VII, გვ. 15).

IV მუხლით ხელდასმის, ეკლესიის, საკურთხეველის თუ მირონის კურთხევისას სავალდებულო გახდა გიორგი მთაწმინდელის “ახალი კურთხევის“ გამოყენება.

V მუხლით აიკრძალა ყოველგვარი ქრთამის გაცემა თუ მიღება ხელდასხმის საფასურად.

VI მუხლით ყოველგვარი საეკლესიო ნივთი, თუ შენაწირი ხელახლებლად უნდა დებულყო, არავის არ ჰქონდა მისი მოხმარების უფლება სხვა რაიმე საქმისათვის, საეკლესიოს გარდა.

VII მუხლით აიკრძალა ეკლესიის გარეთ ნათლისცემა, ჯვრისწერა, მონაზვნის კურთხევა, გვირგვინის კურთხევა, მღვდელ-მონაზვნის კურთხევა.

VIII მუხლით ჯვარდაწერილთ იმავე დღეს უნდა მიეღოთ ზიარება, თუ უზიარებლობით დასჯილნი არ იყვნენ.

IX მუხლით მეორეჯერ ჯვრისწერა ისჯებოდა მორალურად, თუმცა კი ნებადართული იყო.

X მუხლით აიკრძალა უასაკო ქალ-ვაჟთა ჯვრისწერა, თუმცა მათ მშობლებს მათი დანიშვნის ნება მიეცათ. ქალს 12 წლამდე აკრძალა ქორწინება.

XI მუხლი ქორეპისკოპოსების გამორჩევას ეხებოდა და ადგენდა, რომ მისი გამორჩევის ნება არა მარტო კათალიკოსს, არამედ ეპისკოპოსსაც ჰქონდა. იგი შეიძლება ყოფილიყო როგორც მღვდელი, ასევე დიაკონიც.

XII მუხლით შეიზღუდა მოძღვართა რიცხვი მონასტერში (1-ით ან 2-ით) მაგრამ “მოძღვართ-მოძღვარმა“ მოიპოვა უფლება, ყოფილიყო “დარბაზის კარის“ უწარჩინებულები წევრი, მისი ღირსება სახელმწიფოს მიერ საგანგებოდ უნდა ყოფილიყო აღნიშნული დარბაზობისას.

XIII მუხლით აიკრძალა მონასტრებში ერისკაცთა შეკრება, ვაჭრობა, სამოქალაქო და ქვეყნიური საქმეების გადაწყვეტა, თუ წესების შესრულება.

XIV მუხლით აიკრძალა ერთ საკურთხეველზე ერთსა და იმავე დროს რამდენიმე წირვის დაყენება. დიდ საეპისკოპოსო ან სამონასტრო საკურთხეველზე აიკრძალა ერთი პირისათვის საგანგებო წირვის დაყენება.

XV მუხლით დადგინდა ყოფილი მონოფიზიტების სრული წესით ნათლობა.

XVI მუხლით აიკრძალა მართლმადიდებელის დაქორწინება მწვალებელთან ან წარმმართთან.

XVII მუხლით აიკრძალა იმუამად გავრცელებული ჯვრისწერის ასეთი სახე: სხვადასხვა ადგილას შეუღლებულ ქალ-ვაჟს რომ ჯვარს ორი მღვდელი წერდა.

XVIII მუხლი სოლომური ცოდვას ეხებოდა.

ამ უსაშინლესმა ცოდვამო, ნათქვამია აქ, დაამხო ასურთა და სპარსთა სამეფოები, ამ ცოდვამ სომეხთა დიდი და სახელგანთქმული მოდგმა და სამეფო დაამცრო, ეს სიბილწე იყო ერთ-ერთი მიზეზი რომელთა სახელმწიფოს დაცემისაც. კრება წუხს, რომ მას ჩვენშიც შემოუღწევია: “არ ვიცი, თუ როგორ შემოაღწია ამ უკეთურებამ ქრისტეს მოღვაწედ სახელდებულ ერში“.

ამისათვის ვამცნებთ ყვევლას - დიდსა დამცირეს, მდიდარსა და ღარიბს. მეფესა და მთავარს, აზნაურსა და მდაბიოს, მღვდელსა და არამღვდელს, მოწესესა და ერისკაცს, მოხუცს, ახალგაზრდას და შუახნის კაცს, ყველა თანამდებობას, დასს, ჯგუფს, ყველა ასაკს - განუდგეს ამ ყველა ვნებაზე უფრო საძაგელ სიბილწეს.. ხორცის სიყვარული ღვთის მტრობაა და ვინც განხრწნის ღვთის ტაძარს, მას ღმერთი გახრწნის-ო, - აცხადებს კრება.

კრებამ საგანგებო საქმეები ეპისტოლეთი მიმართა თვითმპყრობელ მეფე დავით აღმაშენებელს: “...მოსწონს, თუ არა კრების ეს დადგენილებები შენს მეუღრობას? მოისვენებს და დაცხრება ამით ბოროტების სულთა მდევნელი დავითიანი სული შენი?“

კრებამ ადღეგრძელა და მოიხსენია მეფეთ-მეფე გიორგი, დედოფალი მართა, “აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა“ თვითმპყრობელი ღვთისმსახური და ღმრთივდაცული დავით მეფე, იოანე მთავარეპისკოპოს კათალიკოსი - ყოვლისა საქართველოსა მამამთავარი, წმიდა ბერი ევსტათი მონაზონი, კრების თვალად ცნობილი მწიგნობართუხუცესი გიორგი მონაზონი, კრებაზე

დამსწრე ყველა მღვდელმთავარი, მღვდელი და მონაზონი, მონაზონი არსენი, მოისხენია გარდაცვლილთა სულები.

### თავი IX. თამარი - წმიდა კეთილმსახური მეფე

დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჯუკები ამიერკავკასიიდან განდევნა, სომხეთი და შარვა-ნის დიდი ნაწილი გაათავისუფლა და ისინი საქართველოს სახელმწიფოს შემოუერთა. ამ დროს საქართველო გადაფენილი იყო “ნიკოფსიიდან დარუბანდის ზღვამდე და ოვსეთიდან... არეგაწამდე“ (ქართ. სამართლის ძეგლები ტ. II. 1965 გვ. 9). დიდი ქვეყანა დავითის ანდერძით “მამულისა“ და “ახლად მოგებული“ მხარეებისაგან შედგებოდა.

დავით მეფე “გალობანი სინანულისან“-ში წერს: “შეგვრთე სახლი სახლსა და აგარაკი აგარაკსა, და უუძღურესთა მიგვხუფე ნაწილი მათი და ვიდუწოდ უმეზობლოსა, ვითარმცა მარტოი ვმკვიდრობდი ქუეყანასა ზედა“.

ქრისტიანი მეფის ნება ორადღა გაყოფილი, ერთი მხრივ, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, ვადლებულია საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი გააერთიანოს, მაშასადამე, კახეთ-ჰერეთის თუ ლორეს სამეფოები გააუქმოს. მეორე მხრივ ის, როგორც ქრისტიანი გრძნობს, რომ ამით “ბოროტებას“ სწადის ამ ხელახლა შემოერთებული სამეფოების მმართველი ოჯახების (სახლე-ბის) მიმართ, ამწარებს მათ. მეფე განსაკუთრებით წუხს, როცა სუსტ, უძლურ “მეფეებს“ მათ წილ სამეფოს ართმევს. უნდა ითქვას, რომ საქართველოს გაერთიანების შემდეგ თუ დავით მეფე მეზობელ ქვეყნებს არ დაიჭერდა, მაშინ ამ ქვეყნებს თურქები დაეუფლებოდნენ და მისი სამეფოს წინააღმდეგ პლაცდარმად აქცევდნენ.

თამარ მეფეს კი დავით აღმაშენებლის პოლიტიკა ერთგვარად შეუცვლია, გაათავისუფლებული ქვეყნები უშუალოდ კი არ შემოუერთებია თავისი სამეფოსათვის, ისინი ყმადნაფიც ქვეყნებად უქცევია. ამით ამ ქვეყნების სამეფო “სახლებისათვის“ სამეფო უფლებანი შეუნარჩუნებია, უფრო მეტიც, “დაგლახაკებული“ მეფეები გაუმდიდრებია.

მაგრამ თამარის მოღვაწეობის დასახასიათებლად მთავარია არა მისი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკური მიღწევები, არამედ მისი სახელმწიფოს გასაოცარი ჰუმანურობა, რომელიც თავის მხრივ დავით აღმაშენებლის სულიერ მემკვიდრეობას ეფუძნებოდა.

თამარის საქართველოში “რჯულთშემწყნარებლობა“ არსებობდა, თურქ-სელჯუკებისგან გაათავისუფლებულ პატარა ხალხებსა და დამორჩილებულ ქვეყნებს ეროვნულ-ადმინისტრაციული თავისუფლება ენიჭებოდა. არსებობდა მკაცრი სასჯელებისა და სიკვდილით დასჯის გაუქმების-კენ სწრაფვა.

დავითამდე და თამარამდე, წინა საუკუნეებში, ქართველი ერი თვითონ იყო სხვა ერების აგრესიის ობიექტი, მისი მთლიანი ძალისხმევა იმ დროს თავისუფლების მოპოვებისა და გაერთიანებისაკენ იყო მიმართული, მაგრამ როგორც კი ერთიანი, კავკასიის მასშტაბის უძლიერესი სახელმწიფო შექმნა, უარი განაცხადა სხვათა დაპყრობაზე, გამოამჟღავნა უდიდესი შინაგანი სითბო და სიყვარული, კაცთმოყვარეობა. ეს იყო თამარის სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც, როგორც ითქვა, დავითის ჰუმანიზმს ეფუძნებოდა.

სწორედ საოცარია შუა საუკუნეებისათვის ამგვარი ქმედება: ხელმწიფე, რომელსაც შეუძლია სხვათა მიწების მითვისება, უარს ამბობს ამაზე, ანდა ინანებს “სახლის სახლზე“ შერთვას.

ამ კუთხით თუ გადავხედავთ ძველი მსოფლიოს სახელმწიფოთა პოლიტიკას, სულ სხვა სურათს დავინახავთ. ხელმწიფეები იმით ამაყობდნენ, რამდენი ქვეყანა დაიპყრეს, დაანგრეს, მოსპეს. ამ თვალსაზრისით არა მარტო ასურეთის და ურარტუს ხელმწიფეები, არამედ არც რომისა და ბიზანტიის იმპერატორები იყვნენ გამონაკლისნი, თურქულ-სპარსულ სახელმწიფოებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. თვით XIX ს-ის “განათლებული“ სახელმწიფო მოღვაწეებიც ასევე იქცეოდნენ. პავლე ციციანოვი რუსეთისადმი დაუმორჩილებელ ერთ თემს წერდა: “...თქვენ ნამდვილად ფიქრობთ, რომ მე ქართველი ვარ და ბედავთ ასე წერას, მე რუსეთში დავიბადე და გავიზარდე, ჩემში რუსული სულია, დაიცადეთ ჩემს მოსვლამდე და მაშინ მე თქვენ სახლ-კარს კი არ დაგიწავთ, თქვენ დაგწავთ და თქვენს ცოლ-შვილს შიგნეულობას გამოვლადრავ...“ (თ. პაპუაშვილი, ჭარ-ბელაქანი, 1972 წ., გვ. 119).

დიას, მართალია პავლე ციციანოვი, როცა თავის თავს არაქართველ პოლიტიკურ მოღვაწედ მიიჩნევს, რადგანაც ქართველი პოლიტიკოსისათვის მიუღებელი იყო მსგავსი ქმედებანი არა მარტო საქართველოს უძღურების დროს, არამედ მისი უდიდესი ძლიერების ჟამსაც. ერთი ჩვენი მოღვაწე ამბობდა: “ერი თავის ნამდვილ სახეს უდიდესი სიძლიერის დროს ამჟღავნებს“.

თამარის პოლიტიკა ქრისტიანული სარწმუნოების მიერ ქადაგებულ კაცთმოყვარეობას ეფუძნებოდა.

თამარის ამ ჰუმანიზმს არაქართველმა ხალხებმა გასაოცარი სიყვარულით უპასუხეს. იგი არა მარტო ქართველ ერს, არამედ კავკასიის (განსაკუთრებით მთიანეთის, ჩრდილო კავკასიის) ხალხებსაც უყვარდა. ისინი საუკუნეთა მანძილზე აქებდნენ თამარს, უძღვნიდნენ ლექსებს, სიმღერებს, ლექსებს, რომლებშიც ჩაქსოვილი იყო მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული მისდამი.

თამარი ადამიანების საყოველთაო კეთილდღეობისათვის ზრუნავდა; მის სამეფოში დიდი სიმდიდრე დაგროვდა, მაგრამ ეს სიმდიდრე ღარიბებსაც ეძლეოდა - სახელმწიფო შემოსავლის მეათედი. დოვლათის ამ გადანაწილებას მკაცრად იცავდა და აკონტროლებდა ნდობით აღჭურვილი ზედამხედველი. აღსანიშნავია, რომ ქართული სახელმწიფოსათვის შემოსავლის მეათედის გადაცემა ღარიბებისათვის დავით აღმაშენებელამდეც ტრადიციული იყო, მაგრამ თამარი, ისევე როგორც დავით აღმაშენებელი, ღარიბებს არა მარტო სახელმწიფო ქონებას, არამედ პირად ქონებასაც, თავისი შრომით შექმნილსაც უნაწილებდა. საინტერესოა, რომ იგი პირად ქონებას სამეფო ქონებისაგან განარჩევდა მაშინ, როცა ჩვეულებრივ, ფეოდალურ ქვეყნებში ასეთი გარჩევა არ იცოდნენ.

მემკვიდრის სიტყვით, თამარმა სულიერი სიმშვიდე საზოგადოებაშიც დაამკვიდრა, მის დროს მათრახის ცემითა და სხეულის ნაწილების მოკვეთით დასჯა აღკვეთილი იყო.

თამარის დროს ფაქტიურად მოისპო სიკვდილით დასჯა, სიკვდილის დასჯის ღირსნიც კი არ დაუსჯიათ სიკვდილით, ავაზაკთა გარდა. ესეც დიდი ჰუმანური, წინ გადადგმული ნაბიჯია იმ დროის ქვეყნებთან შედარებით.

როგორც ითქვა, თამარმა შარვანი, დარუბანდი და ჩრდილოეთ კავკასიის ტომები საქართველოს უშუალოდ კი არ შემოუერთა, არამედ ისინი ყმადნაფიცობის პირობით დაიჭირა.

თამარის მოწყალება და ღვთისმოსაობა საყოველთაოდ იყო ცნობილი. “აღაესნა ეპისკოპოსნი და საყდარნი შესაწირვითა, თავისუფალ ყენა ეკლესიანი ხარაჯისა და ბეგარისაგან“ (“ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 34).

თამარი დიდი მლოცველი იყო. იგი თავისი ხელით და შრომით მოპოვებულს უყოფდა გლახაკთ. ერთხელ, ლოცვითა და ხელსაქმით დაღლილ მეფეს ჩაეძინა და იხილა ჩვენება, რომლის შემდეგაც თავისი ხელით თორმეტი შესამოსელი მოქსოვა მღვდელთათვის.

სამეფოს გაფართოებას, აყვავება-გაფურჩქნას, სახელსა და დიდებას თამარი სიამაყით როდი აღუვსია: “განა ამას ყოველთა ზედა აღზევდა გული თამარისი, განღაღნა ერთისაცა წარბისა აღებითა! არა, ნუ იყოფინ? არამედ უფროსად დამდაბლდებოდა წინაშე ღმრთისა მიმადლებული“ (“ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 129).

თამარს თავის მოსასვენებლის მახლობლად დაბინავებული ჰყოლია ხუცესები და მონაზვნები, რომელთაც თვითონ აჭმევდა, აძლევდა მოსახმარს, ხოლო უძღურებთან თვითონვე მიდიოდა მოსახილველად და ნუგეშის საცემად, თვითონვე უგებდა ლოგინს და უმზადებდა საწოლს (იქვე, გვ. 147). სასახლის ეკლესიაში წირვას ვერაფერს დააკლდებოდა. “წესი ლოცვისა დაუკლებლად აღესრულებოდეს“... ამიტომაც “ბჭედ ჯდა შორის თავისასა და მეზობელთა მეფეთა... მეორე სოლომონ იქმნა მეფეთა შორის“.

თავი X. ქართული ეკლესია XIII საუკუნეში

### ზოგადი მიმოხილვა

თამარის დროინდელი აყვავებული ქვეყანა მისი შეილებების მეფობისას მონღოლებმა დაიპყრეს. მართალია, 1242 წელს დაზავების შემდეგ მონღოლებმა ქართული სახელმწიფოებრიობა აღიარეს, მაგრამ ქართველებს ხარკი დაადეს. მათ ქვეყანა დუმენებად დაყვეს. 1248 წელს, მას შემდეგ, რაც დავით ნარინი (რუსუდანის ძე) და ულუ დავითი - ლაშას ძე საქართველოში დაბრუნდნენ, დუმენები გაუქმდა. 1259 წელს დავით ნარინი აჯანყდა, 1260 წელს - ულუ დავითი. ნარინი დასავლეთ საქართველოში მეფედ დაჯდა და მონღოლებისაგან თავისუფალი ქვეყნის მეთაური გახდა, დავით ულუ კი მონღოლებს დაექვემდებარა. 1272 წელს ტახტზე მისი ვაჟი დემეტრე II ავიდა, რომელიც 1289 წელს მონღოლებმა სიკვდილით დასაჯეს.

მონღოლებმა აღმოსავლეთ საქართველოში გაამეფეს დავით ნარინის ძე - ვახტანგი. იგი მალე გარდაიცვალა და მეფედ დაჯდა დემეტრეს ძე დავით VIII, რომელიც მონღოლთა წინააღმდეგ განუწყვეტლად აწყო ბრძოლა აჯანყებებს. ამიტომ მის სიცოცხლეშივე გაამეფეს მისი ძმები: ჯერ მცირეწლოვანი გიორგი, 1299 წელს, ხოლო 1302 წლიდან - ვახტანგი. ვახტანგი 1308 წელს გარდაიცვალა. დავით VIII კი - 1311 წ. ამის შემდეგ ტახტზე დავით VIII-ის ძე გიორგი მცირე აიყვანეს, რომელიც 1314 წ. გარდაიცვალა. ამავე წლიდან საქართველოს მეფეა გიორგი V ბრწყინვალე - გამათავისუფლებელი და გამაერთიანებელი საქართველოსი.

### სული თავდადებისა

XIII ს-ის დამდეგიდან ჩინგიზ-ხანის მეთაურობით მონღოლთა გაერთიანებულმა სახელმწიფომ მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი დაიპყრო აზიასა და ევროპაში, დაიმორჩილა ჩრდილოეთ ჩინეთი, კორეა, შუა აზია, ირანი, ავღანეთი და სხვა ქვეყნები. ჩვენი მემკვიდრე წერს, რომ მონღოლები ლაშქრობდნენ - “დიდსა საყიფადეთსა ზედა, ოვსეთს, ხაზარეთს და რუსეთს “ვიდრე ბნელეთამდე“ (“ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 163). “ბნელეთს“ მემკვიდრე ჩრდილოეთის პოლარულ ზონას უწოდებს. დასავლეთით ისინი მიუახლოვდნენ ევროპის ცენტრებს - “ვიდრე ბოლდართ და სერბეთამდე“ (იქვე, გვ. 81).

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთმა უძლიერესმა სახელმწიფომ არა მხოლოდ საქართველოს სრულიად დაპყრობა, არამედ ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებაც კი ვერ შეძლო. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, იგი მონღოლებს არასოდეს დაუპყრიათ, რის გამოც საქართველოს სამეფო ცენტრი იქ იქნა გადატანილი. მონღოლების ძირითადი ძალების შემოსევის დროს საქართველოს სახელმწიფოს სათავეში რუსუდან მეფე იდგა, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი გამოუცდელსა და ქვეყნის მესაჭეობისათვის გამოსადეგარ პიროვნებას უწოდებს.

იმის მაგიერ, რომ საქართველოს მთავარსარდალს, ავაგ მხარგრძელს მტრის წინააღმდეგ სრულიად საქართველოს ძალებით ებრძოლა, მან მტერთან საიდუმლო მოლაპარაკება გამართა, რითაც პირადი ქონება გადაარჩინა, საქართველო კი დაღუპა.

შეეძლოთ თუ არა საქართველოს მთავრობასა და მთავარსარდალს არ შეეწყვიტათ ბრძოლა და მონღოლებს გამკლავებოდნენ? უთუოდ შეეძლოთ. ამაზე მიუთითებს ის, რომ მონღოლებმა, მიუხედავად დიდი მონღოებისა, დასავლეთ საქართველოში შესვლა ერთხელაც ვერ შეძლეს.

მონღოლებმა ფაქტიურად უბრძოლველად დაიმორჩილეს აღმოსავლეთი საქართველო არამართლმადიდებელი მხარგრძელების შთამომავლების საეკლესიო რწმენის მქონე მანდატურთუხუცეს შანშეს, ივანე ათაბაგის ძის - ავაგ ამირსპასალარის, ვარამ გაგელისა და სხვათა წყალობით. ასეთ დროს ქართულმა ეკლესიამ საჭიროდ მიიჩნია შეწოლა საქართველოს დამშვიდების საქმეს. დაახლოებით 1242 წელს “რუსუდან მეფემ” ბათო-ყაენთან ვოლგისპირეთში გაგზავნა არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, რომელმაც მოაგვარა მონღოლებთან ზავის დადების საქმე. ამ ზავით მონღოლთა უმაღლესი ხელისუფლება სცნობდა ერთიან, განუყოფელ საქართველოს სახელმწიფოს, ქართველ მეფეს, ოღონდ აღმოსავლეთ საქართველოს გარკვეული ვალდებულება უნდა ეკისრა. დასავლეთ საქართველო კი, როგორც დაუპყრობელი მხარე, ამ ვალდებულებისაგან თავისუფალი იყო, თუმცა ხარკის გადახდა მთელ საქართველოს დაეკისრა.

1259 წელს მონღოლებს თბილისში მჯდომი საქართველოს ორი მეფიდან ერთ-ერთი, დავით ნარინი, რუსუდანის ძე აუჯანყდა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა. მეფე იმასაც კი ცდილობდა, თავისი გავლენა ტრაპიზონის სამეფოზეც, ღაზებით დასახლებულ ძველ ქართულ მხარეზეც გაეგრძელებინა. ულუ დავითსა და დავით ნარინს შორის საქართველოს სამეფოს გაყოფის დროს დავით ნარინს თბილისისა და სხვა დიდი ქალაქებისა და შემოსავლიანი ადგილების ნახევარიც ერგო, ე.ი. თავისუფალი საქართველო აღმოსავლეთის ნაწილსაც ფლობდა.

სამწუხაროდ, მონღოლთა ბატონობის დროს პოლიტიკური მმართველობის თვალსაზრისით საქართველო სამ ნაწილად გაიყო: აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ “საქართველოებად”, მაგრამ მათ ქართული ეკლესია აერთიანებდა. სწორედ ამიტომ ამ დაშლის ეამსაც ქართველებს თავიანთი ქვეყნის საზღვრებად ძველებურადვე ნიკოფსია და დარუბანდი ჰქონდათ წარმოდგენილი, აღმოსავლეთ საქართველოს საზღვარი “თეთრწყალზე” (ანუ ახსუზე) გადიოდა (ქ. შამახასთან, ამჟამინდელ ახერბაიჯანში) საიდანაც დარუბანდამდე ანუ კასპიის ზღვამდე მხოლოდ 60-70 კმ-ია.

ეს მდინარე ქართველთა ეთნიკური განსახლების აღმოსავლეთი საზღვარი იყო, არა მარტო მონღოლების დროს, არამედ წინა საუკუნეებშიც. მაგალითად, როცა X ს-ის II ნახევარში კახეთი და ჰერეთი გაერთიანდნენ, ეს გაერთიანება ვრცელდებოდა მდ. ახსუმდე. ამ კუხეთში ქართველები (ჰერები) მჭიდროდ იყვნენ დასახლებული, მაგრამ როცა მის მახლობლად მონღოლებმა საძოვრები გაიჩინეს, კუთხე მოსახლეობისაგან დაიცალა, მცირერიცხოვანი ქართველობა გადაგვარდა.

სამხრეთით საქართველოს საზღვარი გადიოდა მდ. არაქსზე (რახსზე). ანისი და დვინიც ძველებურად კვლავ საქართველოს ქალაქები იყო. ტაოც საქართველოს ეკუთვნოდა. კონსტანტინის შეთქმულთა შორის ტაოელი მეამბოხენიც მოიხსენიებიან. მესხეთში ბექას მთავრობის დროს საქართველოს საზღვრებში ჭანეთიც შემოდიოდა, რომელიც ბიზანტიამ დათმო. დასავლეთ საქართველოს საზღვარი შავი ზღვა იყო.

მონღოლთა მძლავრობის უსასტიკეს საუკუნეში ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა ეროვნული საზღვრები, სახელმწიფოებრიობა, ეთნიკური ერთობის გრძობა, მაშინ როცა საქართველოს მეზობელ ქვეყნებს მონღოლებმა ეთნიკური სახეც შეუცვალეს. საქმე ის იყო, რომ მონღოლებმა ვერ შეძლეს საქართველოში ჩასახლება, მაშინ როცა მათ საქართველოს მეზობლად მდებარე რანი, მუღანი, შარვანი და ასევე სომხეთის ტერიტორიები საზამთრო და საზაფხულო ბანაკებად აქციეს.

მონღოლთა ლაშქარს, რომელიც მთლიანად ცხენოსანი იყო, თან ახლდა მათივე დედაწული (ოჯახები). ასეთი ლაშქრის უბრალო გადაადგილება კი ხალხთა გადმოსახლებას უფრო ჰგავდა. სადაც ისინი გაივლიდნენ ან დაბანაკდებოდნენ, ის ადგილები უკაცრიელდებოდა, ყანები და ბაღ-ვენახები მათი ცხენებისა და აქლემების ფლოქვებით ითელებოდა (საქ. ისტ. ნარკვ. ტ. III გვ. 582).

საქართველოს ზოგიერთი სანაპირო მხარე მაინც ვერ გადაურჩა განადგურებას. 1265 წ. ჩრდილოეთიდან ბერქა-ყაენის შემოჭრის შემდეგ იორისა და ალაზნის აყვავებული სოფლები მოიხპო და დიდი ხნით გაუკაცრიელდა. მონღოლთა სადგომის, განძა-ბარდავი-მუღანის სიახლოვე (“მეზობლობა”) გახდა იმის მიზეზი, რომ საქართველოს აქაური საზღვრები უფრო მოოხრდა, ვიდრე სხვა ადგილები.



მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხი ეთნიკურ გადაგვარებას გადაურჩა. ჩვენი მეზობელი ალბანელები, რომელთაც თურქ-სელჯუკების შემოსევის შედეგად ეთნიკური სახე დაკარგეს, მონღოლების ბატონობის ქამს სრულებით გაქრნენ, ხოლო სომხეთის უმთავრესი ქალაქებიდან ლტოლვილი სომხები საქართველოსა და სხვა ქვეყნებს აფარებდნენ თავს.

აღსანიშნავია, რომ მონღოლთა მძლავრობას ქართველმა ხალხმა მაღალი ქრისტიანული მორალით, ურთიერთსიყვარულით, ურთიერთგაბატონით, თავდადებით უპასუხა. მრავალმა ქართველმა დადო სული მოყვასისა და სამშობლოს გადასარჩენად.

თავს დებდა არა მარტო რიგითი ქართველი - მეფისა და მამულისათვის, არამედ მეფეც - ერის გადასარჩენად.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, ქართველები თავს მხოლოდ სარწმუნოებრივი მოსაზრებით დებდნენ და ამ თავდადების სანაცვლოდ ქრისტესაგან მოელოდნენ სულის ცხონებასო. ცხადია, ასეც იყო, ოღონდ მონღოლთა ბატონობის დასასრულს. საქართველოში შემოსვლისას კი მონღოლები ქრისტიანებს არ ავიწროებდნენ (მონღოლები ჯერ კიდევ არ იყვნენ მაჰმადიანები). ამიტომ სარწმუნოებისათვის თავდადება შემდეგში გახდა საჭირო. ისლამი მხოლოდ ყაზან-ყაენის (1295-1304) დროს გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად. საინტერესოა, რომ მონღოლებს ქრისტიანთა დევნა სპარსულ მაჰმადიანთა წაქეზებით დაუწყიათ.

საყოველთაოდ ცნობილია დემეტრე II-ის თავდადება ერისათვის. მეფე თავისი ფეხით წავიდა ურდოში, სადაც დააპატიმრეს. სასიკვდილო სასჯელის მოლოდინში საშუალება მიეცა ურდოდან გაპარვისა. ერთგულებმა ურჩიეს: აჰა, შენი თავი შენს ხელშია, დამით წაიყვანე მორბედი ცხენები და წადი, განშორდი ამათ, რამეთუ არ არსებობს შენი სულის ნაცვალიო. მაშინ მეფემ კეთილსმყოფელებს უთხრა: “ისმინეთ ჩემი, რამეთუ თავიდანვე ვიცოდი, რომ სიკვდილი მელოდა, მაგრამ დავდე თავი ჩემი და სული ჩემი ერისთვის. ახლა თუ გავიპარები, უბრალო ერს მოაოხრებენ და რა სიკეთე იქნება ჩემთვის ყოველი სოფელი შევიძინო და სული წარვიწყმიდო“ (“ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 290).

ქართველი მემკვიდრე მონღოლებს ხშირად კარგად ახასიათებს. მართლაც მონღოლებს აღმოაჩნდათ ის უნარი, რაც არ გააჩნდათ საქართველოს სხვა მტრებს. კერძოდ, მონღოლებს არ უყვარდათ ცრუ და ორგული ადამიანები. ამიტომ მათ გარკვეული სიმპათიები გასჩენიათ ქართველთა მიმართ, რომელნიც თურმე განსხვავებით სხვათაგან - უღალატონი და ერთგულნი ყოფილან.

მონღოლთა ერთ დიდ ყაენს საგანგებო მოციქულები გაუგზავნია დაპყრობილ ქვეყნებში ამ ქვეყანათა გასაცნობად (დაპყრობათა ეპოქის დასაწყისში). მათ ყაენისათვის უცნობებიათ, რომ ქართველებს აქვთ “სჯული კეთილი და ტყუილსა ელტვიან და მწამელელი არცთუ სახელ-იდუბის მათ შორის“ (გვ. 196). სპარსელთა შესახებ კი მოახსენეს - “არიან სპარსნი ცრუ, მოღალატე, ფიცის არშემნახველი და მრავალნი იპოვებიან მწამელელნი“.

ჩვენი მემკვიდრის აზრით, ქართველებმა მონღოლთა ბატონობის დროს თავიანთი სახელმწიფოებრიობა, მეფობა, ქართული სამეფოს საზღვრების ფაქტიურად ხელშეუხებლობა თავიანთი მაღალი ადამიანური თვისებებით შეინარჩუნეს, რომელთა დაფასების უნარი მონღოლებსაც აღმოაჩნდათ.

სწორედ თავდადებისა და ურთიერთსიყვარულის გამო გადაარჩინა დედა ღმრთისმშობელმა ქართველთა ლაშქარი ალამუთის (აულეხელი ციხესიმაგრე, რომელიც მონღოლებმა დიდი ბრძოლის შემდეგ 1256 წ. აიღეს) ბრძოლების დროს, როცა ერთმა მულიდმა ჩაღატა ნოინი მოკლა და ეს მკვლელობა ქართველებს ბრალდებოდა.

მემკვიდრე ქართველთა თავგანწირვის უამრავ შემთხვევას აღწერს: მაგალითად, თავდადებას ივანე ახალციხელის ძის დავითისას, რომელიც რუსუდან მეფის მიერ მონღოლთა ყაენთან გაგზავნილ საქართველოს ამირსპასალარს ავაგს ახლდა თან, მესხეთის მთავრის სარგის ციხისჯვრელისას, საქართველოს მეფის - ულუ დავითის გადასარჩენად (1264 წ.) რომ თავი დასდო. მსგავს თავდადებათა რიცხვს მიეკუთვნებოდა ცოტნე დადიანის გმირობაც (1246 წ.).

მონღოლთა შემოსვლისას, მართალია, საქართველოს მთავრობამ უსუსურობის გამო სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოახერხა, მაგრამ ერმა შინაგანი მაღალსულიერებით საქართველოს გადარჩენა და მონღოლთა ბატონობის უღლის გადაგდება შედარებით მოკლე დროში შეძლო. მონღოლები აღმოსავლეთ საქართველოში 100 წელი ბატონობდნენ, რუსეთში - 300 წელი, თანაც დასავლეთ საქართველო დაუპყრობელი დარჩათ. რაც მთავარია, არ მოხდა მონღოლ-ქართველთა ურთიერთშერევა და ქართველობა უცხო ხალხში არ გაითქვიფა, როცა სხვა ერებს მონღოლებმა თავიანთი ეთნიკური სახე (მონღოლოიდური) მისცეს, რასობრივად ამ ხალხებს თავიანთი ნიშანი დაადეს.

ერთგულება და სიყვარული ძველქართული თვისებაა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველებს ერთმანეთის მიმართ შური და მტრობაც ჰქონდათ. შურდათ განსაკუთრებით გამოირჩეული ადამიანებისა. შური მტრობას ბადებდა, რაც გამოიწვივდა ქართველებს ერთმანეთს აშორებდა. ქართველთა ეს თვისება მონღოლებსაც შეუმჩნევიათ - “თქვენ, ქართველნი არა კეთილს უყოფთ მხნედ მბრძოლთა წყობათა შინა“ (“ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 250).

ამ ნაკლს თვითონ ქართველებიც კარგად გრძობდნენ: “ჩვენ ურთიერთს დაუმორჩილებელ ვართ“ (გვ. 218).

ეტიყობა, ეს თვისებაც იყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ მონღოლთა წინააღმდეგ ერთიანი ქართული ფრონტი ვერ შეიკრა, ქართველი წარჩინებულები ვერ გაერთიანდნენ მონღოლების წინააღმდეგ.

მანამდე, 1225 წელს, ხვარაზმმა ჯალალედინის შემოსევისას რუსუდანმა ქართველთა ლაშქარს ივანე ათაბაგი უსარდლა. შებრძოლება საქართველოს სამხრეთით სოფელ გარნისთან (ამჟამინდელ სომხეთში) მოხდა. ქართველთა ლაშქარი დამარცხდა და მარცხის მიზეზი ურთიერთშური და მტრობა იყო.

ამ ომში ქართველთა ლაშქარში მეწინავენი მესხები იყვნენ შალვა და ივანე ახალციხელების მეთაურობით. წესით მთავარსარდალს დამხმარე ძალა უნდა მოეშველებინა ქართველი წინამბრძოლებისათვის, მაგრამ ივანე ათაბაგმა არაფერი იღონა. ივანე ახალციხელი ამ ომში დაიღუპა, ხოლო შალვა ტყვედ ჩაიგდეს. ტყვეობაში იგი მოწამეობრივად აღესრულა.

მემატიანე ამბობს, რომ საქართველოს დაცემასა და განადგურებას (ჯერ ხვარაზმელების, შემდეგ კი მონღოლების მიერ) საფუძველი სწორედ ამ ომში დამარცხებით დაედო. გარნისის ომში ქართველთა ლაშქარს ფაქტიურად არც უომია გარდა მცირერიცხოვანი ნაწილისა, რომელიც ახალციხელების მეთაურობით მტრის უზარმაზარი ლაშქრის წინაშე მარტო აღმოჩნდა, და რაც ყველაზე გასაოცარია, მტრების დამარცხების შემდეგ ივანე ათაბაგი ურცხვად უკუიქცა და სადღაც ციხეში ჩაიკეტა.

შემდეგ მტრმა თბილისიც აიღო, სადაც ხვარაზმელებმა დახოცეს ის 100000 ქრისტიანი, რომელთაც სარწმუნოების შეცვლაზე უარი თქვეს და მოწამეობრივი გვირგვინი დაიდგეს. ერთმანეთის ქიშპით დაქანცული წარჩინებულების გაერთიანება რუსუდან მეფემ ვერ შეძლო. ამიტომაც მონღოლებმა ადვილად აიღეს საქართველო.

ივანე ათაბაგის შური, დალატი თუ უუნარობა აშკარად გამოჩნდა გარნისის ომში და ამ შურმა სრულიად საქართველო მოსპო უღმობლადო, - ამბობს მემატიანე.

მანდატურთუხუცესმა შანშემაც მხოლოდ თავის პირად საგამგებლოზე (ანისზე) იზრუნა. მონღოლებს ვარამ გაგელიც დაუზავდა, საქართველოს სხვა კუთხეები კი სასტიკად ირბოვდა. მალე ეს კუთხეებიც იძულებით “მიენდნენ თათართა... ხოლო მესხნი სათნოებისათვის მეფისა რუსუდანისა, არა მიენდვნეს“. მაშინ როცა მხარგრძელები მუდამ მტერთან კომპრომისს ეძიებდნენ, ჯაყელები მეფისადმი ერთგულებას იჩენდნენ.

საქართველოს განადგურებას, შინააშლილობის გარდა ხელი მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამაც შეუწყო. იგი ერთმანეთისადმი სამკედრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულ მონღოლთა ორ ურდოს შორის (ჩრდილოეთ და სამხრეთი ურდოები) აღმოჩნდა. ჩრდილოეთის ოქროს ურდო სამხრეთის ტერიტორიების დაკავებას ცდილობდა. სამხრეთში კი ირანის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ილხანთა საყაენო, რომელმაც თავის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრად დღევანდელი აზერბაიჯანი აქცია.

კავკასიონის გადმოსასვლელები, დარიალისა და ნაწილობრივ დარუბანდის კარები ქართველთა ხელში იყო, ამიტომაც ურდოთა შორის ატეხილი ქიშპით პირველ რიგში სწორედ ქართველები ზარალდებოდნენ. 1264 წელს ულუ დაითი დასჯისაგან იხსნა ცნობამ იმის შესახებ, რომ ოქროს ურდოს ყაენი ილხანთა სამფლობელოში შესასვლელად დაიძრა. ილხანთა ჰულაგუ-ყაენმა ქართველი მეფე იმის შიშით გაათავისუფლა, ვაითუ უკმაყოფილო ქართველებმა ოქროს ურდოს ყაენს დარიალის შემოსასვლელი დაუთმონო. სწორედ ამ გარემოების გამო შემოიყვანეს მონღოლებმა და თათრებმა (აქ თემურლენგიც იგულისხმება) საქართველოში ოსები.

საქართველოში ოსები დარუბანდის გზით შემოვიდნენ და ზოგიერთი მდინარის ხეობაში დამკვიდრდნენ. პირველად - საქართველოს მთაში ოსები შალვა ქვენიფნეველის დალატის შემდგომ განდნენ. ამ მოლაღატემ მონღოლები, რომელთა ჯარშიც ქართველებიცა და ოსებიც შედიოდნენ, მთაში აიყვანა, მაგრამ საქართველოს მთიანეთში ოსების პირველი ტალღა ძირითადად თემურლენგმა დაასახლა.

უძველესი დროიდანვე ამ გადმოსასვლელებზე - ნარ-მამისონიდან დარიალამდე ცხოვრობდა ქართული ტომი დვალები, რომელთაც ქართული ენა და კულტურა, ყოფა-ცხოვრება და ჩვევები ჰქონდათ. ამიტომ ისინი მუდამ საქართველოს მეფის ერთგულნი და მორჩილნი იყვნენ. თემურლენგმა გადაწყვიტა დვალეთში თავისი ერთგული და ამავე დროს ოქროს ურდოს დაუძინებელი მტერი - ოსების ტომი დაესახლებინა.

XIV ს-ის დამდეგისათვის ილხანთა მონღოლებმა ყაზან-ყაენის დროს მაჰმადიანობა მიიღეს. მარტო პირველ დღეს 200000 მონღოლი მოექცა ისლამზე მალე “თათარი“ არა მონღოლის, არამედ მაჰმადიანის სინონიმად იქცა.

დვალა ღმრთისმშობელი - შემწე ქართველთა

მემატიანის შეფასებით ძე თამარისა, მეფე საქართველოსი გიორგი ლაშა “იყო ყოველთა მეფეთა უმეტეს უხვი და არავისთვის მოშურნე, მლოცველი, მმარხველი და განმკითხავი და მოწ-

ვალე“ (“ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 154), მაგრამ ასეთი ყოფილა ის მხოლოდ გარკვეულ დრომდე. შემდეგ კი მხნე, ახოვანი და ძლიერი მეფე ლაღი, ამპარტავანი, თავხედი და თვითბუნება გახდა (გვ. 156).

მეფე ლაშა გიორგის ხასიათის შეცვლის მიზნი ყოფილა მიდრეკა ცოდვებისაკენ: “ნაყროვანება“, “მსმურთა თანა მიდრეკა“, “დედათა უწესოთა თანა აღრევა“, რაც საზოგადოდ, ქართველ მეფეთა სახლისათვის უცხო იყო.

რატომ აქცევს მემატინე განსაკუთრებულ ყურადღებას ლაშა გიორგის ცოდვებს? იმიტომ, რომ ისინი საუკუნეთა მანძილზე საქართველოს უბედურების საბაბად ქცეულა. ლაშას უკანონო ძე - დავითი მონღოლებმა გაამეფეს. თავის მხრივ რუსუდან მეფემაც უკანონოდ გაამეფა თავისი ვაჟი. ამან საქართველოში ორმეფობა გამოიწვია, რასაც ქვეყნის გაყოფა და მრავალი, ენით აუწერელი უბედურება მოჰყვა. შედეგად ლაშა გიორგის ცოდვა საუკუნეთა მანძილზე მთელმა ერმა მიიღო. სწორედ ამას ჭვრეტდა წინასწარ ეკლესია და ამიტომაც მოუწოდებდა მეფეს - მოეშალა სიავენი. უკანონობამ უკანონობა დაბადა, უწესობამ - უწესობა.

ერთხელ კახეთის სოფელში, ველისციხეში, მეფემ იხილა მშვენიერი ქმრიანი ქალი, რომელმაც გონება დააკარგვინა. ცოლად დაისვა და დიდად შეიყვარა. მისგან მეფეს ძე - დავითი შეეძინა, რომელსაც მემატინე “დიდთა განსაცდელთა მეფეს“ უწოდებს.

ლაშა გიორგიმ არ ინება კანონიერი ცოლის მოყვანა, არ შეისმინა არც კათალიკოსის, არც ეპისკოპოსთა და არც ვეზირთა თხოვნა, ამიტომაც წაართვეს ეს ქალი, დავითის დედა და თავის-სავე ქმარს დაუბრუნეს. სამწუხაროდ მეფემ არც ამის შემდეგ იქორწინა და არც ბოროტი ჩვევები მოიშალა.

მწარე ბედი ერგო დავითს, ლაშას ძეს. მამამ იგი გარდაცვალების წინ, თავის დას რუსუდანს, ჩააბარა აღსაზრდელად და შემდგომში გასამეფებლად, მაგრამ ლაშას შემდეგ დიდებულებმა რუსუდანი გაამეფეს. დედოფალმა კი ტახტზე თავისი ძის, დავითის გამეფება და ძმისწულის მოშორება განიზრახა. ამიტომ გაგზავნა იგი თავის ასულთან, რუმის სულთნის მეუღლესთან.

რუსუდანმა “დაივიწვა შიში ღმერთისა და ანდერძი ძმისა“, საშინელი ცილი დასწამა დავითს. ამის გამო სულთანმა შეიპყრო დავითი, ჯერ სასტიკად აწამა, ხოლო შემდეგ მენავეებს ჩააბარა და მისი ზღვაში გადაგდება უბრძანა. დავითმა ამ განსაცდელის წინ ღმერთისმშობლის ხატის წინ ილოცა, რომელსაც მუდამ თან ატარებდა. ზღვაში გადაგდებული დავითი გამოირიყა ნაპირზე, სადაც ერთმა ვაჭარმა იპოვა, მაგრამ ეს ამბავი, მალე გამჟღავნდა. სულთანმა ისევ შეიპყრო და დიდ მშრალ ჭაში ჩააგდო, რომელშიც შხამიანი გველები ბუდობდნენ. დავითს თან ჰქონდა ღმერთისმშობლის ხატი, რომელმაც ისევ დაიცვა იგი. ასე გაგრძელდა შვიდი წელი.

საქართველო უმეფოდ დარჩა. შეიკრიბნენ დიდებულები და გადაწყვიტეს, დავით ლაშას ძე მოექებნათ. მონღოლებმაც ნება დართეს. ძლივსლა სუნთქავდა, ჭიდან რომ ამოიყვანეს. სულთანს მეფისწული შეებრადა, განზანა, პატივი სცა და საქართველოში გამოუშვა. დავით ულუ მეფობის დასამტკიცებლად მონღოლეთში გაგზავნეს. ბათო-ყაენმა იგი მეფედ დაამტკიცა და დიდი პატივით საქართველოში წარმოგზავნა. აჯანყების შემდეგ ურდოში მისვლისას მეფე სიკვდილს ელოდა და ღმერთსა და მეტეხის ყოვლადწმიდა ღმერთისმშობელს, რომელზეც მინდობილი იყო, გადარჩენას მხურვალედ ევედრებოდა. მართლაც დავით ულუ საქართველოში მშვიდობიანად დაბრუნდა.

მეფე დავითის სიბაზე I \*1 სიბა - საქართველოს სახელმწიფოს საზღვრის უკიდურესი ნაწილი მდ. თეთრწყალთან, ანუ ახსუსთან.\* წასვლის წინ მისი პირმშო - გიორგი, მუცლის ტკივილით (ტიფით) დაავადდა და სენი ისე გაუძლიერდა, თითქმის მკვდარს დაემსგავსა. ამ მწუხარების უამს მეფეს ღმინისის ღმერთისმშობელი გაახსენდა და მის მოსალოცად წავიდა. მლოცველები ფეხშიშველნი მიყვებოდნენ და დედღვთისას ბავშვის გადარჩენას მხურვალედ ცრემლით ევედრებოდნენ. შეისმინა მათი ვედრება ღმერთისმშობელმა და ავადმყოფი გამომჯობინდა.

თვით მეფე, სიბაზე ტიფით დასნეულდა, რადგან მისი განკურნება ვერ შეძლეს, საკაცით წამოიყვანეს. მეფე მარტყოფის ხელთუქმნელ ხატს ცრემლით შეევედრა და განიკურნა. ლამის მთელი ცხოვრება ასე გაატარა, მაგრამ სიბერის უამს სამწუხაროდ საეპისკოპოსო საყდრების (კათედრების) მოშლა დაიწყო; ასევე მოეპყრო მონასტრებსაც. ამიტომაც სიბაზე კვლავ დასნეულებულ მეფეს მარტყოფის ხელთუქმნელმა ხატმა შეგვლა.

ივანე ათაბაგის შურის გამო ტყვედ ჩავარდნილი შალვა ახალციხელი ჯალალედინმა მაშინვე როდი მოკლა. თავისთან დაიტოვა, დიდი პატივით ეპყრობოდა და ტკბილი სიტყვით ცდილობდა, შალვას სჯული დაეტოვებინა, მაგრამ ვერ გადაიბირა. მრავალი ტანჯვის შემდეგ შალვა ახალციხელი მოწამებრივი სიკვდილით აღესრულა და წმინდანის გვირგვინი ხვდა წილად.

ჯალალედინის ლაშქარი გარს შემოადგა თბილისს. თბილისელმა სპარსელებმა მტერს კარი გაუღეს და ქალაქი ომის ასპარეზად იქცა. მტერი უწყალოდ მუსრავდა თბილისელებს. სულთანმა სიონის გუმბათი მოახსნევინა და ბილწი დასაჯდომელი ააშენებინა. სიონის ხატები - მაცხოვრისა და ღმერთისმშობლისა ხიდის თავთან დაადებინა და ბრძანა, შეპყრობილ ქრისტიანებს ფეხით გადაეველოთ მათზე. ვინც უარს იტყოდა, იქვე მოეკლათ. მოკლულთა რიცხვმა

100000-ს მიაღწია. “აქა ბრწყინვალე ძლევა აჩვენეს ქართველთა და მრავალნი წამების დადებითა იდიდნეს“.

თავის მხრივ არც უფალმა მიატოვა თავისი სამწყსო - ქართველი ერი და მას ამ გასაჭირში მრავალგზის შეეწია. ცნობილია, რომ ალამუთის ციხის აღება მონღოლებს გაუჭირდათ და ბრძოლა, რომელშიც ქართველთა ჯარიც მონაწილეობდა, 7 წელს გაგრძელდა. ალამუთის მეპატრონე მუღილები ანუ ასასინები ცნობილი იყვნენ როგორც კაცის მიპარვით მკვლელნი. ერთხელაც ერთმა მუღილმა მონღოლთა ნოინიხაღატა მოკლა. მონღოლებმა მისი სიკვდილი ქართველებს დააბრალებს და მათკენ დაიძრნენ. ქართველთა წარჩინებულებმა შეიბრალებს ქართველი მოლაშქრენი: მათ გადაწყვიტეს, არ შებრძოლებოდნენ მონღოლებს: თუ არ შევებრძოლებით, მარტო ჩვენ, წარჩინებულებს დაგვხოცავენ და ქართველების უმრავლესობა ამით გადარჩება, ხოლო თუ შევებრძოლებით - ყველას ამოგვხოცავენო. უკლებლივ ყველა ქართველმა სამ-სამჯერ მოიდრიკა მუხლი და ღმრთისმშობელს შეევედრა: “მოწყალებისა კარი განგვადე კურთხეულო ღვთისმშობელო, რათა რომელი ესე შენ გესავთ არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდეგობათა მტერთაგან“. შეიბრალა ყოვლადწმიდამ ქართველთა ლაშქარი და მკვლელს დანაშაული აღიარებინა.

უფალი მუღამ იცავდა ქართველობას, მაგრამ თვით ქართველებში გამრავლდა ცოდვები. სამწყსაროდ, ბოლოს საეპისკოპოსოებისა და მონასტრების ქონების ხელყოფაც კი იკადრეს, რისთვისაც დაისაჯნენ. ვნების კვირის ოთხშაბათს მძაფრი მიწისძვრა მოხდა, რაც მთელი კვირა გაგრძელდა. თვით აღდგომის დღესაც კი მიწა შეიძრა, გაიპო და შავმა წყალმა ამოხეთქა. აწყურის ტაძარი დაიქცა, გუმბათი ჩამოვარდა და აწყურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატს, როგორც ქუდი ისე დაეხურა. ხატი უვნებლად გადარჩა. ამ მიწისძვრამ მთელ საქართველოში უამრავი სული გაწყვიტა.

მეფე დემეტრემ, წარმართ მონღოლთა მსგავსად სამი ცოლი მოიყვანა. ბასილი მონაზონმა მეფის უწყსო ქორწინებანი ამხილა, მაგრამ უშედეგოდ. მაშინ მან მეფეს ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ძალით უწინასწარმეტყველა, რომ თუკი არ შეისმენდა და ცოდვას არ განეკენებოდა, მეფობა ჩამოერთმეოდა, ხოლო მისი შვილები განიბნეოდნენ. ყოველივეს მიუხედავად მეფე დემეტრე სიყვარულით იცავდა თავის ხალხსა და ქვეყანას, საბოლოოდ კი თავი დასდო ერისათვის, ის მოწამებრივად მოკლეს. დემეტრე მეფის დამსჯელი ყანი არღუნი რამდენიმე წლის შემდეგ ავადმყოფობით დაუძღურებული იმავე დღეს (12 მარტს) და იმავე საათზე დაახრჩვეს, როცა მეფე დემეტრეს მოჰკვეთეს თავი.

დიდი გასაჭირის ჟამსაც ქართველ ხალხს ღმერთი მუღამ ამარჯვებინებდა.

#### თავი XI. ქართული ეკლესია XIV საუკუნეში მეფე გიორგი ბრწყინვალე

გიორგი ბრწყინვალემ (1314-1346), სრულიად საქართველოს მეფემ, თავისი სკიპტრის ქვეშ მთელი საქართველო შემოიკრიბა. პირველ რიგში მესხეთი (სამცხე-კლარჯეთი) შემოიმტკიცა (მონღოლთა თანხმობით), შემდეგ ქვეყნის საზღვრებიდან ოსები გააძევა, რომელთაც ადგილ-ადგილ დაბები და ციხეები ეჭირათ. ამ დროს ოსებს მონღოლები ისე აღარ უმაგრებდნენ ზურგს, როგორც წინა მეფეების დროს. მონღოლი ხელისუფალნი გიორგი მეფისადმი კარგად იყვნენ განწყობილნი. გიორგი მეფემაც კავკასიის უღელტეხილები თვითონ დაიჭირა და კავკასიაში ყოველნი მოწინააღმდეგენი შემუსრა. ამით ოსებს ქართლში შემოსასვლელი გზები მოეჭრათ და ქვეყანამ მათგან მოისვენა. ოსების ქართლიდან გაძევება მონღოლთა ბატონობის გადაგდების ნიშანიც იყო.

მაღე თვითონ მონღოლ ხელისუფალთა შორის სასტიკი ომები დაიწყო, მათი სახელმწიფოს ერთობა მოისპო და ქვეყანა დაიშალა. ამით სასწრაფოდ ისარგებლა მეფე გიორგიმ და საქართველო მონღოლთა ბატონობისაგან გაათავისუფლა. ეს ფაქტი საქართველოს სახელმწიფოს ძლიერებაზეც მიუთითებს, რადგან სხვა ქვეყნებში მონღოლები ამის შემდეგაც კვლავ დიდხანს ბატონობდნენ.

მაღე გიორგი მეფემ საქართველოს მისი დასავლეთი ნაწილიც შემოუერთა, სადაც მონღოლები ვერ ბატონობდნენ. მანამდე ვითომდა “სადარბაზოდ“ ის ერისთავები შეკრიბა, რომლებიც მიზნად მეფის ხელისუფლების დამხობას ისახავდნენ, რისთვისაც მათ მხარს უჭერდნენ მონღოლები, და ყველანი დახოცა. ეს მოხდა “ცივისა ზედა ჰერეთისასა“.

გაძლიერებულმა გიორგი მეფემ ინება, საქართველო ძველ საზღვრებში - ნიკოფსიიდან დარუბანდამდე აღედგინა. მან ჯერ დარუბანდის მიმართულებით შემოიმტკიცა რანი, რის შემდეგ დასავლეთ საქართველოს შემომტკიცება გადაწყვიტა. იქაურ მოსახლეობას მოეთათბირა, “ეზრახა იმერთაო“, წერს მემბტიანე. მოსახლეობა მეფის განზრახვას სიხარულით შეეგება. ვახუშტის მიხედვით ეს ამბავი 1330 წელს მომხდარა.

აღმოსავლეთის (დარუბანდი) და დასავლეთის (ნიკოფსია) საზღვრების შემომტკიცების შემდეგ მეფემ ჩრდილოეთის საზღვრების განმტკიცებაზეც იზრუნა. ამის შემდეგ რანი, მოვაკანი, სომხეთი კიდევ უფრო მეტად შემოიმტკიცა.

გიორგი ბრწყინვალეს უყურადღებოდ არც საეკლესიო საქმეები დაუტოვებია. შეკრიბა ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსები, ეპისკოპოსები სრულიად საქართველოსი და შესაბამისი დადგენილებანი მიადებინა. კრების მონაწილეებმა “განაახლეს წესნი... და უწესურნი განჰკვეთნეს“.

მეფე გიორგიმ დაშლილი საქართველო კვლავ გააერთიანა და მსგავსად დავით აღმაშენებლისა, ადავსო და ალაშენა, დანგრეული და მოოხრებული ეკლესიები განაახლა და განანათლა, რანი, მოვაკანი, შარვანი თავის მოხარკეებად აქცია. ყველა მტერი, სადაც უმჯობესი იყო ბრძოლით და ძალით, ხოლო სადაც სჯობდა, სიბრძნე-გონიერებითა და მეცნიერებით დაიმორჩილა და დაამშვიდა.

გიორგი ბრწყინვალე კეთილი მეფობით მეფობდა 28 წელი. იგი თბილისში გარდაიცვალა 1346 წელს.

გიორგი მეფემ თავისი ავტორიტეტი ქართული ეკლესიის უფლებების აღსადგენად გამოიყენა, რაც იერუსალიმში ქართული ეკლესიის უფლებების დაცვით გამოიხატა.

ამ დროს იერუსალიმისა და მახლობელი აღმოსავლეთის წმინდა ადგილები ეგვიპტის სულთნების ხელში იყო. არადა უკვე XII ს-იდან მთავარ სალოცავ ადგილებს ქართველები ფლობდნენ. დავით აღმაშენებელმა სინის მთის ის მწვერვალიც კი დაიკავა, სადაც ძველი აღთქმის მიხედვით მოსეს ღმერთი გამოცხადდა.

საქართველოს პოლიტიკური ძლიერების შერყევისთანავე ქართველების მდგომარეობა პალესტინაშიც შეირყა. იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან (რომელიც პროსორეს თაოსნობით იყო აგებული) ქართველი ბერები მე-13 ს-ის 60-70-იან წლებში მაჰმადიანებმა გააძევეს და ტაძარი მიზგითად აქციეს. როგორც მკვლევარნი ვარაუდობენ, 1305 წელს ქართველებმა მეფე დავით VIII-ს (1293-1311) მეშვეობით, მართალია, “სარკინოხთავან“ (მამლუქებისაგან) ჯვრის მონასტრის განთავისუფლება შეძლეს, მაგრამ საზრუნავი ბევრი რჩებოდა. მაგალითად, ქრისტეს აღდგომის ეკლესია, გოლგოთა და ქრისტეს საფლავი (ერთი სამონასტრო კომპლექსია) კვლავ ეგვიპტელებს ეპყრათ.

გიორგი მეფეს ორჯერ გაუგზავნია ელჩები ეგვიპტის სულთანთან - 1316 და 1320 წლებში დიდი ძღვენით. სულთანმა სიხარულით მიიღო მათგან გამოსასყიდი თანხა - “ძღვენი“ და ქართველებს “მისცნა კლიტენი იერუსალიმისანი“.

1331-41 წლებში იერუსალიმში მყოფი უცხოელი მოგზაური აღნიშნავს, ქრისტეს საფლავის სალოცავის გასადები ქართველების ხელშია და კენჭსაც კი არავის აძღვევენ ამ საფლავიდანო.

ქრისტეს საფლავის ეკლესიის გასადები ქართველთა ხელში XV ს-ის შუა წლებამდე ყოფილა, სანამ იგი ფრანცისკანელებმა არ ჩამოართვეს.\* \*ქრისტეს საფლავის მცირე ეკლესია იერუსალიმში აღდგომის ეკლესიის კომპლექსშია მოქცეული. ქრისტეს საფლავის ეკლესიაზე ყოველ აღდგომას ზეციდან გადმოდის ცეცხლი, რომელსაც ამჟამად იერუსალიმის პატრიარქი იღებს. XV ს-მდე კი მას ქართველი მღვდელმთავარი იღებდა.

როცა XVI ს-ში სომხებმა აღდგომის ტაძრიდან ქართველი მღვდელმთავარი გამოაძევეს და ტაძარს თვითონ დაეპატრონენ, ზეციური ცეცხლი გადმოვიდა არა ქრისტეს საფლავის ეკლესიაში, არამედ აღდგომის ტაძრის შესასვლელი კარიბჭის სვეტიდან. ამჟამადაც ეს სვეტი ორადაა გაპობილი. ამ გაპობილ სვეტზე მრავალი ქართული წარწერაა მლოცველებისა. ერთ-ერთი წარწერა ასეთია გრაფიკულად გამოსახული: “ქრისტე შეიწყალე გიორგი“.

ქართველი მღვდელმთავრის გამოძევების შემდეგ, როცა ქართველებს ჩამოართვეს აღდგომის ტაძრისა და ქრისტეს საფლავის ეკლესიის კლიტეები, ცეცხლი გადმოვიდა კარიბჭის სვეტიდან იქ, სადაც იდგა ტაძრიდან გამოძევებული ქართველი ეპისკოპოსი. ზეციურ ცეცხლს ამჟამადც ისევ მართლმადიდებლები იღებენ, კერძოდ, იერუსალიმის პატრიარქი, რადგანაც ქრისტეს საფლავის ეკლესია მის იურისდიქციაშია.\*

იერუსალიმში ამ დროს შეიქმნა ორიგინალური ქართული თხზულებანი - ლუკა იერუსალიმელისა და ნიკოლოზ დვალის მარტვილობანი, შედგა კრებულები, შეგროვდა ხელნაწერები.

XIV ს-ში ქართველებს პეტრიწონის მონასტერიც მტკიცედ ეპყრათ. იმ დროს იქ ჯერ კიდევ იყო ქართულენოვანი სასწავლებელი - სემინარია.

გიორგი ბრწყინვალემ აღადგინა საქართველოს სახელმწიფოს გავლენა ტრაპიზონის საკეისროში, აღორძინებულმა ერთიანმა საქართველომ კიდევ საუკუნუნახევარი იარსება

ჩვიდმეტწლიანი სამამულო ომი

თემურლენგის შემოსევამდე საქართველო შედარებით მშვიდად და დაწყნარებით ცხოვრობდა; ქვეყანა ერთიანი და თავისუფალი იყო. ქართული სახელმწიფო ფაქტიურად მთელ ამიერკავკასიას მოიცავდა. აღმოსავლეთის საზღვარი მდ. თეთრწყალზე გადიოდა, დასავლეთის საზღვარი კი შავ ზღვას მიუყვებოდა, აღმოსავლეთით რანი, ყარაბაღი და შირვანი ლეკებითურთ საქართველოს მოხარკენი იყვნენ, ასევე ოსებიც და ღურძუკ-ხუნძიც, ხოლო ტრაპიზონის სამეფო და შაჰარმენის სასულთანო ძველებურად მისი გავლენის სფეროებად რჩებოდნენ.

ასე იყო არა მარტო გიორგი ბრწყინვალის დროს, არამედ მისი მემკვიდრეების, საქართველოს მეფეების დავით IX-ისა (1346-1360) და ბაგრატ V-ის დროსაც. სწორედ ბაგრატ V-ის სამეფოს შემოესია თემურლენგი.

მართალია, თითქმის მთელი კავკასია საქართველოს გავლენის ქვეშ იყო, მაგრამ ის თემურის სახელმწიფოსთან შედარებით მაინც უმნიშვნელო ქვეყანა გახლდათ.

თემურლენგმა ხანგრძლივი დაპყრობითი ომების შედეგად უზარმაზარი სახელმწიფო შექმნა, რომელიც აღმოსავლეთით ჩინეთის დიდ კედლამდე იყო გადაჭიმული, ჩრდილოეთით - ცენტრალურ რუსეთამდე, დასავლეთით - ხმელთაშუა ზღვამდე და ეგვიპტემდე. მიუხედავად ამისა, თემურლენგს საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა გაუჭირდა და მისი დაპყრობა ფაქტიურად ვერც შეძლო, თუმცა კი სასტიკად გაანადგურა. საბოლოოდ მრავალწლიანი ომი ამ ორ სახელმწიფოს შორის ზავით დამთავრდა.

1386-1403 წლებში თემურლენგი საქართველოს რვაჯერ შემოესია. ქართველები ზოგჯერ დაუფიქრებელ ნაბიჯს დგამდნენ, თემურის მიერ დაპყრობილ ქვეყნებშიც იჭრებოდნენ და მისსავე მტრებს დახმარებას უწევდნენ (აღანჯის ციხის აღება, ნახიჭევანის სანახების დარბევა, იქიდან გამოქცეული თემურის მოსისხლე უფლისწულის ტაჰერის დაფარვა). ქართველებმა თემურლენგის მოსისხლე ოქროს ურდოს რამდენჯერმე გაუხსნეს კავკასიის გადმოსასვლელები, რითაც სასტიკად განარისხეს მტარვალი. თავდაპირველად თემურს დაზავებაც მოუწადინებია ქართველთა მეფესთან, მაგრამ ქართველთა მეფე გვიან დათანხმებია, რის შედეგადაც მხოლოდ საქართველო დაზარალდა. ამის გამო იმდროინდელ ერთ ძველში დაცული ანდერძი გიორგი VII-ს წყევლა-კრულთა იხსენიებს.

მონღოლთა შემოსევების შემდეგ იავარქმნილ და დაშლილ-დანაწევრებულ საქართველოში XIV- XV და XVI სს-ში საისტორიო თბულებანი აღარ იწერებოდა, შექმნილი ვითარებით დათრგუნვილი მწიგნობარნი აღარ ანაღიზებდნენ ერის ცხოვრებას. ამის შედეგად შემდგომი თაობებისათვის თითქმის უცნობი დარჩა ის ეთნიკური ცვლილებები, რაც ჩრდილო კავკასიაში მოხდა. აქ კი თემურლენგის შემოსევებამდე სახლობდნენ ქართველი ტომები, კერძოდ, დასავლეთით იმიერკავკასია, ის ტერიტორია, რომელსაც შემდეგ ჩერქეზეთი ეწოდა, სვანებითა და რაჭველებით, ე.ი. ქართულენოვანი ხალხით იყო დასახლებული. მათზე იმჟამად ბატონობდა ირანულ-სკითურენოვანი ხალხი - აღანები. არსებობდა აღანიის სამეფოც, არა ამჟამინდელ ჩრდილო ოსეთში, არამედ უფრო დასავლეთით, აფხაზეთის მეზობლად, იქ, სადაც ახლა ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკა მდებარეობს. ახლანდელი ჩრდილო ოსეთი კი ქართველი ტომებით - დვალებით და ღურძეკებით იყო დასახლებული. თანამედროვე ჩეჩენთ-დაღესტანშიც ქართველური ხალხები სახლობდნენ, რომელთაც ლეკები და დიდოელები ერქვათ. ყველგან ამ მხარეებში ქართულენოვანი წირვა-ლოცვა აღევლინებოდა, კულტურისა და ურთიერთობის ენა ქართული იყო. ეს დასტურდება ეპიგრაფიკული მასალებითაც. დაღესტანში ქართულ ეკლესიაში შემავალი ხუნძეთის საკათალიკოსოც კი არსებობდა. ამ მხარეს “კახეთის მთიულეთი“ ეწოდებოდა.

ვითარება შეიცვალა მონღოლებისა და განსაკუთრებით თემურლენგის შემოსევების შემდეგ. XIII ს-ის დამდეგს თათარ-მონღოლებმა გაანადგურეს აღანიის სამეფო. ლტოლვილი ოსები შემოიხიზნენ კავკასიის მთებში, მათ თანდათანობით დაიპყრეს დვალეთი. ქართულენოვანი ქრისტიანი დვალეები დაიმორჩილეს და გააოსეს. ამის შესახებ ვრცლად მოგვითხრობს ვახუშტი ბაგრატიონი.

თემურლენგმა ყოფილი აღანიის სამეფოს ტერიტორიაზე ჩამოასახლა ახალი ეთნოსი - ჩერქეზები ანუ ადიღე ხალხი. ამ ხალხის ნაწილია ყაბარდოელები. ეტყობა, ჩერქეზები თემურლენგს ურალ-ენისეის აუზიდან ჩამოუსახლებია, რადგან თანამედროვე ენათმეცნიერ-ლინგვისტები ადიღე-ჩერქეზულ ენებს აკუთვნებენ “სინურ-ენისეურ“ ენათა ჯგუფს. თათარ-მონღოლებმა თანამედროვე ჩეჩენთსა და დაღესტანშიც ჩამოასახლეს ჰუნები და ავარები - სტეპებისა თუ კასპიისპირა რეგიონების მოსახლეობა, დაიმორჩილეს თანამედროვე ჩეჩენებისა და დაღესტნელების წინაპრები, მოახდინეს მათი ასიმილაცია და თანდათანობით ჩამოყალიბდა თანამედროვე ჩეჩენური და დაღესტნური ენები, ქართული ენა კი დავიწყებული იქნა, ქართული კულტურა მუსულმანურით შეიცვალა. საქართველოს დიდი კედელი, რომელიც მანამდე ქართველ ერს იცავდა, მოიშალა და მის ადგილზე აღმოცენებული ტომობრივი გაერთიანებები საქართველოს უბოროტეს მტრებად იქცნენ.

XIII-XIV სს-ში ჩრდილო კავკასიის ეთნოსი შეიცვალა.

თავი XII. ქვეყნის საერთო მდგომარეობა და ქართული ეკლესია XV საუკუნეში

1403 წელს თემურლენგმა ზავი დადო საქართველოს მეფესთან. მტერი იძულებული გახდა, ქართული ქრისტიანული სახელმწიფოს არსებობა ეცნო. 1405 წელს თემურლენგი გარდაიცვალა. მტრის ურდოების წასვლისთანავე მეფე გიორგი VII-მ ქვეყანა გაწმინდა მომხდურთა ნაშთებისგან, ამასთანავე სამხედრო მოქმედება ქვეყნის გარეთ გადაიტანა. ილაშქრა ნახიჭევანსა და განჯაში, ანსა და აზრუმში. იგი მისულა თავრიზამდე, რითაც დიდად შეუძრწუნებია მუსულმანები. 1407 წელს გიორგი მეფე ბრძოლის ველზე დაიღუპა. ტახტზე მისი ძმა კონსტანტინე ავიდა,

რომელიც ასევე ბრძოლის ველზე მოკლეს შირვანში. შემდეგ გამეფდა მისი ძე ალექსანდრე, დიდად წოდებული. ალექსანდრეს სიცოცხლეშივე გამეფდა მისი ძე ვახტანგ III. (1442-46), ხოლო შემდეგ მისი ძმა - გიორგი VIII (1446-1455). ქვეყანაში გაუთავებელი ბრძოლები დაიწყო, რასაც საქართველოს პოლიტიკური დაშლა მოჰყვა. გიორგი VIII-ს ფაქტიურად აღარ ემორჩილებოდნენ მესხეთის, სამეგრელო-აფხაზეთის, გურიის მთავრები. 1451 წელს მესხეთში გაათავაგდა ყვარყვარე, რომელიც გეგმაზომიერად შეუღლა საქართველოსაგან მესხეთის ჩამოშორებას, რაშიც მესხეთის სამღვდელთა აიყოლია.

1453 წელს ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აიღეს, 1461 წელს - ტრაპიზონის საკეისრო. საქართველო მოექცა მუსულმანურ-თურქულ რეალში და ევროპას მოსწყდა. 1462 წელს ყვარყვარემ მაჰმადიანებიც კი მოიწვია მეფე გიორგის წინააღმდეგ და იგი დაამარცხებინა. 1478 წელს ტახტზე ალექსანდრე I-ის შვილიშვილი კონსტანტინე II ავიდა. მას, ცხადია, უკანონოდ მიანდა კახეთისა და იმერეთის სამეფოების, მესხეთისა და სხვა სამთავროების წარმოქმნა თავისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მაგრამ ამ სახელმწიფოებრივი ერთეულების წარმოქმნა უკვე ფაქტი იყო.

მხარეები დაზავდნენ და საზღვრებზეც შეთანხმდნენ. დაუძღვრებულმა ქართველმა მეფებმა ძლიერი მფარველი სახელმწიფოების ძებნა დაიწყეს თურქთა იერიშების მოსაგერიებლად. ქვეყანა ძალზე დაენინდა.

“მეფეთა-მეფე მონაზონი ალექსანდრე დიდი“

სწორედ ასე უწოდებს მეფე ალექსანდრეს მისი შვილი გიორგი მეფე.

ალექსანდრე მეფეს (1412-1442 წწ.) სრულიად საქართველო ემორჩილებოდა, თუმცა კი ქვეყნის მიწა-წყალი შემცირებული, ეთნიკური გარემოცვა კი შეცვლილი იყო. გათურქდა საქართველოს აღმოსავლეთით მდებარე ალბანეთი. საქართველოს სახელმწიფოში ანისი აღარ შემოდის, ლორეც კი მაჰმადიანთა მიერ ყოფილა მიტაცებული.

საქართველოს ამ მხარეში მცხოვრები ადგილობრივი ქართველობა გამალებით თურქდებოდა. ქართული სახელმწიფო და, ცხადია, ქართული ეკლესია ვერ შეურიგდებოდა მკვიდრი მოსახლეობის გამაჰმადიანება-გათურქების პროცესს, განსაკუთრებით ლორეს მცხოვრებთა, რომელიც თბილისთან - საქართველოს ცენტრთან ახლოს მდებარეობდა.

ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელს, კათალიკოს-პატრიარქ თეოდორეს, მაჰმადიანთა მიერ დაპყრობილი ლორეს ციხის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობა მიუღია და ბრძოლის წინ ლაშქარი სიტყვით განუშტოცებია.

“კათალიკოს თეოდორეს მოქადაგეობას უმოქმედნია და მისი ჩაგონებითა და გამხნევებით აღფრთოვანებულს საქართველოს ჯარს ლორე მტრისათვის წაურთმევია და თითონ დაუჭერია“ (ივ. ჯავახიშვილი, ტ. III, გვ. 258).

ეს ამბავი 1431 წელს მოხდა.

1434-35 წლებში, ალექსანდრე მეფეს საქართველოსათვის სივნიეთის მხარე შემოუერთებია 60000 ქრისტიანთან ერთად.

სამეფოს ძველი ძლიერების აღდგენას ხელს დიდად უშლიდა ის, რომ მოსახლეობა საქართველოში საერთოდ, და განსაკუთრებით აღმოსავლეთში, ძალზე შემცირდა. ამიტომ მეფე დასავლეთ საქართველოდან მოსახლეობის ნაწილს აღმოსავლეთ საქართველოს შეთხლებულ მხარეებში ასახლებდა. მან სივნიეთის მფლობელ ბეშქენ ორბელიანს (უკვე გასომხებულს) ლორე უწყალობა. “ბეშქენ ორბელიანთან 1435-38 წწ. განმავლობაში თურმე მრავალმა სომეხმა ლტოლვილმა მოიყარა თავი, რომელთაც ის პურითაც, ბინითაც და სამოსელითაც ძალიან ეხმარებოდა. ამის გამო ამ კუთხეს მაჰმადიანთა მიერ დაპყრობილი სომხეთიდან იმდენი სომხობა მოაწყდა, რომ მეფე ალექსანდრეს და მთავრობას ამდენი სომხობის აქ შეკრება და დამკვიდრება საქართველოსათვის საზიანოდ და სახიფათოდ მიუჩნევიათ და, როგორც ეტყობა, ამ მოვლენისათვის წინააღმდეგობა გაუწევიათ კიდევ. ამის გამო სომეხთა შორის ალექსანდრე მეფეზე ცილისწამება გავრცელებულა და მისთვის ბეშქენ ორბელიანის მოწამვლაც კი დაუბრალდებიათ. ეს მაშინ, როცა საუკუნეთა მანძილზე ქართულმა სახელმწიფოებრიობამ დიდად იღვაწა სომხეთში სომეხი ხალხის გადასარჩენად და ამიტომაც “სომეხნი ურჯულოებთან“ ყოველთვის ქართველებით იწონებდნენ თავს“ თომა მეწოფეცის სიტყვით.

მეფე ალექსანდრე დიდს დიდად უზრუნია საქართველოს განსახლებლად და ასაღორძინებლად და ფართო გეგმაც შეუდგენია. 1412 წლიდან, გამეფებისთანავე გაუგრძელებია თავისი სულკურთხეული ბებია რუსას დაწყებული სამუშაოები სვეტიცხოვლის დიდებული ტაძრის აღსადგენად, რომლებიც დაახლოებით 1431 წელს დაუმთავრებია.

სვეტიცხოვლის აღდგენასთან ერთად ალექსანდრეს მთელი საქართველოს განადგურებული ეკლესია-მონასტრებისა და ციხეების აღდგენაზეც უზრუნია. ამისათვის კათალიკოს-ეპისკოპოსნი და “ყოველნი დიდებულნი და წარჩინებულნი“, ერისთავთერისთავნი და ერისთავნი“ შემოუკრებია.

ივანე ჯავახიშვილის თქმით მეფეს საქართველოს ეკლესიათა ერთობლივი განახლების სამუშაოები 1425 წელს დაუწყია და 1440 წლისათვის დაუმთავრებია.

ალექსანდრე მეფეს უზრუნია აგრეთვე საბერძნეთში და პალესტინაში მდებარე ქართულ ეკლესია-მონასტრებზეც.

მაშინდელ მსოფლიოში საქართველოს იცნობდნენ როგორც დიდ ქრისტიანულ ქვეყანას. ცნობილია, რომ სწორედ ამ საუკუნეში შედგა საეკლესიო კრება - ფერარა-ფლორენციისა. მასზე, როგორც ამას წესი მოითხოვდა, დიპტიქი იქნა დაცული. საპატრიარქო ეკლესიების რიგში კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის პატრიარქების წარმომადგენლების შემდეგ საქართველოს საპატრიარქო ეკლესიის, "საქართველოს მეფის" წარმომადგენელიც დასვეს, რომელიც იმ დროისთვის მიტროპოლიტი სოფრონი ყოფილა.

ეს მიუთითებს იმაზე, რომ ქართულ ეკლესიას საერთაშორისო არენაზე იმ დროს ისევე დიდ პატივს სცემდნენ, როგორც XI-XII საუკუნეებში.

ალექსანდრე დიდი თავგამოდებით ზრუნავდა საეკლესიო ერთობის დაცვაზეც. საეკლესიო სეპარატიზმს უკვე მის დროს უჩენია თავი, კერძოდ, სამხრეთ საქართველოში (მესხეთში), რაც უთუოდ მესხეთის მთავრების გავლენით, ანდა იძულებით ხორციელდებოდა. საბედნიეროდ, მეფობის დასაწყისში ალექსანდრემ შეძლო გაეერთოებინა მთავარი მესხეთისა, რასაც, როგორც ჩანს, საეკლესიო სეპარატიზმის აღმოფხვრაც მოჰყვა.

ალექსანდრეს დროს ქვეყანაში ერთიანობა და მშვიდობა სუფევდა, ხოლო საგარეო პოლიტიკაში ძველებურად აღდგა საქართველოს გავლენა მის მეზობლებზე. როგორც ვახუშტი ბრძანებს, 1437 წელს ყარაბაღში ჩასულ მეფეს მორჩილებით მიეახლნენ განძელნი, შირვანელნი და დარუბანდელნი.

ალექსანდრე მეფეს თავისი სიყვარული ქრისტეს მიმართ იმითაც გამოუვლენია, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მეფობაზე უარი უთქვამს, ბერად შემდგარა და მონაზვნად აღკვეცილა.

ქართული ეკლესიის თავდადებული ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობისათვის

ქართველი ერის ისტორიას ვერ გავიაზრებთ ქართული ეკლესიის მონაწილეობის გარეშე და პირიქით, ისტორია ქართული ეკლესიისა არის ისტორია ქართველი ქრისტიანი ერისა.

მართალია, ქართველ ხალხს ეროვნული ერთიანობის შეგნება უკვე ქრისტიანობამდე დიდი ხნით ადრე ჰქონდა, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ყოველმა ქართველმა ქრისტიანული სარწმუნოება მიიღო და შეიყვარა, ერის ისტორია ქართული ეკლესიის ისტორიის გარეშე წარმოუდგენელია.

ქრისტეს რწმენა და ქართველი ხალხი ურთიერთშერწყმულ მთლიანობად იქცა, ვითარცა სული და სხეული. ქართული ეკლესია ვერ მოითმენდა საქართველოს სახელმწიფოს, როგორც ერთიანი სხეულის დაშლა-დანაწევრებას, ხოლო საქართველოს ერთიანობის ზეციური ნიშანი ქრისტეს კვართია, ერთიანი და მთლიანი, რომელიც ივერიის მიწას მიეზარა და მისი მთლიანობის დაცვის მომასწავებელია.

დამღუპველია ერის სულის - ეკლესიის დაშლა-დანაწევრებაც. საეკლესიო მთლიანობის დარღვევით სულიერი საფუძველი ეცლება ქვეყნის ერთიანობას. ცნობილია, რომ საქართველოს დედაეკლესიისგან ეკლესიურად განცალკევებულ რეგიონებში, როგორც წესი, ეროვნული ცნობიერების რღვევა იწყებოდა. ამის ერთი მაგალითია მესხეთი, სადაც ქართველობა ეკლესიური განცალკევების შემდეგ ეროვნულადაც გადაგვარდა, დაიწყო ქართველთა სწრაფი გამაჰმადიანება (გათურქება) და სხვა პროცესები.

XV ს-ის დამლევს ქართველ მეფე-მთავრებს შორის შინაური ბრძოლა და ომი ატყდა. მესხეთის მთავარი განსაკუთრებულ სეპარატიზმს იჩენდა. "ყვარყვარე ათაბაგი იმდენად დაბრმავებული ყოფილა ამ მტრობით და განკერძოებისათვის ბრძოლით, რომ უთანხმოება საეკლესიო სფეროშიც გადაუტანია... მესხეთის საკათალიკოსო საყდრისაგან ჩამოშორება და სრული დამოუკიდებლობის მოპოვება სურდა... ამ მიზნის განმახორციელებელ საუკეთესო საშუალებად ყვარყვარე ათაბაგს, როგორც ჩანს, მაწყვერელი ეპისკოპოსის ამაღლება და მისი მესხეთის საეპისკოპოსო საყდრების უფროსად ქცევა მიუჩნევია, რაც მისმა მემკვიდრე ათაბაგებმა და განსაკუთრებით მზეჭაბუკ ათაბაგმა ცოტა ხნის შემდგომ განახორციელეს კიდევ... ყვარყვარე ათაბაგს საეპისკოპოსო პირების არჩევის უფლება უკანონოდ მიუტაცია და თვით ჩაუგდია ხელში. ამას, რასაკვირველია, იმ მოსაზრებით სწადიოდა, რომ საშუალება ჰქონოდა თავისი პოლიტიკის მომხრე პირები და მის ბრძანებათა ყურმოჭრილი ყმები აერჩია ეპისკოპოსებად... ასეთ უკანონო და დამღუპველ პოლიტიკას... ქართლის კათალიკოსი სასტიკად ებრძოდა და ყოველთვის მესხეთიდან მცხეთაში საკურთხეველად მოსულ სამღვდელ პირს შემდეგ პირობის წიგნსა და ფიცს ადებდნენ: "თუ ყვარყვარემ მაწყვერელობა ანუ სხვა ხელი რაიმე გვაძლიოს, არა გამოვართვათ თქვენდა დაუმოწმებლადო" (ივ. ჯავახიშვილი, ტ. III, გვ. 431).

ყვარყვარე არა ახალ საეპისკოპოსო კანდიდატს აკურთხებინებდა ეპისკოპოსად, არამედ რომელიმე უკვე ნაკურთხ ეპისკოპოსს აღენდა რომელიმე კათედრაზე მესხეთში, მაგრამ ეს მოქმედება მცხეთის დაუკითხავად, ცენტრისადმი დაუმორჩილებლად აღიქმებოდა. ამიტომაც ეპისკოპოსს, რომელსაც მცხეთა აკურთხებდა ხოლმე და მესხეთში სამოღვაწეოდ გზავნიდა "...



კურთხევამდის კატეგორიულად ფიცს და აღთქმას ადებინებდა, რომ ის საქართველოს მწყემსმთავრის ერთგული და საქართველოს მეფის მომხსენებელი იქნებოდა“.

წირვა-ლოცვის დროს საქართველოს მეფის მოხსენება საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის გამოხატულებას წარმოადგენდა და ყვარყვარე ათაბაგსაც სწორედ ამის მოსპობა ჰსურდა“ (ივ. ჯავახიშვილი, ტ. III, გვ. 433).

ამიტომაც სურდა ყვარყვარეს მცხეთისაგან მესხეთის ეკლესიის ჩამოშორება. საეკლესიო მთლიანობის დარღვევით კი ქვეყნის ერთიანობაც შეირყეოდა. თუმცა ეკლესიის ერთიანობის დაშლა არც ისე ადვილი გახლდათ, როგორც ეს ჯაყელთა გვარის ათაბაგებს ეგონათ. ასეთი მოქმედება დიდი ცოდვა იყო და მისი ჩამდენი შესაფერისად ისჯებოდა.

საოცარი ისაა, რომ ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოების გამოჩენილი წარმომადგენლები ხელშეწყობის ნაცვლად ყოველნაირად ცდილობდნენ, დაეშალათ ერთიანი ქართული ეკლესია, რათა შემდეგ წილი მათაც რეგებოდათ. ყოველგვარი საეკლესიო კანონის დარღვევით, წმ. მსოფლიო კრებებზე მიღებული კანონების არად ჩაგდებით, რომელნიც ამგვარ მოქმედებას კრძალავდნენ, ისინი იჭრებოდნენ საქართველოს საეკლესიო საეპისკოპოსოებში და წმ. ნინოს ღვაწლითა და ლოცვით საუფლო კვართზე დაფუძნებულ წმ. ანდრიას სამოციქულო საყდარს არღვევდნენ.

რა აიძულებდა ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოებს ასე მოქცეულიყვნენ? მიზეზი მათი ფინანსური გაჭირვება იყო.

თურქთა მიერ ბიზანტიის სახელმწიფოს დაპყრობის შემდეგ ანტიოქიისა და იერუსალიმის მღვდელმთავარნი და ხშირად პატრიარქიც იძულებულნი იყვნენ, უცხოეთში წასულიყვნენ ფული-სა და სხვა სახის დახმარების სათხოვნელად. მათ არ სურდათ ელიარებინათ უკიდურესი გაჭირვება და ამიტომ თავი ძველი საეკლესიო კანონების აღმდგენლად მოჰქონდათ. ერთი ასეთი ბერძენი ბერის შესახებ მოგვითხრობს სწორედ ვარძიის მონასტრის ძმობა თავისი ერთგულების წიგნში. “ეს ცბიერი ბერძენი ბერი “მიტროპოლიტი“ ყოფილა და თურმე იმასვე ქადაგებდა, რაც ათაბაგს სწადა: “უმცხეთოდ ჩვენი მღვდელი და დიაკონი იკურთხებოდესო და სამღვდლო დასიც ქართლის კათალიკოზის ბრძანებისა მორჩილნი არ ყოფილიყვნენ“. რამაც თავისი შედეგი გამოიღო, ქვეყნის ამ ნაწილში (მესხეთში) ქრისტიანობის ავტორიტეტი დაეცა, ამან კი ლოგიკურად მაჰმადიანობის მიმართ წინააღმდეგობა შეამცირა.

ყოველივე ზემოთ თქმული - ქართული ეკლესიის ნაწილებისა და მთელი ეკლესიის ტაციაობა - შედეგი იყო იმ საოცარი ურთულესი საგარეო და საშინაო ვითარებისა, რომელშიც მაშინ ქვეყანა იმყოფებოდა. იმ პერიოდში (XV ს-ის შუა წლებში) ოსმალეთმა კონსტანტინოპოლი აიღო, საქართველო თურქულ-მაჰმადიანურ რეალში მოექცა, რასაც დაერთო შინაგანი განხეთქილება. მთავრები მეფეს ებრძოდნენ, ზოგჯერ ამარცხებდნენ და ატყვევებდნენ კიდევ. მესხეთისა და იმერეთის მთავრები და ერისთავები თავიანთი კუთხეების ეკლესიების დამოუკიდებლობაზე ოცნებობდნენ. სწორედ ასეთ დროს ჩამოვიდა საქართველოში რომის პაპის წარმომადგენელი, რის შედეგადაც საქართველოში კიდევ უფრო მძაფრი შიდა ომი დაიწყო. საეკლესიო განხეთქილება კიდევ უფრო გაღრმავდა. თავის მხრივ იერუსალიმელ-ანტიოქელი იერარქები ყოველ დონეს ხმარობდნენ მცხეთის სამოციქულო ტახტიდან დასავლეთ საქართველოსა და მესხეთის ეკლესიების ჩამოსაშორებლად. შექმნეს კიდევ შესაბამისი დოკუმენტები, გამაფრდა ცილისწამებანი მცხეთელ კათალიკოს-პატრიარქზე. სეპარატისტი ათაბაგის უგუნურმა მრისხანებამ იმ ზომასაც კი მიაღწია, რომ კათალიკოს-პატრიარქს მექრთამეობა დასწამეს, თითქოსდა ჩვენი ეკლესიის მეთაურს ქრთამს აძლევდნენ ეპისკოპოსთა კურთხევისას. ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, რომ ეს სიცრუე იყო.

საბოლოოდ, მესხეთის ათაბაგებმა, მიუხედავად დიდი მოწადინებისა, მესხეთის ეკლესიის ჩამოშორება საქართველოს დედაეკლესიისაგან ვერ შეძლეს.

XVI ს-ის დამდეგს მესხეთის ათაბაგმა მზეჭაბუკმა ანტიოქიის პატრიარქის დახმარებით კვლავ წამოიწყო საეკლესიო განკერძოება, მაგრამ ღვთის მადლით საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დარღვევა გაუძნელდა. მზეჭაბუკის სიკვდილის შემდეგ ახალმა ათაბაგმა ყვარყვარემ 1518 წელს მცხეთას აახლა სიგელი, რომლითაც მოწიწებით გააუქმა წინა ათაბაგის უკანონო ზემოქმედება ეკლესიაზე და ამგვარად მზეჭაბუკის დროს მოწვევტილი მესხეთის ეკლესია ყვარყვარე IV-ის დროს კვლავ შემოუერთდა მცხეთას. მართალია, ქართულმა დედაეკლესიამ ამ ცხარე ომში გაიმარჯვა, მაგრამ ქრისტიანობა დაკნინდა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ დღეს მესხეთში აწყურის ოდესღაც ცნობილი კათედრალის ნანგრევებიდა დგას, ხოლო მისი შვილები ძირითადად თურქულ-თათრულ მასაშია ასიმილირებული და გაბნეული.

XV ს-ის 70-იან წლებში საქართველოში ჩამოსულა ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიქაელი, რომელსაც მიაჩნდა, რომ ახლა შესაფერისი დრო იყო დასავლეთ საქართველოს მცხეთიდან ჩამოსაშორებლად. მან შეადგინა სამართლის ძველი “მცნებაი სასჯულელი“, და წერდა, რომ წინათ ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსებს ანტიოქიის პატრიარქი აკურთხებდა, რაც, რა თქმა უნდა, არ შეესაბამება სიმართლეს. ეს სიცრუე იმისათვის სჭირდებოდა, რომ თვითონ ეკურთხებინა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ახალი მეთაური და ამით დასავლეთ

საქართველოს ეკლესია ერთიანი დედაეკლესიისათვის ჩამოეშორებინა. თავის მხრივ, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო დამოუკიდებლობა იმერეთის იმდროინდელ მეფეს, ბაგრატსაც სურდა.

რა ცნობა უნდა ეპოვათ ანტიოქია-იერუსალიმზე ქართული ეკლესიის ძველი დამოკიდებულების შესახებ?

ასეთი ცნობა არ არსებობდა, არსებობდა მხოლოდ ეფრემ მცირეს მიერ მოძიებული ცნობა, რომელიც დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ნაწილს ეხებოდა, მაგრამ იგი შეცდომით მთელი ივერიის ეკლესიისადმი ცნობად მიიჩნეეს. ეტყობა, ამით ისარგებლა უცხოელმა იერარქმა და ცაიშელ-ბედიელი მთავარეპისკოპოსი იოაკიმე აფხაზეთის კათალიკოსად დასვა. მართალია, ამას არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებებზე, მაგრამ სამაგიეროდ დასავლელ ქართველთა ეროვნულ თვითშემეცნებაზე უარყოფითად იმოქმედა. დასავლეთ საქართველოს სრულ საეკლესიო დამოუკიდებლობას მცხეთის ეკლესიისაგან სიკეთე არ მოუტანია დასავლეთ საქართველოს ქრისტიანებისათვის ისევე, როგორც თავის დროზე მესხებისათვის. მალე თვით აფხაზეთის საკათალიკოსო ცენტრი - ბიჭვინთა მოექცა ჩრდილოეთ კავკასიის მთებიდან შემოჭრილი წარმართი მთიელი ტომების გარემოცვაში, რომელთაც ამ უძველეს ქრისტიანულ მხარეში არა მარტო სარწმუნოება შეარყიეს, არამედ ათასწლოვანი სარწმუნოებრივ-კულტურულ-სამეცნიერო ცენტრები - ქართულენოვანი საეპისკოპოსოები სრულებით ამოაგდეს. ქართული ქრისტიანული კულტურის დიდი კერა - ბიჭვინთა და საკუთრივ აფხაზეთი მალე წარმართი, პირველყოფილ დონეზე მყოფი მთიელი ტომების ხელში მოექცა, ეროვნულად გადაგვარდა. ასევე გადაგვარდა ეროვნულად მესხეთი.

### ეროვნება და სარწმუნოება

საქართველოს ერთიანობის დარღვევის შემდეგ დასუსტებულ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი მის დაპყრობილ კუთხეებში გზა გაეხსნა უცხო რელიგიებსა და ეკლესიებს, რასაც სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის გამაჰმადიანება (გათათრება), გაკათოლიკება (გაფრანგება), გამონოფიზიტება (გასომხება) მოჰყვა, ხოლო დარჩენილი მართლმადიდებლები კონსტანტინოპოლის ბერძნული საპატრიარქოს ხელში მოექცნენ. ვერც დასავლეთ საქართველოს ეკლესიამ შეძლო თავისი მრევლის პატრონობა ისე, როგორც ამას საჭიროება მოითხოვდა. ამის გამო აქაც ქრისტიანთა ერთი ნაწილი გამაჰმადიანდა (ქვემო გურია-ბათუმი-ქობულეთი, აჭარის მხარე), ხოლო მეორე ნაწილი (აფხაზეთში) შემოხიზნულ მთიელ წარმართებში (ჩერქეზ-აფსუა-ადიღებში) აირია.

ეროვნული თვითშემეცნების დაბალი დონე იყო მიზეზი იმისა, რომ უცხო საეკლესიო იურისდიქციებში შესვლის შემდეგ ქართველი ერი ძირითადად უსახურ ეთნომასალად იქცა, რომელმაც სხვა ერების სიჭარბე წარმოშვა. ამ დიდ ცოდვაში უდიდესი წვლილი მესხეთის ათაბაგების უგუნურ სარწმუნოებრივსა და ეროვნულ პოლიტიკას მიუძღოდა სხვათა სეპარატისტულ ქმედებებთან ერთად.

შეიძლება დაისვას კითხვა, როგორ შეინარჩუნა ეროვნული თვითშემეცნება სომეხმა (ან რომელიმე სხვა) ერმა უაღრესად არახელსაყრელ პირობებში?

იმის შემდეგ, რაც სომეხეთის სახელმწიფოებრიობა მოისპო, სომეხი ხალხი სხვადასხვა ქვეყანაში გაიფანტა, სადაც მათ შეძლეს ჩამოეყალიბებინათ სომხური სარწმუნოებრივ-ეროვნული თემები. თემი, რომელიც მონოფიზიტური სარწმუნოების მქონე ყველა ეროვნების მოსახლეობას აერთიანებდა, იცავდა მას.

ქართველებმა კი ოსმალეთში ეროვნულ-ქრისტიანული თემების შექმნა ვერ შეძლეს.

ასეთი არა პოლიტიკური, არამედ სარწმუნოებრივი თემები არავითარ საფრთხეს არ უქმნიდა ოსმალეთს, სპარსეთს თუ სხვა სახელმწიფოებს. უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც ამგვარმა თემებმა თავიანთ საქმედ კომერცია - ვაჭრობა გაიხადეს, სპარსეთსა და ოსმალეთს დიდი მოგებაც მისცეს. ამიტომ ისინი მსგავს ეთნიკურ-სარწმუნოებრივ თემებს არა თუ არ ავიწროებდნენ, არამედ იცავდნენ კიდევ.

ასევე ითქმის ოსმალეთის იმპერიაში “ფრანგებისა” და “ბერძნების” შესახებაც. ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ სახელმწიფოდაკარგული მოსახლეობა ეთნიკურ-რელიგიურ თემებად გაერთიანდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მკვიდრი მოსახლეობა პოლიტიკურად ოსმალთ იყო, ხოლო ეთნიკურ-რელიგიურად იმ ნიშანს იღებდა, რომელ სარწმუნოებრივ თემსაც იყო მიკედლებული. ოსმალეთის ხალხი დაიყო მუსულმანებად, სომეხებად, ბერძნებად, ფრანგებად და ებრაელებად, სარწმუნოების მიხედვით.

სულ სხვა მდგომარეობა შეიქმნა საქართველოში. ქართველმა ხალხმა შეძლო სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება. მართალია, ერთიანი ქართული სახელმწიფო დაიშალა, მაგრამ ქვეყნის ყოველ კუთხეში ადგილობრივი სახელმწიფოები ჩამოყალიბდა. ქართულმა ეკლესიამ მაჰმადიანებთან არათუ თანამშრომლობა, არამედ უმცირესი კომპრომისიც კი არ ინება, ხოლო დაპყრობილ მხარეებში ქართველ ქრისტიანებს ან მაჰმადიანობა უნდა მიეღოთ, ანდა რომელიმე ეთნიკურ-რელიგიურ არაქართულ ქრისტიანულ თემს შეეკედლებოდნენ. ამას აიძულებდნენ მტრები, რომლებიც დაპყრობილ მიწა-წყალზე საერთოდ ქართველ ქრისტიანს ვერ ითმენდნენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმდროინდელ ქართველობას მაღალი ეროვნული თვითშეგნება რომ ჰქონოდა, ალბათ არაქართულ ეთნიკურ-რელიგიურ თემებში თავისი ეროვნული ნიშან-თვისებების გარკვეული ნაწილის შენარჩუნებას მაინც შეძლებდა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებამდე (1801-10 წ.წ.) ზოგიერთი თემის ქართველ წევრებს ეროვნული ნიშან-თვისებანი შენარჩუნებული ჰქონდათ. მაგალითად სომხურ მონოფიზიტურ თემს შეკედლებული ქართველების ანუ “სომხების“ დიდი ნაწილის დედაენა კვლავინდებურად ქართული იყო, ასევე ქართველი “ფრანგებისა“ და “ბერძნებისა“, მაგრამ რუსულმა ხელისუფლებამ მათი ქართველობა არ აღიარა, რის შედეგადაც ქართველთა დიდ ნაწილში ყოველგვარი ნაშთი ქართველობისა საბოლოოდ აღმოიფხვრა.

ამრიგად, ყოველი ქართველი, რომელიც განუდგა დედაეკლესიას, განშორდა თავის ერსაც და გადაგვარდა, უცხო ერებში გაითქვიფა.

### თავი XIII. საქართველო და ქართული ეკლესია XVI საუკუნეში

1547 წელს მესხეთი თურქთა წინააღმდეგ აჯანყდა, მაგრამ 1549 წელს თურქებმა კვლავ შეძლეს ციხეთა დაჭერა. ამ დროს გამოიჩინა თავი ლუარსაბ მეფემ. იგი წინ აღუდგა ოსმალთა აგრესიას და სამცხე-ჯავახეთი და კოლა-არტაანი დაიჭირა. საათაბაგოს დაბრუნება ქართლის სამეფოს შემადგენლობაში ირანისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. შაჰ-თამაზი მესხეთს შემოესია. ლუარსაბის მომხრე მესხები ვარძიის მონასტერში გამაგრდნენ, მტერმა მათ ალყა შემოარტყა. მრავალი ყიზილბაში დაიხოცა ბრძოლაში, მაგრამ მომხდურებმა მაინც გაიმარჯვეს. შაჰმა ბერეზიც არ დაინდო. 20 ბერი სამალავიდან ამოიყვანეს და იქვე დახოცეს, მონასტრის სიმიდრე კი დაიტაცეს.

1555 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო, რომლის მიხედვითაც მათ ჯერ კიდევ დაუპყრობელ-დაუმორჩილებელი საქართველო ერთმანეთში გაინაწილეს. ქართლის მეფე ლუარსაბ I ბრძოლას განაგრძობდა, რის შედეგადაც თანდათან შეძლო ქართლის ციხესიმაგრეების დაბრუნება თბილისის ციხის გარდა.

ლუარსაბ I საარაკო სიმამაცით ებრძოდა შაჰ-თამაზის ურდოებს. ის იყო “კაცი ღვთისმოყვარე, მტერთა ურჯულთა მომხრეელი და წყობათა შინა უშიში“, - წერს ბერი ეგნატაშვილი.

შაჰ-სეფიმი, შაჰ-თამაზმა და ოსმალეთის ხონთქარმა ლუარსაბ I ვერ მოდრიკეს.

ლუარსაბის ეპოქაში მოღალატე შალიკაშვილების ოჯახმა ოთარ შალიკაშვილის ქალი ნებაყოფლობით მისცა ცოლად შაჰ-თამაზს. ამის გამო მესხეთის ათაბაგი შაჰს დამორჩილდა. ეს ქართლის მეფემ ვერ მოითმინა და მესხეთს ილაშქრა. საპასუხოდ შაჰ-თამაზი საქართველოში შემოიჭრა. შეძლო ატენის ციხეში ლუარსაბის დედისა და მრავალი თავადის დატყვევება. მეფემ დედისა და თავადთა დატყვევების ამბავი რომ შეიტყო, ყიზილბაშებს დაეწია და მრავალი დახოცა, მაგრამ დედა ვერ გამოიხსნა. ლუარსაბის დედამ ტყვეობას სიკვდილი ამჯობინა. ამის შემდეგ ლუარსაბმა კიდევ უფრო მედგრად შეუტია მტერს და მრავალი მარცხი აკემა.

მემატიანეთა თქმით ლუარსაბ I სიკვდილის შემდეგ მოწამეთა თანა შეირაცხა. ბერი ეგნატაშვილი მას ვახტანგ გორგასლის მსგავს მოწამედ მიიჩნევს. თუ არა ის, საქართველო მოისპობოდა, საქართველო მისი ხმლის სიძლიერემ გადაარჩინაო.

1556 წელს ქართლის სამეფო ტახტზე ლუარსაბის ძე სვიმონი ავიდა. იგი თავის მოკავშირეებთან ერთად საგულადგულად მოემზადა თბილისის ასაღებად, მაგრამ 1561 წლის აღდგომა დღეს თბილისის თათრულ გარნიზონს ყარაბაღის მმართველი მიეშველა. 1569 წელს ერთ-ერთი ცხარე ბრძოლის დროს ყიზილბაშებმა მეფე დალატით შეიპყრეს. შაჰი დიდხანს ცდილობდა მის გამაჰმადიანებას, მაგრამ ვერ შეძლო და ალამუთის ციხეში დაამწყვდია.

1569-1578 წლებში ირანელებმა ქართლის მმართველად სვიმონ მეფის გამაჰმადიანებული ძმა, დაუდ-ხანად წოდებული დავითი დანიშნეს. დაუდ-ხანს ხალხი მხარს არ უჭერდა. და იგი ფაქტიურად მხოლოდ თბილისსა და ქვემო ქართლს განაგებდა. დაუდ-ხანის დროს დაიწყო ქართველთა სარწმუნოებრივი გასომხების პროცესი. ცნობილია, რომ მტერი გააფთრებით ებრძოდა ქართულ ეკლესიას და მართლმადიდებელ ქრისტიანობას, მაშინ, როცა გრიგორიანებს არ ებრძოდა სხვადასხვა მიზეზის გამო. გამაჰმადიანდა კახეთის მეფის ლევანის ვაჟი იესეც. მას ისა-ხანს უწოდებდნენ. მტერმა გადაწყვიტა ისა-ხანის დასმა სამეფო ტახტზე მამის ნაცვლად, მაგრამ იესემ მალე უარყო მაჰმადიანობა, რის გამოც დააპატიმრეს და ალამუთის ციხეში გამოკეტეს.

კახეთმა თითქმის მთელი XVI ს-ის მანძილზე მოისვენა. კახეთის მეფეების - ლევანისა და ალექსანდრეს მოქნილი პოლიტიკის წყალობით მის ტერიტორიაზე არც ერთხელ არ მომხდარა ომი, მაგრამ საუკუნის დასასრულს კახელმა პოლიტიკოსებმა, სპარსეთისა და თურქეთის მთავრობათა თვალსაზრისით, მიუტყვებელი შეცდომა ჩაიდინეს, რომ რუსეთის სამხედრო ძალების კახეთში შემოყვანას შეეცადნენ. ისინი, ცხადია, ქართველი მეფეების ჩრდილოეთთან კავშირს ვერ ითმენდნენ.

ამ დროისათვის ძალთა წონასწორობა შეიცვალა. ოსმალეთი უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. ირანი მასთან შედარებით სუსტი იყო. ირანი ხარკის გადახდით და ქართველ მეფე-მთავართა

ვასალობით კმაყოფილდებოდა, ხოლო თურქეთი ქართულ სახელმწიფოებრიობას აუქმებდა. ამგვარ სიტუაციაში ცხადია, ქართველთა უმთავრეს მტრად ოსმალეთი იქცა.

1578 წელს მესხეთში ოსმალეთსა და ყიზილბაშებს შორის სასტიკი ბრძოლა გაიმართა, რომელშიც ოსმალებმა გაიმარჯვეს და გარდა მესხეთისა ქართლის ციხეებიც დაიჭირეს თბილისის ჩათვლით. თბილისის საფაშოდ გამოაცხადეს, გორი - სანჯაყად. კახეთის მეფემ ოსმალებს მორჩილება აღუთქვა და ის კახეთის მმართველად დანიშნეს.

ამის პასუხად ირანელებმა აღამუთის ციხეში დამწყვეტული ქართლის მეფე სვიმონი გაათავისუფლეს და 1578 წელს დამხმარე ლაშქრით ქართლში გაუშვეს. მეფემ შეძლო ლორეს, გორისა და სხვა ციხესიმაგრეთა გაათავისუფლება. თბილისის ოსმალური გარნიზონი ალყაში მოაქცია. გარნიზონში შიმშილობა დაიწყო.

ალყაშემორტყმული თბილისისათვის ოსმალთა სულთანი ხშირად აგზავნიდა ლაშქარსა და საუკეთესო მხედართმთავრებს, მაგრამ სვიმონ მეფე მათ დიდად აზარალებდა.

1582 წელს დიდი ანტიოსმალური აღმოსავლეთ კავკასიური კავშირი შეიკრა. სვიმონ მეფემ სასტიკად დაამარცხა თბილისში მიმავალი ოსმალთა 20000-იანი ლაშქარი. ოსმალებმა თავისი მარცხი ყვარყვარე IV ათაბაგის ძმას, მანუჩარს (მუსტაფას) დააბრალეს.

1579 წლის 25 ივნისს სულთნის ბრძანებით სამცხე-საათაბაგოს დაპყრობილ ტერიტორიაზე ოსმალებმა ჩილდირის (ახალციხის) საფაშო დააარსეს. მანუჩარი გამაჰმადიანდა და იგი ახალციხის ფაშად დანიშნეს. 1582 წლის დამარცხების შემდეგ ოსმალებმა მისი მოკვლა გადაწყვიტეს, მაგრამ გაიქცა და კვლავ ქრისტიანობას დაუბრუნდა. სამცხე აჯანყდა. მანუჩარმა კვლავ აღადგინა ათაბაგობა. ამასობაში სვიმონ მეფემ ლორე და სამშვილდე გაათავისუფლა.

1584 წელს საქართველოში თურქების 30.000-იანი ჯარი შემოიჭრა, რომელსაც სვიმონ მეფე სოფელ ხატისოფელთან 4.000 მეომრით შეება. ზამთრის პირობებით შეწუხებული ოსმალთა ლაშქარი ქართლს გაეცადა. 1587 წელს მტერს მოღალატე შალიკაშვილების ნაშვიერი კიკოლა და მასთან ერთად სხვა მოღალატეებიც მიემხრნენ, რის გამო მანუჩარი იძულებული გახდა სამცხეს გასცლოდა.

1588 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. ოსმალებს სვიმონიც დაუზავდა. სამაგიეროდ ოსმალეთი სვიმონ I-ს ქართლის მეფედ ცნობდა, მის მემკვიდრეობით უფლებას აღიარებდა და მის შინაურ საქმეებში ჩარევაზე უარს ამბობდა.

1598 წელს შაჰ-აბასის წაქეზებით სვიმონმა განაახლა ომი ოსმალეთთან, გორს ალყა შემოარტყა. მალე ქართველებმა გორის ციხე აიღეს. ეს ოსმალთა დიდი მარცხი იყო. ამავე წელს აჯანყდა სამცხე-საათაბაგოც მანუჩარის მეთაურობით.

სულთანმა დიდი ჯარი გამოგზავნა. ქართველთა მთავარი ჯარი გორთან დაბანაკდა გიორგი ბატონიშვილის მეთაურობით, ხოლო სვიმონ მეფე მცირე ლაშქრით საბარათიანოში ჩავიდა. უთანასწორო ბრძოლა 5 საათს გაგრძელდა. უკან დახევისას მეფის ცხენი საფლობში ჩავარდა. მეფე ტყვედ ჩაიგდეს და 1600 წელს სტამბოლში გაგზავნეს.

გიორგი მეფემ დიდძალი განძი გაგზავნა მამის დასახსნელად, მაგრამ ამოდ. იგი უკვე გარდაცვლილი იყო. სვიმონ მეფის გვამი სტამბულიდან მცხეთას მოასვენეს და მისი სახელოვანი მამის - ლუარსაბის გვერდით დაკრძალეს სვეტიცხოველში.

### იყო საქართველო უნო მტერთაგან

საქართველო XV ს-ში და XVI ს-ის ერთ პერიოდში ძირითადად მტერთაგან დამშვიდებულ-დაწყნარებული ქვეყანა იყო, თუმცა კი თათრულ-მაჰმადიანურ რკალში იყო მოქცეული.

თემურლენგის შემოსევების შემდეგ გარეშე მტრებმა შემოტევები შეანელეს, ქვეყანამ ამოისუნთქა და დაწყნარდა. ხმალი, გუთანა და სარწმუნოება ძველებურადვე ასულდგმულედა ჩვენებურ კაცს, მაგრამ დიდი იდეალები უკვე აღარ არსებობდა. ქვეყანა სულიერად მოეშვა, მოითენთა.

იქნებ ამის მიზეზი ის იყო, რომ ქართველებმა ეძებეს და გამოსავალი ვერ იპოვეს, თათრულ-მაჰმადიანურ ალყას თავი ვერ დააღწიეს.

საქართველო სამეფოებად და სამთავროებადაა დაშლილი და ამავე დროს კიდევ უფრო მეტად დაშლის ტენდენციებიც აშკარად იკვეთება. სწორედ ეს დაშლილი ნაწილები ეურჩებიან, მტრობენ და არბევენ ერთმანეთს, ზოგადად კი საქართველო ვრცელადაა გადაჭიმული: კახეთის სამეფოს აღმოსავლეთი საზღვარი კასპიის ზღვიდან სულ 200-მდე კილომეტრითაა დაშორებული და შაქთან გადის; სამხრეთით - ქართლის საზღვარი სევანის ტბამდე აღწევს, ათაბაგების სამთავროსი კი - ვალაშკერტთან და არზრუმთან, გურია - ჭანეთს მოიცავს, ხოლო დასავლეთით იმერეთსა და სადადიანოს შავი ზღვა და ჯიქეთის ქვეყანა ესაზღვრება.

საქართველოს დამორჩილება არც ისე ადვილი საქმე იყო. ქართველებს ერთი პირი და ერთიანი სახელმწიფო რომ ჰქონოდათ, ოსმალეთი და სპარსეთი ვერარას დააკლდნენ, თუმცა, მტრებს არც დაშლილ საქართველოსთან უადვილდებოდათ ომი.

ოსმალეთმა, რომელმაც ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნების დამორჩილება შეძლო, სრულად ვერ დაიპყრო დასავლეთ საქართველოც კი. იქ სახელმწიფოებრიობა ვერ გააუქმა. იმე-

რეთის სამეფო, გურიისა და სამეგრელოს სამთავროები მუდამ არსებობდნენ ოსმალეთის ყველაზე დიდი ძლიერების უამსაც, ვიდრე XIX ს-მდე, რუსეთთან შეერთებამდე.

თურქული ნაციონალური სულის გამომხატველი “დედე ქორქუთის წიგნში“ აღწერილია საქართველოს საზღვრებთან როგორ უსწორდებოდნენ მუსლიმები “გიაურებს“, როგორ იპყრობდნენ ქალაქებსა და ციხეებს, როგორ ანგრევდნენ ეკლესიებს და მათ ნაცვლად მქეთებს აგებდნენ. იქვეა აღწერილი, როგორი შიში ჰქონდათ მათ ქართველებისა.

ქართველთა სულისკეთება და თავგანწირვა კარგად ჩანს მეფე სვიმონის წერილში, რომელიც მან პაპს მისწერა: “ვგონებთ, თქვენც შეიტყობდით, რაოდენი შეწუხება და ტანჯვა გამოვიარეთ, მაგრამ გული მაინც არ გავიტყებთ. ჩემს თავს გავწირავ და აგრეთვე ჩემს ყმაწვილ ვაჟსაც, დავღვრი ჩემს სისხლსა ვიდრე უკანასკნელ წვეთამდე ჯვარცმულის იესო ქრისტეს და ღვთის სიყვარულისათვის, ვიდრე პირში სული მიდგია, ხელს არ ავიღებ ოსმალების წინააღმდეგ ომზე, არასოდეს უქმად ვყოფ იმ დაუფასებელ სისხლსა, რომელიც იესო ქრისტემ დაღვარა ჩემთვის...“ ამ ნაწყვეტიდან კარგად ჩანს, რატომ ვერ გააუქმა ევროპაში გაჭრილმა თურქეთმა არათუ სრულიად საქართველოს სახელმწიფოებრიობა, არამედ დასავლეთ საქართველოსიც კი, თუმცა ქართულ მიწა-წყალს თითქმის ერთი მესამედი ნაწილი - საათაბაგო მოჰგლიჯა და გაათათრა.

მართალია, საქართველოს სამეფოს ასუსტებდა სამთავროების ერთმანეთთან ბრძოლა, მაგრამ, როცა ერთად შეიკრიბებოდნენ, ზოგადქართული სამხედრო ძალა საკმაოდ შთამბეჭდავი იყო. ამით უსარგებლია თურქების სულთანს და, ქართულ წყაროთა მიხედვით, საქართველოს მეფეები იერუსალიმის ასაღებად მიუწვევია.

თედო ჟორდანიას თქმით, ქართველებმა იერუსალიმი 1527 წელს აიღეს და ეგვიპტის სულთანნი იერუსალიმიდან გააძევეს. როგორც წყაროებიდან ჩანს, XVI ს-ში ქართველებს მაგრად მოუკიდებიათ ფეხი იერუსალიმში.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ქართველები თუმცა მამაცი მებრძოლები იყვნენ და ხმალიც უჭრიდათ, გონიერებაზე წინ ემოციებს აყენებდნენ, პატივმოყვარეობას არასოდეს ივიწყებდნენ, მაშინაც კი, როცა ეს საერთო საქმისათვის ზიანის მომტანი იყო.

ასე იყო თუ ისე, ქართველმა ერმა სახელმწიფოებრიობა, ეროვნული ეკლესია - ქრისტიანობა და მამული შეინარჩუნა.

ჩვენმა მეზობელმა სომეხმა ერმა კი სახელმწიფო და ქვეყანა დაკარგა, მაგრამ ეროვნული გადარჩენის საეკლესიო გზას მიმართა და თავისი ეკლესიის მეოხებით ეროვნება არათუ შეინარჩუნა, ეროვნული კულტურა ააყვავა, თუმცა სახელმწიფო აღარ ჰქონდა. სომეხები ამ დროისათვის მთელ მსოფლიოში განიბნენ.

აღბათ ამიტომაც მღეროდა სომეხი ხალხი ქართველთა შესახებ:  
“გმირი იყო ხალხი, ბრძენი ჰყავდათ მმართველი,  
ამიტომაც შერჩა ამ ქვეყანას ქართველი“.  
(სომხური სიმღერებიდან).

კუთხურობის ანუ თემობრიობის აღორძინება ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შედეგად

1490 წელს საქართველოს მეფის კარზე მოწვეულმა სახელმწიფო დარბაზის კრებამ იურიდიულად აღიარა უკვე არსებული ფაქტი - ერთიანი სახელმწიფოს რამდენიმე სამეფოდ დაშლისა.

წარმოიქმნა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულები: ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოები, გურიის, სამეგრელოს, სამცხის სამთავროები. ამ პროცესს თან სდევდა ერთიანი ქართველ ხალხში რეგიონალური თემობრიობის ანუ კუთხური შემეცნების აღორძინების პროცესი.

ჩვენი აზრით, ქართველი ერის ეთნიკური ჯგუფები - იმერლობა, ქართლეთობა, კახელობა, მეგრეთობა, გურულობა, მესხობა და სხვა განსაკუთრებით აღორძინდა და საბოლოო სახით ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდა. მალე მათ სხვა წვრილი ეთნიკური ჯგუფებიც დაემატა სამეფ-სამთავროთა კიდევ უფრო დაშლის შედეგად.

ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ კუთხურ - ქართულ სახელმწიფოებში მცხოვრებ ქართველობას კუთხურ-თემური თვითშემეცნება უჩნდებოდა, ის იმ კუთხის შვილად იქცეოდა, სადაც ცხოვრობდა: გურიის სამთავროში - გურულად, იმერეთის სამეფოში - იმერლად, მესხეთის სამთავროში - მესხად და ა.შ.

ზოგადეროვნული თვითშემეცნება ისე დაეცა, რომ აწყურის ცნობილი სასწაულმოქმედი ხატი, რომელსაც მოციქულთა დროიდან მთელი ქართველი ერი სცემდა თაყვანს, XIV ს-ის შემდეგ მხოლოდ მესხთა ტომის მფარველ ხატად მიიჩნის.

XVI ს-ის მემკვიდრეებსაც კი, რომელსაც საზოგადოდ, გაცილებით მაღალი ინტელექტი ჰქონდა, ვიდრე მასას, ისე აქვს დაკნინებული ეროვნული ერთიანობის გრძობა, რომ გახარებულია “მესხების“ “ქართველებზე“ გამარჯვებით (იხ. “ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 481).

საერთო-ქართული იდეის მატარებლად ეკლესია დარჩა. საეკლესიო თვალსაზრისით საქართველო ერთიანი, მთლიანი ორგანიზმი იყო ერთი სჯულისკანონით, საეკლესიო სამართლითა და კრებებით.

ეკლესია ხელს უშლიდა ქართველი ერის ტომობრივ დანაწილებას. ის ეროვნული მაკონსოლიდირებელი ძალა იყო.

თავი XIV. ქართული ეკლესია XVII საუკუნეში

წმიდა დიდმოწამე ქეთევანი - მნათობი საქართველოსი

XVII საუკუნე, შეიძლება ითქვას, უმძიმესი საუკუნე იყო ქართველი ერის ისტორიაში. თუ წინათ მტრები საქართველოს დაპყრობით, ანდა დახარკვით კმაყოფილდებოდნენ, ამ საუკუნეში სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიებმა ყველაფერი იღონეს ქართველი ერის გასანადგურებლად, მიწის პირისაგან აღსაგველად: ასეულ ათასობით ქართველი საქართველოშივე დახოცეს, უფრო მეტი სპარსეთში გადაასახლეს. კახეთი გააუკაცრიელეს და იქ მომთაბარე თურქმანული ტომები ჩამოასახლეს. მესხეთში იძულებით გაამაჰმადიანეს (გაათათრეს) მკვიდრი ქართველობა, მოწინააღმდეგენი მოსპეს, ანდა აიძულეს გადასახლებულიყვნენ. დასავლეთი საქართველო კი უჩვეულო და გაუგონარმა ანარქიამ მოიცვა: დაიწყო ტყვეთა სყიდვა, ქართველები თუ არაქართველები მასიურად ატყვევებდნენ ქართველებს და მონებად ჰყიდდნენ. ქართველები აფრიკელთა მსგავსად მონათა ბაზრებში იყიდებოდნენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ოსმალეთ-სპარსეთის საზოგადოებრივმა წყობილებამ არა მარტო ქართველები გაიყვანა მონათა ბაზარზე, არამედ ევროპის სხვა დაპყრობილი ხალხებიც: ბოსნიელები, ალბანელები და სხვა.

ყოველივე ამას, თან დაერთო დასუსტებულ და გაუკაცრიელებულ საქართველოში ჩრდილოკავკასიელი ტომების ჩასახლება. დადესტნელები აღმოსავლეთ კახეთში - ჭარ-ბელაქანში ჩასახლდნენ და არა მარტო ჩასახლდნენ, არამედ ადგილობრივ ქართველობას ატყვევებდნენ, იმონებდნენ, არბევდნენ და ძარცვავდნენ. შიდა ქართლის მთიანეთში ჩრდილო კავკასიიდან გაოსეხული დვადლები ჩასახლდნენ. ეგრის-აფხაზეთშიც ჩრდილოეთ კავკასიელები - ადიგელები, აბაზგები, ჩერქეზები (მათ, ყველას, საერთო სახელი - აფსუა ეწოდა) დამკვიდრდნენ.

ქართველად ყოფნა გაუსაძლისი გახდა. ცხადია, ასეთ დროს ამუშავდა გადარჩენის ინსტინქტი - ქართველობის ერთი ნაწილი უარყოფდა ეროვნებას. ზოგი თათრდებოდა, ზოგი სომხდებოდა (გრიგორიანული სარწმუნოების ქრისტიანებს სპარსეთ-ოსმალეთი არ დევნიდა). ზოგი “ფრანგდებოდა“ (კათოლიკეებიც ნაკლებად იდევნებოდნენ). ამასთან ქართველები ლეკდებოდნენ, ოსდებოდნენ, აფსუგდებოდნენ.

საბედნიეროდ, დენაციონალიზაციისა და ეროვნული გადაგვარების საფრთხეს ქართველების დიდი ნაწილი მტკიცედ აღუდგა. ქართული სახელმწიფო და ქართული ეკლესია ერის გადასარჩენად თავდადებითა და თავდაუზოგავად იღვწოდნენ. ამ დროს ეროვნება და მართლმადიდებელი სარწმუნოება გაერთმნიშვნელიანდა. ქრისტიანობის დაცვა და შენარჩუნება უკვე თავისთავად ნიშნავდა ქართველობის დაცვა-შენარჩუნებას. ამიტომაც ერთაშორისი ომი ფაქტიურად რელიგიათა შორის ომად გადაიქცა.

საქართველოს საუკეთესო შვილები ქრისტიანობას იესო ქრისტეს სიყვარულისათვის სიცოცხლის ფასად იცავდნენ. მისთვის ეწამებოდნენ, საშინელი ტანჯვით იხოცებოდნენ. თავის მხრივ, ჩვენი უფალი და მაცხოვარი იესო ქრისტე არა მარტო მათ სულებს, არამედ მათ ერსაც იცავდა, იესომ გადაარჩინა ქართველი ერი.

უნდა აღინიშნოს, რომ ერის გადარჩენაში უდიდესი ღვაწლი ქართულ ანუ საქართველოს სამოციქულო ეკლესიას მიუძღვის. საქმე ისაა, რომ მხოლოდ ქრისტიანობის შენარჩუნებით ქართველები ეროვნებას ვერ ინარჩუნებდნენ. მაგალითად, გრიგორიანული ქართველი კვლავ ქრისტიანული სარწმუნოების მატარებელი იყო, მაგრამ მოწყვეტილი დედა - ქართულ ეკლესიას. ამიტომ გრიგორიანული ქართველები თანდათან გასომხდნენ. ძირითადად იგივე ითქმის კათოლიკე ქართველებზეც. ქართველობა და ეროვნება საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წევრებმა შეინარჩუნეს.

საქართველოს ეკლესია ჭეშმარიტად დედა, მშობელი, იყო ქართველობისა, ერთადერთი საშუალება ქართველობის შენარჩუნებისა. უიმისოდ ქართველები ეროვნულობას ვერ ინარჩუნებდნენ. მაგალითად, კათოლიკე ქართველს “ფრანგს“ ეძახდნენ, ხოლო ეთნიკურ ქართველს, რომელიც მართლმადიდებელი იყო და ამასთანავე ბერძნული ეკლესიის წევრი, არა “ქართველს“, არამედ ბერძენს უწოდებდნენ. “ქართველი“ იყო მხოლოდ ის მართლმადიდებელი, რომელიც იმავდროულად საქართველოს ეკლესიის მრევლში ირიცხებოდა.

ქართველი ერის ამ საშინელი განსაცდელის დროს სარწმუნოების შესანარჩუნებლად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მაგალითის ძალას. მაღალი ფენები: მეფე-დედოფლები, მთავრები, თავად-აზნაურობა და მათი ოჯახის წევრები სამაგალითონი იყვნენ მოსახლეობის დაბალი, მრავალრიცხოვანი ფენებისათვის. თუ მაღალი ფენები ქრისტიანობას იცავდნენ, დაბალი ფენებიც ასევე იქცეოდნენ, მაღალი ფენების გამაჰმადიანებას დაბალი ფენებიც გამაჰმადიანებით პასუხობდნენ. ამის მაგალითი ვახუშტი ბაგრატიონის მოაქვს თავის “ისტორიაში“ (იხ. “ქართლის ცხოვრება“, IV. გვ. 728).

წარჩინებულთა გამაჰმადიანების შემდეგ მესხეთი თითქმის სრულიად გამაჰმადიანდა. მალე სარწმუნოებად აკარგულმა მოსახლეობამ ეროვნებაც - ქართველობაც დაკარგა.

ასეთი ვითარების დროს განსაკუთრებითაა დასაფასებელი კახეთის დედოფლის - ქეთევანის თავდადება სარწმუნოებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ მამული და ერი სულიერ-ხორციელად მოსპობისაგან და სხვა ხალხებში ასომილაციისაგან წმ. ქეთევანის, წმ. მეფის ლუარსაბ II-ის, სხვა წარჩინებულთა, საეკლესიო მოღვაწეთა თუ ერისკაცთა ქრისტიანადმი თვითშეწირვამ გადაარჩინა.

XVII ს. გამორჩეულია ქრისტეს მოწამეთა სიმრავლით. ქართულმა ეკლესიამ მხოლოდ ზოგი მათგანის კანონიზაცია შეძლო, რადგან ბევრი იყვნენ ისინი. კანონიზებულია 1616 წელს დავით გარეჯის უდაბნოში ამოწვეტილი 6000 წმ. მოწამე; საქართველოს დიდებული, წმიდა მეფე ლუარსაბი, ქრისტესთვის წამებული 1622 წელს; დიდმოწამე, საქართველოს მნათობი, კახეთის დედოფალი წმ. ქეთევანი, ნაწამები 1624 წელს; ცხრა ძმა ხერხეულიძე, დედითა და დით და მათთან ერთად მარაბდის ბრძოლის ველზე 1625 წ. ამოწვეტილი 9000 ქართველი, საქართველოს ეკლესიის მეთაური, წმ. მამა ევდემოზ კათალიკოსი, წამებული 1642 წელს; წმ. ბიძინა ჩოლოყაშვილი, ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავები, წამებულნი 1661 წელს; 1696-1700 წლებში გარეჯის მონასტერში ლეკთაგან ამოწვეტილი ღირსი მამები: შიო ახალი, დავითი და გაბრიელი; მათ გარდა კიდევ მრავალმა დასდო თავი ქრისტესა და სამშობლოსათვის. მათ შორისაა ჩვენი წმ. მამა-თევდორე, 1669 წელს წამებული, წმ. ქეთევანის თანმხლები მღვდელი და უამრავი წმ. მოწამენი, რომელთაც გააბრწყინეს ქართული ეკლესია. ნათქვამია, ხალხი უბედურების ჟამს გამოიცნობაო. ქართველმა ერმა და ქართულმა ეკლესიამ უბედურებისას დიდი სიმტკიცე გამოამჟღავნეს.

წმ. დიდმოწამე ქეთევანს “საქართველოს მნათობი“ ეწოდა, რადგანაც სწორედ მისი ღვაწლი იქცა სულის ცხონებისა და მამულის გადარჩენის გზის მანქნებლად ქართველი ხალხისათვის უშიშეს XVII-XVIII სს-ში.

წმ. ქეთევანი ქართული ეკლესიისა და ქრისტიანობის მოყვარულ მორწმუნეთა ოჯახში დაიბადა. ქართული ბაგრატიონი აშოთან მუხრან-ბატონი, მამა ქეთევანისა, საბერძნეთში ივერონის მონასტრისათვის ზრუნავდა.

ქეთევანი მეუღლე კახთა მეფის ალექსანდრეს ვაჟისა - დავითისა მალე დაქვრივდა.

კახეთი ოთხ სამხედრო ტერიტორიულ ერთეულად - სადროშოდ იყო დაყოფილი. სადროშოთა სარდლობა კახეთის მეფემ არა თავადებს, როგორც ეს ქართლში იყო მიღებული, არამედ ეპისკოპოსებს ჩააბარა. ეპისკოპოსებს მეფე ნიშნავდა.

კახეთის სიძლიერე მოსვენებას უკარგავდა მტერს. ამიტომ შაჰ-აბასმა კაკ-ენისელი (საინგილო) ჩამოაცილა და უშუალოდ დაიმორჩილა. ამ დროს საშამხლოს (ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე სამთავროს) უკვე მიერთებული ჰქონდა პირაქეთა დაღესტანი, რომელიც თითქმის მუდამ საქართველოს საზღვრებს შიგნით იყო მოქცეული. ამრიგად, კახეთს აღმოსავლეთის საზღვრები მოეშალა და იგი დაუცველი აღმოჩნდა.

XVII ს-ში სპარსეთი დიდად გაძლიერდა შაჰ-აბასის მმართველობის შედეგად. 1604 წელს, ერევნის ალყის დროს, შაჰმა საშველად კახთა მეფე ალექსანდრე და ქართლის მეფე გიორგი იხმო. ერევნის ალყის შემდეგ მათ შაჰმა ყოველწლიურად ჯამაგირი დაუნიშნა, სამაგიეროდ გიორგი მეფეს ღორეს პროვინცია და დებედას ხეობა გამოსთხოვა. დებედას ხეობაში მალევე თურქ-მანული ტომი “ზორჩალუ“ ჩამოასახლა.

შაჰ-აბასს ძალზე აფრთხობდა და აღიზიანებდა კახეთის სამეფოს კავშირი რუსეთთან და ოსმალეთთან. ამიტომ გადაწყვიტა, სამეფო ოჯახში გადატრიალების მეოხებით კახთა მეფე საბოლოოდ დაემორჩილებინა. ამისათვის გამაჰმადიანებულ-გასპარსებული კონსტანტინე, ალექსანდრე მეფის ძე გამოიყენა. შაჰის დავალებით კონსტანტინემ მოკლა მამა და ძმა (ალექსანდრე და გიორგი) და მათი მოჭრილი თავები შაჰს გაუგზავნა. შაჰი ზემოხდა, მაგრამ მას სიხარული კახეთის დედოფალმა ქეთევანმა ჩაუშხამა. იგი აჯანყდა და სრულიად კახეთი მიიმხრო, კონსტანტინე დაამარცხეს და მოკლეს. შაჰის გეგმები ჩაიშალა.

ანტონ კათალიკოსის თქმით ქართველების და განსაკუთრებით დედოფლის აღშფოთება გამოუწვევია იმას, რომ კონსტანტინეს სპარსული წესის მომიზეზებით თავისი ძმის ქვრივის - ქეთევანის - ცოლად შერთვა მოუსურვებია.

კახეთის სამეფოს სათავეში ქეთევანი ჩაუდგა.

ამის შემდეგ ქეთევან დედოფალმა შაჰ-აბასს თავისი ძე თეიმურაზი გამოსთხოვა, რათა იგი მეფედ დაესვა კახეთში. შაჰ-აბასმა დიდი საბოძვართი წარმოგზავნა თეიმურაზი. ეს მოხდა 1606 წელს. მიზეზი ის ყოფილა, რომ შაჰს ეშინოდა უმემკვიდრედ დარჩენილი კახეთის სამეფო ქართლის სამეფოს არ მიეერთებინა. ქართლ-კახეთის გაერთიანება მას განსაკუთრებით აფრთხობდა. ამიტომაც ამ ორი ქართული სამეფოს ერთმანეთზე გადამტერებას ცდილობდა.

ამ დროს კახეთის სამეფო მდიდარი ქვეყანა იყო. შაჰ-თამაზის შემდეგ იქ მტერს ფეხი არ დაუდგამს.

1606 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანი მეფეები დაინიშნა: თეიმურაზ პირველი - კახეთში, ხოლო ლუარსაბ II - ქართლში. შაჰ-აბასის მითითებით კახეთში თეიმურაზი მეფედ ქრისტიანული წესით აკურთხეს. კურთხევას თვითონ შაჰიც ესწრებოდა.

თეიმურაზი ამ დროს 16 წლისა იყო. მან ცოლად მოიყვანა მამია გურიელის ასული - ანა, რომელთანაც ორი ვაჟი შეეძინა - ლევანი და ალექსანდრე. 1610 წელს ანა გარდაიცვალა.

შაჰის დაუინებელი რჩევითა და იძულებით თეიმურაზმა ლუარსაბ II-ის და ხორეშანი შეერთო, რომელიც მას შორეულ ნათესავადაც კი მოხვდებოდა. ქართველ ავტორთა აზრით, შაჰმა თეიმურაზი განგებ აიძულა, ნათესავი მოეყვანა ცოლად, რათა ამით ქრისტიანული მორალი შეებღავლა, რაც შემდგომ თეიმურაზის გამაჰმადიანებას გააადვილებდა.

ამის შემდეგ 1612 წლის ზაფხულში, შაჰმა თეიმურაზი და ლუარსაბი ნადირობის საბაბით მაზანდარანს დაიბარა. მეფეები არ ენდვნენ მას და არ წავიდნენ. მეფეების ეს საქციელი აჯანყებას უდრიდა. 1613 წლის 16 ოქტომბერს შაჰ-აბასი დიდი ლაშქრით ირანიდან საქართველოსკენ დაიძრა. შაჰმა ზამთარი განჯაში გაატარა და კახეთში მხოლოდ 1614 წ. გაზაფხულზე შეიჭრა. განჯიდან შაჰ-აბასმა თეიმურაზს კაცი გაუგზავნა და მიველად შეიღებოდა მოსთხოვა. თეიმურაზს არ უნდოდა მიველების მიცემა, მაგრამ კახეთის მესვეურებმა მხარი არ დაუჭირეს და იძულებული გახდა, ჯერ უმცროსი შვილი - ალექსანდრე და ქეთევან დედოფალი გაეგზავნა მასთან, მერე კი უფროსი შვილი - ლევანი. ამის შემდეგ შაჰმა თეიმურაზიც დაიბარა თავისთან, მაგრამ თეიმურაზი არ წავიდა. კახი მოღვაწეები მიხვდნენ, რომ შაჰ-აბასს ბაგრატიონების ამოწყვეტა და კახეთში შეჭრა ჰქონდა გადაწყვეტილი და მაშინდა შეუდგნენ ჯებირების მშენებლობას, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

შაჰს შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა. მიზნად ისახავდა ქართლ-კახეთის სამეფოების მოსპობას და იქ მუსულმანური მოსახლეობის ჩასახლებას, სახანოების შექმნას.

შაჰთან შებრძოლების შემდეგ თეიმურაზმა უკან დაიხია, ალყას თავი დააღწია და ქართლში გადავიდა.

მუსრანში თეიმურაზს ამალითა და მცირე ჯარით ქართლის მეფე ლუარსაბი ელოდებოდა. აღმოჩნდა, რომ ვერც ქართლი გაუწევდა მტერს წინააღმდეგობას. ორივე მეფემ იმერეთს შეაფარა თავი.

შაჰმა ხელთ იგდო თეიმურაზის მთელი ქონება და შემდეგ ქართლში გადავიდა, გორს მიადგა და იმერეთის მეფეს აქედან მოსთხოვა თეიმურაზისა და ლუარსაბის გადაცემა. იმერეთის მეფემ ძვირფასი სტუმრები არ გასცა, მაგრამ ლუარსაბ მეფემ თვითონ ინება შაჰთან წასვლა, თეიმურაზი კი შაჰს არ ენდო და არ ეახლა.

1615 წლის 15 სექტემბერს ალავერდობის სადღესასწაულო წირვის შემდეგ კახელები აჯანყდნენ. მალე იმერეთიდან თეიმურაზი ჩამოვიდა და აჯანყებულებს ჩაუდგა სათავეში. აჯანყდა შირვანიც. თეიმურაზმა თვითონ უსარდლა ქართველთა ჯარს, მტერს წინააღმართან დაუხვდა და რამდენიმე საათში მუსრი გაავლო. ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება იხიეს.

შაჰი საქართველოს ისევ შემოესია და ააოხრა, მაგრამ წავიდა თუ არა, კახელები კვლავ აჯანყდნენ. თუმცა, შაჰმა დიდძალი ჯარით აჯანყების ჩახშობა შეძლო, მაგრამ ქართველებმა გული არ გაიტეხეს და მის სისასტიკეს ისევ აჯანყებით უპასუხეს.

1617 წ. შაჰი მეოთხედ შემოიჭრა საქართველოში. ამ ოთხი შემოსევის განმავლობაში (1614-17 წწ.) კახეთმა თავისი მოსახლეობის ორი მესამედი დაკარგა.

თეიმურაზი არათუ შედრკა, არამედ ყიზილბაშთა წინააღმდეგ დიდ ბრძოლას ჩაუდგა სათავეში და შეეცადა ოსმალთა ჯარის დახმარებით მიეღწია თავისი მიზნისათვის, მაგრამ ოსმალებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს. თეიმურაზმა 1618 წელს რუსეთსაც სთხოვა დახმარება. ოსმალეთთან და რუსეთთან მისი კავშირით გაცოფებულმა შაჰ-აბასმა შური თეიმურაზის ოჯახის წევრებზე იძია. 1620 წელს თეიმურაზის ვაჟები - ლევანი და ალექსანდრე დაასაჭურისებინა, რის შედეგადაც უმცროსი გარდაიცვალა, ხოლო უფროსი - ჭკუიდან შეიშალა.

ივ. ჯავახიშვილმა რუსეთთან ჩვენი მეფეების კავშირს ასეთი შეფასება მისცა:

“რუსეთთან პოლიტიკური კავშირის დამყარებას და რუსთა მეფისთვის ყმადნაფიცობისა და ერთგულების წიგნის მოცემას კახთა მეფის ალექსანდრესა და კახეთისათვის არამც თუ პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით არაფერი სარგებლობა არ მოუტანია, ჩვენს ერსა და ქვეყანას არამცთუ არავითარი დახმარება არ უნახავს, არამედ უფრო მეტი ვნება მოუტანა საქართველოს და უფრო მეტს განსაცდელსა და გასაჭირში ჩააგდო ჩვენი ხალხი. სიტყვიერად და დაპირებით რუსეთის მთავრობა და მისი დესპანები ყოველგვარს დახმარებასა და მფარველობას ჰპირდებოდნენ კახთა მეფეს, საქმით კი სრულებით არა კეთდებოდა რა“ (ივ. ჯავახიშვილი, “ქართველი ერის ისტორია“, 1967, ტ. IV, გვ. 314).

რუსეთ-კახეთის კავშირს სტამბოლსა და ისპაჰანში მთელი სერიოზულობით უყურებდნენ და იგი ყველაზე მეტად აშინებდათ. საქართველო მათ ერთმორწმუნეობის გამო რუსეთის იმპერიის ბუნებრივ მოკავშირედ მიიჩნდათ. სპარსეთი და ოსმალეთი რუსეთთან კავშირის გამო მზად იყვნენ, მოესპოთ ქართველები, გადაესახლებინათ, გაემაჰმადიანებინათ და ამ საქმეს დიდი წარმატებით ასრულებდნენ კიდევ. ასეთ დროს რუსი სამღვდელთა, რომელსაც რუსეთის მთავრობა საქართველოში უადრესად საჭირო დამხმარე ჯარისა და ზარბაზნის ჩამომსხმელი ოსტატების ნაცვლად აგზავნიდა, საქართველოში ამრეხით იქცეოდა და ეკლესიებში წირვასაც არ კადრულობდა.



“შესდგეს თუ არა ფეხი რუსმა სამღვდელთა პირებმა კახეთში, მაშინვე ქართველებსა და რუსებს შორის სრული გაუგებრობა და უსიამოვნებაც კი ჩამოვარდა. თავიანთ სამშობლოში მწვალებლობას მიხეუვლნი ისინი ქართული საეკლესიო მღვდელმსახურების ყოველ თავისებურებასა და წვრილმან განსხვავებასაც კი ეჭვის თვალით უყურებდნენ და ცოდვად და მწვალებლობად მიაჩნდათ... კახთ ბატონი მოსკოვის პატრიარქს მის მიერ გამოგზავნილ რუს სამღვდელთაზე უწიოდა: “ჩვენ ესენი ანგელოზებით მივიღეთ და ყოველნაირად პატივი ვეცით, მაგრამ მათ ჩვენს ეკლესიაში წირვა არ მოისურვეს. 1262 წელი სრულდება, რაც ჩვენ ბერძენებისგან ქრისტიანობა მივიღეთ. აქ, ჩვენთან პატრიარქებიცა და მიტროპოლიტებიც ყოფილან, მთაწმინდელნიც, სინელნიც და იერუსალიმელნიც. ყველას ჩვენთან წირვაც უწირიათ და, როგორც ერთმორწმუნეთ შეეფერებათ, ჩვენთან ისე ეჭირათ თავი“ (ივ. ჯავახიშვილი, “ქართველი ერის ისტორია“, გვ. 319). ეს სიტყვები შაჰ-აბასის შემოსევამდე სულ რამდენიმე წლით ადრე იწერებოდა.

1623 წელს თეიმურაზმა კვლავ სთხოვა დახმარება რუსეთს. ამის საპასუხოდ დედა თეიმურაზისა - წმ. ქეთევანი - სასტიკად აწამეს და მოკლეს 1624 წელს.

ქეთევან დედოფალმა 12 წელი გაატარა სპარსეთის ტყვეობაში. მისი ცხოვრება აღწერილი აქვს რამდენიმე უცხოელ მკვლევარს. მათ შორის: არქანჯელო ლამბერტის, პიეტრო დელა ვალეს, ამბროსიო დუშ ანუშუს და სხვ.

ქეთევან დედოფალს თან ახლდა 50-მდე პირი, მათ შორის მღვდლებიც. მღვდლების სახელები ყოფილა გიორგი და მოსე. მოსე სპარსელებს ქეთევანის წამებამდე მოუკლავთ წამებით. მისი მოკვლის მიზეზი ის იყო, რომ სპარსელების აზრით, იგი დედოფალს მართლმადიდებელ ქრისტიანულ სარწმუნოებას განუმტკიცებდა და ორი ახალგაზრდა უფლისწულის ცხოვრებას წარმართავდა. მოსეს სიკვდილის შემდეგ ქეთევან დედოფალთან მეორე მღვდელი - გიორგი დარნა, რომელიც ასევე თავდადებულად ემსახურებოდა მას.

აღსანიშნავია, რომ იმ დროს, როცა ირანში მრავლად იყო სომხური და კათოლიკური ეკლესიები, იქ არც ერთი ქართული ეკლესია არ არსებობდა. ამის გამო ეკლესიაში ღოცვას მონატრებული ქეთევანი მის სახლთან ახლოს - ერთ-ერთ ეკლესიაში შედიოდა და ღოცულობდა. ამის გამო არა ერთი და ორი მისიონერი ამტკიცებდა, ქეთევანმა “კათოლიკური“ აღმსარებლობა მიიღო, რაც, ცხადია, არ დადასტურდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ქეთევან დედოფალი შირაზში ჩაიყვანეს, მასთან თვით იმამყული-ხანი მივიდა, ჯერ ესაუბრა, ხოლო შემდეგ შაჰ-აბასის სურვილი გადასცა, უარყოფი ქრისტიანული სარწმუნოება და მაჰმადიანობა მიეღო. დედოფალმა მტკიცე უარი უთხრა. იმამყული-ხანმა შაჰს შეატყობინა ქეთევანის პასუხი და შაჰმაც მისი წამების ბრძანება გასცა.

ევროპელი მისიონერების დაკვირვებით შაჰ-აბასის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ქეთევანის ძალით გამაჰმადიანების ან წამებით მოკვლის შესახებ საგარეო გარემოებითაც ყოფილა გამოწვეული: “მოსკოვის მეფემ შაჰს გაუგზავნა ელჩობა, რათა ეთხოვა მისთვის, გაეთავისუფლებინა ქეთევან დედოფალი და იგი მოსკოვში გაეგზავნა ამ ელჩებთან ერთად“ (ი. ტაბალუა, გვ. 120).

ირანში არსებობდა კანონი, რომლის მიხედვით გამაჰმადიანებულ ქრისტიანს ნება არ ჰქონდა სამშობლოში დაბრუნებისა. ამ კანონს მკაცრად იცავდნენ. მაშასადამე, თუ ქეთევანი მაჰმადიანობას მიიღებდა, აღარ გაუშვებდნენ სპარსეთიდან და ელჩებიც დამარწმუნებელ პასუხს მიიღებდნენ, ხოლო თუ სიკვდილით დასჯიდნენ, შაჰი ელჩებს ეტყოდა, რომ იგი უკვე გარდაიცვალა.

შაჰ-აბასის მიერ ქეთევანთან საგანგებოდ გაგზავნილი სამი ემისარი და მათთან ერთად იმამყული-ხანი ქეთევან დედოფლისგან შაჰის ბრძანების შესრულებას დაჟინებით მოითხოვდნენ. პასუხისთვის რამდენიმე დღე მისცეს.

ამ ხანში დედოფალი წამებისათვის განემზადა.

უკანასკნელი დღეც დადგა. 1624 წლის 22 სექტემბერს, ქეთევანს შაჰის უკანასკნელი ბრძანება მოახსენეს: ან მაჰმადიანობა მიეღო ან სასტიკი წამებისათვის მომზადებულიყო.

იგი ბოძზე გააკრეს და წელამდე გაშიშვლებული სასტიკად სცემეს. სისხლი ნიაღვარივით სდიოდა, შემდეგ ცხელი შანთებითა და ღურსმნებით აწამეს. ჯალათებმა უსასტიკესი წამებით მოკლეს დედოფალი. წმინდა ნაწილები ფრანგებმა წაიღეს, ხოლო ხელი და მკლავი მათ თეიმურაზს გაუგზავნეს.

წმ. ქეთევანი ქართულმა ეკლესიამ იმთავითვე წმინდანად შერაცხა. დედოფალმა თავისი მაგალითით სრულიად საქართველო გამაჰმადიანება-გათათრებისაგან იხსნა.

## წმინდა მეფე ლუარსაბ II

ქართლის ბაგრატიონთა სამეფო ოჯახმა ენით აუწერელი გმირული თავდადება გამოიჩინა ოსმალ-ყიზილბაშთა წინააღმდეგ მამულისა და სარწმუნოებისათვის ბრძოლაში.

ლუარსაბ I-ის ძემ, მხნე და ძლიერმა მებრძოლმა სვიმონ მეფემ სპარსთაგან დატყვევების ჟამს მტკიცედ დაიცვა ქრისტეს სარწმუნოება და მტკიცედ უარყო მაჰმადიანობის მიღება, რისთვისაც ალაშუთის ციხეში ჩაამწყვდია შაჰმა.

ლუარსაბ II იყო მეფე სვიმონის შვილიშვილი, “ქართლის ცხოვრება“ მას ახასიათებს, როგორც “მშვენიერ და შემკობილ“ კაცს, ანტონ კათალიკოსი კი სოლომონს, დავითსა და გედეონს ადარებს. 1603 წელს მამის - მეფე გიორგის გარდაცვალების შემდეგ ლუარსაბი ობლად დარჩა ორ დასთან ერთად.

რამდენიმე წლის შემდეგ თათართა ლაშქარი თრიალეთის მხრიდან შემოესია საქართველოს. მეფე ლუარსაბი ამ დროს ცხირეთს იმყოფებოდა. მას არც ლაშქარი ახლდა თან და არც ბრძოლისათვის იყო მომზადებული. თათართა მოთარეშე ბრბოებმა ქართველთა რაზმი ამოხოცეს და მანგლის-ცხირეთისაკენ გაიჭრნენ, მაგრამ ღმრთის განგებით, მანგლისის ეკლესია სქელმა ნისლმა დაფარა და თათრებმა იგი ვერ იხილეს. მაშინ მათ კველთას შეიპყრეს მღვდელი, სახელად თევდორე და უბრძანეს, გზა ეჩვენებინა მეფის სამყოფლისაკენ. მღვდელმა თავის განწირვა ამჯობინა მეფის ღალატსა და ქვეყნის აოხრებას და სულ სხვა გზით წარუძღვა მტერს, რითაც კიდევ უფრო დააშორა ცხირეთს. თათრები მიხვდნენ, რომ მღვდელმა თევდორემ თავის მეფეს არ უღალატა და თავი მოჰკვეთეს. შეირაცხა იგი “წმიდათა მოწამეთა თანა“.

ამასობაში მეფეს თავისი ლაშქარი მოუვიდა. “და მისცა ღმერთმან ძლევა მეფესა ლუარსაბს, ვითარცა პირველ აბრაჰამსა და გედეონს და აღსრულდა წინასწარმეტყველისა მოსეს მიერ თქმული ლევიტელთათვის ბრძანება უფლისა, ვითარმედ: ხუთმან თქვენგანმანო წარაქციოსო ასი და ასმან თქვენგანმან ბევრეული“, და მოციქულისა პავლეს მიერ თქმული: “ძმანო, ღვთისმოყვარეთა ყოველივე განემარჯვების კეთილად“.

მტრის 60 ათასკაციანი ლაშქრიდან მხოლოდ 14 ათასი გადარჩენილა.

მალე მეფე ლუარსაბ II-სა და მოურავ გიორგი სააკაძეს შორის მტრობა ჩამოვარდა. გიორგი სააკაძე შაჰ-აბასს შეეკედლა. ანტონ კათალიკოსის, ვახუშტისა და ბერი ეგნატაშვილის მტკიცებით შაჰმა “ბირებითა უღმრთოისა მის მონისა მზაკვრისათა“ საქართველოს დალაშქვრა გადაწყვიტა. ცბიერმა შაჰ-აბასმა მოტყუებით გაიყვანა ლუარსაბი საქართველოს ფარგლებს გარეთ, თითქოსდა სანადიროდ და დრო რომ იხელთა, დააპატიმრა და სჯულის შეცვლა მოსთხოვა, მაგრამ ლუარსაბი “ეგო ვითარცა ანდამატი და შეუძვრელ ვითარცა კლდე, და უშიშ იყო ვითარცა ღლიმი საყოფელსა თვისსა“. შაჰი ყოველნაირად ცდილობდა ლუარსაბის დაყოლიებას, მაგრამ ვერას გახდა.

ილია ჭავჭავაძე წერს: “მეფემ ითხოვა, მაცალეთ სიკვდილის წინ ვილოცო, ნება მისცეს, დაისვენა თურმე წინ ხატი ღვთისმშობლისა, რომელიცა თანა ჰქონდა და ესე შეეკედრა: “ჰოი, დედოფალო ღვთისმშობელო, შენდამი დამიძს სასოება ჩემი, შენ ხარ ნუგეშისმცემელი ჩემი. შენ მომეც შეწვევა წამებისა ჩემისა ამისა და შემრთე წმიდათა მოწამეთა შენთა თანა, რათა მეცა ვადიდებდე მამასა, ძესა და წმიდასა სულსა...“

მხოლოდ დიდ-ბუნებითა კაცთა თვისებაა ერთხელ რწმენილი და აღიარებული გაიხადონ თავის სიცოცხლის საგნად და ქვეშ დაუგონ თავისი ცხოვრება და, თუ საჭიროება მოითხოვს, შესწირონ თავი თვისიცა ნიშნად იმისა, რომ ჭეშმარიტება მეტად უღირს, ვიდრე საკუთარი თავი და საკუთარი სიცოცხლე“...

მეფე მშვილდის საბლით მოაშთვეს, წმიდანის სხეულს ნათელი დაადგა, რითაც მხილველნი განაკვირვა. “რომელნიცა შეპყრობილ არიან სნეულებითა და საფლავსა მისსა მიეახლებიან, კურნებასა მიიღებენ“, - წერს ანტონ კათალიკოსი. წმ. ლუარსაბის სული ქრისტეს წინაშე დგას ქართველი ერის, საქართველოსა და ქრისტიანთა მეოხად.

#### “ქართველობისათვის“ საფუძვლის გამოცლა

XV ს-ის შემდეგ ქართული ქრისტიანული სახელმწიფოები მაჰმადიანურ რკალში მოექცნენ. ამიტომ რელიგიამ წინა პლანზე წამოიწია. დავითროვდა ცნება “ქართველის“ მნიშვნელობაც. ამ ტერმინმა აღმსარებლობით-სარწმუნოებრივი მნიშვნელობა შეიძინა. “ქართველს“ უწოდებდნენ იმ ქრისტიანს, რომელიც საქართველოს ეკლესიის წევრი იყო. მაგალითად, კათოლიკე ქართველს “ფრანგს“ უწოდებდნენ, ხოლო სომხურ-მონოფიზიტური სარწმუნოების ქართველს - სომეხს.

ასევე ყოფილა XIX ს-ის დამდეგსაც. ტერმინ “ქართველის“ ბედი ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლისა და ერთიანი ეროვნული სარწმუნოების რღვევის სურათს ნათლად გადმოსცემს აღნიშნულ ეპოქაში. ერს აღარა აქვს ერთიანი სარწმუნოება, აღარა აქვს ერთიანი სახელმწიფო. მხოლოდ ეკლესიის წყალობით ინარჩუნებს ვინაობას და საქართველოს ეკლესიის წევრებს უწოდებენ “ქართველებს“.

სწორედ ამიტომ ქართველობის საბოლოო ამოძრკვის მიზნით სასტიკი და ვერაგი მტრები სპარს-ოსმალები გააფთრებით ებრძოდნენ არა ზოგადად ქრისტიანობას, არამედ სწორედ საქართველოს სამოციქულო ეკლესიას - მართლმადიდებლობას.

ოსმალეთი და სპარსეთი ქრისტიან-გრიგორიანებსა და ქრისტიან-კათოლიკებს არ დევნიდნენ, ხოლო საქართველოს ეკლესიის წევრებს სასტიკად ავიწროებდნენ, აიძულებდნენ, მიეღოთ მაჰმადიანობა, ან თუ ისევ ქრისტიანად დარჩებოდნენ, “გასომხებულიყვნენ“ ან “გაფრანგებულიყვნენ“. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალეთი საზოგადოდ მართლმადიდებლობას კი არ ებრძოდა, არამედ მხოლოდ საქართველოს ეკლესიის მართლმადიდებლობას. ოსმალეთში სარწმუნო-

ნოებრივი ავტონომია ჰქონდათ იმ მართლმადიდებლებს, რომლებიც კონსტანტინოპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდნენ. მათ “ბერძენებს” უწოდებდნენ ოსმალურად - “რუმ-მილეთს”.

მესხეთის დაპყრობის შემდეგ ოსმალეთმა ბრძოლა გამოუცხადა “ქართველობას”. ქართველად დარჩენა გაუსაძლისი ხდებოდა, ამიტომ ქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არა მარტო გაათავრდა, არამედ გასომხდა კიდევ. ქართული კუთხეების დაპყრობის დროს იქ მცხოვრები ქართველები მაჰმადიანდებოდნენ, ხოლო სომხები ქრისტიანობას ინარჩუნებდნენ. ამის მიზეზი კი, როგორც აღინიშნა, ის იყო, რომ სპარსეთმა და ოსმალეთმა სომხურ მოსახლეობას ძალზე ფართო სარწმუნოებრივი ავტონომია მიანიჭა.

ყოველი სფერო სომეხთა მოღვაწეობისა, საშინაო, საგარეო, საყოფაცხოვრებო, სარწმუნოებრივი ეკითხებოდა მხოლოდ და მხოლოდ სომხურ ეკლესიასა და მის სასულიერო მეთაურებს. სომეხთა სამართლებრივი საქმეებიც კი სომხური ეკლესიის ხელში იყო.

ქართული კათოლიკური ეკლესიის არსებობას რომის ეკლესია არ აღიარებდა. თანდათანობით ქართველი კათოლიკე მრევლი სომხურმა კათოლიკურმა ეკლესიამ მიისაკუთრა. ამიტომ ქართველთა მნიშვნელოვანი რაოდენობა არა მარტო გრიგორიანობის მიღებით გასომხდა, არამედ - კათოლიკობის აღიარებითაც.

საერთოდ სომხური ეკლესია ადვილად იერთებდა და ასომხებდა უცხოტომელებს. XVII-XVIII სს-ში მან განსაკუთრებით ბევრი ქურთი გააქრისტიანა, რაც საბოლოოდ ამ გაქრისტიანებული ქურთების გასომხებას მოასწავებდა.

ქართველობა, რომელიც თურქეთის იმპერიის საზღვრებში (მესხეთი და სხვა) აღმოჩნდა, აიძულეს, გამოსულიყო ქართული ეკლესიის სამწყსოდან (ე.ი. დაეთმო “ქართველობა”) და იძულებით მოაქციეს მაჰმადიანურ, გრიგორიანულ ან კათოლიკურ რელიგიათა სფეროში, რის შედეგადაც საბოლოოდ იგი ან თათრდებოდა, ან სომხდებოდა.

მსგავსადვე თათრდებოდნენ ანდა სომხდებოდნენ ქართველები სპარსეთის იმპერიაში და ხშირად ამ იმპერიის პროვინციად გადაქცეულ აღმოსავლეთ საქართველოში. სპარსეთი გააფთრებით ებრძოდა ქართველობას ანუ ქართულ ქრისტიანობას, მაშინ როცა ქრისტიანობის სხვა მიმდინარეობებს გარკვეულ შეღავათებს ანიჭებდა. მოწყალებას არ აკლებდნენ სპარსელები სომეხთა იმ რელიგიურ ცენტრს, რომელიც მათ სახელმწიფოს საზღვრებში იყო მოქცეული.

შოთა ლომსაძეს აღწერილი აქვს სხვადასხვა შეღავათები და უპირატესობები, რომელთაც სპარსი და ოსმალე ხელისუფლებები ანიჭებდნენ სომეხებსა და მათ ეროვნულ ეკლესიას.

XVII-XVIII სს-ში საქართველო ფაქტიურად გაყოფილი იყო ორ მაჰმადიანურ სახელმწიფოს - სპარსეთსა და ოსმალეთს შორის. სპარს-ოსმალთა ბატონობის დროს არა მარტო მესხეთსა და სამხრეთ საქართველოში, არამედ ქართლ-კახეთშიც უამრავი ქართველი ტოვებდა ეროვნულ ქართულ ეკლესიას, ე.ი. “ქართველობას” და მაჰმადიანდებოდა, სომხდებოდა, ბერძენდებოდა ან “ფრანგდებოდა”.

იმის შემდეგ, რაც სპარსეთმა ქართლში გამოგზავნა გამაჰმადიანებული ბაგრატიონი როსტომ-ხანი, ქართულმა სახელმწიფოებრიობამ დაკარგა ეროვნული სახე

შედგამაც არ დააყოვნა. თუკი XVII ს-ის დამდეგს კახეთში ყოფილა 20 საეპისკოპოსო, ქართლში - 21, ხოლო მესხეთში - 14-მდე, XVIII ს-ის 40-იან წლებში ქართლ-კახეთში სულ რამდენიმე მოქმედი საეპისკოპოსოლა არსებობდა, ხოლო მესხეთში აღარც ერთი.

რენეგატობის გზაზე დამდგარი ახალციხის გამაჰმადიანებული ქართველი ფაშები თვითონვე უწყობდნენ ხელს სამცხეში ქრისტიანობის დათრგუნვას და მაჰმადიანობის დანერგვას.

სამცხეში მაჰმადიანობის გავრცელების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ქრისტიანული რელიგიის მსახურთა რიცხვი, ქრისტიანი მოსახლეობა ფაქტიურად უწინამძღვროდ დარჩა. დიდი ხნის განმავლობაში იცავდა გლეხობა მამა-პაპათა სარწმუნოებას, მაგრამ უმწყემსოდ დარჩენილი და გაუთავებელი გადასახადებით დაბეგრული თანდათან უცხო რჯულს იღებდა.

მაჰმადიანურმა იმპერიებმა თავიანთ მიზანს ნაწილობრივ მიაღწიეს იმით, რომ ქართველების ეთნიკურ თვითშემეცნებას საფუძველი გამოაცალეს. ქართული ეკლესიის ავტრიტეტის თუ ეკონომიკური საფუძვლის შერყევა ქართველობის დენაციონალიზაციასაც იწვევდა.

“ხელმწიფე ივერიისა” - ლევან II დადიანი, ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის - “ქართველობის” - დამცველი

ოდიშის მთავარი, ლევან II დადიანი (1611-1657), ღვთის მოყვარე, ეკლესიათა მაშენებელი, ამასთანავე დიდი მეცენატი და მართლმადიდებლობის ამალორძინებელი იყო. თავის სამთავროში განაახლა ყველა დაზარეული ეკლესია და მონასტერი, უსახურავონი გადახურა, ხელახლა მოაწესრიგა, რაც უმთავრესია, ყველა ეკლესიაში აღადგინა წირვა-ლოცვა, ისინი შეამკო ბარძიმფეშხუმებით, მრავალი ჭელური ხატი. ასევე აღადგინა და ვალებისგან გამოიხსნა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი.

ლევან II დადიანი იყო ქართული კულტურის უდიდესი მეცენატი XVII საუკუნეში. მისი ბრძანებითა და ხარჯით არის გადაწერილი “ვეფხისტყაოსნის” ჩვენამდე მოღწეული უძველესი თარიღიანი ხელნაწერი, რომელიც დაასურათებინა კიდევ მამუკა თავაქარაშვილს.

XVII საუკუნე ქართული კულტურისათვის უაღრესად არახელსაყრელი პერიოდი იყო. ქვეყანა ნაწილებად დაიშალა, მტერმა აღმოსავლეთი საქართველო დაიპყრო. ასეთ ვითარებაში ლევან დადიანმა მიიღო ზეგარდამო ძალი და დაიწყო ზრუნვა საქართველოს გასაერთიანებლად. მან იცოდა რომ ყველა უბედურების მიზეზი იყო ქვეყნის დაშლა, დანაწევრება, რომ მხოლოდ გაერთიანებული საქართველო შეძლებდა მტრის განდევნასა და ერის გაძლიერებას.

ლევან II დადიანის მიმოწერიდან ჩანს, რომ მისი თვალსაზრისით ბაგრატიონთა სამეფო დინასტია XVII საუკუნეში დამპყრობელმა სპარსელებმა ჩამოაშორეს ქვეყნის მმართველობას. მანამდე კი თვითონ ბაგრატიონებმა ერთმანეთს შორის გაინაწილეს ქვეყანა, რამაც ჩამოაყალიბა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამეფოები ქართლისა, კახეთისა და იმერეთისა, ხოლო შემდგომ ერთმანეთი დაასუსტეს გაუთავებელი შუღლით და ურთიერთბრძოლით. საბოლოოდ, შაჰ-აბაზის მიერ წმიდა მოწამე ლუარსაბ II-ს მოკვლის შემდგომ, ფაქტიურად შეწყდა ქართლის კანონიერი სამეფო დინასტიის მმართველობა. ასევე სპარსეთმა შეძლო კახეთის დაპყრობაც და იქედან კანონიერი სამეფო დინასტიის გაძევება. ლევან II დადიანის დროს იმერეთის სამეფო ტახტიც შერყეული იყო. აქაც სამეფო დინასტიის ლეგიტიმურობა საეჭვო ხდებოდა, სამეფო ტახტზე ხან გვერდითი შტოს წარმომადგენელი (ჭუჭუნაიშვილი) ადიოდა, ხან კიდევ გურიელთა სამთავროს სახლის წევრები.

რადგანაც აღმოსავლეთ საქართველოს, ვითარცა სპარსეთის ხელდებულ ქვეყანას, არ შეეძლო ყოფილიყო საქართველოს პოლიტიკური გამაერთიანებელი, ხოლო იმერეთის სამეფო დასუსტებული იყო, ლევან II დადიანი საქართველოს კულტურის, სუვერენული სახელმწიფოს გაერთიანების საქმეს პირადად ჩაუდგა სათავეში. მიზეზი ამისა გახლდათ ისიც, რომ ოდიში ანუ სამეგრელოს სამთავრო დადიანის მმართველობის დროს გაძლიერდა სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით. ქართული კულტურის ცენტრებმაც სამეგრელოში გადაინაცვლა. აღმოსავლეთ საქართველოს რბევა-აოხრების დროს ქართული მწიგნობრობის საეკლესიო ცხოვრების, კულტურის, ფერწერისა თუ ჭედური ხელოვნების (ხატების) მრავალი ახალი კერა სამეგრელოში გაჩნდა.

ლევან II-მ შეძლო თავის გავლენის სფეროში მოექცია სრულიად დასავლეთი საქართველო. მისი მმართველობის დამდეგს აფხაზეთი ოდიშის (სამეგრელოს) განუყოფელ ნაწილს შეადგენდა, ასევე სვანეთიც, ხოლო გურიისა და იმერეთის გავლენის ქვეშ მოქცევა ლევან II დადიანს არ გასჭირვებია. მაშასადამე, სუვერენული საქართველოს ერთადერთი ფაქტიური მეპატრონე იყო ლევან II დადიანი და ის ასევე მოიხსენებდა კიდევ თავის თავს: - “ხელმწიფეთა ხელმწიფე დადიანი ლეონ ყოვლისა საქართველოთა პატრონი“. ცაიშური გულანის ამ მინაწერიდან ჩანს, რომ იქამდე ოდიში ანუ სამეგრელო არა მხოლოდ საქართველოა ანუ ქართველთა ქვეყანა, არამედ ოდიშის მმართველი სრულიად საქართველოს გამაერთიანებელი და მისი პატრონია.

ლევან II-ის ტიტულიდან (“ყოვლისა საქართველოთა პატრონი“) ჩანს, რომ XVII საუკუნეში ეროვნული ცნობიერების უკიდურესი დაკნინების ეპოქაში სამეგრელოს მოსახლეობის ეროვნული იდენტობა შეურყეველია და ქვეყნის დაშლა-დანაწევრების მიუხედავად მტკიცეა. აქაური საზოგადოება ფიქრობს არა იმაზე, რომ გამოიყენოს შექმნილი ვითარება და ქვეყნის დაშლის დროს ააღორძინოს კუთხური ცნობიერება, არამედ იღვწის, რათა ქვეყნის სხვა ნაწილების უძღურების დროს მტერმა არ მოშალოს ერთიანი ივერიის სუვერენიტეტი და სასწრაფოდ გააერთიანოს დაშლილი ქვეყანა. ასეთ დროს სამეგრელოს საზოგადოებაში ჩაისახა იმედი იმისა, რომ საქართველოს გაერთიანების საქმეში დაეხმარებინათ რუსეთის ძლიერი სახელმწიფო. ამიტომაც გაგზავნეს ელჩად რუსეთში მღვდელი გაბრიელ გვეგანავა. მან 1636 წლისათვის შესაბამისი დოკუმენტები წარუდგინა რუსეთის სახელმწიფო მოხელეებს.

ლევან II დადიანი სიგელში რუსეთის ხელმწიფისადმი თავის სამთავროს უწოდებს არა ოდიშს ანდა სამეგრელოს, არამედ ივერიის მხარეს. ლევანი აღნიშნავს: “იყო ივერიის მიწაზე ხუთი ხელმწიფე, მათგან სპარსეთის შაჰმა ორი სახელმწიფო დაამხო, ხოლო დარჩენილი სამი სახელმწიფო დვთის შეწყვეთ იმართება მის მიერ“. ე.ი. მეფე ლეონტის მიერ (ასე უწოდებდნენ მას რუსეთში) (И было де в Иверской земле 5 государей и из них де Перской шах побил 2 государей, а достальных де 3-х носударей Государств Божию помощю владеет он, Леонтий царь“ (материали по Церковной и этнополитической историй Абхазии, Посолство Федота Елчина в мегрелию (1639-1640), ТБ. 2005, გვ. 114).

რომელი სახელმწიფოები იყო ლეონ II დადიანის ხელში 1640 წლისათვის? ოდიშის გარდა იმერეთის სამეფო და გურიის სამთავრო. რაც შეეხება აფხაზეთსა და სვანეთს, როგორც აღვნიშნეთ, ისინი ოდიშის სამთავროს შემადგენელ ნაწილებად მიიჩნეოდა. ამიტომაც იმერეთი, გურია და ოდიშია ის სამი სახელმწიფო, რომელთა მმართველად ლევან II დადიანს მიანდა თავისი თავი.

დევნილი თემურაზ I რუსეთის ხელმწიფის კარს აცნობებდა კიდევ, რომ ლევან II დადიანი თავის თავს მიიჩნევდა ივერიის მიწების ერთადერთ მეფედ. ეს იყო რეალური ფაქტი იქამდე. რუსეთის სამეფო კარიც ადასტურებდა, რომ იმ დროისათვის “ივერიის მიწების“ ნამდვილი ხელმწიფე (“მეფე“) მხოლოდ ლევან II დადიანი ანუ “ლეონტი“ მეფე იყო. კერძოდ რუსეთის მეფე მიხეილი ლევან II დადიანისათვის მიცემულ სიგელში აღნიშნავდა - “ივერიის მიწაზე იყო ხუთი

ხელმწიფე. მათგან ორი გაანადგურა სპარსეთის შაჰმა, ხოლო დარჩენილ სამ სახელმწიფოს ღვთის შეწევნით მართავ შენ“ (იქვე. გვ. 165). ამავე სიგელში სამეგრელოს ეწოდება ლეონ II დადიანის ივერიის მიწა და არა მხოლოდ სამეგრელოს ეწოდება ივერიის მიწა, არამედ მთელ ისტორიულ საქართველოს, მის დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეებს. ლეონ II-ს ასე მიმართავენ: “Тебя Леонтия Царья и твою иверскую землю“, “твое Государство иверской стороне“. სამეგრელო ივერიაა, ხოლო დასავლეთ საქართველოს მმართველი ივერიის მეფეა იმჟამინდელი რუსეთისათვის.

აღსანიშნავია, რომ სუვერენული მმართველობა ლევან II დადიანმა თავისი ხმლითა და თურქებთან დიპლომატიური და პოლიტიკური ომით მოიპოვა. იმჟამად თურქეთის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობა გართულებული იყო და ლევანი თურქეთს მხოლოდ მცირე ხარკს უხდიდა სავაჭრო ურთიერთობის სანაცვლოდ.

მღვდელი გაბრიელ გეგენავა, ივერიის მიწების ხელმწიფის ელჩი რუსეთში, აცხადებდა, სუვერენული ივერიის იმჟამინდელი საეკლესიო ცენტრი ბიჭვინთაა, სადაც ივერიის პატრიარქი ზისო. აქედან ჩანს, რომ იმდროისათვის აფხაზეთი ჯერ კიდევ შედიოდა სამეგრელოს სამთავროში ანუ აფხაზეთი იმჟამად ჯერ კიდევ ივერიად იწოდებოდა.

დადიანის ელჩი სარწმუნოებრივ საკითხებთან დაკავშირებით აცხადებდა, ამ ვრცელ ტერიტორიაზე სარწმუნოება (რჯული), საეკლესიო წიგნები, მამასადამე წირვა-ლოცვის ენა იყო მხოლოდ და მხოლოდ ქართული. თუმცა კი შინაობაში საკუთარი სამეტყველო ერთმანეთთან ურთიერთობის ენაც გვაქვს. - “А вера де у них христианская из грузинскою де верою и вера одна и книгитеж, что и грузинские, только де язык свой как межсобою говорят“.

“ყოვლისა საქართველოთა პატრონი, ხელმწიფეთა ხელმწიფე“ ლევან დადიანი ალბათ შეძლებდა კიდევ საქართველოს გაერთიანებას, რომ არა ადიღე-ჩერქეზების ანუ აფსუების შემოსევები, რომელთაც XVII-XVIII საუკუნეებში სასტიკად გაანადგურეს სამეგრელოს სამთავრო ანუ ქვემო ივერიის პოლიტიკური ცენტრი.

ისე გამძაფრდა ჩრდილო კავკასიიდან ადიღე-ჩერქეზთა შემოსევები, რომ ლევანი თავისი მმართველობის ბოლო პერიოდში იძულებული გახდა, თავდაცვის მიზნით აეგო საფორტიფიკაციო ნაგებობები, მაგალითად, ამაჟამად ცნობილი აფხაზეთის დიდი კედელი. ამის მოწმე მისიონერი არქანჯელო ლამბერტი ამბობს, ლევან დადიანმა ძალზე დიდი დანახარჯებით ააგო 60 ათასი ნაბიჯის სიგრძის კედელი. ამასვე წერს მეორე მისიონერი კასტელიც, რომელიც აღნიშნავს, ეს კელასურის კედელი გამიზნულია აფხაზთა შესაკავებლად. ადიღე-ჩერქეზებმა ანუ აფსუებმა იმდროისათვის შეძლეს ამ კედლის იქით მდებარე ტერიტორიის დაპყრობა და, რადგანაც მათ მიერ დამორჩილებულ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდებოდა, თავადაც აფხაზები ეწოდათ მხარის სახელის შესაბამისად.

აფხაზეთის ანუ კელასურის კედლის სიგრძე ასე კილომეტრია. ლევან დადიანის ბრძანებით იგი მეტად სწრაფად აუგიათ. ზოგჯერ კოშკებს უსაძირკვლოდ, პირდაპირ მიწაზე დგამდნენ.

კედელი იცავდა იმჟამად ოდიშის სამთავროში შემავალი დღევანდელი სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონების უხემოსავლიან სამიწათმოქმედო მხარეებს და იქ არსებულ ქართულ საეპისკოპოსოებსა და ქრისტიანულ მოსახლეობას. ვახუშტი ბაგრატიონი წერს, რომ დღევანდელი ახალი ათონის ანუ ანაკოფიის “აღმოსავლით ზღვიდამ მთამდე შევლო ზღუდე დიდი ლევან დადიანმა აფხაზთა გამოუსვლელობისათვის“. მას ამ მშენებლობის დროს ეხმარებოდნენ ბედიის, მოქვისა და დრანდის ეპისკოპოსები მრევლითა და თანხით, მაგრამ მომხდური აფსუების შეკავება ვერ შეძლეს. საბოლოოდ აფხაზებად წოდებულმა ამ ადიღე-ჩერქეზებმა დაიპყრეს სამეგრელოს ეკონომიკური სიძლიერის წყარო ზემოთ ხსენებული რაიონები, მოსპეს ზემოთ ხსენებული საეპისკოპოსოები, მათი მრევლი ანუ სამეგრელოს მოსახლეობა დახოცეს ან დაატყვევეს. გადარჩენილი ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა მოსახლურე ყმებად, ფაქტიურად მონებად გადააქციეს. დღესაც კი აფხაზურად დაბალ ფენას “აგირუა“ ანუ მეგრელი (გურული) ეწოდება. სამეგრელოს იმ დროისათვის მრავალრიცხოვანი მოსახლეობა განახევრებულა. მისიონერები წერენ, რომ ორმოცი ათასი კაციდან ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი ანუ ოცი ათასი კაცი ამოწყდა. ეს იმ დროისათვის ძალზე დიდი რაოდენობა იყო. წირვა-ლოცვა საბოლოოდ გაუქმდა ბიჭვინთის, დრანდის, მოქვის და ბედიის საეპისკოპოსოებში. აყვავებული ქვეყანა განანაგდა. ლევან დადიანმა დაინახა, რომ აფსუ-ჩერქეზების შემოსევების შედეგად ივერიის ანუ საქართველოს გამაერთიანებელი ბოლო ძალა იშრიტებოდა. მართლაც თითქმის საუკუნით გადაიდო საქართველოს გაერთიანების საქმე და განახლდა ერეკლე II-ის დროს, ლევანის გარდაცვალებიდან ასე წლის შემდეგ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ლევან II დადიანის დროს XVII ს-ის უცხოელი საეკლესიო მოღვაწეების შეხედულებით დასავლეთ საქართველოს ანუ ქვემო ივერიის პატრიარქი უპირატესი იყო ზემო ივერიის ანუ აღმოსავლეთ საქართველოს პატრიარქთან შედარებით. ისინი ქვემო იბერიის (ივერიის) ანუ დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოსს პირდაპირ უწოდებდნენ - “უფროსს კათალიკოსს“, ხოლო დასავლეთ საქართველოს უმაღლეს ხელისუფალს - “მთელი იბერიის მეფეთა მეფეს“.

რა იყო ამის მიზეზი? ამჟამად საყოველთაოდ გავრცელებული თვალსაზრისით მცხეთელი კათალიკოსი უპირატესი იყო აფხაზეთის კათალიკოსზე. “ერთს უხუცესი, ხოლო მეორეს უმრწამსი ეწოდებოდა“. ეს მართლაც ძირითადად ასე გახლდათ, მაგრამ XVII ს-სა და XVIII ს-ის დამდეგს, რადგანაც აღმოსავლეთი საქართველო მაჰმადიანთა ხელში აღმოჩნდა, საერთაშორისო საეკლესიო წრეებში ჩამოყალიბდა თვალსაზრისი, რომ სწორედ ქვემო იბერიის ანუ დასავლეთ საქართველოს მეთაური არის უპირატესი, სრულიად ივერიის საეკლესიო ხელისუფალი. მართლაც XVII ს-ის იერუსალიმელი პატრიარქი დოსითეოსი წერს: “იბერიაში ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსია, რომელთაც ქართველები უწოდებენ კათალიკოსებს. ქვემო იბერიას, რომელსაც ძველად კოლხეთს და ლაზიკას უწოდებდნენ, აქვს ეპარქიები იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთსა და მესხეთის ნაწილში. ქვემო იბერიის კათალიკოსი პატივით უფრო მეტია ზემო იბერიის კათალიკოსზე. იბერები ქვემო იბერიის კათალიკოსს მიიჩნევენ უფროს კათალიკოსად, რადგანაც მეფე, ე.ი. იმერეთის თავი მათთან იწოდება მთელი იბერიის მეფეთა მეფედ“. (დოსითეოსი, იერუსალიმელი პატრიარქები, თავი V, გვ. 510, წიგნიდან “საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, ტომი II, 1998, გვ. 90). XVII ს-ის მეორე იერუსალიმელი პატრიარქი ქრისანთი (ხრისანფი) იმავეს წერს: “საქართველოში, რომელსაც ადრე იბერია ერქვა იყო ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსი, რომელთაც ჩვეულების თანახმად უწოდებენ კათალიკოსებს. არქიეპისკოპოსი ქვემო იბერიისა იწოდება იმერეთის, ოსეთის, გურიის და სრულიად ქვემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად ანუ მარტივად სრულიად იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, როგორც უფროსი ზემო იბერიის კათალიკოსზე, ხოლო მეორე ე.ი. ზემო იბერიისა იწოდება ქართლის, კახეთის, აფხაზეთის და სრულიად ზემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად“ (იქვე გვ. 94). აქედან კარგად ჩანს, რომ XVII ს-ის საერთაშორისო წრეები, რუსეთის ხელმწიფის კარი და ბერძნული საპატრიარქოები აღიარებენ, რომ დასავლეთი საქართველო ანუ ქვემო იბერია იმჟამად იყო საქართველოს სუვერენიტეტისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ცენტრი. მართლაც ბიჭვინთელ კათალიკოსს სრულიად საქართველოს უმაღლეს საეკლესიო ხელისუფლად მიანდა თავი. მაგალითად: ბიჭვინთელი კათალიკოსი გრიგოლი საქმიან საბუთებსა და სიგელ-გუჯარებს ადასტურებდა ბეჭდით, რომელსაც ჰქონდა შემდეგი წარწერა: “გრიგოლ მწყემსი ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოსა კათალიკოსი“ (ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 675).

ასე რომ, არ არის სწორი ამჟამინდელი თვალსაზრისი, თითქოსდა ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ აფხაზეთის საკათალიკოსო ქართლის ეკლესიას გამოეყო, პირიქით, თავისი თავი აფხაზეთის კათალიკოსს სრულიად საქართველოს მწყემსად მიანდა და ქრისტეს მიერ დადგენილად “ყოვლისა საქართველოსა“ მამამთავრად. მის ამ უხენავსობას, როგორც ვთქვით, იმჟამინდელი საერთაშორისო წრეებიც ადასტურებდნენ. ამ ფონზე და ამ მნიშვნელობით არის სახელდებული ლევან II დადიანი ყოველი ივერიის ხელმწიფედ. უამრავი დოკუმენტიდან და სიგელ-გუჯარიდან ნათლად ჩანს, რომ ბიჭვინთის ღვთისმშობლის ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს სამწყსოს ქართველები შეადგენდნენ ანუ იმჟამინდელ მეგრელებს, გურულებს, სვანებს, იმერლებს და სხვ. განვითარებული ჰქონდათ არა ვიწრო კუთხური ტომობრივი თვითშემეცნება, არამედ ერთიანი ეროვნული.

შესაბამისი დოკუმენტის დამოწმებამდე უნდა ვთქვათ, რომ აღნიშნული კუთხეების მოსახლეობას ვიწრო კუთხური ეთნიკურ-ტომობრივი თვითშემეცნება განუვითარდა XIX და XX საუკუნეებში რუსული და კომუნისტურ-ათეისტური მმართველობის დროს. ამის დასამოწმებლად მოვიყვანთ ამონაწერს აფხაზეთის კათალიკოსის 1733 წლის სიგელიდან, სადაც ნათქვამია: “პირველწოდებულსა ანდრიას მიეცა ჩრდილოეთისა ქუყანა მოქცევად, ჩვენებისა წმიდისა ღვთისმშობლისათა, რამეთუ ჩვენ ქართველნი მისნი წილხვდომილნი ვართ“ (იქვე გვ. 727). ბიჭვინთის ღვთისმშობლის ანუ აფხაზეთის საკათალიკოსის მრევლი წმიდა ანდრიას მიერ მოქცეული მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ეთნიკური ქართველებია. ეს არის უეჭველი მოსაზრება იმ დროისათვის. ამიტომაც იყო ამ ხალხის სახელმწიფო, კულტურისა და საეკლესიო ენა მხოლოდ და მხოლოდ ქართული (უძველესი ხანიდანვე). სწორედ ამ ქართველობის გამო განდევნეს აფსუა-ჩერქეზებმა თავისი კათედრებიდან ჯერ ბიჭვინთის კათალიკოსი, შემდეგ კი დრანდის, მოქვისა და ბედიის ეპისკოპოსები. მათი მრევლი კი, ისტორიული სამეგრელოს მოსახლენი, ტყვეებად გაიხადეს.

ლევან II დადიანი თავგამოდებით იბრძოდა საქართველოს გასაერთიანებლად. სურდა, საქართველოს განთავისუფლება ოსმალებისა და ყიზილბაშებისგან, მთელი ივერიის სუვერენული სახელმწიფოს აღორძინება. მზად იყო, დახმარებოდა სპარსელთა მიერ კახეთიდან გაძევებულ თეიმურაზ I-ს, რათა ის ტახტზე ასულიყო, ვითარცა ქრისტიანი მეფე. თეიმურაზს თავის მხრივ სურდა, თავისი შვილიშვილი ერეკლე, ვითარცა იბერიის ხელმწიფე, აღეზარდა ლევან დადიანს. სწორედ ლევანმა აიყვანა საკათალიკოსო ტახტზე ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი, სახელოვანი საეკლესიო მოღვაწე.

ლევან II დადიანის გარდაცვალება უდიდესი დანაკარგი იყო საქართველოსთვის, რადგანაც სულ რამდენიმე წელიწადში ოდიშის ანუ “ივერიის“ სახლგარი ძლიერ შემცირდა ჩრდილოკავკასიელ აფსუათა შემოსევების გამო. მას ასე ახასიათებს წმ. გიორგის გელათური გულანის მინა-

წერში ერთი სასულიერო პირი: “მიიცვალა სახელოვანი, სახელგანთქმული, მრავალჯერ გამარჯვებული დადიანი ბატონი ლევან, საუკუნომცა არს ხსენება მისი”.

ჩვენს საზოგადოებაში გაბატონებული თვალსაზრისით მდ. ენგურის იქით აფხაზეთი თითქოსდა დასახლებული იყო ეთნიკური ჯგუფით - “აფხაზებით“, ხოლო ისტორიულად საზღვარი მეგრელთა ჯგუფსა და ეთნიკურ აფხაზებს შორის იყო ენგური. ასეთი თვალსაზრისი ჩამოყალიბდა რუსების ბატონობის დროს XIX-XX სს-ში. სინამდვილეში, ლევან II დადიანის მემატიანეთა ცნობებით, ოდიშის სამთავროს დასავლეთი საზღვარი გადიოდა კელასურ-კოდორთან. იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის ცნობით ოდიშის საზღვარი კიდევ უფრო ჩრდილოეთით პუნქტ დიოსკურიასთან გადიოდა. მთელი ეს მხარე ანუ ისტორიული სამეგრელო, იგივე ოდიში დასახლებული იყო არა აფხაზებით, არამედ მეგრელებით. ეს ტერიტორია საბუთებში იხსენიება, როგორც “დადიანის მიწა“ ანუ “ივერია“, ხოლო ამ მიწა-წყლის მფლობელი - “ივერიის მეფედ“, “საქართველოს ხელმწიფედ“ ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ მიწა-წყლის მოსახლენი ლევან II დადიანის დროს იყვნენ არა აფხაზები, არამედ მეგრელები, აფხაზები კი სახლობდნენ თანამედროვე გუდაუთისა და გაგრის რაიონებში. ცხადია, აფხაზებიც ეთნიკური ქართველები იყვნენ, მაგრამ თავდაპირველად სწორედ მათ შეეცვალათ ეთნიკურ-ეროვნული ცნობიერება, შეერივნენ ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებულ აფსუაჩერქეზებს, მეომარ ტომებს, შემდეგ კი უწინამძღვრეს მათ, მათზე დაყრდნობით გადმოლახეს ლევან II დადიანის მიერ აფსუათა შესაკავებლად აგებული 100 კმ სიგრძის კედელი და შეეივნენ ისტორიულ სამეგრელოს ანუ თანამედროვე სოხუმის, გულრიფშის, გუდაუთისა და გალის რაიონებს. XVII ს-ის 80-იანი წლებიდან თვითმხილველი იერუსალიმელი პატრიარქის დოსითეოსის ცნობით ამ აფხაზებად სახელდებულმა აფსუებმა მოაოხრეს ტერიტორია “დიოსკურიიდან ჰიპიუსამდე“ (ე.ი. სოხუმიდან ცხენისწყლამდე), შემდეგ კი დაიწყო დაპყრობილი სამეგრელოს ტერიტორიაზე აფსუაჩრდილოკავკასიელთა მასობრივი ჩამოსახლება. გაჩნდა ახალი ისტორიულ-გეოგრაფიული ცნებები - “აბჟუა“, “სამურზაყანო“. ისტორიული იბერია “ჩერქეზეთად“ გადაიქცა. ამიტომაც XIX ს-ის მოგზაურები სპენსერი და გამმა ამ ტერიტორიას (სოხუმიდან ცხენისწყლამდე) “ჩერქეზეთს“ (ჩერქეზეთის ნაწილს) უწოდებდნენ. ასე რომ ლევან II დადიანი ჭეშმარიტად იყო “ხელმწიფე ივერიისა“ ანუ ივერიის მიწების ბოლო მფლობელი ისტორიულ სამეგრელოში დიოსკურია-კოდორამდე.

თაობებისთვის დაუვიწყარი იქნება ლევან II დადიანის ზრუნვა ქართული კულტურისა და ქრისტიანობის ასაყვავებლად, ქართული სოციალ-პოლიტიკური სისტემის ანუ “ქართველობის“ დასაცავად მთის ელემენტებისგან (ანუ აფსუებისგან) და გაოსმალება-გათათრებისაგან.

ლევან II დადიანის ოჯახში აღიზარდა “საქართველოს დედოფალი - მარიამი“, რომელმაც ქართული სულისკვეთება შთანერგა სპარსელთა მიერ ვინაობადაკარგული ქართლის მეფე-ხანების როსტომისა და შაჰნავაზის კარზე.

მეფე თეიმურაზ I-ის ბრძოლა “ქართველობისათვის“

მეფე თეიმურაზ I, ქართველი ერისათვის ერთ-ერთ ყველაზე საშინელ საუკუნეში, მსგავსად თავისი წმიდა დედისა - ქეთევანისა, ფარად და დარაჯად ედგა ეროვნულ სარწმუნოებასა და ქართველობას. თეიმურაზი ებრძოდა ქრისტიანობის უსასტიკეს მტრებს, უზარმაზარი იმპერიის მმართველებს: შაჰ-აბას I-ს, შაჰ-სეფისა და შაჰ-აბას II-ს 1606 წლიდან 1663 წლამდე, თითქმის სამოცი წლის მანძილზე. თეიმურაზი ღრმად მორწმუნე ქრისტიანი იყო, ერთგული შვილი საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა, რომლის მნიშვნელობა კარგად ესმოდა. 1661 წელს თეიმურაზი ბერად აღიკვეცა. ამ დროს ის მოხუცი იყო, მაგრამ მონაზვნური თავმდაბლობა და საკუთარი თავის მკაცრად განსჯა ახალგაზრდობის წლებშიც ახასიათებდა.

მეფე თეიმურაზ I ქრისტეს ერთგული მეომარი იყო. იგი არა მარტო სპარსეთ-ოსმალეთის მმართველებს, არამედ მათი პოლიტიკის გამტარებელ გადარჯულებულ ქართველებსაც ებრძოდა, რომელნიც არანაკლები უბედურების მომტანნი იყვნენ საქართველოსთვის. ერთ-ერთი ასეთი ქართველი გახლდათ მეფედ წოდებული როსტომ-ხანი, რომელსაც შაჰმა ქართლ-კახეთის მმართველობა ჩააბარა თეიმურაზის გაძევების შემდეგ.

თეიმურაზ მეფე 74 წლისა გარდაიცვალა ქრისტეს ერთგულების გამო სპარსთა მიერ ასტრბადის ციხეში გამომწყვდეული. იგი საქართველოში ჩამოასვენეს და ალავერდის ტაძარში დაკრძალეს სხვა ქრისტიან მეფეთა გვერდით. როსტომ-ხანი კი, სპარსთა პატივითა და ღიადობით აღვსილი, თბილისში გარდაიცვალა, თათრებმა გლოვა-ტირილით სპარსეთში წაასვენეს და ქალაქ ყუმში დამარხეს. ყუმი სპარსეთის ისეთივე წმიდა ადგილი იყო, როგორც ქართველთათვის მცხეთა, ალავერდი და გელათი.

თუ რატომ ებრძოდა თეიმურაზ I მეფე როსტომს და რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველობის შესანარჩუნებლად თეიმურაზის დაუმორჩილებლობას, კარგად ჩანს მემატიანეთა მიერ როსტომის საქმიანობის შეფასების მიხედვით. ისტორიკოსები წერენ, რომ როსტომი ქართლში გააბატონა და მეფედ აქცია უცხო ძალამ, სპარსთა სამხედრო ძალამ. იგი ზნეჩვეულებით უფრო სპარსელი იყო, ვიდრე ქართველი. სპარსეთიდან თან წამოიყვანა გაათათრებული ქართველები და მოხელეებად განაწესა. ქართლში გამრავლდა ანგარება და სიმდიდრის მოყვარება, სიძვა და არაწმინდანება, სოლომ-გომორული ცოდვა. ბილწების მოქმედ ქართველებს ღიად პატივს სცემ-

და და უსმენდა როსტომი, ხოლო სიმართლის მოყვარულთ პირიქით ექცეოდა. ქართველებმა ისწავლეს ყიზილბაშური სმა-ჭამა, გაყიდეს მამა-პაპათაგან ნაბოძები მამულები და აგარაკები, იცვამდნენ, ჭამდნენ და სვამდნენ. შვილების მომავალზე კი აღარ ზრუნავდნენ.

ბერი ეგნატაშვილი წერს: ამ დროიდან დაიწყო ტყვეთა გაყიდვა თავადებმა და გამრავლდა ცოდვა. თვით სამღვდელონიც მიდრეკენ კეთილისაგან, მოუძღურდა სჯული და საეკლესიო წესი განირყვნა, რადგან აღარ იღვწოდნენ სულისათვის, მხოლოდ ხორცისათვის ზრუნავდნენ.

ქართულ ეკლესიას, ცხადია, არ შეეძლო მშვიდად ეყურებინა ქართველთა სულიერი გადაგვარებისათვის. ამიტომ მოუწყო აჯანყება როსტომს ქართლის კათალიკოსმა ევდემონ დია-სამიძემ, რომელსაც სურდა, ქართველობისათვის თავდადებული მებრძოლი თეიმურაზი ეხილა ქართლის სამეფო ტახტზე. როსტომმა ქართლის კათალიკოსი სასტიკი სიკვდილით მოაკვდინა, ხოლო მისი გვამი შეურაცხყო. სამაგიეროდ სამღვდლო პირებს ჯამაგირი განუწესა, ხალხის გულის მოსაგებად ააშენა მცხეთის სვეტიცხოვლის გუმბათი და სხვა ეკლესიები, რომლებიც დანგრეული იყო.

განსაკუთრებით სასტიკი იყო როსტომ მეფის დროს აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრებული წესი სპარსეთში ტყვეთა გაგზავნისა.

სწორედ როსტომს, ქართულ წეს-ჩვეულებათა შემწვლელსა და ქართველობისათვის ძირის გამოთხრელს ებრძოდა ქრისტიანი მეფე თეიმურაზ I, მაგრამ იგი საბოლოოდ დამარცხდა, რაც “ქართველობის” დამარცხებასაც ნიშნავდა.

როგორც აღინიშნა, ამ ეპოქაში “ქართველი” ეწოდებოდა არა ყველას, ვინც თავს ქრისტიანად მიიჩნევდა, არამედ ეთნიკური წარმოშობით ქართველს, რომელიც იმავდროულად საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წევრიც იყო. შეიძლება ეთნიკური წარმომავლობით ქართველი, სარწმუნოების გამო “თათარი”, ან კიდევ ამავე მიზეზით “ფრანგი” ან “სომეხი” ყოფილიყო. ქართველ ერს იმ დროს მრავლად ეკარგებოდა “გათათრებული”, “გაფრანგებული”, “გასომხებული” ქართველები, რადგან სარწმუნოების შეცვლა მათი ეროვნული თვითშემცნების შეცვლასაც იწვევდა და ისინი იმ ერებს ემატებოდნენ, რომელთა რელიგიების აღმსარებლადაც მიიჩნდათ თავი.

ქართველობის შესანარჩუნებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ-ეროვნულ, ე.ი. ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ სახელმწიფოს. ქართული სახელმწიფოს დაკნინება თავისთავად იწვევდა საქართველოს ეკლესიის დაკნინებას და, მაშასადამე, “ქართველობის” დეგრადაციასაც, მაგრამ ქართული სახელმწიფოებრიობის სრული გაუქმება სპარსეთ-ოსმალეთმა ვერ შეძლო.

როსტომ მეფემ საფუძველი დაუდო ქართლ-კახეთში ახალი ტიპის სახელმწიფოს. ერთი მხრივ არ მოშალა ძველი ქართული სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, არ შეცვალა სახელმწიფო მმართველობანი, ძველთაგანვე არსებული ქართული სახელო-თანამდებობანი და თავის თავსაც “მეფეს” უწოდებდა, მაგრამ მეორე მხრივ, გზა გაუხსნა “ყიზილბაშურ რიგს”, შეცვალა ხელისუფალთა დასახელება სპარსულის მსგავსად, შემოიღო ყიზილბაშური თანამდებობები, ორსახა (ორპირი) გახდა თავისი მმართველობა. სპარსელებისათვის ის იყო “ვალი” - შაჰის მოხელე, ქართველებისათვის - “მეფე”. სპარსელების თვალსაზრისით ქართლი არ გამოირჩეოდა სპარსეთისაგან, ქართველების თვალსაზრისით კვლავ ქართული რიგით იმართებოდა. წაგებული ქართული მხარე რჩებოდა, რადგან ქვეყანა ირყვნებოდა და მოსახლეობა ეჩვეოდა მაჰმადიანურ წესსა და რიგს, მაჰმადიანურ ჩვეულებებს. თუ ადრე სპარსეთთან უშუალო ბრძოლისას ქართველები ინარჩუნებდნენ მაღალ სულიერებას, ქართველობასა და ეროვნული კულტურის სიწმინდეს, მაგრამ ძლიერ ზარალდებოდნენ მატერიალურად, ახლა, მართალია, მატერიალურად აღარ ზარალდებოდნენ, მაგრამ სანაცვლოდ კნინდებოდა ქართული კულტურა და სულიერება. ქვეყანა ეროვნულ-სარწმუნოებრივი გადაგვარების გზას დაადგა.

ძველქართული სახელმწიფოებრიობის ადგილას დამყარებული არაეროვნული ქართულ-ყიზილბაშური სახე ქართლ-კახეთის მმართველობისა მთელი 112 წლის მანძილზე არსებობდა - 1632-1744 წლებში.

ამ დროს ასე თუ ისე არსებობდა საქართველოს ეკლესიაც თავისი სტრუქტურებით. ერთადერთი ეროვნული ბურჯი ქართველობისა, მაჰმადიანურ იმპერიებთან მებრძოლი, ამიტომაც ამ იმპერიებისათვის მიუღებელი. მაჰმადიანებმა შეძლეს მოესპოთ ბერძნული სახელმწიფო, ამის გამო ბერძნული ეკლესია მათთვის საშიში აღარ იყო, შეძლეს მოესპოთ სომხური სახელმწიფო, ამის გამო სომხური ეკლესია მათთვის საშიში აღარ იყო, მაგრამ ვერ შეძლეს ქართული სახელმწიფოებრიობის სრული მოსპობა, რომლის სული და გული და მამოძრავებელი ძალა საქართველოს ეროვნული ეკლესია გახლდათ. ამიტომ ებრძოდნენ მაჰმადიანები საქართველოს ეკლესიას. ამავე დროს მათ შეძლეს როგორც ბერძნულ, ისე სომხურ ეკლესიებზე თავიანთი ზედამხედველობა განეწესებინათ. ორივე ამ ეკლესიას, რომელთაც დიდძალი მრევლი ჰყავდათ, მაჰმადიანურ ქვეყნებში მაჰმადიანი მმართველები მართვა-გამგეობის საქმეშიც იყენებდნენ.

როგორ ექცეოდა როსტომ-ხანი საქართველოს ეკლესიას? რადგანაც მისი პოლიტიკა კომპრომისული იყო, ჩვენი ეკლესიის მიმართაც გარკვეულ ლოიალობას იჩენდა, მაგრამ აქ აღსანიშნავია სხვა რამ. თუ აქამდე ძველქართული სახელმწიფოებრივი სისტემის არსებობისას საქართველოს ეკლესია სახელმწიფოში უპირველესი და უპირატესი სარწმუნოებრივი ორგანიზაცია იყო,



ახლა როსტომის დროს, მან თავისი უპირატესობა სხვა ქრისტიანულ მიმდინარეობებთან შედარებით დაკარგა და სხვებს გაუთანაბრდა.

მეორე მხრივ, როსტომი როგორც სპარსი მოხელე, ვალდებული იყო განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა გამოეჩინა სომხური ეკლესიისადმი. მონოფიზიტებისადმი როსტომი ისე უსაზღვრო გულმოწყალებას იჩენდა, თვით სომხებს სომხად, ძველი სომეხი ხელმოწილების ანისელი ბაგრატიონების შთამომავლად მიაჩნდათ.

თბილისი ამ დრომდე საუკუნეთა მანძილზე იყო საქართველოს სატახტო ქალაქი, სადაც ცხოვრობდა ქართული მოსახლეობა, რომელსაც ქართული ენა, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები ჰქონდა. იმის შემდეგ კი, რაც თბილისსა და ქვემო ქართლს მაჰმადიანი ბაგრატიონი მმართველები დაეპატრონენ (დაუდ-ხანი, ბაგრატ-ხანი, სიმონ-ხანი), თბილის-ქვემო ქართლი სპარსული სახელმწიფოს ქვეშევრდომ ქვეყნად იქცა. აქ, ცხადია, სომხებს მიეცათ ის შეღავათები, რაც საერთოდ სპარსეთში ჰქონდათ. როსტომ-ხანის მმართველობისას თბილისის ეკონომიკურმა აღმავლობამ კიდევ უფრო გაზარდა გრიგორიანთა რაოდენობა თბილისში. რასაკვირველია, გრიგორიანების სიტყარბემ ქართველთა შევიწროება გამოიწვია სამმართველო და სხვა სფეროებში.

აღსანიშნავია, რომ იმდროინდელი ქართული მაღალი საზოგადოების ნაწილსაც სომხოფილური ტენდენციები გაუჩნდა. ეტყობა, მსგავსი ტენდენციები დაბადა სომხთა ეკლესიის აყვავებაში, სომხური საეკლესიო კაპიტალის საერთაშორისო არენაზე გასვლამ, სომხური სასულიერო და სამეცნიერო კულტურის გაფურჩქვნამ და ძველი ქართული კულტურულ-სულიერი მონაპოვრის დავიწყებამ. როსტომის ისტორიკოსი, მის კარზე აღზრდილი და სპარსეთში მოღვაწე ფარსადან გორგიჯანიძე საერთოდ არ იცნობდა ქართულ ისტორიოგრაფიას, სამაგიეროდ იცნობდა სომხურს და მის მიხედვით წერდა საქართველოს ისტორიას სომხოფილური ტენდენციებით. როგორც ჩანს, ასეთი გახლდათ ეპოქის სული. ქართველთა დენაციონალიზაცია დაწყებული იყო.

ამ მდგომარეობაში ჩააყენა საქართველო და საქართველოს ეკლესია როსტომის “კომპრომი-სულმა“ ქართულ-სპარსულმა სახელმწიფომ. სრულიად სხვა იქნებოდა საქართველოს მდგომარეობა თეიმურაზ I-ის სახელმწიფოში, რადგანაც თეიმურაზი ძველი ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის დამკვიდრებისა და მისი ბუნებრივი მდინარეების განსაგრძობად იბრძოდა.

თეიმურაზს ემხრობოდა ქართლ-კახეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. მისი მეფობა ქართველთა სურვილი იყო. ამიტომ როსტომი თეიმურაზს მეტოქეობას ვერ გაუწევდა უცხოელთა სამხედრო ძალების გარეშე.

თეიმურაზ I-მა ქართველობას შესწირა დედა, შვილები, შვილიშვილები, პირადი ცხოვრება და ბედნიერება. სპარსეთის შეუდრეკელი მოწინააღმდეგე და სპარსულ დამპყრობელთა წინააღმდეგ ორმოცდაათწლოვანი ბრძოლის მესაჭე ყველა მის ქვეშევრდომს უყვარდა.

შაჰ-აბასის მიერ კახეთის მოხრების შემდეგ 1616 წლიდან ვიდრე 1623 წლამდე თეიმურაზი დასავლეთ საქართველოსა და ოსმალეთში იმყოფებოდა და დიდად იღვწოდა სპარსთა შესაფიქროებლად. ამიტომ ოსმალეთშიც არ ასვენებდნენ მას და მის ოჯახს სპარსელები, სპარსეთში მძევლად გაგზავნილი დედა და შვილები კი უწამეს.

შაჰ-აბასს განზრახული ჰქონდა ქართლ-კახეთის მოსახლეობის სრულად აყრა და სპარსეთში გადასახლება, ხოლო მათ ადგილას - სპარსელების ჩასახლება. ამ მიზნით მოურავი - გიორგი სააკაძე გამოგზავნა უზარმაზარი ლაშქრით, მაგრამ გიორგი დაუკავშირდა ზურაბ ერისთავს და შეითანხმა აჯანყებულებიყენენ სპარსთა წინააღმდეგ. აჯანყება ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. ეს იყო ერთ-ერთი უდიდესი გამარჯვება ქართველი ერის ისტორიაში. აჯანყება მოხდა 1623 წელს, რის დროსაც განადგურდა ყიზილბაშთა მრავალრიცხოვანი ჯარი. ამან შეარყია შაჰ-აბასის გავლენა და ავტორიტეტი. 1625 წელს ირანს ქურთისტანი აუჯანყდა. იმავე წელს ოსმალეთმა სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი დაიკავა და იგი ახალციხის საფაშოდ აქცია.

შექმნილ სიტუაციაში შაჰმა თეიმურაზთან შერიგება გადაწყვიტა და 1631 წელს იგი გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფედ აღიარა.

თეიმურაზი შიშის ზარს სცემდა მაჰმადიან მმართველებს. ამიტომ მისი მეფობა დიდხანს ვერ მოითმინა შაჰმა და საქართველოსკენ კვლავ გამოგზავნა უზარმაზარი ჯარი, რომელსაც თეიმურაზის გაძევება და “გურჯისტანის ვალად“ როსტომ-ხანის დასმა ევალებოდა.

1632 წლიდან გაძევებული თეიმურაზის ნაცვლად ქართლის “მეფედ“ 67 წლის როსტომი დაჯდა.

ბერად აღკვეცილი თეიმურაზი 74 წლისა გარდაიცვალა. უფრო ადრე გარდაიცვალა როსტომი. მის ადგილზე მუხრანელი ბაგრატიონი - გამაჰმადიანებული ვახტანგ V (შაჰნავაზი) დასვეს.

თეიმურაზისა და სხვა ერთგულ შვილთა თავდადება ქრისტეს სარწმუნოებისადმი იმ დროს ქვეყანა სრული გადაგვარებისაგან იხსნა. ქართველთა ორიენტირი კვლავ სარწმუნოება და მამული იყო.

ამ პერიოდში ეწამნენ ქრისტესა და სამშობლოსათვის შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავნი და ბიძინა ჩოლოყაშვილი.

საუბედუროდ მაჰმადიანურ სახელმწიფოებთან ომში თეიმურაზი დამარცხდა. ქართულმა სახელმწიფოებრიობამ თვისობრივად სხვა სახე მიიღო. საქართველოს ეკლესიას, მაშასადამე “ქართველობას”, თავის სამშობლოში არავითარი უპირატესობა აღარ ჰქონდა.

მონაზვნად აღკვეცილი თეიმურაზი შაჰნავაზმა დააპატიმრა და ირანში გაგზავნა შაჰთან. შაჰი თავდაპირველად პატივით ეპყრობოდა თეიმურაზს, მაგრამ შემდეგ, როცა ქრისტიანობის უარყოფა მოსთხოვა და უარი მიიღო, წინააღმდეგობის გაწევა არ აპატიო და ასტრახადის ციხეში გამოკეტა. აქ გარდაიცვალა თეიმურაზი 1663 წელს. მისი ნეშტი კახეთს წამოასვენეს და ალავერდში დაკრძალეს.

### ქართული ეკლესია ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ

XVII ს-იდან საქართველოში ტყვეთა სყიდვა გავრცელდა. ეს საშინელი ცოდვა მანამდე ჩვენი ხალხისთვის უცხო იყო. ტყვეთა სყიდვა გვიჩვენებს, რომ ამ დროს ქართველობა ზნეობრივად დაცემულია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ტყვეთა სყიდვას უფრო გარეშე ძალთაგან იძულება განაპირობებდა.

საქართველოს, ქართველ ხალხს სპარსეთთან და ოსმალეთთან გამუდმებული ომი ჰქონდა. სწორედ ამიტომ ამ ქვეყნებმა გადაწყვიტეს, დაუმორჩილებელი, ფაქტიურად ეკონომიკურ ბლოკადაში მოქცეული საქართველო (დასავლეთ საქართველოს მარილს, რკინასა და სხვა ნაწარმს გარკვეულ პერიოდში არ აწვდიდნენ) ქართული მოსახლეობისაგან დაეცალათ. სპარსელ-ოსმალები საქართველოში მხოლოდ მართლმადიდებელს, ე.ი. ქართველს ყიდულობდნენ. სხვა სარწმუნოების მქონენი (ე.ი. არაქართველნი) მათ არ აინტერესებდათ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ თათრები წინასწარ შემუშავებული გეგმით მოქმედებდნენ.

როსტომ-ხანმა, რომელიც უერთგულესი აღმსრულებელი იყო სპარსელთა ნებისა, სასწრაფოდ მოშალა მანამდე არსებული წესი - თათრებისათვის საქართველოდან არაქრისტიანი მონების გაგზავნისა და ქართველთა მონებად გაგზავნა შემოიღო.

მისიონერთა დაკვირვებიდან ჩანს, რომ სპარსელებსა და თურქებს ტყვეთა სყიდვა საქართველოში ქრისტიანობისა და ქართველობის აღმოსაფხვრელად უნდოდათ.

ქართველები მასიურად გაჰყავდათ მონებად. არა მარტო სპარსეთისა და თურქეთის ცენტრალური ოლქები, არამედ პროვინციებიც (ეგვიპტე, ერაყი და სხვ.) საცხე იყო ქართველი მონებით. გაყიდული ქართველები კარგავდნენ ეროვნებას და სხვა ხალხებში ითქვიფებოდნენ. ევროპელ მისიონერთა დაკვირვებით ქართველები თვით საქართველოშიც კარგავდნენ ეროვნებას, როცა სხვა სარწმუნოების მქონე ოჯახში მსახურობდნენ.

ცნობილია, რომ როსტომ-ხანის მეფობისას თბილისის მმართველობა სომხური სარწმუნოების მოქალაქეებმა ჩაიგდეს ხელში (თუმცა, წარმოშობით ისინი ქართველები იყვნენ). მათ მრავალი ქართველი ყმა-შინამოსამსახურე და ყმა ხელოსანი ჰყავდათ, რომლებიც სომხურ სარწმუნოებას იღებდნენ და სომხდებოდნენ. ასეთივე იყო სხვა ეროვნების მებატონეთა ხელქვეითი ქართველების ბედიც. მ. თამარაშვილის ცნობით, მისიონერები წერენ, რომ ებრაელი მებატონის ოჯახში ქართველი მონები იუდეველობას იღებდნენ.

ქართველი ხალხი ძალზე მწარედ განიცდიდა ტყვეთა სყიდვას, რომელსაც ქრისტიანობის დაკარგვაც მოსდევდა.

ქართველი მემკვიდრეები მიიჩნევდნენ, რომ ამ უბედურების ფუძემდებელი აღმოსავლეთში როსტომ მეფე-ხანი, ხოლო დასავლეთ საქართველოში ლევან დადიანი იყო.

ამ უსაშინლესი ცოდვის ნიშნების გამოჩენისთანავე საქართველოს ეკლესიამ განგაში ატეხა. მოწვეული ქნა კრება, რომელმაც მიუხედავად წოდებისა ამ ბოროტების ჩამდენი ყველა ადამიანი შეაჩვენა, მაგრამ, სამწუხაროდ, საეკლესიო კრების განჩინებამაც ვერაფერი უშველა საქმეს.

ქართველების მასიურად ტყვეებად გაყიდვას მათი დენაციონალიზაცია, განსაკუთრებით კი გათათრება მოჰყვა.

### თავი XV. ქართული ეკლესია XVIII საუკუნეში ბრძოლა “გამოსნისა და აღდგომისათვის”

მდგომარეობა, რომელშიც მთელი საქართველო იმყოფებოდა XVII ს-ში, XVIII ს-ის დამდეგსაც გაგრძელდა.

ეროვნული ცნობიერების გადასარჩენად, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ქრისტიანული სარწმუნოების დაცვა, მაშასადამე, დაცვა და გაძლიერება საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა.

სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დაწყებისთანავე, 1705 წელს, ვახტანგ VI-მ საეკლესიო კრება მოიწვია. კრებამ ქართლის კათალიკოსად რუსეთიდან ახლად დაბრუნებული ვახტანგის ძმა - დომენტი აირჩია. დომენტი განათლებული პიროვნება იყო, რომელიც თავისი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე ვახტანგს ენერგიულად შეველოდა სახელმწიფო საქმეთა მოგვარებაში.

იმ დროს ეროვნული თვითშეგნება საოცრად იყო დაკნინებული. ქვეყანას სჭირდებოდა ამ შეგნების გამოღვივება და განმტკიცება. შერყენილი იყო ქართული ენა, დაწერილი არ იყო XIV-XVII საუკუნეთა ისტორია, ძველი მატინაეები და ქრონიკები დავიწყებამის ცემოდა, ხელოვნებაში სპარსული ტრადიციები სჭარბობდა, ქრისტიანულთან შედარებით სპარსულ-მაჰმადიანურ სამართალს ჰქონდა უპირატესობა.

ეროვნული თვითშეგნების გამოსადვივებლად და გასადვივებლად დიდი წარმატებით იღვწოდა ბაგრატიონების უმცროსი შტო - მუხრან-ბაგრატიონები და მათთან დაახლოებული, მათ გარშემო შემოკრებილი თავდადებული ქართველები. ამ დიდ საქმეში განუზომელია ვახტანგ VI-ის, მუხრან ბატონების დინასტიის წარმომადგენლის ღვაწლი.

პირველმა წარმატებებმა ქართველ პატრიოტებს აფიქრებინა, დაესახათ უფრო დიდი და ვრცელი პროგრამა: საქართველოს “გამოხსნა და აღდგომა”. “გამოხსნაში” იგულისხმებოდა მაჰმადიანური ქვეყნისაგან თავის დაღწევა. “აღდგომა” - საქართველოს გაერთიანებას, ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას გულისხმობდა.

“გამოხსნისა და აღდგომისათვის” საჭირო იყო ქრისტიანული სახელმწიფოების თანადგომა. ამ პროგრამაზე იყო აგებული ვახტანგ VI-ის და ქართველი მოღვაწეების საგარეო პოლიტიკა. აქ უპირველეს ყოვლისა, იგულისხმებოდა ევროპულ-კათოლიკური ქვეყნები და რუსეთი, საქართველოს უახლოესი ძლიერი ქრისტიანული მეზობლები, მათი დახმარებით საქართველოს სამეფოს აღდგენა და ტახტზე მართლმადიდებელი მეფის აყვანა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ევროპულმა, ისე რუსულმა ორიენტაციამ კრახი განიცადა და, საბედნიეროდ, თვით ქართველთა შორისვე აღმოჩნდა ძალა “გამოხსნისა და აღდგომისათვის”. ქართველმა ერმა შეძლო ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღორძინება თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის დროს ქრისტიანი ქართველი მეფის კურთხევის წესის აღდგენითა და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანებით.

როგორც ვიცით, როსტომ-ხანმა თავის მემკვიდრედ ვახტანგი აირჩია, მუხრანელი ბაგრატიონი, რომელიც ირანში გაგზავნეს, გაამაჰმადიანეს და ვახტანგ V-ის ანუ შაჰნავაზ-ხანის სახელით ქართლის გამგებლად დანიშნეს (1658-1675). მაჰმადიანობის მიუხედავად, შაჰნავაზ-ხანი ცდილობდა, როსტომის გაფუჭებული საქმე გამოესწორებინა. 1663 წელს მისი შვილი, არჩილი, ირანში ჩაიყვანეს, გაამაჰმადიანეს და შაჰნავაზ-ხანის სახელით კახეთში გაამეფეს. არჩილი თავდადებით უწყობდა ხელს პატრიოტული გრძნობების გაღვივებას ქართველთა შორის. ქართული ენის სიწმინდის დაცვა, სპარსოფილობის აღმოფხვრა, ლიტერატურის გაეროვნულება მისი მუდმივი ზრუნვის საგანი იყო, მაგრამ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ვახტანგიც და არჩილიც იძულებულნი იყვნენ, როსტომის პოლიტიკა გაეგრძელებინათ.

მიუხედავად არჩილის პატრიოტიზმისა, სახელმწიფოებრივი მექანიზმი ისე იყო მოწყობილი, რომ სახელმწიფოებრივ საბუთებს ისიც ქართულ-სპარსულად ადგენდა. მალე არჩილმა სპარსეთისადმი პროტესტის ნიშნად კახეთი დატოვა, რის გამოც მამამისი დაისაჯა. ვახტანგ V ირანში გაიწვიეს, სადაც 1675 წელს გარდაიცვალა. 1677 წელს ქართლში მეფედ მისი გამაჰმადიანებული ძე გიორგი XI გამოგზავნეს, რომელსაც ასევე შაჰნავაზ-ხანი უწოდეს, კახეთს კი 1677 წლიდან 1703 წლამდე ყიზილბაში ხანები მართავდნენ. შაჰმა გიორგი XI-ს არჩილის შეპყრობა დაავალა, რაზეც მან უარი განაცხადა, ამის გამო 1688 წელს გადააყენეს და მის მაგივრად თეიმურაზ I-ის რუსეთიდან დაბრუნებული შვილიშვილი, სპარსეთში გამაჰმადიანებული ერეკლე I ნაზარალი ხანი - (1688-1703) დანიშნეს.

ერეკლე I ქართლში ავტორიტეტით არ სარგებლობდა. იგი არ იცნობდა ქართლს, არც ქართულ ზნე-ჩვეულებებს, ლაპარაკობდა უხეში სიტყვებით, უყვარდა სმა, კარგი სუფრა და სიამოვნება.

გამაჰმადიანებულმა ერეკლე I-მა ქართლში სპარსული ზნე-ჩვეულებები დანერგა, რამდენიმე ხნის შემდეგ იგი ირანში გაიწვიეს, კახეთის მეფობა და ირანის ყულარადასობა უბოძეს, მაგრამ ირანშივე დატოვეს, კახეთში კი მის მოადგილედ მისი ვაჟი დავითი (იმამყული-ხანი) გამოგზავნეს (1703 წ.). ქართლის მეფობა კვლავ გიორგი XI-ს უბოძეს, მაგრამ ისიც ირანში დატოვეს და, ვითარცა ირანის სპასალარი, ავღანთა წინააღმდეგ გაგზავნეს.

სპარსეთის იმპერიაში როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო დარგში ქართველებს დიდი და საპატიო თანამდებობანი ეკავათ, მაგრამ სპარსელებს ეშინოდათ ქართველებისა, თუნდაც გამაჰმადიანებულებისა, რადგან იცოდნენ, რომ ქართველები ხშირად მხოლოდ გარეგნულად იცვლიდნენ რჯულს, გულთ კი ქრისტიანებად რჩებოდნენ. სპარსელებმა დალატით მოკლეს გიორგი XI, რომელსაც გულზე ჯვარი უპოვეს და შაჰს ქრისტიანი მეფის “ორგულობის” საბუთად გაუგზავნეს. ასევე დალატით მოკლეს გიორგის ძმის ლევანის ძე ქაიხოსრო.

ქართლის მეფის (გურჯისტანის ვალის) ადგილი გათავისუფლდა. სპარსელები სავადლებულად მიიჩნევდნენ, რომ ამ დიდი თანამდებობის პირი მაჰმადიანი ყოფილიყო.

სწორედ ამიტომ ქართლის “ჯანიშინი” ვახტანგ VI ირანში გაიწვიეს, რათა გაემაჰმადიანებინათ. ვახტანგმა მაჰმადიანობა არ მიიღო, რის გამოც დაატყვევეს და ერთ-ერთ პროვინციაში გაგზავნეს.

ვახტანგ VI-ის ამ ძალზე მნიშვნელოვან ნაბიჯს რატომღაც ვერც მისი, ვერც ჩვენი თანამედროვეების ერთი ნაწილი სათანადოდ ვერ აფასებს, უფრო მეტიც, საყვედურობენ კიდევ. ქრისტიანობის შენარჩუნება ვახტანგ VI-ის მიერ ქართველობისათვის მისი თავდადებული ბრძოლის ერთი შთაბეჭედავი მაგალითია.

“გამოხსნა და აღდგომა“ - ეს იყო ოცნება ვახტანგ VI-სა, რომელიც სამწუხაროდ გაუგებარი დარჩენილა ქართველთა მაღალი წოდების ერთი ნაწილისათვის.

რაკი ვახტანგ VI-მ ქრისტიანობა არ დაგმო, ქართლის ტახტი დაკარგა და მის ნაცვლად საქართველოში მისი გამაჰმადიანებული ძმა, როსტომის პოლიტიკის გამაგრებელი, იესე გამოგზავნეს. ამ დროს სპარსეთს ძველი ძლიერება დაკარგული ჰქონდა.

ვახტანგ VI-მ და მისმა თანამოაზრე ქართველებმა იცოდნენ, რომ შესაბამისი თანხით შექმლოთ მოექრთამათ სპარსეთის შაჰის კარი. გადაწყვეტილი ჰქონდათ ეშოვათ თანხა, მოესყიდათ მექრთამე დიდებულები და ვახტანგი რჯულის შეუცვლელად ვითარცა ქრისტიანი მეფე დაბრუნებულიყო ქართლის სამეფო ტახტზე, მაგრამ თანხის შოვნა საქართველოში შეუძლებელი იყო. მხოლოდ საქართველოს ბედით დაინტერესებულ ევროპას შეეძლო დახმარებოდა ქრისტიანულ ქვეყანას და ქრისტიან მეფედ დაებრუნებინა იგი სამშობლოში. თავის მხრივ, ეს ფაქტი საფუძველი გახდებოდა იმისა, რომ შაჰს ქრისტიანული საქართველოს არსებობა იურიდიულად ეცნო, რაც მტკიცე საძირკველს ჩაუყრიდა საქართველოს “გამოხსნასა და აღდგომას“.

### ევროპული (კათოლიკური) ორიენტაცია და მისი კრახი

XVIII ს-ის დამდეგს სპარსეთის ძლიერება უკიდურესად დაეცა. ქართველი დიდებულები აქტიურად მონაწილეობდნენ და გარკვეულწილად წარმართავდნენ კიდევ ამ ქვეყნის ცხოვრებას. ამასთანავე სპარსეთში ქართველთა ჯარი უძლიერესი იყო. ასეთ ვითარებაში, თუკი ქართველები გაერთიანებას შეძლებდნენ, მათ წინ ვერაფერი აღუდგებოდა.

სამწუხაროდ, გაერთიანება ჭირდა, რის ერთ-ერთ მიზეზად ისიც უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ დროს ქართველთა ერთიანობა საკმაოდ შერყეული იყო. ძველი ქართული მამა-პაპეული სარწმუნოება - მართლმადიდებლობა უკვე აღარ გახლდათ ქართველთა საყოველთაო და ერთადერთი სარწმუნოება. მოჭარბდნენ ქართველი მაჰმადიანები, ქართველი გრიგორიანები, კათოლიკები. ქართველთა მართლმადიდებლობა ოსმალთა და სპარსთა მიერ განიხილებოდა არა როგორც სარწმუნოებრივი აღმსარებლობა, არამედ როგორც მათ საწინააღმდეგოდ მიმართული პოლიტიკური ორიენტაცია, მით უმეტეს მაშინ, როცა მართლმადიდებელი რუსეთის იმპერია კავკასიის მთაგრეხილს მოადგა და ქართლ-კახეთის მეფეები ერთმორწმუნეობის გამო მართლმადიდებელ რუსეთს კავკასიის კარის გაღებას შეჰპირდნენ. საქართველოს, როგორც რუსეთში, ისე ევროპაში, გარკვეული წრეები განიხილავდნენ, როგორც რუსეთის პლაცდარმს კონსტანტინოპოლსა და ისპაჰანზე სალაშქროდ.

ის, რაც ცნობილი იყო ევროპაში, ცხადია, ცნობილი იყო სპარსეთსა და ოსმალეთში. ამ ქვეყნებში ქართველთა მართლმადიდებლობას და საქართველოს, როგორც მართლმადიდებელ ქვეყანას, რუსეთის მიერ სპარსეთისა და ოსმალეთის დაპყრობასთან აიგივებდნენ. ამიტომ ქართველთა მართლმადიდებლობას მაჰმადიანები ვერ ეგუებოდნენ. ამ მიზეზების გამო ისინი არც ერთ ქრისტიანულ სარწმუნოებრივ მიმართულებას ისე არ დეენიდნენ კავკასიაში, როგორც ქართველთა მართლმადიდებლობას. მაჰმადიანები ყოველ მხრივ ავიწროებდნენ მართლმადიდებელ ქართველებს და აიძულებდნენ მათ, შეეცვალათ სარწმუნოება - მაჰმადიანობა, კათოლიკობა ან მონოფიზიტობა მიეღოთ, რაც ქართველთა დენაციონალიზაციას იწვევდა.

ქართველი დიდებულების ერთი ნაწილი კათოლიკობას მიიჩნევდა არა როგორც მართლმადიდებლობაზე უკეთეს სარწმუნოებას, არამედ როგორც პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებას. ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვით ისინი კათოლიკობდნენ “მხოლოდ სიტყვით და არა საქმით“. ქართველი პოლიტიკოსები, როგორც ჩანს, ფიქრობდნენ, რომ ევროპული ორიენტაცია ნაკლებად გაადიზიანებდა სპარსეთს, რადგან XVIII ს-ის დამდეგს ევროპის ქვეყნები აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ჯერ კიდევ შორეული მეზობლები იყვნენ.

1713 წ. ქართლში მომზადდა ელჩობა კათოლიკურ ქვეყნებში სულხან-საბა ორბელიანის მეთაურობით, რომელსაც მიზნად დასახული ჰქონდა:

1. ქართული ქრისტიანული სახელმწიფოს არსებობის იურიდიულად ცნობა სპარსეთის მიერ, რისთვისაც ვახტანგ VI-ის ქართლში როგორც ქრისტიანი მეფის დაბრუნებით უნდა მიეღწიათ.
2. საქართველოს გაერთიანება ევროპის ქვეყნების დახმარებით და მათივე მონაწილეობით.
3. საქართველოში ჩრდილო კავკასიელთა შემოსევების შეწყვეტა, რისთვისაც ჩრდილო კავკასიელი ტომების გაქრისტიანება იყო საჭირო.
4. ქართველთა დენაციონალიზაციის შეწყვეტა.

ქართულ ელჩობას მიაჩნდა, რომ სპარსეთიდან ვახტანგ VI-ის ქრისტიან მეფედ დასაბრუნებლად საკმარისი იყო 300000 ეკიუ. ამ დიდი თანხის მიღების წინაპირობად ვახტანგის მიერ

კათოლიკობის მიღებას ასახელებდნენ, რადგან კათოლიკური ევროპა და ვატიკანი აღმოსავლეთში ყოველი დიდი საქმის პირობად კათოლიკური სარწმუნოების აღსარებას მოითხოვდნენ.

სულხან-საბას ევროპულ წყაროებში “წმიდა ბასილის წესის მონაზონი“ ეწოდება. მიიჩნევა, რომ წმიდა ბასილის სამონაზვნო ორდენი კათოლიკური იყო. სინამდვილეში კი ევროპელები ყველა მართლმადიდებელ ბერს “წმიდა ბასილის წესის მონაზონს“ უწოდებდნენ, რადგანაც ცნობილი იყო, რომ თუ კათოლიკურ სამყაროში ბერმონაზვნობის სხვადასხვა ორდენი არსებობდა (კარმელიტები, ფრანცისკანელები და სხვ.), მართლმადიდებლებს მხოლოდ ერთი სახის “წმიდა ბასილის წესის“ მქონე ბერობის ინსტიტუტი ჰქონდათ, რომელსაც ეკუთვნოდა სულხან-საბა. მას სწორედ ამ ორდენში აღუდგენია თავისი თავი 1714 წელს ევროპაში.

ევროპაში გამგზავრების წინ სულხან-საბა 40 დღე იმყოფებოდა დასავლეთ საქართველოს კათალიკოსთან. ისინი ერთად სახავდნენ გზებს აფსუა-ჩერქეზებსა და სხვა ტომებში ქრისტიანობის ასაღორძინებლად. სულხან-საბა საქართველოს ეკლესიის უერთგულესი წევრი, მისი გაძლიერების და ამაღლებისათვის თავდადებული მებრძოლი, მისი ერთ-ერთი წარმმართველი, მრჩეველი და საეკლესიო თავადთაგანი გახლდათ.

სულხან-საბას ელჩობის შედეგი ასეთი იყო: საფრანგეთის იმპერატორი არ დაინტერესდა კავკასიელთა გაქრისტიანებით. ეს მან პაპის გადასატრულ საქმედ მიიჩნია, რამაც ქართველთა გეგმები ჩაშალა. საფრანგეთის მეფემ 300000 ეკიუ, რასაც ქართველები მოითხოვდნენ, არ გამოყო. ამრიგად “გამოხსნისა და აღდგომის“ ევროპული ორიენტაცია ჩაიშალა. ევროპა ქართული სახელმწიფოს აღორძინების გეგმას გულგრილად მოეკიდა.

უფრო მეტიც, როცა რამდენიმე წლის შემდეგ თურქები აღმოსავლეთ საქართველოში შემოიჭრნენ, ევროპის ზოგიერთ კუთხეში კმაყოფილნიც კი დარჩენილან, რადგან ეს რუსეთის დამარცხებად და სპარსეთის საბოლოო დაცემად მიიჩნიეს.

ამრიგად, სულხან-საბა ხელცარიელი დაბრუნდა საქართველოში 1715 წელს. ეს ქართველი მეფის ევროპული პოლიტიკის კრახს ნიშნავდა.

#### ვახტანგ VI-ის რუსული ორიენტაცია და მისი კრახი

ირანის (სპარსეთის) უკიდურესმა დასუსტებამ, ავღანთა მიერ მისი მმართველი დინასტიის ჩამოგდება, ქვეყნის უკიდურესმა შინაგანმა კრიზისმა, როგორც ჩანს, საქართველოს პოლიტიკოსებს და, კერძოდ, ვახტანგ VI-ს საშუალება მისცა, აშკარად გამოეხატა სწრაფვა მართლმადიდებლური რუსეთისაკენ.

1722 წელს ვახტანგ VI-მ საჯაროდ აღიარა მართლმადიდებლობა. ამრიგად, მან საჭიროდ აღარ მიიჩნია, დაეფარა თავისი ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ანუ, ოსმალ-სპარსთა აზრით, რუსული ორიენტაცია. საქვეყნოდ გამოამჟღავნა თავისი გადაწყვეტილება რუსეთთან სამხედრო კავშირის შეკერვისა, მზად იყო, ხელი შეეწყო რუსთა ჯარის შემოსვლისათვის ამიერკავკასიასა და სპარსეთში. ამან ძალზე შეაშფოთა მაჰმადიანური ქვეყნები და ჩრდილოკავკასიელი ტომები. სამწუხაროდ ჩაფიქრებული გეგმა ვერ განხორციელდა. სამაგიეროდ, თურქებმა მიზეზი იპოვეს და საქართველოში შემოიჭრნენ, ლეკებმა თარეშს უმატეს, ბოლოს კი ოსმალების ბატონობა სპარსელების ბატონობამ შეცვალა.

რუსეთს სპარსეთში განსაკუთრებული ეკონომიკური ინტერესები ჰქონდა. პეტრე დიდს სურდა, სპარსეთის ვაჭრობა რუს ვაჭრებს ჩაეგდოთ ხელში. ამიტომ ამ ქვეყნის დაპყრობა ჰქონდა განზრახული. თავისი იდეალური გეგმის ასასრულებლად რუსეთს საქართველოს სამეფოს სამხედრო დახმარება სჭირდებოდა. ამ მისიით პეტრემ ელჩი გამოუგზავნა ვახტანგ VI-ს. ელჩმა ოსტატურად მოაწვეა ქართველებს, თითქოს პეტრეს შველა და დახსნა სურდა საქართველოსი. ვახტანგ VI-ს, როგორც აღინიშნა, საქართველოს “გამოხსნისა და აღდგომის“ გეგმა ჰქონდა დასახული და პეტრე I-მა მას ამ გეგმის განხორციელების იმედი ჩაუსახა. სახელმწიფოს დარბაისელთა ერთი ჯგუფი ვახტანგს სიფრთხილეს ურჩევდა და მოსწრებულად უთქვამთ: “მესამე კიდევ მოიბა, ორი საბელი თავს ება, სამი ვეშაპი ერთ ღომსა აწ ვითარ მოეთვისება“.

ვახტანგისა და რუსეთის კავშირმა შეაშფოთა და ააღელვა მთელი ახლო აღმოსავლეთი და თვით ევროპა. კონსტანტინოპოლში დაისვა საკითხი პეტრე I-ისა და ვახტანგ VI-ის საომარ მოქმედებათა წინააღმდეგ აქტიური ზომების მიღების შესახებ.

სპარსეთი, ოსმალეთი და დაღესტანი მოემზადნენ, რომ ქართლი სამაგალითოდ დაესაჯათ.

პეტრეს მიერ დაიმედებული ვახტანგი 30-40 ათასიანი ჯარით სპარსეთის საზღვრებში შევიდა, რუსთა ჯარი მეორე მხრიდან უნდა შემოსულიყო, მაგრამ რუსეთის ჯარი არ შევიდა და ვახტანგი მარტო აღმოჩნდა გაშმაგებული მტრის წინაშე. საქმე გაცილებით უფრო ცუდად დატრიალდა, ვიდრე ომის მოწინააღმდეგე დარბაისელთა ჰქონდათ გათვალისწინებული. მათ ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ რუსეთის მეფე თავის სიტყვას არ აასრულებდა და საქართველოს განრისხებულ მტერს შეატოვებდა.

საქართველო განმტკიცებისა და გაძლიერების ნაცვლად მტრის სათარეშოდ იქცა. ქართლი აოხრდა და ოსმალებს ჩაუვარდა ხელში. ლეკებმა ხალხს ძარცვა-გლეჯა დაუწყეს. ვახტანგ მეფეს, რომელსაც საქართველოს სახელმწიფოებრივი, კულტურული და ეკონომიკური აღორძინები-

სათვის დაუდალავი შრომა ჰქონდა გაწეული და ქვეყნის აღმშენებლობითი მუშაობით იყო გატაცებული, საქართველოდან გახიზნის მეტი აღარაფერი დარჩენოდა. ქართლში ოსმალები გაბატონდნენ, მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. როდესაც პეტრე პირველმა დაინახა, რომ ოსმალეთი ძლიერ განრისხდა სპარსეთში ქართველთა საომარი მოქმედებით, 1724 წ. 12 ივნისს სასწრაფოდ შეკრა მასთან ზავი, რომლის პირველ მუხლში მთელი აღმოსავლეთი საქართველო ოსმალეთს დაუთმო, თუმცა იგი რუსეთს არ ეკუთვნოდა.

ვახტანგ VI უზარმაზარი ამალით რუსეთში გადავიდა. მას საქართველოდან 1200 კაცი გაჰყვა. ეს იყო 1724 წლის ივლისში.

ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ქართველს საქართველოში აღარ ედგომებოდა. ვისაც შეძლება ჰქონდა, მზად იყო, საქართველო მიეტოვებინა და რუსეთში გახიზნულიყო. ვახტანგში მყოფი სამწყვსო მიატოვეს და გაიხიზნენ არქივისკოპოსი ქრისტეფორე, მიტროპოლიტი პავლე თბილელი, ეპისკოპოსები: ნიკოლოზ მროველი, მანგლელი არსენი, რის შედეგადაც ალბათ შესაბამისი საეპისკოპოსოებიც გაუქმდა.

მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, საქართველოს ეკლესიას უდიდესი ძალა და გავლენა ჰქონდა. მას ანგარიშს რუსეთის საიმპერატორო კარიც უწევდა.

მაღე ყველასათვის ცხადი გახდა, რომ რუსეთის მთავრობა თავს არ იწუხებდა საქართველოსთვის, ხოლო საქართველოში ოსმალობა და ყიზილბაშობა მძვინვარებდა.

ვახტანგის იმედი, რომ რუსეთის დახმარებით სპარსეთის ვასალური დამოკიდებულებისაგან გათავისუფლდებოდა, კრახით დამთავრდა. პირიქით, საქართველო ჯერ ოსმალეთის, მერე ყიზილბაშების ხელში აღმოჩნდა. “ოსმალობისა“ და “ყიზილბაშობის“ დროს ოსებმა ჯერ ქართლის მთიანეთი დაიჭირეს, ხოლო შემდეგ ბარისკენ დაიძრნენ. თუ აქამდე ვახტანგი დვალეთს იმორჩილებდა, რომელიც ტერიტორიულად ჩრდილო კავკასიაში მდებარეობდა (1711 წ.), თეიმურაზ II და ერეკლე II 1740-იან წლებში უკვე საქართველოს მთიანეთში ჩამოწოლილ ოსებს ებრძვიან. რაც შეეხება ლეკებს, მათ ამ პერიოდში საბოლოოდ დაიჭირეს აღმოსავლეთი კახეთი (ამჟამინდელი საინგილო). ოსებისა და ლეკების მიერ ქართლისა და კახეთის მიწების მიტაცება მრავალ სხვა მარცხთან ერთად დიდი მარცხი იყო.

#### ვახტანგ VI-ისა და მუხრანელ ბაგრატიონთა დიდი ოჯახის მამულიშვილობა

საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლისა და განსაკუთრებით ქართლში როსტომ-ხანის გამეფების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში ქართული კულტურა სპარსეთის წამლექავე გავლენის ქვეშ მოექცა. ეროვნულ სახეს უცხოელთა დალი დაესვა. ჩვენი ქვეყანა სულიერ-კულტურული დაღუპვის გზას დაადგა.

ქართული კულტურის უაღრესი დაკნინების დროს ეროვნული თვითშემეცნების გამოსადეგი ძეგლად და გასადვივებლად განსაკუთრებით იღვაწა მუხრანელი ბაგრატიონების იმ შტომ, რომელსაც სათავეში ედგა ვახტანგ V, შაჰნავაზი. ამ ოჯახის წევრები და მათთან დაახლოებული პირები იყვნენ ის უდიდესი მოღვაწენი, რომელთაც ინტენსიური ეროვნულ-პატრიოტული და კულტურულ-მეცნიერული შემოქმედებით შეძლეს ღმრთისმეტყველების, ისტორიული მეცნიერების, მედიცინის, ქიმიის, მათემატიკა-ასტრონომიის, ფილოსოფიის, პედაგოგიკის, ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიის, გენეალოგიის, სამხედრო საქმის არა თუ აღორძინება, არამედ ეროვნულ ნიადაგზე გადაყვანაც. აღორძინდა რუსთველოლოგია, დიდაქტიკა, დაიბეჭდა წმ. წერილი - ბიბლია, წიგნები საეკლესიო საჭიროებისათვის. არ იყო არც ერთი დარგი, არც ერთი სახე ეროვნულ-კულტურული მიმართულებისა, რომელსაც სათავეში არ ჰყოლოდა მუხრან-ბატონთა ოჯახის რომელიმე წევრი, ანდა მათთან დაახლოებული პირები: არჩილ მეფე, გიორგი XI, ვახტანგ VI თუ ვახუშტი, მათივე ოჯახის უახლოესი პირი სულხან-საბა ორბელიანი და სხვები.

ეროვნულ-პატრიოტულ სულისკვეთებას საფუძველი დაუდო ამ ოჯახის პირში - ვახტანგ V-ის უფროსმა ვაჟმა არჩილ II-მ. იქამდე სპარსელთა ბატონობისას ვახტანგ V-ის ოჯახში დაკნინებული ეროვნული ცნობიერება გამოადგოდა თითქმის ნახევარსაუკუნოვანი დაუდალავი მოღვაწეობით ლევან II დადიანის დამ მარიამმა, ჯერ როსტომ-ხანის, შემდეგ კი ვახტანგ V-ის მეუღლემ.

არჩილი იმ დროს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, როცა ქართველ ერს განსაკუთრებით უჭირდა საქართველოში. მაჰმადიანთა გავლენა არა მარტო სახელმწიფოებრივ, არამედ კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სულიერ სფეროშიც იგრძნობოდა. ქვეყანა სისხლისაგან იცლებოდა. ნახევარი კახეთი ტყვეებად გარეკეს XVIII ს-ის დამდეგს. ქართლში ქართველად ყოფნა გაუსაძლისი გახდა.

დასავლეთ საქართველოში ტყვეთა სყიდვა მძვინვარებდა. ხშირად ტყვედ გასაყიდად გამზადებული ქალები და კაცები თავს იმახიჩვებდნენ და თავსაც იკლავდნენ. ზოგჯერ დედები ტყვეებად გამზადებულ ბავშვებს თავიანთი ხელით ხოცავდნენ, რაკი იცოდნენ, რომ გაათავრება არ ასცდებოდათ.

ამ ეპოქაში ცხოვრების რეალური ისტორია არ იწერებოდა, არავინ იყო იერემიასამებრ მგლოვიარე ქართლის მდინარეთა ზედა მაშინ, როცა საუკუნე მართლაც უსაშინლესი გახლდათ.

ამ ეპოქის დაბალ სულიერებას ისიც აპირობებდა, რომ დავიწყებული იყო ქართული ეროვნულ-პატრიოტული თემები, დავიწყებული იყო ქართველთა ეროვნული სარწმუნოების უმთავრესი საღმრთო წიგნები - სახარება თუ სამოციქულო. თვით “ვეფხისტყაოსნის” მაღალსულიერების გაგებაც გაძნელებულიყო. ის, როგორც ეტყობა, სპარსული პოეზიის რანგის ნაწარმოებად მიანდათ და “როსტომიანის” თუ “ზაქიანის” დარად სცემდნენ პატივს. შემდგომ ვახტანგ VI-ს საგანგებო მსჯელობა დასჭირდა იმის დასამტკიცებლად, რომ “ვეფხისტყაოსანი” სპარსული პოეზიის რკალში მოქცეული პოემა კი არა, ეროვნულ-ქრისტიანული სულისკვეთების თხზულებაა.

მარიამ დადიანის ქართულ-ეროვნულ გარემოში აღზრდილმა არჩილმა პირველმა აულო ალლო ამ უბედურებას და საფუძველი დაუდო ეროვნულობას, იდეურობას და პატრიოტულ სულისკვეთებას სიტყვაკაზმულ მწერლობასა და მეცნიერებაში.

არჩილი ერთმანეთთან აკავშირებდა ეროვნულსა და ქრისტიანულს. მან დასაბუქდად მოამზადა ბიბლია, რისთვისაც ერთმანეთს შეადარა სხვადასხვა ნუსხა და სლავური ტექსტი. 1705 წ. მანვე მოსკოვში დააარსა ქართული სტამბა, სადაც საეკლესიო წიგნი - დავითნი დაბეჭდა. აქვე სურდა ბიბლიის დაბეჭდვა, რაც შემდეგ ბაქარ ბატონიშვილმა შეძლო. არჩილმა პირველმა აიძალდა ხმა ენის სიწმინდის დასაცავად.

არჩილს, ვითარცა ვახტანგ V-ის უფროს ვაჟს, ეკუთვნოდა ქართლის ტახტი, მაგრამ ანტიორანული ორიენტაციის გამო შაჰმა მისი შეპყრობა და დასჯა მოინდომა. თუმცა მამის - ვახტანგ V-ის სიცოცხლეში ჯერ იმერეთში გამეფდა, შემდეგ კახეთში. იმერეთის ტახტზე ის კიდევ ოთხჯერ ავიდა, მაგრამ ბოლოს რუსეთში გადასახლდა.

არჩილის შემდგომ ქართლის ტახტის მემკვიდრე იყო მისი მომდევნო ძმა გიორგი XI, რომელიც გამეფდა კიდევ.

გიორგი XI იყო აღმზრდელი სულხან-საბა ორბელიანისა. თავის მხრივ სულხანი აღმზრდელი ყოფილა ვახტანგ VI-ისა - გიორგის ძმისწულისა. უფროსი ძმების მსგავსად ყოფილა პატრიოტული სულისკვეთებისა გიორგი XI-ის მომდევნო ძმა - ლევანიც.

ეროვნული თვითშემეცნების გამოსაღვივებლად და გასაღვივებლად განსაკუთრებით წარსულის ცოდნას აქვს დიდი მნიშვნელობა. ეს კარგად ესმოდა საქართველოს დიდებულ მეფეს ვახტანგ VI-ს. მის დროს “ქართლის ცხოვრება” XIV ს-მდე ყოფილა მოყვანილი. ვახტანგმა მოიწვია სწავლული ისტორიკოსთა კომისია, რომელმაც დაწერა “ქართლის ცხოვრება” XIV ს-დან XVIII ს-ის დამდეგამდე. ამ გარემოებამ გამოადგინა და გააცხოველა ქართული საისტორიო მწერლობა. ვახტანგმა განსაკუთრებული ყურადღება ქრისტიანობის განმტკიცებას დაუთმო. ამ ხანებში განახლდა ქრისტიანობისათვის წამებულითა ცხოვრების აღწერა.

ვახტანგმა დიდი სამუშაოები ჩაატარა სამართლისა და სახელმწიფო წეს-წყობილების მოსაწესრიგებლად, შექმნა სახელმწიფო კანონების სახელმძღვანელო წიგნი “დასტურლამალი”, შეადგინა სამართლის წიგნი, რისთვისაც ჯერ ქართული სამართლის ყველა ძეგლი შეაგროვა, რომელსაც თან დაურთო სხვა ერების კანონმდებლობიდან გამორჩეული სამართლის წიგნები. ვახტანგის სამართალი ღმობიერებითა და ჰუმანურობით გამოირჩევა.

მუხრანელ ბაგრატიონთა შტოს ეკუთვნის აგრეთვე ვახუშტი ბატონიშვილი, რომლის დეაწული საყოველთაოდ ცნობილია. ვახუშტის კარგად შეუმჩნევია, რომ ტრადიციულად წმ. ნინოს დროიდან ყოველგვარ ეროვნულ-მამულიშვილურ სულიერ საქმეს სათავეში ერთიანი საქართველოს ეკლესია ედგა. ასე იყო საუკუნეთა მანძილზე. საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, როცა მაჰმადიანთა შემოსევებს ხალხმა ვეღარ გაუძლო და საქართველო მოეშვა, კვლავ ეკლესიამ იკისრა გამხსნევება ერისა.

თავის მხრივ ძველებური მოღვაწეობა გრძელდებოდა ქართულ საეპისკოპოსოებსა და სამრევლოებში. კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრები იყო საეპისკოპოსო კათედრები - სვეტიცხოველი, წიღკანი, სამთავისი, ალავერდი, გელათი, ცაიში, ბედია, შემოქმედი და სხვა. XVI ს-ში ბიჭვინთიდან გელათში დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის რეზიდენციის გადმოტანის შემდეგ გელათი კულტურის ერთ-ერთი ძლიერი ცენტრი გახდა. განსაკუთრებით ნაყოფიერი გახლდათ კათალიკოს-პატრიარქების - ევდემონ ჩხეტიძისა და ექვთიმე საყვარელიძის მოღვაწეობა. სწავლა-აღზრდისა და კულტურული შემოქმედების მნიშვნელოვანი ცენტრები იყო აგრეთვე ეკლესია-მონასტრები - ლარგვისი, იკორთა, კაბენი, ქვათახევი, ჯრუჭი, მარტვილი, ხობი და სხვები. განსაკუთრებული როლი ამ მხრივ დავითგარეჯის მონასტრებს მიუძღვის. მიუხედავად მრავალჯერ დარბევა-აოხრებისა, ეს კულტურული და საეკლესიო ცენტრი საბოლოოდ არ მოშლილა და განსაკუთრებით XVII ს-ში გაშალა ფრთები.

#### ეკლესიის შინაური ყოფა ანტონ I-მდე

XVII ს-ში და XVIII ს-ის დამდეგს საქართველოს პოლიტიკური დაშლილობას თან დაერთო შინაური ომები.

მეფის გავლენა ძლიერ დასუსტდა. თავადები თავიანთ მამულში სრულ ხელმწიფობას იხეზებდნენ. საქართველოში დამყარდა ისეთი საზოგადოებრივი წყობა, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა მეზობელი ცენტრალიზებული იმპერიების ტოტალიტარიზმისაგან. მაღალი წო-

დება თავისუფლად გრძნობდა თავს. ქართველი ერი სერიოზული საფრთხის წინაშე იდგა, თუმცა დიდებულთა დიდ ნაწილს ამის გამო უსასოობა და უიმედობა არ გასჩენია. პირიქით, არსებული ვითარება მოსწონდა.

საქართველოს ერთიანობის აღსადგენად მარად იბრძოდნენ გამოჩენილი მოღვაწენი, მაგრამ სპარსეთ-ოსმალეთი თითქმის ყოველ საუკუნეში აახლებდა 1555 წლის ზავს, რომლის ძალითაც აღმოსავლეთი საქართველო სპარსეთის, ხოლო დასავლეთი საქართველო ოსმალეთის ვასალურ მხარეებად მიიჩნეოდა. მართალია, საქართველო ორად გაიგლიჯა სპარს-ოსმალთა მიერ, ხოლო შინაგანი ძალები მის გაერთიანებას ვერ ახერხებდნენ, მაგრამ გაცილებით უფრო დიდი უბედურება იყო ქართველი ერის დაშლა ტომებად და თემებად. ერთიანი სახელმწიფოს დარღვევამ ტომობრიობა და თემობრიობა ააღორძინა. XV ს-ის II ნახევრიდან ჩამოყალიბებულ ახლად შექმნილ იმერეთის, ქართლისა და კახეთის სამეფოებს თავიანთი მკაცრად დადგენილი საზღვრები, თავიანთი ჯარი და სხვა სახელმწიფოებრივი დაწესებულებები ჰქონდათ და დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ყოველ ქმედებას, მიმართულს ქვეყანაში ცენტრალური ხელისუფლების განსამტკიცებლად. იმერეთის სამეფოს გამოეყვნენ ოდიშის, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროები.

ქვეყნის პოლიტიკურმა დაშლამ, კუთხური სახელმწიფოებრივი ერთეულების ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო ტომობრივ-თემობრიობის აღორძინებას.

XVIII ს-ში საქართველოში შექმნილმა სახელმწიფოებრივმა კრიზისმა საზოგადოებრივ ასპარეზზე კვლავ წარმოაჩინა ერთიანი ქართულ საპატრიარქოში აქამდე ჩრდილში მყოფი აფხაზეთის საკათალიკოსო, ხოლო ერთიანი სახელმწიფოს დაშლის დროს ერთიანი საპატრიარქოც აფხაზეთისა და ქართლის დამოუკიდებელ საკათალიკოსოებად დაიშალა.

აფხაზეთის საკათალიკოსომ, რომელიც XVI ს-ის დამდეგს დიდ ტერიტორიას მოიცავდა, მოსახლეობის გამაჰმადიანების გამო მრევლის დიდი ნაწილი დაკარგა ჩრდილოეთით და სამხრეთით.

ჩრდილო ოდიშსა (ამჟამინდელი სოხუმის, გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონებში) და აფხაზეთში (ე.ი. გაგრისა და გულაუთის რაიონებში) ჩამოსახლდა ადიღე-ჩერქეზული წარმოშობის ხალხი - აფსუები. აფსუები დიდად განსხვავდებოდნენ ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებთაგან - აფხაზთაგან, მაგრამ ჩამოსულმა ძლიერმა ძალამ ოსმალთა მუდმივი დახმარებით შეძლო აფხაზთა და მეგრელთა დაბალი ფენების ასიმილაცია. მაღალ ფენებს კი არ დაუკარგავთ ეთნიკური თვითშემეცნება, ძველებურადვე ქართულ კულტურულ წრეს მიაკუთვნებდნენ თავიანთ თავს.

ასევე კახეთში ჩამოსახლდნენ ლეკები, ხოლო ქართლში - ოსები, რამაც ქართველების გარკვეული ნაწილის ასიმილაცია გამოიწვია.

მთიდან ჩამოსახლებულთა შორის მაჰმადიანები და წარმართები სჭარბობდნენ და მათ ჩამოსახლებას შედეგად ეკლესია-მონასტრების, საეპისკოპოსოებისა და თვით საკათალიკოსო ტაძრების ქონების დატაცება მოჰყვა. გაუქმდა ბევრი საეპისკოპოსო. მკვიდრი მოსახლეობა - სამწესო ნადგურდებოდა. მათ იტაცებდნენ და მონებად ყიდდნენ, ანდა შინაგნებად აქცევდნენ, რასაც თან სდევდა მათი გაწარმართება და ეროვნული გადაგვარება. ქართულმა ეკლესიამ იზრუნა მათთვის და კოდორსა და ენგურს შუა მცხოვრები ქართველები გადმოასახლა დასავლეთ საქართველოს უსაფრთხო კუთხეებში, თუმცა ადგილზე ქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დარჩა. საბედნიეროდ, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთზე გაბატონდნენ აფსუები, მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა შეძლო ქართული ეროვნული თვითშემეცნების შენარჩუნება, ნაწილი კი გადაგვარდა.

თვით ასეთ სასტიკ დროსაც კი ქართული ეკლესია ცდილობდა, საეკლესიო მიწა-წყალი და ქონება არ დაეკარგა არათუ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც. 1675 წლის საბუთიდან ჩანს რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მამულები კვლავ ქართული ეკლესიის ხელთ იყო. მასზე ზრუნავდნენ ქართველი მეფეები და კათალიკოსები და მათ მიერვე ინიშნებოდა ამ მონასტრის წინამძღვარი.

სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეებიც საეკლესიო სამართლის მიხედვით ირჩეოდა. სადავო საკითხებს საეკლესიო სასამართლო წყვეტდა. თვით უმაღლეს ხელისუფალსა და მასზე დამოკიდებულ პირს შორის დავა ამ სასამართლოს მიერ ირჩეოდა.

აღსანიშნავია, რომ ყმა არც უუფლებო გახლდათ და არც უქონელი. გლეხს ჰქონდა თავისი მიწა, რომლის დაცვითაც დაინტერესებული იყო მეზობელი.

გლეხის უპატრონო მამულს ერქვა “პარტახი“. ეკლესია ცდილობდა გლეხები გაუკაცრიელებულ ადგილებში ან “პარტახებში“ დაესახლებინა, ან საეკლესიო ადგილ-მამული გამოეყო მათთვის, სამაგიეროდ გლეხები ვაღდებულნი იყვნენ, მცირე გადასახადი ეხადათ ეკლესიისათვის.

ეკლესია უმაღლესი მფლობელი ორგანიზაცია იყო. ხუცესი შეიძლებოდა ყოფილიყო გლეხიც. მას ისევე, როგორც სხვა გლეხს, ჰქონდა თავისი სახლ-კარი, ჭურ-მარანი, ტყე-ველი, ვენახი, მთა-ბარი, წყალი, წისქვილი, საყდარი და საფლავი.

კათალიკოსს ან ეკლესიის მეთაურს, საეპისკოპოსო ცენტრს ჰქონდა თავისი “დარბაზის კარი“, სადაც მას ეაჯებოდნენ, წყალობას შესთხოვდნენ.



ეკლესია მრავლად გასცემდა წყალობის სიგელებს, რომელთა დაცვის გარანტია რწმენა იყო.

საკათალიკოსო ცენტრებს, როგორც აფხაზეთის, ასევე ქართლისას, თავისი სამწყსოდან გადასახადის აკრეფა შეეძლო. ამიტომ მათ საკუთარი შემოსავალი ჰქონდათ. ასევე საკუთარი შემოსავალი ჰქონდათ საეპისკოპოსოებსაც. აღსანიშნავია, რომ გადასახადი დიდი არ იყო და ზოგჯერ სიმბოლური სახეც კი ჰქონდა, მაგრამ ერთად შეკრებილი მნიშვნელოვან სიმდიდრეს ქმნიდა.

ეკლესიისათვის იღვწოდა ყველა, როგორც გლეხი, ისე მეფე. საბუთებშიც ისინი გვევლინებოდნენ მოიხსენიებიან. გლეხს ჰქონდა თავისთავადობა და ეკონომიური დამოუკიდებლობა, რადგან ის თავის მიწა-წყალს და ადგილ-მამულს ფლობდა, რაც კარგად ჩანს სხვადასხვა საუკუნის საბუთებში.

საეპისკოპოსოში, როგორც აღინიშნა, დიდძალი თანხა და საქონელი შედიოდა. მას ჰქონდა როგორც უძრავი, ასევე მოძრავი ქონება, ჰყავდა თავისი მოხელენიც: მოურავი, სახლთუხუცესი, მესტუმრე, მეღვინეთუხუცესი, ნაცვალი და ა.შ. ასევე “სახელოს“ მფლობელნი იყვნენ კანდელაკი, დეკანოზი, მგალობელი და სხვ.

ეკლესია თავის დიდ ქონებას იყენებდა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ. მისი უპირველესი ამოცანა იყო დაეხსნა თათრების ტყვეობიდან ქრისტიანები და დაესახლებინა თავის მამულებში, დახმარებოდა ღარიბს, ობოლს, საცოდავს, აღესრულებინა ქველი საქმე და შეეწყალებინა უქონელი. ყურადღებას აქცევდა აგრეთვე ხელოსნების, წიგნის გადაწერებისა და მხატვრების ქონებრივ უზრუნველყოფას. მაგალითად, გრიგოლ კათალიკოსი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე (1696-1742) ენერგიულად იბრძოდა ტყვის სყიდვისა და მაჰმადიანობის გავრცელების წინააღმდეგ.

ეკლესიის ქონების ერთი ნაწილი ხმარდებოდა ტაძრების შემკობას და მონასტრებს. აღსანიშნავია, რომ ეკლესიას მამები და მამამთავრები წირავდნენ პირად შემოსავალსაც. პირად ქონებას “კონდაკით“ მოგებულნი ეწოდებოდა, რადგან იგი მღვდელმოქმედებით, ე.ი. საკუთარი შრომით იყო შექმნილი.

აღნიშნულ პერიოდში მაჰმადიანური აგრესიის გამო მრავალი საეპისკოპოსო გაუქმდა, მაგრამ ისინი, რომლებიც არსებობდნენ, მტკიცედ გრძნობდნენ თავს.

ეპისკოპოსთა შორის საქმიანი ურთიერთობა არსებობდა. ზოგჯერ მათ დაეცა უხდებოდათ ქონებრივ საკითხებზე. ეპისკოპოსთა შორის დავას ხშირად კათალიკოსი წყვეტდა.

ეპისკოპოსს ძალზე დიდი წონა ჰქონდა. ქვეყანაში იგი დამოუკიდებელი და გავლენიანი ხელისუფალი იყო. ამიტომ საეპისკოპოსოში მცხოვრები მებატონენი ვალდებული იყვნენ, მას შესაბამისი ღირსებით მოპყრობოდნენ.

აღსანიშნავია, რომ ეკლესიას ჰყავდა თავისი “მოლაშქრე კაცები“, საკათალიკოსოები აშენებდნენ ციხეებს და მის შემოგარენში ასახლებდნენ ხალხს.

კახეთის სამეფოში ლაშქარს ეპისკოპოსები მეთაურობდნენ, კერძოდ - სადროშოებს. ერთ-ერთი ძალზე ძლიერი სადროშო რუსთაველის სადროშო იყო (იმჟამად რუსთაველი ეპისკოპოსი სოფელ მარტყოფში იჯდა, ე.ი. აქ იყო მისი საკათედრო ტაძარი, რადგანაც ქ. რუსთავი მონღოლთა შემოსევების შედეგად აოხრდა).

ეკლესია, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში მთელი თავისი ძალებით იბრძოდა ქართველების გაღვევების, გააფსუებისა და გაათათრების წინააღმდეგ.

დავითგარეჯის მონასტერი და ბიჭვინთის საეკლესიო ცენტრი მაჰმადიანთა და ჩრდილო კავკასიელთა შემოსევების შედეგად საქართველოს ტერიტორიის დაკარგვის გამო იმჟამად ქრისტიანული საქართველოს საზღვრებზე აღმოჩნდნენ და სარწმუნოების დამცველი ბურჯები გახლდათ. ამის გამო მათ მუდამ ესხმოდნენ თავს ლეკები და აფხაზები (აფსუები). დავითგარეჯში მრავალი ბერი ამოწყვიტეს ლეკებმა, მოსპეს მათი ნაღვაწი. განსაკუთრებით გამანადგურებელი იყო ქრისტიანობისათვის აფსუათა თავდასხმები, რამაც თავისი ასახვა პოვა საეკლესიო დოკუმენტებში. აფსუა-ჩერქეზების მუდმივი თავდასხმების გამო აფხაზეთის კათალიკოსი იძულებული გახდა, მიეტოვებინა ბიჭვინთა და ტახტი გელათში გადმოეტანა.

როგორც აღინიშნა, XVI-XVII აფხაზეთის თავადაზნაურობამ ოდიშთან ომების დროს გამოიყენა ჩრდილო კავკასიიდან მოწვეული ადიღეურ-ჩერქეზული ტომები (აფსუები), რომლებიც შემდეგ დასახლდნენ კიდევ აფხაზეთის მიწა-წყალზე და გაბატონდნენ. ისინი წარმართები იყვნენ, მაგრამ აფხაზეთის ძველი თავადაზნაურობის დიდმა ნაწილმა შეინარჩუნა თავისი მამაპაპისეული სარწმუნოება - ქრისტიანობა.

ეკლესია დაინტერესებული იყო, რომ ბერებს თავიანთი მონასტრების ისტორია სცოდნოდათ. მაგალითად 1709 წ. ნინოწმინდის ეპისკოპოსს დოდოს მონასტრისათვის დაუწერია ისტორია, სადაც დავით გარეჯელისა და წმ. დოდოს ღვაწლზეა მოთხრობილი.

მონასტრებს, კერძოდ დავითგარეჯს ჰქონდა თავისი “განწესებული რიგი“, ანუ ტიბიკონის მსგავსი წესი. მონასტერში დიდძალი ქონება ინახებოდა. ძვირფასი სამღვდლო შესამოსელი, ღვთისმსახურებისათვის საჭირო ნივთები, ხატები, წიგნები. მონაზვნებს გარკვეული თანხა ეძლეოდათ. გარდაცვლილი ბერის ქონება მონასტერს რჩებოდა.

მეფეებს დიდი რიდი ჰქონდათ ეკლესიისა. თვით გამაჰმადიანებული მეფეებიც კი დიდი პატივით ეპყრობოდნენ საქართველოს ეკლესიებსა და მის სიწმინდეებს.

ბიჭვინთისა და მცხეთის საკათალიკოსოებში ერთადერთი საღმრთისმსახურო ენა ქართული იყო. არც ერთ საუკუნეში, წმიდა ნინოს დროიდან XIX ს-მდე საქართველოს ეკლესიაში გამოყენებული არ ყოფილა სხვა ენა.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ძველი სამწერლობო ქართული ენა და ქართული ლიტერატურა არც ენობრივ-სტილისტურად და არც იდეურ-პოლიტიკურად ტომობრივ-გეოგრაფიულ განკერძოებულობასა და მიდრეკილებას არ ამჟღავნებს, არ არსებობს აღმოსავლურ-ქართული, სამხრეთულ-ქართული და დასავლურ-ქართული ლიტერატურული მიმართულებები. მთელი ჩვენი მწერლობა ერთიანი ქართულია, მიუხედავად იმისა, ესა თუ ის ნაწარმოები ჩვენი სამშობლოს რომელ მხარეშია შექმნილი.

ეს მოვლენა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში საყოველთაო როდია. ბევრი მოწინავე ქვეყნის ლიტერატურის ისტორია სწორედ ტომობრივ-კუთხური მიმართულებით ვითარდებოდა.

საქართველოს დაშლისა და მაჰმადიანთა და წარმართების მიერ ქვეყნის უმოწყალო რბევის შემდგომაც ქართულმა ეკლესიამ თავისი ძველთაგანვე არსებული შინაგანი სისპეტაკე, სიწმინდე, ეროვნული ანუ მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი ერთგულება, მისთვის თავდადება, შინაგანი ორგანიზებულობა, სიმტკიცე და გაუტყეხლობა შეინარჩუნა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ მას აქტიური ზემოქმედების მოხდენა არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე არ შეეძლო, თუმცა ყოველი პატრიოტი ქართველი კარგად გრძნობდა, რომ ეროვნების შესანარჩუნებლად პირველ რიგში ქართული ეკლესიის დაცვა იყო საჭირო.

თვით იმ სასტიკ დროსაც კი, როცა საქართველო თურქებმა დაიპყრეს და ოსმალეთის ხონთქარმა თვით თბილისის სიონის ტაძრის მეჩეთად გადაკეთების ბრძანებაც კი გასცა, ქართველმა დიდებულებმა თავი დასდეს, სიკვდილსა და ოჯახის ამოწყვეტასაც კი არ შეუშინდნენ და წმიდა ტაძარი მტერს არ დაანებეს, ხოლო შემდგომში, სტამბოლში დატყვევებულ დომენტი კათალიკოსს კვლავ საქართველოს საჭეთმპყრობელად აღიარებდნენ. ცხრა წელს ექსორიაში მყოფ კათალიკოსს ზოგიერთი ქართველი თან ახლდა და ერთგულად ემსახურებოდა.

ცხადია, მტერთა შემოსევებმა ქართული ეკლესიაც დიდად დააზარადა. მრავალი საეპისკოპოსო და ეპარქია საერთოდ გაუქმდა, ხოლო საეკლესიო მამულებისა და ყმების მნიშვნელოვანი ნაწილი შინაომების პერიოდში საერო ფეოდალებმა მიიტაცეს, მაგრამ საქართველოს ეკლესიამ შეინარჩუნა ის სულიერი დვრიტა, რომელიც შემდეგ, 1744-45 წლებში, ქართული ქრისტიანული სახელმწიფოებრიობის აღორძინებას დაედო საფუძვლად.

### მირონცხებულ მეფეთა ტახტის აღდგენა - “ქართველობის“ გამარჯვება

1744 წელი უბედნიერესი თარიღია ქართველი ერის, ქართული ეკლესიისა და საქართველოს ისტორიაში - აღდგა ქრისტიან მეფეთა ტახტი. “გამოსნისა და აღდგომის“ დიდი პროგრამის ერთი ნაწილი შესრულდა - საქართველოს სამეფო ტახტზე ქრისტიანი მეფე დაჯდა. მაჰმადიანი მმართველების ბატონობისას, კერძოდ როსტომ-ხანის “გამეფებიდან“, ე.ი. 1632 წლიდან 1744 წლამდე (უფრო კი 1614 წლიდან, ლუარსაბის შემდეგ) ამ დღისათვის იღვწოდნენ, სიცოცხლეს სწირავდნენ და ღოცულობდნენ ქართველ მოღვაწეთა თაობები. თეიმურაზ I ნატრობდა ქრისტიანობით დაებრუნებინა ტახტი, მაგრამ ვერ მოესწრო, არჩილ მეფესა და ვახტანგ VI-ს ამ საქმეში უცხო ქვეყნების დახმარების იმედი ჰქონდათ და ამ დახმარების ძებნაში უცხოეთშივე დალიეს სული ისევე, როგორც ამ მიზნისათვის დამშვრალმა სულხან-საბა ორბელიანმა.

ვინ მოთვლის იმ გასაჭირსა და ზარალს, რაც ქართულმა ეკლესიამ მაჰმადიან “მეფე-ხანთა“ მმართველობისას გადაიტანა. მაგრამ უარესი ის იყო, რომ სპარსეთ-ოსმალეთის წამლევავი გავლენის ორბიტაში მყოფი ქართველი ხალხი არა მარტო ზნეობრივ, არამედ ეროვნულ დეგრადაციასაც განიცდიდა. მას სპარსულ-მაჰმადიანური ზნე-ჩვეულებების შეთვისება არ აკმარეს და ისეთი პოლიტიკურ-სოციალური პირობები შეუქმნეს, რომ ქართველები იძულებით თათრდებოდნენ, ლეკდებოდნენ, სომხდებოდნენ, ჩრდილო კავკასიიდან დაძრულ ტომებთანაც ასიმილირდებოდნენ.

ქართველებმა კარგად იცოდნენ, რომ მირონცხებულ მეფის ტახტზე ასვლა ყველა ამ უბედურებას ბოლოს მოუღებდა; ქართული სახელმწიფო ეროვნულობას დაიბრუნებდა, ხოლო ეროვნული სახელმწიფოებრიობა ქართველ ერსა და საქართველოს ეკლესიას დარაჯად დაუდგებოდა.

ქართლის სამეფო ტახტზე ქრისტიან მეფედ დასმის ბედნიერება კახელ ბაგრატიონთა სახლის შვილს - თეიმურაზ II-ს ერგო.

მემატინე თეიმურაზ II-ს მოსეს ადარებს, რომელმაც ეგვიპტელთა მიერ დამონებული ებრაელები იხსნა.

ქართველთა სიხარული უსახდურო იყო. კათალიკოს-პატრიარქმა ანტონმა ჩვეული სიბეჯითით მოიძია მეფეთა კურთხევის უძველესი ქართული წესები და სამღვდელთა დასი საგანგებო სადღესასწაულო ცერემონიისათვის მოამზადა. გახარებულმა ხალხმა თბილისის ქუჩები, მოედნე-

ბი, ბაზრები მართო, ჩირაღდნებითა და გალობით შეეგება მეფის, დედოფლისა და ბატონიშვილების გამოჩენას, მეფედ მირონცხების სადღესასწაულო სიხარული განუზომელი იყო.

მეფეს გვირგვინი დაადგეს სვეტიცხოვლის საკურთხეველში. ხმალი კი შემოარტყეს საკურთხეველიდან გამოსვლისა და ტაძარში საგანგებო სამეფო ტახტზე დაბრძანების შემდეგ.

სვეტიცხოველში სამეფო ტახტი მდგარა “მარჯვენით“. ხმლის შემორტყმა ქართველი მეფის კურთხევის დამამთავრებელი ცერემონიალი იყო. თეიმურაზ II-ს “ხმლის შემორტყმის“ შემდეგ, უკვე ვითარცა მეფეს, მილოცვები მიუღია.

ამჟამად სვეტიცხოველში სამეფო ტახტი აღარ დგას. იგი XX ს-ის 70-იან წლებში, არქიტექტორ ცინცაძის მიერ განხორციელებულ “რესტავრაციას შეეწირა“. “რესტავრატორთა“ მიერ გაუქმებული სამეფო ტახტი თეთრი მარმარილოს თხელ სვეტებზე დაყრდნობილი მსუბუქი, მოჩუქურთმებული ჩარდახი იყო. აღსანიშნავია, რომ ამ სამეფო ჩარდახის დანგრევის შემდეგ მისი მშენებელი სვეტები და ნაწილები დიდხანს იყო მიმოფანტული სვეტიცხოვლის ტაძრის ტერიტორიაზე.

#### საქართველო “ქართველობის“ გამარჯვების შემდეგ

თეიმურაზ II-ის გამეფება “ქართველობის“ გამარჯვებას ნიშნავდა, რადგანაც განსხვავებით წინა მეფე-ხანებისაგან, იგი არა მაჰმადიანი, არამედ ქრისტიანი გახლდათ. “ქართველობა“ კი ქრისტიანულ სახელმწიფოებრივ სისტემას ეწოდებოდა, სადაც სახელმწიფო სამართალი ქრისტიანული იყო. ახლა საჭირო იყო ეროვნული, მაშასადამე, ქრისტიანული სახელმწიფოს განმტკიცება. ამიტომ თეიმურაზმა და მისმა ძემ ერეკლე II-მ ოსმალთა-ყიზილბაშების დროს ქართლის მთიანეთში გაბატონებულ ოსებს შეუტყეს. ოსების მოძალევა ქართლის მთიანეთში გამოიწვია დვალთა ასიმილაციამ. დვალები კავკასიის ქართველური ტომი იყო, რომლის გაოსების პროცესი უკვე ვახუშტის დროს დაიწყო.

ეს გაოსებული დვალები ანუ “დვალ-ოსნი“ XVIII ს-ის ათიანი წლებისათვის უკვე გადმოსული იყვნენ დიდი ღიახვის სათავეებში და მცირე ღიახვისა და ქსნის სათავეებსაც ითვისებდნენ. ოსმალთა-ყიზილბაშების დროს, როცა არაგვისა და ქსნის ერისთავები ყოველი საშუალებით ებრძოდნენ ცენტრალურ ქართულ ხელისუფლებას, როგორც ჩანს, ძირითადად საომარ საყრდენ ძალად იყენებდნენ გაოსებულ დვალებს. ერისთავთა ასეთმა მიდგომამ დააჩქარა როგორც დვალების გაოსების პროცესი, ასევე მათი ჩამოსახლება საერისთავო ცენტრებისაკენ. ამას ოსმალებიც უწყობდნენ ხელს, ისინი ზემო ქართლზე პრეტენზიას აცხადებდნენ.

ოსმალთა-ყიზილბაშების დროს გაოსებულ დვალებს ყველა პირობა ჰქონდათ ქართლში დასახლებლად და მის ასაოხრებლად, რაც აღდგენილი ქართულ-ეროვნული სახელმწიფოსათვის მოუთმენელი იყო.

ერეკლე II-მ არაგვის ხეობიდან შეძლო ოსების ანუ ჩრდილოკავკასიელების განდევნა, ხოლო ქსნის ხეობის ოსები თეიმურაზმა შეიწყალა და მათგან გადასახადების აღებით დაკმაყოფილდა. XVIII ს-ის 30-40-იანი წლებიდან სიტყვა დვალი უკვე აღარ იხმარებოდა, მის ნაცვლად ყველგან გვხვდება “ოსები“. ეს დვალთა და ქართლის მთიანეთში მცხოვრები სხვა ქართველი მთიელების გაოსების პროცესის დასრულებას მიუთითებს.

გაცილებით რთული აღმოჩნდა ლეკიანობის წინააღმდეგ ბრძოლა. ლეკებიც ძირითადად ქართული სახელმწიფოებრიობის უკიდურესი დასუსტების უამს - XVIII ს-ის 20-30-იან წლებში დამკვიდრდნენ აღმოსავლეთ კახეთში, რომელსაც ჭარბელაქანი ეწოდა. აქ დაიწყო ქართველი გლეხების გაღვევების პროცესი. ქართველთა ის ნაწილი კი, რომელიც გაღვევებას გადაურჩა - გაამაჰმადიანეს. მათ “ახლადმოქცეულები“ ანუ ინგილოები ეწოდათ (მათი ნაწილი შემდგომ დაუბრუნდა დედასარწმუნოებას - ქრისტიანობას).

ქართული სახელმწიფოს სუვერენობის აღდგენა იყო უდიდესი მოვლენა - “გამოსხნა“. “გამოსხნის“ შემდგომ ხორცი შეისხა “აღდგომის“ იდეამაც. “აღდგომაში“ იგულისხმებოდა იმ ქართული მიწა-წყლის დაბრუნება, რომელიც ჩამოცილებული ჰქონდა საქართველოს. საქართველომ დაიბრუნა ყაზახ-ბორჩაღუ, ხოლო ერევისა და განჯის სახანოებმა ქართული სახელმწიფოს ვასალთა და მისთვის ხარკის ძლევა იკისრეს.

ქართლ-კახეთის მფარველობა ნახიჭევანის სახანომაც აღიარა.

1750 წ. ქართლ-კახეთისა და მოკავშირეთა ჯარებმა ყარაბაღის ხანზე გაიმარჯვეს. მდ. არაქსის ნაპირებზე ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაგლენა დამკვიდრდა, ხოლო აღმოსავლეთით მისმა ადმინისტრაციულმა ფარგლებმა მდინარე ძეგამზე გადაინაცვლა.

დადგა შედარებით მშვიდობიანი პერიოდი, მაგრამ დაღესტნის აუღებელი ბასტიონი და ლეკების ბუდე ჭარბელაქანი ქართველთა მშვიდობიან ყოფას უდიდეს საფრთხეს უქმნიდა. მათ დაემატა ერთ დროს ქართველებით დასახლებული ისტორიული პერეთ-საარიშიანოში იმ დროს არსებული შაქის სახანო, რომლის ხანიც ჭარებლებს მიემხრო.

1751 წ. ერეკლემ სასტიკად დაამარცხა აზატ-ხანი, ირანის მრავალ კუთხეთა მპყრობელი. 1752 წელს ქართველებმა შაქის ხანის დამარცხებაც შეძლეს.

დაიწყო ქვეყნის აღდგენა, გლეხების დასახლება. ქართველთა გამარჯვებებმა აიძულეს ჭარბელაქანი, რომ კახეთთან მშვიდობიანობა ჩამოეგდო.

თეიმურაზ II-ისა და ერეკლე მეფის ღვაწლი მარტო საქართველოს სამხედრო გაძლიერებითა და გარეშე მტრების ალაგვით არ ამოწურულა. დაიწყო თვალსაჩინო აღმშენებლობის პროცესი. როგორც ეკონომიკაში, ისე მეცნიერებასა და ხელოვნებაში საგულისხმო წინსვლა იგრძნობოდა.

“აღდგომის“ პროგრამა სხვა ქართულ მიწებთან ერთად სამცხე-საათაბაგოს დასაბრუნებლად ზრუნვასაც ავალდებულებდა ქართველ პოლიტიკოსებს.

XVIII ს-ის 70-იან წლებში აღდგა დასავლური ქართული სამეფოს დამოუკიდებლობა. სრესილის სახელოვანი ომის შემდეგ იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა ქვეყნიდან თურქთა გარნიზონები გააძევა.

1758 წელს სოლომონ, ერეკლე და თეიმურაზ მეფეებმა მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დადეს. მოწვეულ იქნა საგანგებო საეკლესიო კრება. 1759 წ. 4 და 5 დეკემბერს ჩატარებულმა კრების სხდომებმა ტყვეთა სყიდვა აკრძალა. იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის საერო და სასულიერო გამგებლებმა მეფეს პირობა მისცეს, რომ დაემორჩილებოდნენ. აღადგინეს ქუთათელის კათედრა თავისი ყმა-მამულით. ეკლესია განთავისუფლდა გადასახადისაგან.

ისეთი ბედნიერი დრო, რომელიც საქართველოს სოლომონ-თეიმურაზ-ერეკლეს დროს დაუდგა, მას მრავალი საუკუნის მანძილზე არ ჰქონია. საქართველომ თავი “გამოიხსნა“, ხოლო “აღდგომისათვის“ მისი გაერთიანება იყო საჭირო. საქართველოს გაერთიანების გზები მე-18 საუკუნის 90-იან წლებში დაისახა და გაერთიანდებოდა კიდევ, რომ რუსეთის იმპერიას, როგორც ქრისტიანულ ქვეყანას, საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობა ეცნო და დახმარებოდა მაჰმადიანურ ქვეყნებთან ურთიერთობისას.

#### დიდი კათალიკოსის ეპოქა

პატრიარქი ანტონ პირველი დიდად ნაყოფიერი მოღვაწე იყო. ქრისტეს ეკლესიასა და თავის სამწყსოზე მზრუნველი მამამთავარი, სახელგანთქმული მეცნიერი და ფილოსოფოსი. ამ თვისებების გამო იგი 20 წლისა მიტროპოლიტი გახდა, მანამდე იგი გელათის მონასტერს ხელმძღვანელობდა. 24 წლისა უკვე საქართველოს ეკლესიის სატყემპყრობელი, კათალიკოს-პატრიარქია. ამ დროს იგი მეფის შემდეგ ყველაზე გავლენიანი პირი იყო.

ანტონის ესოდენ ნაყოფიერი მოღვაწეობა, როგორც სამეცნიერო, ასევე საზოგადოებრივ ასპარეზზე შურსა და მტრობას იწვევდა მისდამი არაკეთილგანწყობილ ადამიანებში, რომლებიც საბაბს ეძებდნენ, რომ დაემხოთ იგი. ასეთ საბაბად გამოდგა ანტონის დაახლოება კათოლიკე მისიონერებთან, რის საფუძველზეც გაჩნდა ბრალდება ანტონის მიერ მართლმადიდებელი ეკლესიიდან განდგომისა და მისი “გალათინიანების“ შესახებ.

ანტონ კათალიკოსამდე მრავალ ქართველ კათალიკოს-პატრიარქს ჰქონდა წერილობითი დიპლომატიური ურთიერთობა რომთან, მაგრამ საქართველოში სერიოზულად არავინ ფიქრობდა მათ “გაკათოლიკებაზე“.

ანტონს, როგორც რუსეთის სინოდის წინაშე წარმოთქმული მისი განცხადებიდან ჩანს, კათოლიკობა არ მიუღია. საქართველოდან გაძევების შემდეგ იგი რუსეთში გადავიდა და პეტერბურგში სინოდში გამოცხადდა. ანტონმა სინოდი დაარწმუნა თავის მართლმადიდებლობაში და 1757 წელს ვლადიმერისა და იეროპოლის ეპარქიის არქივისკოპოსად დაინიშნა.

ანტონის გაძევების ძირითადი მიზეზი კი ის იყო, რომ იგი ქართლის სამეფოს ტახტის კანონიერი მემკვიდრე, ვახტანგ VI-ის ძმის - იესეს შვილი გახლდათ, ამიტომ თეიმურაზ II ანტონის სახით ყოველთვის ტახტის მოცილეს ხედავდა.

ანტონის გადაყენებას ცდილობდა თბილისში, ქვემო ქართლსა და ქალაქებში გაძლიერებული სომხური სამღვდელთა. საქმე ის იყო, რომ ანტონ კათალიკოსმა საყდარზე ასვლისთანავე გამოაქვეყნა ანტიმონოფიზიტური თხზულება “მზამეტყველება“. თხზულება სწრაფად გავრცელდა ქართველთა შორის და შეანელა ქართველთა იმუამად მიმდინარე არმენიზაციის პროცესი, ე.ი. ანტონი ქართველთა გამონოფიზიტებას აღუდგა წინ, რამაც სასტიკად განარისხა სომეხი მოძღვრები - ვართაპეტები. სომეხებმა უშუალოდ კათალიკოსს ვერაფერი შეჰპბედეს, მაგრამ თეიმურაზის მიერ წამოწყებულ მის დევნაში დიდი მონაწილეობა მიიღეს.

ცნობილია, რომ ამ სასტიკი ანგარიშსწორების სულისჩამდგმელი თეიმურაზ II-ის მოძღვარი ზაქარია გაბაშვილი პირადი მტერი იყო ანტონისა. 1755 წლის 16 დეკემბერს მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, რომელმაც ანტონს ზემოხსენებული ბრალდება წაუყენა. კრების “განჩინება“ გვატყობინებს, რომ ანტონმა დანაშაული მოინანია. თუ ეს მართლაც ასეა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს იყო იძულებითი ნაბიჯი, “რათა მონანიებით“ სასჯელი შეერბილებინა.

ანტონმა რუსეთში განაგრძო ლიტერატურულ-მეცნიერული მუშაობა. მისი მოღვაწეობა საკმაოდ მრავალფეროვანი და ნაყოფიერი გამოდგა. შეასწორა საეკლესიო წიგნები, დაწერა “ქართველ მეფეთა შთამომავლობა“, თარგმნა “ისტორია აღექსანდრე მაკედონელისა“.

1762 წელს რუსეთში გარდაიცვალა თეიმურაზ II. თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ ერეკლემ ანტონი საქართველოში მოიწვია და საკათალიკოსო ტახტზე აღადგინა. 1764 წლის

საქართველოს საეკლესიო კრებამ ცილისწამებად მიიჩნია ანტონის მართლმადიდებლობაში დაეჭვება, ცილისმწამებლები კი სასტიკად დასაჯა.

ანტონს საქართველოში ჩამოსვლისთანავე შეჯახება მოუხდა ოპოზიციონერებთან. უსახდვრო იყო მტრების სიძულვილი მისდამი. სწორედ ასეთმა მტრებმა მოიფიქრეს ცილისწამება, თითქოსდა ანტონმა “ვეფხისტყაოსანი” დაწვა.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ანტონმა თბილისსა და თელავში გახსნა სემინარიები, დააარსა სასამართლო - დიკასტერია.

გაიოზ რექტორის დახასიათებით, ანტონ კათალიკოსის ღვაწლის შედეგად სწავლა-განათლების “ოქროს საუკუნე” დამდგარა საქართველოში, “გამრავლებულა” სიბრძნისმოყვარეობაც.

განათლების აღორძინება მეცნიერებისადმი ერეკლესა და ანტონის უდიდესი სიყვარულის შედეგი იყო.

ანტონი 1788 წლის 68 წლისა გარდაიცვალა.

ანტონის ღვაწლს ქართველი ერის წინაშე წარმოაჩენს ის, რომ XIX ს-ის დიდი სამოციანელები, წმ. ილია მართალი და მისი თანამოაზრენი ანტონ კათალიკოსის მექვიდრეებად მიიჩნევენ თავიანთ თავს.

### დიდი ღალატი

თავისუფლებისათვის თავდადებული და თავდაუზოგავი ბრძოლის წყალობით ქართველობამ შეძლო ქვეყნის “გამოხსნა”, ანუ თავის დახსნა სპარსეთისა და ოსმალეთის ვასალობისაგან. ეს უდიდესი მიღწევა იყო. ქვეყნის “გამოხსნის” შემდეგ “აღდგომის” იდეა რჩებოდა განსახორციელებელი. “გამოხსნის” უმაღლესი ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის სახელმწიფოები ისე გაძლიერდნენ, ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები “აღდგომის” სანეტარო იდეის განსახორციელებელ ქმედებას შეუდგნენ, რასაც ხელს ისიც უწყობდა, რომ ამ დროისათვის სპარსეთიცა და ოსმალეთის ერთ დროს უძლეველი იმპერიაც დასუსტებული იყო.

ოსმალეთის სახელმწიფო XVIII ს-ის II ნახევარში დაშლის გზით მიექანებოდა, ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები კი გაძლიერდნენ. ქართლ-კახეთის ძალაუფლება საქართველოს გარდა განჯაზე, ერევანსა და ნახიჩევანზე ვრცელდებოდა, ირანის ხანები დაწყებული თავრიზიდან ყოველწლიურად ერეკლეს მდიდრულ ძღვენს უგზავნიდნენ მოწიწების ნიშნად.

საკმაოდ გაძლიერებული ერეკლე მეფის უპირველესი ზრუნვის საგანი, როგორც აღინიშნა, გახლდათ საქართველოს “აღდგომა”, “მაგრამ აღმოსავლეთ კახეთის (ჭარ-ბელაქანისა) და მესხეთის (სამცხე-საათაბაგოს) გამოხსნა ღვეკებისა და ოსმალეთისაგან ამ დროს არ შეეძლო, უთუოდ სხვა რომელიმე სახელმწიფოს დახმარება ესაჭიროებოდა. საერთოდ ერეკლეს მიზანი დაკარგული ისტორიული ტერიტორიების დაბრუნება იყო, მაგალითად, შაქისა. შაქი, რომელიც ერეკლეს დროს სახანო გახლდათ, ისტორიულად ჰერეთის ნაწილი - საარიშიანო იყო, სადაც მონღოლთა შემოსევების შემდგომაც კი ქართველთა ეთნიკური განსახლების სახდვარი მდინარე თეთრწყლამდე ანუ არაქს-მტკვრის შესართავამდე აღწევდა. ამიტომაც შაქის სახანოზე, როგორც საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე, ერეკლე პრეტენზიას აცხადებდა.

“აღდგომა” ითვალისწინებდა აღმდგარიყო ქართველი მეფის ძველი ტიტულატურა - მეფე “აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შაჰანშა და შარვანშა“. რანში იმ დროისათვის, განჯის სახანო იგულისხმებოდა. ამ ტიტულატურის მიხედვით ერეკლის სახანოს ტერიტორიაც ერთიანი საქართველოს სახელმწიფოში შემავალ მიწა-წყლად მიანხდათ (შაჰანშას ქვეყნის ნაწილი).

საქართველოს “აღდგომაში” რომ ამიერკავკასიაში მისი ოდინდელი ჰეგემონობა იგულისხმებოდა, კარგად მეტყველებს როგორც ვახტანგ VI-ის “ქრისტიანული პოლიტიკა“, ისე ერეკლე II-ის პრეტენზიები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაზე. უნდა ითქვას, რომ ამ პრეტენზიებმა სათანადო ასახვა ტრაქტატის მუხლებშიც ჰპოვა (იგულისხმება 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთთან), რომელთა მიხედვით რუსეთის იმპერატორი კისრულობდა “დაცვასა ზედა აწინდელისა სამფლობელოთა მისისა უგანათლებულესობისა მეფისა ირაკლისა“ (ამასთან დაკარგული ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებასაც). ტრაქტატში ქართველი მეფე იწოდებოდა აგრეთვე შაქისა და შირვანის მთავრად და განჯისა და ერევნის მფლობელად და მბრძანებლად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, “აღდგომაში” იგულისხმებოდა როგორც “ოქროს ხანის” საგარეო წარმატებები, ისე ქვეყნის შინაგანი “წყობა და გარიგება“ (გ. მაისურაძე, წიგნი XVIII ს. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე, “მნათობი“, №5, 1990, გვ. 170).

“აღდგომა“, როგორც აღინიშნა, მთელი საქართველოს გაერთიანებასაც გულისხმობდა: ეროვნული ერთიანობის იდეა საქართველოში მარად არსებობდა, და ქვეყანა უთუოდ შეძლებდა გაერთიანებას, როგორც ამას “ივერიელ მეფეთა და მთავართა“ შორის 1790 წელს დადებული “ერთობის ტრაქტატი“ მეტყველებს, რომ იმედი არ გაეცრუებინა რუსეთს, რომლის შემწეობითაც ქართველ პოლიტიკოსებს საქართველოსთვის “ოქროს ხანის“ აღდგენა სურდათ.

ქართული სახელმწიფოები რუსეთთან ურთიერთობას განსაკუთრებით მაშინ აღრმავებდნენ, როცა მათი პოლიტიკური მდგომარეობა გარკვეულად გაუმჯობესებული იყო. სწორედ მიღწეული

მდგომარეობის განმტკიცება ესაჭიროებოდათ რუსეთის დახმარებით. ასე ყოფილა ვახტანგ VI-ისა და პეტრე პირველის ურთიერთობისა და თეიმურაზ-ერეკლეს დროსაც, რომელთაც 1782 წელს აღნიშნავთ კიდევ დედოფალ ელისაბედისადმი გაგზავნილ წერილში: “ხოლო ვინათგან აწ მყოფსა ამას უამსა აღარავინ არს უსჯულოთა მეფეთაგანი უფალი ჩვენზედა... აწ არის უამი გამოსხნისა ჩვენისა და დღე აღდგომისა ჩვენისა”.

მართლაც ამ დროისათვის ქართლ-კახეთის სამეფოს გავლენა არათუ მთელს საქართველოზე, არამედ ამიერკავკასიაშიც ეჭვს არ იწვევდა. შეინიშნება ერთობ საგულისხმო მოვლენა: 60-იანი წლების ელჩობაც რუსეთში ისეთ დროს გაიგზავნა, როცა ერეკლე II-ის პოლიტიკური ზეგავლენა ფაქტობრივად მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ვრცელდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების უამსაც მეტად მტკიცეა.

გეორგიევსკის ხელშეკრულების წინა ხანებშიც ჩვენი ქვეყანა ძლიერია, “ტრაქტატის” წყალობით კი მალე ერთობ დაუძღვრდა.

აღსანიშნავია, რომ თითქმის მთელი XVIII ს-ის განმავლობაში ჩრდილო აზერბაიჯანი და სომხეთი ანუ ის ტერიტორია, რომელსაც სამხრეთიდან მდინარე არაქსი საზღვრავდა, ქართული სახელმწიფოს გავლენის სფერო და ზოგჯერ ვასალური მხარეც კი იყო. ამ რეგიონს შემდგომ რუსულმა ხელისუფლებამ “აღმოსავლეთი ამიერკავკასია” უწოდა, სპარსეთი კი მას აღნიშნულ ეპოქაში “გურჯისტანს” უწოდებდა. სპარსი ხელისუფალი - “გურჯისტანის ვალი” ძალზე ხშირად სწორედ ამ მხარის ე.ი. მდ. არაქსამდე მოქცეული აღმოსავლეთ ამიერკავკასიის გამგებელი იყო (“გურჯისტანის ვალეზად”, როგორც წესი, ქართველი მეფეები - “ხანები” - ინიშნებოდნენ. სპარსეთში სულ ოთხი “ვალი” იყო, რომელნიც შაჰის კორონაციაში აუცილებლად მონაწილეობდნენ).

არა მარტო “ვალეზად” (როსტომ-ხანი, შაჰ-ნავაზ V, ვახტანგ VI), არამედ უფრო ადრეც ქართველი მეფეები (თეიმურაზ I და სხვები) თავიანთ გავლენას ძალზე ხშირად მდინარე არაქსამდე ავრცელებდნენ.

რუსეთის ხელისუფლებამ XIX ს-ის დამდეგს “აღმოსავლეთი კავკასია” სპარსეთის იმპერიას ჩამოაცილა (ანუ ტერიტორია მდინარე არაქსამდე). რუსეთს ამის უფლებას ის ანიჭებდა, რომ მასთან “შეერთებულ” ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გავლენის სფერო არაქსამდე აღწევდა (განჯისა და ერევნის სახანოები ერეკლეს მოხარკენი იყვნენ, ხოლო შაქსა, შირვანსა და ყარაბაღზე მეფე ქართველთა პრეტენზიას აცხადებდა და ზოგიერთ უფლებასაც ახორციელებდა).

როგორც აღინიშნა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიას სპარსეთში ზოგადად “გურჯისტანს” უწოდებდნენ და ეს მხარე რუსეთმა თავის იმპერიას შეუერთა (სახოგადოდ იმ ეპოქისათვის აზერბაიჯანი ძირითადად არაქსის სამხრეთით მიმდებარე ქვეყანას ერქვა).

1763 წ. “ირანის ახალმა მბრძანებელმა ერეკლე ქართლ-კახეთის მეფედ აღიარა. იგი შეურიგდა აგრეთვე ქართველი მეფის გავლენას ამიერკავკასიის სახანოებზე (ქერიმ-ხანს ამიერკავკასიის ხანებისათვის ბრძანებები გაუგზავნია, რომ ერეკლეს მორჩილნი ყოფილიყვნენ. ირანსა და საქართველოს შორის პოლიტიკური საზღვარი კვლავაც მდ. არაქსზე გადიოდა (საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 632). გარკვეული ცვლილებებით ძირითადად ასევე იყო XIX საუკუნემდე. როგორც ითქვა, სწორედ ქართული სახელმწიფოს გავლენის სფეროში მყოფი ეს მხარეები შეუერთა რუსეთმა თავის იმპერიას და საქართველოსა და სპარსეთს შორის მდინარე არაქსზე გამავალი საზღვარი რუსეთსა და სპარსეთს შორის საზღვრად იქცა.

რუსეთი, რომელსაც ამიერკავკასიის მიერთება ჰქონდა დაგეგმილი, ყვევლა ხერხს ხმარობდა, რომ ერეკლეს სახელმწიფო დასუსტებულიყო. როცა ერეკლემ ჯერ 1778 წ. განჯაში თავისი “გუბერნატორი” დასვა, ხოლო შემდეგ ერევნის სახანოს უშუალოდ საქართველოსთან შემოსაერთებლად დაიწყო მოქმედება, რუსეთმა ეს პროცესი შეაფერხა.

ერეკლემ ერევნის სახანო უშუალოდ თავის სახელმწიფოს ვერ შემოუერთა ხემოთ ხსენებული მიზეზების გამო და “აღდგომის” პროგრამის ერთი ნაწილი ჩაიფუშა. “...რუსეთის იმპერია უკვე საზღვარს უდებდა ერეკლეს გაძლიერებას, რომლის დამოუკიდებელი პოლიტიკაც მას აღარ აწეობდა. ერეკლეს სახელმწიფოს უყურებდნენ მხოლოდ როგორც საშუალებას იმპერიის ბატონობის გავრცელებისათვის ამიერკავკასიაში” (საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 684).

რუსეთი ერეკლეს ევროპასთან ურთიერთობასაც ზღუდავდა. რადგან მას თავისი საზღვრების გაფართოების მიზანსწრაფული გეგმა ჰქონდა, საქართველოც თავის მომავალ მიწა-წყლად მიაჩნდა (ისევე როგორც ნებისმიერ ქვეყანას, რომლის დაპყრობასაც შეძლებდა).

“აღდგომის” საკუთარი გეგმით ერეკლეს მთავარი მიზანი მესხეთის დედასამშობლოსთან დაბრუნება იყო. რუსებიც თითქოსდა ოსმალთა დამარცხებას ისახავდნენ მიზნად, მაგრამ, როგორც საქმემ წარმოაჩინა, გულში სხვა რამ ედოთ.

რუსეთის წარმომადგენელნი ერეკლეს ოსმალეთის საწინააღმდეგო აღაშქრებდნენ, გამარჯვებით მოპოვებულის გამოყენებას კი უკრძალავდნენ. მაგალითად, 1771 წ. ერეკლე ახალციხის საფაშოს შეესია და ხერთვისის ციხე და ქალაქი აიღო, ხოლო როდესაც ციხეში თავისი მეციხოვნენი ჩააყენა, რუსეთის წარმომადგენლებმა მას წინააღმდეგობა გაუწიეს, ჯარები გააყვანინეს. ასევე შემდგომ, კერძოდ 1772 წ. რუსებმა იმდენი მოახერხეს, რომ ერეკლე მეფეს ჩააგონეს,

“ერთხელ კიდევ დაჰყარ ხვანთქარის მამულსაო“. მანაც სოლომონ მეფეც მოიმხრო და შეერთებულის დაშქრით... მოარბიეს ახალციხის, არტაანისა და ჯავახეთის ოლქები“, მაგრამ რუსეთმა ახლა, 1772 წელსვე, თავისი ჯარები გაიყვანა საქართველოდან. ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში უნდა ჩავარდნილიყო რუსეთის წყალობით ოსმალეთთან ომში ჩაბმული საქართველო.

საქართველოსათვის ამ მანვე კამპანიას კიდევ უფრო სერიოზული შედეგი მოჰყვა - თურქეთმა მიიტაცა და თავის იმპერიას უშუალოდ მიუერთა ქართული მიწა-წყალი - “ქვემო გურია“ - ქობულეთის მხარე. 1772 წლისათვის “საქართველოდან რუსეთის ჯარის გასვლას თურქთაგან გურიის სამთავროს ერთი ნაწილის - ქობულეთის მხარის მიტაცება მოჰყვა (საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 658). ეს იყო ფოთზე რუსეთის წარუმატებელი შეტევისა და გურიის საშინაო საქმეებში რუსი გენერლების უხეში ჩარევის შედეგი.

1776-79 წლებში ერეკლეს სახელმწიფომ დიდ წარმატებას მიაღწია, მისი გავლენის საზღვარი, როგორც აღინიშნა, არაქსზე გადიოდა. “XIX ს. თურქეთის ოფიციალურ ისტორიოგრაფიას მიაჩნდა, რომ ქართველმა მეფემ 1783 წ. რუსეთის მფარველობის მიღებით “დაანგრია საკუთარი ხელისუფლების საფუძველი“. რუსეთმა ერეკლე მოატყუა და ქართლ-კახეთის სრული დაპყრობისათვის ემზადებოდა... ძლიერმა რუსეთმა კავკასიონის მთავრეხილი უომრად გადმოლახა, უშუალოდ დაუმეზობლდა სულთანის სამფლობელოებს და მას საქართველოდან “მეორე ფრონტი“ გაუხსნა...“1 \*1 საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 680.

“ტრაქტატის“ დადებისას ქართველ პოლიტიკოსთა მიზანი უპირველესად საქართველოს “აღდგომა“ და მიღწეული წარმატებების განმტკიცება იყო, ხოლო რუსეთის საბოლოო მიზანი - საქართველოს გავლით კონსტანტინოპოლისა და სრუტეების აღება და სპარსეთის დამორჩილება. “...იმპერიის დიპლომატები აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან ირანელთა განდევნაზე ფიქრობდნენ და ემზადებოდნენ იმისათვის, რომ თურქეთის წინააღმდეგაც გადამწყვეტი შეტევა დაეწყოთ - დაეპყროთ კონსტანტინოპოლი და სრუტეები“2 \*2 იქვე, გვ. 694.\* მეორე მხრივ, “რუსეთს უკვე 1778 წლითგან მოყოლებული საიდუმლო გეგმა ჰქონდა სპარსეთის შესახებ და ამის სამზადისში იყო“3 \*3. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 23.\*

“ტრაქტატის“ გამო ქართული სახელმწიფოს მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა. რუსთა ორი ბატალიონის დახმარება ვერაფრით ამსუბუქებდა მის მდგომარეობას... ქართლ-კახეთს უკვე ლეკ-ოსმალთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯარი უტევდა. მათ წინააღმდეგ ახლა ქართველები და რუსები ერთად გამოდიოდნენ, ერთობლივი ბრძოლა 1784-1785 წლებში მეტ-ნაკლებად წარმატებით მიმდინარეობდა. ქართლ-კახეთის მსხვერპლი კი ამ ბრძოლაში განუზომელი იყო4 \*4 საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 700.

“XVIII ს-ის 40-იანი წლებიდან ვიდრე დღემდე (1785 წ. ნოემბერი) ამისთანა განსაცდელში საქართველო არ ყოფილა“, - სწერდა გარსევან ჭავჭავაძე გ. პოტიომკინს...“ “საქართველო უკიდურესად ნადგურდება, - წერდა ბურნაშოვი, - იმის გამო, რომ გზებზე გამოსვლა საშიშია, ვაჭრობა მთლად შეწყდა, პურის მოყვანა შეფერხებულია, რადგან მოსახლეობას სახელმწიფო თუ სამხედრო სამსახურში იწვევენ და სოფლები დაცარიელებულია...“1 \*1 საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 705.\*

ქვეყნის უბედურების წყაროდ მიიჩნეოდა ტრაქტატი და რუსთა ჯარის ყოფნა საქართველოში. ერეკლესაც ასევე მიაჩნდა. ის ელჩს წერდა: “ნუ ათქმევინებ ვისმე ამასა... რუსეთის შეერთების მიზეზით მოუშველებლობით დაიქცა საქართველო“2. \*2 იქვე, გვ. 707.

რუსეთმა თავისი ჯარი გაიყვანა საქართველოდან და მოხდა გასაოცარი რამ; ქართული სახელმწიფო უფრო გაძლიერდა, ერეკლემ განჯის სახანოზე ისევ გაბატონდა და სამხრეთ აზერბაიჯანის დასამორჩილებლად იწყო მოქმედება. ქართულმა სახელმწიფომ ძველი მდგომარეობა აღიდგინა და 1790 წ. აზერბაიჯანი დაიმორჩილა. “ჯერი შემდეგ ყარაბაღისა და ერევნის ხანებზე მიდგა. ორთავემ ალა-მაჰმად-ხანის მოთხოვნილება უარყო. ერევნის ხანმა იბრაჰიმმა თანაც შეუთვალა, რომ ის საქართველოს მეფის, ერეკლე II-ის, სრულს მორჩილებაშია და სწორედ ამიტომ, არ შეუძლია ალა-მაჰმად-ხანის მოთხოვნილება შეასრულოს. ამ უკანასკნელს გადაწყვეტილი ჰქონდა, ორივე ხანი ძალით დაემორჩილებინა. ასეთ მდგომარეობაში სრულებით ბუნებრივი იყო, რომ ერეკლე მეფეს ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის მოლოდინი ჰქონდა. რუსეთის მთავრობამ ყველა ეს ამბავი მშვენივრად იცოდა, მაგრამ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა იმ საფრთხეს, რომელიც მის ერთგულს მოკავშირეს, პატარა საქართველოს სპარსეთისაგან მოელოდა“3. \*3 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 39.

ერეკლემ მრავალგზის შეახსენა რუსეთს 1783 წლის ტრაქტატი, მაგრამ მისაგან არათუ დახმარება მიიღო, არამედ ჩრდილო კავკასიაში განლაგებული რუსთა ჯარის სარდალმა შაჰს შეატყობინა, რომ რუსეთი საქართველოს დასაცავად ჯარის გაგზავნას არ აპირებდა. ამით ხელგახსნილი და დაიმედებული შაჰი 1795 წ. საქართველოს შემოესია. “ერეკლე მეორის შვილისშვილების ცნობით ალა-მაჰმად-ხანი წინა კავკასიაში განლაგებულ რუსთა ჯარის სარდალს გენ. გუდოვიჩს დიდძალ საჩუქრებს უგზავნიდა და ამიტომ მას რუსთა მაშველი ჯარი არ გამოუგზავნაო... გუდოვიჩის უტაქტობა და ფულხარბობა საქართველოსათვის იმ საბედისწერო მომენტში ხელს უწყობდა ალა-მაჰმად-ხანს ადვილად დარწმუნებულიყო იმაში, რომ რუსთა მაშველ ჯარს არ აგზავნიდნენ“1 \*1 საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 759.

1795 წ. სექტემბერში რუსთა უმოქმედობით დაიმედებული შაჰი თბილისისკენ დაიძრა. “აღა-მაჰმად-ხანის მხარეზე გადავიდნენ ერეკლეთი უკმაყოფილო ყარაბაღელი სომეხი მედიკები - მეჯღუმი და ჰაბოვი, მალე ერევნის ხანმაც ქელი მოუხარა დამპყრობელს, ხოლო სომეხთა კათალიკოსმა დიდძალი თანხის გადაებით (100.000 მან.) “იყიდა“ მშვიდობა.

მტერმა თბილისის მისადგომებთან ერეკლე დაამარცხა, ორი დღის შემდეგ დედაქალაქი აი-ლო, გაძარცვა და გადაწვა. “აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ ისე გაანადგურა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო, რომ 61.000 კომლიდან, რომელიც შემოსევამდე, მაგალითად, თუნდაც 1783 წ. იყო, 1795 წლის შემოსევის შემდეგ 35.000 კომლი ძლივს იქნებოდა დარჩენილი. სიბერის დროს ძლიერი “მფარველ“ მოკავშირის მიერ მოტყუებული, ამ თავზე დამტყუარ საშინელი უბედურებით გულგატეხილი, ოთხმოცი წლის მოხუცი მეფე იძულებული იყო მწუხარებით და სასოწარკვეთილებით აღსავსე ანანურის მონასტერში შეეხიზნულიყო.“<sup>2</sup> \*2 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

1798 წელს გარდაცვლილი ერეკლეს ნაცვლად ტახტზე ასულ ავადმყოფ გიორგი XII-ს რუსეთის წარმომადგენლებმა აუხსნეს, რომ რუსეთი თავის ჯარს მხოლოდ მაშინ მიაშველებდა, თუკი ის “შეერთების“ თხოვნას ხელს მოაწერდა.

1799 წელს საქართველოში რუსეთის ჯარი შემოვიდა, რომელიც საქართველოდან 1918 წლამდე აღარ გასულა. ქართველთა წადილი “უფრო ძლიერი და მტკიცე საქართველოს“ შესაქმნელად ორიათასწლოვანი ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობით დასრულდა - რუსეთმა საქართველო დაიპყრო.

სული ერთობისა

1490 წელს ქართლის მეფის კარზე მოწვეულმა დიდებულთა დარბაზობამ უკვე არსებული ფაქტი ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს სამ სამეფოდ და სამთავროებად დაშლისა იურიდიულად აღიარა. სწორედ 300 წლის თავზე 1790 წელს, მეფის კარზე კვლავ შედგა დიდებულთა დარბაზობა, რომელმაც ქართველთა ერთიანობის საკითხი სრულიად სხვაგვარად გადაწვიტა.

ის ყოველისმომცველი დამშლელი სული, რომელიც საქართველოში XVI-XVII საუკუნეებში ბატონობდა, XVIII საუკუნეში თანდათან დაიშრიტა და ადგილს ეროვნული ერთობის სულს უთმობდა. სხვა საბუთებთან ერთად ამაზე მეტყველებს 1790 წლის “ერთობის ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართა“. ტრაქტატის სრული სახელია: “ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული საზოგადოებისათვის შეერთებისა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქსა თფილისს 1790 წელსა“.

თუ აქამდე, თითქმის მთელი 300 წლის მანძილზე ქართული სამეფო-სამთავროები, რბილად რომ ვთქვათ, არა “ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიის შეერთებისათვის“, არამედ ქვეყნის დაქუცმაცებისა და კუთხურ-ადმინისტრაციული სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის იღვწოდნენ, 1790 წ. ვითარება კარდინალურად შეიცვალა და უპირველეს პრობლემად “შეერთების“ საკითხი იქცა.

მაინც რატომ უნდა შეერთებულიყვნენ იმუამად სუვერენული სამეფოები და სამთავროები, რა ჰქონდათ საერთო? ტრაქტატის პრეამბულა სწორედ ამ კითხვას ცდემს პასუხს: ყველა სახელმწიფოებრივ ერთეულში - ქართლში, კახეთში, იმერეთში, ოდიშსა თუ გურიაში ცხოვრობს ერთი ერი - ქართველი ანუ ივერიელი ხალხი. ამ ივერიელებს, მცხოვრებთ, ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებში, ეთნიკურ-ეროვნული ერთობის გარდა აქვთ აგრეთვე სარწმუნოებრივი ერთობა, რაც იმით გამოიხატება, რომ ერთი (ე.ი. ქართული) ეკლესიის წევრნი არიან. გარდა ამისა, სხვადასხვა სახელმწიფოებრივ ერთეულში მცხოვრებ ივერიელებს აქვთ ენობრივი ერთობა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - სისხლით ნათესაობა, ერთმანეთთან კავშირის ისტორიული გამოცდილება: “ვინაითგან ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა, აქვთ ერთმორწმუნება, არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვთ მავასხელობითიცა სიყვარული, ვითარცა სისხლით ნათესავთა მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა შორის. ამისათვის ჩვენ, ზემოხსენებულთა ქვეყანათა ივერიისათა მეფენი და მთავარნი, დამამტკიცებელნი საუკუნოსა ამის პირობისა, სახელითა ყოველად ძლიერისა დმერთისათა, აღუვსთქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა“<sup>1</sup>. \*1. ქართული სამართლის ძეგლები, II, 1966, გვ. 501.

მაშასადამე, საქართველოს სხვადასხვა ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივ ერთეულის ერთობას საფუძვლად ეროვნული ერთობა უნდა დასდებოდა. ეს დოკუმენტი საქართველოს ორ გეოგრაფიულ ნაწილად ჰყოფს - ზემო და ქვემო ივერიებად. “ზემო ივერიაში“ შედის ქართლ-კახეთის სამეფო, ხოლო “ქვემო ივერიაში“ - იმერთა სამეფო, ოდიშისა და გურიის სამთავროები.

სახელი “ივერია“ იმ დროს გაცოცხლდა ტერმინ “საქართველოს“ ერთგვარი დაკინების გამო. ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, როგორც ცნობილია, “ქართველი“ ზოგჯერ მხოლოდ პროვინციული სადაურობის შინაარსით, “ქართლელის“ გაგებით იხმარებოდა, ხოლო “კახელი“, “იმერელი“, “მეგრელი“, “სვანი“ თუ სხვა, ქართული პროვინციებისა და თემე-



ბის მკვიდრ ქართველთა სადაურობის აღმნიშვნელი სახელები იყო. ამ დროს გაჩნდა ტენდენცია კუთხურ-თემობრივი სახელების გვერდით ისეთი სახელი დამკვიდრებულიყო, რომელიც მათი საერთო სამშობლოს გამომხატველი იქნებოდა. ასეთ სახელად “საქართველოს” და “ქართველის” გვერდით “ივერია” და “ივერიელი” გაჩნდა.<sup>2</sup> \*2 საქ. ისტ. ნარკვ. IV, გვ. 721.

ქართველთა ეროვნული ერთობის აღმნიშვნელმა ტერმინმა “ივერიელმა” ხელახალი სი-ცოცხლე XVIII ს-ის დამდეგს შეიძინა. ამ დროს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას - ქვემო ივერიელებს, აღმოსავლეთისას კი - ზემო ივერიელებს უწოდებდნენ. ზოგიერთ საბუთში მცხეთე-ლი მამამთავარი თავს “ზემო-ივერიის კათალიკოს-პატრიარქად” მოიხსენიებდა. ასევე ერთ საბუთ-ში აფხაზეთის კათალიკოსი თავის თავს “ქვემო ივერიის პატრიარქს” უწოდებს.

როგორც აღინიშნა, ამ დროს საქართველო ფაქტობრივად დანაწევრებული ქვეყანა იყო და სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ ქართველებს ეროვნული თვითშემეცნება უაღრესად დაკნინებული პქონდათ. ისინი ხშირად თავიანთ ეროვნულ წარმომავლობას იმის მიხედვით საზღვრავდნენ, თუ რომელ კუთხეში ცხოვრობდნენ. იმერეთში იმერლობა ყალიბდებო-და, კახეთში - კახელობა, გურიაში - გურულობა და ა.შ. ეროვნული თვითშემეცნება იქამდე იყო დაკნინებული, რომ სრულიად საქართველოს მომცველი სახელმწიფოს არსებობა საეჭვოდ იყო ქცეული, ხალხის ყურადღება - სრულიად სხვა საგანზე გადატანილი. ჩვენს დიდ ისტორიკოსს, ვახუშტი ბაგრატიონს საგანგებო მსჯელობა დასჭირდა, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობის ისტორიული რეალობა დაემტკიცებინა: “გარნა ერთმეფობასა წარმოაჩინებს აწცა სამ-ნი ხილულნი ესენი, ვინაითგან იყო ყოველი ივერია ქართლის მეფისა ქვეშე პყრობასა: პირველი უკეთუ ჰკითხო ვინმე ქართველსა ან იმერსა, მესხსა და ჰერ-კახსა - რა რჯული ხარ? წამს მოვი-გებს: “ქართველი“. მეორედ არს ამათ ყოველთა წიგნი და ენა ერთი-იგივე ფარნაოზ პირველსა მეფისაგან ქმნილი. და ჰკითხო რა წინთქმულთა მათ კაცთა: “რა ენა და წიგნი უწყი“, მოვიგებს მყის - “ქართული“. რამეთუ არა იტყვის, არცა რჯულსა, ენასა და წიგნსა იმერთასა, ანუ მესხთა და ჰერ-კახთასა, არამედ ქართულსა“.1 \*1 “ქართლის ცხოვრება“, IV, გვ. 291.

ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლასთან ერთად, ქართველი ხალხიც თემებად და ტომებად იშლებოდა, მაგრამ ეს პროცესი ტოტალური არ ყოფილა. კუთხურ სახელმწიფოებრივ ერთეულებში მცხოვრებმა მოსახლეობამ ძველი, ეროვნული თვითშემეცნების დამახასიათებელი ნიშნები შეინარჩუნა. ვახუშტის მიხედვით, ეს ნიშნები ყოფილა “ქართული რჯული“, “ქართული ენა“, “ქართული წიგნი“ და სხვა. ტერმინ “რჯული“ ვახუშტი არა მარტო სარწმუნოებრივ აღმსარებლობას, არამედ ეთნიკურ კუთვნილებასაც გულისხმობდა. საერთოდ, ქართულ ხალხურ მეტყველებაში “რჯული“ უფრო ეთნიკური კუთვნილების აღსანიშნავად გამოიყენებოდა, ვიდრე სარწმუნოებისა. ეს ალბათ შუა საუკუნეებში შექმნილი მდგომარეობის ანარეკლია, როცა ადამიანის ეროვნებას მისი სარწმუნოებრივი მრწამსი განსაზღვრავდა. მაგალითად, პასუხი კითხვა-ზე: “რა რჯული ხარ?“ - “ქართველი“ ეთნიკურ წარმომშობას გულისხმობდა. ეთნიკური და ნაციონალური თვითშემეცნების დაქვეითების დროს სახელმწიფოებრივ და ეკლესიურ ერთიანობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეს კარგად ესმოდათ ჩვენს საეკლესიო მოღვაწეებს და მარადღამს ეროვნული თვითშემეცნების ასაღორძინებლად იღვწოდნენ. მაგალითად, მიუხედავად იმი-სა, რომ აღნიშნულ პერიოდში ქართული ეკლესია ორად იყო გაყოფილი, ძალზე ხშირად ეკლე-სიის მესაჭენი ტიტულატურაში თავიანთ თავს მოიხსენიებდნენ სრულიად საქართველოს მამამთავრებად.

ქართული ეკლესიის მეთაურის სახელი იმ დროს, როგორც წესი, ქვეყნის ყოველ მხარეში მოიხსენიებოდა, რადგან წირვა-ლოცვის დროს კათალიკოს-პატრიარქის ხსენება ყველა ეკლესია-ში სავალდებულო იყო, ხოლო მისი სრული ტიტულატურით მოხსენიება ყოველი კუთხის მცხოვრებ ქართველს საერთო სამშობლოს, საქართველოს, არსებობას შეახსენებდა.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ “საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი“ არა მარტო მცხეთელ მამამთავარს, არამედ ბიჭვინთელ (გელათელ) მამამთავარსაც ეწოდებოდა. მაგალითად, 1712 წლის საბუთში ბიჭვინთისადმი შეწირულების წიგნს აფხაზეთის კათალიკოსი ასე აწერს ხელს - “გრიგოლ მწვემსი ქრისტეს მიერ ყოველისა საქართველოსა კათალიკოსი“.1 \*1 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 675.

სიტყვა “საქართველო“ დასავლეთ საქართველოში ქვეყნის უკიდურესი დაშლის დროსაც კი ცოცხლობდა. საქართველოს ამ ნაწილის მოსახლეობას “ქართველებს“ უწოდებდნენ. მაგალითად, 1733 წლის ბიჭვინთისადმი შეწირულების წიგნში გრიგოლ აფხაზეთის კათალიკოსი წერს: “ანდრიას მოეცა ჩრდილოეთისა ქვეყანა... რამეთუ ჩვენ ქართველნი მისნი წილ-ხთომილნი ვართ“.2 \*2 იქვე, გვ. 727.\* ჩვენი ეკლესიის მესაჭეთა ასეთი განცხადებები დიდად უწყობდა ხელს დასავლელ ქართველთა ეროვნულ თვითშემეცნებაში გარკვევას და ეროვნული თვითშემეცნების განმტკიცებას, მით უმეტეს, რომ დასავლეთ საქართველოში მრავალი ქართული თემი და ტომი ცხოვრობდა.

საბედნიეროდ, XVIII ს-ში გაღვივებული “ერთობის სული“ ისე ძლიერი აღმოჩნდა, თემობ-რივი პარტიკულარიზმი სძლია. საზოგადოდ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებთა ეროვნული ერთიანობის შესახებ იმდროინდელი მოღვაწენი ყოველთვის, განსაკუთრებით აშლი-ლობის დროსაც კი, წერდნენ. მაგალითად, XVII ს-ის შუა წლებში განსაკუთრებით გაძლიერებუ-

ლი ოდიშის მთავარი უსასტიკესად არბევდა იმერეთს. ამის გამო ვახუშტი წერს - “არამედ იმერთა უყოფდა ესრეთ თანამონათესავეთა, ერთსჯულთა და მეფესა თვისსა.”<sup>3</sup> \*3 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 830.\* როგორც მოყვანილი წინადადებიდან ჩანს, ოდიშარნი და იმერელნი - “თანამონათესავენი” ანუ ერთი ერის შვილები არიან და ეს თვით უსასტიკესი ურთიერთქმედების დროსაც კი იციან.

უძველესი ქართული საისტორიო წყაროდან “მოქცევაი ქართლისაიდან” ჩანს, რომ ქართველი ხალხი, რომელსაც საკუთარი სახელმწიფო ჰქონდა, ერთად ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე დიდი ხნით ადრე ჩამოყალიბდა. “ქართლის ცხოვრების” მიხედვით, IV-III სს-ში უკვე ერთიანი სახელმწიფო გვეხვება, რომლის პირველმა მეფე ფარნავაზმა ქართულ ენას სახელმწიფო სტატუსი მიანიჭა. პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფოს საზღვრები დასავლეთით შავ ზღვასა და მდინარე ეგრისწყალზე გადიოდა. V საუკუნისათვის ეს საზღვრები ჩრდილოეთით იქნა გადაწეული. “მოქცევაის” მიხედვითაც “არიან - ქართლიდან” გადმოსახლებული ქართველების განსახლების უკიდურესი დასავლეთის საზღვარი მდინარე ეგრისწყალსა და შავ ზღვაზე გადიოდა.

VIII-X სს-ში საქართველოს სახელმწიფოს კვლავ გაერთიანებამ და ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს კვლავ აღდგენამ XI ს-ის შემდგომ კიდევ უფრო განამტკიცა ქართველი ერის ერთობა, მაგრამ XV-XVI სს-ში ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლამ ერის თემებად დაშლა გამოიწვია. წარმოიშვა მცირე ქართული სახელმწიფოები. ამ სახელმწიფოებში მცხოვრებ ქართველობას უვითარდებოდა კუთხურობა, ყალიბდებოდა თემობრიობა, საზოგადოდ ზოგჯერ ერსა და სახელმწიფოს სინონიმური მნიშვნელობითაც კი იყენებდნენ.<sup>1</sup> \*1 მ. წერეთელი, ერი და სახელმწიფო, 1990, გვ. 89.\* ცხადია, ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულების, სამეფოებისა და სამთავროების არსებობა ხელს უწყობდა ქართველი ერის დაშლასა და კუთხურობა-თემობრიობის აღორძინებას.

საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი კერები, როგორც წესი - ეკლესია-მონასტრები იყვნენ, რომელნიც საერთოდ არ სცნობდნენ კუთხობრიობასა და თემობრიობას და ქართველ ერს ერთიან სხეულად განიხილავდნენ.

“ქართულ-სამეფო-სამთავროებში მიმდინარე კულტურულ შემოქმედებითი პროცესი საერთო-ეროვნული, ქართული კულტურის განვითარების პროცესი იყო. ეს არ იყო ქართლური, კახური, იმერული თუ მეგრულ-გურულ-სვანური კულტურა. პოლიტიკური გათიშულობის პირობებშიც ქართული ერის საფუძველზე შექმნილი კულტურული ერთობა, რომელიც შინაგანი იდეოლოგიური ანტაგონიზმით ხასიათდებოდა, არასოდეს დანაწევრებულა ცალკეული ქართული ეთნიკური ერთეულების კულტურად.”<sup>2</sup> \*2 საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 357.

ქართული ეკლესია არა მხოლოდ იდეოლოგიურად ქმნიდა ქართულ ეთნიკურ ერთეულთა შორის ერთობის სულიერ საფუძველებს, არამედ პრაქტიკული საქმიანობითაც. ჩვენი ეკლესიის სტრუქტურა ისე იყო მოწყობილი, რომ ის ყოველთვის, თავისდა უნებლიეთაც კი, ერთიანობას უწყობდა ხელს. ეს კარგად შეუმჩნეველია ჩვენს მეფეებს სამთავროთა, სათავადოთა და საერო ფეოდალთა მიერ ქვეყნის დაქუცმაცებისას.<sup>3</sup> \*3 მ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

ერთიანობის სული, რომელსაც ეკლესია ამკვიდრებდა, განსაკუთრებით დასაფასებელი იყო იმ დიდი შინაგანი აშლილობის დროს, რომელმაც საქართველო XVI-XVIII სს-ში მოიცვა. თუმცა საქართველო სამეფოებად და სამთავროებად იყო დაშლილი, მათ შორის გაუვალი, ყრუ კედელი, ანდა დღევანდელი გაგებით საზღვარი არ არსებობდა. ხალხი ერთიანი იყო.

საქართველოს ერთმანეთისაგან პოლიტიკურად დაშორებულ კუთხეებს ჩვენი წინაპრები “საქართველოებს” შემთხვევით როდი უწოდებდნენ. “ამ თვალსაზრისით უდავოდ საყურადღებო იყო XVIII ს. დამდეგის ისტორიკოსის ბერი ევანტაშვილის მიერ ნახმარი სახელი “საქართველონი”, რითაც მას ალბათ იმის თქმა სურდა, რომ საქართველო რაღაც უცხო ნაწილებად კი არა “საქართველოებად” დაიშალა და მისი მთლიანობის აღდგენა აუცილებელი შეიქმნა.”<sup>1</sup> \*1. საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 720.

XVIII ს-ის II ნახევარში დადგა დრო საქართველოს “აღდგომისა” ანუ ერთხელმწიფების ქვეშ გაერთიანებისა. “ქართლ-კახეთის პროგრესული მოღვაწეები XVIII ს-ის 60-80-იან წლებში ხედავდნენ, რომ ამ დროს სწორედ ერეკლე იყო ერთადერთი კანდიდატი, რომელიც “სრულიად საქართველოს” ხელმწიფე უნდა გამხდარიყო.”<sup>2</sup> \*2 იქვე, გვ. 721.\* ქართული ეკლესია და მისი მესაჭე ანტონ კათალიკოსი დიდად იღვწოდნენ ამისათვის.

ამ საკითხის განხილვისას სამეფო დარბაზობაზე ყველა დიდებული ევედრებოდა და უმტკიცებდა ერეკლეს ენებებინა საქართველოს გაერთიანება, მათ შორის ანტონ კათალიკოსიც, მაგრამ სამწუხაროდ ერეკლემ უარი განაცხადა: “ბევრს ეცადა სოლომონ (ლიონიძე) “რათა მოეყვანა ერთობასა მტკიცესა ერთნათესაობა ქართველთა, მეცადინეობდა შინაკავშირითა გაეუქმებინა გარეკავშირი”. ამოდ უხსნიდა იგი მეფე-მთავრებს, რომ “ერი, დაცული გარეთითა უცხოთა ნათესავთაგან მფარველობითა, არის მარადის დამდაბლებული”, მაგრამ ვერაფერი გააწყო... იმერეთის შემოერთების საქმე ჩაიშალა, თუმცა ერეკლეს შვილიშვილის - დავით არჩილის ძის (რომელიც შემდგომ სოლომონ II-ის სახელითაა ცნობილი) გამეფება იმერეთში, რაც 1790 წ. ერეკლე II-ის მხედრობამ განახორციელა, გაერთიანებისათვის ბრძოლაში მოპოვებული ერთგვარი

წარმატების მანქანებელი იყო. სოლომონ მეორე ბოლომდე დარჩა ერეკლეს ერთგული მოკავშირე და მის უპირატესობას ბოლომდე აღიარებდა, 1790 წ. ივნისში სოლომონ ლიონიძის ინიციატივით გაფორმდა “ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქსა თფილისს“. ამ ტრაქტატით დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ქართლ-კახეთის სამეფოსთან სამხედრო კავშირს ამყარებდნენ და 1783 წლის ტრაქტატს უერთდებოდნენ“.<sup>1</sup> \*1 საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 729.

სამწუხაროდ, საერთაშორისო ვითარება, როგორც ჩანს, 1790 წლის ერთობის ტრაქტატის დამტკიცებას რუსეთისა და ოსმალეთის სახელმწიფოების მხრიდანაც მოითხოვდა. სწორედ ეს იყო სათხოვარი რუსეთის კარზე მყოფი ერეკლეს ელჩებისა, რომელნიც ასევე მოითხოვდნენ, რომ ოსმალეთს მიტაცებული სამცხე-საათაბაგო დაებრუნებინა. გარდა ამისა, ისინი მოითხოვდნენ, ოსმალეთს ხელი აეღო აზერბაიჯანზე<sup>2</sup> \*2 იქვე, გვ. 729.\* აქედან ჩანს, რომ ქართველობის მიზანი ამ დროისათვის საქართველოს ანუ ერთმეფობის დროინდელი სამეფოს “ადღვომა“ იყო, რომლის საზღვრები ზღვიდან - ზღვამდე იქნებოდა გადაჭიმული. მათ ამ საქმეში რუსეთის დახმარების იმედი ჰქონდათ. მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ, რასაც შედეგად ქართული სახელმწიფოს გაუქმება მოჰყვა.

## თავი XVI. ქართული ეკლესია XIX-XX საუკუნეებში შესავალი

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის ორი, შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა განეკუთვნება XIX-XX საუკუნეებს. ესაა ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება რუსეთის მიერ და მისი აღდგენა ქართველი ერისა და სამღვდლოების მეცადინეობის წყალობით.

მართლმადიდებლობა ქართველთა ეროვნული სარწმუნოება რუსების კავკასიაში გამორჩენამდე საუკუნეებით ადრე იყო. საქართველოში მოციქულთა მიერ დანერგილმა ამ სარწმუნოებამ, რომელსაც საქართველოს სამოციქულო ეკლესია წმიდად იცავდა, XVII-XVIII ს-ში, საქართველოს უაღრესი გასაჭირის უამს, გადაარჩინა ქართველი ერი და ქართველობა საერთოდ. ეს არაა ხატოვანი თქმა. რა სარწმუნოებრივი მიმართულებებისა უნდა იყოს ისტორიკოსი, შეუძლებელია არ აღიაროს, რომ მართლმადიდებლობა და ქართველობა ამ საუკუნეებში გაერთმინებულნი იყვნენ იყო და ერთის უარყოფა ძირითადად მეორის დაკარგვასაც იწვევდა. როგორც გამორკვეულია, პოლიტიკურ თუ სულიერ მიზეზთა გამო გაგრძობიანებული ქართველები გასომხდნენ, გაკათოლიკებული ქართველები ოსმალეთის იმპერიაში ჯერ “გაფრანგდნენ“ და შემდეგ გასომხდნენ, იქვე გამაჰმადიანებულ ქართველებს ძლიერ შეერყათ ეროვნული ცნობიერება, ასევე მთიანეთში გაწარმართებულთაც. ამ საკვალალო შედეგებს ხედავდა XVII-XVIII საუკუნეთა ქართველობა და მტკიცედ მიისწრაფოდა ერთმორწმუნე, მართლმადიდებლური რუსეთისაკენ.

ივანე ჯავახიშვილი წერს: “ქართველებს შორითგან გაგონილი ჰქონდათ რუსთა მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობა და ეჭვი არ ებადებოდათ, რომ რუსეთი ქართველთა სულისკვეთებას ადვილად გაიგებდა და მათს თავგანწირულ ბრძოლაში სპარსელთა და ოსმალთა წინააღმდეგ წრფელის გულით ძლიერს დახმარებას გაუწევდა. რუსეთის მთავრობას და პოლიტიკოსებს არ გამოჰპარვიათ ქართველთა ამგვარი პოლიტიკური გულუბრყვილობა. მთელი მათი პოლიტიკა საქართველოს მიმართ, როდესაც კი რუსეთის სამხედრო თვალსაზრისით ქართველთა ძალის გამოყენება ოსმალეთის ან სპარსეთის წინააღმდეგ საჭიროდ მიაჩნდათ, სწორედ ქართველთა ამ სუსტ გრძნობაზე და გულუბრყვილობაზე იყო ხოლმე დამყარებული. “ქართველებს მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობა აქვთ და ამაზე დამოკიდებული მათი გულმოდგინება სრულიად რუსეთის კარისადმი და კეთილ მოსურნეობა რუსი ხალხისადმი“, ასე ამბობდნენ რუსეთის მთავრობის წარმომადგენლები და ქართველთა ამ მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობის საშუალებით ცდილობდნენ და ახერხებდნენ კიდევ ქართველების იმდენად მოჯადოებას, რომ რუსეთის პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინათ. როცა რუსეთისათვის საჭირო იყო, მაშინ მას აგონდებოდა, რომ ქართველები მხურვალე ქრისტიანები იყვნენ... ასე იყო ხოლმე სანამ საქართველოს არ შეაცდენდა და თავის სამხედრო გეგმისდამიხედვით ოსმალეთთან ან სპარსეთთან ომში, რომელსაც იგი განიზრახავდა, არ ჩარეოდა, მაგრამ რა წამს რუსეთს თავისი პირადი მიზანი მიუღწევლად მიაჩნდა, ან ომის გაგრძელებას თავისათვის ხელსაყრელად აღარ სთვლიდა, ის საქართველოს უყოყმანოდ მიატოვებდა ხოლმე და მაშინ მას ყველაფერი ავიწყდებოდა, ქართველთა ქრისტიანობაც და გაჭირვებაც. ასეთ შემთხვევაში ის იმაზეც კი აღარ ფიქრობდა, რომ საქართველო სწორედ მისი წყალობითა და მისი მოქმედებით წინანდელზე უფრო უარესსა და უმწურო მდგომარეობაში ვარდებოდა ხოლმე“ (ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, 1919, გვ. 52).

როგორც წინა თავებშიც აღინიშნა, XV-XVI სს-ში დაშლილი საქართველო მრავალგზისი მცდელობის მიუხედავად ვერ გაერთიანდა და XIX ს-ის კარიბჭესაც დაშლილ-დანაწევრებული მიაღწა.

ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, ფაქტიურად სუვერენული სახელმწიფოებრივი ერთეულების არსებობამ (ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოები, სამეგრელოს, გურიისა და სხვა სამთავროები) დაანაწევრა ქართველობა. ხელი შეუწყო ერთმანეთისაგან განსხვავებული ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფების წარმოქმნას ბარში, ხოლო მთაში ტომობრიობა და თემობრიობა ააღორძინა. XVI-XVIII სს-ში, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდგომ, იმერლობამ, ქართლელობამ, კახელობამ, მეგრელობამ, გურულობამ და ა.შ. გამოკვეთილად ჩამოყალიბებული სახე მიიღო. ეროვნული ცნობიერება ისე დაეცა, რომ, როგორც წმინდა ილია მართალი წერდა: “ქართველს გორის მახრამში მცხოვრებს-ღა უწოდებენ”; კახელი - კახელობდა, იმერელი - იმერლობდა, მეგრელი - მეგრელობდა და ა.შ.

როგორც აღინიშნა, ქართველი ერის ეთნოგრაფიულ ჯგუფებად დაშლას კუთხური სახელმწიფოების არსებობა იწვევდა (სახელმწიფოს აქვს თვისება თავის წიაღში, თავისი საზღვრების შიგნით მცხოვრებ მოსახლეობას საუკუნეთა მანძილზე, ხანგრძლივი ისტორიული თანაცხოვრების შემდგომ საკუთარი ეთნიკური სახე ჩამოყალიბოს). ამიტომაც საქართველოს გაერთიანებას ანუ კუთხური სახელმწიფოებისა თუ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების მოსპობას ქართველი ერის მთლიანობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

XVI-XVIII ს-ში ცხადი გახდა, რომ მართლმადიდებლობას განმორებული ქართველები ეროვნებასაც კარგავდნენ, გრიგორიანი ქართველების არმენოფილური ცნობიერება, კათოლიკე ქართველების “ფრანგობა” და მაჰმადიანი ქართველების “თათრობა” ჩვენს მოსახლეობასა და პოლიტიკურ წრეებს არწმუნებდა, რომ ქართველობის ერთადერთი საყრდენი - მართლმადიდებლობა იყო. ამიტომ ეგონათ, ქართველობის შესანარჩუნებლად სამკდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მაჰმადიანური თურქეთისა და სპარსეთისაგან განსხვავებით რუსეთი, სურდა თუ არ სურდა, თავისი მართლმადიდებლობის გამო “ქართველობას” საფუძველს არა თუ ვერ გამოაცლიდა, არამედ განამტკიცებდა კიდევ. მოხდა კი პირიქით. რუსეთის იმპერიამ 1801 წ. საქართველოს სახელმწიფო გააუქმა და მეფობა მოსპო.

#### ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება

1811 წლიდან, ქართული ეკლესია, მართალი სარწმუნოების დამცველი მთელს კავკასიაში, რუსული ბიუროკრატიული სისტემის დანაშაულოვან გადააქციეს. კათალიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ ასე შეაფასა XIX ს-ში ჩვენი ეკლესიის ყოფა - “ასი წლის მონობის გამო შეირყა საქართველოს ეკლესიის მწყობრი სისტემა ერის გულთან შეთანხმებული. დაირღვა კავშირი, გაქრა სული ცხოველი”.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა იმპერატორისა და რუსეთის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით, რისი უფლებაც მათ არ ჰქონდათ. ამით დაირღვა წმიდა მსოფლიო კრებათა და მოციქულთა კანონები, მაგრამ ისიცაა აღსანიშნავი, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის, ისევე როგორც ქართული სახელმწიფოს გაუქმება ერთჯერადი აქტი არ ყოფილა. ჯერ კიდევ მიხეილ თამარაშვილმა აღნიშნა, რომ ქართული ეკლესიის თავისთავადობის შერყევა დაიწყო ერეკლე II-ის მეფობისას, კათალიკოს ანტონ I-ის დროს. “ანტონ კათალიკოსი პირველი შეეცადა რუსულ ეკლესიასთან დაახლოებასა და მისი ზოგიერთი წესის შემოღებას საქართველოში. ანტონ კათალიკოსი სინოდის წევრადაც კი იყო არჩეული“ (მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, 1995, გვ. 437).

არ შეიძლება რომელიმე ავტოკეფალური ეკლესიის მეთაური იყოს სხვა, უცხო ეკლესიის სინოდის წევრი. ამით, ცხადია, ავტოკეფალური ეკლესიის ღირსება კნინდება, თუ უფრო მეტი არა. ანტონ I კი, 1783 წლიდან დანიშნული იყო რუსეთის წმიდა სინოდის წევრად. ამავე წელს რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული ტრაქტატის ძალითაც ქართული ეკლესიის თავისთავადობა ირყეოდა. გეორგიევსკის ტრაქტატის მერვე არტიკულში, კერძოდ ჩაწერილი იყო: “კათალიკოსსა ანუ უმთავრესსა არქიეპისკოპოსსა მათსა აქუნდეს ადგილი რიცხვითა შორის რუსეთისა მღვდელმთავართასა მერვესა შინა ხარისხსა, ესე იგი, არს შემდგომად ტოლოლსკისა და ყოვლად უმოწყაელსობით მიუბოძებს მას ნიადგ ტიტლოსა უწმინდესისა სინოდის ჩვენობისასა, ხოლო მართებისათვის საქართველოსა ეკლესიათასა და მიწერ-მოწერათასა, თუ ვითარ სათანადო არს რუსეთისა სინოდისადმი, იმისთვის უკვე დაიწერების სხვა არტიკული”.

ჩვენს ნაშრომში “საქართველოს ადგილობრივი საეკლესიო კრებები” გამოკვლეული გვაქვს, რომ ანტონ I ქართული ეკლესიის შიგნით არსებულმა ქაოსმა და მტრულმა ურთიერთდამოკიდებულებამ სამღვდელთა შორის, აიძულა კათალიკოსობიდან გადაყენების შემდეგ სამართალი ეძია რუსეთში, სადაც იგი სრულებით გაამართლეს, ვითარცა ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, დანიშნეს ერთ-ერთი ცენტრალური ეპარქიის მმართველად არქიეპისკოპოსის ტიტულით. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ანტონი კვლავ ავიდა საკათალიკოსო ტახტზე და შეეცადა ქართული ეკლესია მოეწესრიგებინა რუსულ ეკლესიაში არსებული წესების შესაბამისად, ყოველმხრივ დაეახლოებინა ქართული ეკლესია რუსულთან. ტრაქტატში აღნიშნული ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის შეუსაბამო მუხლიც მისი განზრახვით უნდა შესულიყო.

როგორც ცნობილია, ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება იმპერატორის მანიფესტით ამცნეს ქართველ ხალხს სიონის ტაძარში. რუსების სურვილი იყო, ეს მიძიე საქმე ხალხში ავტორიტეტული ქართული ეკლესიის მეშვეობით აღესრულებინა. დიმიტრი ყიფიანი თავის “მეშუარეში” (1990, გვ. 136) აღნიშნავს: “სიონში მისული ქართველები მანიფესტის მოსმენისას სასტიკად აღელვებულან, თუმცა კი “სიონისაკენ მიმავალ ქუჩებში გამწკრივებული იყო ორ-წყება ჯარი”. მანიფესტი ქართულადაც კი არ უთარგმნიათ - “არ შეიძლება ქართველების წინ ისეთი სიტყვების წარმოთქმა, რომელიც იმათთვის უდიდეს ცინიზმს გამოხატავდა”.

ცნობილია, რომ რუსეთის ხელისუფლებამ კარგად გამოიყენა ის წინააღმდეგობანი და ურთიერთბრძოლა, რაც გაჩაღებული იყო ქართველ ბატონიშვილთა შორის ტახტის ხელში ჩასაგდებად. მსგავსი მდგომარეობა იყო ეკლესიაშიც.

ანტონ კათალიკოსმა წარუდგინა რუსულ მთავრობას მოთხოვნის შესაბამისად აღწერა მონასტრებისა, ეკლესიებისა და სამღვდელოებისა, გადმოსცა მათი “სამწუხარო მდგომარეობა”, მონაწილეობა მიიღო წმიდა ნინოს ცხოველმყოფელი ჯვრის გადმოსვენებაში, რომელიც რუსეთმა დაუბრუნა საქართველოს, მაგრამ მიანც “რუსის მთავრობა ეჭვით უყურებდა ანტონ კათალიკოსის მოქმედებას”, ცილად სწამებდნენ თითქოსდა ანტირუსულ თათბირებში მონაწილეობდა, “დარეჯან დედოფლის განზრახვებს” ემხრობოდა, ეკლესიებში თითქოსდა იმპერატორის ნაცვლად იხსენიებდნენ მეფედ მის ძმას იულონს. სინამდვილეში კი რუსეთს გადაწყვეტილი ჰქონდა, გაეუქმებინა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ამიტომ კათალიკოს-პატრიარქის საკითხიც დადგა. “იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 1811 წლის 10 ივნისს წერილი მისწერა ანტონ კათალიკოსს, დაპირდა მისი ღირსების შეუღახაობას წმ. სინოდის ავტორიტეტის მეშვეობით და მიიპატიჟა რუსეთში, სადაც მისი საკადრისი პატივით იცხოვრებდა, მიიღებდა პენსიას და ამასთანავე დაიკავებდა მეხუთე ადგილს წმ. სინოდში” (მ. თამარაშვილი, დასახელებული ნაშრ. გვ. 438).

საქართველოს ეკლესია ამ დროს ფლობდა დიდძალ ქონებას, სახნავ-სათეს მიწებს, ტყეებს, ქარხნებს, სათევზაო ადგილებს, წისკვილებს, შენობებსა და სხვა ქონებას, ეკონომიკურად დამოუკიდებელი ერთეული იყო. ამით მკვეთრად განსხვავდებოდა რუსული ეკლესიისაგან, რომელიც რუსეთის ხელისუფლებას სახელმწიფოს ნაწილად ჰქონდა გადაქცეული, დამორჩილებული საერთო ხელისუფლებისადმი. საქართველოში კი პირიქით, ხელისუფლების სათავესთან იდგა ეკლესიის უმაღლესი იერარქები. მაგალითად, სწორედ იმუამინდელი იმერეთის მმართველობა ასე გახლდათ მოწყობილი: მეფე “იმერეთის სამეფოს საქმეებს წარმართავდა “საბჭოს” დახმარებით, რომელსაც შეადგენდა ოთხი ეპისკოპოსი - 1. ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი, 2. გელათელი მიტროპოლიტი ექვთიმე, 3. ნიკორწმინდელი მიტროპოლიტი სოფრონიოსი და 4. მთავარეპისკოპოსი ანტონი. ჩამოთვლილ მღვდელმთავრებს “საბჭოში” დიდი უფლებები ჰქონდათ, მათ შეხედულებებსა და მოსაზრებებს მეფე ყოველთვის გულმოდგინედ ისმენდა და დიდ ანგარიშს უწევდა (მ. გონიკაშვილი, იმერეთი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, 1979, გვ. 53). მღვდელმთავართა გარდა “საბჭოში” 30-მდე თავადი მონაწილეობდა.

ქვეყნის მართვის ეს წესი მოგვაგონებს დავით აღმაშენებლისა და გაერთიანებული საქართველოს მეფეთა მიერ დადგენილ წესს, როცა ქვეყნის მმართველობის საქმეს მეთაურობდა “ოთხი ბერისა” და ვეზირებისაგან შექმნილი დარბაზის კარი. ოთხი ბერის ჯგუფში შედიოდნენ ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსები, ჭყონდიდელი და მოძღვართმოძღვარი. რუსეთში კი ქვეყნის სამმართველო საქმეთაგან არა თუ ჩამოშორებული იყო ეკლესია, არამედ თვით ეკლესიას 1722 წლიდან ობერპროკურორი ხელმძღვანელობდა, რომელიც წმ. სინოდს ედგა სათავეში. იგი საერო პირი იყო და დიდი უფლებები ჰქონდა. რუსეთში საერო ხელისუფლებისადმი ეკლესიის მორჩილება, რაც პეტრე დიდმა წამოიწყო 1721 წელს პატრიარქის თანამდებობის გაუქმებით, 1784 წელს დაასრულა ეკატერინე მეორემ.

1810 წლის 3 მარტს კათალიკოსი ანტონ II თითქმის ძალით გაიწვიეს პეტერბურგს და საქართველოში დაბრუნების ნება აღარ დართეს. ქართველ ხალხს კი აიძულებდნენ ცრუ ცნობებით. ერთი წლის შემდეგ მოვიდა გოლიცინის ცნობა, რომელშიც კათალიკოსის დაგვიანება ახსნილი იყო მისი ავადმყოფობით.

ანტონ II-ის მოსაყდრედ დანიშნეს ვარლამ ერისთავი, მტრულად განწყობილი საქართველოს სამეფო კარის მიმართ, რუსეთში აღზრდილი და რუსული ეკლესიის წყობის კარგი მცოდნე. ანტონ II-ის გაწვევის შემდეგ ეკლესიის სამმართველო ორგანოს დიკასტერიის მეთაურად დაინიშნა სწორედ ეს ვარლამ ერისთავი და ებოძა საქართველოს ეგზარქოსის ტიტული. მასვე დაავალეს შეემუშავებინა სასულიერო დიკასტერიის მოწყობის პროექტი. მთავარმართველმა ტორმასოვმა მისწერა ვარლამს: “სინოდის ობერპროკურორი მაცნობებს, რომ ხელმწიფე იმპერატორის სურვილით საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა ისე უნდა მოაწყოთ, რომ იგი დამოკიდებული იქნეს რუსეთის წმიდა სინოდზე”. საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი ვარლამ ერისთავის მიერ შედგენილი 1809-1811 წლებში, წარედგინა მთავარმართველ ტორმასოვს, რომელიც დაამტკიცა წმიდა სინოდმა 1811 წლის 30 ივლისს. ამ პროექტით შეიქმნა დიკასტერია და საქართველოს ეკლესიამ დაკარგა ავტოკეფალია.

ავტოკეფალიის გაუქმების დროს ქართლ-კახეთში იყო 13 ეპარქია (თბილისის, მცხეთის, სამთავროს, რუისის, ურბნისის, წილკნის, სამთავისის, ნიქოზის, ალავერდის, ნინოწმინდის, რუსთავის, ნეკრესის, ბოდბეს), მთავარმართებელ ტორმასოვის ცნობით: 799 ეკლესია, 746 მღვდელი, 146 დიაკონი და სხვა დანარჩენი 661 სასულიერო პირი. არქივისკოპოს ვარლამ ერისთავის პროექტით კახეთის 5 საეპისკოპოსო უნდა გაერთიანებულიყო ერთ - ალავერდის ეპარქიად, ხოლო ქართლის 8 საეპისკოპოსო ერთ - მცხეთის ეპარქიად. ქართლის ეპარქიის შემოსავალი დაახლოებით იყო 16960 მანეთი, კახეთის ეპარქიისა კი - 9500 მანეთი. არსებული 9 საარქიმანდრიტოს ნაცვლად ვარლამის პროექტით უნდა დარჩენილიყო 5 (ბოდბის, ქვათახევე-მღვიმის, კახეთის, დავითგარეჯის და იოანე ნათლისმცემლის). ეს პროექტი წმ. სინოდმა დაამტკიცა და დაადგინა: 1. გაუქმდეს 13 ეპარქია და დარჩეს 2, ხოლო ცხრა არქიმანდრიტის ნაცვლად ხუთი; 2. საქართველოს ეკლესიას სათავეში ჩაუდგეს მცხეთა-ქართლის მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავი და მიენიჭოს მას მუდმივი ეგზარქოსის წოდება, ამავე დროს იგი იყოს წმიდა სინოდის წევრი; 3. საქართველოში გაუქმდეს ეკლესიის დამოუკიდებლობა და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას სათავეში ჩაუდგეს წმიდა სინოდის განყოფილება - დიკასტერია, რომელიც ყველაფერში დამორჩილება წმიდა სინოდის გადაწყვეტილებებს.

ეს დადგენილება წმიდა სინოდმა განიხილა 1811 წლის 24 ივნისს, ხოლო ძალაში შევიდა 30 ივნისს. ესაა დღე, როდესაც ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ დაკარგა ავტოკეფალია და დაიწყო უმძიმესი პერიოდი მის შემდგომ მოღვაწეობაში.

ეპარქიებს რუსული ხელისუფლება ადრეც ამცირებდა. მაგალითად, ციციანოვმა (1802-1806 წწ.) ქართლში არსებული 6 ეპარქიიდან დატოვა 3. ეს ხდებოდა მთავრობისათვის არასასურველი პირების კათედრიდან ჩამოსაშორებლად.

იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ მთავრობამ გადაწყვიტა დასავლეთ საქართველოს ეკლესია ემართა საქართველოს დიკასტერიის მეშვეობით. 1815 წლის 30 აგვისტოს დიკასტერია გადაკეთდა “საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორად“. რუსეთის მთავრობამ მას დაუმორჩილა ჯერ კიდევ ავტონომიური სამთავროების - გურიისა და სამეგრელოს ეპარქიებიც. ამრიგად, არქივისკოპოსი ეგზარქოსი ვარლამ ერისთავი დასავლეთ საქართველოს ეკლესიასაც მართავდა, ენერგიულად იღვწოდა ეკლესია-მონასტრების შემოსავლების აღსარიცხავად, რასაც მთავრობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, მაგრამ მაინც ზემდგომებმა არ ინებეს ამ თანამდებობაზე ქართველი კაცის დატოვება და 1817 წელს იგი პეტერბურგში გაიწვიეს.

ამავე 1817 წლიდან ეგზარქოსად დაინიშნა რიაზანელი არქივისკოპოსი თეოფილაქტე რუსანოვი (1817-1821). მის შემდეგ მხოლოდ რუსი ეროვნების ეპისკოპოსები მართავდნენ საქართველოს საეგზარქოსოს. თეოფილაქტეს პროექტით, რომელიც დაამტკიცა მინისტრთა კომიტეტმა, უნდა გარკვეულიყო საეგზარქოსოში ეკლესია-მონასტრების, სასულიერო პირებისა და მრევლის რაოდენობა, შეემცირებინათ სამღვდელთა რაოდენობა და აღარ ეკურთხებინათ არავინ მღვდლად სათანადო განკარგულებამდე. მან 1819 წელს შეამცირა იმერეთის საეპისკოპოსოები მათი ერთ ეპარქიად გაერთიანების გზით, თითო-თითო ეპარქია დატოვა გურიასა და სამეგრელოში. ამრიგად დასავლეთ საქართველოს 12 ეპარქიიდან დარჩა 3 ეპარქია. ამის გარდა, ეგზარქოსი ამცირებდა მოქმედი ეკლესიების რაოდენობას, მღვდლები რჩებოდნენ შტატგარეშე (მ. ხუციშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 20).

#### სახალხო აჯანყება ავტოკეფალიის დასაცავად

რუსეთის მთავრობა ვერ ეგუებოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის უმცირეს გამოვლინებასაც კი, რადგანაც იცოდა, რომ ეროვნული ეკლესია ქართველთა ცნობიერების, თვითშემეცნების წყარო იყო და მათ დამოუკიდებლობას ახსენებდა. 1819 წელს ეგზარქოსი თეოფილაქტე გადავიდა დასავლეთ საქართველოში და შეუდგა მთავრობის დავალების შესრულებას, ე.ი. ეკლესიათა დახურვას, საეკლესიო ქონების აღწერას და მომზადებას მისი ხაზინისათვის გადასაცემად, ამასთანავე საეკლესიო გლეხებისაგან ითხოვდა საეკლესიო გადასახადის გადიდებას. მთავრობა იმედოვნებდა, რომ ამ გზით სახაზინო შემოსავალს გაზრდიდნენ 700.000 მანეთამდე, მანამდე კი შემოსავალი 18-20 ათას მანეთს შეადგენდა.

ამ დროს იმერეთის მოსახლეობა სანახევროდ განადგურებული იყო და დიდ გაჭირვებაში იმყოფებოდა. იმერეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ იქ რუსის ჯარმა შეიტანა შავი ჭირი, რომელმაც მოსახლეობის მეტი წილი გაწვიტა. იმერეთიდან მეფე სოლომონ II-ის გაძევების შემდეგ “1811-1812 წლებში სამეფოში მიჰინვარებდა შავი ჭირი და შიმშილი, რამაც მოსახლეობის ნახევარი გაანადგურა“ (მ. გონიკაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 16). 1817 წელს, ე.ი. დაახლოებით თეოფილაქტეს იმერეთში გადასვლის დროს, იმერეთში 12730 კომლი (85000) სული იქნებოდა (იქვე, გვ. 16), აქედან - 2124 საეკლესიო კომლი, 1994 კომლი საეკლესიო გლეხი და 130 ოჯახი საეკლესიო აზნაური (ნარკვ. IV, გვ. 931). ე.ი. თითქმის ყოველი მეექვსე კომლი საეკლესიო იყო ანუ მოსახლეობის 20%-მდე

თეოფილაქტე იმერეთში მოურიდებლად იქცეოდა და ამით კიდევ უფრო გაანაწყენა მოსახლეობა. ხალხი აღშფოთდა, რაც თავდაპირველად იმით გამოხატა, რომ ხელისუფალთ “არ დაა-

ნება საეკლესიო ქონების აღწერა, რადგანაც აღწერას ქონების ჩამორთმევა მოჰყვებოდა“. ხალხს განსაკუთრებით აღშფოთებდა და აოცებდა რუსების მიერ ასეულობით ეკლესიის დახურვა. ამიტომ დასახმარებლად ისევ ხელისუფლებას მიმართა და ასეთი წერილი გაუგზავნა: “ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ბილწი აგარიანელების ხელში ვიყავით, ბევრი ტანჯვა-წამება გადავიტანეთ, მაგრამ ისინი ჩვენს სასულიერო საქმეებს არ შეხებიან. ჩვენ ის ხალხი ვართ, სარწმუნოება თითქმის ქრისტეს ჯვარცმის დროიდან რომ შევიწინარჩუნეთ... ჩვენს მწუხარებას საზღვარი არა აქვს, როდესაც ვხედავთ, როგორ ხურავენ ჩვენს წმიდა ეკლესიებს, როგორ გვაშორებენ ჩვენი სულის გადარჩენაზე მზრუნველ ღვთისმოსიან მღვდლებს, როგორ გვართმევენ სახალხო ქონებით შემკულ ჯვრებს და ხატებს და ასხვისებენ საეკლესიო ქონებას, რომელიც საუკუნეების მანძილზე სისხლითაა შექენილი ან ჩვენი უწინდელი მეფეების მიერაა საჩუქრად გადმოცემული“ (ერისტო-შერვაშიძე, ქართველი ხალხის გაჭირვების შესახებ სამასსოფრო წერილი, გვ. 48).

ამგვარმა მიმართებამ ხელისუფლებაზე არ იმოქმედა, საეკლესიო აღწერა გაგრძელდა, რასაც მოჰყვა ჯერ “ვაკე“ იმერეთის, შემდგომ კი მთელი დასავლეთ საქართველოს აჯანყება.

1818 წლის ივლისში, საეკლესიო აღწერის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ რაჭა, გურია, სამეგრელო და იმერეთი ფეხზე დადგა. ქრისტიან აჯანყებულებს ებრძოდა რუსეთის რეგულარული არმია. მშობლიური ეკლესიის დასაცავად აღმდგარმა მოჯანყებებმა წამოაყენეს ლოზუნგი “სამშობლოს განთავისუფლება“, მოსახლეობის ყველა ფენა მონაწილეობდა ბრძოლაში არტილერიით შეიარაღებული პოლკებისა და ბატალიონების წინააღმდეგ. იმის გამო, რომ იმერეთში აღარ იმყოფებოდა ტახტის მემკვიდრე ბაგრატიონთა ლეგიტიმური შთამომავალი, აჯანყებულებმა მეფედ გამოაცხადეს სოლომონ II-ის შვილიშვილი ივანე აბაშიძე. გენერალ-ლეიტენანტმა ველიამინოვმა გამოაცხადა, რომ წყვეტდა საეკლესიო რეფორმას, შეშინებული ეგზარქოსი თეოფილაქტე 300 ჯარისკაცისა და არტილერიის დაცვით ქუთაისიდან თბილისში გაგზავნეს.

რუსეთის ხელისუფლება, ცხადია, ვერ შეურიგდებოდა იმერეთში თავის დამარცხებას. ამიტომ აგრძელებდა ზომების მიღებას, რამაც 1819 წელს კიდევ უფრო გააფართოვა აჯანყება. მთავრობამ მოჯანყეთა წინააღმდეგ გამოიყვანა დიდძალი ჯარი. 1820 წელს დაპატიმრეს მიტროპოლიტები: დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გელათელი, აგრეთვე, სხვა გავლენიანი პირები, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა აჯანყება, განსაკუთრებით გურიასა და რაჭაში, მას თანაუგრძნობდა გურია-სამეგრელოს მოსახლეობა.

დოსითეოს ქუთათელი (წერეთელი) ფაქტიური გამგებელი იყო დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოსი 1792-1815 წლებში. 1814 წლის 30 აგვისტოს ბრძანებულებით იმერეთის (აფხაზეთის, ე.ი. დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსო საქართველოს საეგზარქოსოს დაექვემდებარა, მაგრამ ეკლესიის ფაქტიური, პირველი იერარქი გახლდათ დოსითეოსი 1820 წლამდე, ე.ი. მის დაპატიმრებამდე (იმერეთის კათალიკოსმა 1783 წელს დატოვა საქართველო და უცხოეთში გარდაიცვალა, ახალი კათალიკოსი არ აურჩევიათ). დოსითეოსი დიდად იღვწოდა, რათა საკათალიკოსო ეკონომიკურად აღორძინებულიყო.

როგორც ცნობილია, დაპატიმრებული მოხუცი მიტროპოლიტი დოსითეოსი ტომარაში ჩასვეს და რუსეთისაკენ ასე წაიყვანეს. იგი ტომარაშივე ცემით მოუკლავთ გორის ახლოს. დაკრძალულია ანანურის ტაძარში.

ექვთიმე გელათელი (შერვაშიძე) მიტროპოლიტი (1776-1820) ხელისუფლებამ დაიჭირა, როგორც აჯანყების ერთ-ერთი მოთავე. ექვთიმე ადრე ჯუმათელი ეპისკოპოსი იყო. მან აღადგინა მრავალი პარტახი ადგილი, დაასახლა გლეხებით, იღვწოდა ქვეყნის გასაერთიანებლად. მან ჩააღწია რუსეთამდე და რუსეთის იმპერატორს საჯაროდ ეწოდა “ნერონი“, საქართველოს დაპყრობისა და იქ ქრისტიანების ამოწყვეტის გამო.

ხალხის აზრით, მიტროპოლიტები და საერთოდ ეპისკოპოსები ხელშეუხებელი იყვნენ და მათ მაჰმადიანებიც კი პატივს სცემდნენ. რუსთა ქმედებამ გურიასთან, იმერეთთან, რაჭასთან ერთად ააჯანყა სამეგრელოს მოსახლეობაც. რუსის ჯარმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის შემდეგ გაჭირვებით გაიმარჯვა უდიდესი დანაკარგებით, მორბიეს და გადაწვეს რაჭა, არტილერიით მიწასთან გაასწორეს შემოქმედის ციხე გურიაში. სოფლები გადაწვეს, ზოგი მოჯანყე ჩამოახრჩვეს, უამრავი რუსეთში გადაასახლეს, მათი ქონება ხაზინას გადასცეს. ერთდროულად წერდა: “სოფლები გავანადგურეთ და გადავუგეთ, ბაღ-ვენახები ძირებამდე ავჩეხეთ, ვეღარასოდეს აღიდგენენ მოღალატენი პირვანდელ მდგომარეობას“ (ნარკვ. IV, გვ. 936).

რაჭაში სოფელი ფუტყეთი გელათის მონასტერს ეკუთვნოდა. ექვთიმე გელათელის დაპატიმრებამ, ცხადია, აღაშფოთა სოფელი და რუსთა ჯარს უსასტიკესი ბრძოლა გაუმართა 1820 წლის 21 მაისს. სარწმუნოებისა და თავისუფლებისათვის ორი ათასმა ქართველმა დადო თავი. მათ შორის იყვნენ მეზობელი მღვდლები, ბერები და სასულიერო პირები. საბოლოოდ, აჯანყების ჩახშობის შემდეგ, საეკლესიო აღწერის ტემპი შენედა და ათწლეულობით გაგრძელდა. ქართული ეკლესიის განსათავისუფლებლად თავგანწირულ ბრძოლას საქართველოში დიდი მხარდაჭერა ჰქონდა.

## ეპარქიათა გაუქმებით გამოწვეული მძიმე სარწმუნოებრივი შედეგები

ქართულ ეკლესიას ისტორიულად ათეულობით საეპისკოპოსო ანუ ეპარქია ჰქონდა აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში. მესხეთის 14 საეპისკოპოსო ოსმალმა დამპყრობლებმა მოსპეს. სამწუხაროდ, როგორც აღინიშნა, მუსულმანთაგან გადარჩენილი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოების უმეტესი ნაწილი რუსთა ხელისუფლებამ გააუქმა. მაგრამ შედეგი მათთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. როგორც შემდგომ ავტოკეფალისტები აღნიშნავენ, საეპისკოპოსოთა მოსპობით დაეცა ქრისტიანული სარწმუნოება ქართველთა შორის. საეპისკოპოსოს გაუქმებით ქრისტიანობა რომ ზარალდება, შესანიშნავად იცოდნენ ქართველმა სულიერმა მამებმა. ეს კარგად ჩანს XVIII ს-ის ერთი სიგელიდან, რომელიც მცხეთიდან საათაბაგოში გაუგზავნიათ: “რა რომ საათაბაგო სჯულზე მიდრკა და ეპისკოპოსნი მოიშალნენ, მას აქეთ თქვენს ქვეყანაში ეპისკოპოსი აღარ შესულა და რომელ ადგილშიც ეპისკოპოსი არ შევა და იმისი მადლი და კურთხევა არ მივა, ან მისი მამამთავარი და მოძღვარი არ ასწავლის და არ ჰმწყის, ის ქვეყანა და იქ მსახლობელნი ქრისტიანნი არ იქნებიან და არც მართლმადიდებლობაში აღირიცხვიან“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 747).

ქართლ-კახეთ-იმერეთ-გურია-სამეგრელოში საეპისკოპოსოების გაუქმებით ქრისტიანები მოაკლდნენ ეპისკოპოსის მიერ გაცემულ საღმრთო მადლსა და კურთხევას. გარდა ამისა, “25 სამღვდელმთავრო კათედრის დახურვამ ეპისკოპოსებს წაართვა სამღვდელთაზე ზედამხედველობისა და ხელმძღვანელობის საშუალება“, მეორე მხრივ დარჩენილ ეპარქიებშიც ეპისკოპოსის ხელისუფლება რუსის ეგზარქოსს ისე შეუზღუდავს, რომ ეპისკოპოსს არ ჰქონდა საშუალება სამღვდელთა რეალური ხელმძღვანელობისა. მღვდლები ამ წაქეზების გამო ეპისკოპოსს აღარ ემორჩილებოდნენ და ამიტომაც მრევლზეც ნაკლებ ზრუნავდნენ. საეკლესიო ხელისუფლებს სურდათ, თბილისიდან, ეპარქიების მონაწილეობის გარეშე, ემართათ მთელი ეკლესია, რამაც სავალალო შედეგი გამოიღო.

ქართველობა სარწმუნოების გადასარჩენად ნიადავ ითხოვდა გაუქმებული ეპარქიების აღდგენას, კერძოდ, ურბნისის, ალავერდის, ბოდბის და სხვა გაუქმებული კათედრების აღდგენას. 1841 წელს მიმართეს ეგზარქოსს ვეგენის: “გურიაში მღვდელმთავართა კათედრის დახურვის შემდეგ, რელიგიურობამ დაქვეითება იწყო, გურულები, მცხოვრებნი მაჰმადიანური თურქეთის საზღვარზე, საჭიროებდნენ მღვდელმთავრის მიერ დამოძღვრას“.

გურიაში კათედრა აღადგინეს, მაგრამ 1821 წელს იმერეთის ოთხი ეპარქიის გაერთიანებით შეიქმნა მხოლოდ ერთი ეპარქია, 1829 წლიდან სამეგრელოს სამი (ჭყონდიდის, ცაგერის და ცაიშის) ეპარქიის გაერთიანებით შეიქმნა ერთი - სამეგრელოს ეპარქია. 1833 წელს გურიის ერთადერთი ჯუმათის ეპარქია შეუერთეს იმერეთის ეპარქიას, აღადგინეს 1844 წელს (ცენტრით ჯუმათში), ჩრდილო ოსეთი 1811 წლამდე შედიოდა წილკნის საეპისკოპოსოში, 1870 წლიდან შეუერთეს მოზდოკის ეპარქიას. 1875 წელს შეიქმნა ვლადიკავკაზის საეპისკოპოსო, რომელიც 1885 წლამდე შედიოდა საქართველოს საეგზარქოსოში.

საეგზარქოსოს პოლიტიკა საბოლოოდ იწვევდა მრევლის სარწმუნოებრივ ინდიფერენტისმს, უკარგავდა ქართულ ეკლესიას ეროვნულ სახეს. ხალხს განსაკუთრებით აწყოთებდა ქართული ენის აკრძალვა ეკლესიებსა და სასწავლებლებში. სასულიერო სემინარიები ჩვენში XIX საუკუნემდეც არსებობდნენ, მაგრამ ისინი რუსთა ხელისუფლებამ გააუქმა. თელავის სემინარიის უკანასკნელი რექტორი დავითი წერდა: “მას ჟამსა რუსნი მოვიდეს და სკოლა შეურაცხვეს და სადაც სახელი ღვთისა იქადაგებოდა, ჰყვეს ქება ავაზაკთა, ხოლო მე პირად-პირადნი განსაცდელნი შემამთხვივნეს და მრავალი ბოროტი მოაწიეს ჩემ ზედა“ (მ. დარჩია, გაიოზ რექტორი, გვ. 19).

XIX ს-ის მანძილზე დაარსდა მრავალი და მათ შორის სასულიერო (1817 წლიდან) სასწავლებელი, მაგრამ ისინი უკვე არა ქართულენოვანი, არამედ რუსულენოვანი იყო. კათალიკოს-პატრიარქ ლეონიდეს თქმით ეს იწვევდა მომავალ სამღვდელთა გაუნათლებლობას (ენის უცოდინარობის გამო საგნებს ვერ სწავლობდნენ): “გაუნათლებელ, თუმცა კი სემინარიადამთავრებულ ქართველ მღვდლებს არ შეეძლოთ გაენათლებინათ თავიანთი მრევლი“.

თანდათანობით რუსულ სემინარიადამთავრებული ქართველი ახალგაზრდების ნაწილი გაუუცხოვდა ქართულს, დაეწაფნენ რუსულ და ევროპულ იდეებს სოციალიზმისას, ათეიზმისა და ანარქიზმისას. XIX ს-ში “დაიხურა 15 მონასტერი და 800-ზე მეტი ეკლესია. რუსეთის ხაზინამ ქართული ეკლესიის 150 მილიონი მანეთის ღირებულების ქონება მიითვისა, საიდანაც ჯამაგირის სახით ეკლესიას ყოველწლიურად შვიდასი ათასი მანეთი გამოუყო, აქედან 150 ათასი მანეთი რუსულ და ბერძნულ ეკლესიებს ხმარდებოდა“. (ქ. პავლიაშვილი. საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში, 1995, გვ. 23). ნ. დურნოვის აზრით, ხაზინას ქართული ეკლესიისათვის ჩამოურთმევია 323000 დესეტინა მიწა (ნ. დურნოვი, ქართული ეკლესიის ბედი, ქ. “განთიადი“, 1990, №10). ეს გადაანგარიშებით შეადგენს 460000 ჰა-მდე მიწას. ეკლესიებიდან და მონასტრებიდან დაიკარგა საუკუნეთა მანძილზე ნაგროვები უძვირფასესი ქონება, ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი ქვებით შემკული სასულიერო ნივთები. ასეთი ვითარების დროს არაა გასაკვირი ქართველი სასულიერო პირების აქტიური მონაწილეობა საქართველოს გასათავისუფლებლად მოწყობილ აჯანყებებში 1804, 1812 და სხვა წლებში.



1832 წლის აჯანყების ერთ-ერთი იდეური წარმართველი იყო არქიმანდრიტი ფილადელფოს კიკნაძე. “კახეთის შეთქმულთა საზოგადოების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, რომელმაც რელიგიურ კონცეფციამდე აიყვანა შეთქმულების საქმე“ (გ. თოდუა, XIX ს. ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, 1983, გვ. 69). მის მიერ შედგენილი “აქტი გონიური“ აჯანყების წესდება იყო. რუსული გამოცემა “აქტი გონიურს“ საგანგებო მნიშვნელობის, მეტად მაკნე დანიშნულების დოკუმენტს უწოდებდა. “აქტი გონიურის“ შედგენაში თავის დროზე მონაწილეობა მიუღია სასულიერო მოღვაწეს იონა ხელაშვილს (იქვე, გვ. 71).

ეგზარქოს პავლე ლეხეიძის (1882-1887) დროს 1886 წელს სემინარიიდან გარიცხულმა იოსებ ლალიაშვილმა მოკლა სემინარიის რექტორი დეკანოზი ჩუღეცკი. მის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში, ეგზარქოსს დაუწვევლია მკვლელის “წარმომშობი ხალხი“. აღშფოთებული ქართველების აზრი გამოხატა დიმიტრი ყიფიანმა, რომელმაც მოუწოდა ეგზარქოსს, თუ მართალი იყო ხალხში გავრცელებული ხმა, მაშინ “შემჩვენებელი განიდევნოს შეჩვენებული ქვეყნიდან“. დიმიტრი ყიფიანი ამისათვის დასაჯეს გადასახლებით, სადაც 1887 წელს მოკლეს.

#### ავტოკეფალური მოძრაობის დაწყება

XIX ს-ში, რუსეთის იმპერიაში საქართველოს ყოფნის დროს, არა თუ გაძლიერდა მართლმადიდებლობა, არამედ პირიქით, განელდა ქართველთა მხურვალე სარწმუნოება. კერძო პირების ცნობებიდან და ოფიციალური ანგარიშებიდანაც კი ჩანს, რომ ქართველები აღარ დადიოდნენ ეკლესიებში ისე, როგორც ძველად, ნაკლებად ამბობდნენ აღსარებას, არ ეზიარებოდნენ, ქვეყანა დაადგა ზნეობრივი გადაგვარების გზას, XIX ს-ის 80-იანი წლებიდან დაიწყო ეკლესიების ძარცვა ყაჩაღთა ჯგუფების მიერ.

ყოველივე ამის მიზეზად მიიჩნის ის, რომ რუსეთის წმიდა სინოდმა ვერ შეძლო ქართველი ერის სარწმუნოებრივი პატრონობა. გაჩნდა იდეა, რომ მხოლოდ ეროვნული ეკლესიის აღდგენით იქნებოდა შესაძლებელი მდგომარეობის გამოსწორება. ეკლესია დაიყო ორ მებრძოლ ფრთად. ერთი - ავტოკეფალიის მომხრენი ამბობდნენ, რომ რუსეთის იმპერია საქართველოში ეგზარქოსებად ისეთ პირებს ნიშნავდა, რომელთაც განსაკუთრებულად სძულდათ ყოველივე ქართული, რომ მათ მოშალეს კათედრები და დახურეს ეკლესია-მონასტრები, ქართული სასულიერო და საერო სასწავლებლები, მათ დროს გაიძარცვა ასობით ეკლესია, გაიბნა ძვირფასი არქეოლოგიური მასალა, რომ ეს ეგზარქოსები შეურაცხყოფდნენ და აბუჩად იგდებდნენ ქართულ ღვთისმსახურებას, გალობას, ხალხის ზნე-ჩვეულებებს, დევნიდნენ მოწინააღმდეგეებს, ისინი და მათი სამღვდლოება არ ფლობდა ხალხის ენას (ე.ი. ქართულს), შემოიღეს რუსულენოვანი წირვა-ლოცვა და სხვა.

მეორე ჯგუფი მხარს უჭერდა არსებულ მდგომარეობას. მათი აზრით, XIX ს-ში მოწესრიგდა მანამდე ეკლესიაში არსებული ქაოსური მდგომარეობა, დამყარდა წესრიგი, სამღვდლოებას მიეცა სარჩო, ხელფასი, პენსიები. გათავისუფლდა მაჰმადიანთა ხელში მოქცეული მხარეები, სადაც აღდგა ან განმტკიცდა ქრისტიანობა, გაიხსნა უამრავი სასულიერო და საერო სასწავლებელი, აღდგა და გამშვენდა ეკლესიები და მონასტრები. მთის რეგიონებში აღორძინდა და განმტკიცდა შერყეული მართლმადიდებლობა, მოინათლა გამაჰმადიანება-გაწარმართების პირას მისული მთიელი ტომები და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ერთი საუკუნე ქართული ეკლესია რუსეთის იმპერიაში არსებული უმძიმესი ვითარების მსხვერპლი იყო. კერძოდ, თუ XIX ს-ის დამდეგს ქართულ ეკლესიას შავი დღე ადგა კავკასიის მხარეს იმპერიის გაფართოების გამო, XX ს-ის დამდეგს უკვე საშინლად ირყეოდა, რამეთუ წყალი შეუდგა იმპერიის ძლიერებას. აშკარად გამოიკვეთა ნიშნები იმპერიის რღვევისა. კავკასია, რომლის დაპყრობასაც რუსეთმა თითქმის ასი წელი მოანდომა, თავისუფლებისაკენ მიიღტვოდა.

ასეთ დროს მიიჩნის, რომ იმპერიის განსამტკიცებლად საჭირო იყო იმპერიაში ეცხოვრა ერთ ენაზე მოლაპარაკე, ერთი სარწმუნოების მქონე ქვეყნის ერთგულ მოსახლეობას. დღის წესრიგში დადგა ქართველების ისე, როგორც სხვა ხალხების რუსებთან ასიმილაცია-შერწყმის საკითხი. გაძლიერდა ქართული ენის წინააღმდეგ ბრძოლა საეგზარქოსოს მხრიდან “რუსეთთან ერთ ეროვნებად შერწყმის მიზნით“, რაც ჯერ კიდევ XIX ს-ის ბოლოდან დაიწყო სამეგრელოსა და სვანეთში სასწავლებლებსა და ღვთისმსახურებაში ქართული ენის აკრძალვით. ზოგიერთი რუსი შოვინისტი სასულიერო პირი, მაგალითად, ვოსტორგოვი პირდაპირ აცხადებდა, იმპერიის ინტერესებისათვის საჭიროა ქართველების გარუსება ეკლესიის დახმარებით. ასეთ ადამიანებს თავგამოდებით ებრძოდა წმ. ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე, წმ. ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე, წმ. კათალიკოსები- კირიონი, წმ. ამბროსი ხელაია და სხვანი.

თავის მხრივ, ზემოთ ხსენებულმა პირველმა ჯგუფმა, რომელიც ქართული ეკლესიის თავისუფლების აღდგენაზე ოცნებობდა, შესაბამისად უპასუხა მთავრობასთან დაახლოებულ შოვინისტებს. ეს კარგად ჩანს კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს მემუარებიდან (“ჩემი მოგონებები“). ეგზარქოს პავლეს დროს რექტორ ჩუღეცკის მკვლელობამ დაძაბა ურთიერთობა. “ქართველები იყურებიან ბოროტად, ყველა ქართველი უნდა დავითხოვოთ, თუ არ გვინდა სემინარიის

სრული დემორალიზაცია“, - წერდა პეტერბურგიდან ჩამოსული რევიზორი (კ.პ. კალისტრატეს მოგონებანი, საღვთისმეტყველო კრებულები, 1987, №3, გვ. 38). კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე წერს, ჩვენ სემინარიაში სწავლისას უკვე ვიცოდით, რომ ეგზარქოსების მიზანი იყო “მრევლის გარუსება“ (იქვე, გვ. 38).

წმიდა ილია მართლისა და ქართველი მღვდელმთავრების ბრძოლა ავტოკეფალიის აღსადგენად

ახალ, XX ს-ს საქართველოს საეგზარქოსო იმპერიული თვალსაზრისით “წელგამართული“ შეხვდა: 1901 წ. საქართველოს საეგზარქოსოს ფარგლებში მოქმედებდა 485 საეკლესიო სამრევლო სკოლა, სასულიერო სემინარია, საქართველოს საეგზარქოსოში, რომელიც აერთიანებდა 1.167.751 მართლმადიდებელს (აქ ნაჩვენებია მოსახლეობის უმეტესობა საქართველოში ცხოვრობდა), მოქმედებდა 34 მონასტერი (აქედან 5 ქალთა), 24 საკრებულო ტაძარი, 1629 სამრევლო შტატიანი და 720 მიწერილი ეკლესია. სულ საქართველოს საეგზარქოსოში იყო 2486 ეკლესია და მონასტერი, რომლებშიც საქმიანობდა 3954 უმაღლესი და დაბალი წოდების სასულიერო პირი.

როგორც ვხედავთ, ციფრები შთამბეჭდავია, მაგრამ დაიკარგა მთავარი, რისთვისაც საერთოდ არსებობს ეკლესია. ხალხში განელდა სარწმუნოება, უფრო მეტიც, ხალხმა თითქმის ზურგი შეაქცია ეკლესიას. ის, რაც აქამდე ხალხის სულიერი ყოფის აუცილებელი ნაწილი იყო - ეკლესიურობა, ახლა უკვე ფორმალურ მხარედ იქცა. მართალია, XIX ს-ის დამდეგს, ავტოკეფალიის გაქრობის დროს, საქართველოში შეიძლება არ იცოდნენ ეკლესია-მონასტრების თუ სამღვდლო პირების ზუსტი რაოდენობა, მათი შემოსავალ-გასავალი, მაგრამ სასულიერო წოდება შესაბამის სიმაღლეზე იდგა, მოვალეობის აღსრულება ღირსებისა და თავდადების საგანი იყო, ქართველი კაცი მზად იყო სიცოცხლე და ოჯახი დაეთმო სარწმუნოებისათვის, მის დასაცავად და შესანახად. ერთი საუკუნის შემდეგ სარწმუნოებას მხოლოდ ფორმალური, გარეგნული დანიშნულება ენიჭებოდა. ფორმამ შეიწირა შინაარსი.

კიდევ უფრო უარესი და სარწმუნოებისათვის დამღუპველი იყო ის, რომ რუსეთის იმპერია ცდილობდა, მართლმადიდებლობა გამოეყენებინა იარაღად ქართველების რუს ერში ასიმილაცია-გათქვეფისათვის. ამით მიუტყვევლად სცოდავდნენ. თუ ქართველი ერი ათასწლეულთა მანძილზე მართლმადიდებლობასა და ქართველობას ერთ მნიშვნელობას ანიჭებდა, ეროვნების შენარჩუნება-დაცვას სწორედ მართლმადიდებლობით ახერხებდა, ახლა უკვე რუსეთის იმპერიაში ცხოვრებისას მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ქართული ეკლესიის მამები და ერის საუკეთესო შვილები მიხვდნენ, რომ სარწმუნოების გადასარჩენად საჭირო იყო ეკლესიის განშორება რუსული იმპერიული მანქანისაგან, საჭირო იყო აღდგენა ძველი საეკლესიო წყობისა - ავტოკეფალიისა.

ავტოკეფალიის მოთხოვნის ოფიციალურად წარმოჩენამდე ქართულმა მღვდელმთავრებმა დაისახეს ორი მიზანი: 1. როგორმე წმ. სინოდის საიმპერატორო კარისა და პირადად იმპერატორისათვის მიეწოდებინათ ცნობები ქართული ეკლესიის ძველი დიდებისა და ავტორიტეტის შესახებ; 2. როგორმე საქართველოს ეკლესიის ისტორია გაეცნოთ მომავალი თაობისათვის.

ჩვენმა იერარქიამ ისარგებლა 1901 წელს გამართული დიდი ზეიმით, რომელიც მოეწყო საქართველოს რუსეთთან “შეერთების“ 100 წლისთავის აღსანიშნავად, და წმიდა სინოდს მიართვა თხოვნა: “პეტერბურგის თეოლოგიის აკადემიაში დაარსდეს ქართული საეკლესიო ისტორიის დამოუკიდებელი კათედრა, სადაც შეისწავლიან ხელნაწერებს, საეკლესიო არქიტექტურულ ძეგლებსა და ყველაფერს, რაც კი ქართულ ეკლესიას ეხება. ეს ნაშრომები ახალი ცნობებით გაამდიდრებენ თეოლოგიურ და საეკლესიო ლიტერატურას და ნათელს მოჰყვენენ მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილ ფურცლებს“ (მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 449).

1905 წლის II ოქტომბერს ქართველმა დიდებულებმა კავკასიის მეფისნაცვალს გადასცეს წერილობითი დოკუმენტი, რათა მას იმპერატორისათვის მიერთებია. წმიდა ილია მართლის არქივში დაცული ხელნაწერის ტექსტი (ხელნაწერთა ინსტ. ი. ი. ჭავჭავაძის ფონდი, საქმე №202) ნაწილია მის მიერ წარმოთქმული მოხსენებისა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აუცილებლობის შესახებ. როგორც ჩანს, ეს სიტყვა ილიამ წაიკითხა ვორონცოვ-დაშკოვთან აუდიენციისას. გახეთ “ცნობის ფურცელს“ გამოუქვეყნებია იმპერატორისათვის გადასაცემი დოკუმენტის ნაწილი:

“თქვენო ბრწინვალეობაჲ, 16 საუკუნეა ივერიის ხალხი თავგანსა სცემს წმიდა ჯვარს უფლისას. ბევრი მძიმე განსაცდელი და უბედურება გამოიარა ამ ხალხმა სარწმუნოების გულისათვის, მთელი საუკუნეების განმავლობაში ქართველობა ამოსავლეთ ქვეყნების მპყრობელთა უღმობელი უღლის ქვეშ კვნესოდა, ითმენდა სისასტიკეს, მაგრამ ივერიის ეკლესია მაინც შეურყეველი და ცხოველი იყო. ძლიერი იყო სული და უძლეველი ძალა მისი, დამყარებული - მწვემთა და სამწყსოთა შორის მტკიცე ერთობაზე, დიდებულია და ქებული წამებულთა სისხლით მორწყული ის გზა, რომელზედაც შეუდრეკლად მიჰყავდა, ამხნევებდა, ანუგეშებდა და უთითებდა ქრისტიანობა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მიზნისა და იღვალეებისაკენ, მაგრამ გავიდა უკანასკნელი 100 წელი, როდესაც ქართული ეკლესიის ბედ-იბაღს

განაგებდნენ რუსის ეგზარქოსები და რასა ვხედავთ ახლა? სარწმუნოება მოკლულია ქართველის ხალხში, ინდიფერენტიზმმა მოიცვა ყველა ნაწილი მცხოვრებთა, რომელმაც დაიბუღა თვით მორწმუნეთა გულშიაც. ეკლესიები ცარიელია დიდ საუფლო დღესასწაულებშიაც კი; ეკლესიები თითქმის ყოველდღე იძარცვებიან, რაც წარსულ საუკუნეებში არ ნახულა და არ გაგონილა. მრევლი უარს უცხადებს მღვდელს და აღარ უხდის არაფერს საეკლესიო საღმრთო წესის შესრულებისათვის და ზოგიერთს ადგილებში სრულიადაც უარყოფს მას. საქართველოს სამღვდელეობა, უკიდურეს მდგომარეობაშია ჩაყენებული, წერილობით თუ დეპუტატების პირით, საქართველოს ეგზარქოსს უცხადებს, რომ შიმშილით სიკვდილი მოეღის და თუ მთავრობამ არ უზრუნველყო იგი, იძულებული იქნება, უარყოფს მწვემსთმსახურება და დაუბრუნდეს ერის კაცობას და საერისკაცო საქმით გამონახონ თვით არსებობისათვის საჭირო საზრდო. ერთი სიტყვით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ამჟამად საშინელ სულთმობრძავის მდგომარეობაშია. ეს ხდება მაშინ, როდესაც კავკასიის სხვა ხალხს სარწმუნოება მტკიცედ აქვს დაცული და სამღვდელეობაც უზრუნველყოფილი. რა არის მიზეზი საქართველოს ეკლესიის ასე დაცემისა? რა არის მიზეზი სარწმუნოების განქრობისა საქართველოში, იმ ქართველებში, რომელზედაც ბიზანტიის შესანიშნავი ისტორიკოსი პროკოფი კესარიისა ამბობს: “ივერიელი ყველა ხალხებზე უკეთ ინახავენ წესს ქრისტიანობრივ სარწმუნოებისას“. მიზეზი ის არის, რომ ივერიის ეკლესიას წაერთვა ყოველივე ის, რითაც ცოცხლობდა, ძლიერი იყო იგი და რითაც სცოცხლობდნენ კავკასიის სხვა ერების ეკლესიები. შესწავლა სიცოცხლის ძარღვი. განჰქრა ეკლესიისა და მის მეთაურებს შორის კავშირი, რომელიც მტკიცედ დამყარებული იყო შთამომავლობისა, ენისა, გადმოცემათა და სულიერ მშობლიურ ერთობაზე, წაერთვა თვითმმართველობა, გაუქმდა საეროვნო წესი, რომელიც ქვაკუთხედი იყო ორგანიზაციისა, ამჟამად საქართველოს ეკლესიას აღარ ჰყავს მეთაური, აღარ აქვს კანონიერი ავტოკეფალია. ესხანდელი მეთაური უცხონი არიან ივერიის ეკლესიისათვის; უცხონი არიან ესხანდელნი მწვემსნიც, აღზრდილები ხალხის წინააღმდეგ მიმართულებაში. ესენი მოკლებულნი არიან ნიჭს სიტყვიერებისას მშობლიურ ენაზე და ხალხის თვალში წარმოადგენენ მხოლოდ სასულიერო უწყების მოხელეთ. ამგვარ პირობებში ეკლესია უნდა დაცემულიყო და აკი მართლაც დაეცა. საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას საჭიროა მიეცეს თავისუფალი სიცოცხლე, დაუბრუნდეს ძველი კანონიერი მართვა-გამგეობა, სრულად დაუბრუნდეს ხალხის მიერ არჩეული კათალიკოსი სრულის უფლებითა და ვადლებულებით. ივერიის ეკლესიის გამოსაბრუნებლად სხვა გზა არ არის. ესეთი რეფორმა შესძლებს მხოლოდ, შეასწოროს 100 წლის უსამართლობა და ამასთანავე ხელს შეუწყობს საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკური ერთობის განმტკიცებას, რადგან ეს ერთობა ისე ძლიერად არაფრით არ სუსტდება, როგორც იმით, რომ ქართველი ხალხი მოკლებულია იმ დიდ უფლებას, რომლითაც სავსებით სარგებლობენ მეზობელი ხალხები.

თქვენო ბრწყინვალეებავ! განზრახული ავტონომია კავკასიის ეკლესიისა, მიტროპოლიტის მეთაურობით ვერ დააკმაყოფილებს ქართველ ერს, რომელიც გულმოკლულად მიეგება ამ ამბავს და სცნო, რომ ამ ცვლილებით მოესპობა საქართველოს ეკლესიას მრავალსაუკუნოვანი არსებობის უკანასკნელი კვალი; არა, მხოლოდ საჭიროა აღდგენილ იქნეს საქართველოში საკათალიკოსო უფლებანი და აი ამიტომ ჩვენ, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილნი, წევრნი საქართველოს ეკლესიისანი ვთხოვთ თქვენს ბრწყინვალეებას, აღმოუჩინოთ ძლიერი დახმარება ამ შუამდგომლობას, რომელიც აღძრა ამერ-იმერეთის სამღვდელეობამ მის იმპერატორობით უდიდებულესობისა და უწმინდესი სინოდის წინაშე, რომ აღდგენილ იქნას ივერიის ეკლესიის ავტოკეფალური უფლებანი, ამორჩეული კათალიკოსის მეთაურობით. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ თქვენი ავტორიტეტული და სამართლიანი გამოქომაგება შეწყნარებული იქნება ხელმწიფე იმპერატორის მიერ და დაუბრუნდება საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია, ისე, როგორც მხოლოდ თქვენი შუამდგომლობითვე დაუბრუნდა სომეხთა ავტოკეფალურ ეკლესიას მამულები და ნაციონალური საეკლესიო სამრევო სკოლები. განახლება საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიისა სხვა რეფორმებთან ერთად, რომელთაც მოუთმენლად მოეღის ხალხი, ჩვენ ქვეყანას წაიყვანს იმ მშვიდობიანობისაკენ“ (“ცნობის ფურცელი“, 1905 წ., №2932).

ამ დოკუმენტის გადაცემის წინ ილიას წარმოუთქვამს სიტყვა, რომლის ტექსტიც მის პირად საარქივო ფონდშია დაცული: “თქვენო ბრწყინვალეებავ, რუსეთის ფარგლებში ყველა არარუსს (ინოროდებს) სარწმუნოებრივი მართვის საქმეში დამოუკიდებლობა აქვს. სომხები, მუსულმანები, ებრაელები და ა.შ. თავიანთი აღმსარებლობის მართველობაში თავისთავადნი არიან. მათ აქვთ საკუთარი სასულიერო სასწავლებლები, სადაც სწავლა მშობლიურ ენაზეა და ყოველდღე მშობლიურის სწავლებას დათმობილი აქვს ფართო ადგილი. მათ დამოუკიდებლად მართავს საკუთარი სამღვდელეობა. უცნაურია, რომ ამ სიკეთეს მოკლებულნი არიან მხოლოდ მართლმადიდებელნი ქართველები, თითქოსდა სასჯელად მათი მართლმადიდებლობის გამო.

მარტოოდენ მართლმადიდებელი ქართველების უუფლებობამ შეიძლება წარმოშვას აზრი, რომ არარუსებისათვის ეროვნული გაგებით მართლმადიდებლურ რუსეთში მომგებიანი არაა მართლმადიდებლური სარწმუნოების აღმსარებლობა. საქმის ასეთი ვითარება შეიძლება აიხსნას მხოლოდ რაღაც გაუგებრობით, რომელსაც ამდენი ხანია მხოლოდ ზიანი მოაქვს მართლმადიდებლობისათვის.

ამგვარი არაგონივრული ვითარების შემდგომი შენარჩუნება ჩვენი აზრით მიხნეული უნდა იქნეს უდიდეს სახელმწიფოებრივ და რელიგიურ შეცდომად.

ამიტომაც განსახილველად წარმოვიდგინოთ შუამდგომლობას ქართული ეკლესიისათვის მის წიაღში უძველესი დროიდან არსებული ავტოკეფალიის დაბრუნების შესახებ: ვიმედოვნებთ, რომ ამით ვასრულებთ ჩვენს მოქალაქეობრივ ვალსა და ვსასობებთ, რომ ამ თხოვნით თქვენი ბრწყინვალეების მხარდაჭერა დაიმსახუროს“. („ჯვარი ვაზისა“, 1987 წ., №1, გვ. 46).

1905 წელს მეფისნაცვლისთვის მოთხოვნის წარდგენით არ დაკმაყოფილდა ილია, პეტერბურგში საქმის განხილვამდე თავად საგანგებოდ ეახლა წმიდა სინოდის ობერპროკურორს ად. ობოლენსკის, რომელსაც ვრცლად განუმარტა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის არსი, რომ ამ საკითხის მოუგვარებლობა მომტანი იყო მრავალი უბედურებისა (კ.პ. კალისტრატე, მოგონება ილიაზე, მნათობი, 1985, №2). როგორც ჩანს, პეტერბურგში გამგზავრებამდე ილია საგანგებოდ ემზადებოდა სინოდის ობერპროკურორთან შესახვედრად, იღრმავებდა ცოდნას ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. ამაზე მიუთითებს ილიას მონაწილეობა 1905 წლის თბილისის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სასწავლებლის შენობაში ქართველ სასულიერო პირთა მიერ გამართულ ყრილობაში, რომელიც მიეძღვნა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს. ყრილობაზე გამოსული ორატორები მოითხოვდნენ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ დაბრუნებოდა ჩამორთმეული საეკლესიო მიწები („ჯვარი ვაზისა“, 1987, №1, გვ. 46).

გორონცოვ-დაშოვს ილიასთან შეხვედრისას არ გამოუთქვამს სურვილი ავტოკეფალიის აღდგენისა, მხოლოდ განუცხადებია: “დამარწმუნეთ, რომ ეგ ავტოკეფალია სასარგებლო იქნება საქართველოსათვისაც და რუსეთისათვისაც და მაშინ დაგიტერო მხარსო“, თანაც ყურადღება მიუპყრია იმ საკითხისთვისაც, რომ კანონიკური თვალსაზრისით ერთ სახელმწიფოში ერთი ეკლესიის არსებობაა ნებადართული. მაშასადამე, ერთ რუსეთის იმპერიაში ორი ავტოკეფალური (საქართველოსა და რუსეთის) ეკლესიის არსებობა თურმე უხერხულობას შექმნიდა.

ილიას შემდეგ კონსულტაციები მიუღია ამ საკითხზე ქართველ სასულიერო პირთაგან. ექვთიმე თაყაიშვილი ასე გადმოგვცემს იმ დროის ვითარებას: “ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტეთ, დიდი დემონსტრაცია მოგვეწყო და ავტოკეფალია მოგვეთხოვა, თან უნდა წაგველო ბაირადები და პლაკატები წარწერებით: “აღვიდგინეთ ავტოკეფალია“ და სხვა. წამოიჭრა საკითხი: ვინ უნდა გაძლოდა წინ ამ არაჩვეულებრივ დემონსტრაციას? ილიამ გვითხრა: “თუ საჭიროა, მე წაგიძღვებითო!“ (იქვე, გვ. 46).

ავტოკეფალიის მოთხოვნა, წამოყენებული ქართველი მღვდელმთავრების მიერ, ნამდვილ სახალხო მოძრაობად იქცა. ყველას ამხნევებდა ილიას მონაწილეობა მასში. წმიდა ილია მართლის ბინაზე იკრიბებოდა საზოგადოება ავტოკეფალიაზე სამსჯელოდ, ამ შეკრებებს ესწრებოდა აკაკი და იაკობ გოგებაშვილი. ილია უფრო ღრმად ჩაახედეს საკითხებში და ის უკვე მომზადებული გაემგზავრა პეტერბურგში. აღ. ცაგარელთან ერთად ეახლა პეტერბურგის მიტროპოლიტ ანტონს, “ორივე ქართველმა ხანგრძლივად ებაასეს სინოდის თავმჯდომარეს ქართველთა ეკლესიის თავისუფლებაზე. ამ ვიზიტის შემდეგ ილია უფრო არკვევდა საჭირო მასალებს, რასაკვირველია მოხსენებისათვის“ (ექვთიმე თაყაიშვილი, იქვე, გვ. 47).

რუსეთის მთავრობამ მართლაც განიხილა ქართველთა მიერ დაყენებული საკითხი და გადასაწყვეტად მიანდო რუსეთის მომავალ საეკლესიო კრებას. ამ კრების წინა მოსამზადებელ თათბირზე 1906-1907 წლებში იყო მსჯელობა ამ საკითხზეც. თათბირში მონაწილეობდნენ ეპისკოპოსები - კირიონ საძაგლიშვილი, ლეონიდე ოქროპირიძე, პროფესორები: ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ნიკო მარი. ყველა მათგანმა სხდომებზე წაიკითხა მოხსენება.

დიდმნიშვნელოვანი იყო პროფ. ცაგარლის, პროფ. აღ. ხახანაშვილის ვრცელი მოხსენებები. მათთან ერთად ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას იცავდა ორი რუსი მეცნიერი: პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პროფესორი ივანე სოკოლოვი, მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორი ზაოზერსკი, მაგრამ თათბირის მონაწილეთა უმეტესობამ საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ უსაფუძვლოდ აღიარა. უფრო აქტიურობდნენ მტრები ქართული ეკლესიის თავისთავადობისა: პროფ. გლუბოკოვსკი, ოსტროუმოვი, ეპისკოპოსი სტეფანე, დეკანოზი ვოსტორგოვი, ბუტკევიჩი და სხვები. (ე. ნიკოლაძე, საქართველოს ეკლესიის ისტორია, ქუთაისი, 1918, გვ. 217-219). 20 კაცისაგან შემდგარმა სინოდის კომისიამ უგულვებელყო საკითხი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა. წმ. სინოდმა დაუსჯელოდ არ დატოვა არც ერთი სასულიერო პირი, ვინც კი აღნიშნულ საკითხს აყენებდა. საქართველოდან გააძევა ეპისკოპოსი კირიონი. მას დააბრალეს 1908 წლის 28 მაისს საქართველოს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში მონაწილეობა, რამაც უკიდურესად აღაშფოთა მორწმუნენი.

ილიას მოკვლისა და იმპერიაში რეაქციის გამარჯვების შემდეგ ქართველმა ავტოკეფალისტებმა გადაწყვიტეს თავიანთი იდეის ხალხის გულამდე მიტანა წიგნების გამოცემით. ამ პერიოდში დაიბეჭდა მრავალი შრომა, მიძღვნილი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისადმი. პირველი მსოფლიო ომის ბოლო პერიოდში, იმპერიის პოლიტიკური რყევის დაწყებისას მოძრაობა კვლავ აღორძინდა. სამღვდელოებამ მთელი სიმძაფრით წამოაყენა ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. 1904-1916 წლიდან საქართველოს სხვადასხვა ეპარქიაში მოწვეული კრებები იღებდნენ გადაწყვე-

ტილებებს თვითმწყობის აღდგენაზე. ეკლესიის თავისუფლება მიანდათ საწინდრად საქართველოს მომავალი გათავისუფლებისა, რის იმედსაც I მსოფლიო ომში რუსეთის იმპერიის დამარცხება აღძრავდა. რუსეთის სინოდი იძულებული გახდა, გაეტარებინა ისეთი ღონისძიებანი, რაც ჩაახშობდა ავტოკეფალიის მოძრაობას. ამასთან დაკავშირებით განიხილა სამი ღონისძიება:

1. კავკასიის სამიტროპოლიტოს დაარსება (მას უნდა ჩაეხშო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნა),

2. სოხუმის ეპარქიის პროექტი (მას საქართველოს საეგზარქოსოსგან უნდა მოეწვიტა აფხაზეთის რეგიონი),

3. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის დახურვა (საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია სწორედ ამ კანტორის ბაზაზე უნდა წარმოქმნილიყო, მისი გაუქმებით კი ავტოკეფალიის მოთხოვნას საფუძველი გამოეცლებოდა).

1916 წელს, მართლაც დაარსდა “კავკასიის სამიტროპოლიტო“, რომლის შექმნის საკითხს სინოდი ათი წლის წინათაც იხილავდა. საქართველოს საეგზარქოსოდან გამოიყო სოხუმის ეპარქია და საქართველოს საეგზარქოსოს ეწოდა კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქი.

### საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა

რუსეთის იმპერიაში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართველმა სამღვდლოებამ გადაწყვიტა უსწრაფესად ესარგებლა შექმნილი ვითარებით და გამოეცხადებინა ავტოკეფალიის აღდგენა. 1917 წლის 12 მარტს მცხეთაში შეიკრიბა ათიათასობით მორწმუნე, სწირეს მღვდელმთავრებმა ლეონიდემ, გიორგიმ, ანტონმა და პიროსიმ. აქ იყვნენ საქართველოს ეპარქიათა წარმომადგენლები, საგუბერნიო და სამაზრო მარშლები. სვეტიცხოველში წირვისას “განიცადეზე“ სიტყვით გამოვიდა ეპისკოპოსი ლეონიდე და გამოაცხადა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მართვა-გამგეობის აღდგენა. მიულოცა ისტორიული დღე მთელ ქართველ ხალხს. წირვის დამთავრების შემდეგ “მრავალჯამიერი“ უგალობეს სინოდის მიერ დასჯილ ეპისკოპოსებს კირიონს და დავითს, არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიას, გადასახლებულთ.

ამბონიდან გამოცხადდა, რომ: 1. 1917 წლის 12 მარტიდან გრძელდება ეკლესიის ავტოკეფალია, 2. დროებით კათალიკოსის არჩევამდე ეკლესიის გამგედ ინიშნება გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე, 3. ეკლესიის მმართველობა ევალება აღმასრულებელ კომიტეტს, რომელშიც შედიან სასულიერო და საერო პირები.

ამავე დღეს იქვე შედგა ოქმი, იმავე, ოღონდ უფრო განმარტებითი შინაარსისა, რომელსაც დაემატა ერთი მუხლი, რომ ეს დადგენილება მოხსენებოდა რუსეთის ახალი მთავრობის თავმჯდომარეს, მინისტრთა საბჭოს, სინოდის ობერპროკურორს და თბილისის კავკასიის კომისარიატს. მას მღვდელმთავრებთან და სასულიერო პირებთან ერთად ხელი მოაწერეს თავდაზნაურებმა და ხალხმა (გაზ. “საქართველო“, 1917, №59). გადაწყდა, ქართველ სამღვდლოებს შეეწყვიტა კავშირი ყოფილ ეგზარქოსთან და საეგზარქოსოსთან. საქართველოს ეპარქიებიდან თხოვნები და მოხსენებები გაეგზავნათ ლეონიდესთან და საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობასთან, არა რუსულ, არამედ ქართულ ენაზე შედგენილიყო დოკუმენტები; წირვისას რუსეთის სინოდის ნაცვლად კათალიკოსის მოსაყდრე ეპისკოპოსი ლეონიდე უნდა მოეხსენიებინათ.

მეორე დღეს, 13 მარტს, ეპისკოპოსმა ლეონიდემ ოფიციალურად განუცხადა ეგზარქოს პლატონს, რომ იგი მცხეთის კრების დადგენილებით გადაყენებულია თანამდებობიდან და მოვალეა ეკლესიის ყოველი საქმე და ქონება გადასცეს კათალიკოსის მოსაყდრეს (ე. ნიკოლაძე, დასახ. ნაშრ.).

14 მარტს თბილისში მოწვეულმა კრებამ დაადგინა სიონში რუსულის ნაცვლად ღვთისმსახურების ქართულ ენაზე ჩატარება. ამასობაში რუსეთის დროებითმა მთავრობამ განიხილა 1917 წლის 12 მარტის აქტი და დაადგინა “მიეცეს საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია არა ტერიტორიული, არამედ ეროვნული ნიშნის მიხედვით. მართლმადიდებელი რუსებისა და არაქართველების ეკლესიები დარჩნენ რუსეთის სინოდის გამგეობის ქვეშ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება საბოლოოდ, ეკუთვნის რუსეთის დამფუძნებელ კრებას“ (გაზ. “საქართველო“, 1917, №63).

1917 წლის აპრილში რუსეთის მთავრობამ საეკლესიო საკითხის შესასწავლად საქართველოში გამოაგზავნა პროფ. ბენეშევიჩი რუსთა ინტერესების დასაცავად.

1917 წლის 15 აგვისტოს საქართველოს ეკლესიის მმართველობამ ადადგინა თბილისის სამიტროპოლიტო კათედრა. ეს უდიდესი მოვლენა იყო, რადგან რუსი ეპისკოპოსი თბილისის მიტროპოლიტად აცხადებდა თავის თავს და ცდილობდა რუსი მრევლის დამწყვას. კათედრა თავის ხელში აიღო ეპისკოპოსმა ლეონიდემ.

23 აგვისტოს ქართველმა სამღვდლოებამ დაიკავა ეგზარქოსის სახლი.

ამასობაში დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა დებულება “რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ“. რუსეთი ცნობდა საქართველოს ეკლესიის ტერიტორიულ ავტოკეფალიას, ანიჭებდა მას რუსეთის ეკლესიის თანაბარ იურიდიულ

მდგომარეობას, ხაზინიდან აძლევდა შესანახ თანხებს. ასე რომ საქართველოს საეკლესიო ოურიდიულ მემკვიდრედ გამოცხადდა საქართველოს ეკლესია (იხ. გაზ. “სახალხო ფურცელი“. 1917, №851).

ყოფილმა ეგზარქოსმა იჩივლა იმუამად მიმდინარე სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებაზე და განაცხადა, რომ საქართველო ჩამოშორდა მართლმადიდებლობას ავტოკეფალიის აღდგენით.

მაშასადამე, მხოლოდ დროებითი მთავრობის დადგენილება არ კმაროდა ეკლესიის მდგომარეობის განსამტკიცებლად. ამიტომ 1917 წლის 3-12 აგვისტოს ქართველი სამღვდლოების სხდომებზე გადაწყდა მოწვეულიყო საქართველოს ადგილობრივი დამფუძნებელი საეკლესიო კრება, რომელზეც მთელი საქართველოდან უნდა შეკრებილიყო დელეგატები.

1917 წლის 8 სექტემბერს სიონის ტაძარში საქართველოს I საეკლესიო კრებაზე შეიკრიბა 600 დელეგატი, აქ იყვნენ: თბილისის მიტროპოლიტი ლეონიდე ოქროპირიძე, ეპისკოპოსები - პიროსი ოქროპირიძე, ანტონ გიორგაძე, გიორგი ალადაშვილი, არქიმანდრიტები, ბერ-მონაზვნები, საერონი. ეპისკოპოსი კირიონი კრების პირველ სხდომებს არ დასწრებია. კრებას თავმჯდომარეობდა ლეონიდე, პრეზიდიუმის წევრები იყვნენ გიორგი ჟურული, ტრიფონ ჯაფარიძე და სპირიდონ კელია. კრებამ განიხილა ეკლესიის სხვადასხვა საშინაო საკითხი, მათ შორის უმთავრესი იყო ეპარქიებისა და საკათალიკოსო საბჭოს შექმნის საკითხი. 17 სექტემბერს დაინიშნა კათალიკოს-პატრიარქის არჩევნები. კენჭი უყარეს ორ კანდიდატს - ეპისკოპოს კირიონსა და მიტროპოლიტ ლეონიდეს. არჩევნებში მონაწილეობდა 440 კაცი. ფარული კენჭისყრით ლეონიდემ მიიღო 230 ხმა, კირიონმა 241. 11 ხმის უპირატესობით კათალიკოსად გამოცხადდა კირიონი. მას უგალობეს “აქსიოს“. იმავე დღეს, საღამოს, ამოიწიეს ეპისკოპოსები: ქუთათელ მიტროპოლიტად ანტონ გიორგაძე, ჭყონდიდელ მიტროპოლიტად ამბროსი ხელაია, ურბნელ ეპისკოპოსად დავით კაჭახიძე, ალავერდის ეპისკოპოსად პიროსი ოქროპირიძე (გაზ. “საქართველო“, 1917, №205).

კათალიკოს-პატრიარქმა კირიონმა “გუჯარით“ მიმართა “დიდებულსა და ღვთივდაცულ ივერიას“, რომელშიც კერძოდ ნათქვამი იყო: “განმტკიცება ახლად აღდგენილ ეკლესიისა მის ისტორიულ უფლებებში - აი, პირველი საზრუნავი... დღესაც ვაღადავებ ჩვენს ეკლესიას ემსახუროს იმავე იდეას და მედგრად გაახსენოს კაცობრიობას სახელი ქართველი ერისა. მან ხელი უნდა შეუწყოს ჩვენს განმტკიცება-გაერთიანებას, რათა კაცობრიობის ფერხულში ჩვენც ვპოვოთ შესაფერი და დამსახურებული ადგილი. აი, მეორე საზრუნავი ჩვენი!“ (“ჯვარი ვახისა“, 1987, №1, გვ. 10).

კირიონმა ეპისტოლეებით მიმართა “ადმოსავლეთის პატრიარქებს“, რომის პაპს, სომეხთა კათალიკოს-პატრიარქს, ამცნო მათ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა.

კათალიკოს-პატრიარქის ტახტზე ასვლა კირიონს პირველმა მიუღოცა თბილელმა მიტროპოლიტმა ლეონიდემ: “მე მიორკეცდება ძალ-ღონე, რომ მარტო არა ვარ და მეგულებით ჩვენი ეკლესიის უმაღლეს ხელმძღვანელად. ფიცს ვდებ მთელი ჩემი არსებით დაგეხმაროთ ტვირთის ზიდვაში, ჩვენი ეკლესიის საქმის გაძღოლაში“. (გაზ. “ჩვენი ქვეყანა“, 1917, №130).

მიტროპოლიტი ლეონიდე იყო ერთ-ერთი უდიდესი შემოქმედი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისა კირიონთან ერთად, რომლის ღვაწლი დიდად დააფასა საეკლესიო კრებამ.

კირიონის მოღვაწეობის სურათი კარგადაა გადმოცემული მისსავე სიტყვაში, რომელიც წარმოთქვა 1917 წლის 21 ოქტომბერს თედო ჟორდანიას საფლავზე:

“ექვსი წელი ვსწავლობდით სემინარიაში ერთად და შემდეგ აკადემიის დამთავრების სხვადასხვა ასპარეზზე მოგვიხდა სამსახური, შენ საყვარელ სამშობლოში, მე კი უცხოეთში, აქედან იწყება ჩვენი მოღვაწეობა სამშობლო ეკლესიის აღსადგენად. ისეთი ძნელი დრო იყო მაშინ, რომ ავტოკეფალიაზე მხოლოდ ჩურჩულით ლაპარაკი შეგვეძლო. გამოჩნდა რუსეთში ღვთისწიერი და პატიოსანი ადამიანი ნ. ნ. დურნოვი, რომელიც ქადაგებდა უშიშრად ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიაზე. ჩვენც ამოვუდექით მას მხარში და შევუდექით საქმეს. არავის ეგონა, რომ დურნოვი რუსი იყო. ფიქრობდნენ, რომ ჩემი გვარი (საძავლიშვილი) რუსულად გადავთარგმნე და მე მაწერდნენ ამის ცხელ-ცხელ სტატიებს. 32-33 წელიწადი ვიდგავით ერთად და აი, ველირსენით იმას, რასაც მოუთმენლად მოვლოდნენ ჩვენი წინაპარნი... ჩამოვტახებ საფლავში: გიხაროდეს, ერთგულო მუშაკო... ჩვენი დიდი ხნის ნატვრა ასრულდა, აღსდგა კვლავ საქართველო, აუწყე ჩვენს წინაპართ, რომ ვსუნთქავთ თავისუფალ ეკლესიაში...“ (ეპისკოპოს კირიონის ფონდი 11245).

კირიონი თავდადებით შეუდგა ეკლესიის აღორძინების საქმეს. 1918 წლის 26 იანვარს, წმიდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, აკურთხა თბილისის ახლად დაარსებული უნივერსიტეტი, 1918 წლის 27 მაისს თავისუფლების მოედანზე პარაკლისის შემდეგ სიტყვით მიმართა საზოგადოებას, 1918 წლის 27 ივნისს მარტყოფის მონასტერში, რეზიდენციაში, კათალიკოს-პატრიარქი კირიონი ტყვიით განგმირული იხილეს. მაშინ იგი ყოფილა 68 წლისა, დამბლისაგან ხელი ჰქონდა გაკავებული. კირიონ II დაკრძალეს 7 ივლისს სიონის ტაძარში.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა სოციალისტურ მიმართულებას ადგა და ამიტომ ეკლესიის მიმართ გულგრილად იყო განწყობილი. “მენშევიკებად“ სახელდებულმა ათეისტური მრწამსის მქონე ხელისუფლებამ, რომელსაც მსოფლიო დემოკრატიის ბურჟუად წარმოედგინა

თავისი თავი, ვერ შეძლო აღექვა ქართული ეკლესიის ისტორიული დამსახურება და მომავალი მნიშვნელობა ქართველი ერის წინაშე. ამიტომ ქართულ ეკლესიას გულგრილად ეკიდებოდა. საერთოდ, აღსანიშნავია, რომ ისინი (მენშევიკები) ათეული წლების მანძილზე პოლიტიკურ ცხოვრებაში პირველ ადგილზე აყენებდნენ არა ქართველი ერის თავისუფლებასა და სახელმწიფოებრიობას, არამედ ჩაგრული სოციალური ფენის - მუშათა კლასის ინტერესებს. მხოლოდ ხელსაყრელმა ისტორიულმა ვითარებამ - I მსოფლიო ომში რუსეთის იმპერიის დამარცხებამ, რუსული არმიის გასვლამ ამიერკავკასიის ფრონტებიდან და ოსმალეთში იშკამად, 1918 წ. გაზაფხულზე გამარჯვებულ უცხო სახელმწიფოთა კატეგორიულმა მოთხოვნებმა ფაქტიურად აიძულა ქართველი სოციალისტები, გამოეცხადებინათ რუსეთისგან საქართველოს დამოუკიდებლობა. ცხადია, მათთვის ეროვნული პრობლემები მეორე ხარისხისა იყო (ს. კაკაბაძე, "ქართველი ხალხის ისტორია", 1997, გვ. 249). ყოველივე ეს იწვევდა კათალიკოს-პატრიარქ ლეონიდეს (1918-1921) აღშფოთებას. მენშევიკებმა პოლიტიკური უსუსურობის გამო ვერ გაითვალისწინეს ის საფრთხე, რომელიც მოელოდა თავისუფალ საქართველოს "სოციალისტური" რუსეთისაგან, ყური არ დაუგდეს კათალიკოს-პატრიარქ კირიონის წინასწარმეტყველებას "მღუღარე რუსეთიდან" მოსალოდნელი საფრთხის შესახებ.

1920 წლის 27 ივნისს თბილისში შედგა მეორე საეკლესიო კრება, გაარჩიეს ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის, სასულიერო სასწავლებლების სამინისტროსადმი გადაცემის, ეკლესიის ბიუჯეტის, სამღვდელთა საყოფაცხოვრებო და მცხეთა-თბილისის ეპარქიების გაერთიანების საკითხი. კრებამ კათალიკოს-პატრიარქად დაამტკიცა მიტროპოლიტი ლეონიდე (ოქროპირიძე).

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს და ქართული ეკლესია

1918 წლის 28 მაისს შედგა საკათალიკოსო საბჭოს კრება, რომელიც გაიმართა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის აღსანიშნავად (ორი დღით ადრე 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა დამოუკიდებლობა). კრებამ დაადგინა შესაბამისი საზეიმო ღონისძიებებით აღენიშნა ეს დიდმნიშვნელოვანი ფაქტი, რომლისთვისაც ეკლესია 117 წელი იღვწოდა 1801 წლიდან, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის პირველი დღიდანვე. საეკლესიო იერარქიამ გაითვალისწინა, რომ საუკუნოვანი მონობის უღლის ქვეშ მყოფი ხალხის მნიშვნელოვან ნაწილს დაკარგული ჰქონდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება, მის აღსადგენად საჭიროდ იქნა მიხნეული ეკლესიის სახელით გამოცემულიყო "დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს მიმართ მორწმუნე მოქალაქეთა ფიცის ფურცელი". იგი ასეთია: "შე, ამის ქვემოთ მოხსენებული აღვთქვამ და ვფიცავ წინაშე ღვთისა და მისისა წმიდისა სახარებისა, რომ მსურს და ვაღიფლები ვარ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ერთგულად და გულწრფელად ვემსახურო, მორჩილ ვიქმნე და არა დავიშურო სიცოცხლე ჩემი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე მისის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის, დავიცვა ამ რესპუბლიკის ყოველი უფლება და უპირატესობა, აწ უკვე დაკანონებული და ამის შემდეგ კანონად დადგენილი, ჩემის შეძლებისა და ქონებისამებრ ხელი წარვუმართო ყოველსავე, რაც კი რესპუბლიკას სარგებლობას მოუტანს, ხოლო ყოველივე ზიანი და ვნება, რომელიც ჩემდა უწყების იქნება, არათუ დროზე განვაცხადო, არამედ ყოველის ღონისძიებითა ჩემითა ავარიდო, ყოველი ჩემდა რწმუნებულითა და არცა რაიმე სარგებლობის სიხარბითა არა ვიმოქმედო რა რესპუბლიკის წინააღმდეგ, მასსოვს რა, რომ ამა ფიცისა დარღვევისათვის პასუხი უნდა ვაგო წინაშე კანონისა და ღვთისა მის საშინელსა სამსჯავროსა შინა, დასარწმუნებლად ამა ჩემის ფიცისა ვემთხვევი სიტყვასა და ჯვარს მაცხოვრისა ჩემისასა, ამინ".

საქართველოს ხელმეორე ოკუპაცია რუსეთის მიერ 1921 წლის 25 თებერვალს და ქართული ეკლესია

1921 წლის 21 თებერვალს შედგა საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხეს. ქვეყანაში თებერვლის დასაწყისში შემოიჭრა რუსეთის XI არმია, რომელიც თბილისისაკენ მოიწვედა. სხდომამ მიიღო მიმართვა: ა) ეკლესიებში გადახდილ იქნეს პარაკლისები მტრისაგან საქართველოს განსათავისუფლებლად; ბ) ეკლესიებში წინამძღვრებმა განუმარტონ ხალხს დღევანდელი ომის მნიშვნელობა; გ) სამრევლო საბჭოებმა გაიღონ ქონებრივი ხარჯი ომის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად; დ) სამრევლო-საბჭოებმა მიიღონ ზომები ტაძრების გაძლიერებისა და სიწმიდეთა დასაცავად; ე) შეკრებილ იქნეს ნებაყოფლობით შეწირულობა აღნიშნული საჭიროებისათვის; ე) კრებული დაეხმაროს ჯარში გაწვეულთა ოჯახებს.

22-23 თებერვალს მთავრობამ მიიღო დადგენილება თბილისის დატოვების შესახებ. საკათალიკოსო საბჭომ კი დადგენილება საეკლესიო განმეულობის (თბილისის, სვეტიცხოვლის ეკლესია-მონასტრის ხატები და სხვა სიწმიდეები) ქუთაისში ევაკუაციის შესახებ. განძის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა ეპისკოპოს დავით კაჭახიძეს და არქიმანდრიტ პავლე ჯაფარი-

ქმს. 24 თებერვალს თბილისი დატოვა უწმიდესმა ლეონიდემ და ქუთაისში წავიდა. მთავრობამ მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მუხეუმებში თავმოყრილი საეკლესიო განძეული გაეტანა უცხოეთში (საქართველოში დარჩენილი სიწმიდეები ბოლშევიკებმა ოქრო-ვერცხლის ზოდებად ჩამოასხეს, ხოლო მათთვის უსარგებლო სიწმიდეები გაანადგურეს).

მთავრობა ემიგრაციაში გაემგზავრა 1921 წლის 11 მარტს, 13 მარტს კათალიკოს-პატრიარქი თბილისში დაბრუნდა. იმავე წლის 11 ივნისს იგი გარდაიცვალა, ფიქრობენ, რომ იგი მოწამლეს, მეორე აზრით, იგი რუსის ჯარის მიერ შემოტანილმა შავი ჭირის ეპიდემიამ იმსხვერპლა.

პატრიარქი 17 ივნისს დაკრძალეს სიონში.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ სახელმწიფომ გაატარა საგანგებო მეთოდური ღონისძიებანი, რათა საერთოდ მოეხპო ეკლესია, მაგრამ ვერ გაითვალისწინა ერთი რამ, რომ საღ კლდეზე ქრისტეს მიერ დაფუძნებულ ეკლესიას “ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევინა”. ბოლშევიკებმა, ცხადია, ეკლესია საბოლოოდ გამოყვეს სახელმწიფოსაგან, ე.ი. სამღვდელეობა უღუქმაპუროდ დატოვეს.

1921 წლის 1-5 სექტემბერს, ლეონიდეს გარდაცვალების შემდეგ, გელათში შემდგარმა მესამე საეკლესიო კრებამ კათალიკოს-პატრიარქად აირჩია ამბროსი ხელაია. ბოლშევიკებმა მალევე დახურეს გელათის ეკლესია. იგი შემთხვევით გადაურჩა მათგან დანგრევას.

“კომუნისტებად” სახელდებული ბოლშევიკები ეწეოდნენ ხალხის უმაგალითო ექსპლუატაციას, მოსახლეობა საბოლოოდ დაუმორჩილეს სსრკ-ად სახელდებულ რუსეთის სახელმწიფოს. ადამიანთა ინტერესებზე მალა აყენებდნენ სახელმწიფოს, რომლის გაძლიერება კვლავ ადამიანთა დასამორჩილებლად ესაჭიროებოდათ. ბოლშევიკების საბოლოო მიზანი იყო მათ მიერ ფაქტიურად აღდგენილ რუსეთის იმპერიაში ჩამოყალიბებულიყო ერთი რუსული ენის მქონე ხალხი, ერთი ბოლშევიკურ-კომუნისტური ფსიქიკის მატარებელი.

ქართველი ერის ასეთი მიმე გასაჭირის ჟამს, ცხადია, ეკლესია, რომელიც წმიდა ილია მართლის თქმით “ყოველთვის თავდადებით პატრონობდა ჩვენს ერს” (ტ. I, გვ. 213), განზე ვერ დადგებოდა, პოლიტიკაში ჩარევისაგან თავს ვერ შეიკავებდა. ამიტომაც საკათალიკოსო საბჭოს დასტურით პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ მემორანდუმით მიმართა მთელი მსოფლიოს მთავრობებს, კერძოდ კი “გენუის კონფერენციას”.

#### ქართული ეკლესია ათეისტების ბატონობის დროს

დაპატიმრება, გადასახლება, ტანჯვა-წამება, საჯარო აბუჩად აგდება და გაუსამართლებლად დახოცვა ღვთისმორწმუნე ადამიანებისა, განსაკუთრებით ღვთისმსახურებისა. ასეთი სახე ჰქონდა კომუნისტ-ბოლშევიკების მიერ XX ს-ის 20-30-იან წლებში ქრისტიანებისა და ეკლესიის დევნა-შევიწროებას. ეკლესიის ეზოში შეყრილ მორწმუნეებს, მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს უგინებდნენ სიწმიდეებს, რომელთაც ისინი მთელი ცხოვრების მანძილზე სასოობდნენ, ამტვრევდნენ წმიდა ხატებსა და ჯვრებს, ბილწავდნენ წმიდათაწმიდა საკურთხეველებს. წვერებით ათრევდნენ მოხუც მღვდლებს, გუმბათებიდან და სამრეკლოებიდან ყრიდნენ ჯვრებსა და ზარებს, ძარცვავდნენ და აჩანაგებდნენ საუკუნეთა მანძილზე ნაგროვებ სასულიერო განძს. ხორციელდებოდა სასტიკი და გაუგონარი ქმედებანი, დიოდა უდანაშაულო ადამიანთა სისხლი, საგანგებოდ და მიზანმიმართულად ფეხქვეშ ითელებოდა სარწმუნოებრივი გრძნობა ღვთის მოსიყვარულე ადამიანებისა, მაგრამ ვინაიდან ქრისტიანობა საქართველოში იყო არა მხოლოდ რელიგიური მიმართულება, არამედ ეროვნული სარწმუნოება, ბოლშევიკ-კომუნისტები მასთან ერთად ქართველი ხალხის ეროვნულ გრძნობებსაც ბილწავდნენ. მაგალითად, ჭეშმარიტად ხალხის მოძულე კომუნისტებმა იკადრეს და გახსნეს არგვეთის წმიდა მთავრების, საქართველოსთვის თავდადებული წმიდა დავითისა და წმიდა კონსტანტინეს უხრწნელი ნეშტები, რომელთა სასწაულებრივ ძალას ხალხი თავყვანს სცემდა არაბთა შემდგომ VIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე, დაშალეს წმიდა ნეშტები, ცალკეულ ძვლებს თოკებით ათრევდნენ ხალხის წინ, იმ ხალხისა, რომელიც ამ დროს ტიროდა და გოდებდა. ეს აქტი მიუთითებს, რომ საქართველოს არც ერთი მტერი არაბების შემდგომ არ იყო ქართველი ხალხისათვის უფრო საშიში და ვერავი, როგორებიც იყვნენ ბოლშევიკები. ვერც თურქ-სელჯუკებმა, მანამდე ვერც მონღოლებმა, ვერც ოსმალ-სპარსელებმა ვერ შეძლეს ქართველი ხალხისათვის შეეგინებინათ წმიდა დავითის, წმიდა კონსტანტინეს, წმიდა შიოს და სხვა წმიდანების ნაწილები. ბოლშევიკები ანგრევდნენ ეკლესიებს, ღვთისმსახურებს აწამებდნენ, როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად. ხალხის წინ აიძულებდნენ, უარეყოთ წმიდა სარწმუნოება. მოძღვართა ბედს მორწმუნეებიც იზიარებდნენ იმით, რომ კომკავშირლები აბუჩად იგდებდნენ მათ გრძნობებს ე.წ. “კომკავშირული შობით”, “კომკავშირული აღდგომით”, “სამოქალაქო ქორწინებითა და ნათლობით”.

საქართველოს ეკლესიებში იმ დროს XX ს-ის 20-იანი წლების დამდეგს დიდძალი ქონება, საეკლესიო განძი იყო დაცული. მაგალითად XIX ს-ის ბოლოს გაბრიელ ეპისოპოსის ერთი უცხოელი სტუმარი გააოცა იმერეთის ეკლესიებში დაცულმა მასიური ოქროსაგან დამზადებულმა საეკლესიო ნივთებმა. ასეთივე ნივთები იყო საქართველოს სხვა რაიონებშიც. ეს განძი ახლა უკვე კომუნისტ-ბოლშევიკების გულს ახარებდა. ეკლესია-მონასტრები დანგრევა-დახურვის წინ



საგულდაგულოდ იძარცვებოდა. განძის მცირეოდენი ნაწილი მუზეუმებს გადაეცა, ხოლო უდიდესი “არაისტორიული მნიშვნელობის“ განძი - ადგილობრივ ხელისუფლებას “კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის“. სინამდვილეში, ცხადია, ეკლესიის მიერ საუკუნეთა მანძილზე ნაგროვები ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი ქვები დაიტაცეს.

XX ს-ის 20-იან წლებში დახურეს ათასზე მეტი ეკლესია, გააუქმეს ღვთისმსახურება. ზოგიერთი ცნობით ამ დრომდე საქართველოში ყოფილა 1350 ეკლესია, 1700 მღვდელი, 1527 ბერი, 280 მონაზონი; ერთ-ორ წელიწადში, 1924 წლამდე, მათი რაოდენობა ათეულობით შემცირდა.

სწორედ ამ ნგრევა-განადგურების დროს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა წმიდა ამბროსი ხელაიამ, ჭეშმარიტად თავი და სული დაღო ქართველი ერისათვის, გენუის კონფერენციას გაუგზავნა მიმართვა, რომლითაც მსოფლიოს ამცნო ქართველი ერის უბედურების ამბავი.

1922 წლის აპრილ-მაისში გენუაში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა 29 სახელმწიფო. რუსეთს სურდა გასვლა საერთაშორისო იზოლაციიდან. ამიტომ ცდილობდა, როგორმე კარგი სახით წარმდგარიყო ფორუმზე. ამ დროს მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიოს სახელმწიფოთა მხრიდან კეთილგანწყობას, ცდილობდა, მიეჩქმადა ის უბედურებანი, რაც მისმა მტაცებლობამ მოუტანა პატარა ერებს 1917-1921 წლებში. წმიდა ამბროსიმ გენუის კონფერენციის ყურადღება მიაპყრო არა ეკლესიის, არამედ ქართველი ერის უმძიმეს ხვედრს, რომელშიც იგი ჩაგარდა 1921 წლის შემდეგ - “...ჩემი სამშობლო 117 წელი რუსეთის ბიუროკრატიისაგან განიცდიდა მხოლოდ მწვავე დესპოტიზმს და აუტანელ შევიწროებას, ამიტომ 1917 წ. დაირღვა თუ არა რუსეთის იმპერიის ხელოვნური მთლიანობა, ქართველმა ერმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა... რასაკვირველია, ამას ვერ შეურიგდებოდა მისი ყოფილი ბატონი, მცირე ერთა მწაგვრელი რუსეთი. მან დასძრა საქართველოს საზღვრებისაკენ საოკუპაციო არმია და 1921 წლის 25 თებერვალს პატარა უსწორო ბრძოლაში სისხლისაგან დაცლილ საქართველოს ხელმეორედ დაადგა კისერზე ისეთი მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი, რომლის მსგავსი მას არ განუცდია მრავალ საუკუნეთა ისტორიაში.

ოკუპანტები, მართალია, ღამობენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად გრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწვი მე, მისმა სულიერმა მამამ და დღესდღეობით ერთმა ნამდვილმა მოძღვარმა, რომლის ხელშია ამ ერის გულიდან გამომავალი იღუმადი ძაფები და რომელსაც უშუალოდ ესმის მისი კვნესა და ვაება. თამამად და გაუზვიადებლად ვამბობ, რომ ის ყოველად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელთაც ამ უკანასკნელ წლებში ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენებისა და სულიერად გაველურების და გახრწნის კარამდე.

ერს ართმევენ მამა-პაპათა სისხლით და ძვლებით გაპოხიერებულ მიწა-წყალს, რომელსაც უცხოეთიდან შემოხიზნულთ ურიგებენ, მათი წყალობით, ისედაც გადატაკებულ ერს პირიდან ჰკლუჯენ მისის სისხლითა და ოფლით მორწყულ სარჩოს და გაუგებარის სინქარით იმავე უცხოეთში მიეზიდებიან. ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, მას უბილწავენ მამაპაპურ ეროვნულ კულტურას, დასასრულ მას უბღალავენ წმიდათა-წმიდას - სარწმუნოებრივ გრძნობას და სინდისის თავისუფლების დროშის ქვეშ არ აძლევენ საშუალებას თავისუფლად დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნები.

მისი სამღვდელოება უკიდურესად დევნილია. მისი ეკლესია, ეს ძველისძველათვე ფაქტორი საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოებრივი ამაღლებისა და ძლიერებისა, დღეს უფლებაყრილია იმდენად, რომ ნებაც კი არა აქვს თავისი შრომით, გარჯილობით და უნარით მოიპოვოს მუდმივი სახსარი არსებობისა.

ერთი სიტყვით, ერი კვნესის, ერი გმინავს, მაგრამ საშუალება კი არა აქვს ხმის ამოდებისა. ამ პირობებში ჩემს მწვემსმთავრულ მოვალეობად ვრაცხ, კულტურული კაცობრიობის გასაგონად ვსთქვა:

1. დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს საქართველოდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან.

2. საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლად და უკარნახოდ მოაწყოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებებს და ეროვნულ კულტურას შეესაბამება.

სრული იმედი მაქვს, რომ მაღალ პატივცემული კონფერენცია არ უგულვებელყოფს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნებს, დღეს ჩემი პირით წარმოთქმულს და დაინსნის მას ძალმომრეობისა და სამარცხვინო მონობის კლანჭებიდან...”

რუსეთის მთავრობა დიდად გაანაწყენა კონფერენციისადმი საქართველოს პატრიარქის მიმართვამ. ამიტომაც წმ. ამბროსი ხელაია და მისი ახლო თანამშრომლები, ქუთაისის მიტროპოლიტი წმიდა ნაზარი ლეჟავა, არქიმანდრიტი პავლე ჯაფარიძე, ქაშუეთის ეკლესიის დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, დიაკონი დიმიტრი (ლაზარიშვილი) და სხვები, საკათალიკოსო საბჭოს წევრი ი. კიკნაძე, მოქალაქენი - ნ. არჯევანიძე და ნ. თავდგირიძე დააპატიმრეს. შემდგომ მოუწყვეს გასამართლება. გამოძიების პროცესში ცდილობდნენ, წმიდა პატრიარქის სულიერ გატეხას.

ცდილობდნენ, პატრიარქს უარყო მის მიერ გენუის კონფერენციისადმი წაყენებული მოთხოვნები, მიანიშნებდნენ, ისე წარმოედგინა საქმე, თითქოსდა იგი მსხვერპლი იყო რაღაც შეთქმულებისა და სხვა პირებმა აიძულეს, ხელი მოეწერა მიმართვაზე. წმ. ამბროსიმ მტკიცედ და ერთმნიშვნელოვნად აღიარა, რომ მიმართვის ყოველი სიტყვა მის მიერ იყო დაწერილი და მხოლოდ იგი იყო პასუხისმგებელი, რომ არავითარ გავლენას და ძალდატანებას მიმართვის შედეგის დროს იგი არ განიცდიდა.

ყოველივე ეს წმ. ამბროსიმ დაადასტურა სასამართლოზეც თავისი ვრცელი საბოლოო სიტყვით. ამ სასამართლოზე ფაქტიურად ბრალმდებლად გამოვიდა არსებული საოკუპაციო წყობილებისა. სიტყვის უმთავრესი ნაწილი დაუთმო ქართველი ერის დაცვას, კერძოდ განაცხადა, რომ თითოეულ ერს თავისი საქმეების მოწყობის უფლება უნდა ჰქონდეს. “მართვა-გამგეობა დამყარებული უნდა იყოს ხალხის ნება-სურვილზე და თვითგამორკვევაზე“, რომ საქართველოს თავისუფლების მოწინააღმდეგენი ქართველი კომუნისტები თუ არ არიან, მათ უნდა მიეცეთ საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული მართვის საშუალება (ე.ი. საქართველო არ იმართებოდეს მოსკოვიდან), საქართველოს ჯარი უნდა იყოს “უსათუოდ ეროვნული“. წმ. ამბროსიმ სასამართლოს მოაგონა, რომ საუკეთესო მღვდელმთავრები ერეოდნენ საქვეყნო პოლიტიკის საქმეში. “მაშინ, როდესაც ეხელავთ უსამართლობას, გარეშე ძალების მოძალეობას, ხალხის შევიწროებას, ერისათვის სახიანო შეცდომებს, საზოგადოდ უნდა ვიტვიერთოთ ხალხის სამსახურში, მისი ინტერესების დაცვა და მისი მწუხარების საგანი ვამცნოთ ქვეყნას. ყველა ამას ქრისტიანული მოძღვრება არ გვიკრძალებს. ქრისტეს ებრაელებოდა ერი, მას ემსახურებოდა და მასზე ზრუნავდა, ამბობდა ხშირად “მეწყალის ერი ესე“ (მარკ. 8, 2) “ნუ დაიდუმებთ ერისთვისაო“, - გვეუბნება ჩვენი მოძღვრება და ამის აღსრულებას პირადად მისდევდა სამღვდელოება, გადაათვალიერეთ ისტორია და თქვენ იქ დაინახავთ ამის აუარებელ მაგალითს, მოიგონეთ ბასილი დიდი, გრიგოლ დვთისმეტყველი, იოანე ოქროპირი და მათი გამოსარჩლება ხალხის კეთილდღეობისათვის... მოიგონეთ ამბროსი მელიოლანელი, რომელმაც მრისხანე იმპერატორი თეოდოსი არ შეუშვა ეკლესიაში... განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსების დასავლეთ საქართველოში დამკვიდრების ხანა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. ამ დროს ეკლესიის და ერის თავისუფლების დამცველად გამოდიან ქუთათელი და გელათელი და ხალხის აჯანყებას სათავეში უდგებიან. ორივე გააგზავნეს რუსეთისაკენ, მაგრამ მხოლოდ გელათელმა ექვთიმემ ჩააღწია ნოვგოროდში, სადაც ის უნდა დაეხმარებინათ. იმპერატორმა აღექსანდრე პირველმა მოისურვა მისი ნახვა, პეტერბურგში იმპერატორმა დიდი ზეიმით და პატივით მიიღო, მაგრამ არ მოერიდა ემხილებინა საქართველოს ეკლესიისა და ერის თავისუფლების წარმმართველის და სამშობლოს დამცველების წამებისათვის. მას უწოდა ახალი ნერონი. ეს იყო მიზეზი, რომ ის გააგზავნეს აღექსანდრე სვირის მონასტერში ოლნეცკის გუბერნიაში, სადაც განისვენა და დასაფლავებულია“.

წმ. ამბროსიმ ბრძანა, რომ ეკლესიას, უფლება აქვს განაცხადოს ეროვნული თავისუფლების შესახებაც, რადგანაც “ღვთის მსგავსება აღბეჭდილია მის სულიერ თვისებებში, რომელთა შორის უმთავრესი თვისებაა თავისუფლება. პავლე მოციქული გვეუბნება, რომ ჩვენ წოდებული ვართ თავისუფლებისათვის, ქრისტემ მოგვანიჭა ეს თავისუფლება და მტკიცედ უნდა შევიინახოთ იგი“.

წმ. ამბროსის სიტყვის დიდი ნაწილი მიეძღვნა ქართული ენის დაცვას, რადგანაც იმ დროს უსასტიკესად იდევნებოდა ქართული ენა და ყოფა-ცხოვრებაში მტკიცედ ინერგებოდა რუსული ენა. ისაუბრა იმის შესახებაც, რომ საქართველო დაეყვეს ავტონომიებად. განაცხადა: “რა საჭირო იყო ოსეთის და აჭარის რესპუბლიკების დაარსება?“ უფრო ადრე გენუის კონფერენციას მიწერა, რომ საქართველოს ჩამოართვეს ქართველი ხალხის სისხლით და ოფლით მორწყული პროვინციები. გულისხმობდა საინგილოს, ლორე-ახტალასა და სხვა კუთხეებს.

რუსეთის მთავრობა და ადგილობრივი ხელისუფლება საჯაროდ ამტკიცებდა, თითქოსდა საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. საპირისპიროდ წმიდა ამბროსიმ სასამართლოზე განაცხადა, რომ საქართველოს სინამდვილეში აქვს მხოლოდ კულტურული ავტონომია, ისიც უადრესად შეზღუდული. პოლიტიკურად კი ოკუპირებული ქვეყანაა. რამდენჯერმე თავის სიტყვაში მოითხოვა რუსეთის ჯარის გაყვანა საქართველოდან. ბრძანა, რომ “საქართველოში არ არსებობს ეროვნული თავისუფლება“ და არსებობს “საშიშროება ქართველი ერის ეროვნულად განადგურებისა“.

წმიდა ამბროსი თავის სიტყვაში, ცხადია, შეეხო ქართული ეკლესიის საკითხსაც. განაცხადა, რომ წითელი რუსეთის იმპერიის არც ერთ კუთხეში ეკლესია ისე სასტიკად არ იდევნებოდა, როგორც საქართველოში. - “რუსეთის ეკლესია გაცილებით უფრო კარგ პირობებშია, ვიდრე საქართველოში“, “არც სომხების რესპუბლიკაში დაკეტილა არამც თუ იმდენი ეკლესიები, რამდენიც საქართველოში, არამედ მისი მესამედიც“, ახერბაიჯანში დევნა არ ყოფილა, ამიტომ მუსულმანთა მიმართ თქვა: “ბედნიერი მუსულმანი მორწმუნეები, მათში არ ყოფილა დევნა სარწმუნოებისა“.

წმ. ამბროსიმ ბრძანა, რომ რუსეთის ცენტრალურ მთავრობას სურს ეკლესიის თავის მმართველობაში მოქცევა, ამიტომაც ასუსტებს არსებულ ოფიციალურ ეკლესიას და მის ნაცვლად მხარს უჭერს ოპოზიციურად განწყობილ ე.წ. “ცხოველ ეკლესიას“. მოსკოვს სურს, სა-

ქართველოში შექმნას “ცხოველი ეკლესია“, რომელსაც შემდეგ უშუალოდ დაუმორჩილებს რუსეთის “ცხოველ ეკლესიას“, ე.ი. ცდილობს, მოსპოს ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. არ დევნის და არ აპატიმრებს საქართველოს “ცხოველი ეკლესიის“ წევრებს. ეს უკანასკნელი თითქოსდა აპირებდნენ ცოცხალი, სახალხო, ხალხთან ახლოს მდგომი ეკლესიის შექმნას და ოპოზიციაში ედგნენ საკათალიკოსო საბჭოსა და საქართველოს ეკლესიას.

“მე შევასრულე ჩემი მოვალეობა... ჩემთვის ტკბილი იქნება ის სასჯელი, რომელსაც მომიხჯის უზენაესი სასამართლო მშობლიურ ეკლესიის და ერის თავისუფლების დაცვის მიზნით ხმის ამოღებისათვის“, - ასე დაასრულა წმ. ამბროსიმ თავისი სიტყვა (ქურნალი “მნათობი“, 1988, №10).

წმ. ამბროსის სასამართლოზე სისხლის სამართლის კოდექსის მე-60 მუხლი შეუფარდეს, რომელიც უმაღლეს სასჯელს - დახვრეტას ითვალისწინებდა, მაგრამ დახვრეტა მოხუცებულობის გამო 7 წლის პატიმრობით შეუცვალეს. გადმოცემით, მან ასე მიმართა მართლმსაჯულებას: “სული ჩემი ეკუთვნის ღმერთს, გული - საქართველოს, გვამს კი რაც გნებავთ, ის უყავით“.

მძიმედ დაავადებულ პატრიარქს ბოლოს სასჯელის ვადა შეუმცირეს. იგი გარდაიცვალა 1927 წ. 28 მარტს, 66 წლისა. დაკრძალულია სიონის ტაძარში. ქართულმა ეკლესიამ 1995 წ. წმიდანად შერაცხა იგი და ამბროსი აღმსარებელი უწოდა.

როგორც თავის სიტყვაში თქვა, წმ. ამბროსიმ “37 წლის სამსახური მოანდომა გარუსების პოლიტიკასთან ბრძოლას“, რისთვისაც ორჯერ გადაასახლეს რუსეთში (1905-07 წწ.). ჩამორთმეული პქონდა ღვთისმსახურების უფლება, არ ჰქონდა ნება სამშობლოში დაბრუნებისა, ვიდრე 1917 წლამდე. ეკლესიის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია ის, რომ იგი ბერად აღკვეცისა და ყაზანის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ დაინიშნა ჭელიშის მონასტრის არქიმანდრიტად, სადაც აღმოაჩინა “მოქცევაი ქართლისაი“.

დევნილ საქართველოს ეკლესიას არათუ მხარს უჭერდა მსოფლიო ეკლესიის ცენტრები, არამედ არც კი მიიწვიეს მისი წარმომადგენლები 1926 წელს დანიშნულ მერვე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, რომელიც ვერ შედგა. მიზეზი ის იყო, რომ მართლმადიდებლური საპატრიარქოები და მათ შორის, რუსეთისაც, იმ დროს არ ცნობდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას და კვლავ მიიჩნევდნენ მას რუსული ეკლესიის ნაწილად. ამის გამო საკათალიკოსო საბჭომ 1926 წელს მიმართა კონსტანტინოპოლის ყოვლადუწმიდეს პატრიარქს ეპისტოლეით. მისი ტექსტი შეუდგენია მიტროპოლიტ კალისტრატე ცინცაძეს.

ასეთ დროს, როცა ეკლესიას დევნიდნენ, მის დამოუკიდებლობას არ ცნობდნენ უცხოეთში და თვით ეკლესიის შიგნით სამღვდელეობასა და მღვდელმთავართა შორის წინააღმდეგობა არსებობდა, საჭირო იყო ერთგვარი დათმობები, ისეთი პირის გამოძებნა ეკლესიის მეთაურად, რომელსაც გარკვეული მხარდაჭერა ექნებოდა.

1927 წლის 21-27 ივნისს IV საეკლესიო კრებამ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად აირჩია მიტროპოლიტი ქრისტეფორე ციცქიშვილი. მიიჩნევა, რომ აქედან იწყება ხელისუფლებასთან ქართული ეკლესიის ურთიერთობის მოგვარება. თავის მხრივ ეკლესიაც გარკვეულ დათმობებზე წასულა, კერძოდ 1927 წლის საეკლესიო კრებამ აღიარა სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის პრინციპი, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისი მუხლების შესაბამისად (სინოდის უწყებათა კრებული, 1927).

წმ. ამბროსი ხელაია თავის მემკვიდრედ საკათალიკოსო ტახტზე აღიარებდა მიტროპოლიტ კალისტრატე ცინცაძეს, რომელიც მოსაყდრედაც დანიშნა, მაგრამ კალისტრატეს ეკლესიაში მის წინააღმდეგ წარმოქმნილი განწყობილების გამო მიზანშეწონილად მიუჩნევა მოსაყდრის ტახტიდან გადადგომა და ხელი არ შეუშლია ახალი პატრიარქის აღზევებისათვის. ქრისტეფორე ციცქიშვილის გარდაცვალების შემდეგ კი VI საეკლესიო კრებამ 1932 წელს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად აირჩია მიტროპოლიტი კალისტრატე, რომელიც 20 ხანგრძლივი წელიწადი ედგა სათავეში ქართულ ეკლესიას (1952 წლამდე).

საბჭოთა ხელისუფლების დროს ქართული ეკლესიის ხვედრს და ყოფას განსაზღვრავდა საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულება საზოგადოებრივ ეკლესიის მიმართ. შეიძლება ეს პერიოდი სამ ეტაპად დავეყოთ, 1943 წლამდე ეკლესიის დევნა-შევიწროება ძველებურად გრძელდებოდა, გერმანიასთან ომის დროს საბჭოთა მთავრობამ მოწვევების თვალთ გადახედვა ეკლესიას, აღიარა რუსეთის ეკლესიის თავისთავადობა, მისცა პატრიარქის არჩევის ნება (მანამდე არ აღეგა უფლებას რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევისა, რომელსაც პატრიარქი უნდა აერჩია). ამის შემდგომ სტალინის სიცოცხლეში რუსული ეკლესიის მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა, გაიხსნა ეკლესიები, დაარსდა სასულიერო სემინარიები და აკადემიები. რუსული ეკლესია მსოფლიო მართლმადიდებლურ ეკლესიათა ოჯახში კვლავ გადაიქცა უძლიერეს და უმდიდრეს ეკლესიად, რომელმაც თავისი ეპარქიები აღიდგინა დედამიწის უდიდეს ნაწილზე. მის იურისდიქციაში იმ დროს შედიოდა ჩრდილო ამერიკის მართლმადიდებელთა დიდი ნაწილი, ასევე ევროპაში ფინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა საეკლესიო ერთეულები, რომელთაც შემდგომ მოსკოვის საპატრიარქომ, ვითარცა დედაეკლესიამ, ავტოკეფალია მიანიჭა.

1943 წელს რუსეთის ეკლესიამ ცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, აღიარა მისი მეთაურის საპატრიარქო ღირსება და VI ადგილი მსოფლიო მართლმადიდებლურ დიპტიქში.

ქართულმა ეკლესიამ შედარებით გაიუმჯობესა ამ დროს თავისი მდგომარეობა. კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე აქტიურად მონაწილეობდა როგორც ქვეყნის თავდაცვის, ისე ომის შემდგომ მშვიდობის შესანარჩუნებლად წარმართულ საქმიანობაში. მას პირადი წერილობითი ურთიერთობა ჰქონდა სტალინთან, რომელიც საქართველოს პატრიარქს პატივს სცემდა. ამ დროს კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს მიეცა საშუალება აეშენებინა საპატრიარქო რეზიდენცია, რაც უდიდესი მოვლენა იყო ეკლესიის გაუგონარი დევნის შემდეგ. კალისტრატე იყო დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ერი და საზოგადოება მას დიდ პატივს სცემდა. კათალიკოს-პატრიარქის ამბროსის სიტყვით კალისტრატე იყო დიდიან საკათალიკოსო საბჭოს გახსნისა მისი მუდმივი, სამივე კრების მიერ არჩეული წევრი და უმთავრესი პასუხისმგებელი მუშაკი (საღვთისმეტყვე. კრებ. 1984, №3, გვ. 213). გარადიცვალა 1952 წლის 3 თებერვალს.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ ეკლესიის მდგომარეობა კვლავ გაუარესდა, განსაკუთრებით ნ. ხრუშჩოვის დროს. რუსულ ეკლესიას დაუხურეს ზოგიერთი სემინარია-აკადემია. მით უმეტეს საშინლად დევნიდნენ ქართულ ეკლესიას. კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკის შემდეგ (გარადიცვალა 1960 წ. 10.I), რომელიც მკაცრ და ძლიერ პიროვნებაა აღიარებული, აირჩიეს ახალი კათალიკოს-პატრიარქი ეფრემ II, ვისაც სასტიკად დაუწყეს შევიწროება.

ეფრემ II-მ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მინიჭებული ჰქონდა ღვთისმეტყველების დოქტორის წოდება. 1944 წლიდან იყო ქუთაისის მიტროპოლიტი, 1960 წლიდან ბათუმისა. სწორედ მისი დრო უნდა მივიჩნიოთ სტალინის შემდგომი ეკლესიისადმი “აცივების” ხანად. როგორც ცნობილია, ნ. ხრუშჩოვის დროს გატარებული ე.წ. “დემოკრატიული დათბობა” არ შეეხო ეკლესიას. ამ დროს, ისევე როგორც შემდგომ, მართალია, ხელისუფლება საეკლესიო შენობებს თითქოსდა აღარ ანგრევდა, მაგრამ საგანგებო სახელმწიფო ორგანოები სახელს უტეხდნენ საუკეთესო სასულიერო მოღვაწეებს, მათ წინააღმდეგ აქეზებდნენ ზოგიერთ სამღვდელს პირს.

საშინელი დევნის მიუხედავად ეფრემ II-მ პირველად, ათეულობით წლების შემდეგ, გამოსცა “ახალი აღთქმა”. ქ. მცხეთაში დააარსა სასულიერო სემინარია - “საღვთისმეტყველო კურსები”. როგორც ითქვა, ეს იყო დრო, როცა რუსეთში ზოგიერთი სემინარია დახურეს.

ეკლესიის ზნეობრივი დევნა საქართველოში გრძელდებოდა კათალიკოს-პატრიარქ დავით V-ის, აგრეთვე კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის ზეობის პირველ ხანებში, ვიდრე 1985 წლამდე, როცა მოსკოვის მთავრობამ (“პოლიტიბიურომ”) კვლავ შემწყნარებელი თვალთ გადასვლა ეკლესიას. მანამდე, როგორც ითქვა, სახელმწიფო საგანგებო გასაიდუმლოებული ორგანოები ეკლესიის საუკეთესო მოღვაწეების ავტორიტეტს ამცირებდნენ საზოგადოებაზე ზემოქმედების სხვადასხვა საშუალებებით, კერძოდ კი ცილისწამებით; არ აძლევდნენ ეკლესიას იმის ნებას, რომ ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესებინა, ყოველნაირად ხელს უშლიდნენ მორწმუნეებს, რომ ეკლესიების გახსნა-ამოქმედება მოეთხოვათ. კანონის მიხედვით, რომელსაც, ცხადია, ხელისუფლება არ იცავდა, ეკლესიის გახსნის უფლება ჰქონდა 20-კაციან მორწმუნეთა ჯგუფს. სინამდვილეში ასეთი განცხადების დაწერის შემდეგ აღმასკომებში იბარებდნენ ხელისმომწერლებს, აშინებდნენ სამსახურიდან მოხსნით. მაგალითად, საფარაში, რომელიც იმ დროს, ცხადია, გაუქმებული იყო, ეკლესიის გახსნა მოითხოვა იქვე ახლოს მყოფი სოფლიდან ანდრიაწმიდის მოსახლეებმა. მოწმე ვარ იმისა, რომ განცხადების მიღების შემდეგ ახალციხის აღმასკომის იმჟამინდელი თავმჯდომარე და მილიციის უფროსი ავიდნენ ახალგაზრდებისაგან დაცლილ ამ სოფელში, დაიბარეს ხელისმომწერლები (მოხუცები) და ციმბირში გადასახლებით დაემუქრნენ. შემდეგ ახალციხეში მომუშავე ზოგიერთი პირი გამოიძახეს, რომელთა მშობლებმაც ხელი მოაწერეს ეკლესიის გახსნის თხოვნას, და სამუშაოდან მოხსნით დაემუქრნენ.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, 1985 წლის შემდეგ თანდათანობით, შესაძლებელი გახდა ეკლესიათა გახსნა. ყოველი ეკლესიის გახსნის ნებართვას ადგილობრივი აღმასკომის თანხმობის შემდეგ სცემდა მოსკოვში მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიურ საქმეთა სამმართველო. განცხადებები და ხელმოწერები ეკლესიათა გახსნის შესახებ ჯერ მოსკოვში იგზავნებოდა, შემდეგ თბილისში ბრუნდებოდა იმავე სამმართველოს რესპუბლიკური რწმუნებულის აპარატში.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მორწმუნეები წლობით ითხოვდნენ ეკლესიათა გახსნას. ამ დროს მათ აღმასკომებისა და რაიკომების მუშაკები ნამდვილ ტანჯვას ატეხდნენ თავს. ხალხი წამებულები და თავდადებულები იყო. რაც შეეხება სამღვდელეობას, მას მკაცრად ეკრძალებოდა ეკლესიის გახსნის მოთხოვნა. არ ჰქონდა უფლება ქადაგებისა და გადაადგილებისა. მაგალითად, იტუქსებოდნენ ის მღვდლები, რომლებიც ეკლესიის ოცეულის (მრევლის) ფარგლებს გარეთ სხვა უბნის, ანდა სხვა რაიონის მორწმუნეებს მოემსახურებოდნენ, არადა მთელ რაიონებსა და რეგიონებში ერთი მღვდელი თუ იყო. მაშასადამე, მას მალულად უნდა შეესრულებინა მღვდელმსახურება. პრესა, რადიო, თეატრი, დრამატურგია, განსაკუთრებით კი კინომრეწველობა ასრულებდნენ სამთავრობო დაკვეთას, სასაცილოდ წარმოადგენდნენ და აბუჩად იგდებდნენ ღვთისმსახურთ, რომ ხალხის თვალში სასულიერო პირად ყოფნა მიმზიდველი აღარ ყოფილიყო.

როგორც ითქვა, 1985-1986 წლიდან მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა, მაგრამ 70 წლიანი ბატონობის დროს კომუნისტებმა მთელი თაობები გაზარდეს, რომელთაც ეკლესიისა და სასუ-

ლიერო პირთა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება ჩაუნერგეს. ამ ბარიერის დაძლევა ხალხისათვის ადვილი არ იყო.

მმართველობის ბოლო წლებში საბჭოთა ხელისუფლება აღარ კრძალავდა წმიდა წერილის (ბიბლიის) ბეჭდვა-გავრცელებას, მის საგაზეთო პუბლიკაციებს. ამ ფონზე, როცა ბიბლიის ავტორიტეტი კვლავ გაიზარდა, ხოლო ეკლესიისა და სასულიერო პირთა ავტორიტეტი ხალხის თვალში დაცემული იყო, მყარი საფუძველი მიეცა სექტანტობის გავრცელებას, ბაბტიზმს, იელოველობას და სხვა სექტებს მოქმედების ასპარეზი გაეხსნათ, რადგანაც ისინიც წმიდა ბიბლიის ავტორიტეტს აღიარებდნენ, სამღვდელეობას კი არ ცნობდნენ.

საზოგადოება აღმოჩნდა რეალური ფაქტის წინაშე - მთელი რაიონები, ათასობით სოფელი უეკლესოდ და უმღვდლოდ იყო დარჩენილი, ხოლო ხალხის მოთხოვნების დონე წმიდა წერილის მიმართ პრესით და ინფორმაციის სხვა საშუალებებით თითქოსდა დაკმაყოფილებული იყო. ასეთი სულიერი კრიზისის დროს ქართულ ეკლესიას ესაჭიროებოდა მოქმედების გააქტიურება. მართლაც კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ უდიდესი ავტორიტეტით, უდიდესი ენერჯის დახარჯვით, მოღვაწეობით შეძლო აღედგინა და აემოქმედებინა ასეულობით ეკლესია, აკურთხა და აკურთხებინა ასეულობით ახალი სასულიერო პირი - დიაკვნები, მღვდლები და ეპისკოპოსები, გააფართოვა მცხეთის სასულიერო სემინარია და თბილისში მისი გადმოტანის შემდგომ აკურთხა საქართველოს ეკლესიის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი თბილისის სასულიერო აკადემია. ჯერ კიდევ ადრევე, ეკლესიის დევნის დროს შეძლო უმღვდელმთავროდ დარჩენილი ეპარქიების შევსება ახალი ეპისკოპოსებით, ხოლო შემდგომ ეპარქიების რიცხვის მკვეთრი გაზრდით საქართველოს უამრავ რეგიონს მიეცა სამღვდელმთავრო მადლის მიღების საშუალება. მის დროს გამოიცა მანამდე არნახული რაოდენობის სასულიერო წიგნები, რაც უმთავრესია, ითარგმნა და გამოიცა ბიბლია, წმიდანთა ცხოვრებანი, დაარსდა საეკლესიო ჟურნალები და გაზეთები.

უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოს-პატრიარქი ილია II-ის დროს ეკლესიას შთაებერა ჭეშმარიტი ახალი სასიცოცხლო ძალა, ახალი სუნთქვა, ქართული ეკლესია თითქმის გაქრობამდე მისული მნიშვნელოვნად გაიზარდა და მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა რიგში დაიჭირა ღირსეული ადგილი. ეკლესიის შინაგანი მოწყობის სახე დაადგინა XIII საეკლესიო გაფართოებულმა კრებამ, რომელიც მცხეთაში გაიმართა 1995 წელს.

ქართული ეკლესიის კრებები და სტრუქტურა

ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ XIII საეკლესიო კრებამდე, მიუხედავად დევნილობისა, ქართველმა სამღვდელეობამ შეძლო მოეწვია თორმეტი საეკლესიო კრება. 1917 წლის 12 (25) მარტს სვეტიცხოველში ავტოკეფალიის აღდგენის გამოცხადების შემდეგ, როგორც აღინიშნა, პირველი საეკლესიო კრება შედგა. 1917 წლის 9-17 სექტემბერს დაადგინეს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, პირველ კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს კირიონ II (საძაგლიშვილი); მეორე საეკლესიო კრება შედგა 1920 წლის 27 ივნისს თბილისში, კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს ლეონიდე (ოქროპირიძე); მესამე საეკლესიო კრება შედგა გელათში 1921 წლის 1-5 სექტემბერს, კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს ამბროსი (ხელაია); 1926 წლის 26-27 სექტემბერს შედგა ე.წ. ქუთაისის საეკლესიო კრება. იმ დროს ეკლესიაში არსებობდა ძალზე რთული ვითარება, გარე დაწოლის შემდგომ ეკლესიის შიგნით შეიქმნა ურთიერთდაპირისპირებული ბანაკები (ქართული ეკლესიის "ისტორია" 1927 წლამდე გადმოცემული აქვს კ.პ. კალისტრატეს ხელნაწერში (საქმე №103, საღვთისმეტყვე. კრებ. 1984, №3, გვ. 215). ამ მოძრაობის შედეგად 1927 წელს 21-27 ივნისს შემდგარმა IV საეკლესიო კრებამ საკათალიკოსო ტახტზე აიყვანა კათალიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე ციციქიშვილი. მეხუთე საეკლესიო კრება შედგა 1929 წლის 8 ივლისს. კრებამ განიხილა სამღვდელეობის იურიდიული ყოფის საკითხები. მეექვსე საეკლესიო კრება შედგა 1932 წლის 21-22 ივნისს, თბილისში, კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს კალისტრატე (ცინცაძე); მეშვიდე საეკლესიო კრება შედგა 1934 წლის 31 მაისს თბილისში, აირჩიეს სინოდის წევრები; მერვე საეკლესიო კრება შედგა 1937 წელს, თბილისში, წმიდა სინოდის რეორგანიზაციის შემდეგ შემოდებულ იქნა კათალიკოს-პატრიარქის სახით ერთპიროვნული მართვა-გამგეობა, სინოდს ეწოდა კათალიკოსის თანასინოდი. ომის შემდეგ 1948 წ. საქართველოში მოქმედებდა 52 ეკლესია, რომელთაც ჰყავდათ 166 მღვდელმსახური და 4 მღვდელმთავარი. ეკლესიათა და ღვთისმსახურთა ეს რაოდენობა, ეტყობა, მთავრობამ საკმარისად მიიჩნია და იგი არ იცვლებოდა ათეულობით წლების მანძილზე. მეცხრე საეკლესიო კრება შედგა 1952 წ. 5 აპრილს თბილისში, კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს ურბნელი მიტროპოლიტი მეღქისედეკ III (ფხალაძე); მეათე საეკლესიო კრება შედგა 1960 წლის 20 თებერვალს, თბილისში, აირჩიეს კათალიკოს-პატრიარქად ჭყონდიდელ-ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი ეფრემი II (სიღამონიძე); მეთერთმეტე საეკლესიო კრება შედგა 1972 წლის 1 ივლისს, თბილისში, კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს ურბნელი მიტროპოლიტი დავით V (დევდარიანი); მეთორმეტე საეკლესიო კრება შედგა 1977 წლის 23 დეკემბერს, თბილისში, კათალიკოს-პატრიარქად არჩეულ იქნა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II (შიოლაშვილი-ღუღუშაური).

1995 წლის 18-19 სექტემბერს სვეტიცხოველში შედგა საქართველოს გაფართოებული საეკლესიო კრება, რომელმაც მიიღო ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება. მასში ქართული ეკლესი

სია გამოცხადებულია ადგილობრივ ავტოკეფალურ (დამოუკიდებელ) მართლმადიდებელ ეკლესიად, რომელსაც აქვს 27 ეპარქია, საეკლესიო მმართველობის და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა საეკლესიო კრება - საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდი, კრებებს შორის პერიოდში კი კათალიკოს-პატრიარქი (თავი I, 7). საეკლესიო სასამართლოს უფლება აქვს სინოდს, კათალიკოს-პატრიარქს და ეპარქიის მმართველ მღვდელმთავარს. იურიდიული პირის უფლება აქვთ საპატრიარქოს განყოფილება-დაწესებულებებს, ეპარქიებს, სამრევლოებს, მონასტრებს, სასწავლებლებს. წმ. სინოდის წევრია ყველა მმართველი მღვდელმთავარი, თავმჯდომარეობს კათალიკოს-პატრიარქი. წმიდა სინოდის დადგენილება სავალდებულოა ეკლესიის ყოველი წევრისათვის. ძველის შემდეგ ახალ პატრიარქს ირჩევს გაფართოებული საეკლესიო კრება მონაწილე მღვდელმთავრების ნახევარზე მეტი ხმებით.

ეპარქიები შედგება ოლქებში გაერთიანებული სამრევლოებისაგან და ეპარქიაში მყოფი მონასტრებისაგან (გარდა სტავროპოლიალებისა), მართავს მღვდელმთავარი, რომელსაც ირჩევს წმ. სინოდი. ის პატრიარქთან შეთანხმებით ასრულებს სასულიერო პირების ხელდასხმას. შეუძლია თავისი ეპარქიიდან სხვა ეპარქიაში გაუშვას სასულიერო პირი თუ მიეცემა მას “განტყვების სიგელი“. ეპარქიის ყველა ტაძარში ღვთისმსახურების დროს აღველინება მმართველი მღვდელმთავრის სახელი. ეპარქიის მღვდელმთავარი პატრიარქს უდგენს ყოველწლიურ ანგარიშს ეპარქიის ცხოვრებისა და მისი მოღვაწეობის შესახებ, აკონტროლებს ეპარქიის სამრევლოებს პირადად ან თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, ვალდებულია ჰქონდეს ეპარქიის სასულიერო პირთა სრული სია და მონაცემები, იღებს მათგან ანგარიშებს.

მღვდელმთავარი თავის ეპარქიაში უმაღლესი სასამართლო ხელისუფალია, უფლებამოსილია მისცეს შენიშვნა, საყვედური, გადააყენოს თანამდებობიდან ანდა დაადოს ეპიტიმია, აუკრძალოს მღვდელმოქმედება სასულიერო პირებს. ჰყავს საეპარქიო საბჭო, არის საეპარქიო ქონების უმაღლესი ზედამხედველი.

საეპარქიო საბჭო შედგება მღვდელმთავრის, ოთხი სასულიერო და ორი საერო პირისაგან. მათ ნიშნავს და ათავისუფლებს მღვდელმთავარი. საბჭო იხილავს სასულიერო პირთა და ერისკაცთა მიერ სარწმუნოებრივ, საეკლესიო და ზნეობრივ კანონების დარღვევას.

ეპარქიის ოლქის ზედამხედველი - მთავარუხუცესი ინიშნება მღვდელმთავრის მიერ. მისი მოვალეობაა საეკლესიო მართლწესრიგის დაცვა. ეპარქიის სამღვდლოება თავის მიერვე არჩეულ და მღვდელმთავრის მიერ დამტკიცებულ მოძღვართმოდგვარს აბარებს აღსარებას.

სამრევლო ეპარქიის ნაწილია, რომელსაც ხელმძღვანელობს მღვდელმთავრის მიერ დანიშნული წინამძღვარი. ამ საქმეში მას ეხმარება სამრევლო საბჭო. სამრევლოში სამღვდლო პირს ნიშნავს და ათავისუფლებს ეპარქიის მმართველი. წინამძღვარმა ზუსტად უნდა შეასრულოს მღვდელმთავრის განკარგულებანი და მითითებანი, აღასრულოს ღვთისმსახურება, ყველა საკითხის გადაწყვეტისას მიმართოს მღვდელმთავარს, წარუდგინოს ყოველწლიური ანგარიში. სამრევლო საბჭო საერო პირთაგან ირჩევს მნეს, რომელიც აღრიცხავს ეკლესიის შემოსავალ-გასავალს სპეციალურ წიგნში. დარღვევათა შემთხვევაში მას სასჯელს მღვდელმთავარი ადებს.

სტავროპოლიაური და საეპარქიო მონასტრები იმართებიან საგანგებო “დებულების“ შესაბამისად. ეკლესია თავის მოთხოვნილებებს უზრუნველყოფს თვითდაფინანსებით. საპატრიარქო ბიუჯეტი იქმნება ეპარქიების, მონასტრებისა და საეკლესიო დაწესებულებების მიერ გადარიცხული სახსრებით. ეპარქიის ბიუჯეტიც მსგავსადვე იქმნება სამრევლოების, მონასტრებისა და დაწესებულებების შემოსავლებიდან პროცენტული გადარიცხვით. თავის მხრივ სამრევლოების ფულად სახსრებს ქმნის სანთლისა და ლიტურატურის რეალიზაციით მიღებული შემოსავლები, რომელთაც შემოწირულობები ემატება. (იხ. ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, 1997).

#### ავტოკეფალური მოძრაობის დაგვირგვინება

მართალია, 1917 წლის 12 (25) მარტს გამოცხადდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარების შედეგად ჩვენი ეკლესია შეუდგა დამოუკიდებელ, თავისთავად ცხოვრებას, მაგრამ მისი ავტოკეფალიის უფლება იმ დროს არ ცნო არც რუსულმა ეკლესიამ, რომლის წიაღსაც დააღწია თავი ჩვენმა ეკლესიამ, არც მსოფლიოს სხვა საპატრიარქოებმა და ადგილობრივმა ეკლესიებმა. ათწლეულების მანძილზე მუდმივად არსებობდა შიში იმისა, რომ რუსეთის წითელ იმპერიას შეეძლო ქართული ეკლესია კვლავ რუსულისათვის დაექვემდებარებინა.

იმის გამო, რომ მსოფლიო (კონსტანტინოპოლის) საპატრიარქო არ ცნობდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას, მათმა მეთაურებმა არ უპასუხეს კირიონის, ლეონიდეს და ამბროსის მოკითხვის ბარათებს, როგორც ეს კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს 1926 წლისათვის დანიშნული მერვე მსოფლიო კრებისადმი (რომელიც ვერ შედგა) მიმართვიდან ჩანს. ყოველივე ეს ახალისებდა, “კადნიერყოფდა მძულვარებასა და ძმათა ურთიერთობაზე ამხედრების მოყვარულებს“ ქართული ეკლესიის შიგნით. მეორე მხრივ, ზოგიერთი რუსი სასულიერო პირი ყოველ შემთხვევას იყენებდა, ქართული ეკლესიის უკვე არსებული ავტოკეფალია “სეპარატიზმად“ და

“ნაციონალიზმად“ გამოეცხადებინა. ამიტომ ქართველი მღვდელმთავრები თავამოდებით იღვწოდნენ, რათა ეკლესია შექმნილი მდგომარეობიდან გამოეყვანათ.

რუსულ ეკლესიასთან ურთიერთობის მოგვარებას უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდა. უცხოეთის სხვა ადგილობრივი ეკლესიები ქართულ ეკლესიას განიხილავდნენ არა როგორც უბეველეს ეკლესიას, არამედ რუსეთის ეკლესიის ნაწილს, რომელმაც ისარგებლა რევოლუციური მდგომარეობით და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1982, გვ. 154).

ასეთ დროს რუსული ეკლესიის მმართველობაში აღმოჩნდნენ, პირები, რომელთაც ქართული ეკლესიის უკვე არსებული ავტოკეფალია კანონიერ აქტად მიიჩნიეს, პატივისცემით მოეკიდნენ ძველი ივერიის ეკლესიის ადგილს მართლმადიდებელთა ოჯახში.

გერმანიასთან II მსოფლიო ომის დროს ქართველი ხალხის მტკიცედ დგომამ რუსეთის გვერდით, საფუძველი მისცა რუსული ეკლესიის ხელმძღვანელობას ეცნო ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, აღედგინა ძველი ურთიერთობა ქართულ და რუსულ ეკლესიათა შორის. რუსეთის წმიდა სინოდმა თავისი ამ გადაწყვეტილების აღსრულება მიანდო სტავროპოლისა და პიატიგორსკის მთავარეპისკოპოსს ანტონს. იგი 1943 წლის 28 ოქტომბერს ჩამოვიდა თბილისში, ვითარცა ოფიციალური წარმომადგენელი სრულიად რუსეთის პატრიარქ სერგისა. 1943 წლის 28 ოქტომბერს ერთობლივი წირვის შემდეგ ამცნეს მრევლს სიონის ამბიონიდან, რომ რუსეთის ეკლესიამ ოფიციალურად და კანონიკურად ცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და ამის შესახებ აცნობა მსოფლიოს მართლმადიდებელ მღვდელმთავრებს. ეს იყო უდიდესი მოვლენა ქართული ეკლესიის ისტორიაში.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ეკლესიამ 1943 წელს ცნო არა მხოლოდ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, მან აგრეთვე ცნო სხვა მნიშვნელოვანი უფლებანი ქართული ეკლესიისა, კერძოდ აღიარა მისი საპატრიარქო ღირსება და VI ადგილი მსოფლიო ეკლესიის მართლმადიდებელურ დიპტიქში. მაშასადამე, მართლმადიდებელთა ოჯახში რუსეთის ეკლესიამ ქართული ეკლესია და მისი მეთაური დააყენა ისეთი უდიდესი ეკლესიების წინ, როგორებიც არიან სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ელადის და სხვა ეკლესიები. აღსანიშნავია, რომ ქართული ეკლესიის VI ადგილი მართლმადიდებელურ დიპტიქში ჯერაც არ უცვნიდა მსოფლიოს მრავალ ეკლესიას და ისინი უფრო უკანა ადგილზე აყენებენ მას.

1943 წელს რუსეთის ეკლესიის მიერ ქართული ეკლესიის სამი უფლების (ავტოკეფალია, საპატრიარქო ღირსება, ადგილი დიპტიქში) აღიარება გვაფიქრებინებს, რომ ეს მოხდა საბჭოთა სახელმწიფოს ქართველი მეთაურის ნებართვით (იგულისხმება ი. სტალინი), რომელმაც სწორედ იმ დროს ცნო რუსეთის ეკლესიის უფლებები, მისცა პატრიარქის არჩევის ნება. რუსეთის ეკლესიამ ცნო ქართული ეკლესიის იურისდიქცია საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე, გარდა ამისა, დროებით იურისდიქციაში გადასცა სომხეთის სსრ-ს მართლმადიდებელი მოსახლეობა.

ამის შემდეგ თითქმის კიდევ 50 წელი დასჭირდა იმას, რომ მსოფლიო მართლმადიდებელურ ცენტრებს, კონსტანტინოპოლსა და სხვებს ეცნოთ ქართული ეკლესიის უფლებანი. კერძოდ, 1990 წლის 25 იანვარს კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქმა გამოსცა სიგელი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის შესახებ, იმავე წლის 3 მარტს კი მანვე გამოსცა განჩინება საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ღირსების ცნობის შესახებ, საიდანაც გამომდინარეობდა ეკლესიის მეთაურის (პატრიარქის) ტიტულის ცნობა.

ქართული ეკლესიის ისტორიის მცოდნეთათვის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისა და საპატრიარქო ღირსების ცნობა უცნაურად გამოიყურება, რადგანაც ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია ისტორიულად საუკუნეთა სიღრმეში ჰქონდა მოპოვებული.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ XX ს-დან წამოაყენა თეორია, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი ადგილობრივი ეკლესია ავტოკეფალიას იღებს მხოლოდ და მხოლოდ კონსტანტინოპოლისაგან. მაშასადამე, ნებისმიერი ეკლესიის დედაეკლესია უნდა იყოს კონსტანტინოპოლი (ამ შემთხვევაში “დედაეკლესია“ ეწოდება ისეთ ეკლესიას, რომლის წიაღიდანაც გამოდის ახალი ავტოკეფალური ეკლესია და რომელსაც დედაეკლესია ანიჭებს ავტოკეფალიას). ამიტომაც კონსტანტინოპოლი დიდხანს არ ცნობდა ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის, პოლონეთის, ამერიკის მართლმადიდებლური ეკლესიების ავტოკეფალიას. ეს ეკლესიები გამოვიდნენ რუსული ეკლესიის წიაღიდან, და მათ ავტოკეფალია XX ს-ის 50-იან წლებში მიანიჭა რუსულმა ეკლესიამ. კონსტანტინოპოლს მიანდა, რომ რუსულ ეკლესიას არა ჰქონდა უფლება ავტოკეფალია მიენიჭებინა რომელიმე ეკლესიასთვის, არამედ ეს უფლება მხოლოდ და მხოლოდ კონსტანტინოპოლის ფუნქციაა. ამიტომაც დაახლოებით 20 წლის შემდეგ კონსტანტინოპოლმა კვლავ მიანიჭა ავტოკეფალია ზემოთხაზოთვლილ ეკლესიებს (ამერიკის ეკლესიის გამოკლებით).

მსოფლიო მართლმადიდებელთა შორის ავტორიტეტის ასამაღლებლად გამიზნულ კონსტანტინოპოლის ქმედებებს გათავისუფლებულ ახალ ეკლესიათა მიმართ რუსული და სხვა ეკლესიათა მხრიდან მოჰყვა თავისებური რეაქცია 50-60-იან წლებში. ცნობილი კანონისტი პროფესორი ს. ტროიცკი და სხვები ისტორიული დოკუმენტების მეშვეობით ამტკიცებდნენ, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ისტორიულად არასოდეს ჰქონდა ადმინისტრაციული ზედამხედველობის

უფლება მთელი მსოფლიოს ეკლესიათა მიმართ (იხ. ა. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. I, 1996), მაგრამ იმის გამო, რომ XX ს-ის ზემოთ აღნიშნულ წლებში კონსტანტინოპოლის საპატრიარქო არ ცნობდა ახლად წარმოქმნილი და ახლად ავტოკეფალიაში-ღებულ ეკლესიების არსებობას და, მაშასადამე, მათ თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფებად მიიჩნევდა. ცხადია, ამ ახალ ეკლესიებს დიდი დაბრკოლებანი ექმნებოდათ საერთაშორისო ასპარეზზე. ამიტომ ისინი იღვწოდნენ, მიეღოთ მსოფლიო მართლმადიდებლური ოჯახში ღირსეულ წევრად.

როგორც ითქვა, ეს პრობლემები გადაიჭრა, მაგრამ არა ქართულ და კიდევ სხვა რამდენიმე ეკლესიასთან დაკავშირებით. ქართული ეკლესიის მიმართ კონსტანტინოპოლს ისეთივე პრეტენზიები ჰქონდა, როგორც სხვა ეკლესიათა მიმართ, კერძოდ, თუ ვთქვათ რუსეთის, ანდა რომელიმე სხვა ეკლესიამ, თავის წიადში შემაგალი რომელიმე საეკლესიო ერთეული გაათავისუფლა, იგი უნდა შევიდეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში, ანდა მისი ავტოკეფალია უნდა ცნოს კონსტანტინოპოლმა.

თავის თეორიას კონსტანტინოპოლი საფუძვლად უდებდა იმ აზრს, თითქოსდა ყველა ეკლესიას თავის დროზე კონსტანტინოპოლმა მიანიჭა ავტოკეფალია (ცხადია, იმ ეკლესიათა გარდა, რომელნიც მოციქულთა მიერ არ იყვნენ დაარსებულნი). ასეთები იყვნენ რუსეთის, სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ელადის და სხვა ეკლესიები. მათ მართლაც თავის დროზე კონსტანტინოპოლმა უბოძა თავისუფლება. კონსტანტინოპოლთან რუს კანონისტებს თავიანთი კამათის დროს მაგალითად მოჰყავდათ ქართული ეკლესია, რომელიც ძველთაგანვე ავტოკეფალური იყო, მაგრამ მას ავტოკეფალია მიანიჭა არა კონსტანტინოპოლმა, არამედ ანტიოქიის საპატრიარქომ. აღიარება იმისა, რომ საქართველოს ეკლესიას ანტიოქიამ მიანიჭა ავტოკეფალია, არ ეთანადებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში XIX-XX სს-ში ჩამოყალიბებულ ზემოთ ხსენებულ თეორიას, ამიტომაც მიუღებელი იყო.

ეს გახლდათ ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ კონსტანტინოპოლს დიდხანს არ სურდა ცნობა ქართული ეკლესიის ძველი ავტოკეფალიისა. თავის უარის საბაბად კი იყენებდა აზრს იმის შესახებ, რომ საეკლესიო კანონების მიხედვით არ შეიძლებოდა ერთ სახელმწიფოში ერთდროულად ორი მართლმადიდებელი ეკლესიის არსებობა, ე.ი. საბჭოთა კავშირში ერთდროულად ორი (რუსეთის და საქართველოს) მართლმადიდებლური ეკლესიის აღიარებით თითქოსდა დაირღვეოდა საეკლესიო კანონები. უარის საბაბად აგრეთვე იყენებდნენ იმას, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთვის უცნობი იყო ისტორიული დოკუმენტები, რომლითაც დასტურდებოდა ქართული ეკლესიის ძველი ავტოკეფალია.

ასეთი ურთულესი საერთაშორისო-საეკლესიო ვითარების მოგვარება შეძლო საქართველოს უწმინდესმა კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ძალზე დახვეწილი დიპლომატიური ხელოვნებით, უაღრესად დაძაბული შრომის შედეგად. მან გამარჯვებით დააგვირგვინა ჯერ კიდევ XIX ს-ის ბოლოს ქართულ ეკლესიაში დაწყებული ავტოკეფალური მოძრაობა. მიაღწია იმას, რომ კონსტანტინოპოლმა ცნო ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა (ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის დროს), რითაც საბოლოოდ ამოიწურა სადავო საკითხი.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ ილია II-მ სასულიერო განათლება მიიღო მოსკოვის სასულიერო სემინარიასა (დაასრულა 1956 წ.) და აკადემიაში (დაასრულა 1960 წელს), 1957 წლის 16 აპრილს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკის ლოცვა-კურთხევით თბილისის ალექსანდრე ნეველის ტაძარში აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად ილია, ორი დღის შემდეგ იგი სიონის საპატრიარქო ტაძარში იეროდიაკვნად აკურთხა კათალიკოს-პატრიარქმა მელქისედეკმა, ორი წლის შემდეგ 1959 წლის 10 მაისს, მოსკოვის სასულიერო აკადემიის სტუდენტობისას მღვდელ-მონაზვნად აკურთხა რუსეთის პატრიარქმა სერგიმ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მელქისედეკის წერილობითი თხოვნის საფუძველზე. აკადემიაში მიენიჭა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი შრომისათვის “ათონის ივერთა მონასტრის ისტორია”.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ უწმინდესმა პატრიარქმა ეფრემ II-მ განამწესა ღვთისმსახურად ბათუმის საკათედრო ტაძარში, 1960 წლის 19 დეკემბერს მიენიჭა იღუმენის, 1961 წლის 16 სექტემბერს არქიმანდრიტის ხარისხი, 1963 წელს კათალიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ისა და მღვდელმთავართა ხელდასხმით აყვანილ იქნა ეპისკოპოსის პატივში, სამმართველოდ გადაეცა ბათუმ-შემოქმედის ეპარქია, დაინიშნა პატრიარქის ქორეპისკოპოსად. 1967 წელს გადაიყვანეს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველად, 1969 წელს მიენიჭა მიტროპოლიტის ხარისხი, ამავე დროს 1963-1972 წლებში გახლდათ პირველი რექტორი მცხეთის სასულიერო სემინარიისა, 1977 წლის 23 დეკემბერს საქართველოს მეთორმეტე საეკლესიო კრებამ ქართული ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის აირჩია სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად. 25 დეკემბერს შედგა მისი აღსაყდრება.

ილია II-ის საპატრიარქო მოღვაწეობის სრულ აღწერას მომავალში მიეძღვნება ვრცელი მონოგრაფიები და გამოკვლევები, მაგრამ, როგორც ითქვა, ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევა მისი უწმინდესობის მოღვაწეობისა არის თითქმის ერთსაუკუნოვანი ქართული ავტოკეფალური მოძრაობის წარმატებით დაგვირგვინება. აქვე აღბათ შესაძლებელია იმის თქმაც, რომ სწორედ



მისი უწმინდესობის დედაწლით ქართველ წმიდანთა მადლი აღივსო ქართული ეკლესიის ახალი წმიდანებით. წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით სხვადასხვა წლებში კანონიზებულ იქნენ წმიდანებად - წმიდა ილია მართალი (ხსენება 2 აგვისტოს), ღირსი მღვდელმონაზონი ალექსი (მუშა-ნია, ხსენება 18 (31) იანვარს), წმიდა ამბროსი აღმსარებელი (ხსენება 16(29) მარტს), ღირსნი ზაბულონი და სოსანა (ხსენება 2 ივნისს), წმიდა მღვდელმოწამე ნაზარი კრებულთ (მღვდელი გერმანე ჯაჯანიძე, მღვდელი იეროთეოს ნიკოლაძე, მღვდელი სიმონ მჭედლიძე, დიაკონი ბესარიონ კუხიანიძე), დახვეწილნი 1924 წელს ათეისტთა მიერ (ხსენება 14 (27) აგვისტო), წმიდა მღვდელმთავრები ალექსანდრე ოქროპირიძე, (ხსენება 9 ნოემბერს) და გაბრიელი (ქიქოძე, ხსენება 13 (26) დეკემბერს), წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლი (ფერაძე, ხსენება 6 დეკემბერს), აჭარაში თურქთაგან XVIII ს-ში წამებული მამანი და დედანი (ხსენება სულთმოფენობას) და სხვები. ლაზარეს შაბათს დადგინდა დღესასწაული: “ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“.

ქართული ეკლესიის ზემოაღნიშნული მდგომარეობა, როცა უძველესა და ღირსეულ საქართველოს სამოციქულო ეკლესიას საერთაშორისო ასპარეზზე არ აყენებდნენ ავტოკეფალურ ეკლესიათა რიგში, უფრო მეტიც, ზოგჯერ ავტონომიურ ეკლესიათა შორისაც კი მოიხსენიებდნენ, იწვევდა მრავალ უხერხულობასა და დაძაბულობას. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანდა საერთაშორისო შეხვედრებისას, მართლმადიდებელ ეკლესიათა თათბირების დროს. ამ დროს ეკლესიათა მეთაურები, მღვდელმთავრები და სამღვდლოება როგორც წირვა-ლოცვების, ისე შეხვედრების დროს დგებოდნენ ან ისხდნენ დიპტიქის წესის შესაბამისად. ქართული ეკლესიის წარმომადგენელს ეკუთვნოდა მისთვის კანონიერი მეექვსე ადგილი, მაგრამ მისი ადგილის განსაზღვრა სადავო ხდებოდა, ზოგჯერ უხერხულიც კი.

აღსაყდრების შემდეგ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში ოფიციალური ვიზიტისას 1979 წლის მაისში წმიდა სინოდის წინაშე ილია II-მ დააყენა სამი საკითხი: აღიარებული ყოფილიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, აღიარებული ყოფილიყო მისი მეთაურის საპატრიარქო ტიტული, მიკუთვნებოდა ქართულ ეკლესიას კუთვნილი VI ადგილი მართლმადიდებლურ დიპტიქში. “ჩემი აზრით - განაცხადა ილია II-მ, - კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო არ უნდა დაუშვას, რომ უძველესი ქართული მართლმადიდებელი ეკლესია დააყენოს ახალი ეკლესიების გვერდით, ჩვენ გვინდა ადვადგინოთ წინანდელი მდგომარეობა, რომელიც სამწუხაროდ, დაკარგეთ 1811 წელს“.

კონსტანტინოპოლის ეკლესიამ ისტორიული დოკუმენტები მოითხოვა საამისოდ. ქალკედონის მიტროპოლიტმა მელიტონმა განაცხადა: “ჩვენი ეკლესიის სინოდი ამ საკითხს დადებითად გადაჭრის, მხოლოდ ჩვენ გვჭირდება დასაბუთებული ისტორიული მასალები საქართველოს ეკლესიის შესახებ, რომ ეს საკითხი გადაიჭრას უმოკლეს ხანში“ (“ჯვარი ვაზისა“, 1979, №2, გვ. 11). უწმინდესმა საქართველოში ჩამოსვლის შემდგომ წლების მანძილზე გააჩაღა მუშაობა ქართული ეკლესიის ისტორიული საბუთების მოსაპოვებლად, დაგვაგადა ჩვენ, წმიდა სინოდის წევრებს, ქართველ მეცნიერებს, მოღვაწეებს, მუშაკებს, ყველას, ვისაც კი შეხება ჰქონდა აღნიშნულ საკითხთან, წვლილი შეეტანა ამ საქმეში. შეიკრიბა დოკუმენტები, ითარგმნა უცხო ენებზე. 1982 წლის 3 ივლისს მისმა უწმინდესობამ ოფიციალური წერილებით მიმართა ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს წმიდა სინოდის სახელით: მათში გადმოცემული იყო ქართული ეკლესიის მოკლე ისტორია, დოკუმენტების დართვით, რომლიდანაც აშკარად დასტურდებოდა ქართული ეკლესიის უძველესი ავტოკეფალია, მისი მეთაურის საპატრიარქო ტიტული და VI ადგილი დიპტიქში.

1987 წელს საქართველოს ეკლესიას ეწვია კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოს I. მას და კონსტანტინოპოლის ეკლესიის დელეგაციას ხსენებულ საკითხებზე რამდენჯერმე შევხვდით წმიდა სინოდის წევრები. გადაწყდა, რომ უმოკლეს დროში გადაჭრილიყო ქართული ეკლესიის საკითხი. მართლაც, მალე 1988 წლის თებერვალში ჩვენს ეკლესიას ეწვია კონსტანტინოპოლის წარმომადგენლობითი დელეგაცია მიტროპოლიტ ქრიზოსტომოსის მეთაურობით. მისი უწმინდესობა, წმიდა სინოდის რამდენიმე წევრი, ცნობილი მეცნიერები ნოდარ ლომოური და ზაზა ალექსიძე მისი უწმინდესობის მისაღებ დარბაზში შევხვდით დელეგაციის წევრებს. კონსტანტინოპოლიდან წარმოგზავნილმა მიტროპოლიტმა მის უწმინდესობას გააცნო იმ სიგელის ტექსტი, რომელიც უნდა მისცემოდა ქართულ ეკლესიას ავტოკეფალიის მინიჭების შემდეგ. ამ ტექსტის მიხედვით ჩვენი ეკლესია ჩაყენებული იყო არა უძველეს, არამედ ახალ ეკლესიათა რიგში, რაღაც ხარისხით დამოკიდებული ხდებოდა კონსტანტინოპოლზე, მაგალითად, მირონი უნდა მიეღო კონსტანტინოპოლის ეკლესიიდან და არ უნდა მოხარულიყო საქართველოში.

თუ ამ სიგელს მივიღებდით, მაშინ ფაქტიურად არსებულ ავტოკეფალიას ვუმორჩილებდით კონსტანტინოპოლს. სიგელის ტექსტმა დაძაბულობა გამოიწვია. ბატონი ნოდარ ლომოური წამოღდა და სრული დაბეჯითებით მოახსენა საქართველოს პატრიარქს, რომ ამ სიგელზე ხელისმოწერა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. ცხადია, მისი უწმინდესობა გაახარა მეცნიერის გამოსვლამ, სამაგიეროდ სტუმრები გააოცა მეცნიერის მკაცრმა ტონმა. ისინი მიხვდნენ, რომ ქართველ ერსა და ინტელიგენციას ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი ძალზე მნიშვნელოვნად მიაჩნდათ. მიტროპოლიტმა ქრიზოსტომოსმა განაცხადა, რომ დოკუმენტზე

მუშაობა უფრო დაიხვეწებოდა სამომავლოდ. იგი მიტროპოლიტ დამასკინოსთან ერთად კვლავ ეწვია საქართველოს, ტექსტის დახვეწა გაგრძელდა.

1990 წლის 7 იანვარს, შობის დღესასწაულზე, კვლავ ჩამობრძანებულმა მიტროპოლიტმა ქრიზოსტომოსმა, წირვის შემდეგ სიონის მრევლს ამცნო, რომ მსოფლიო საპატრიარქო აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და მისი მეთაურის საპატრიარქო ტიტული. შეხვედრისას საბოლოო ვარიანტი კვლავ შესწორდა და დაიხვეწა. ტექსტის მისაღებად სტამბოლში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში ჩაბრძანდა უწმიდესი პატრიარქი ილია II წმ. სინოდის წევრებთან ერთად. 1990 წლის 4 მარტს, მართლმადიდებლობის დღესასწაულზე ქართულმა ეკლესიამ მიიღო მისთვის სასურველი ორი სიგელი. ერთი ადასტურებდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას, მეორე მისი მეთაურის პატრიარქის ტიტულს.

მე ბედნიერება მქონდა, მისი უწმიდესობის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს წმიდა სინოდის საგანგებო კრებაზე წამეკითხა “საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი” უწმიდესის თბილისში ჩამობრძანების შემდეგ. სიგელში კერძოდ ნათქვამია: - “დიმიტრიოსი, წყალობითა ღმრთისაითა მთავარეპისკოპოსი კონსტანტინოპოლისა, ახლისა რომისა და მსოფლიო პატრიარქი... კავკასიის კურთხეულ მიწაზე, ამჟამად საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში შემავალი წმიდა და მართლმადიდებელი ეკლესია, რომელმაც უძველესი დროიდან მიიღო თვითმმართველი და თავისუფალი განმგებლობა და შესაბამისად საეკლესიო მმართველობითი ორგანიზაციაც... მიმართავს ყოველი ხელსაყრელი შემთხვევისას ჩვენს ეკუმენურ საპატრიარქო ტახტს და ითხოვს კურთხევასა და მტკიცებას თავისი თვითმმართველობითი სტრუქტურისა... ჩვენი უმდაბლესობა და ჩვენი კურთხეული მიტროპოლიტები... განიმსჭვალა აზრით... ცნოს და დაამტკიცოს საქართველოს წმიდა ეკლესიის ავტოკეფალია და დამოუკიდებელი სტრუქტურა... სინოდის გადაწყვეტილებითა და სულიწმიდით განათლებულნი ვაცხადებთ საქართველოს უწმიდეს ეკლესიას იმავე თვითმმართველი სტრუქტურითა და ორგანიზებით, რაც უძველესი დროიდან ჰქონდა და რაც დამოწმებულია, აგრეთვე ბალსამონის მიერ, რომელიც წერს: “...ამბობენ, რომ დღესა მათ შინა უწმიდესისა პატრიარქისა ღვთაებრივი ქალაქისა დიდისა ანტიოქიისა უფალი პეტრესი, გამოტანილ იქნა სინოდური დადგენილება, რომ იქმნეს თავისუფალი და ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა”, მივიჩნევთ რომ იგი არის ძმურ მართლმადიდებელ ეკლესიათა პლეადაში და ვადასტურებთ, აგრეთვე იმას, რომ იგი სახელდებულია, როგორც “წმიდა ავტოკეფალური ეკლესია სრულიად საქართველოსა”... შეუბღალავად დაიცავს მართლმადიდებლურ სარწმუნოებასა და ღვთისმოსაობას და ამასთანავე მართლმადიდებელი ეკლესიის საღმრთო და წმიდა კანონებსა და წესებს. რიგის მიხედვით მოიხსენიებს წმიდა დიპტიქში სახელს ყოველი მსოფლიო პატრიარქისა და სხვა უწმიდეს პატრიარქთა და წმიდა მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიების უნეტარეს გამგებელთა, რაც შეეხება წმიდა მირონის საკითხს, დაცული იქნება ამასთან დაკავშირებით დადგენილი საეკლესიო წესი... წელსა 1990, თვესა იანვარსა (25)”.

მეორე სიგელი ქართული ეკლესიის საპატრიარქო ღირსების აღიარებას შეეხება, რომელშიც წერია: “საქართველოს უწმიდესი ეკლესიის მეთაურისთვის საპატრიარქო ტიტულის ცნობის და ბოძების საპატრიარქო სინოდური განჩინება”, დიმიტრიოსი, წყალობითა ღმრთისაითა მთავარეპისკოპოსი კონსტანტინოპოლისა ახლისა რომისა და მსოფლიო პატრიარქი... საქართველოს უწმიდესი ეკლესია პატივდებული იქნეს საპატრიარქო ღირსებითა და ადგილით, როგორც ადრიანზე იხსენიებოდა უძველეს ქრონიკებსა და სხვა საეკლესიო წყაროებში მისი ტიტული - “მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოსა”, ასევე იხსენიებოდას ამიერიდანაც მართლმადიდებლურ საღმრთო და წმიდა განგებებში...”

სამწუხაროდ, ამ დროისათვის არ იქნა განხილული ქართული ეკლესიის ადგილის საკითხი მართლმადიდებლურ დიპტიქში. დიპტიქის საკითხი არის ურთულესი და ესება ეკლესიათა ღირსებას. მაგალითად, სერბეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის ეკლესიებს კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ ადრე მიანიჭა ავტოკეფალია და საპატრიარქო ღირსება, ამიტომ კონსტანტინოპოლის დიპტიქში ისინი იხსენიებიან საპატრიარქო ეკლესიათა რიგში რუსეთის ეკლესიის შემდეგ, შესაბამისად VI, VII და VIII ადგილებზე. რადგანაც ქართული ეკლესიის უფლება შემდეგში იქნა ცნობილი, იგი უნდა ჩადგეს მათ უკან, ე.ი. IX ადგილზე, რაც ცხადია, მიუღებელია ჩვენთვის. ასე, რომ საკითხი სადავოა. ამ საკითხის გადაჭრას საეკლესიო საბუთების მოშველიებით ცდილობენ მსოფლიოს ეკლესიები.

მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიები ემზადებიან ახალი მსოფლიო საეკლესიო კრების ჩასატარებლად. ცნობილია, რომ ბოლო მსოფლიო კრება ჩატარდა ათასზე მეტი წლის წინ. ამის შემდეგ მსოფლიო მართლმადიდებლობას დაუგროვდა მრავალი საკითხი, რომელთა გადაჭრაცაა საჭირო. გადაწყდა, მსოფლიო კრების წინ ჩატარდეს წინა მოსამზადებელი თათბირები. უკვე ჩატარდა რამდენიმე თათბირი, რომლებზეც დადგინდა, რომ მომავალი მსოფლიო კრების დღის წესრიგში შეიტანონ სულ 10 საკითხი, მათ შორის ისეთებისა, როგორიცაა მარხვის, კალენდრის, აღდგომის ერთ დღეს დღესასწაულის, დიპტიქის, ავტოკეფალიის, დიასპორისა და სხვა საკითხები. მსოფლიო მართლმადიდებლურ ეკლესიებს სურთ, კრებამდე განიხილონ და შეისწავლონ ყველა საკითხი, მიაღწიონ სრულ თანხმობას ყველა საკითხზე, რადგანაც

თუ შეუთანხმებელ საკითხებს გაიტანენ მსოფლიო კრებაზე განსახილველად, შეიძლება ამან გამოიწვიოს კამათი და უთანხმოება, მსოფლიო კრება იქცევა არა ერთობის, არამედ განყოფილ კრებად, რაც დაუშვებელია. ამიტომ საკითხს დიპტიქისა, რომელიც დაუდგენელია ქართული ეკლესიის მიმართ, მსოფლიო ეკლესიები სწავლობენ. ამ საკითხზე თავიანთი აზრი გამოთქვენ რუსეთის, ელადის, კონსტანტინოპოლის და სხვა ეკლესიებმა თავიანთ “თემებში დიპტიქის შესახებ“. მათზე დაყრდნობითა და სხვა წყაროების მონაცემებით ჩემს მიერ მომზადებული თემა “მართლმადიდებლურ დიპტიქში ქართული ეკლესიის ადგილის შესახებ“ უკვე გამოქვეყნებულია.

## თავი XVII. საქართველოს სახელმწიფოს აღორძინება

### ეროვნული სახელმწიფოსა და ეროვნული ეკლესიის ურთიერთობა

უფალი ღმერთის უმოწყალესი მადლით XX ს-ის ბოლოს აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრიობა, ქართველმა ერმა და საქართველოს მოსახლეობამ შექმნა თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რისთვისაც მარად ღოცულობდნენ ჩვენი წმიდა მამები და პატრიარქები. როგორი უნდა იყოს ეროვნული ეკლესიისა და ეროვნული სახელმწიფოს ურთიერთობა? საკითხი აქტუალურია, ამჟამად საზოგადოება ცდილობს მის მოგვარებას, რადგანაც პარლამენტს ჯერჯერობით შესაბამისი კანონი არ მიუღია.

კირიონ კათალიკოსმა ადრევე განაცხადა ბოლშევიკათების ბატონობის დასაწყისში: “გაუზვიადებლად ვამბობ, რომ ის ყოველად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელთაც ამ უკანასკნელ წლებში ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენების და სულიერი გავლეურების და გახრწნის კარამდე“. გავიდა ბოლშევიკათების ხელისუფლების ბატონობის უმძიმესი 70 წელი. ღვთის შეწევნით, ერი გადაურჩა ფიზიკურად გადაშენებას, მაგრამ “სულიერ გავლეურებას და სულიერ გახრწნას“ თავი ვერ აარიდა. ეს გამოჩნდა ომისას, როცა საქართველომ დროებით დაკარგა ძირძველი მიწა-წყალი აფხაზეთსა და სხვაგან. ეს ჩანს აგრეთვე მისი მაცოცხლებელი სულის - ეკლესიისადმი დამოკიდებულებითაც. ის გარემოებაც, რომელშიც ჩააყენეს ჩვენი წმიდა ეკლესია კომუნისტებმა, ნელა იცვლება. ეკლესია მათი ბატონობიდან გამოვიდა ეკონომიკურად გაჩანაგებული, უსახსრო, ყოველგვარი მუდმივი საარსებო წყაროს გარეშე. ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ ღვთისმსახურს არა აქვს ხელფასი, პენსია, არ ეძლევა საცხოვრებელი ფართობი და არა აქვს საზოგადოებაში ის ღირსეული ადგილი, რომელიც ტრადიციულია მისთვის. ღვთისმსახურის მსგავსი მდგომარეობის გამო სულიერად შეძრული წმიდა ილია მართალი დაღადავდა:

- “ჩვენს ერს მღვდელი არა ჰყავს. ის მღვდლები, რომელნიც არიან, იმისთანა ყოფაში არიან, რომ მარტო ლუკმა-პურის ძებნაში აღამებენ თავიანთ დღესა და ერის სასულიერო საქმისათვის ვეღარ იცლიან“ (1881 წლის დეკემბრის “შინაური მიმოხილვა“, ტ. 5. გვ. 136).

შეიძლება ვინმემ თქვას, ილიას დროს საქართველოში სამღვდლოება საკმაოდ იყო. ცხადია, იყვნენ და გაცილებით უფრო მეტი რაოდენობისა, ვიდრე დღეს არის. მათი მატერიალური მდგომარეობაც ახლანდელზე უმჯობესი იყო, მაგრამ როცა წმიდა ილია ბრძანებს: “ჩვენს ერს მღვდელი არა ჰყავს“, იქვე განმარტავს, რომ მღვდელი თუ თავისი უშუალო მოვალეობისათვის - “ერის სასულიერო საქმისათვის“ ვერ იცლის იმის გამო, რომ “ლუკმა-პურის ძებნაში აღამებს თავის დღეს“, მღვდელი არ არის.

ოსმალთა ხანგრძლივი 500 წლოვანი ბატონობის შემდეგ, როდესაც ბერძენმა ხალხმა თავისი ეროვნული სახელმწიფო აღადგინა, XIX ს-ში უპირველეს მიზნად დაისახა აღედგინა თითოეული მოქალაქის ეროვნული თავისთავადობა ანუ “ბერძნობა“, რომელიც შეირყა მტრის ბატონობისას. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, აღადგინეს ნაციონალურ თვისებათა ღვრიტა - ბერძნული ეკლესია, სახელმწიფომ ბერძნული ეკლესია გამოაცხადა ეროვნულ ეკლესიად, მაშასადამე, სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ბერძნული ეკლესიის ყოველგვარი სოციალურ-ეკონომიკური საკითხის გადაჭრა, სამღვდლოებას დაენიშნა ხელფასები I კატეგორიის სახელმწიფო მოხელეთა თანაბრად. ბიუჯეტმა გაითვალისწინა სახსრები სამღვდლოების სოციალური უზრუნველყოფის, ბინების, პენსიებისათვის, სხვა საჭიროებისათვის. მხოლოდ ერთი საქმე დაეკისრა სამღვდლოებას - თავისი სულიერი მოვალეობის შესრულება - ახალი თაობის აღზრდა, ერის ზნეობრივი გაჯანსაღება.

ჩვენი ეკლესიის წმიდანებს ჰქონდათ შეხედულება იმის შესახებ, როგორი უნდა ყოფილიყო სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ. წმიდანის ყოველი სიტყვა ჩვენთვის წმიდაა და მათი აღსრულება მხოლოდ სიკეთის მომტანი. წმიდა ალექსი (შუშანია) საქართველოს სიღრმეში, პროვინციაში მოღვაწეობდა, ხალხის შუაგულში ტრიალებდა, მისი მაშინდელი წუხილი კარგად ეთანადება ჩვენს დღევანდელს. იგი წერდა: “დღეს დაგვიდგა საჭირობოროტო საქმე სახელმწიფოდან გამოყოფისა და სამღვდლოებას მოუსპვს საერთო ჯამიდან ლუკმა და ამბობენ: მორწმუნეთა ოჯახმა არჩინოსო. საკვირველია სწორედ, რომ სამღვდლოება, რომელიც ერის რწმენას ემსახურება, უნაწილოდ ყვეს ერის საზიარო ხაზინიდან, რომელიც შეადგენს არა ვისიმე კუთვნილებას, არამედ ქონებას იმ ერისას, რომელთა რიცხვში ცხრა მე-

თედს მორწმუნეთა ოჯახი შეადგენს და ამათგან გადასახადის ნაოფლართ დაუნჯებელი ხაზინა განა მწარე უსამართლობა არ არის, რომ იმავე ოჯახთა რწმენას არ მოხმარდეს, რა დააშავა მღვდელმა, რომ გამოდევნეთ ერის ქონებისაგან?“ (ალექსი ბერი (შუშანია) “მთავრობა და სარწმუნოება“, გვ. 2).

წმიდა ალექსი ბერის მოსახრება ფაქტიურად გახლავთ გაგრძელება ილია მართლის წუხილისა.

ეკლესიისადმი ჩვენი სახელმწიფოს დამოკიდებულების ისტორია მეორდება. ცნობილია, რომ I მსოფლიო ომში დამარცხების გამო რუსეთის იმპერია დაიშალა, საქართველომ ამის გამო მისთვის მოულოდნელად მოიპოვა დამოუკიდებლობა, ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდა სოციალისტ-მენშევიკების პარტია, რომელიც წლების მანძილზე იღვწოდა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. “დამოუკიდებელი საქართველოს მესვეურნი ათეისტური მსოფლმხედველობისანი აღმოჩნდნენ. მათ ეკლესია - ქართველი ხალხის სულიერი ძლიერების სიმბოლო - სახელმწიფოსაგან გამოჰყვეს, სკოლა ეკლესიისაგან და რა სავალალო შედეგებიც აქედან მივიღეთ ეს დღეს ყველასათვის ცნობილია“ - წერს ს. ვარდოსანიძე (“კირიონ II“, 1984, გვ. 23).

ჩვენი ეკლესიის უდიდესი მოღვაწის, შემდგომში კათალიკოს-პატრიარქ ლეონიდეს აზრით, ეს გადაწყვეტილება არასწორი იყო. ამის დასასაბუთებლად ლეონიდეს მოჰყავდა შემდეგი არგუმენტები: 1. რელიგიური გრძნობა ადამიანისათვის ისევე აუცილებელია, როგორც სხვა ხალხის გრძნობები. სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს ამ გრძნობის დასაქმყოფილებლად. 2. ერის განვითარება წარმოუდგენელია რელიგიური რწმენის გარეშე, ქართველი ერის განვითარება ქრისტიანობის გარეშე, რადგან სწორედ ქრისტიანობამ გადაარჩინა იგი, მისი კულტურა, ქრისტიანობამ შეუნარჩუნა მას ეროვნული სახე. 3. ადამიანები ვერ იქნებიან მორალურად წმინდანნი, თუ მათი სამოქმედო რიტუალები: ქორწინება, დაბადება და სხვა საეკლესიო წესებით არ იქნებიან ნაკურთხნი. კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე წერდა:

“ეკლესიის განადგურებით ვერც კულტურულად მოიგებს ჩვენი სახელმწიფო. ის სოციალიზმი, რომლითაც ქვეყნის გაბედნიერებას ღამობენ, მმართველ პარტიას ჯერ ვერ დაუშვარებია. სხვა ღირებულება კი, რომელსაც ქრისტიანობის მაგივრობა შეეძლოს ჩვენი ხალხისათვის, ვერც მორალური და ვერც გონებრივი მას ვერ შეუქმნია“ (ლეონიდეს პირადი არქივი. ცენტრარქივი).

1918-21 წლებში დემოკრატიული საქართველოს მესვეურებს მსოფლიოში ყველაზე უფრო დიდ სოციალისტებად წარმოედგინათ თავი. როგორც ჩანს, ამჟამად ჩვენშიც ცდილობენ მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული საზოგადოების შექმნას. წარმოდგენა ისეთია, თითქოსდა დემოკრატიულ ქვეყნებში სახელმწიფო აღარ ზრუნავს ეროვნულ ეკლესიაზე, არ უწყობს მას ხელს, სინამდვილეში კი მსოფლიოს ყველაზე უფრო დემოკრატიულ ქვეყნებში არსებობენ სახელმწიფო ეკლესიები, სამღვდლოება და საეკლესიო დაწესებულებანი იღებენ ხელფასს, თანხებს, ეკლესია არ არის გამოყოფილი ახალგაზრდობისა და მოსახლეობის სულიერი აღზრდის საქმიდან, ე.ი. სასკოლო სისტემიდან, არ არის აკრძალული სკოლებში სასულიერო ხასიათის საგნების შესწავლა და სხვა. ესე იგი ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნებში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა სწორედ ისეა დაყენებული, როგორსაც ითხოვდნენ წმ. ილია მართალი, ალექსი შუშანია, კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე და სხვა წმიდა მამები. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში არის ორი სახელმწიფო ეკლესია: ინგლისში ანგლიკანური ეკლესია, ხოლო შოტლანდიაში - პრესვიტერიანული. ანგლიკანური ეკლესიის მღვდელმთავრების დიდი ნაწილი ღორღთა პალატის წევრია. სამღვდლოება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ, სახელმწიფოსაგან იღებს ხელფასებს, პენსიებს, სოციალურ დახმარებას, საეკლესიო გასავალ თანხებს ანაზღაურებს სახელმწიფო. ასევეა შვეციაში, სადაც სახელმწიფო ეკლესიის სტატუსი აქვს ევანგელიკურ-ლუთერანულს, იტალიაში სახელმწიფო ეკლესია კათოლიკურია, თუმცა ქვეყანაში სინდისის თავისუფლებაა გამოცხადებული. ასევეა ირლანდიაში. აქ ეკლესია აკონტროლებს განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემებს, ასევეა ბელგიაში, საბერძნეთში, ავსტრიაში, პორტუგალიაში, გერმანიაში, დანიაში, ისლანდიაში, ნორვეგიაში, ფინეთში, ესპანეთში. ყველგან არსებობს სახელმწიფო ეკლესია მისგან გამომდინარე ყველა შედეგით. მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობის კონსტიტუციაში შეტანილია მუხლი სახელმწიფო ეკლესიის შესახებ. მათ “ეროვნულ“ ან “სახალხო“ ეკლესიებს უწოდებენ.

დღესდღეობით, როგორც აღინიშნა, ჩვენი სამღვდლოება ყოველდღიურ ზრუნვასა და ჯაფაშია, რომ როგორმე მოიპოვოს საარსებო სახსარი ოჯახის გამოსაკვებად, ქველი საქმის აღსასრულებლად, სხვათა დასახმარებლად, საქვეყნო ვალის მოსახდელად. ამ სახსრებს კი თავისი პირადი შრომით მოიპოვებს - ნათლობითა და სხვა წესების შესრულებით. საბედნიეროდ, მიუხედავად ასეთი ჯაფისა, ჩვენს სამღვდლოებას კიდევ ყოფნის ენერგია, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს მრევლის სულიერი აღზრდისა და უცხო სექტების საწინააღმდეგო ღვაწლში. ქართული ეკლესია საქართველოში სხვა რელიგიებთან და სექტებთან შედარებით არათანაბარ პირობებშია ჩაყენებული. ყველა უცხო რელიგიას, რომელიც არ უნდა იყოს იგი, დიდი მხარდაჭერა და დაფინანსება აქვს უცხოეთის სასულიერო ცენტრებიდან, უცხო სახელმწიფოებიდან ისინი იღებენ სახსრებს, საუკეთესო ნაბეჭდ იაფ ლიტერატურას, დახმარებას, მაშინ, როცა ჩვენი სამღვდლოება და ეკლესიები მხოლოდ საქართველოს გადატაკებული მრევლის მომსახურებით

არსებობენ. ჩვენს მრევლსა და ქართულ ეკლესიას XIX ს-ში 150 მილიონი ოქროს მანეთის ქონება და ნახევარ მილიონამდე ჰექტარი მიწა ჩამომართვეს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აღდგენილი სახელმწიფო აღადგენს თავის სულიერ საფუძველს - ეკლესიას; ვლოცულობთ, რათა აღდგეს ჩვენი ერისა და საქართველოს წმიდა ეკლესიის სულიერი კავშირი ისეთივე სახით, როგორც იყო წინა საუკუნეებში საქართველოს თავისუფლების დროს. ამინ.

თავი XVIII

საქართველოს ეკლესიის ისტორიის დამახინჯება საბჭოთა ეპოქაში

დამპყრობელი მუდამ ცდილობს დამორჩილებული ხალხის ასიმილაცია-გადაგვარებას. რუსეთის იმპერიაც საქართველოს ანექსიის შემდეგ მთელი 200 წელი ყოველნაირად ცდილობდა ქართველი ხალხის გარუსებას, როგორც ვიცით თვალხილული ფაქტებითა და წყაროებით, ასევე წმ. ამბროსი ხელაიასა და კალისტრატე ცინცაძის ნაწერებით.

რუსეთის იმპერიულ ხელისუფლებს მიანდათ, რომ ქართველთა გადაგვარება-გასარუსებლად უპირველესად საჭირო იყო ეროვნული მთლიანობის დარღვევა, ერის ისტორიული ცნობიერების გამრუდება. “დაყავი და იბატონეს“ დევიზით უკვე XIX ს-ის 70-80-იანი წლებიდან სამეცნიერო წრეებს შეუკვეთეს “მეცნიერული“ მეთოდებითა და სახელმძღვანელოებით დაენერგათ თვალსაზრისი, თითქოს ქართველი ხალხი სხვადასხვა თავისთავადი ხალხის კონგლომერატისგან შედგებოდა, თითქოს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები იყვნენ ქართლელები, კახელები, იმერლები, მეგრელები, ძველი აფხაზები, მესხები და სხვანი, თითქოს თავისთავადი ენებია მანამდე ქართული ენის კილოკავებად მიჩნეული მეგრული, სვანური, ხევსურული, ლაზური, მესხური, თუშური, ინგილოური თუ ფერეიდნული მეტყველება. მათთვის ყველაზე მიუღებელი აღმოჩნდა ქართული ლიტერატურა და განსაკუთრებით საქართველოს ისტორია, რომელიც მწყობრი სისტემით ჰქონდათ გადმოცემული უძველეს ქართულ მატრიანეებსა და წყაროებს.

რაოდენ მიუღებელი და საშიში გახლდათ იმპერიისთვის საქართველოს ისტორია, ამაზე კარგად მეტყველებს მისი გადაგვარებული ქართველი მსახურის, იმპერიის ერთ-ერთი დიდმოხელის, XX ს-ის 30-იან წლებში “ცენტრალური კომიტეტის“ იდეოლოგიური ხელმძღვანელის, “კულტურის განყოფილების უფროსის“, ამასთანავე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის კარლო ორაგველიძის შეფასება-მოწოდება: “ჩვენს წინაშე დგას ციხესიმაგრე, რომელსაც საქართველოს ისტორია ეწოდება და რომელიც ჯერ აუღებელია, მაგრამ არ არსებობს ისეთი ციხესიმაგრე, რომლის აღება ბოლშევიკებს არ შეეძლოთ. საჭიროა ენერგიული მუშაობა და მტკიცე ბოლშევიკური ნებისყოფა ამ ციხესიმაგრის ასაღებად“ (“ივ. ჯავახიშვილი ტირანის წინააღმდეგ“, 2004 წ. გვ. 172).

“ციხესიმაგრე, რომელსაც საქართველოს ისტორია ეწოდება“, ვფიქრობ, მტრის მხრიდან საუკეთესო შეფასებაა ჩვენი ერის წარსულისა. როგორ შეძლეს ბოლშევიკებმა, ბოროტების იმპერიის მმართველებმა, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ მსოფლიოს, “საქართველოს ისტორიის ციხესიმაგრის აღება“? საერთოდ შეძლეს კი? სამწუხაროდ, შეძლეს! სასტიკად გააყალბეს და დამახინჯეს ჩვენი ისტორია. უარყვეს არა მხოლოდ ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი ქართველი ერის უძველესობის შესახებ, არამედ სიყალბედ გამოაცხადეს ქართული მატრიანეების დაბეჯითებული მოსაზრებანი ფარნავაზის ეპოქაში პირველი დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესახებ. თუ რომელიმე ისტორიკოსი გაბედავდა და ქართულ წყაროების ამ მოსაზრებებს თავის ნაშრომებში გამოიყენებდა, შესაბამისად ისჯებოდა, არ უბეჭდავდნენ ნაშრომს, ვაიმეცნიერად რაცხდნენ, დასცინოდნენ კიდევაც, ამიტომ ამჟამადაც კი, როცა დვთის მაღლით უკვე აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრიობა, სასკოლო სახელმძღვანელოებში “მეცნიერული“ თვალსაზრისის შესაბამისად ფარნავაზი მხოლოდ “აღმოსავლეთ საქართველოს“ მეფეაა გამოცხადებული. ჩვენი ზოგი ამჟამინდელი მეცნიერი, საბჭოურ-რუსული ისტორიოგრაფიის წარმომადგენელი ძველი ქართული ისტორიოგრაფიის საწინააღმდეგოდ ამტკიცებს, რომ დასავლეთ-აღმოსავლეთი საქართველო არ ყოფილა ერთიანი მეფე ფარნავაზის შემდეგ, რომ თითქოს დასავლეთის ქართველობა მხოლოდ მოგვიანებით შევიდა ქართულ კულტურულ და პოლიტიკურ არეში. როგორც წესი, ამ “მოგვიანებით“ პერიოდში იგულისხმება IX-X სს. უფრო მეტიც, ზოგი მეცნიერი ამტკიცებს, თითქოს ბოლბე, გურჯაანი, მიმდებარე კახეთის მხარეები და ე.წ. “გაღმა მხარი“ (საინგილო) თავდაპირველად ალბანელებით იყო დასახლებული, რომელთა “ქართიზაცია-გაქართველება“ IV-V სს-ში მოხდა. არანაკლებ აბსურდულია ზოგი ცნობილი საბჭოთა ქართველი მეცნიერის თვალსაზრისი, თითქოსდა ქვემო ქართლში სომხები სახლობდნენ და ისინი კირიონ კათალიკოსმა “გააქართველა“ ქართიზაციის პროცესის შედეგად, თითქოსდა ფშავ-ხევსურეთისა და მიმდებარე კუთხეების ქართიზაცია განხორციელდა IX-X სს-ში, ქართული ეკლესიის ძალადობით გაქართველდა ტაო-კლარჯეთის სომხური მოსახლეობა და იქაური “სომხურ-ქალკედონური“ მონასტრები.

ხემოთქმულიდან ჩანს, რომ საბჭოთა იმპერიამ მართლაც შეარყია “საქართველოს ისტორიის ციხესიმაგრე“, შეარყია ეროვნული ცნობიერება, აღორძინა კუთხურ-რეგიონული შემეცნება, ეს კი ახლა ხელს უშლის და აბრკოლებს ქართველი ერის კონსოლიდაცია-გამთლიანების

შიდა საქმეს. იმპერიას ახლაც აქვს იმედი, რომ საქართველო დაიშლება რეგიონულ სახელმწიფო წარმონაქმნებად და სათითაოდ დაიპყრობენ მათ.

### ყოველად წმიდა “სამების ტაძრის“ აღმართვა თბილისში

განგებულებასა და მუდმივ მფარველობას ღვთისას - აი, რას წარმოაჩენს წარსულის ისტორია, ისტორიის ღვთისმეტყველება.

ჩვენი სულკურთხეული წინაპრები მადლობდნენ და აღივსებდნენ უფალ ღმერთს იმ უხვი წყალობისთვის, რითაც ქართველობა გადაურჩა უბოროტეს მტრებს, დაიცვა წმიდა სარწმუნოება, სულის ცხოვრებისა და გადარჩენის გზა, საკუთარი ენა, კულტურა, სახელმწიფო, მომავლის დიდი იმედი.

ნიშნულია და არა შემთხვევითი, რომ ქართველმა ერმა თავისი სახელმწიფოებრიობა აღიდგინა ახალი XXI საუკუნის დამდეგს, რამეთუ საქართველოს ისტორიის წრებრუნვა ასეთია: ყოველი ათასწლეულის დამდეგს ძლიერდება ქართველთა ერთიანობა და უჩვეულოდ ძლიერდება სახელმწიფო, კულტურა, გავლენის სფერო. ასე იყო ორი ბოლო ათასწლეულის მანძილზე, კერძოდ I ათასწლეულის დამდეგს, მოციქულების ქადაგებებისა და ღვთისმშობლის წილხვდომილობის შემდეგ საქართველო-იბერია გადაიქცა კავკასიის უდიდეს და უძლიერეს სახელმწიფოდ, ისეთ სახელმწიფოდ, რომ I-II საუკუნეებში სომხეთის სამეფო ტახტზეც კი ქართველი უფლისწულები აღივსებდნენ. ალბანეთი კი იბერიის გავლენის სფეროში შედიოდა. იმჟამინდელ მსოფლიო დედაქალაქ რომში ქართველ მეფეებს ქანდაკებებს უდგამდნენ და სახელმწიფო საზღვრებს უფართოვებდნენ “ორ ზღვას შორის“. ათასი წლის შემდეგაც, XI-XII საუკუნეებში, საქართველო ასევე იყო დიდი სახელმწიფო, განფენილი ნიკოფსიდან დარუბანდამდე.

X ს-ის ბოლოს კვლავ აღორძინებული საქართველოს ერთიანი სახელმწიფო II ათასწლეულის დამდეგს გაერთიანებული შეხვდა, ისტორია განმეორდა ათასი წლის შემდეგ, XX ს-ის ბოლოს კვლავ აღსდგა საქართველო და ახალ III ათასწლეულს 21-ე საუკუნეს ქართველი ერი თავისი ეროვნული სახელმწიფოთი შეხვდა.

XIX-XX საუკუნეებში უცხო იმპერიის მიერ ძალადაცლილი საქართველო თითქოსდა ელოდა ახალი ათასწლეულის დამდეგს იმედითა და ღრწით. წმიდა მამები ევედრებოდნენ უფალს არ დაევიწყებინა ის აღთქმა, რომელიც “ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მისცა ყოველწმიდა ღვთისმშობელს მისმა ძემ იესო ქრისტემ - “ჰოი, დედაო ჩემო არა უგულვებლევყო ერი იგი საზეპურო“. და მართლაც, დიდება უფალს - III ათასწლეულის დამდეგს მან კვლავ აღუდგინა ქართველ ერს ერთიანი სახელმწიფო. გამდლობთ, უფალო, ამ უდიდესი საბოძვარისათვის.

საქართველოს აღორძინების ნიშნად ყოველი ათასწლეულის დამდეგს უფალმა განსაკუთრებული სამლოცველოებიც გვიბოძა: I საუკუნეში აწყურის ტაძარში დასვენებული ყოველწმიდა ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი და ჭყონდიდში წმიდა ანდრია პირველწოდებულის ხელისდადებით აღმართული სასწაულთმოქმედი ჯვარი, XI ს-ის დამდეგს ბაგრატ III-ის მიერ აგებული ტაძარი იმჟამინდელ დედაქალაქ ქუთაისში, საქართველოს ერთიანობის სიმბოლო, III ათასწლეულის დამდეგს კი უწმიდესი პატრიარქის ილია II-ის მიერ თბილისში აგებული ყოველწმიდა სამების ტაძარი, საღივებელი უფლისა, გამაძლიერებელი ერისა, ახალი საუკუნეების დიდების ნიშანი.

რას გვასწავლის საქართველოს წმიდა ეკლესიის ისტორია? საუკუნეთა მანძილზე, როგორც I ისე II ათასწლეულში, მოციქულთა მიერ ნაქადაგევი წმიდა სარწმუნოების - მართლმადიდებლობის უარყოფა, უცხოეთიდან შემოსულ და მტრების მიერ მხარდაჭერილ სექტებში გაწევრიანება წარწყმედაა სულისა და უარყოფაა ერისა. ამ რეალობის ამსახველი ცნობა მრავლადაა ჩვენს წიგნში. თუ არა წმიდა მამების სიბრძნე, მთელი ერის თავდადება, კათოლიკე, გრიგორიანი და მაჰმადიანი ქართველები საბოლოოდ დაკარგავდნენ ეროვნულ ცნობიერებას. წმიდა მართლმადიდებლობა ანუ საქართველოს წმიდა ეკლესიის წევრობა ერთადერთი საყრდენი, მტკიცე ბურჯი იყო ქართველთა თვითშემეცნებისა და სულიერი გადარჩენისა, გზა საუკუნო სიცოცხლის მოპოვებისა.

აღამუთის აუღებელ ციხესთან აღყაშემორტყმული ქართველთა ლაშქარი უეჭველ სიკვდილს ყოველწმიდა დედაღვთისამ გადაარჩინა მონღოლთა ბატონობის დროს. ლაშქარი ევედრებოდა ქართველთა მარადის მფარველ ქალწულ მარიამს - და ჩვენც შევევედროთ ასეთი ღოცვით:

მოწყალებისა კარი განგვიღე,  
კურთხეულო ღვთისმშობელო,  
რათა, რომელნი ესე შენ გესავთ,

არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ  
წინააღმდეგომთა მტერთაგან,  
რამეთუ შენ ხარ ცხოვრება  
ნათესავისა ქრისტიანეთასა, ამინ.  
7.02.06.

## მცირე ცნობარი 1

\*1 შედგენილია სხვადასხვა გამოცემის მიხედვით. (რედ.).

ა

აბო თბილელი (დაახლ. 757-786) - ნერსე ქართლის ერისთავის მსახური, ტომით არაბი, რომელმაც ქრისტიანობა მიიღო. მას მაჰმადიანობაზე დაბრუნება მოსთხოვეს, მაგრამ უარი თქვა, რის გამოც თავი მოჰკვეთეს. ქართულმა ეკლესიამ წმიდანად შერაცხა. აბოს წამება აღწერა VIII ს-ის მწერალმა იოანე საბანისძემ.

აგათანგელოსი - V ს-ის სომეხი ისტორიკოსი. თავის ნაშრომში, რომელსაც ჰქვია “ისტორია“, აღწერს სომხეთის გაქრისტიანებას (IV ს-ის დამდეგი). მისი წიგნი ძველადვე ითარგმნა ქართულად.

ადერკი (დაიბადა ძვ.წ. 30 წ.) - ქართლის მეფე. მეფობდა ახ.წ. 1-57 წწ. მემკვიდრის ცნობით მისი მეფობისას იშვა იესო ქრისტე და საქართველოში შემობრძანდნენ წმიდა მოციქულები.

ადრეანტიკური ხანა - ძვ.წ. VIII-VI სს.

ადრეფეოდალური ხანა - IV-VI სს.

ადრეული შუა საუკუნეები, იგივე ადრეფეოდალური ხანა - IV-VI სს.

აგაგ მხარგრძელი (გარდაიცვალა 1250 წ.) - XIII ს-ის II მეოთხედის სპასალარი. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს საშინაო და საგარეო ცხოვრებაში. როცა მონღოლები შემოიჭრნენ საქართველოში, ნაცვლად იმისა, რომ ორგანიზებული წინააღმდეგობა გაეწია მტრისათვის, გამაგრდა თავის ციხე კაენში, ხოლო შემდეგ დაუზავდა მტერს და მასთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს საწინააღმდეგო ლაშქრობებში.

აგუსტუსი გაიუს ოქტავიანუსი (ძვ.წ. 63 - ახ.წ. 14 წწ.) - რომის იმპერატორი. მის დროს იშვა ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე.

ავესტა - ირანელთა რელიგიის - ზოროასტრიზმის უძველესი ლიტერატურული ძეგლი, ამჟამად ფარსების (ინდოეთში მცხოვრები ზოროასტრელების) და გებრების (ირანელი ზოროასტრელების) საღვთისმსახურო წიგნი. ზოგიერთი მოსაზრებით, ავესტა იყო ის “წიგნი ნებროთისა“, რომელიც ფარნავაზიან მეფეთა სახელში ინახებოდა და იცნობდა მირიან მეფე (IV ს.) და ვახტანგ გორგასალი (V ს.).

აზო, იზონი - “მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით არიან-ქართლის მეფის შვილი იყო. მას არიან-ქართლიდან ანუ ქართველი ერის მცირე აზიაში მდებარე სახელმწიფოდან, პოლიტიკური ცენტრი გადმოუტანია უფრო ჩრდილოეთით, კერძოდ კიმერიელთა მიერ განადგურებული კოლხური კულტურის არეალში. კოლხეთში მოსახლეობა არ შეცვლილა, მაგრამ სახელმწიფო კიმერიელებმა გაანადგურეს. ამიტომაც სამხრეთიდან (“არიან-ქართლიდან“), ჩრდილოეთით გადმონაცვლა პოლიტიკურმა ცენტრმა, სადაც აზომ შემოიფანა სამხედრო არისტოკრატია (ზედა ფენა), დააფუძნა ახალი სახელმწიფო - “ქართლის სამეფო“. “მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით მისი დასავლეთი საზღვარი იყო შავი ზღვა, ჩრდილო-დასავლეთით მდ. ეგრისწყალი, დედაქალაქი კი - მცხეთა.

ალექსანდრე I - დიდი (დაახლოებით 1390-1442 წ. შემდეგ) - საქართველოს მეფე 1412-1442 წლებში, კონსტანტინე I-ისა და ნათია ამირეჯიბის ძე, ზრდიდა ბებია რუსა. შეაკეთა სვეტიცხოველი, რუისის ტაძარი და სხვ. ცდილობდა, აღედგინა საქართველოს ადრინდელი საზღვრები. 1431 წ. დაიბრუნა ციხე-ქალაქი ლორე და ლორეს ველი, რომლებიც მანამდე თურქმან მომთაბარეებს ეპყრათ. შემოიერთა სივნიეთი (ახლანდელი ყარაბაღი) და მისი მეზობელი თემები. ალაგმა ურჩი მთავრები (დადიანი, შერვაშიძე, სამცხის ათაბაგი). ცდილობდა ქართული ეკლესიის გაძლიერებას, განაახლა უცხოეთის ქართული მონასტრები.

ალექსანდრე მაკედონელი, ალექსანდრე დიდი (ძვ.წ. 356-323) - მაკედონიის მეფე, მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე. მთელი სიცოცხლე ომებში გაატარა. ქართულ მატთანეთა ცნობით ხელი შეუწყო პირველი ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, რომლის სახელწოდება იყო “ქართლის სამეფო“. ეს სამეფო მოიცავდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს, შავი ზღვიდან სომხეთ-ალბანეთამდე. მისი პირველი ხელისუფალი აზო ალექსანდრე მაკედონელის “პატრიკოსად“ (მხედართმთავრად) მიიჩნეოდა.

ამბროსი ზოსიმეს ძე ხელაია (1861-1927) - საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1921-1927 წლებში. საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, მუშაობდა საქართველოს საეკლესიო პოლიტიკურ-კულტურულ და საისტორიო საკითხებზე. დაკრძალულია სიონის ტაძარში.

ანდრია პირველწოდებული, ანდრია მოციქული - ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფე, საქართველოში ქრისტიანობის პირველი მქადაგებელი. რუის-ურბნისის კრების "მეგლისწერის" ცნობით ანდრია მოციქულმა იქადაგა "ყოველსა ქუეყანასა საქართველოსასა", საქართველოში, კერძოდ ქაწყურში დააარსა პირველი საეპისკოპოსო კათედრა, ჩამოაყალიბა პირველი ქრისტიანული თემები ჩვენს ქვეყანაში.

ანთროპომორფული - ადამიანის მსგავსი.

ანტიკური ხანა - დრო ხმელთაშუაზღვისპირეთში პირველი ბერძნული კოლონიების წარმოქმნიდან (ძვ.წ. VIII-VI სს) რომის იმპერიის მიერ ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარებამდე (ახ.წ. IV ს.).

ანტონიუს პიუსი (86-161) - რომის იმპერატორი. ანტონიუს პიუსის დროს რომის იმპერია მეგობრობდა საქართველოს სახელმწიფოსთან ("ქართლის სამეფოსთან"). მან რომში მიიწვია იბერიის (ე.ი. საქართველოს, ქართლის) მეფე ფარსმან II და საზეიმო შეხვედრა მოუწყო. იმპერატორმა ფარსმანისადმი მეგობრობის ნიშნად. გააფართოვა ქართველთა მეფის სამფლობელო. ფარსმან II-ის სამეფოში შედიოდა არა მხოლოდ დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო, არამედ მისი გავლენის სფერო მოიცავდა სომხეთსა და ალბანეთს, ისე, რომ სომხეთის სამეფო ტახტზე ქართველი უფლისწულები ადიოდნენ.

არქანჯელო ლამბერტი (XVII ს.) - იტალიელი მისიონერი. რომის კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდის კონგრეგაციის დავალებით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში - ოდიშის სამთავროში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ 1654 წ. გამოაქვეყნა წიგნი, რომელშიც მოთხრობილია XVII ს-ის საქართველოს შუა წლების ოდიშის სამთავროსა და საერთოდ საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების, ყოფისა და კულტურის, ადგილობრივი წეს-ჩვეულებების, ბუნებრივი სიმდიდრეების შესახებ.

არჩილ მეფე (სტეფანოზის ძე. VIII ს.) - არაბების შემოსევისას სატახტო ქალაქად ქუთაისი გადასახდა. მართავდა კახეთს, მთიანეთსა და ეგრისს, მრავალი ციხე და ეკლესია-მონასტერი ააგო კახეთ-ჰერეთში. როცა საქართველოში არაბთა ახალი ტალღა შემოიჭრა ჭიჭნაუმ ასიმის სარდლობით, ეახლა ჭიჭნაუმს მოსალაპარაკებლად, რომ ქვეყანა აოსრებისგან გადაერჩინა. ჭიჭნაუმმა მაჰმადის რჯულზე მოქცევა შესთავაზა. არჩილმა უარი უთხრა. იგი აწამეს 744 წ. 20 მარტს, წამების შემდეგ თავი მოჰკვეთეს. ქართულმა ეკლესიამ არჩილ მეფე წმიდანად შერაცხა. მისი ხსენების დღეა 21 (4.07) ივნისი.

აფხაზები - არიან ძველი აფხაზები და ახალი აფხაზები. ისინი ეთნიკურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ძველი აფხაზები ქართველები არიან, ახალი აფხაზები კი (რომლებიც თავიანთ ენაზე თავს აფსუებს უწოდებენ, ქართულ და სხვა ენებზე კი აფხაზებს), ეთნიკურად ადიღე-ჩერქეზული წარმომავლობისა გახლავთ. საქართველოს დაშლა-დანაწევრების შემდეგ აფსუებმა შეძლეს აფხაზეთის ტერიტორიაზე ფეხის მოკიდება. ქართველთა ანუ ძველი აფხაზების მაღალი ფენა (შერვაშიძეები, ანჩაბაძეები, ჩხოტუები, ემხვარები და სხვ.) შეეთვისა დამპყრობლებს, აფხაზეთში გაბატონების შემდეგ აფსუები თავისუფალ ფენად ჩამოყალიბდნენ და მათ ხელქვეშ მოექცა დაბალი ფენა - ეთნიკური ქართველები, რომლებიც მონა-ყმის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. შემდეგ ქვეყნის მპყრობელ აფსუებს კუთხის (აფხაზეთის) სახელის მიხედვით აფხაზები უწოდეს. ამ ახალი აფხაზების სალაპარაკო ენა ადიღურ-ჩერქეზული ენის ჯგუფს განეკუთვნება, ძველი აფხაზებისა კი ქართულია (შედარებისთვის შეიძლება ვთქვათ, რომ ძველი მაკედონიელები ბერძნული წარმოშობის ხალხი იყო, ახალი მაკედონიელები კი სლავები არიან, ძველი ეგვიპტელები თავისთავადი ქამიტური ეთნოსი იყო, ახალი ეგვიპტელები კი არაბი სემიტები არიან).

ახალი ისტორია - XIX-XX სს.

ბ

ბაბილონი - მესოპოტამიის (შუამდინარეთის) უძველესი სახელმწიფოს დედაქალაქი. აიგო ძვ.წ. IV ათასწლეულში. ძვ.წ. 538 წელს სპარსელებმა დაიპყრეს, 331 წელს - ალექსანდრე მაკედონელმა, ხოლო 126 წელს სპარსელებმა დაანგრიეს.

ბაგრატ III (X ს-ის 60-იანი წლების დამდეგი - 1014 წ.) - გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე. მან შემოიერთა კლდეკარის საერისთავო, ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი (ამიერტაო), შავშეთი, კლარჯეთი, სამცხე, ჯავახეთი, აფხაზეთი, კახეთ-ჰერეთი. გარდაიცვალა ტაოში, ფანასკერტის ციხესიმაგრეში, დასაფლავებულია ბედიში (ოჩამჩირის რაიონი).

ბასილი ეზოსმოდგარი - XII-XIII სს-ის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, მეფე თამარის ერთ-ერთი ისტორიკოსი.

ბასილ II (ბულგართმმუსერელი. 958-102 წ.) - ბიზანტიის იმპერატორი 976 წლიდან მას აუჯანყდა სამხედრო ფეოდალი ბარდა სკლიაროსი. ბასილმა დახმარება სთხოვა საქართველოს მეფე დავით III დიდს, რომელმაც 12-ათასიანი ჯარი მიაწველა თორნიკე ერისთავის სარდლობით.



ბასილ II რამდენჯერმე შემოიჭრა საქართველოში XI ს-ის 20-იან წლებში. ებრძოდა საქართველოს მეფე გიორგი I-ს.

ბეთლემი - იუდეველთა ქალაქი პალესტინაში, ძველი აღთქმის მიხედვით იყო დავით მეფის სამშობლო, ახალი აღთქმის მიხედვით აქ იშვა ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე.

ბლაიხშტაინერი რობერტ - იხ. რობერტ ბლაიხშტაინერი

ბ

გელასი კესარიელი (გარდაიცვალა 395 წ.) - ბერძენი ისტორიკოსი, ავტორი თხზულებისა - "საეკლესიო ისტორია" (დაკარგულია), აღწერა ქართველთა მოქცევის ისტორია. მისი თხზულებიდან ნაწილები შემონახული აქვთ IV-V სს-ის სხვა ბერძენ-რომაელ ისტორიკოსებს.

გელასი კვიციანი - V ს-ის ბერძენი ისტორიკოსი, სარგებლობდა გელასი კესარიელის შრომებით.

გვიანი ანტიკური ხანა - I-IV სს.

გვიანი შუა საუკუნეები - XV-XVII სს.

გვიანი ფეოდალური ხანა - XV-XVIII სს.

გიორგი ათონელი - იხ. გიორგი მთაწმინდელი

გიორგი მთაწმინდელი (1009-1065) - ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი, ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველთა სამეცნიერო-ლიტერატურული საქმიანობის მოთავე. 1057 წ. ანტიოქიის პატრიარქთან გამართულ ცხარე კამათში ბრწყინვალედ დაიცვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალობა, რაც ერის ღირსებისა და კულტურის თვითმყოფადობის დამადასტურებლად ესახებოდა.

გიორგი სიაუმის ძე სააკაძე, დიდი მოურავი (დაახლოებით 1570-1629) - საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, საქართველოს გაერთიანებისათვის აქტიური მებრძოლი.

გრიგორიანი, აქედან - გრიგორიანობა - სომხური მონოფიზიტური ეკლესიის წევრი. სომხეთის განმანათლებლის წმ. გრიგორის (IV ს-ის დამდეგი) სახელის მიხედვით. გრიგორიანობა სომხურ-გრიგორიანული (მონოფიზიტური) აღმსარებლობაა.

ღ

დავითი (ბიბლ.) - ისრაელის მეორე მეფე (ძვ.წ. 1055-1015). სიემაწვილეში მწყემსავდა ცხვრებს. სახალხო გმირი გახდა ფილისტიმელთა გოლიათის დამარცხების შემდეგ. ავტორია ფსალმუნებისა. გამეფდა ფილისტიმელებთან ბრძოლაში მეფე საულის დაღუპვის შემდეგ.

დიკასტერია - 1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ძველ ათენში. 2. ქართლ-კახეთის სამეფოში საკათალიკოსოსთან არსებული უმაღლესი ადმინისტრაციულ-სასამართლო ორგანო. დაარსდა ანტონ I-მა XVIII ს-ის 70-იან წლებში. განაგებდა საერთოდ ყველა საეკლესიო საქმეს. სასამართლო მმართველობასთან ერთად სასამართლო ფუნქციებსაც ასრულებდა.

დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე (1826-1890) - ისტორიკოსი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი. მის სხვა ნაშრომთაგან აღსანიშნავია "ისტორია საქართველოსი", XIX ს-ის 80-იან წლებში გამაღწერებული პასუხი გასცა ქერობე პატკანოვს, რომელიც ხელაღებით უარყოფდა "ქართლის ცხოვრების", როგორც ისტორიული წყაროს, მნიშვნელობას.

დინარა დედოფალი - ქართული მატრიარქების მიხედვით იყო დედოფალი ჰერეთისა. მის დროს ჰერეთი დაუბრუნდა ქალკედონურ სარწმუნოებას (მანამდე ეს მხარე სომხურ-მონოფიზიტური ეკლესიის იურისდიქციის უღელქვეშ იმყოფებოდა). დედა-ქართულ ეკლესიასთან დაბრუნების შემდეგ ჰერეთის ეკლესიებში აღსდგა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა. "წორის ანუ დერბენდის" კარით შემოსულმა სლავმა მოლაშქრეებმა X-XI საუკუნეებში ივერიის (ანუ ჰერეთის) დედოფალი რუსული ლიტერატურის ლეგენდარულ პერსონაჟად აქციეს.

დიონ კასიუსი - იხ. კასიუს დიონ კოქციანიუსი.

დიოფიზიტი - ქრისტიანი, რომელიც აღიარებს ქრისტეს ორ ბუნებას - ადამიანურსა და ღვთიურს (საპირისპიროა მონოფიზიტი); დიოფიზიტი იგივეა, რაც "ქალკედონიტი" ანუ მართლმადიდებელი.

დიოცეხი - ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული რომის იმპერიაში.

დიუბუა დე მონპერე (1798-1850) - შვეიცარიელი მოგზაური, სიძველეთა მკვლევარი და გეოლოგი. 1831-34 წლებში იმოგზაურა ყირიმში, შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროსა და ამიერკავკასიაში. აღწერა საქართველოს დანალექი წყებების განამარხებული ფაუნა და შეადგინა საქართველოს პირველი გეოლოგიური რუკა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ხალხთა ისტორიის საკითხებს, ქართულ და სომხურ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს. თავის მოსაზრებებს გამოთქვამს ქართული ხუროთმოძღვრების თავისებურებათა და ისტორიული განვითარების შესახებ, მაგრამ უშეუბნებლად პრინციპულ შეცდომებს.

დოსითეოსი (1641-1707) - იერუსალიმის პატრიარქი 1669-1707 წლებში. დიდად განათლებული პიროვნება. მთელი სიცოცხლე კათოლიკობასთან ბრძოლას და მართლმადიდებლობის დაცვას მოახმარა. საქართველოში იყო პირველად 1658 წ., მეორედ - 1681 წ. ურთიერთობა დაამყარა ქართლის მეფე გიორგი XI-სთან.

ე  
ებრაელნი - სემიტური ტომი. ადრე “ებრაელი“ ნიშნავდა მეორე მხრიდან (ე.ი. ეფრატის მეორე ნაპირიდან) მოსულს. ბაბილონის ტყვეობის შემდეგ ებრაელებს იუდეველებს უწოდებდნენ. ევაგრე პონტოელი (346-399) - ბიზანტიელი სასულიერო მოღვაწე, მისი ქართული წარმოშობა ბერძნულ და კობტურ ლიტერატურაშია დამოწმებული.

ეგსევი კესარიელი, ეგსევი პამფილიელი (260-სა და 263-ს შორის - 340) - რომაელი საეკლესიო მწერალი, ისტორიკოსი.

ეზეკიელი - ძველ ებრაელთა ერთ-ერთი წინასწარმეტყველი (ძვ.წ. VI ს.).

ეთნო-რელიგიური თემები ოსმალეთში. ოსმალეთის იმპერიაში ქრისტიანებს არ დევნიდნენ და მათი მდგომარეობა უკეთესი იყო, ვიდრე ევროპის ქვეყნებში არაქრისტიანებისა. ასევე არ იდევნებოდნენ ებრაელებიც. ამიტომ XV ს-ის II ნახევარში ებრაელები დიდი რაოდენობით გადასახლდნენ ევროპიდან ოსმალეთში. სულთანმა მეჰმედ II (1451-1481) ცნობილი იყო ქრისტიანთა შემწუნარებლობით. უფრო მეტიც, მან ქრისტიანულ რელიგიურ თემებს მიანიჭა ოფიციალური სახელმწიფო სტატუსი (მათი საქმიანობისა და წესების განმსაზღვრელი დებულება). მეჰმედ II თავისი იმპერიის ეთნო-რელიგიურ თემში გაერთიანებულ ყველა ქვეშევრდომს უტოვებდა საკუთარ რელიგიას, ენას, სკოლებსა და სამოქალაქო კანონებსაც კი.

XV ს-ის II ნახევარში ოსმალეთის იმპერიაში სამი რელიგიური თემი იყო აღიარებული: 1) ბერძნულ-მართლმადიდებლური, 2) სომხურ-გრიგორიანული, 3) იუდეველთა თემი (“იკუდი მილეტი“).

ბერძნულ-მართლმადიდებლური თემის (“რუმ მილეტი“) - მეთაურად ოფიციალურად დაინიშნა კონსტანტინოპოლის პატრიარქი თავისი ბერძენი ეპისკოპოსებით. ამ თემში ოსმალეთმა კანონმდებლობით გააერთიანა მართლმადიდებელი ბულგარელები, სერბები, ხორვატები, მოლდაველები, ვლახები და მესხეთისა და ლაზეთის (ყოფილი ტაო-კლარჯეთისა და ე.წ. გიუმშიშხანეს) ქართველები. მათ სასულიერო და სამოქალაქო მეთაურად ახლა კონსტანტინოპოლის ბერძენი პატრიარქი და მისი ბერძენი ეპისკოპოსები გადაიქცნენ. კერძოდ სულთანმა ბერძნულ-მართლმადიდებლური თემის პატრიარქს მისცა “დაცვის სიგელი“, რომლის მიხედვითაც უფლება ჰქონდა განეხორციელებინა უფლებამოსილება აღნიშნულ ხალხებზე (გადასახადების მოკრება ან გათავისუფლება, ღოცვის ენა, რელიგიური წეს-ჩვეულებების წარმართვა).

ასევე ოსმალეთში შეიქმნა სომხურ-გრიგორიანული თემიც, რომლის მეთაურს იგივე უფლებები ჰქონდა რაც “რუმ-მილეტის“ პატრიარქს.

ქართველი ქრისტიანები, რომლებიც არ შევიდნენ რუმ-მილეტში, იდევნებოდნენ, რადგანაც მიიჩნეოდნენ რუსეთის სარწმუნოებრივი მიმართულების გამტარებლებად. ასეთი მიმართულება კი სასტიკად ისჯებოდა ოსმალეთში. ხოლო “რუმ-მილეტში“ შესული ქართველები თანდათანობით გაბერძნდნენ, ეროვნული თვითშეგნების ელემენტები შეინარჩუნეს მხოლოდ მაჰმადიანმა ქართველებმა. მართლმადიდებელმა მესხებმა და ლაზებმა საბოლოოდ დაკარგეს ეროვნული ცნობიერება.

ეკლესიარხი - პატრიარქის მდივანი, საქმეთამმართველი.

ელნისტური ხანა - დრო ალექსანდრე მაკედონელის ხანიდან (ძვ.წ. IV ს.) აღმოსავლეთში რომაელთა გაბატონებამდე (I ს.).

ეპიტამია - გარკვეული სასჯელი, რომელსაც ეკლესია უწესებს ცოდვის ჩამდენს.

ესაია (ძვ.წ. 770 ან 760 - ძვ.წ. 687 ან 642) - ძველ ებრაელთა პოლიტიკური მოღვაწე და რელიგიის რეფორმატორი, წინასწარმეტყველი.

ექვთიმე ათონელი - ის. ექვთიმე მთაწმინდელი

ექვთიმე მთაწმინდელი (955-1028) - სასულიერო მოღვაწე, მთარგმნელი, ათონის სალიტერატურო სკოლის მამამთავარი, 1005-1019 წწ. ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი. არ დარჩენილა არც ერთი დარგი სასულიერო მწერლობისა, რომელშიც ექვთიმე მთაწმინდელს განსაკუთრებული დამსახურება არ მიუძღვოდეს.

3

ვახტანგ გორგასალი (დაახლოებით V ს-ის 40-იანი წწ. - 502 წ.) - ქართველი მეფე, პოლიტიკური მოღვაწე, მხედართმთავარი. თავგამოდებით იბრძოდა ირანელთაგან ქვეყნის განსათავისუფლებლად, მისი დამოუკიდებლობისათვის, ეკლესიის, როგორც ერის შემაკავშირებელი და სახელმწიფოს ინტერესების გამომხატველი ძალის, მთლიანობისათვის. გააჩაღა დიდი საქალაქო მშენებლობა, ააგო მრავალი ახალი ციხე და ქალაქი, თუ ეკლესია-მონასტერი და აღადგინა ძველები. მიჩნეულია თბილისის დამაარსებლად.

ვახტანგ IV - საქართველოს მეფე 1443-46, ალექსანდრე I-ის ძე.

ვახტანგ V, შაჰნავაზი - ქართლის მეფე 1658-75 წწ., ბაგრატიონთა მუხრანბატონების შტოს წარმომადგენელი. 1654 წ. ირანში მაჰმადიანობა მიადებინეს და შაჰნავაზი (შაჰნავაზ-ხანი) უწოდეს.

ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (1696-1757) - გეოგრაფი, ისტორიკოსი, კარტოგრაფი, ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის შვილიშვილი. ქართულის გარდა კარგად იცოდა ბერძნული, ლათინური, ფრანგული, თურქული, რუსული და სომხური ენები. მისი დამსახურებაა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის პირველი საფუძვლიანი და დეტალური გეოგრაფიული აღწერილობა, გეოგრაფიული ატლასების შექმნა. ვახუშტის თხზულება “აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ საქართველოს გაბმული ისტორიაა უძველესი დროიდან XVIII ს-ის პირველ ნახევრამდე. პოლიტიკური ისტორიისათვის იყენებს ისტორიულ ქრონოლოგიას.

ზ

ზარატუშტრა (ირანულად, ბერძნულად კი ზოროასტრი) - ძველი სპარსული რელიგიის რეფორმატორი, ზოროასტრიზმის დამაარსებელი და წინასწარმეტყველი. იგი ისტორიული პირია. ავესტაში არის ცნობები მის გვარზე, ქალიშვილსა და მეგობრებზე.

ზენდ-ავესტა (სპარსული - “წიგნი სიცოცხლისა“) ზოროასტრიული რელიგიის “წმინდა წიგნი“, რომელიც შედგება საგალობლებისაგან, ე.წ. გათებისაგან. იხ. ავესტა.

ზოროასტრიზმი - ირანული რელიგია, რომლის დამაარსებელია ზარატუშტრა (ზოროასტრი) ძვ.წ. VI ს-ში. მას მახდენობის, ფარსიზმისა და ცეცხლთაყვანისმცემლობის სახელითაც მოიხსენიებენ. ამ რელიგიის წმინდა კანონია ავესტა.

თ

თამარაშვილი მიხეილ პეტრეს ძე - იხ. მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი.

თეოდორე - ანტიოქიის პატრიარქი პეტრე III-ის შემდეგ XI ს-ის შუა წლებში.

თეოდორე ბალსამონი (XII ს.) - ბიზანტიელი საეკლესიო მოღვაწე, ანტიოქიის პატრიარქი (1185-91 წწ.). კონსტანტინოპოლის II მსოფლიო კრების (381) მეორე კანონის განმარტების დროს ლაპარაკობს იბერიის ეკლესიის ავტოკეფალიაზე.

თეოფანე - ბიზანტიელი ისტორიკოსი, აღწერს VI-VII სს-ის ქართლის ამბებს, მეფე გურგენის გამგზავრებას კონსტანტინოპოლში 571 წლის აჯანყების შემდეგ.

თომა მეწოფეცი - XV ს-ის სომეხი ისტორიკოსი. იგი თავის შრომებში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების აღწერას. მოთხრობილი აქვს ქართლის თავგადასავალი დაახლოებით XIV ს-ის 80-იანი წლებიდან XV ს-ის 40-იან წლებამდე.

ო

იერემია წინასწარმეტყველი - იუდეის სამეფოს რელიგიური მოღვაწე, ძველი აღთქმის ერთ-ერთი დიდი წინასწარმეტყველი (ძვ.წ. VII-VI სს.).

ივანე გვარამაძე (1831-1912) - XIX ს-ის ქართველი პატრიოტი, საზოგადო მოღვაწე და ისტორიკოსი. ცხოვრობდა მესხეთში. იბრძოდა სომხურ-კათოლიკური ეკლესიის იურისდიქციის უღლი-საგან ქართველი კათოლიკეების გასათავისუფლებლად. დევნიდნენ რუსი მოხელეები.

ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი (1876-1940) - ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ივანე ჯავახიშვილის მეთაურობითა და ქართველ მეცნიერთა ჯგუფის ინიციატივით დაარსდა ქართული უნივერსიტეტი (დღევანდელი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი). ღრმა კვალი დატოვა მეცნიერულ ქართველოლოგიაში. არ დარჩენილა ისტორიისა და ფილოლოგიის არც ერთი დარგი, რომლებშიაც მას ფუძემდებლური ნაშრომები არ დაეტოვებია. დაწერა კაპიტალური შრომა “ქართველი ერის ისტორია“ (5 წიგნად) და მრავალი სხვა წყენი კულტურისა და მეცნიერებებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი წიგნი.

იმამყული-ხანი (XVI ს-ის უკანასკნელი მეოთხედი - 1633) - ირანის სარდალი, გამაჰმადიანებული ქართველი, რომელსაც დაევალა ქეთევან დედოფალთან მოლაპარაკება და მისი გადაბირება მაჰმადის რჯულზე. დავალება ვერ შეასრულა, ვინაიდან ქეთევან დედოფალი მტკიცედ იდგა ქრისტიანობაზე და რწმენისა და სამშობლოს დადატს მოწამეობრივი სიკვდილი ამჯობინა.

იოანე VIII (პალეოლოგოსი. 1391-1448) - ბიზანტიის იმპერატორი 1425-48 წლებში.

იოსებ ფლავიუსი (37-100 წ. შემდეგ) - ებრაელი ისტორიკოსი. აქტიურად მონაწილეობდა იუდეის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. რომის წინააღმდეგ იბრძოდა, როგორც მხედართმთავარი. მისი თხზულებები ძვირფასი წყაროა ძველი აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის ხალხების ისტორიის შესასწავლად.

იოსელიანი პლატონ - იხ. პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანი.

იულიუს კაპიტოლინი - რომის იმპერატორის ანტონინუს პიუსის (133-161) ბიოგრაფი.

კ

კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია - იხ. ამბროსი ზოსიმეს ძე ხელაია.

კაკაბაძე სარგის - იხ. სარგის ნესტორის ძე კაკაბაძე.

კალისტრატე (ერისკაცობაში კალისტრატე მიხეილის ძე ცინცაძე - 1866-1952 წ.წ.) - საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1932-1952 წლებში, ღვთისმეტყველების კანდიდატი. აქტიურად იბრ-

ძოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად. ამ საკითხს მიუძღვნა წიგნი “ქართული ეკლესიის ავტოკეფალია“ (რუსულ ენაზე, 1905 წ.). აქვს ისტორიული და ლიტერატურული ხასიათის მნიშვნელოვანი გამოკვლევები და წერილები: მის კალამს ეკუთვნის უნიკალური წიგნი “ჩემი მოგონებებიდან“ (დაიწერა რუსულად, 1954 წ. ითარგმნა და გამოიცა ქართულად 2001 წ.), რომელიც ეხება ეგზარქოსობის პერიოდს საქართველოში.

კაპიტოლიუმი - რომში ერთ-ერთი გორაკი, რომელზედაც აშენებულია სასახლეები, მუზეუმები და სხვ. ძველად ამ გორაკზე მოთავსებული იყო იუპიტერის, მინერვას და იუნონას ტაძარი (შემდეგ თვით ამ ტაძარს ეწოდა კაპიტოლიუმი).

კასიუსი დიონ კოქციანუსი (დაახლოებით 153-235) - რომაელი ისტორიკოსი.

კირიონ I - ქართლის კათალიკოსი, მოღვაწეობდა 591-615 წლებში. მისი ღვაწლი განუზომელია მშობელი ერის წინაშე. კირიონმა მწვავე პოლიტიკური და რელიგიური ბრძოლის ვითარებაში დიდი პოლიტიკური აღლო, შორსმჭვრეტელობა და ეროვნული სიფხიზლე გამოიჩინა. მან ქალკედონის კრების (451) დადგენილება უყოყმანოდ გაიზიარა, სომხურ მონოფიზიტობას მტკიცედ დაუპირისპირა დიოფიზიტობა ანუ მართლმადიდებლობა და გადაგვარებისგან იხსნა საქართველოს ძირძველი მხარის გუგარქის ქართველობა.

კირიონ II, ერისკაცობაში გიორგი იერონიმის ძე საძაგლიშვილი (1855-1918) - საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1917-1918 წწ., საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი. დიდი ამაგი დასდო ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეს რუსეთსა და უცხოეთში. ბევრ უცხოელ მკვლევარს გაუღვიძა ინტერესი საქართველოს წარსულისადმი. მის ნაშრომთაგან გამოირჩევა რუსულ ენაზე დაწერილი წიგნი “ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“, რომელიც 2005 წ. ქართულადაც გამოიცა.

კოინე ენა - საერთო სახალხო ენა (ბერძნული სიტყვაა).

კონსტანტინე VII (პორფ. იროგენტი, 905-959) - ბიზანტიის იმპერატორი. ებრძოდა არაბებს. ავტორია რამდენიმე თხზულებისა (“თემების შესახებ“, “იმპერიის მმართველობის შესახებ“ და სხვ.).

კონსტანტინე დუკისი (1059-1067) - ბიზანტიის იმპერატორი.

კონსტანტინე მოციქულთასწორი - (დაახლ. 285-337), რომის იმპერატორი 306 წ.-დან. მისი ნებით შეწყდა ქრისტიანთა დევნა, ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა. მხარს უჭერდა იქამდე დევნილ ქრისტიანული ეკლესიის მღვდელმთავრებს. მოიწვია I მსოფლიო საეკლესიო კრება 325 წელს.

კორნელი სამსონის ძე კეკელიძე (1879-1962) - ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი. დიდი ამაგი დასდო ქართული ხელნაწერების გამოვლენის, შეგროვების, კვლევისა და აღწერილობის საქმეს, იკვლევდა როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიას, მის ადგილს მსოფლიოს ქრისტიანულ კულტურის ისტორიაში, ასევე ქართულ-ბიზანტიურ, ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობებს და ა.შ.

კოროლევსკი - XX ს-ის რუსი ისტორიკოსი.

ლ

ლაზარ ფარპეცი, ფარპელი (V ს.) - სომეხი ისტორიკოსი. თავის შრომაში, რომელსაც “სომხეთის ისტორია“ ჰქვია, საგულისხმო ცნობებს გვაწვდის საქართველოს ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიისა და სხვა საკითხების, კერძოდ, ირანის წინააღმდეგ 482 წ. ქართლის აჯანყების შესახებ.

ლეონიდე, ერისკაცობაში ლონგინოზ ოქროპირიძე (1860-1921) - საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1918-1921 წლებში. იყო ენაშჩიანი მოქადაგე. მისი სიტყვები დაბეჭდილია ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ცალკე წიგნადაა გამოცემული “სიტყვანი და მოძღვრებანი, ქართველი წმინდანების დღეები“ და სხვ.

ლეონტი მროველი - XI ს-ის ქართველი მოღვაწე, რუისის ეპისკოპოსი. მემატინანე, “ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ავტორი.

ლომინაძე ბაბილინა - XX ს-ის საქართველოს ეკლესიის ისტორიკოსი.

ლორთქიფანიძე ოთარ - იხ. ოთარ დავითის ძე ლორთქიფანიძე.

ლუსკუმა - ძვირფასი ყუთი.

მ

მაზდეანობა - ძველი სპარსელების რელიგია, ცეცხლთაყვანისმცემლობა. მომდინარეობს უმადლესი ღვთაება აჰურა-მაზდას სახელიდან.

მაურიკე (539-602) - ბიზანტიის იმპერატორი 582 წლიდან.

მაკარიოსი იბნ ალ-ზაიმ ალ-ჰალაბი ალ-ანტაქი (გარდაიცვალა 1672 წ. ) - ანტიოქიის პატრიარქი 1647 წლიდან. იყო საქართველოში 1664-66 და 1669 წლებში. დასავლეთ საქართველოში გამოდიოდა ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ. მის მიერ არაბულ ენაზე დაწერილ თხზულებაში შესულია ცნობები დასავლეთ საქართველოს შესახებ.

მაღალა - ბიზანტიელი ისტორიკოსი, ავტორი “ქრონიკისა“ (VII-VIII სს.).

მანუელ II (პალეოლოგოსი, 1350-1425) - ბიზანტიის იმპერატორი 1391 წლიდან. ცნობილი იყო, როგორც მწერალი. ებრძოდა თურქებს. 1425 წ. ტახტიდან გადადგა და ბერად აღიკვეცა.

მარიამ დედოფალი - საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის დედა, XI ს. 50-იან წლებში დიპლომატიური ვიზიტით იმყოფებოდა ბიზანტიის საიმპერატორო კარსა და ანტიოქიის საპატრიარქოში.

მარიამ დედოფალი - ქართლის დედოფალი XVII ს-ში, მეუღლე მეფე როსტომ-ხანისა და შემდეგ შაჰნავაზისა (ვახტანგ V-ისა), დაი ოდიშის მთავრისა (ლევან II დადიანისა), სპარსეთის მიერ იავარქმნილ მაჰმადიანურ ქართლში სათავეში ჩაუდგა ქართულ-ეროვნული სულისკვეთების აღორძინებას, გადაარჩინა “ქართლის ცხოვრების“ კრებული, აღადგინა მრავალი ეკლესია-მონასტერი.

მარიამისეული “ქართლის ცხოვრება“, “ქართლის ცხოვრების“ ნუსხა, გადაწერილი 1633-46 წლებში ქართლის მეფის როსტომის (1632-58) მეუღლის მარიამის ბრძანებით, რის გამოც მას მარიამისეული ეწოდა. “მარიამისეული ქართლის ცხოვრება“ დღემდე მოღწეულ ხელნაწერთა შორის უძვირფასესია.

მარი ნიკო - იხ. ნიკო (ნიკოლოზ იაკობის ძე) მარი

მასქუთთა ქვეყანა - მასქუთები ცხოვრობდნენ კასპიის ზღვის პირზე თანამედროვე აზერბაიჯანში IV ს-ში. ძველი სომეხი მემკვიდრეების ცნობით წმიდა ნინომ “გააქრისტიანა ქართველები კლარჯეთიდან მასქუთების ქვეყანამდე“.

მეგასთენე (ძვ.წ. IV-III სს) - ისტორიკოსი, მისი ცნობით ქართველების საცხოვრისია პონტოს (ანუ შავი) ზღვისპირეთი (კასპიის ზღვამდე). მას შავიზღვისპირეთის (ისტორიული ეგრისის) მცხოვრებნი - ეთნიკურ ქართველებად მიაჩნდა.

მითრიაზი - მითრა ძველი ირანის, ინდოეთისა და ზოგი სხვა ქვეყნის რელიგიაში მზის, სინათლის, სიწმინდისა და სიმართლის ღმერთია. აქედან რელიგიური მიმდინარეობა - მითრიაზმი.

მიხეილ (გობორნი) პავლეს ძე საბინინი (1845-1900) - მწერალი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სიძველეებისა და სასულიერო მწერლობის მკვლევარი, ღვთისმეტყველების კანდიდატი. დედა ქართველი ჰყავდა (მირზაშვილი), აღიზარდა ქართულად და მთელი ცხოვრება საქართველოს მსახურებას შეაღწია. მისი მთავარი ნაშრომია პაგიოგრაფიულ თხზულებათა ფუნდამენტური გამოცემა “საქართველოს სამოთხე“ სათანადო გამოკვლევითურთ (პეტერბურგი, 1882 წ.), რომლითაც ფასდაუდებელი ამაგი დასდო ძველი ქართული მწერლობის შესწავლა-პოპულარიზაციის საქმეს როგორც ჩვენში ისე საზღვარგარეთ. მნიშვნელოვანია საბინინის ნაშრომები: “ქართული ეკლესიის წმინდანების ცხოვრებათა სრული აღწერილობა (რუსულ ენაზე, 1872 წ.), “ქართული ეკლესიის ისტორია“ (რუსულ ენაზე, 1877 წ.). ნაშრომებში თავის თავს ხაზგასმით “ივერიელს“ უწოდებს, ამტკიცებდა რომ ეთნიკური ქართველი იყო. საფიქრებელია, რომ მისი წინაპრები გარუსებული ქართველი საბინაშვილები იყვნენ.

მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი, თამარათი (1858-1911) - ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე. იგი ტრაგიკულად დაიღუპა იტალიაში, სანტა-მარინელაში, როცა ცდილობდა, ზღვაში დახრჩობას გადაერჩინა უცხო ერის შვილი. დაღუპვამდე ერთი წლით ადრე, 1910 წ. რომში ფრანგულად დაიბეჭდა მისი უმთავრესი ნაშრომი “ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“. ეს წიგნი არა მარტო ქართული ეკლესიის ისტორიაა, არამედ საქართველოს ისტორიაც, რომელიც განათლებულ ევროპას ობიექტურად აცნობდა ჩვენი ეკლესიისა და ქვეყნის წარსულს და გზას უხშობდა ამ წარსულის ყველა ცილისმწამებელსა და გამაუკუღმართებელს. ქართულად დაიბეჭდა 1995 წ.

მონოთელიტობა - ქრისტიანობის ერთ-ერთი არასწორი სარწმუნოებრივი მიმართულება, რაც საფუძველი ჩაეყარა ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს ინიციატივით VII ს-ის დამდეგს.

საქმე ასე იყო: V-VI სს-ში ბიზანტიაში, განსაკუთრებით მის პერიფერიებში, სირიაში, ეგვიპტესა და სომხეთში მრავლად ცხოვრობდნენ მონოფიზიტები. იმპერიის ცენტრი კი დიოფიზიტური იყო და ქვეყანაში სამოქალაქო შეუთანხმებლობა სუფევდა. ქვეყნის მთლიანობის შესანარჩუნებლად იმპერატორმა გადაწყვიტა, ისეთი სარწმუნოებრივი მიმართულება ჩამოეყალიბებინა, რომელიც მოარიგებდა დიოფიზიტებსა (ე.ი. მართლმადიდებლებსა და მონოფიზიტებს (მწვალებლებს) იმით, რომ ამ ორი მიმართულებიდან აიღებდა რაღაც ელემენტებს, აღიარებდა ქრისტეში ერთ ნებას, ერთ ნებისყოფას, რაც ახლოს დგას მონოფიზიტობასთან, ამავე დროს ძირითადად არ უარყოფდა ქრისტეს ორ ბუნებას. ამ მწვალებლობამ დიდხანს ვერ იარსება. იგი დაიგმო კონსტანტინოპოლის VI მსოფლიო საეკლესიო კრებაზე 680-681 წ.წ.

მონოფიზიტი - ქრისტიანი, რომელიც მიიჩნევს, რომ ჩვენს მაცხოვარს იესო ქრისტეს მხოლოდ ერთი (“მონოს“) ღვთაებრივი ბუნება აქვს. აქედან ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთი არასწორი მიმართულება - მონოფიზიტობა.

მოსე კალანკატუელი - წარმოშობით ალბანელი ისტორიკოსი, წერდა სომხურად, X ს. დაწერა “ალვანთა ქვეყნის ისტორია“ (ალბანეთის ისტორია).

მოსე ხორნელი, მოსე ხორენაცი - სომეხი ისტორიკოსი V ს-ისა. დაწერა “სომხეთის ისტორია“. ეს წიგნი იყო და ამჟამადაც არის სომეხთა ეროვნული პატრიოტიზმის ერთ-ერთი წყარო.

6

ნაბუქოდონოსორი (ნაბუქოდონოსორ II) - ბაბილონელთა მეფე ძვ.წ. 604-561 წლებში. 605 წ. მან დაამარცხა ფარაონი ნეხო (ნეხო, ნეხოსი - ეგვიპტის ფარაონი - ძვ.წ. 610-595 წწ. დაიპყრო სირია). 587 წელს დაანგრია იერუსალიმი, ბაბილონში კი შესანიშნავი ნაგებობები ააგო. ზოგიერთი ბერძნული წყაროს მიხედვით ქართველთა პოლიტიკური ცენტრები სამხრეთიდან ჩრდილოეთით გადაიტანა.

ნასტაკისი - სოფელია მცხეთის მახლობლად. აქ XX ს-ის 80-იან წლებში გაითხარა ქრისტიანობამდელი (ახ.წ. IV ს-ზე ადრინდელი) სამოსახლო, სადაც აღმოჩნდა ქრისტიანული ეკლესიის ნაშთი - საძირკველი.

ნიკო (ნიკოლოზ) იაკობის ძე მარი (1864-1934) - ენათმეცნიერი, ფილოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე, არქეოლოგი, კულტურის ისტორიკოსი, დედით ქართველი, მამით შოტლანდიელი, დაიბადა ქუთაისში, გარდაიცვალა პეტერბურგში. მუშაობდა ქართული სასულიერო და საერო მწერლობის, ენის საკითხებზე.

ნიკოლოზ დვალი (XIV ს.) ქართველი წმიდანი.

ნოე - ერთადერთი ადამიანი, რომელიც წარდგინდა დროს მისი ღვთისმორჩილებისა და პატიოსნების გამო ღმერთმა გადაარჩინა თავის ოჯახთან ერთად. ნოეს ვაჟებმა სემმა, ქამმა და იაფეტმა დასაბამი მისცეს ადამიანთა ახალ მოდგმას. ძველი წყაროების მიხედვით ქართველები იაფეტის შთამომავლები ვართ.

ნუცუბიძე შალვა - იხ. შალვა ისაკის ძე ნუცუბიძე

ო

ლორთქიფანიძე ოთარ დავითის ძე (1930-2002) - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორი, ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, ჰუმბოლტდის საერთაშორისო და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი. მისი ინიციატივით დაარსდა (1977 წ.) არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. ავტორია 20-მდე მონოგრაფიისა და 200-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა, რომლებიც დაიბეჭდა როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ბულგარულ ენებზე და ეძღვნება შავი ზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის, კავკასიის იბერიის (ქართლის სამეფოს) ისტორიის საკითხებს.

პ

პართია - საქართველოს მეზობელი სახელმწიფო. ძვ.წ. 558-529 წლებში კიროსმა სპარსელები და მიდიელები შეაერთა და ჩამოაყალიბა ძველი სპარსული სამეფო, რომელიც ძვ.წ. 336-330 წლებში ალექსანდრე მაკედონელმა დაიმორჩილა. ძვ.წ. 256 წელს სპარსეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა პართთა სახელმწიფო, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის 226 წლამდე არსებობდა.

პიროს ოქროპირიძე, ერისკაცობაში მათე ივანეს ძე ოქროპირიძე (1874-1922) - ეპისკოპოსი. აქვს შრომები: “ხუთწიგნეულის განმარტება“, “მათეს, მარკოზის სახარება“, “წმ. მოციქულ პავლეს სამოძღვრო ეპისტოლე“, “კატეხიზმოს სწავლების სახელმძღვანელო“ და მრავალი სხვა.

დაკრძალულია ალავერდის ტაძარში.

პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანი (1809-1875) - ისტორიკოსი. გამოქვეყნებული აქვს მრავალი გამოკვლევა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის საკითხებზე. იმოგზაურა საბერძნეთში, მონახულა ათონის ივერთა მონასტერი და შეისწავლა ქართული კულტურის ძეგლები. 1860-75 წლებში გამოსცა ქართველოლოგიური პრობლემებისადმი მიძღვნილი მრავალი ნაშრომი. მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართული ლიტერატურის ძეგლების შესწავლასა და გამოცემაში. იგი ქართული გამოცანების პირველი გამწვანებელია. პ. იოსელიანის შრომათაგან აღსანიშნავია “ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა“.

პომპეუსი - რომაელი მხედართმთავარი (ძვ.წ. 106-48 წწ.), განამტკიცა რომაელთა ხელისუფლება სიცილიასა და აფრიკაში. სამჯერ აირჩიეს კონსულად. ილაშქრა საქართველოშიც.

პიუს ანტონიუსი - იხ. ანტონიუს პიუსი.

პროკოპი კესარიელი (დაახლ. 507-562 წლის შემდეგ) - ბიზანტიელი უამთაღმწერელი, იმპერატორ იუსტინიანე I-ის კარის ისტორიკოსი და დიპლომატი. სახელმწიფოს დავალებით იმოგზაურა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ევროპაში, აზიასა და აფრიკაში. გაეცნო იქაურ ქრისტიანთა ცხოვრებას. მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვა საქართველოზე. საქართველოს ქრისტიანთა შესახებ წერდა - “ქართველები ქრისტიანები არიან და ქრისტიანობის წესებს ყველა იმ ხალხზე უკეთ იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ“.

პეტრე III - ანტიოქიის პატრიარქი XI ს-ის შუა წლებში. ეჭვქვეშ დააყენა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. თვალსაზრისი შეიცვალა წმ. გიორგი მთაწმინდელთან პაექრობის შემდეგ.

რ

რეგ მართალი, რეგ I - ქართლის მეფე III ს-ის შუა წლებში, “ქართლის ცხოვრების“ ცნობით მფარველობდა ქრისტიანობას, აკრძალა ზოგი წარმართული ჩვეულება, რის გამოც “რეგ მართალი“ უწოდეს.

რობერტ ბლაისშტაინერი (1891-1954) - ავსტრიელი ენათმეცნიერი, მთარგმნელი, ეთნოგრაფი, ქართველოლოგი.

რომაული ხანა - პერიოდი რომის სახელმწიფოს მიერ ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნების დაპყრობიდან იმპერიის ორად გაყოფამდე (ძვ.წ. 509 წლიდან ახ.წ. 395 წ-მდე).

რომი - ქალაქი დაფუძნდა ძვ.წ. 754-753. მალე დაიმორჩილა მთელი აპენინის ნახევარკუნძული, შექმნა ხმელთაშუა ზღვის უდიდესი იმპერია, რომელშიც ასევე შედიოდა დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ნაწილები, მცირე აზია, ჩრდილოეთ აფრიკის სანაპირო და პალესტინა. ემეზობლებოდა საქართველოს (იბერიას) და მეგობრობდა მასთან I-II საუკუნეებში, ვინაიდან იმ ეპოქაში იბერია ამიერკავკასიის უდიდესი სახელმწიფო იყო.

როსტომ-ხანა იგივე როსტომ მეფე (1632-1658), სპარსი მოხელე ოკუპირებულ ქართლში. წარმოშობით იყო ბაგრატიონი, სპარსეთში გამაჰმადიანებული, მოშალა სახელმწიფო მმართველობის ქართული წესი, შემოიღო სპარსული, თუმცა ძალზე დიდი სიფრთხილით მოქმედებდა. სიკვდილით დასაჯა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ევდემონ დიასამიძე, შემდეგ კი მისი გვამიც შეურაცხყო, ნარიყალას ციხის კოშკიდან გადააგდებინა ხელქვეითებს. მის დროს ქართულმა ეკლესიამ დაკარგა წარმართველი უფლებები. როსტომ-ხანმა ქართული ქრისტიანობა ღირსებით გაუთანაბრა სხვა რელიგიებს, სომხურ-მონოფიზიტურსა და კათოლიკურს.

რუსა (XIV-XV სს-ის მიჯნა) - ქართველი საზოგადო მოღვაწე, მეფე აღექსანდრე დიდის აღმზრდელი ბებია. ის იმ სულეკურთხეულ ქართველ ქალთა რიგს განეკუთვნებოდა, რომელნიც უკიდურესი შეჭირვების ჟამსაც კი ამხნევებდნენ დიდებულებსა და სამეფო ოჯახს. მონღოლთა შემოსევების შემდეგ ქვეყანა ნანგრევებად იქცა, თვით საუკეთესო ტაძრებიც შეიმუსრა და თითქოს ყველა შეეგუა ამ ვითარებას, რუსას კი გულზე ხელები არ დაუკრეფია, მოუწოდებდა ყველას აღედგინათ დანგრეული ნაგებობანი, უპირველესად სვეტიცხოვლის დიდებული ტაძარი.

რუფინუსი (გარდაიცვალა 410 წ.) - რომაელი საეკლესიო ისტორიკოსი. თავის შრომაში შემოინახა ცნობები წმ. ნინოს ეპოქაში ქართველთა გაქრისტიანების შესახებ.

ს

სააკაძე გიორგი სიაუშის ძე - იხ. გიორგი სიაუშის ძე სააკაძე

საბინინი მიხეილ (გობრონ) პავლეს ძე იხ. მიხეილ პავლეს ძე საბინინი.

სათხეველი - სასროლი ბადე.

სარგის ნესტორის ძე კაკაბაძე (1886-1967) - ცნობილი ისტორიკოსი და ფილოლოგი. გამოქვეყნებული აქვს შრომები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის, დამხმარე ისტორიული დისციპლინების, ფილოლოგიისა და ტექსტოლოგიის, ეთნოგენეზის, ისტორიული გეოგრაფიისა და დემოგრაფიის, საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფისა და მმართველობის საკითხებზე.

სიბა - საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკიდურესი ნაწილი მდ. თეთრწყალთან. ეს ადგილი მონღოლებმა განსაკუთრებული გულმოდგინებით გაამაგრეს და მისი დაცვა ქართველ მეფეებს დააკისრეს. ამჟამად აზერბაიჯანის ცენტრში, ქ. შამახიას მახლობლად მდ. ახსუსთან (სახელი თარგმანია “თეთრიწყლისა“) მდებარეობს.

სიმონ ნიკოლოზის ძე ჯანაშია (1900-1947) - ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, საქართველოს და სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი. მის შრომებში ახლებურადაა გაშუქებული ქართველთა ეთნოგენეზის, სახელმწიფოს ჩამოყალიბების საკითხები.

სიროპულოსი - კონსტანტინოპოლის პატრიარქის ეკლესიარხი (საეკლესიო საქმეთა მწარმოებელი) ფერარა-ფლორენციის კრების დროს.

სოკრატე (ძვ.წ. 470/469-399) - ძველი ბერძენი ფილოსოფოსი.

სპარსეთი - ირანის სახელწოდება 1935 წლამდე, როცა ამ სახელმწიფოს ოფიციალურად ეწოდა ირანი.

სტავროპიგიალური - კათალიკოს-პატრიარქის მიერ გამორჩეული (ჯვარადმართული) მონასტერი, რომელიც უშუალოდ მას ექვემდებარება და არა იმ ეპარქიის მმართველს, სადაც მდებარეობს ეს მონასტერი.

სტრაბონი (დაახლოებით ძვ.წ. 64/63 - ახ.წ. 23/24 წწ.) - ძველი ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი.

ტ

ტაციტუსი, პუბლიუს კორნელიუსი (დაახლოებით 55-116) - რომაელი მწერალი, ისტორიკოსი.  
ტროიცი - XX ს რუსი კანონისტი (საეკლესიო კანონმდებლობისა და სიმართლის მცოდნე).

უ  
უხტანეხი - X ს. სომეხი ისტორიკოსი, ავტორია წიგნისა "ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან". მისი ცნობით აფხაზეთი - ივერიელების (ქართველების) ქვეყანაა.

ქ  
ქალკედონიტი - იგივეა, რაც დიოფიზიტი ანუ მართლმადიდებელი. ქალკედონში (კონსტანტინოპოლთან ახლოს) 451 წელს შედგა მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელმაც დაგმო ნესტორიანობა და მონოფიზიტობა, მიიღო ის მართლმადიდებლური სარწმუნოებრივი მიმართულება, რომელიც აღიარებულ იქნა ეკლესიის წმიდა მამათა მიერ და რომლის ერთგული დამცველია საქართველოს წმიდა ეკლესია.  
ქუჯი - "ქართლის ცხოვრების" მიხედვით ეგრისის მმართველი (ერისთავი) ფარნავაზ I-ის დროს. ერისთავ აზოს წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარა ფარნავაზს და აღიარა მისი პირველობა, რაც საწინდარი გახდა საქართველოს ერთიანობისა.

ფ  
ფარსმან II - ქართლის (იბერიის) მეფე II ს-ის 30-50-იან წლებში. იბერიის პატივსაცემად რომში დაიდგა ცხენოსანი ფარსმანის ქანდაკება.  
ფარნავაზ I - ლეონტი მროველის მიხედვით, ქართლის (იბერიის) სამეფოს პირველი მეფე და ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებელი. მეფობდა ძვ.წ. IV ს-ის მიწურულსა და III ს-ის I ნახევარში. ჩაატარა სახელმწიფო რეფორმა - ქართლის სამეფო დაყო საერისთავოებად, რომელთაც სათავეში ერისთავები ჩაუყენა. ქვეყნის ერთიანობისათვის მცხეთაში თავის სახელზე აღმართა კერპი, რომლის თაყვანისცემა ყველასთვის სავალდებულო გახდა და რომელსაც არმაზი უწოდა. მან სრულიად სახელმწიფო ენად ქართული მწიგნობრული ენა შემოიღო, მან შემოიღო მწიგნობრობა ქართული, მისი სამეფო მოიცავდა აღმოსავლეთან ერთად დასავლეთ საქართველოსაც მდ. ეგრისწყლამდე (მდ. დალიძკამდე). ძველი მემატიანეების ცნობით ის იყო ძველი გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე (და არა ბაგრატ III).  
ფეოდალური ხანა - IV-XVIII სს.

შ  
შალვა ისაიის ძე ნუცუბიძე (1888-1969) - ქართველი მეცნიერი, ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე, კულტურის ისტორიკოსი, მთარგმნელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი.  
შაჰნავაზ-ხანი - იხ. ვახტანგ V.  
შუა საუკუნეები, იგივე ფეოდალური ხანა - IV-XVIII სს. - მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი პერიოდის აღმნიშვნელი ტერმინი, რომელიც იხმარება ისტორიის მეცნიერებაში.

ც  
ცამცივეი - XIX ს-ის მკვლევარი-ისტორიკოსი.

წ  
წმ. კვიპრიანე (მღვდელმთავარი) - მისი "შესხმა და წამებაი" აღწერა გრიგოლ დვთისმეტყველმა (IV ს.).

ხ  
ხალენი - ელია წინასწარმეტყველის (ძვ.წ. VI ს.) მოსახსამი. ელია (ილია) ქ. თეზბეს მაცხოვრებელი (აქედან "თეზბიტელი") იყო. იგი ღმერთმა ცოცხლად აღიტაცა ზეცად ცეცხლოვანი ეტლით. ამ დროს ელიამ ხალენი (მოსახსამი) თავის მოწაფეს ელისეს დაუტოვა. ხალენთან ერთად ელისემ წინასწარმეტყველების ნიჭი და სასწაულთმოქმედების უნარი შეიძინა. ხალენით მრავალი სასწაული აღსრულდა. გადმოცემით ხალენი ამჟამად სვეტიცხოვლის ტაძრის სადიაკონის შესასვლელი კარის მარცხნივ კედელშია ("მოქცევაი ქართლისაის" მიხედვით წმიდა ნინოს დროს გაქრისტიანებული ებრაელი მღვდლის აბიათარის ქალიშვილი სიდონია ამბობდა - "არს ... ხალენი ელიასი ამას ქალაქსა შინა... ქვათა შინა უღპოლველად").  
საფიქრებელია, რომ დევნილმა ებრაელებმა ეს უდიდესი სარწმუნოებრივი განძი მცხეთაში ჩამოასვენეს ნაბუქოდონოსორის მიერ.  
ხრესილის ბრძოლა - 1757 წ. ქართველთა ლაშქრის ბრძოლა სოლომონ I-ის მეთაურობით ოსმალთა ლაშქრის წინააღმდეგ ხრესილის ველზე (ახლანდელი ტყიბულის რაიონი).



სოლომონ I მიზანმიმართულად იბრძოდა დასავლეთ საქართველოს გასაერთიანებლად და ტყვეთა სიტყვის ასაკრძალავად. ამან გაანაწყენა მეფის მოწინააღმდეგე თავადები და მოღალატე ლევან აბაშიძე ოსმალთა ჯარით შემოვიდა იმერეთში. სოლომონმა მტერი სასტიკად დაამარცხა, დაატყვევეს და დახოცეს ოსმალთა სამი ფაშა, ბრძოლაში მოკლეს მოღალატე ლევან აბაშიძეც. ქრისანფი - იერუსალიმის პატრიარქი XVII ს-ში, იგივე “ქრისანთი“.

ჯ

ჯავახიშილი ივანე ალექსანდრეს ძე - იხ. ივანე ჯავახიშილი.

ჯანაშია სიმონ ნიკოლოზის ძე - იხ. სიმონ ჯანაშია

ჯუანშერი - მემბტიანე, რომელსაც “ქართლის ცხოვრების ერთ-ერთი მინაწერით მიეკუთვნება ამ კრებულში შესული V-VIII სს-ის ამსახველი თხზულება, რომელიც ეხება დროს ვახტანგ გორგასლის მეფობიდან არჩილის მეფობის ჩათვლით. ძველი ცნობებით ის იყო VIII ს-ის მოღვაწე, სიძე ქართლის მეფე მირისა (არჩილ მეფის ძმისა), ამჟამინდელი მოსაზრებით XI ს-ის ისტორიკოსია.

ჰ

ჰერაკლე კეისარი (575-641) - ბიზანტიის იმპერატორი. ილაშქრა სპარსეთში საქართველოს გავლით.

ჰეკატოს მილეტელი (დაახლ. 546-480 წწ. ერამდე) - ძველი ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი. ავტორია “დედამიწის აღწერილობისა“ (შემორჩა ნაწყვეტები) და “გენეალოგიისა“ (შემორჩა ფრაგმენტები). მისი სიტყვით “მოსხები“ კოლხური ტომი იყო. რაც მიუთითებს ქართველთა (ე.წ. “დასავლელთა“ - “აღმოსავლელთა“) ეთნიკური მთლიანობის შესახებ ქრისტეშობამდე 600 წლით ადრე.

## პირთა საძიებელი

ა

აბიათარი - 16, 54

აბიბოს ნეკრესელი - 84

აბო თბილელი - 105, 106

აგათანგელოსი - 51

ადარნასა ბაგრატიონი - 98

ადერკი

ავაგ მხარგრძელი - ამირსპასალარი - 137

ავგუსტუსი გაიუს ოქტავიანუსი - 19

აზო - აზონი - 43, 44, 46

აკაკი წერეთელი - 245

ალექსანდრე მაკედონელი - 43

ალექსანდრე I დიდი - 152, 153, 154

ალექსანდრე I - რუსეთის იმპერატორი - 230

ალექსანდრე ცაგარელი - 245

ალექსანდრე ხახანაშილი - 245

ამბროსი ხელაია - 246, 148, 153, 154, 155, 156, 158, 159, 164, 280

ემბროსიო დუშ ანუში - 172

ანანია ჯაფარიძე - 3, 88

ანასტასი აპოკრისარი - 88, 91

ანასტასი მონაზონი - 88

ანდრია პირველწოდებული - ანდრია მოციქული - 10, 22, 23, 24, 37, 50, 52, 114, 184

ანტონი - რუსი მთავარეპისკოპოსი - 267

ანტონ მარტომყოფელი - 84

ანტონ I - კათალიკოსი - 169, 174, 175, 202, 208, 211, 212, 225, 228

ანტონიუს ჰიუსი - 20

არიანე - 45

არკადი კეისარი - 81

არმაზი - 54

არსენ ივალთოელი - 123

არსენ საფარელი - 81

არქანჯელო ლამბერტი - 22, 45, 172, 181

არღუნ - ყაენი - 146

არჩილ II - ვახტანგ V-ის შვილი - 193, 200, 201  
არჩილი - წმ. მეფე (VIII ს.) - 96, 97  
ასურელი მამები - 5  
აღა-მაჰმად-ხანი - 219  
აშოთან მუხრან-ბატონი - 168  
აშოტ კურაპალატი 98, 105

ბ

ბაგრატ III - 5, 108, 109  
ბაგრატ IV - 111, 113, 117  
ბაგრატ V - 149  
ბაკური - 70  
ბართლომე - მოციქული - 23, 24, 52  
ბასილ II - ბულგართმუსვრელი - 109  
ბასილი მონაზონი - 145  
ბაღვაშები - 127  
ბერი ეგნატაშვილი - 186, 224  
ბიძინა ჩოლოყაშვილი - 168, 190  
ბურნაშოვი - 218

გ

გაბრიელ გეგენავა - 179 , 180  
გაბრიელ ქიქოძე - გაბრიელ ეპისკოპოსი - 254  
გაიანე - 53  
გაიმ - 54  
გამმა - 185  
გარსევან ჭავჭავაძე - 218  
გაც - 54  
გელასი კესარიელი - 35, 37, 45, 158  
გელასი კვიზიკელი - 45, 58  
გიორგი ბრწყინვალე - 136, 146, 147, 148, 149  
გიორგი მერჩულე - 46, 47, 79, 96, 101, 102, 103  
გიორგი მთაწმინდელი - გიორგი ათონელი - 84, 112, 121  
გიორგი სააკაძე - 174, 190  
გიორგი მცირე - 84, 110, 111, 121  
გიორგი ჭყონდიდელი - 123, 124, 130  
გიორგი VII - 149, 151  
გიორგი VIII - 151  
გიორგი XI - 193, 194  
გიორგი XI - 219  
გრიგოლ კათალიკოსი - 183, 205  
გრიგოლ ხანძთელი - 47  
გუდოვიჩი - 219  
გურანდუხტი - 97  
გურგენ მეფე - 69

დ

დავით აღმაშენებელი - 18, 123, 124, 125, 128, 129, 130, 133, 148  
დავით გარეჯელი - 84, 206  
დავით კაჭახიძე - 252  
დავით ლაშას ძე - 143, 144  
დავით V - კათალიკოს-პატრიარქი - 261, 265  
დავით VIII - 136, 147  
დავით IX - 149  
დავით ნარინი - 136  
დავით ულუ - 136, 144  
დაუდ-ხანი - 161, 169  
დემეტრე II - 136, 146  
დიმიტრი ბაქრაძე - 51  
დიმიტრი ყიფიანი - 238  
დიმიტრიოს I - მსოფლიო პატრიარქი - 272, 274

დინარა დედოფალი - 74, 75, 126  
დიონ კასიუსი - 20  
დომენტი - კათალიკოსი (ვახტანგ VI-ის ძმა) - 192, 207  
დომნიუს ტრაპეზუნტელი - 52  
დოსითეოსი - იერუსალიმელი პატრიარქი - 99, 182, 184, 18 ?  
დოსითეოსი - ქუთათელი მიტროპოლიტი - 230, 233  
ღურნოვი ნ. - 237, 249

## ქ

ევაგრე პონტოელი - 35, 45  
ევდემოზ კათალიკოსი - 168  
ევდემონ ჩხეტიძე - კათალიკოს-პატრიარქი - 202  
ეგლავი - 84  
ეგლათიუსი - 51, 52  
ეგსევი კესარიელი - 9, 13, 33, 35  
ეგსტათე ანტიოქელი - 39, 65  
ეგსტათი მონაზონი - 132  
ეხეკიელი - 8, 9  
ეზრა ანჩელი - 109  
ეკატერინე II - რუსეთის იმპერატორი - 231  
ელენე დედოფალი - 53, 55  
ელია დიაკონი - 84  
ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავები - 168, 190  
ელიოზ მცხეთელი - 15, 54  
ეპისკოპოსი იოანე - 51  
ეპიფანე კონსტანტინოპოლელი - 21  
ერეკლე II - 193, 209, 210, 228  
ერეკლე I - ნაზარალი-ხანი - 194  
ერმოლოვი 235  
ესაია წინასწარმეტყველი - 17  
ეფრემი - მაწყვერელი ეპისკოპოსი - 101, 102  
ეფრემ II - კათალიკოს-პატრიარქი - 126, 264, 271  
ეფრემ მცირე - 22, 49, 100, 101, 121, 123, 157  
ექვთიმე ათონელი - ექვთიმე მთაწმინდელი - 121  
ექვთიმე გელათელი (შერვაშიძე) - მიტროპოლიტი 230, 233  
ექვთიმე თაყაიშვილი - 244, 245  
ექვთიმე საყვარელიძე - კათალიკოს-პატრიარქი - 202

## შ

ვარამ გაგელი - 137, 141, 232  
ვარლამ ერისთავი - 231, 232  
ვარსკენ პიტიახში - 64  
ვახტანგ გვილაძე - 51, 100  
ვახტანგ გორგასალი - 17, 43, 44, 59, 64, 65, 68, 78, 95, 160  
ვახტანგ III - 151  
ვახტანგ V - შაჰნავაზი - 190, 193, 194, 206  
ვახტანგ VI - 192, 193, 194, 197, 198, 199, 215  
ვახუშტი ბატონიშვილი - ბაგრატიონი - 51, 89, 99, 174, 202, 221  
ვაჰან მამიკონიანი - 82  
ველიამინოვი - გენერალი - 234  
ვორონცოვ-დაშკოვი - 243, 244

## ზ

ზაბულონი 52, 53  
ზაოზერსკი - 245  
ზენონ იყალთოელი - 84

## თ

თადეოზი - მოციქული - 23, 24, 52  
თათე სტეფანწმინდელი - 81  
თამაზ გამყრელიძე - 27

თამარ მეფე - 19, 133, 134, 135  
თელო უორდანია - 84, 164, 249  
თეიმურაზ I - 180, 184, 185, 186, 187, 189, 208  
თეიმურაზ II - 169, 193  
თეიმურენგი - 142, 149  
თეოდორე - ანტიოქიის პატრიარქი - 113  
თეოდორიტე კვირელი - 9, 13, 39  
თეოდოსი განგრელი - 89  
თეოდორე ბალსამონი - 59, 112, 274  
თეოდორე - საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი - 152  
თეოფანე - 69  
თეოფილაქტე - ეგზარქოსი - 233  
თომა მეწოფეცი -  
თომა მოციქული - 22  
თრდატი - 53

ო

იაკობ გოგებაშვილი - 245  
იაკობ ხუცესი - 95  
იაფეტი - 7, 39  
იბირბხსუა - 51, 52  
იერემია წინასწარმეტყველი - 8, 9, 12  
ივანე აბაშიძე - სოლომონ II-ის შვილიშვილი - 233  
ივანე ათაბაგი - 141, 144  
ივანე ახალციხელი - 141  
ივანე გვარამაძე - 51  
ივანე სოკოლოვი - 243  
ივანე ჯავახიშვილი - 14, 28, 31, 37, 46, 58, 70, 72, 84, 126, 130, 156  
იესე - ვახტანგ VI-ის ძმა - 195  
ილია II - კათალიკოს-პატრიარქი - 261, 263, 265, 270, 272  
ილია წინასწარმეტყველი - 15  
ილია ჭავჭავაძე - 175, 227, 240, 241, 243, 244, 276  
იმამყული-ხანი - 173  
იოაკიმე - ცაიშ-ბედიის მთავარეპისკოპოსი - 157  
იოანე ზედაზნელი - 84  
იოანე ზოსიმე - 107  
იოანე ღაზი - 31, 91  
იოანე მაირაგომელი - 83  
იოანე II - 119  
იოანე - სომეხთა კათალიკოსი - 71  
იოანე VIII - 119  
იოანე ოქროპირიძე - 9  
იობენალი - 53  
იოვანე ეპისკოპოსი - 56, 57, 65  
იონა ხელაშვილი - 238  
იოსებ ალავერდელი - 84  
იოსებ ღაღიაშვილი - 238  
იოსებ ფლავიუსი - 8, 39, 45  
იესე - ვახტანგ VI-ის ძმა - 195  
ისა-ხანი - იესე, კახეთის მეფის ლევანის ვაჟი - 161  
ისე წილკნელი - 84  
ისიდორე სამთავნელი - 84  
იულიუს კაპიტოლინი - 20  
იუსტინიანე - 59, 70

კ

კალისტრატე ცინცაძე - 239, 256, 259, 260, 264, 280  
კარლო ორაგველიძე - 281  
კასტელი - 181  
კირიონი - კირიონ I - 71, 72, 76, 77, 82, 89, 92  
კირიონ II - საძაგლიშვილი - 228, 245, 246, 248, 249, 264, 276

კომიტასი - სომეხი კათალიკოსი - 83  
კონსტანტინე - ალექსანდრე მეფის ძე - 169  
კონსტანტინე დუკისი - 18  
კონსტანტინე II - 151  
კონსტანტინე VII - 109  
კონსტანტინე მოციქულთასწორი - 13, 49, 55, 60  
კონსტანტინე პორფიროგენეტი - 115  
კორნელი დანელია - 121, 122  
კორნელი კეკელიძე - 46, 58, 84  
კოროლევსკი გ. - 112

## ლ

ლაზარე ფარპეცი - 63  
ლაშა - გიორგი - 143  
ლევან II დადიანი - 178-184  
ლევ ისაერისი - 99  
ლეონ გრამატიკოსი - 39  
ლეონიდე ოქროპირიძე - 237, 245, 246, 247, 248, 252, 264  
ლეონ I - 97, 98  
ლეონ II - 98  
ლეონტი მროველი - 17, 44  
ლიპარიტ ბაღვაში - 127  
ლონგინოზ კარსნელი 15  
ლუარსაბ I - 160  
ლუარსაბ II - 168, 169, 174, 175, 176, 177, 178  
ლუკა ისარლიშვილი - 148

## მ

მავრიკე - 86  
მაირაგომელი - 83  
მაკარიოსი - 99, 100  
მაღალა - 69  
მამუკა თავაქარაშვილი - 178  
მანუჩარი - ყვარყვარე IV-ის ძმა - 162  
მარიამ დედოფალი - ქართლის დედოფალი XVII ს-ში - 16, 200, 201  
მარიამ ღვთისმშობელი - 22, 143, 144, 145  
მარკიონ ფასისელი - 52  
მატათა მოციქული - 22, 23, 52  
მაჭავარიანი გ. - 26  
მეგასთენე - 10, 13, 33, 45  
მელიტონი - ქალკედონის მიტროპოლიტი - 272  
მელქისედეკი - კათალიკოს-პატრიარქი - 261, 264  
მელქისედეკ I - 93, 108  
მზეჭაბუკ ათაბაგი - 155, 157  
მირანდუხტი - 64  
მირი - 96, 97  
მირიან მეფე - 15, 16, 37, 54, 89  
მიქაელი - ანტიოქიის პატრიარქი - 157  
მიქაელი - ვახტანგ გორგასლის დროის ეკლესიის მეთაური - 68  
მიქაელ მოღრეკილი - 105  
მიქაელ ულუმბოელი - 84  
მიხაკო წერეთელი - 224  
მიხეილ თამარაშვილი (თამარათი) - 191, 228, 241  
მიხეილ საბინინი - 51  
მოსე კალანკატუელი - 100  
მოსე - ცურტაველი ეპისკოპოსი - 76  
მოსე ხორენელი - მოსე ხორენაცი - 74, 115  
მღვდელი თევდორე - 168, 174

## ნ

ნაბუქოდონოსორი - 9, 12, 13, 33

ნაზარი ლეჟავა - 256  
ნანა - 54  
ნელი მახარაძე - 31  
ნერსე იშხნელი - 79  
ნიაფორი - 53  
ნიკო ბერძენიშვილი - 128  
ნიკოლოზ აღონცი - 90  
ნიკოლოზ დვალი - 148  
ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი - ირუბაქიძე - 184  
ნიკო მარი - 46, 58, 245  
ნოე - 7, 39, 45

ო

ოთარ ლორთქიფანიძე -  
ოქროპირი - ხუნძელი კათალიკოსი 114

პ

პავლე ციციანოვი - 134, 232  
პავლე ლებედევი - ეგზარქოსი - 238, 239  
პავლე მოციქული - 257  
პავლე ჯაფარიძე - 252, 256  
პალმოსი პონტოელი - 52  
პეროზი - 64, 81  
პეროჟავრა სივნიელი 57, 58  
პეტრე იბერი - 31, 91  
პეტრე - ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფე - 21  
პეტრე - პირველი კათალიკოსი საქართველოში - 69  
პეტრე დიდი - პეტრე I - 198, 215, 231  
პეტრე III - ანტიოქიის პატრიარქი - 112  
პიეტრო დელა-გალე - 172  
პიროს ბრეთელი - 84  
პიროს ოქროპირიძე - 248  
პლატონ იოსელიანი - 51  
პროკოპი კესარიელი - 69, 90, 110, 242  
პროკოფი რატიანი - 127  
პროხორე - 147

რ

რეგ მართალი - 50  
რიფსიმე - 53  
რობერტ ბლაიხშტაინერი - 35  
როსტომ-ხანი - როსტომ მეფე - 177, 185, 186, 188, 189, 191  
რუსუდან მეფე - 137  
რუსა - 153  
რუფინუსი - 35, 37, 45, 58

ს

საბა მტბევალი - 109  
საგდუხტი - 64  
სარგის კაკაბაძე - 46  
სარგის ციხისჯვარელი - 140  
სალომე უჯარმელი - 52, 57, 58  
სამძივარი - 23  
სემი - 7  
სერგო ვარდოსანიძე - 278  
სვიმონ მეფე (სვიმონ I) ლუარსაბ I-ის ძე - 161, 162, 163  
სვიმონ კანანელი - 22, 23, 52, 114, 174  
სიმონ ჯანაშია - 8, 14, 48, 64  
სიროპულოსი - 119  
სოზომენი - 58  
სოკრატე სქოლასტიკოსი - 35, 45

სოლომონ ლიონიძე - 225  
სოლომონ I - 211, 213  
სოლომონ II - 225, 233  
სოსანა 53  
სოფრონი - მიტროპოლიტი - 153  
სოფრონიოსი - ნიკორწმინდელი მიტროპოლიტი - 230  
სოფრონიუსი - 51, 52  
სპენსერი - 185  
სტეფანე ხირსელი - 84  
სტეფანე ჭყონდიდელი - 105  
სტაფანოზი - 71, 91  
სტრაბონი - 39, 40  
სტრატოფილე - 50, 52  
სულხან-საბა ორბელიანი - 196, 197, 198, 208  
სუმბატ დავითის ძე - 108

## ტ

ტაციტუსი - 19  
ტაჭერი - 149  
ტორმასოვი - 231  
ტროცკი ს. - 104, 112, 269

## უ

უხტანესი - 10, 76

## ფ

ფარნავაზ I - 10, 32, 43, 96  
ფარსადან გორგიჯანიძე - 189  
ფარსმან I - 84  
ფილადელფოს კიკნაძე - 237

## ქ

ქამი - 7  
ქერიმ-ხანი - 216  
ქეროძე პატკანოვი - 129  
ქრიზოსტომოსი - კონსტანტინოპოლელი პატრიარქი - 273  
ქრისტეფორე ციცქიშვილი - 259, 260, 265  
ქსენოფონტე - 45  
ქუჯი - 10, 43

## ყ

ყაზან-ყაენი - 142  
ყვარყვარე ათაბაგი - 151, 154, 155  
ყვარყვარე IV - 157

## შ

შალვა ახალციხელი- 141, 144  
შალვა ნუცუბიძე - 36  
შალვა ქვენიფნეველი - 142  
შალვა ქსნის ერისთავი - 168, 190  
შანშე მანდატურთუხუცესი - 141  
შაჰ-აბას I - 185  
შაჰ-აბას II - 168, 174, 185, 190  
შაჰარმენი - 149, 160  
შაჰ-თამაზი - 160  
შაჰნაზარ-ხანი - 193  
შაჰსეფი - 185  
შიო მღვიმელი - 84  
შიოთა მესხია - 129  
შიოთა ძიძიგური - 35, 41

ჩ

ჩაღატა ნოინი - 140, 145

ჩინგიზ-ხანი - 136

ჩუდეცკი - 238, 239

ც

ცამციევი რ. - 51

ცოტნე დადიანი - 140

ცხრა ძმა ხერხეულიძე დით - 168

წ

წმ. ალექსი ბერი (შუშანია) - 277

წმ. გიორგი - 52

წმ. დავითი - 254

წმ. დიდმოწამე ქეთევან დედოფალი - 166, 167, 168, 169, 170, 171, 172, 173

წმ. დოდო - 206

წმ. კონსტანტინე - 254

წმ. მაქსიმე აღმსარებელი - 88, 90, 91, 92

წმ. მიქაელ აღმსარებელი - 87

წმ. ნინო - 5, 37, 49, 51, 52, 53, 54, 55, 74, 78, 107

წმ. რაუდენი - 84

წმ. შიო - 254

ხ

ხოსრო მეფე - 70, 77

ხოსრო II - 86

ხრისანფი - ქრისანთი - 99, 183

ჯ

ჯალალედინი - 144, 145

ჯუანშერი - 17, 43, 44, 96, 97

პ

პეკატოს მიღებელი - 9

პერაკლე კეისარი - 77, 78, 83, 88

პეროდოტე - 45

პულაგუ-ყაენი - 142

## შინაარსი

მეუფე ანანია - აკაკი ბრეგაძე 3

შესავალი 7

ქართველი ხალხის მომზადება უფლის მისაღებად 12

თავი I. I-III საუკუნეები

სახელწოდება და მიმართულება ქართული ეკლესიისა 18

საქართველო მოციქულთა დროს 19

წმ. ანდრია და სხვა მოციქულების ქადაგება საქართველოში 21

წმ. ანდრია მამოსელა საქართველოში 22

მოციქულთა მიერ დაარსებული პირველი ავტოკეფალური ეკლესიები 24

ქართული ეკლესიის სამწყსო 25

საერთო ქართული - კოინე - ენა 26

საერთო ტერიტორია და საერთო სახელმწიფო 32

ფსიქიკური წყობის ერთობა

1. საერთო კულტი - ერთმორწმუნეობა 36

2. ქართული ტომების საერთო კულტურა 38

3. ეკონომიკური კავშირი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის 39

4. ქართველების საერთო წარმოშობა, სისხლით ნათესაობა 39

ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები 43

1. “ქართლის“ საზღვრები და ქართველთა ვინაობა დეონტი მროველის მიხედვით 43

2. ქართული ეკლესიის იურისდიქციის დასავლეთის საზღვრები ვახუშტის მიხედვით 44



ზოგიერთი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსის მიხედვით “კოლხეთი“ “იბერიაში“ შემავალი ქვეყანაა 45

“ქართლის ცხოვრების“ სიმართლე 46

თავი II. IV საუკუნე

საქართველო IV საუკუნეში 48

გზა ქრისტიანობისა I საუკუნიდან წმიდა ნინომდე 49

საქართველოს წმიდა ეკლესიის მეთაურები I-II ს-ში (წმიდა ნინომდე) 52

წმ. ნინოს ცხოვრება (“ქართლის ცხოვრების“ მიხედვით) 59

ქართლის მოქცევის წყაროები 57

ქართული ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობა 59

მოციქულთასწორ წმ. ნინოს დროს გაერთიანებული (ორგანიზებული) საქართველოს ერთიანი ეკლესიის მეთაურები (მათ რუსი-ურბნისის კრება ეპისკოპოს-კათალიკოსებს უწოდებს) 61

თავი III. ქართული ეკლესია V ს-ში

ქვეყნის ზოგადი მდგომარეობა V ს-ში 62

სპარსული ორიენტაციის საეკლესიო დაჯგუფებანი 65

საქართველოს საკათალიკოსოს დაარსება 66

თავი IV. ქართული ეკლესია VI საუკუნეში

ზოგადი მიმოხილვა 69

ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები VI საუკუნეში 71

საეკლესიო ენები ალბანეთში, ჰერეთში, გუგარქსა და დასავლეთ საქართველოში VI-VII საუკუნეებში

1. საეკლესიო ენა ალბანეთში 72
2. საეკლესიო ენა ჰერეთში 72
3. საეკლესიო ენა გუგარქში ანუ ქვემო ქართლში 75
4. საეკლესიო ენა დასავლეთ საქართველოში 78
5. საეკლესიო ენა ტაო-კლარჯეთში 79

არსენ საფარელის თხზულება “განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“ 81

ასურელი მამები მონოფიზიტობის წინააღმდეგ 84

თავი V. ქართული ეკლესია VII საუკუნეში

ქვეყნის ზოგადი მდგომარეობა VII საუკუნეში 86

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქცია VII საუკუნეში წმ. მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების მიხედვით 87

განყოფა და შემდგომი ურთიერთობა ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის 92

ქართული ეკლესიის საპატრიარქო ეკლესიად გამოცხადება VII საუკუნეში 93

მოსე კალანკატუელის მიერ აღწერილი ზოგიერთი ამბავი, დაკავშირებული ქართული ეკლესიის ისტორიასთან 94

თავი VI. ქართული ეკლესია VIII-X საუკუნეებში

“ქართლის“ ისტორიული გეოგრაფია VIII საუკუნისათვის 95

საქართველოს ზოგადი მდგომარეობა VIII-X საუკუნეებში 96

აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსება 99

მირონის კურთხევის შესახებ 100

ქართული ეკლესიის ავტოკეფალია IX საუკუნის ჯავახეთში შემდგარი კრების მიხედვით 104

აბო თბილელის “ქართველობის“ შესახებ 105

სომხური ეკლესიის ზეგავლენის დაძლევის მნიშვნელობა ქართველი ერისათვის 106

თავი VII. ქართული ეკლესია XI საუკუნეში

საქართველოს საპატრიარქოს დაარსების პოლიტიკური საფუძველი XI საუკუნეში 108

ქართული ეკლესიის დევნა 1021-1054 წლებში ბიზანტია-საქართველოს ომის დროს 109

ქართული ეკლესიის უფლებათა (საპატრიარქო ღირსებისა და სხვ.) აღიარება 1054-1057 წლებში 111

საქართველოს საპატრიარქოს სტრუქტურა და იურისდიქციის საზღვრები 113

ქართულ ეკლესიაში მიღებული თვალსაზრისი საქართველოს საპატრიარქოს დაარსების კანონიკური უფლებების შესახებ 115

1. დიპტიქის შესახებ 116
2. საქართველოს საპატრიარქოს ადგილი მართლმადიდებლურ დიპტიქში 117
3. ქართული ეკლესიის VI ადგილი ფერარა-ფლორენციის “მსოფლიო“ საეკლესიო კრებაზე 118
4. ქართული ეკლესიის შინაგანი დიპტიქი 120

დიდი მთარგმნელები 121

თავი VIII. ქართული ეკლესია XII საუკუნეში

მეფე დავით აღმაშენებელი - მორჩილი ბერისა 123  
 ეკლესია - ქართული ქვეყნების გამაერთიანებელი 125  
 ეივანდთა ჩამოსახლება 128  
 რუის-ურბნისის კრება 129  
 თავი IX. თამარი - წმიდა კეთილმსახური მეფე 133  
 თავი X. ქართული ეკლესია XIII საუკუნეში  
 ზოგადი მიმოხილვა 136  
 სული თავდადებისა 136  
 დედა ღმრთისმშობელი - შემწე ქართველთა 143  
 თავი XI. ქართული ეკლესია XIV საუკუნეში  
 მეფე გიორგი ბრწყინვალე 146  
 ჩვიდმეტწლიანი სამამულო ომი 149  
 თავი XII. ქვეყნის საერთო მდგომარეობა და ქართული ეკლესია XV საუკუნეში 151  
 “მეფეთა-მეფე მონაზონი აღექსანდრე დიდი“ 152  
 ქართული ეკლესიის თავდადებული ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობისათვის 154  
 ეროვნება და სარწმუნოება 158  
 თავი XIII. საქართველო და ქართული ეკლესია XVI საუკუნეში  
 იყო საქართველო უვნო მტერთაგან 163  
 კუთხურობის ანუ თემობრიობის აღორძინება ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შედეგად 165  
 თავი XIV. ქართული ეკლესია XVII საუკუნეში  
 წმიდა დიდმოწამე ქეთევანი - მნათობი საქართველოსი 166  
 წმიდა მეფე ლუარსაბ II 174  
 “ქართველობისთვის“ საფუძვლის გამოცლა 175  
 “ხელმწიფე ივერიისა“ - ლევან დადიანი, ქართული სოციალ-პოლიტიკური სისტემის -“ ქართველობის“ დამცველი 178  
 მეფე თეიმურაზ I-ის ბრძოლა “ქართველობისათვის“ 185  
 ქართული ეკლესია ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ 191  
 თავი XV. ქართული ეკლესია XVIII საუკუნეში  
 ბრძოლა “გამოსნისა“ და “აღდგომისათვის“ 192  
 ევროპული (კათოლიკური) ორიენტაცია და მისი კრახი 195  
 ვახტანგ VI-ის რუსული ორიენტაცია და მისი კრახი 197  
 ვახტანგ VI-ისა და მუხრანელ ბაგრატიონთა დიდი ოჯახის მამულიშვილობა 199  
 ეკლესიის შინაური ყოფა ანტონ I-მდე 202  
 მირონცხებულ მეფეთა ტახტის აღდგენა - “ქართველობის“ გამარჯვება 208  
 საქართველო ქართველობის გამარჯვების შემდეგ 209  
 დიდი კათალიკოსის ეპოქა 211  
 დიდი ღალატი 213  
 სული ერთობისა 220  
 თავი XVI. ქართული ეკლესია XIX-XX საუკუნეებში  
 შესავალი 226  
 ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება 228  
 სახალხო აჯანყება ავტოკეფალიის დასაცავად 233  
 ეპარქიათა გაუქმებით გამოწვეული მძიმე სარწმუნოებრივი შედეგები 235  
 ავტოკეფალური მოძრაობის დაწყება 238  
 წმიდა ილია მართლისა და ქართველი მღვდელმთავრების ბრძოლა ავტოკეფალიის აღსადგენად 240  
 საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა 246  
 საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს და ქართული ეკლესია 251  
 საქართველოს ხელმეორე ოკუპაცია რუსეთის მიერ 1921 წლის 25 თებერვალს და ქართული ეკლესია 252  
 ქართული ეკლესია ათვისტების ბატონობის დროს 253  
 ქართული ეკლესიის კრებები და სტრუქტურა 264  
 ავტოკეფალური მოძრაობის დაგვირგვინება 266  
 თავი XVII. საქართველოს სახელმწიფოს აღორძინება  
 ეროვნული სახელმწიფოსა და ეროვნული ეკლესიის ურთიერთობა 276  
 საქართველოს ეკლესიის ისტორიის დამახინჯება საბჭოთა ეპოქაში 280  
 ყოველად წმიდა სამების ტაძრის აღმართვა თბილისში 282  
 მცირე ცნობარი 285